ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე დავითაშვილი

ქართველობის პერფორმანსი: გიდების მიერ საქართველოს პრეზენტაცია უცხოელ სტუმრებთან

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები:

ლია წულაძე-სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ამირან ბერძენიშვილი-ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ქართველობის პერფორმანსის საკითხის შესწავლას. კერძოდ, როგორ ახდენენ ქართველი გიდები საქართველოს პრეზენტაციას უცხოელ სტუმრებთან. თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალურ საკითხად იქცა ქვეყნისთვის იმიჯის შექმნა, მისი პრეზენტაცია და თავის დამკვიდრება საერთაშორისო ასპარეზზე. იმიჯის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია სწორად იქნას შერჩეული ერის ის მახასიათებლები თუ ტრადიციები, რომელთა წარდგენაც ხდება როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ დისკურსებში.

ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფად ქართველი გიდები შევარჩიე, რადგან მათი დისკურსი ოფიციალურია და ნაციონალურ ნარატივად შეგვიძლია მივიჩნიოთ. გიდები არიან ის ადამიანები, რომლებიც ახდენენ ქვეყნის წარდგენას როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ სტუმრებთან და ისტორიკოსებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნაციონალური ნარატივების ფორმულირებაში.

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს, კვლევის თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, შევისწავლო გიდების მიერ ქვეყნის წარდგენის თავისებურებები, რაც მჭიდრო კავშირშია ტრადიციის გამოგონებასთან (Hobsbawm. 1983) და კულტურულ ინტიმურობასთან (Herzfeld. 2005. 2nd edition). მიზნის განსახორციელებლად დასახული ამოცანებია: რა კუთხით ცდილობენ ქართველი გიდები ქვეყნის პრეზენტაციას, რამდენად განსხვავდება გიდების დისკურსის ხასიათი ქართველ და უცხოელ სტუმრებთან მიმართებაში და რამდენად იზიარებენ თავად გიდები იმას, რის წარდგენასაც ახდენენ უცხოელ სტუმრებთან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველობის პერფორმანსის თავისებურებები დამოკიდებულია გიდების სამუშაო ლოკაციაზე. ისინი განსხვავებული ეროვნული ასპექტებით წარადგენენ ქვეყანას. მუზეუმში მომუშავე გიდები ქვეყნის პრეზენტაციას ახდენენ მდიდარი კულტურის მქონე უძველესი ქვეყნის იმიჯით, გელათში და მცხეთაში მომუშავე გიდები მართლმადიდებელი ქვეყნის იმიჯის განმტკიცებას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო თავისუფალი გიდები საქართველოს ღვინის სამშობლოდ და ტრადიციების დამცველ უნიკალურ ერად წარადგენენ.

გიდები ახდენენ ქართულ რეალობაში გამოგონილი ტრადიციების გამეორებას, რითიც ქმნიან გარკვეულ საფუძველს საერთაშორისო მასშტაბით კონკრეტული ნიშის დასაკავებლად. გამოგონილი ტრადიციების გამეორებისას გიდები ქართული კულტურის საამაყო ასპექტებს უსვამენ ხაზს, ხოლო მიჩქმალული რჩება ის, რაც მათი აზრით სამარცხვინოა და არ უნდა იქნეს გამჟღავნებული სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის.

ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სტუმრის ცოდნა საქართველოს ეროვნული მახასიათებლების შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ტურისტულ ობიექტს ეწვევა ის: მუზეუმს, საეკლესიო-ტურისტულ ნაგებობას თუ ისარგებლებს რომელიმე ტურისტულ კომპანიაში მომუშავე გიდის მომსახურებით.

Annotation

The purpose of the dissertation is to study the performance of being Georgian. More specifically, it looks at how Georgian guides present Georgia to foreign visitors. The act of creating an image for Georgia and presenting it in order to carve out its niche on the international stage has become an important endeavor. In this process, it is important for the characteristics and the traditions of the nation, which are to be emphasized, to be chosen wisely, be they intended for official or unofficial discussions.

I chose the Georgian guides as my target sample, as they tend to present themselves and their country in an official manner, which makes their presentation a part of the national narrative. The guides are the individuals, who are presenting the country to both foreign, as well as domestic guests and play an important role (alongside historians) in formulating the national narrative.

The aim of my research is to study the specifics of the presentation of the country with an emphasis on tradition invention (Hobsbawm. 1983) and cultural intimacy (Herzfeld. 2005. 2nd edition), using the qualitative methods of research. The targets that need to be studied in order for the said aim to be achieved include researching the angles that the guides try to present the country from, the differences between the guides presenting the country to foreigners and them doing the same with local guests and how they themselves believe the narratives that they are presenting to the foreign tourists.

The results of the research conducted showed that the performance of the guides is dependent on their work location. They often show the country in a variety of lights. Those working in museums emphasize the rich and ancient culture of the nation, those from Gelati and Mtskheta prefer to show the country that of Orthodox Christians, while some unattached guides like to show Georgia as a unique, traditionalist country which also happens to be the homeland of wine.

The guides often repeat the fabricated invention traditions for the realities of Georgia, which allows for Georgia to occupy its niche on an international scale. In doing so, the guides

emphasize the more favorable aspects of the Georgian culture, at the same time hiding the parts which they consider shameful, something that must be kept from the eyes of foreign observers.

The research conducted shows that the knowledge that a guest accrues regarding the specifics of Georgia is dependent on which tourist attraction they visit, be it a museum or a religious facility or if they use the services of a guide from one of the tourist companies.

სარჩევი

შესავალი..... 7

კვლევის მეთოდოლოგიური ნაწილი..... 7

კვლევის პროცედურული ნაწილი..... 10

თავი 1. თეორიული ნაწილი 13

1.1 ძირითადი ცნებების განმარტება 13

1.2 თეორიული ჩარჩო..... 18

1.2.1 წარსულის წარდგენა..... 18

1.2.2 ტრადიციის გამოგონების თეორიული კონსტრუქტი 20

1.2.3 კულტურული ინტიმურობის თეორიული კონსტრუქტი..... 22

1.2.4 წარსულთან კავშირის შენარჩუნების გზები..... 23

თავი 2. ემპირიული ნაწილი 27

2.1 ჩართული დაკვირვება - გიდების პრეზენტაციის თავისებურებები 30

2.2 გიდების დისკურსი-ქართველობის განსხვავებული პერფორმანსი..... 33

დასკვნა:..... 44

ბიბლიოგრაფია:..... 47

შესავალი

კვლევის მეთოდოლოგიური ნაწილი

საკითხის დასმა და კვლევის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოში ყველა ერი ცდილობს, მიმზიდველად წარმოაჩინოს საკუთარი თავი საერთაშორისო დონეზე და შექმნას სასურველი იმიჯი. ქვეყნების უმრავლესობას შექმნილი აქვთ თავიანთი იმიჯი, რომელიც საკმაოდ სტაბილური და თანმიმდევრულია. ისეთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, ეს იმიჯი და პრესტიჟი უფრო მტკიცე აქვთ, თავისი სიმბოლოებით, იქნება ეს გართობა, კულტურა თუ საექსპორტო პროდუქცია. ისეთი ქვეყნები კი, როგორიცაა ინდოეთი, თურქეთი, მალაიზია, აქტიურ კამპანიებს ეწევიან, რომ განამტკიცონ თავიანთი პოზიციები საერთაშორისო მასშტაბით (Marat, 2009. გვ: 1124). აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობენ ისეთი პატარა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის შედარებით უცნობი ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ სასურველი საერთაშორისო იმიჯის შექმნას და ასეთი ქვეყნების რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება.

ამა თუ იმ ერის წარმომადგენლები, სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, კულტურული თავისებურებებით ცდილობენ, შექმნან თავიანთი ნაციონალობის ისეთი იმიჯი, რომელიც იქნება სხვებისგან გამორჩეული, უნიკალური და დასამახსოვრებელი. ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ ხშირად სახელმწიფო უბრალოდ *იგონებს ტრადიციებს,* წეს-ჩვეულებებს, იყენებს მათ თავის სასარგებლოდ და მუდმივად ახდენს უკვე გამოგონილი ტრადიციის თუ ტრადიციების პრეზენტაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ტრადიციის გამოგონების მიზანია საზოგადოებაში გარკვეული ღირებულებებისა და ნორმების დამკვიდრება. დასახული მიზნის მისაღწევად კი მათი გამეორება ხდება საჭირო (Hobsbawm, 1983). ჰობსბაუმი ტრადიციის გამოგონებას განიხილავდა, როგორც ეპოქის საჭიროებით გამოწვეულ საქმიანობას, რათა ხაზი გაუსვა შენი ქვეყნის სიძველეს, გამორჩეულობას ან რომელიმე სხვა მახასიათებელს. ანუ ტრადიციის გამოგონებით ერი ცდილობს მისთვის სასურველად მიჩნეული იმიჯის შექმნას და განმტკიცებას.

ქვეყნისთვის იმიჯის შექმნა და განმტკიცება სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. როდესაც ტურისტი ჩადის რომელიმე ქვეყანაში და სურს გაეცნოს ამ ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს, იყენებს გიდის, ანუ იმ ადამიანის მომსახურებას, რომელიც კონკრეტული ისტორიული ძეგლის გარდა, მას ასევე ქვეყნის კულტურას და ტრადიციებს აცნობს. ვფიქრობ, რომ სწორედ გიდები არიან ის სუბიექტები, რომლებიც ახდენენ უკვე შექმნილი, ან სასურველად მიჩნეული იმიჯის განმტკიცებას, გამოგონილი ტრადიციის გამეორებას და ეროვნული სიამაყის ხაზგასმას.

ვფიქრობ, ზემოთ აღნიშნულ ჭრილში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია გიდის მიერ უცხოელი ტურისტებისთვის საქართველოს წარდგენის პროცესში გამოყენებული დისკურსის შესწავლა, მასზე დაკვირვება და გარკვეული თავისებურებების აღმოჩენა. ის, თუ როგორ წარუდგენს გიდი ჩამოსულ სტუმარს ქვეყნის კულტურას, ტრადიციას და სხვა თავისებურებებს, განაპირობებს ამ სტუმრის განწყობებს, დამოკიდებულებებს და თავის მხრივ, სწორედ გიდის დისკურსზე დაყრდნობით ისაუბრებს ამ ქვეყნის შესახებ. სწორედ ამიტომ, მართებულად მივიჩნიე, ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფად, ეროვნულ მუზეუმში მომუშავე და სხვადასხვა კულტურულ ობიექტებზე მიმაგრებული ქართველი გიდები შემერჩია.

კვლევის მიზანი

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება ქართველობის პერფორმანსი გიდების მიერ, კერძოდ, როგორ ახდენენ ქართველი გიდები საქართველოს წარდგენას უცხოელ სტუმრებთან.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის განსახორციელებლად გამოვყავი შემდეგი ამოცანები:

- როგორ, რა კუთხით, რა სტრატეგიების გამოყენებით ცდილობს ქართველი გიდი ჩვენი ქვეყნისთვის სასურველი იმიჯის შექმნას და პრეზენტაციას.

- რამდენად განსხვავდება გიდების დისკურსი, უცხოელი და ქართველი სტუმრების შემთხვევაში. ანუ, იდენტურია თუ არა მონაყოლის ფორმა და შინაარსი იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის წარდგენა ხდება იმავე (ქართველი), ან განსხვავებული *კულტურული ინტიმურობის* (Herzfeld, 2005. 2nd edition) მატარებელი სტუმრისთვის.

- რამდენად განხვავდება გიდების ოფიციალური და არაოფიციალური დისკურსი ერთმანეთისგან. ანუ, თავად გიდები იზიარებენ თუ არა იმ კულტურულ და ისტორიულ ასპექტებს, რომელზეც საუბრობენ უცხოელ სტუმრებთან.

საკვლევი ჰიპოთეზა:

- ვვარაუდობ, რომ საქართველოს ისტორიის და კულტურის წარდგენისას გიდები ახდენენ იმ ეროვნული მახასიათებლების ხაზგასმას, რომელთა მეშვეობითაც, მათი აზრით, ქვეყნის უკეთესი კუთხით წარმოჩენას შეძლებენ. კერძოდ, იმ ეროვნული მახასიათებლების თუ ტრადიციების წარმოჩენა ხდება, რომელიც, მათი აზრით, სასურველი იმიჯის შექმნას შეუწყობს ხელს.
- მოსალოდნელია, რომ გიდების დისკურსები განსხვავდება უცხოელი და ქართველი სტუმრების შემთხვევაში. ქართველი დამთვალიერებლების შემთხვევაში, ვინაიდან ისინი არიან იმავე კულტურული სივრცის ნაწილი, შთაბეჭდილების მართვის სტრატეგიები იქნება ნაკლებად მრავალფეროვანი, განსხვავებით უცხოელი სტუმრებისგან.
- მაიკლ ჰერცფელდი კულტურული ინტიმურობის კონტექსტში აღწერს გარკვეულ კოდირებულ დაძაბულობას, რომელიც არსებობს კოლექტივის ოფიციალურ და არაოფიციალურ თვითანალიზს შორის და მას უწოდებს დისემიას (Herzfeld, 2005. 2nd edition. გვ: 14). ამის გათვალისწინებით, ვვარაუდობ, რომ ქართველი გიდების ოფიციალიური დისკურსი, რომელსაც იყენებენ უცხოელ სტუმრებთან და ის კულტურული ასპექტები, რომელსაც წარმოადგენენ როგორც საამაყოს, შესაძლოა არ იყოს გაზიარებული და მოწონებული გიდების, როგორც ქართული კულტურის წევრების მიერ.

კვლევის პროცედურული ნაწილი

შერჩევა

რადგან საკვლევი საკითხი საჭიროებს სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების გამოყენებას, შერჩევა შესაბამისად არის მიზნობრივი.

ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ გიდები, რომლებთანაც ჩავატარე ინტერვიუები რამდენიმე ტურისტულ ობიექტზე. რაც შეეხება ობიექტებს, მათი შერჩევა მოხდა ქართული და უცხოური ფორუმების მიხედვით. ანუ, შერჩევაში მოხვდა ის ობიექტები, რომელთაც ყველაზე მეტი დამთვალიერებელი და სტუმარი ჰყავთ როგორც საზღვარგარეთიდან, ისე ქვეყნის ფარგლებს შიგნიდან. ასეთი ობიქტები აღმოჩნდა გელათი და სვეტიცხოველი. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 11 გიდთან, რომლებიც მიმაგრებული არიან ზემოხსენებულ ტურისტულ ობიექტებზე.

ვინაიდან კვლევის ფარგლებში ვიყენებ ჩართული დაკვირვების მეთოდს, იმ მიზნით, რომ გავიგო, როგორ ხდება ქვეყნის სასურველი კუთხით პრეზენტაცია სტუმრებისთვის, ამიტომ შერჩევაში მოხვდა ის ტურებიც, რომლებსაც გიდები სტუმრებს სთავაზობენ სხვადასხვა ენებზე (ამ შემთხვევაში, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომელთაც თავად ვფლობ). ჩართული დაკვირვება განვახორციელე ტურისტების 33 ჯგუფთან, დავაკვირდი თითოეული გიდის მიერ ჩატარებულ ტურებს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენაზე.

მონაცემების მოპოვების მეთოდები

როგორც აღვნიშნე, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევა საჭიროებს თვისებრივი მეთოდების გამოყენებას.

პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა ჩართული დაკვირვების მეთოდი, ანუ ვაკვირდებოდი, ვისმენდი და ვიწერდი კვლევისთვის წინასწარ შერჩეული იმ გიდების საუბარს, რომლებიც ტურისტებს სთავაზობენ სხვადასხვა ტურებით სარგებლობას, რათა შემდგომ მომეხდინა ჩაწერილი მასალის კონტენტ-ანალიზი და დისკურსის

ანალიზი და გამომეყო ის მახასითებლები, რითიც ცდილობენ ქვეყნისთვის სასურველი იმიჯის შექმნას და პრეზენტაციას სტუმრებისთვის.

შემდეგ ეტაპზე შერჩევაში მოხვედრილ გიდებთან ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები წინასწარ შედგენილი კვლევის ინსტრუმენტის, სადისკუსიო გეგმის მეშვეობით. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებამ ჩართული დაკვირვების შემდგომ შესაძლებლობა მომცა, შემევსო დააკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები.

მონაცემების ანალიზის და დამუშავების მეთოდი

მას შემდეგ რაც შევქმენი ჩემს მიერ გიდებთან ჩაწერილი ინტერვიუების ტრანსკრიპტები, გამოვიყენე საკითხზე/პრობლემაზე ფოკუსირებული ზოგადი ანალიზი (Weiss. 1995).

პრობლემაზე/საკითხზე ფოკუსირებული ანალიზი გულისხმობს შემდეგ ანალიტიკურ პროცესებს: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია.

<u>კოდირება:</u> გულისხმობს რესპონდენტის მონათხრობის დაკავშირებას იმ ცნებებთან და კატეგორიებთან, რაც ანგარიშში იქნება წარმოდგენილი. კოდირება წარმოადგენს საფუძველს კატეგორიზაციისა და ინტეგრაციისთვის, თუმცა ამ უკანასკნელთა საფუძველზე შესაძლოა მონაცემების ხელახალი კოდირებაც.

<u>კატეგორიზაცია:</u> გულისხმობს კოდების ქვეშ შესაბამისი მონაცემების თავმოყრას ტრანსკრიპტებიდან.

<u>ლოკალური ინტეგრაცია:</u> ხდება მასალის ორგანიზება და ინტეგრირება ანგარიშის ცალკეულ სექციად. ლოკალური ინტეგრაციის ყველაზე მარტივი გზა არის ინტერვიუს ამონარიდების და მათი კოდების შეჯამება:

<u>ინკლუზიური ინტეგრაცია:</u> ერთ ისტორიად აერთიანებს იზოლირებულ საკითხებს. მისი მიზანია, ერთიანი სახე მისცეს კვლევის ანგარიშს, რომელშიც თემატური ბლოკები ლოგიკურად იქნება დაკავშირებული, და ზოგადი დასკვნები გამოიტანოს.

რაც შეეხება შინაარსობრივ ასპექტს, მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი მოვახდინე კონტენტ-ანალიზის და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით. დისკურსის ანალიზი გულისხმობს ტექსტობრივი მასალის სიღრმისეულ ანალიზს. ტექსტობრივ მასალას ჩემს შემთხვევაში წარმოადგენს გიდების სიღრმისეული ინტერვიუები და დაკვირვების შედეგად შექმნილი ჩანაწერები.

კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

უკვე არსებული ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული სიამაყის და ტრადიციის გამოგონების ფენომენის შესწავლა ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში გიდების მაგალითზე არის პირველი მცდელობა, ამ ჭრილში ქართული კულტურული მახასიათებლების შესწავლისთვის. რაც მომავალში შესაძლოა გარკვეულ პლატფორმად იქნას გამოყენებული იმავე შინაარსის სხვა კვლევებისთვის შედარების თვალსაზრისით.

რაც შეეხება პრაქტიკულ მნიშვნელობას, გიდების მიერ კვლევის ანგარიშის გაცნობამ შესაძლოა მოახდინოს მათი მხრიდან დაშვებული შეცდომების თუ ხარვეზების გააზრება და მათ აღმოფხვრაზე მუშაობის დაწყება, ხოლო სახელმწიფომ გაიაზროს ტურების სწორად დაგეგმვის და განხორციელების მნიშვნელობა ქვეყნაში ტურიზმის განვითარებისთვის.

კვლევის შეზღუდვები

ჩემი კვლევის შეზღუდვა უმეტესად იქიდან გამომდინარეობს, რომ არ მაქვს საკმარისი დრო და საშუალება, საქართველოოს სხვადასხვა კუთხის სტრატეგიულ ტურისტულ ადგილებს დავაკვირდე და გიდების დისკურსების რეგიონული სპეციფიკა ერთმანეთს შევადარო.

გარდა ამისა, არ მაქვს დრო და საშუალება დიდხანს დავრჩე ველზე და ინტენსიური დაკვირვება მოვახდინო, რაც ასევე გაზრდიდა ჩემს მიერ გაკეთებული დასკვნების ვალიდურობას.

თავი 1. თეორიული ნაწილი

1.1 ძირითადი ცნებების განმარტება

მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმ ძირითადი ცნებების განმარტება, რომელთაც ვიყენებ ნაშრომის თეორიულ და ემპირიულ ნაწილში. გამოვიყენებ იმ განსაზღვრებებს, რომლებიც კულტურის კვლევების და ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებშია დამკვიდრებული. ამ ცნებების განმარტება საჭიროდ მიმაჩნია კვლევის მიზნის მისაღწევად, რომელსაც ქართველი გიდების მიერ ქვეყნის პრეზენტაციის თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ ძირითადი ცნებების განმარტებით უკეთ შევძლებ მიღებული ემპირიული მონაცემების კონკრეტულ თერიულ კონტექსტში მოქცევას და ახსნას.

კულტურული იდენტობა - კულტურულ იდენტობას განსაზღვრავს ენა, რელიგია, ტერიტორია, ტრადიციები, ღირებულებები, ნორმები და სხვა მახასიათებლები, რომელთაგან ჩემი კვლევისთვისთვის განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნია, საერთო ისტორია, რომელიც კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. ქეთრინ ვუდვორდის (Woodward. 1997. გვ. 1-2) მიხედვით, კულტურული იდენტობა გვისაზღვრავს, ვინ ვართ ჩვენ, რა კავშირი გვაქვს სხვებთან და რა ადგილი გვიჭირავს სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ. იდენტობა განაპირობებს ადამიანის ქცევას, იმას, თუ როგორ შეასრულებს იგი სხვადასხვა ცხოვრებისეულ „როლს“. ის განაპირობებს, რომელ კულტურას მიაკუთვნებს ინდივიდი თავს, რომელ კულტურაში არსებულ ფასეულობებს და ნორმებს გაიზიარებს.

ქართველი გიდები უცხოელ სტუმრებთან პრეზენტაციისას საუბრობენ კულტურული იდენტობის ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მახასიათებელზე: ქართულ ენაზე, რომელიც მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე უძველეს ენაზე; რელიგიაზე, როგორც ქართული იდენტობის განმსაზღვრელ უპირველეს მახასიათებელზე; ტერიტორიაზე, როგორ ევროპის და აზიის დამაკავშირებელ კარიბჭეზე; ქართულ ტრადიციებზე, რომელიც სიძველით და ორიგინალურით ხასითდება და ა.შ.

ერი - თანამედროვე წარმოდგენით, ერს ორი შემადგენელი მახასითებელი აქვს: თავად ერის ცნება, იდეის კონსტრუქცია და ადამიანების ერთობლიობა, რომელიც საკუთარ თავს ამ ერის ნაწილად თვლის. ასევე, იგულისხმება, რომ ამ ერს მისი წევრები, როგორც წესი, დაბადებით უნდა ეკუთვნოდნენ. კიდევ უფრო რომ გავაღრმაოთ ერის მეორე ნიშანი, უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი, ვინც საკუთარ თავს რომელიმე ერს აკუთვნებს, ამავე დროს ერის საშუალებით საკუთარ თავს განსაზღვრავს, ანუ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს კონკრეტულ იდეასთან და ისტორიასთან. ამავე დროს, საკუთარი თავის განსხვავებას, გამიჯვნას ახდენს იმ ადამიანებისგან, ვისი იდენტობაც სხვა იდეასთან და ისტორიასთანაა დაკავშირებული (თევზაძე. 2009. გვ: 49). ეს შესამჩნევია გიდების მიერ ქვეყნის პრეზენტაციის პროცესში. გიდები ქართულ იდენტობას საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავენ.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ ერი იმ ტიპის ერთობაა, სადაც წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო მეხსიერებით. საქართველოს წარდგენისას გიდები სწორედ საერთო/კოლექტიურ მეხსიერებაზე ახდენენ ხაზგასმას და პრეზენტაციისას იყენებ ისეთ ფრაზებს როგორიცაა: „ჩვენ, ქართველებს გვახსოვს უამრავი შემოსევა და დაღვრილი სისხლი“, „ნებისმიერი ქართველი გეტყვით ვინ ააგო გელათი“ და ა.შ.

კულტურული ნაციონალიზმი - რადგან ჩემი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო *ნაციონალიზმის კულტურული* გაგებაა, სწორედ მას განვმარტავ და არა ნაციონალიზმის ცნებას ზოგადად. კულტურული ნაციონალიზმის ცნება ეფუძნება რომანტიზებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერი, ეს არის უნიკალური ისტორიული და ორგანული მთლიანობა, რომლესაც აქვს საერთო „სული“. ის, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახალხო რიტუალებს, ტრადიციებს და ლეგენდებს (Hutchinson. 2013). ერთ-ერთი გიდი სვეტიცხოველში უცხოელ სტუმრებთან პრეზენტაციისას აღნიშნავს რომ აქ საუკეთესოდ ჩანს მართლმადიდებლური საქართველოს „სული“. გიდების მიერ ქვეყნის წარდგენის პროცესში აქტიურად ხდება ქართული ტრადიციების და ლეგენდების წარდგენა, მაგალითად გიდები სტუმრებს უყვებიან ლეგენდებს თბილისის და სვეტიცხოვლის დაარსების შესახებ და ა.შ.

„ბანალური ნაციონალიზმი“. საინტერესოდ მიმაჩნია აქვე განვიხილო ბანალური ნაციონალიზმი, რომლის ფარგლებშიც ავტორი მაიკლ ბილიგი ეროვნულის პრეზენტაციის საკითხს ეხება (Billig. 1995). ბილიგი აღნიშნავს, რომ გამოხატული, „ცხელი” ნაციონალიზმი არ არის დამახასიათებელი ყოველდღიური ცხოვრებისთვის, მისი შეგრძნება მძაფრდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერს გარედან საფრთხე ემუქრება, როდესაც ერის გარკვეულ თვისებებს აკრიტიკებენ და ა.შ. ამ დროს ის ემოციურად დატვირთულად გარდაიქმნება. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ნაციონალიზმი არ არის გამოკვეთილი, ის არ არის შესამჩნევი, იმდენად, რომ ბანალური რჩება. ის საზოგადოების მხრიდან აღქმულია ჩვეულებრივად და არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულს. რიგ შემთხვევებში, ის შესაძლოა გახდეს პოლიტიკურად დატვირთული და ემოციების მეშვეობით მართვადი.

ნაციონალიზმის საკითხთან მიმართებაში ხშირად თავს იჩენს წინააღმეგობრივი მნიშვნელობები. კონკრეტული ერის წარმომადგენლების მიერ, „ერთობის“ შიგნით გამოვლენილი ნაციონალისტური მიდრეკილებების მიმართ არსებობს ლოიალური დამოკიდებულებები, ისინი არ აღიქმება უარყოფითად. მეტიც, ამგვარი ნაციონალისტური გამოვლინებები იმავე ერის წარმომადგენლების მხრიდან შეფასებულია, როგორც პატრიოტიზმი, შესაბამისად, წახალისებულია. ხოლო, მეორე მხრივ, სხვა „ერთობის“ მიერ გამოვლენილ მსგავს ტენდენტიებს ეძლევა ნაციონალიზმის შეფასება უარყოფითი დატვირთვით. ანუ, ის რაც შენთვის არის პატრიოტიზმი, სხვისთვის შესაძლოა იყოს ნაციონალიზმი (Billig. 1995. გვ: 55).

ნაციონალური ნარტივი - ეს არის ისტორია ამა თუ იმ ერთობის წარსულის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს, როგორ წარმოიდგენს საზოგადოება საკუთარ თავს, აგრეთვე იმას, თუ როგორ იცვლებოდა მისი მდგომარეობა და გარესამყაროსთან მიმართება დროთა განმავლობაში.

ნაციონალური ისტორიული ნარატივი, ეს არის წარსულის ისტორიულად და კულტურულად განპირობებული ინტერპრეტაცია, რომელიც აყალიბებს ინდივიდის/ჯგუფის წევრის სტატუსს, როლს, უფლებებს, მოვალეობებს, მოსალოდნელ ქცევებს, ერთმანეთთან ურთიერთობის წესებს, ლეგიტიმაციას ანიჭებს სოციალურ

ორგანიზაციას, ყოველდღიურ პრაქტიკას და ცხოვრების წესს. ნაციონალური ნარატივი ყოველთვის გადაჯაჭვულია კონკრეტულ ეპოქასთან და იდეოლოგიურ ტენდენციებთან.

პროფესიული ისტორიული ნარატივი ნაციონალურ ეპოქაში და მასთან მჭიდრო კავშირში ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნეში სხვადასხვა ქვეყანაში ნაციონალური ისტორიოგრაფიის სხვადასხვა ტრადიცია შეიქმნა, მაინც შეიძლება საუბარი მათ საერთო მახასიათებლებზე: ყველა მათგანი და მათ შორის ქართულიც, მოიცავს უძველესი წარმოშობის, მემკვიდრეობითობის და უწყვეტობის, გმირული წარსულის, ოქროს საუკუნის, გაღებული მსხვერპლის, განსაკუთრებულობის/ღვთის რჩეულობის ეროვნული გმირების თავგანწირვის თემებს, რაც ქართველი გიდების ნარატივებში უწყვეტად იჩენს თავს.

ნაციონალური ნატარივები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ჯგუფის შეკავშირებაში, უზრუნველყოფენ მის კავშირს როგორც წარსულთან (ზოგჯერ წარმოსახვითთან), ასევე მომავალთან. ნაციონალური ნარატივების მთავარი ფუნქციაა ჯგუფური იდენტობის განცდის ჩამოყალიბება და განმტკიცება. სწორედ „ნაციის ნარატივმა“ - მოთხრობამ საერთო ბედით დაკავშირებული ინდივიდების დროში თანაცხოვრების შესახებ შესძინა ნაციონალურ იდენტობას განსაკუთრებული მნიშვნელობა სხვა ტიპის იდენტობებთან შედარებით (ჩიქოვანი, ჩხაიძე, წერეთელი, მაცაბერიძე, კაკიტელაშვილი. 2013. გვ: 15).

ქართველი გიდების დისკურსები მრავლად შეიცავს ეპოქის საჭიროებით შექმნილი ნაციონალური ნარატივის მახასიათებლებს: საუბარია ქართველების უძველეს წარმოშობაზე, გიდები ყვებიან ლეგენდებს გმირული წარსულის და ოქროს საუკუნის შესახებ და ა.შ. ნაციონალური ნარატივები ტრადიციის გამოგონების ცენტრალურ ელემენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ და ამ ჭრილში განვიხილავ კიდეც გიდების დისკურსებს.

<u>იდენტობის შემქმნელი ტექსტი/იდენტობის ნარატივი</u> - ამ ტიპის ტექსტად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნებისმიერი ნარატივი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს

კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის. ეს შესაძლოა იყოს ისტორიული თხზულებები, ისტორიული რომანები, პოლიტიკური თუ კულტურული მანიფესტები, ფილოსოფიური ტრაქტატები, ეროვნული კონსტიტუციები, რევოლუციური სიმღერები, მიუხედავად იმისა, საჯარო დანიშნულებით დაიწერება თუ არა (ჩიქოვანი, ჩხაიძე, წერეთელი, მაცაბერიძე, კაკიტელაშვილი. 2013. გვ: 16). მიმაჩნია, რომ ქართველი გიდების დისკურსები, რომელსაც ისინი ქვეყნის პრეზენტაციის პროცესში იყენებენ, წარმოადგენს ქართული იდენტობის შემქმნელ ტექსტს და გიდები ახდენენ მის გამეორებას თითოეული პრეზენტაციის დროს. მართალია, გიდების დისკურსები საჯარო დანიშნულებით არ არის შექმნილი, თუმცა ემსახურება ქართული იდენტობის წარდგენას სხვადასხვა კუთხით.

1.2 თეორიული ჩარჩო

1.2.1 წარსულის წარდგენა

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართველი გიდების მიერ ქვეყნის წარდგენის თავისებურებების შესწავლა, წარდგენა კი ძირითადად მოიცავს ისტორიული ფაქტების, ტრადიციების და ზოგადად წარსულის შესახებ თხრობას. ერის წარსული თანამედროვე იდენტობის შექმნის მყარი საფუძველია. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია განვიხილო ის თეორიულ წყაროები, რომლებიც წარსულის პრეზენტაციას ეხება. ერთ-ერთ ასეთ თეორიულ წყაროს წარმოადგენს „წარსულის წარდგენა“, რომელიც განიხილავს მეხსიერებას, ისტორიას და იდენტობას თანამედროვე ევროპაში (Tilmans, Winter & Vree. 2010).

ნაშრომში განვითარებული მსჯელობის მიხედვით, წარსულის წარდგენა კოლექტიური მეხსიერების ცენტრალურ ელემენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ შემდეგი: როდესაც საკითხი ეხება წარსულის აღწერას/პრეზენტირებას, ერთდროულად ადგილი აქვს ორ პროცესს, ერთი მხრივ, ობიექტური ფაქტების აღწერას და, მეორე მხრივ, მათ აღდგენას, რაც თავის თავში ისტორიის შევსებას გულისხმობს. ეს ნიშნავს იმას, რომ ისტორიის გახსენებისას ერთდროულად მიმდინარეობს ორი პროცესი, რეალურად მომხდარის გახსენება და ისტორიისთვის გარკვეული ფაქტების დამატება, ან სახეცვლილება, რასაც საფუძვლად უდევს თანამედროვე საჭიროებები, მაგალითად, წარსულის სასურველად პრეზენტირების მოტივი. ანუ, გახსენება, ერთის მხრივ, აღწერს წარსულს და, იმავდროულად, ხდება თავდაპირველ ამბავზე დღევანდელობიდან გამომდინარე სხვადასხვა ხერხით გარკვეული კვალის ასახვა, მაგალითად, გაზვიადებით, მიჩქმალვით და ა.შ. ეს კავშირშია, როგორც კულტურის საამაყო და სამარცხვინო ასპექტებთან (Herzfeld, 2005. 2nd edition), ასევე, ტრადიციის გამოგონებასთან (Hobsbawm, 1983).

ქვეყნის პრეზენტაცია გვერდს ვერ უვლის წარსულს. მკვლევარები გამოყოფენ წარსულის დამახსოვრებისა და მეხსიერების გადაცემის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად ბერკი საუბრობს რამდენიმე მედიუმზე/შუამავალზე, რომელთა

საშუალებითაც ხდება მეხსიერების გადაცემა. ესენია: 1. ზეპირი ტრადიცია, 2. ისტორიკოსის შემოქმედება, 3. გამოსახულებითი და ფოტოგრაფიული ხატები, 4. მოქმედებები და რიტუალები, რომელთა მეშვეობითა ხდება წარსულის კვლავწარმოება, 5. სივრცე, სადაც ლოკალიზდება მეხსიერების „ხატები“ (Burke. 1980. გვ:100-101). გიდი საქმიანობის პროცესში მეხსიერების გადაცემის ყველა ჩამოთვლილ ფორმას ემყარება. პრეზენტაციისას ის იყენებს როგორც ზეპირ ტრადიციას, ასევე ეყრდნობა ისტორიკოსების მიერ განვითარებულ მსჯელობათა რიგს, იყენებს გამოსახულებით და ფოტოგრაფიულ ხატებს (ფრესკები, ტაძრები, არქეოლოგიური ნიმუშები და ა.შ), სხვადასხვა სივრცეში სტუმრებს უყვება რიტუალების შესახებ და უხნის მათ სიმბოლურ დატვირთვას. კვლევის ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას შემდეგიც: სივრცეში, გარდა იმისა, რომ ხდება მეხსიერების ხატების ლოკალიზება, ის განაპირობებს კიდეც ქვეყნის წარდგენის ეროვნულ ასპექტებს.

წარსულის წარდგენის შესახებ საუბრისას, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კულტურული მეხსიერება. ტილმანსი (2010) აღნიშნავს, რომ კულტურა, ინფორმაციის გრძელვადიანად შესანახად, როგორც წესი, ეყრდნობა წერილობით სისტემებს, მაგრამ ამ ინფორმაციებს შორის არსებობს სხვაობა. ერთი მხრივ, არსებობს ინფორმაცია, რომლის გახსენებაც ხდება კულტურის წევრების მხრიდან კოლექტიურად და განსაკუთრებული სიამაყით, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს ინფორმაცია, რომელსაც ივიწყებენ, გამორიცხავენ, უკუაგებენ და უარყოფენ წინასწარგანზრახულად. მიჩნეულია, რომ პირველი ტიპის ინფორმაცია, რომელიც „ღირსეულია“ და მნიშვნელოვანია, უნდა იყოს დაცული მატერიალური ფორმით (მაგ: წერილობით, ისტორიული ძეგლის და ა.შ სახით), ხოლო მეორე ტიპის ინფორმაციის შემთხვევაში, მისი მიჩქმალვა და ნაკლებად ხაზგასმა ხდება. ეს ასევე პირდაპირ კავშირშია მაიკლ ჰერცფელდის (2005) მიერ შემოტანილ ცნებასთან - „კულტურულ ინტიმურობასთან“, კერძოდ, მის საამაყო და სამარცხვინო ასპექტებთან, რაზეც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ მეხსიერებას პოტენციალი აქვს, მუდმივად ახდენდეს ტრანსფორმაციას, რეკონფიგურაციას, ინოვაციას, რის შედეგადაც ვიღებთ ტრადიციის გამოგონებას (Hobsbawm. 1983)

1.2.2. ტრადიციის გამოგონების თეორიული კონსტრუქტი

ტრადიციის გამოგონების, ანუ ძველი ტრადიციების აწმყოში არსებული სოციალური ცვლილებების შესაბამისად ინტერპრეტირების, ახლებურად გადაწყობის და შექმნის საკითხს ერიკ ჰობსბაუმი აანალიზებს თავის ნაშრომში „ტრადიციის გამოგონება.“ ჰობსბაუმის მიხედვით, არსებობს ტრადიციები, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს ძველია და ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, ისინი საკმაოდ ახალია და, ხშირ შემთხვევაში, გამოგონილიც კი.

XIX საუკუნის ბოლო ნაციონალური ტრადიციების ძიების, ანუ, როგორც ე. ჰობსბაუმი უწოდებდა, „ტრადიციათა გამოგონების“ საუკუნე იყო. ამ დროს აიგო ნაციონალური მონუმენტები, შეიქმნა ნაციონალური დღესასწაულები (მაგალითად, ბასტილიის აღების დღე). ნაციონალურმა ისტორიებმა მთავარი ადგილი დაიკავეს სასკოლო პროგრამებში. ყოველივე ამის მიზანი ერი-სახელმწიფოს ლეგიტიმაცია იყო.

ტერმინი „ტრადიციის გამოგონება“ ფართოდ გამოიყენება, თუმცა, საკმაოდ ორაზროვანია. მისი ორაზროვნება შემდეგში მდგომარეობს, ტერმინი, ერთი მხრივ, გულისხმობს ტრადიციას, როგორც ნამდვილად არსებულს, ფორმალურად დაწესებულს, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტრუირებულს დროის მოკლე პერიოდში. ამ უკანასკნელისთვის თვალყურის დევნება შესაძლებელია, ანუ ჩვენს თვალწინ იქმნება მოკლე დროში და მათი შექმნა განპირობებულია გარკვეული საჭიროებებით (Hobsbawm. 1983. გვ: 1). ქართული რელობიდან პირველის საუკეთესო მაგალითია საშობაო ალილო, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, ხოლო მეორის მაგალითს შობის ღამეს ფანჯარაში სანთლის ანთების ტრადიცია წარმოადგენს, რომელმაც მოქმედი პატრიარქის ინიციატივით ბოლო ათწლეულში დაიწყო დამკვიდრება, მასვე ეკუთვნის ოჯახის სიწმინდის დღედ 17 მაისის დაწესება, რომელიც ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს ემთხვევა.

ავტორის თანახმად, ტრადიციის გამოგონების მიზანია, საზოგადოებაში გარკვეული ღირებულებები და ნორმები შემოიტანოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მათი გამეორება ხდება საჭირო. შესაძლებელია, გამოგონილმა ტრადიციებმა საერთაშორისო დონეზე ადგილის დასაკავებლად ქვეყანას მყარი საფუძველიც კი შეუქმნას. ეს საკითხი

პირდაპირ კავშირშია ქართველი გიდების მიერ ქვეყნის პრეზენტაციის საკითხთან გიდები ცდილობენ გამოგონილი თუ ნამდვილად არსებული ტრადიციების გამეორებით მოახდინონ შთაბეჭდილება უცხოელ სტუმრებზე და შესაძლოა გაუცნობიერებლად, თუმცა მაინც ქმნიან გარკვეულ საფუძველს ქვეყნისთვის საერთაშორისო დონეზე კონკრეტული ადგილის დასაკავებლად.

ტრადიციის გამოგონება მიზნად ისახავს წარსულის უწყვეტობის უზრუნველყოფას (თეორიას წარსულის უწყვეტობის და მისი ბუნების შესახებ განვიხილავ ქვემოთ) და კონკრეტული ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრებას თავისი რიტუალისტური თუ სიმბოლური ბუნების გამო. ტრადიციის გამოგონების არსს წარსულზე მითითება ან წარსულის შექმნა წარმოადგენს. ჰობსბაუმის მიხედვით, სწორედ ამ პროცესის მეშვეობით ხდება ცვლილებების ჰარმონიზაცია ტრადიციის უცვლელ ნაწილებთან მიმართებაში (Hobsbawm. 1983. გვ: 4).

ტრადიციის გამოგონება განსაკუთრებით ხშირია საზოგადოების სწრაფი ტრანსფორმაციის პროცესში. ეს თანაბრად შეიძლება იყოს დამახასიათებელი როგორც ტრადიციული, ასევე მოდერნული საზოგადოებებისთვის. როგორც წესი, სახელმწიფო და ეკლესია ტრადიციის გამოგონების პროცესში თანამშრომლობს, რათა მოახდინონ რელიგიური და პატრიოტული ელემენტების შერწყმა, რაც ეროვნული იდენტობის კიდევ ერთხელ ხაზგასმის კარგი საშუალებაა (Hobsbawm. 1983. გვ: 6-7). შესაძლოა ვთქვათ, რომ საქართველო ტრადიციის გამოგონების ამ ასპექტის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

ტრადიციის გამოგონებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი ნორმები, ღირებულებები და გზები შეგნებულად უკუგდებულია, უარყოფილია, ან მაშინ, როდესაც ეს გზები არ არის ადაპტირებული იმ სოციალურ ცვლილებებთან, რომლებიც გარემოში ხდება. ტრადიციის გამოგონების აუცილებლობა არ დგება მაშინ, როდესაც არსებობს ძველი ტრადიციები, მაგრამ ისინი ახდენენ ადაპტირებას ახალ პირობებთან (Hobsbawm. 1983. გვ: 8).

ტრადიციის გამოგონების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის ეროვნულის წარმოდგენა, პერფორმანსი. მაგალითად, დროშა, ჰიმნი და გერბი არის ის სამი

სიმბოლო ეროვნული იდენტობისა, რომელიც ახდენს ერის კულტურის და წარმომავლობის წარმოდგენას. ეს ნიშნავს, რომ ამ სამი სიმბოლოს მეშვეობით ერი ახდენს იმ იდენტობის ხაზგასმას, გამოხატვას, რითიც სურს, რომ იცნობდნენ (Hobsbawm. 1983. გვ:11). მიმაჩნია, რომ გიდების დისკურსები იდენტობის გამომხატველი ერთ-ერთი საშუალებაა. ქართველი გიდები პრეზენტაციის პროცესში წარადგენენ სწორედ იმ ეროვნულ მახასიათებლებს, რაც მათი აზრით ქართულ იდენტობაზე, ქართველობაზე მიუთითებს და რითიც სურთ, რომ იცნობდნენ მათ ქვეყანას საერთაშორისო ასპარზზე.

1.2.3 კულტურული ინტიმურობის თეორიული კონსტრუქტი

ტრადიციის გამოგონება ემყარება კულტურის იმ ასპექტებს, რომელიც საამაყოდ მიიჩნევა, გამოგონებული ტრადიცია უგულებელყოფს კულტურის სამარცხვინო ასპეტებს. კულტურის საამაყო და სამარცხვინო ასპექტებს მაიკლ ჰერფელდი განიხილავს კულტურულ ინტიმურობასთან კავშირში (Herzfeld. 2005. 2nd edition). ეს ასპექტები პირდაპირ ეხება ჩემს საკვლევ თემას - კვლევის პროცესში გიდების მიერ ისტორიის თუ კულტურის მახასიათებლების წარდგენისას, ადგილი აქვს მიჩქმალვის და გაზვიადების პრაქტიკებს, ანუ ის, რაც საამაყოდ მიაჩნიათ, გაზვიადებული და ხაზგასმულია, ხოლო იმაზე, რაც ნაკლებად საამაყოდაა აღქმული, თითქმის არ საუბრობენ. ამის შესახებ დაწვრილებით კვლევის ემპირიულ ნაწილში ვისაუბრებ.

ჰერცფელდის თანახმად, კულტურული ინტიმურობა არის კულტურული იდენტობის იმ ასპექტების აღიარება, რომლებიც წარმოადგენს გარეგანი უხერხულობის წყაროს ერის წარმომადგენლებისთვის, მაგრამ ეს ფაქტი მაინც უზრუნველყოფს ეთნიკური გაერთიანების წევრების რწმენას მათი ერთიან საზოგადოებად არსებობის შესახებ (Herzfeld. 2005. 2nd edition. გვ:3). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰერცფელდმა კულტურული ინტიმურობა განმარტა, როგორც კულტურის იმ ასპექტების აღიარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კულტურის წარმომადგენლებში საერთო იდენტობის განცდას და, ამავე დროს, ეს არის კულტურის ის მახასიათებლები, რომლებიც ერთ შემთხვევაში არის პატივისცემის ობიექტი, ხოლო მეორე შემთხვევაში ისინი

განხილულია, როგორც სამარცხვინო. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი მახასითებელი, ტრადიცია, ფენომენი, რომელიც ინდივიდში ერთდროულად იწვევს სიამაყისა და სირცხვილის განცდას.

უხერხულობა და თვითგამორკვევა ის საკვანძო მარკერებია, რომელსაც კულტურული ინტიმურობა შეეხება. ისინი არ არის მხოლოდ ცალკეული პიროვნებების მიერ განცდილი გრძნობები, ისინი აღწერს ინტიმურობის კოლექტიურ რეპრეზენტაციებს (Herzfeld. 2005. 2nd edition. გვ:6). ჩემი კვლევის შემთხვევაში უხერხულობა და თვითგამორკვევა უკავშირდება გიდების დისკურსებს, მაგალითად, ქართული სუფრის ტრადიციის შესახებ. ვიზიტორტთან წარდგენისას ქართულ სუფრაზე საუბრობენ, როგორც ქართული კულტურის უნიკალურ ფენომენზე, ხოლო სიღრმისეულ ინტერვიუებში ამ ტრადიციის ნაკლოვანებებზე საუბრობენ.

მაიკლ ჰერცფელდს კულტურული ინტიმურობის ცნების განხილვისას შემოაქვს კიდევ ერთი ტერმინი - დისემია. დისემია არის ფორმალური ან კოდირებული დაძაბულობა/უხერხულობა ოფიციალურ თვითპრეზენტაციას და კოლექტივის კონფიდენციალურ თვითრეფლექსიას შორის (Herzfeld. 2005. 2nd edition. გვ: 14). ამრიგად, ჰერცფელდი ერთმანეთისგან განასხვავებს ოფიციალურ თვითრეფლექსიას/ეროვნულ პერფორმანსს და არაოფიციალურ თვითრეფლექსიას. იგულისხმება, რომ ოფიციალური თვითპრეზენტაციის დროს ინდივიდი ყოველთვის ცდილობს, ეროვნული ტრადიციები, თვისებები საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინოს და დამალოს ის, რაც მასში უხერხულობის და სირცხვილის გრძნობას იწვევს. სიღრმისეული ინტერვიუების პროცესში თავად გიდები აღნიშნავენ, რომ ქართული ტრადიციების წარდგენისას ცდილობენ ისინი დადებითი კუთხით წარმოაჩინონ და დამალონ იმავე ტრადიციის ნაკლოვანი მხარეები.

1.2.4 წარსულთან კავშირის შენარჩუნების გზები

დადებითი შთაბეჭდილების მოხდენას და მის გაძლიერებას ქართველი გიდები სხვადასხვა ხერხით ცდილობენ. ეს ხერხები ამავდროულად ემსახურება აწმყოსა და წარსულს შორის „ხიდის გადების“ და კავშირის გაბმის მცდელობას, მნიშვნელოვანია,

რომ კავშირი მყარ და ხელშესახებ რეალობაზე იყოს დაფუძნებული (Zerubavel. 2004), რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, წარსული თანამედროვე იდენტობის განუყოფელ ნაწილად და საფუძვლად მიიჩნევა. ზერუბაველის მიერ გამოყოფილი აწმყოს და წარსულის დაკავშირების ხერხებიდან ვისაუბრებ მხოლოდ იმათზე, რომლებიც ჩემს საკვლევ საკითხთანაა კავშირში:

- **„იგივე“ ადგილი.** ადგილის უცვლელობა მნიშვნელოვანი საფუძველია იგივეობის განცდის შესაქმნელად. სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებების პირობებში, ჩვენი ფიზიკური გარემო შედარებით უცვლელი რჩება. ეს ხელს უწყობს იმ ილუზიის შექმნას, რომ, ძირითადად, არაფერი შეცვლილა. ადგილის „შენახვა“ ხდება, მაგალითად, ისტორიულ შენობებში. ადგილის უცვლელობის შეგრძნება საშუალებას გვაძლევს, ვირტუალურად „დავინახოთ“ ხალხი, რომელიც ოდესღაც აქ ცხოვრობდა. საკუთარ წარსულთან კავშირის გამყარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა დანიშნულების ისტორიული ძეგლები და ნანგრევები (Zerubavel. 2004. გვ:40). ქართველი გიდები ადგილის იგივეობის ხაზგასმის და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, პრეზენტაციისას იყენებენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „სწორედ აქ, ამ ადგილას...“, „იქ, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ...“ და ა.შ.
- **„იგივე“ დრო.** ისტორიული ფაქტების „გაცოცხლება“, წარსულთან პერიოდული „შერწყმა“ ხდება დღესასწაულების დროს. ეს კალენდრის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, იგი გვეხმარება საერთო წარსულისკენ მიბრუნებაში. დღესასწაულებთან ისტორიული მოვლენების სინქრონიზაციის გზით ჩვენ ვცდილობთ „ახლა“-სა და „მაშინ“-ს შორის სიმბოლური კავშირის გაბმას (Zerubavel. 2004. გვ:46). ამის კონკრეტულ მაგალითს უშუალოდ კვლევის პროცესში შევესწარი, 12 მაისს საქართველოში აღინიშნება ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, გიდები უცხოელ სტუმრებს მცხეთაში ხალხმრავლობის მიზეზს განუმარტავდნენ, უყვებოდნენ ამ ისტორიას და აღნიშნავდნენ, რომ პირველ საუკუნეში ქრისტეს მოწაფემ ანდრია პირველწოდებულმა, აქ

იქადაგა ქრისტიანობა, რამაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძველი შექმნა. გიდების თქმით, ქართველებისთვის ღირებულია ის ფაქტი, რომ ქრისტეს უშუალო მოწაფემ მათ ქრისტიანობა უქადაგა და ქართველები ამას ყოველ წელს სიხარულით აღნიშნავენ.

- **ისტორიული ანალოგია.** წარსულს ვხედავთ, როგორც აწმყოს მსგავს რეალობას. მათ ერთმანეთთან ანალოგიებით ვაკავშირებთ. ერთმანეთს ვადარებთ, მაგალითად, დიდ კატაკლიზმებს, ტრაგედიებს თუ რეფორმებს. ამ კუთხით მეხსიერების მობილიზაცია მიზნად ისახავს წარსულის შეცდომათა გამეორების თავიდან აცილებას (Zerubavel. 2004. გვ: 48). ჩართულმა დაკვირვებამ აჩვენა შემდეგი რამ: საეკლესიო ნაგებობების წარდგენისას, ქართველი გიდები ახდენენ იმის ხაზგასმას, რომ საქართველოს ოდითგანვე ერთდროულად რამდენიმე მტერთან უხდებოდა ბრძოლა და ასე გრძელდება დღემდე, ეს მიზნად ისახავს მსხვერპლის როლის მორგებას, რაც თავის მხრივ ასევე შთაბეჭდილების გაძლიერებას უწყობს ხელს.
- **ისტორია და პრეისტორია.** „ახალი ერის დასაწყისი“ ხშირად გულისხმობს წინამორბედ პერიოდთან კავშირის სრულ გაწყვეტას იმისათვის, რომ არსებობდეს ისტორიული წყვეტილობის შეგრძნება, აუცილებელია მენტალური „ხიდების“ მოსპობა. ეს არის გარკვეული ერთობის „ისტორიული ქრონომეტრის“ ნულზე დაყენება, ისტორიის ნულიდან დაწყება. ისტორიული დასაწყისის გაგება ამნეზიასაც გულისხმობს - შეგნებულად ხდება რაღაც ფაქტების დავიწყება, ან მათი მნიშვნელობის დაკნინება (Zerubavel. 2004. გვ: 49-50). ჩემი კვლევის ფარგლებში ამის მაგალითს წარმოადგენს წარმართობის პერიოდის უგულებელყოფა, ის, რაც უკავშირდება ქრისტიანობამდელ ეპოქას მხოლოდ მუზეუმის გიდების დისკურსებშია გამოხატული, რადგან გვერდს ვერ აუვლიან არქეოლოგიური ნიმუშების შექმნის თარიღიდან გამომდინარე, თუმცა კონკრეტულ ისტორიულ ობიექტებზე მომუშავე და თავისუფალი გიდების

მიერ არსადაა ნახსენები ის, რაც ქრისტიანობამდელ პერიოდს, წარმართობის ხანას უკავშირდება.

- **საწყისებთან. სიძველე.** წარმოშობა, დასაბამი (founding moment) იდენტობის ერთ-ერთი საფუძველია. ის, თუ სად ახდენენ ერთობები საკუთარი წარმოშობის ლოკალიზებას, მიუთითებს მათ თვითაღქმაზე. ისტორიული სიძველე, ისტორიული ფესვების რაც შეიძლება შორეულ წარსულში გადატანა ხელს უწყობს ჩვენი იდენტობის ლეგიტიმურობის გამყარებას. რაც უფრო ვუღრმავდებით წარსულს, მით უფრო მეტი „წინაპრის“ არჩევის საშუალება გვეძლევა (Zerubavel. 2004. გვ: 52). ხშირად სიძველე უპირატესობის მნიშვნელობით იხმარება, გამონაკლისს არც ქართველი გიდების დისკურსები წაროადგენს. ისინი უცხოელ სტუმრებთან პრეზენტაციის პროცესში სიამაყით აღნიშნავენ ქართველი ერის უძველესი წარმომავლობის შესახებ. დისკურსებიდან ჩანს, რომ ამას ერის უპირატესობად მიიჩნევენ და წინ დგანან იმათზე, ვისაც ხანგრძლივი საერთო/გაზიარებული ისტორია არ გააჩნიათ.

თეორიული ნაწილის შეჯამების მიზნით ვიტყვი, რომ ემპირიული მონაცემების ახსნაში დამეხმარა როგორც ტრადიციის გამოგონების და კულტურული ინტიმურობის თეორიული კონსტრუქტები, ასევე ის თეორიული მასალები, რომლებიც ეხება წარსულის წარგენას და წარსულთან კავშირის შენარჩუნების ხერხებს. ვრცლად ამ თეორიებთან შესაბამისობაში მყოფ კონკრეტულ მაგალითებზე ვისაუბრებ ნაშრომის ემპირიულ ნაწილში.

თავი 2. ემპირიული ნაწილი

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნე, ჩემი კვლევის ინტერესს გიდების მიერ ქართველობის პერფორმანსი, ანუ უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოს პრეზენტაციის თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2017 წლის აპრილსა და მაისში. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონაცემების საფუძვლიანად შესასწავლად გამოვიყენე სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები შემდეგი თანმიმდევრობით: ჩართული დაკვირვება და სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის პირველ ეტაპზე განვახორციელე ჩართული დაკვირვება, რამაც შესაძლებლობა მომცა გამომევლინა კვლევისთვის საინტერესო ცალკეული დისკურსები. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება კი დამეხმარა თვითონ გიდებისგან მიმეღო პასუხი, რა მიაჩნით კონკრეტული დისკურსის მიზნად და რა დატვირთვას სძენენ პრეზენტაციის კონკრეტულ ეპიზოდებს.

ჩართული დაკვირვება განვახორციელე გიდებთან შემდეგ ლოკაციებზე: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სვეტიცხოველი და გელათი. შემდეგ კი ამავე გიდებთან ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები. თითოეულ ტურისტულ ობიექტზე სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე 3 გიდთან და დავაკვირდი თითოეული მათგანის მიერ გაკეთებულ ინგლისურ, რუსულ და ქართულენოვან პრეზენტაციებს. ამასთანავე, ჩართული დაკვირვება და სიღრმისეული ინტერვიუ განვახორციელე თბილისში, ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს 2 გიდთან, რომლებიც არ არიან მიმაგრებული რომელიმე კონკრეტულ ტურისტულ ლოკაციაზე. ძირითადად, ისინი მომსახურებას უწევენ უცხოელ სტუმრებს, ატარებენ ტურებს თბილისში და მის გარეთ არსებულ ტურისტულ ობიექტებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მართალია, ჩემი კვლევის თავდაპირველ მიზანს ტურიზმის სფეროში არსებული ვითარების ასახვა არ წარმოადგენს, თუმცა კვლევისას გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომლებიც, ვფიქრობ, აღნიშვნას იმსახურებს, რადგან პირდაპირ ახდენს გავლენას ჩვენი ქვეყნის პრეზენტაციის თავისებურებებზე.

სიღრმისეული ინტერვიუების პროცესში გიდები აქტიურად საუბრობენ მათი პროფესიის რეგულირებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე. რესპონდენტების თქმით, ამ სფეროში არ არსებობს რეგულაციები და სტანდარტები, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც რომელიმე უცხო ენაზე შეუძლია საუბარი, თვლის, რომ აქვს შესაძლებლობა გახდეს გიდი, ყოველგვარი პროფესიული პრაქტიკის, კვალიფიკაციის და სერთიფიკატის გარეშე. გიდები ამბობენ, რომ მათმა კოლეგებმა, ხშირ შემთხვევებში, უცხო ენაც კი არ იციან საფუძვლიანად. ამის მაგალითს მეც შევესწარი სვეტიცხოველში, როდესაც ჩართული დაკვირვების დროს, გიდი, რომელიც ინგლისურენოვან სტუმრებს ინგლისურად უხსნიდა სვეტიცხოვლის ისტორიას, ენის არცოდნის გამო ცდილობდა რუსულად გაერკვია, იყო თუ არა ერთ-ერთი ტურისტი იმ ჯგუფის წევრი, რომელსაც გიდობას უწევდა. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ მას საპრეზენტაციო ტექსტი დაზეპირებული ჰქონდა და ასე ცდილობდა ვიზიტორებისთვის მომსახურების გაწევას.

როგორც რესპონდენტებმა აღნიშნებს, არ არსებობს კონკრეტული კანონმდებლობა და ტურისტული ბაზარი ამ მიმართულებით დაურეგულირებელია. გიდების თქმით, მათი კოლეგების გარკვეულ ნაწილს არ აქვს შესაფერისი ფაქტობრივი ცოდნაც კი, რომ არაფერი ვთქვათ საჭირო უნარებზე:

„ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ ეუბნებოდა გიდი უცხოელი სტუმრების ჯგუფს ქართლის დედაზე, ეს თამარ მეფის ძეგლიაო. რასაც უნდათ, იმას ეუბნებიან ტურისტებს და შედეგად რას ვიღებთ, ტურისტს, რომელმაც ვერაფერი შეიტყო საქართველოს დიდებული ისტორიის შესახებ, ან რაც გაიგონა, ისიც არასწორად“ (ლ.ს. 62 წლის, გიდი).

„როგორი უნიკალური დამწერლობა გვაქვს და ერთი ტურისტი მეუბნება, საქართველოში მითხრეს, რომ ქართული ანბანი სომეხმა ისტორიკოსმა მესროპ მაშტოცმა შექმნაო. გეკითხებით, რატომ უნდა უთხრას ეს ქართველმა გიდმა ტურისტს?! “ (მ.ხ. 56 წლის, გიდი).

ის რესპონდენტები, რომლებიც ამ საკითხების შესახებ საუბრობენ, აღნიშნავენ რომ მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია, ამის მიზეზად კი არასაკმარის ცოდნას და მხოლოდ შემოსავლის მიღების სურვილს ასახელებენ. მათივე თქმით, ამგვარი

შემთხვევები აკნინებს საქართველოს კულტურასა და ისტორიას, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე.

რესპონდენტებთან ამ საუბრის შემდეგ დავინტერესდი, თუ არსებობს გიდის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული დაწესებულებები, ან სად ხდება გიდის პროფესიის დაუფლება. როგორც აღმოჩნდა, გიდის პროფესიის შესწავლა საქართველოს რამდენიმე პროფესიულ სასწავლებელშია შესაძლებელი. სხვა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული ტურიზმის ფაკულტეტზე და მიმართულებებზე, გიდის პროფესიის სპეციფიკის და თავისებურებების სწავლება არ ხდება. რაც შეეხება ტურიზმის ეროვნული სააგენტოს აქტივობებს ამ მიმართულებით, ისინი მხოლოდ დროის მოკლე პერიოდზე გათვლილ პროგრამებზე არიან ორიენტირებულები (მაგალითად, მობილური გიდის პროგრამა). უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში არსებობდა გიდების გადამზადების პროგრამა, თუმცა მის ეფექტურობასა და შედეგიანობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

მნიშვნელოვანია საქართველოს გიდების ასოციაციის როლი ამ სფეროში. იგი 2010 წელს დაარსდა და თანამშრომლობს სერთიფიცირებულ გიდებთან, რომლებიც მუშაობენ მთელი საქართველოს მასშტაბით. ასოციაციის დამფუძნებლების თქმით, რომელთაც ჩემი კვლევის ფარგლებში ვესაუბრე, ორგანიზაცია უზრუნველყოფს გიდების პროფესიულ განვითარებას, ინფორმაციის გაცვლას და ტრენინგის გზით ცოდნის ამაღლებას. ასოციაციის წევრებს საშუალება აქვთ, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ტურისტულ ინდუსტრიასთან. ასოციაცია თანამშრომლობს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან, რითიც, მათი თქმით, აძლიერებენ და წინ სწევენ ტურისტული გიდის პროფესიას ქვეყანაში. როგორც ასოციაციაში აღნიშნავენ, ისინი მუდმივად ზრუნავენ მათი წევრი გიდების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სერთიფიცირებაზე და მუდმივად ახორციელებენ გარკვეულ აქტივობებს ამ მიმართულებით. თუმცა, ასეთი კვალიფიციური გიდების რაოდენობა ტურისტულ ბაზარზე ძალიან მცირე და არასაკმარისია.

2.1 ჩართული დაკვირვება - გიდების პრეზენტაციის თავისებურებები

მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: ვინაიდან კვლევის ჩატარება მომიწია ტურისტული სეზონის განსაკუთრებულად დატვირთულ მონაკვეთში, გიდები ცდილობდნენ, შედარებით დროულად დაემთავრებინათ ექსკურსია თითოეულ ჯგუფთან, რათა მომსახურებოდნენ დამთვალიერებლების და ტურისტების შემდეგ ნაკადს. შესაბამისად, როგორც შემდეგ თავად აღნიშნეს ინტერვიუებში, მათი თხრობა არ იყო იმდენად ვრცელი და სიღრმისეული, როგორც ჩვეულებრივ. ეს არ ეხება იმ გიდებს, რომლებიც ტურისტულ ორგანიზაციაში მუშაობენ, ვინაიდან მათი მომსახურებით სარგებლობა ჯგუფს შეუძლია სასურველი დღიური ხანგრძლივობით, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, დროის სიმცირესთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს.

საწყის ეტაპზე, დაკვირვების მეთოდი დამეხმარა იმ მნიშვნელოვანი და ჩემი კვლევისთვის საინტერესო საკითხების განსაზღვრაში, რომლებზეც სიღრმისეული ინტერვიუების პროცესში განსაკუთრებით გავამახვილე ყურადღება. ჩართული დაკვირვების პროცესში აღმოჩნდა, რომ გიდები სხვადასხვა ობიექტზე, ქართველობის პერფორმანსს სხვადასხვა კუთხით ახორციელებენ:

მუზეუმში მომუშავე გიდების შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია ანტიკური ხანის პერიოდზე, კერძოდ, გიდები თანამედროვე საქართველოს წარმოაჩენენ, როგორც ანტიკურ ხანაში ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მემკვიდრეს. ამასთანავე, უცხოელ და ქართველ სტუმრებთან პრეზენტაციის პროცესშიც გიდები აქტიურად ახდენენ წინარე ქართული და ბერძნული კულტურის ერთმანეთთან შედარებას, რაზეც დაწვრილებით სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზშიც ვისაუბრებ. ასევე შესამჩნევია, მითების ინტერპრეტაციის მცდელობები და მასზე დაყრდნობით მსჯელობათა მთელი ხაზის განვითარება. გამოფენილი ექსპონატების სინატიფეზე და შექმნის მაღალ ტექნიკაზე ხშირია მითითება უცხოელი დამთვალიერებლებისთვის, რასაც ვერ ვიტყვი ქართველების შემთხვევაში. თითქოს, გიდები გამოფენილი ექსპონატების სილამაზის აღქმას მათ „ქართველობას“ მიანდობენ.

იმ გიდების დისკურსები, რომლებიც მუშაობენ გელათის და სვეტიცხოვლის საეკლესიო კულტურულ ძეგლებზე, მოკლეა, ზედაპირული და ძირითადად

ორიენტირებულია შთაბეჭდიელბის მოხდენაზე, ვიქტიმიზაციის, ანუ მუდმივი მსხვერპლის როლის მორგების გზით. ქვეყნის წარდგენა ხდება რელიგიური კუთხით, ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქმე გვაქვს საეკლესიო კულტურულ ძეგლთან, თუმცა, შთაბეჭდილების მოხდენა, ასე ვთქვათ, სარწმუნოებრივი უცვლელობის იდეას და დამპყრობელთა მიერ ძეგლის დარბევის და შემდეგ კვლავ აღდგენის რიცხვის სიდიდეს ემყარება. პრეზენტაციის ეს სტრატეგია, ანუ მსხვერპლის როლში წარდგენა, როგორც თეორიულ ნაწილში აღვნიშნავდი, კულტურული ნაციონალიზმისთვისაა დამახასიათებელი.

ორივე ტურისტულ ობიექტზე, გელათსა და სვეტიცხოველში - გიდები ხშირად საუბრობენ სასწაულების და ზეპირი გადმოცემების შესახებ, რომელთა მიზანს ძეგლის მნიშვნელოვნების დასაბუთება წარმოადგენს. ერთ-ერთი პრეზენტაციისას მცხეთაში ითქვა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ასევე, შესამჩნევია ის ფაქტი, რომ მცხეთასაც და გელათსაც იქ მყოფი გიდები „მეორე იერუსალიმად“ მოიხსენიებენ. როგორც სიღრმისეული ინტერვიუს პროცესში აღნიშნავენ, ამით ხაზგასმას ახდენენ ქვეყნის მნიშვნელოვან სარწმუნოებრივ როლზე და სიწმინდეზე.

დაკვირვების პროცესმა ცხადყო, რომ განსხვავებული შინაარსისაა იმ გიდების დისკურსები, რომლებიც ტურისტულ სააგენტოებში მუშაობენ და ემსახურებიან მსურველ ვიზიტორთა ჯგუფებს. ისინი, მართალია, საუბრობენ უკვე ნახსენებ ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა ქართული კულტურის სიძველე, ანტიკური წარსული და მართლმადიდებლური სარწმუნოება, თუმცა არასიღრმისეულად. გიდები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ქართული კულტურის ტრადიციულ ბუნებაზე, საუბრობენ ისეთ ფენომენებზე, როგორიცაა ქართული სუფრა, თამადის ინსტიტუტი, ქალის პატივისცემა. გიდებს შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მოყავთ ამ ტრადიციების გარშემო არსებული ზეპირსიტყვიერი გადმოცემები და თქმულებები.

ის რაც თითოეულ ლოკაციაზე მომუშავე გიდებს აერთიანებთ არის შემდეგი: წარსულს ისინი თანამედროვე ქართული იდენტობის განუყოფელ ნაწილად განიხილავენ და ცდილობენ წარსულთან კავშირის შენარჩუნებას თეორიულ ნაწილში აღწერილი სხვადასხვა საშუალებით. ქართველი გიდების პრეზენტაციის აქცენტებზე

დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ახდენენ სიძველეზე, საწყისებზე ხაზგასმას და წარსულის რომანტიზებას, რაც, როგორც ცნებების განმარტებისას აღვნიშნე, ასევე კულტურულ ნაციონალიზმს ახასიათებს. გიდები თხრობის პროცესში, გარდა იმისა, რომ ახდენენ უკვე მომხდარი ფაქტის კონსტატაციას, მასზე გარკვეულ კვალსაც ასახავენ ქვეყნის სასურველი კუთხის წარმოჩენის მიზნით, ეს კი კულტურის საამაყო ასპექტებთანაა კავშირში. ამასთანავე, აღსანიშნავია სხვა მსგავსებებიც, კერძოდ, გიდების მცდელობა, ვიზიტორების აღფრთოვანება და გაკვირვება გამოიწვიონ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნებისმიერ ლოკაციაზე მომუშავე გიდებისთვის კარგი პრეზენტაციის საზომი, სტუმრების სახეზე ასახული გაკვირვების ხარისხია. მათთვის ეს ქვეყნით აღფრთოვანებასა და მოწონებასთან იგივდება, რაც სიღრმისეულ ინტერვიუებშიც ვლინდება.

2.2 გიდების დისკურსი-ქართველობის განსხვავებული პერფორმანსი

კვლევის მიზნის განსახორციელებლად დასახულ პირველ ამოცანას წარმოადგენს იმის შესწავლა რა კუთხით ცდილობენ ქართველი გიდები ქვეყნისთვის სასურველი იმიჯის შექმნას. როგორც უკვე აღვნიშნე, სიღრმისეული ინტერვიუების და ჩართული დაკვირვების პროცესშიც გამოვლინდა განსხვავება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის, კონკრეტულ ტურისტულ ობიექტზე (გელათი, სვეტიცხოველი) მყოფი გიდების და ტურისტული სააგენტოების გიდების დისკურსებს შორის. ისინი სხვადასხვა კუთხით ცდილობენ ქვეყნის წარდგენას და იყენებენ წარსულის წარდგენის და მასთან კავშირის შენარჩუნების განსხვავებულ ხერხებს. ჩემი მოსაზრების გასამყარებლად, მოვიყვან არგუმენტებს გიდებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან:

„მე განსაკუთრებით ოქროს ფონდში მიყვარს მუშაობა. ჩემი აზრით, აქ ყველაზე უკეთ არის შესაძლებელი, დაანახვო სტუმარს შენი კულტურის დიდებულება, არ ვაჭარბებ, მხოლოდ იმითაც შეგვიძლია ვიამაყოთ, რაც ამ დარბაზშია გამოფენილი. გასაოცარი ნიმუშები, რომელიც მსოფლიოში ყველაზე განვითარებულად აღიარებული ბერძნული ცივილიზაციის პარალელურად ვითარდება, ანუ ჩვენი კულტურა არა თუ ჩამოუვარდება ბერძნულს, პირიქით, იქნებ აღემატებოდეს კიდეც “ (მ.ხ., 56 წლის, გიდი).

ამ შემთხვევაში, მუზეუმის გიდის საუბრიდან ჩანს, რომ ის მუზეუმის დამთვალიერებელზე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად იყენებს ისეთ დაწინაურებულ ცივილიზაციასთან, როგორიცაა ბერძნული, წინარექართულის შედარების ხერხს, რაც, მისი აზრით, ეფექტურია და მიზნის განხორციელებაში ეხმარება. მიზანს კი ვიზიტორისთვის ქართული კულტურის დიდებულების დამტკიცება წარმოადგენს.

„როდესაც ოქროს ფონდში ვატარებ ექსკურსიას, ყოველთვის ვახსენებ და, თუ არ იციან, ვუყვები მითს მედეას, არგონავტების და ოქროს საწმისის შესახებ. ვეუბნები, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ვფლობდით განსაკუთრებულ სიბრძნეს, ოქროს მოპოვების ხელოვნებას და რომ ბერძნებმა ამის მოსაპარად მოაწყვეს ექსპედიცია, იმ

ბერძნებმა, რომელთა ცივილიზაციაც რა სიმაღლეზე იყო, კარგად ვიცით. ანუ, ჩვენთვის ცდილობდნენ მოეპარათ ის, რაც თვითონ არ ქონდათ და არ იცოდნენ. რა გამოდის, ჩვენ მათზე მაღლა ვდგავართ გარკვეულწილად, ხო?“ (ი.ჰ., 51 წლის, გიდი).

იგივე შემიძლია ვთქვა აღნიშნულ შემთხვევაშიც. აქაც საუბარია არამხოლოდ მსგავსებაზე ბერძნულ კულტურასთან, არამედ ვარაუდია გამოთქმული, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, განვითარების და ცოდნის დონის გარკვეული ასპექტებით აღემატებოდნენ ძველ ბერძნებს. ამ დასკვნას მითის ინერპრეტაციის და დაშვების საფუძველზე აკეთებენ. მიზანი ამ შემთხვევაშიც იგივეა - დამთვალიერებელს წარსულზე დაყრდნობით, აწმყოში შეექმნას დადებითი წარმოდგენა საქართველოზე. გიდები ცდილობენ წარსულთან უწყვეტობიის შენარჩუნებას, რაც როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ნაციონალური ნარატივის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ამასთანავე, წარსულზე დაყრდნობით გიდები ცდილობენ თანამედროვე ქართული იდენტობის შექმნას და მის წარდგენას.

„ოქროს ფონდი ჩემთვის ყველაფერია. როდესაც სტუმრები შემყავს დარბაზში, საუბარს ვიწყებ ასე: თქვენ იმყოფებით საქართველოში. როგორც თქვენ უკვე იცით, ჩემი ქვეყანა ძალიან ძველი ქვეყანაა და ჩვენ გვაქვს სახელმწიფოებრიობის 3000-წლიანი ისტორია. შემდეგ ვეუბნები, რომ ეს მუზეუმი პირველია მთელს კავკასიაში, ეს უნდა უთხრა სტუმარს, ხომ უნდა გუჩნდეს პატივისცემის გრძნობა” (ლ.ს., 62 წლის, გიდი).

ამ შემთხვევაში ვიზიტორზე შთაბეჭდილების მოხდენის მცდელობა ემყარება ქვეყნის და ხალხის უძველესი წარმომავლობის იდეას, თუმცა ეს არგუმენტირებულად დასაბუთებული არ გახლავთ. სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივობაზე ხაზგასმით გიდი ასევე ცდილობს დადებითი წარმოდგენის შექმნას და ეს სიამაყის წყაროდ აღიქმება მისთვის. ზერუბაველის მიერ წარსულთან კავშირის შენარჩუნების ხერხებიდან გიდი ამ შემთხვევაში იყენებს სიძველეზე, საწყისებზე ხაზგასმის ხერხს.

„ვცდილობ ხოლმე, რომ ქართული მონეტები აუცილებლად ვაჩვენო ტურისტებს, უძველესი, ანტიკური ხანის კოლხური მონეტები, ეს ხომ საოცრებაა. ჯერ კიდევ როდის, ძვ.წ VI საუკუნეში ჩვენი წინაპრები ჭრიან ფულს და მერე როგორ ფულს, ტოლს რომ არ უდებს იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეყნების ნუმიზმატიკურ

ძეგლებს. ჩვენ ამ ხალხის მემკვიდრეები ვართ, ამ გენის მატარებლები, განვითარებული, დაწინაურებული ხალხის გენის, ეს ხომ უნდა გავაგებინოთ ყველას“ (მ.ხ., 56 წლის, გიდი).

ეს დისკურსი აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილს, ანუ ერთდროულადაა წარმოჩენილი როგორც უძველესი წარმომავლობა, ასევე სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და განვითარებული ხალხის მემკვიდრეობის იდეა.

მაშასადამე, მუზეუმის გიდებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ისინი დამთვალიერებლებს ჩვენს ქვეყანას წარუდგენენ როგორც უძველესი და განვითარებული ცივილიზაციების მემკვიდრეს, როგორც პოლიტიკურად, ასევე კულტურულად. ეს განვითარება კი, მათი აზრით, დასტურდება მუზეუმში გამოფენილი ოქროს და ვერცხლის ნაკეთობებით, მონეტებით. მუზეუმის გიდებს ამ კუთხით ქვეყნის წარდგენა მიაჩნიათ სასურველად და პატივსაცემად. ამასთანავე, ჩანს, რომ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ისინი იმოწმებენ ანტიკურ მითებს, წყაროებს და სწორებას ახდენენ ისეთ განვითარებულ ცივილიზაციაზე, როგორებიცაა ბერძნული.

იმ გიდებს, რომლებიც სამუზეუმო სივრცეში არ იმყოფებიან და დამოუკიდებლად მუშაობენ კონკრეტულ ტურისტულ ობიექტებზე, სვეტიცხოველსა და გელათის ტაძარში, ქვეყისთვის იმიჯის შექმნის განსხვავებული ხერხები გააჩნიათ და ქვეყანას სხვა კუთხით წარადგენენ. ამ შემთხვევებში შესამჩნევია, რომ საქართველოს პრეზენტაცია ხდება უძველესი ქრისტიანი ქვეყნის იმიჯით. გიდები დამთვალიერებლების ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ისინი იმყოფებიან საქართველოში, რომელიც უძველესი მართლმადიდებლური ქვეყანაა, რომელმაც უამრავი დამპყრობლის, გაჭირვების და შემოსევის მიუხედავად, შემოინახა და არ დათმო მართმადიდებლური სარწმუნოება.

„სანამ დავიწყებ საუბარს სვეტიცხოველზე, ვეუბნები, რომ ეს ქალაქი, მცხეთა, რომელშიც ახლა არიან, „მეორე იერუსალიმად“ არის წოდებული და რატომ?! იმიტომ რომ, ჯერ ერთი, აქ ქრისტეს კვართია და მეორეც, არსებობს უძველესი წყაროები,

რომელიც მცხეთას წმინდა ქალაქად მოიხსენიებს. ეს სტუმრებმა უნდა იცოდნენ, მე ასე მგონია“ (ნ.კ. 57 წლის, გიდი).

„სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი საქართველოს უძველესი ისტორიული და საეკლესიო ნაგებობაა. ყველა, ვინც საქართველოში ჩამოდის, მცხეთის და მით უფრო სვეტიცხოვლის უნახავად არ უნდა წავიდეს, რადგან აქ ყველაზე კარგად ჩანს მართლმადიდებლური საქართველოს სახე“ (ლ.რ. 59 წლის,გიდი).

„ძალიან უკვირთ სტუმრებს, როდესაც ვუყვები, რამდენ მტერს და მომხდურს გაუძლო სვეტიცხოველმა, რამდენჯერ დაარბიეს და მაინც როგორ შემორჩა, როგორი ამაყად დგას, როგორი დიდებულია. ეს იმიტომ, რომ ჩვენ არასდროს გადაგვიხვევია ქრისტეს გზიდან” (მ.ს. 55წლის, გიდი).

სვეტიცხოველში გიდები საქართველოს წარდგენას მართლმადიდებლური ქვეყნის იმიჯით ანიჭებენ პირატესობას. გამოყენებულია მცხეთის იერუსალიმთან შედარების ხერხი, მისი სარწმუნოებრივი მნიშვნელობის სამხილად. მტრის მრავალრიცხოვნების მიუხედავად, მართლმადიდებლობის შენარჩუნების ხაზგასმა იმაზე მიუთითებს, რომ გიდები აქტიურად იყენებენ ამ სტრატეგიას ვიზიტორებზე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. გმირული წარსულის და გაღებული მსხვერპლის წინა პლანზე წამოწევა, როგორც თეორიულ ნაწილშიც აღვნიშნე, ნაციონალურ ნარატივებს ახასიათებს.

„ვეკითხები ხოლმე, თუ შეუმჩნევიათ, რომ ქართველები ყველა ტაძართან ჩავლისას იწერენ პირჯვარს, და ვეკითხები სხვაგან, სხვა ქვეყანაში თუ უნახავთ იგივე, მპასუხობენ, რომ არა. ამაშია საქმე, ეს ერი ვართ ჩვენ, უძველესი, მართლმადიდებელი ქრისტიანი და მორწმუნე, ამდენი ეკლესია-მონასტერი სწორედ ამაზე მიუთითებს. ვეუბნები, რომ ქართველები ყოველ შაბათ-კვირას დავდივართ ეკლესაში და ვლოცულობთ“ (ნ.ზ., 61 წლის, გიდი).

„აქ ხშირად მოდიან ტურისტებიც და ქართველებიც. ქართველები ძირითადად ექსკურსიებზე დადიან. გელათის ტაძრის შესახებ ტურისტებს ვეუბნები, რომ ეს ქართველების უძლიერესი მეფის მიერ არის აშენებული. ვუყვები ლეგენდას დავითის

და თამარის საფლავების შესახებ. ვეუბნები, რომ გელათს წყაროებში „მეორე იერუსალიმად“ მოიხსენიებდნენ, რომ აქ საგანმანათლებლო საქმიანობას ჯერ კიდევ XI საუკუნიდან იწყებენ“ (შ.კ., 44 წელი, გიდი).

„მსოფლიო აღიარებს ჩვენი ტაძრების უნიკალურობას, ჩვენ კიდევ სხვა ქვეყნებში დავეძებთ საოცრებებს“ (თ.ს., 48 წლის, გიდი).

ტურისტულ ობიექტებზე მყოფი გიდების სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვთქვათ: ქართველი გიდების ერთი ნაწილისთვის პრიორიტეტულია იმის აფიშირება, რომ საქართველოს არასდროს „გადაუხვევია ქრისტეს გზიდან“, რომ ყოველთვის ცდილობდა, სარწმუნოების ერთგული დარჩენილიყო და სისხლი დაეღვარა მის გამო. მიუხედავად წინააღმდეგობისა, დღემდე ინარჩუნებენ ქართველები მართლმადიდებლურ მრწამსს, რის ნიშანსაც, გიდების აღნიშვნით, ეკლესია მონასტრების სიმრავლე და ტაძართან ჩავლისას პირჯვრის გადაწერა წარმოადგენს. ცხადია, რომ გიდებს ამ კუთხით თვითპრეზენტაცია მიმზიდველად და სასურველად ეჩვენებათ. ფიქრობენ, რომ ეს ხდის ქვეყანას საინტერესოს, მიმზიდველს, უნიკალურს, განსაკუთრებულს და ამის შესახებ აუცილებლად უნდა იცოდნენ ქვეყანაში ჩამოსულმა ვიზიტორებმა.

იმ გიდებიდან, რომელთანაც მე სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე, ორმა, სხვადასხვა ტურისტულ ობიექტთან, სვეტიცხოველთან და გელათთან მიმართებაში, გამოიყენა იერუსალიმთან შედარების ხერხი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, მიუთითებს იმაზე, როგორ ცდილობენ ქართველი გიდები სიწმინდეზე აპელირებას. ისინი სწორედ ამ იმიჯით ცდილობენ ტურისტებისთვის ქვეყნის წარდგენას.

რაც შეეხება იმ განსხვავებებს, რომლებიც გამოვლინდა ტურისტული სააგენტოების გიდებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების დროს. ამ შემთხვევაში, ქართველი გიდები ცდილობენ, სტუმარს საქართველო წარუდგინონ იმ ქვეყნად, რომელშიც ტრადიციებმა დროს გაუძლო, შემოინახა და დღემდე არსებობს, მაგალითად, თამადის და ქალიშვილობის ინსტიტუტი, ქართველი ქალის პატივისცემის და ქართული სუფრის ტრადიცია. აშკარაა, რადგან ქართველი გიდები ქვეყნის

წარდგენას ამ კუთხით ცდილობენ, მოელიან, რომ მათი მონაყოლი აღფრთოვანებას გამოიწვევს ჩამოსულ სტუმრებში.

„გიდის როლი მე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ქვეყნისთვის. პრაქტიკულად, გიდზეა დამოკიდებული, როგორი ემოციებით, შთაბეჭდილებებით წავა სტუმარი ქვეყნიდან. ჩვენი ბუნებით არიან აღფრთოვანებულები და ამას წარდგენა ალბათ არც სჭირდება, კიდევ ქართველების სტუმართმოყვარეობით. ვცდილობ, ქართული კერძები გავასინჯო, ხინკალი, ხაჭაპური. გიჟდებიან, ისე მოსწონთ“ (ხ.მ., 24 წლის, გიდი).

„მე ჩემს სტუმრებს ყოველთვის ვასინჯებ ღვინოს, გამორიცხულია ვინმე ისე გავუშვა, ღვინო არ გავასინჯო, ქართული სუფრის ტრადიციაზე არ ვესაუბრო. საქართველოში ნამყოფმა ადამიანმა ის თქვას, ქართული ღვინო არ გამისინჯავსო, სირცხვილია. თამადის ტრადიციაზე ვესაუბრები, რომ დავით აღმაშენებელს სიტყვას მარტო ბავშვი და თამადა აწყვეტინებდა, რომ ქართული სუფრა ღმერთის ხსენებით იწყება და მთავრდება. უნდა იცოდეს ამ ინსტიტუტის შესახებ“ (ნ.ლ., 36 წლის, გიდი).

გიდების დისკურსების ამ ნაწილიდან ჩანს, რომ ისინი ტურისტებისთვის ქვეყნის წარდგენას მხოლოდ მართლმადიდებლური კუთხით არ ცდილობენ, მათთვის ტრადიციების, ხელოვნების (ცეკვის), ქართული სამზარეულოს და ღვინის წარდგენაა პრიორიტეტული. მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო ისიც, რომ რელიგიურ ობიექტებზე უფროსი ასაკის გიდები მუშაობენ, ტურისტულ სააგენტოებში კი უფრო ახალგაზრდები, რაც აგრეთვე გავლენას ახდენს მათ დისკურსზე და სხვადასხვა აქცენტებს სვამს სტუმრებისთვის შეთავაზებულ ნარატივებში.

„ქართული ტრადიციების შესახებ ვუყვები ხოლმე, მაგალითად, ქალის პატივისცემაზე. აი, ქართლის დედის ძეგლიც ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ქალს პატივს ვცემთ. კიდევ ცეკვაში როგორ არის ეს პატივისცემა გამოხატული. სად იყვნენ სხვები, როცა ჩვენ XII საუკუნეში მეფედ ქალი გვყავდა“ (ნ.ლ., 36 წლის, გიდი).

„ინდოელებს, მაგალითად, გართობა აინტერესებთ ძირითადად და რომ უკითხავთ, დაშვებულია თუ არა, ვინც მოეწონებათ სადმე დაპატიჟონ და იმეგობრონ, ვეუბნები, რომ არა, საქართველოში ქალიშვილობის ინსტიტუტი არსებობს და გოგონებს

ქორწინებამდე ასეთი ურთიერთობა სხვა მამაკაცებთან არ აქვთ, რომ ეს ტრადიციაა. ძალიან უკვირთ და მოსწონთ კიდეც“ (ხ.მ., 24 წლის, გიდი).

ტურისტული სააგენტოს გიდების ამ დისკურსებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი პრეზენტაციას უკეთებენ ისეთ ეროვნულ თვისებებს და ტრადიციებს, როგორიცაა სტუმარტთმოყვარეობა, ქართული სამზარეულო, ქართული სუფრა თამადის ინსტიტუტზე ხაზგასმით, ღვინო, ქალის პატივისცემის ფენომენი და რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქალიშვილობის ინსტიტუტი.

კვლევის მეორე ამოცანას წარმოადგენს იმის გარკვევა, რამდენად განსხვავდება გიდების დისკურსები ქართველ და უცხოელ დამთვალიერებლებთან კომუნიკაციის პროცესში და რა ძირითადი განსხვავებები შეიმჩნევა მათ შორის. ამ ამოცანის განხორციელებისასაც გამოვლინდა გარკვეული თავისებურებები. მუზეუმის გიდების შემთხვევაში, ნაკლებად შეიმჩნევა დისკურსული სხვაობა ქართველი და უცხოელი დამთვალიერებლების შემთხვევაში. სვეტიცხოვლის, გელათის და თავისუფალი გიდების შემთხვევაში კი ვხვდებით გარკვეულ სხვაობებს, პრეზენტაციის დროს განსხვავებული აქცენტების დასმით.

სანამ დეტალურ განხილვაზე გადავალ, მნიშვნელოვანად მიმაჩნია აღვნიშნო გიდების შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველები ძირითადად არ სარგებლობენ გიდის მომსახურებით. მუზეუმის გიდების თქმით, ქართველები, როგორც წესი, საჭიროდ არ თვლიან გიდის დაქირავებას და დამოუკიდებლად, წარწერების კითხვით ამჯობინებენ მუზეუმში არსებული ნიმუშების გაცნობას, რაც, მათივე თქმით, *„არ იძლევა მთლიანი კონტექსტის გაგების და საქართველოს ისტორიის სიდიადის საფუძვლიანი აღქმის შესაძლებლობას“ (ი.ჰ., 51 წლის, გიდი).* ამასთანავე, შენიშნავენ განსხვავებას ქართველი და არაქართველი ვიზიტორების ინტერესებს შორის.

„არ მინდა ცუდად გამომივდეს, მაგრამ ჩვენების მთავარი კითხვებია: ოქროა? რა ღირს? ცოტა მეუხერხულება კიდეც ამის თქმა, მაგრამ ასეა” (ლ.ს., 62 წლის, გიდი).

„უცხოელები რომ იღლებიან ხოლმე მუზეუმში სიარულით, ისე უყურებენ ნიმუშებს, როგორც დაღლილი დედა უყურებს თავის შვილს და თვალებით ეფერება. ქართველებმა მარტო შეცდომაში გამოგიჭირონ, არ გაცდიან ლაპარაკს, თუ რამე იციან, მაშინვე მოგაჩეჩებენ ცხვირში, აქაოდა ვიციო“ (მ.ხ., 56წლის, გიდი).

რაც შეეხება იმ განსხვავებებს, რომელიც გიდების პრეზენტაციებში არსებობს და რომელსაც მუზეუმის გიდები თავადვე აღნიშნავენ: *„ქართველებთან ექსკურსიის დროს უფრო დეტალურად განვიხილავ ისტორიას, უფრო ძირფესვიანად ვუყვები იმიტომ, რომ იციან მნიშვნელოვანი ეპიზოდები და ამის გამეორებას ხომ აღარ დავუწყებ“ (ი.ჰ., 51 წლის, გიდი).*

მუზეუმში მომუშავე გიდების შემთხვევაში, სიღრმისეული ინტერვიუს და ჩართული დაკვირვების შედეგად არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი დისკურსული განსხვავება. ერთადერთი განსხვავება ისაა, თუ რამდენად დეტალურად ან ზედაპირულად ყვებიან ისტორიას სხვადასხვა ეროვნების დამთვალიერებლებთან. ექსკურსიებს ერთი და იმავე პათეთიკით წარმართავენ, თუმცა, როგორც სიღრმისეული ინტერვიუებიდან მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს, შედეგად სხვადასხვას იღებენ, უცხოელების შემთხვევაში მოწონებას ქართველების შემთხვევაში, როგორც წესი, ნაკლებ ინტერესს და ზოგჯერ ირონიასაც, როგორც ამას სიღრმისეულ ინტერვიუში შემდეგი ნათქვამი მოწმობს: *„მქონდა ასეთი შემთხვევა, ერთ დღეს მყავდა უცხოელების ჯგუფი და ერთ-ერთმა მითხრა, რომ იცოდა მითი არგონავტებზე და ოქროს საწმისზე. თქვა, მჯერა, რომ მასში სიმართლის მარცვალიაო. იმავე დღეს ქართველების ჯგუფს შევახსენე ეს მითი და ერთი მეუბნება, ზღაპრებს ნუ გვიყვებიო. გესმით? ზღაპრებსო (მ.ხ., 56 წლის, გიდი).*

ის ფაქტი, რომ არ შეიმჩნევა განსხვავება მუზეუმში მომუშავე გიდების დისკურსების თავისებურებებში ქართველ და არაქართველ დამთვალიერებლებთან პრეზენტაციის დროს, შემიძლია ავხსნა მუზეუმის არსის თავისებურებით: გიდებს უშუალოდ დარბაზში გამოფენილი ექსპონატების გარშემო უწევთ საუბარი, მათი ექსკურსიების დრო, როგორც წესი, შეზღუდულია, ეპოქის კონტექსტის შექმნა კი ძირითადად გამოფენილი ნიმუშების შექმნის პერიოდს ეფუძნება. მუზეუმის სპეციფიკა

არ ტოვებს ისტორიის მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთანავე მუზეუმის გიდებს სხვა მიზანი აქვთ - არსებული არტეფაქტების წარდგენა. ქართული ტრადიციების განხილვა კი მხოლოდ იმ მასშტაბით ხდება, რაც წარმოდგენილ არტეფაქტებთანა კავშირში.

განსხვავებული ტენდენციები გამოვლინდა გელათის, მცხეთის და ე.წ. თავისუფალი გიდების შემთხვევაში. ამ ლოკაციებზე ვხვდებით მონაყოლის შინაარსს შორის გარკვეულ სხვაობებს, რაც, როგორც გიდების ინტერვიუებიდან ირკვევა, მათი მხრიდან ვიზიტორების უკურეაქციის ხასიათის წინასწარი შეფასებით არის განპირობებული.

გელათის და სვეტიცხოვლის გიდების თქმით, ქართველი დამთვალიერებლები აქაც პასიურობენ და ძირითადად მაშინ ქირაობენ გიდს, როდესაც ექსკურსიაზე არიან, ან ჰყავთ სტუმარი საზღვარგარეთიდან. უფრო ხშირად კი, გიდების თქმით, მათი მომსახურებით სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე ყოფნის პერიოდში.

„მე, მაგალითად, ქართველებს უფრო სიღრმისეულად ველაპარაკები ფაქტებზე, როდის აიგო, ვინ ააგო, ვინ დაარბია, ვინ განაახლა, ქრისტიანები რომ ვართ, ეგ ხომ ისედაც იციან, მაგით ქართველს ვერ გააკვირვებ“ (ლ.რ., 59 წლის, გიდი).

„ქართველს რომ ვუთხრა, გელათი მეორე იერუსალიმია-თქო, მოკვდება სიცილით, ხომ იცით, მაინც თავიანთი რომ არის, არ გონიათ ამხელაზე მნიშვნელოვანი და დიდებული, როგორც უცხოელებს“ (შ.გ., 44 წლის, გიდი).

გიდებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან ნათელი ხდება, რომ ქართველებთან საუბრის პროცესში თავს იკავებენ ისეთი შეფასებებისგან, როგორიცაა გელათის ან მცხეთის „მეორე იერულასლიმად“ მოხსენიება, რაც აუცილებლად მიაჩნიათ უცხოელ დამთვალიერებლებთან საუბრისას, მიზეზად კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი დამთვალიერებლების შესაძლო საპასუხო რეაქციას ასახელებენ. აქვთ მოლოდინი, რომ ქართველების შემთხვევაში ამგვარი ანალოგიით ინტერესს და აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევენ.

იმავე პრაქტიკას აქვს ადგილი ტურისტული სააგენტოების გიდების დისკურსების შემთხვევაში. გიდები აქაც, რადგან საქმე გვაქვს იმავე კულტურული ინტიმურობის მქონე ადამიანებთან, ამჯობინებენ, არ გაამახვილონ ყურადღება გარკვეულ ტრადიციებზე, დეტალებზე, რასაც განსაკუთრებულად აღნიშნავენ უცხოელი სტუმრების შემთხვევაში. ამგვარი შინაარსობრივი სახეცვლილებები, უმეტესად, ისეთ ტრადიციებს ეხება, როგორიცაა სუფრის ტრადიცია, ქალიშვილობის ინსტიტუტით თავის მოწონება, ასევე ნაკლებად ხაზგასმულია ქართველების რწმენის სიძლიერე, რაც შესაძლებელია იმით აიხსნას რომ გიდები ქართველების მხრიდან ნაკლებ მოწონებას მოელიან. ეს მაიკლ ჰერცფელდის მიერ კულტურული ინტიმურობის კონტექსტში გამოყოფილი კულტურის იმ საამაყო და სამარცხვინო ასპექტებთანაა კავშირში, რაზეც თეორიულ ნაწილში ვსაუბრობდი.

„ახლა, ქართული სუფრაო რომ გავიძახით, კარგია, მაგრამ უნორმო სმა რომ გვახასიათებს ამ სუფრაზე, ეს ქართველმა ძალიან კარგად იცის, და თამადის საქციელიც ხანდახან მოსაწონი რომ არაა, არც ეგ ესწავლებათ, ამიტომ ამაზე განსაკუთრებით ყურადღების გამახვილება არ გამოვა“ (ნ.ლ., 26 წლის, გიდი). გიდების სიღრმისეული ინტერვიუებიდან მოყვანილი ეს ციტატა ნიმუშია მაიკლ ჰერცფელდის მიერ კულტურული ინტიმურობის განხილვისას შემოტანილი დისემიის ცნებასთან. უცხოელ სტუმრებთან გიდი ცდილობს ქართული სუფრა დადებითი კუთხით წარმოაჩინოს და დამალოს ის, რაც ერის წევრებს შორის უხერხულობის და სირცხვილის განცდას იწვევს.

„ქართველების შემთხვევაში ქალიშვილობის ინსტიტუტით არ ღირს თავის მოწონება, იციან ამ ტრადიციის წყალობით რამდენი ადამიანი და ოჯახია გაუბედურებული გარშემო“ (ხ.მ., 24 წლის, გიდი). ქართველი გიდის სიღრმისეული ინტერვიუდან მოყვანილი ეს ფრაზა ასევე მაგალითია ჰერცფელდის მიერ გამოყოფილი კულტურული ინტიმურობის ერთ-ერთი საკვანძო მარკერის - უხერხულობის.

ჩემი კვლევის ინტერესს წარმოადგენს ის საკითხიც, თვითონ რამდენად საამაყოდ მიაჩნიათ გიდებს იმ ტრადიციების არსებობა, რომელთა წარდგენასაც ტურისტების წინაშე ახდენენ. ამ საკითხის განხილვაც ასევე მჭიდრო კავშირშია მაიკლ ჰერცფლდის

მიერ კულტურული ინტიმურობის კონტექსტში შემოტანილ დისემიის ცნებასთან და კულტურის საამაყო და სამარცხვინო ასპექტებთან.

როგორც აღმოჩნდა, ქართული ტრადიციების ზოგიერთი მახასითებელი გიდების მხრიდან განსაკუთრებულ მოწონებას არ იმსახურებს და ეს მახასითებლები ძირითადად ემთხვევა იმათ, რომლებიც მიჩქმალულია სტუმრებთან პრეზენტაციის დროსაც. მაგალითად: ქართული სუფრა, ქალიშვილობის ინსტიტუტი. არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ქართველებს ერთად დგომა და ბრძოლა ახასიათებთ: *„იმ უცხოელებს კი ვუთხარი, ერთად დგომით შემოვინახეთ ეს ტაძრები და რწმენა-თქო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რანაირი ერთად დგომაც ვიცით, რამდენიც ჩვენ მოძმის სისხლი დაგვიღვრია...“ (ნ.კ., 57 წლის, გიდი).*

როგორც უკვე აღვნიშნე, გიდებისთვის უხერხულობის განცდას წარმოადგენს თამადის ინსტიტუტი, მათი თქმით, ეს უკვე დრომოჭმული ტრადიციაა და განახლებას საჭიროებს. მათ მოწონებას არ იმსახურებს ასევე ღვინის გადამეტებული მიღება, სადღეგრძელოების დიდი რაოდენობა, რომლის დალევაც, მათივე თქმით, სუფრის წევრების დიდ უმრავლესობას შესაძლოა არც უნდოდეს, მაგრამ თამადის ინსტიტუტის „რეპრესიული“ ბუნების გამო ამის გაკეთება მაინც უწევთ.

არ ეთანხმებიან იმ აზრსაც, რომ საქართველოში ქალის პატივისცემის ტრადიცია არსებობს. *„რომელი ქალის პატივისცემის ტრადიციაზეა საუბარი, რამდენი მოკლული ქალია სახეზე და რამდენი ძალადობის მსხვერპლი გოგო დადის ქუჩაში, მაგრამ ხომ გესმით, ჩამოსული სტუმრისთვის ამისი თქმა სახარბიელო არ არის“ (ხ.მ., 24 წლის, გიდი).*

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიღრმისეული ინტერვიუს პროცესში ერთ-ერთი გიდი ამბობდა, რომ ქართველები განსაკუთრებული მორწმუნეობით გამოირჩევიან, რომ ყოველ შაბათ-კვირას დადიან ეკლესიაში, აბარებენ აღსარებას და ეზიარებიან. მოგვიანებით კი იგივე გიდი ამბობს: *„მე პირადად იშვიათად დავდივარ, კი მწამს ღმერთის და ვიწერ პირჯვარს, მაგრამ ვერ ვიტყვი, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში ვარ და მუხლებს ვიყვლეფავ მეთქი, ვისაც საჭიროდ მიაჩნია, კი დადის“ (ნ.ზ., 61 წლის, გიდი).* ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა საქმე კულტურის ელემენტის

სამარცხვინო ასპექტთან არ გვაქვს, რომელიც უხერხულობის განცდას უკავშირდება, თუმცა რესპონდენტი „აღიარებს“, რომ არ ცხოვრობს აქტიური მორწმუნის ცხოვრებით, რასაც მანამდე მთელ ერს მიაწერდა და საამაყო თვისებად წარადგენდა.

საბოლოოდ აღვნიშნავ, რომ ზემოთქმულის თანახმად, არსებობს ერის წევრების მიერ გამოყოფილი მახასიათებლები, რომლებიც მათ მიმზიდველად ეჩვენებათ საერთაშორისო ასპარეზზე თავის დასამკვიდრებლად (Marat. 2009). ქართველი ერის მიერ გამოყოფილ ამგვარ მახასიათებლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისინი, რომელთაც გიდები წარადგენენ უცხოელ სტუმრებთან პრეზენტაციისას: სტუმართმოყვარეობა, ტრადიციულობა, რელიგიურობა და სხვა.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კვლევის ძირითადი მოლოდინები და საკვლევი ამოცანების შესაბამისი ჰიპოთეზები გამართლდა. დაკვირვების და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი გიდები ახდენენ იმ ეროვნული მახასიათებლების, ტრადიციების და ფაქტების ხაზგასმას, რომლებიც, შესაძლოა გამოგონილიცაა (Hobsbawm. 1983), თუმცა მათი აზრით, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოსთვის დადებითი იმიჯის შექმნას უწყობს ხელს. ამ მიზნის მისაღწევად მუზეუმში მომუშავე გიდები ცდილობენ, საქართველოს უძველესი და მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნის იმიჯი დაუმკვიდრონ, კონკრეტულ ტურისტულ ობიექტებზე (გელათსა და სვეტიცხოველში) მომუშავე გიდებს ეფექტურად და სასურველად საქართველოს უძველესი მართლმადიდებელი ქვეყნის კუთხით წარდგენა მიაჩნიათ, ხოლო ტურისტული სააგენტოების გიდებისთვის ქართული ტრადიციები მნიშვნელობს და მათი დისკურსი ქვეყნისთვის ამ იმიჯის დამკვიდრებას ემსახურება. სამივე მათგანს აერთიანებს სიძველეზე ხაზგასმა, რაც ტრადიციის გამოგონებისთვისაა დამახასიათებელი. ნარატივებში ხაზგასმული ეროვნული ასპექტების სხვადასხვაობა შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მუზეუმს და რელიგიურ თუ კულტურულ ძეგლებს სხვადასხვა სპეციფიკა და დანიშნულება აქვთ, სწორედ ეს განაპირობებს გიდების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხით და მახასიათებლით წარდგენასაც.

გამართლდა ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ იარსებებდა განსხავებები ქართველი და უცხოელი დამთვალიერებლებისთვის ქვეყნის წარდგენის თავისებურებებს შორის. ამ შემთხვევაშიც, არსებულ განსხვავებებს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, მათ შორის კულტურული ობიექტების სპეციფიკაც (მუზეუმი, საეკლესიო ნაგებობა, თავისუფალი ტური). დისკურსულ დონეზე არსებული განსხვავებების მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ გიდების მოლოდინები დამთვალიერებლების საპასუხო რეაქციებთან დაკავშირებით. კონკრეტულ ტურისტულ სააგენტოებში დასაქმებული გიდები ქართველი დამთვალიერებლების შემთხვევაში, ცალკეული ტრადიციების თუ კულტურული მახასიათებლების (სუფრის ტრადიცია, ქალის პატივისცემა) ხაზგასმისგან თავს იკავებენ, მაშინ როდესაც უცხოელ სტუმრებთან, პირიქით, განსაკუთრებულად აღნიშნავენ, რაც დისემიის არსს უკავშირდება, კერძოდ გარკვეულ

კოდირებულ დაძაბულობას, რომელიც არსებობს ერის წევრების ოფიციალურ თვითპრეზენტაციას და კოლექტივის კონფიდენციალურ თვითრეფლექსიას შორის (Herzfeld. 2005. 2nd edition). ამასთან კავშირშია გიდების ოფიციალური დისკურსის და მათი პიროვნული თანხმობის საკითხიც. გარკვეულ ტრადიციებზე გიდები ოფიციალურ დისკურსებში სიამაყით საუბრობენ, თუმცა სიღრმისეულ ინტერვიუებში ამავე ტრადიციის სამარცხვინო ასპექტებს უსვამენ ხაზს და უხერხულობას განიცდიან.

საბოლოოდ, შესაჯამებლად ვიტყვი, რომ კვლევამ ცხადყო გიდების უმნიშვნელოვანესი როლი ქართველობის პერფორმანსის საკითხში. გიდების პრეზენტაციებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, რა ინფორმაცია ექნებათ ვიზიტორებს ქვეყნის ეროვნული მახასითებლების შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

1. Billig M. (1995). *Banal Nationalism*. London: SAGE Publications.

2. ჩიქოვანი, ნ., ჩხაიძე, ი., წერეთელი, ი., მაცაბერიძე, დ., კაკიტელაშვილი, ქ. (2013). *იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918*). თბილისი.

3. Herzfeld M. (2005. 2nd edition). *Cultural Intimacy. Social Poetics in the Nation-State.* New York: Routledge.
4. Hobsbawm E.J. (1992). *Ethnicity and Nationalism in Europe Today*. *Anthropology Today.* Vol. 8, No. 1 (Feb., 1992), pp. 3-8.

5. Hobsbawm E.J., Ranger T. (1983). *The Invention of Tradition*. Univercity Press. Cambridge.
6. Hutchinson J. (2013) *Cultural Nationalism*. The Oxsford Handbook of the History of Nationalism.
7. Marat E. (2009). Nation Branding in Central Asia: A New Campaign to Present Ideas about the State and the Nation. *EUROPE-ASIA STUDIES* . Vol. 61, No. 7.

8. Tilmans K., Winter J., Vree F. V. (2010). *Performing the Past: Memory, History, and Identity in Modern Europe.* Amsterdam University press.

9. თევზაძე გ. (2009). *განჯადოება. ხუთი ესსე თანამედროვე საქართველოს შესახებ. „ქართველი ერის დაბადება“.* თბილისი

10. Weiss R. (1995). *Learning from Strangers: The Art and Method of Qualitative Interview Studies. New York.*

11. Woodward K. (1997). Concepts of Identity and Difference. *Identity and Difference.* London, Sage.

12. Zerubavel E. (2004). *Time Maps, Collective Memory and the Social Shape of the Past.* Chicago&London.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Salome Davitashvili

Performance of Georgianness: Guides' Presentation of Georgia to Foreign Guests

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of Master in Sociology of Culture and Media

Thesis supervisors: Lia Tsuladze,

PhD in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Amiran Berdzenishvili

PhD in Phylosophy, Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლიკა გაბისონია

ევროკავშირი „ევროტურების“ საფუძველზე და პარალელები ქართულ რეალობასთან

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური და
კულტურული კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ამირან ბერძენიშვილი-სრული პროფესორი

ლიკა წულაძე-ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

სარჩევი

ანოტაცია 4
Annotation 5
შესავალი 6
1. თეორიული ნაწილი 12
1.1.საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კონტექსტში (ENP) 17
1.2 საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში 18
1.3. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება 20
1.4.საქართველოს მოსახლეობის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება 21
2.ემპირიული ნაწილი 29
2.1.ტურიზმი (ენოტურიზმი) 35
2.1.1.წარმატებულ ტურისტულ ბიზნესად ქცეული კომუნისტური მემკვიდრეობა 36
2.1.2.ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბუნება ტურიზმის ჭრილში 39
2.1.3.ისტორიული ძეგლების საკითხი ტურიზმის ფარგლებში 42
2.1.4.ევროკავშირის წევრი ქვეყნების ზომის მნიშვნელობის განსაზღვრა ტურიზმის ჭრილში 44
2.1.4.ლიტერატურულ ნაწარმოებზე დაფუძნებული ტურისტული მარშრუტი 46
2.1.5.ენოტურიზმი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 47
2.2. იუნესკოს დაცული ტერიტორიები 53
2.2.1.იუნესკოს მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი 53
2.2.2.ქვეყანაში ახალი შენობების აგება იუნესკოს მოთხოვნების შესაბამისად 57
2.2.3.იუნესკოს მიერ დაცული ბუნებრივი ზონების საკითხი 58
2.3. კულინარია 58
2.4. მებაღეობის საკითხი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 61
2.5.განათლების საკითხი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 64
2.5.1.განათლების სფეროში წარმატებული ქვეყნების მაგალითი 64

2.5.2.განათლების სფეროში პრობლემური ქვეყნების მაგალითი 66
2.6.რელიგია 67
2.6.1.ევროკავშირის დამოკიდებულება წევრი ქვეყნების რელიგიური იდენტობის მიმართ 68
2.6.2.რელიგიის ჭრილში განხილული სექსუალური უმცირესობების თემა 69
2.6.3.ელექტრონული პირადობების თემა რელიგიის ფარგლებში..... 70
2.6.4.ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი რელიგიულ ჭრილში 72
2.7. ეროვნული უმცირესობების საკითხი ,,ევროტურებში“ 75
2.8. სექსუალური უმცირესობების თემა ,,ევროტურებში“ 77
2.9.პარლამენტარების ხედვები და დამოკიდებულებები სოციალური პრობლემების მიმართ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში..... 84
დასკვნა..... 89
გამოყენებული ლიტერატურა: 90

ანოტაცია

საქართველომ კომუნისტური რეჟიმისაგან განთავისუფლების შემდეგ დასავლეთისკენ აიღო კურსი და დაიწყო იმაზე ზრუნვა, რომ ქვეყანა დაახლოვებოდა იმ სტანდარტებს, რომლებიც ევროკავშირის მხრიდან მთავარ მოთხოვნად რჩება იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც აქვთ გაწევრიანების სურვილი. უკვე 1997 წლიდან ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვაზე ზრუნვა. ამ გზაზე მრავალი ეტაპის გავლა მოუწია საქართველოს, 2014 წლისთვის კი საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა და ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას ეკონომიკასა და დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროში.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ევროკავშირთან დაახლოების საკითხი დღესდღეობით ძალიან აქტუალურია და აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობა ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე, გადავწყვიტე, მეკვლია ისეთი თემა, რომელიც ევროკავშირთან იქნებოდა დაკავშირებული. ამისთვის კი გამოვიყენე რუსთავი 2-ის ეთერში გასული გადაცემა P.S. -ის ფარგლებში გასული რეპორტაჟები-„ევროტურები“ . ჩემი მიზანი იყო, მეკვლია როგორ ცდილობდნენ რუსთავი 2-ის ჟურნალისტები ქართველი მაყურებლისთვის ევროპის წარდგენას და რა პარალელებს ავლებენ საქართველოსთან.

ჩემი კვლევისათვის შევარჩიე „ევროტურის“ ის გადაცემები, რომლებიც უფრო ახლოს იქნებოდა ქართველ მაყურებელთან. კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი მეთოდი, ვიზუალური მასალის ანალიზისა და დისკურსის ანალიზის მეშვეობით ჩავატარე კვლევა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გადაცემა „ევროტურის“ ავტორები მიუხხედავად პრობლემური ასპექტების ჩვენებისა, ცდილობენ, რომ ქართველი მაყურებელსთვის ევროპა და ევროკავშირი მიმზიდველად წარმოეჩინათ.

Annotation

The European Union based on “Eurotours” and parallels with Georgian reality

After the liberation of Georgia from the Communist regime, it took the course to the West and began to think about the country's standards that are the main demand for the EU from those countries who have a desire to join. Since 1997 our country has begun to take care to introduce the EU’s relevant standards. On this way, Georgia had to pass many stages, by 2014 Georgia had moved to a new stage of relations with the EU and signed the Association Agreement, which has great importance for Georgia, the Association Agreement provides the gradual introduction of European standards in every field of economics and sectoral politics.

Thus, the issue of the convergence of the European Union is very actual and important in Georgia. Taking into consideration the fact that there is lack of information on the issues of integration with the European Union, I decided to study a topic that would be related with the EU. For this purpose, I used the reportage “Euro Tour” broadcasted within the TV program P.S. My aim was to investigate how the Rustavi 2 journalists were trying to present Europe to the Georgian audience and what parallels were made with Georgia.

For my study, I have selected those reportages of “Euro Tour”, which are closer to Georgian audience. In the research, I have used qualitative method, and via visual material and discourse analysis I have conducted the research.

The results of the research have shown that despite the broadcasting of problematic aspects the authors of TV program “Euro Tour” try to show that the Europe and EU is attractive for Georgian audience.

შესავალი

პრობლემის აქტუალობა: საქართველოს დღის წესრიგში დგას ევროკავშირში გაერთიანება და სახელმწიფოში იმ სტანდარტების დამკვიდრება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ევროკავშირში გაერთიანებულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრება. რადგანაც საქართველო ევროკავშირში გაერთიანების მსურველი ერთ-ერთი ქვეყანაა, დღესდღეობით ის აქტიურად ცდილობს, ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მისაღებად დაამკვიდროს ქვეყანაში ევროპული ღირებულებები და ევროპული სტანდარტების შესაბამისად განავითაროს ეკონომიკური, სოციალური და სხვა სფეროები. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ევროკავშირთან დაახლოება და ზოგადად პროდასავლური კურსის გატარება არ არის მხოლოდ ქვეყნის მთავრობისა და ცალკეული პიროვნებების გადაწყვეტილება, სხვადასხვა დროს ჩატარებული მრავალი გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სურვილი აქვს რაც შეიძლება მალე შეუერთდეს ევროპის ქვეყნების გაერთიანებას. ამას ადასტურებს 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც.

1997 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო იმ სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოება, რომლებიც აუცილებლ მოთხოვნად რჩებოდა ევროკავშირის მხრიდან. 2004 წლის 14 ივნისს მოხდა საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, რაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. 2009 წლიდან კი, 6 ქვეყანა და მათ შორის საქართველოც აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილეა. აღმოსავლეთ პარტნიორობა ოთხ ძირითად სფეროს მოიცავს:

1)დემოკრატია, სტაბილურობა და კარგი მმართველობა;

2)ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

3)ენერგოუსაფრთხოება;

4)ქვეყნების მოსახლეობას შორის ურთიერთობების გაღრმავება.

2014წლის 27 ივნისი კი, საქართველოს ისტორიაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი, რადგან ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების

შეთანხმებას. ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას ეკონომიკასა და დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროში- ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტექნოლოგიების განვითარება, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა. შეთანხმების ხელმოწერით საქართველო იღებს ვალდებულებას, გაამყაროს კანონის უზენაესობა, გააგრძელოს მართმსაჯულების რეფორმა, განამტკიცოს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები. ამ ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა ეტაპობრივად და თანმიმდევრული ნაბიჯებით, აგრეთვე სწორი პოლიტიკით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ის შესაძლებლობები და სარგებელი, რომელთაც ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს, შესაბამისად ყველა ის სიკეთე, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება მოიცავს, ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, სახელმწიფოს მიერ დადგენილ და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, აგრეთე საქართელოს ყველა მოქალაქეს თანაბარი საშუალება ეძლევა, რომ ისარგებლოს შეთანხმებით გახსნილი შესაძლებლობებით. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ. უვიზო რეჟიმის შემოღების მთავარი წინაპირობაა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, თუმცა ამასთან ერთად გაჩნდა სერიოზული პრობლემაც, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს სრულფასოვანი ინფორმაცია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და ზოგადად, ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის დეფიციტსაც განიცდის ქართული საზოგადოება.

როგორც ვიცით, რეკლამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული პროდუქტის პოპულარიზებისთვის. ბევრი რეკლამა არსებობს ევროკავშირის შესახებ, მის მნიშვნელობაზე და ადგილზე, როგორც ევროპის კონტინენტზე აგრეთვე, ზოგადად მსოფლიო არენაზე. შეიძლება ითქვას, რომ გადაცემების ციკლი „ევროტური“ გარკვეულწილად ასრულებს რეკლამის როლსაც ქართული საზოგადოებისთვის, იმ

კუთხით, რომ წარმოაჩენს ევროკავშირის დადებით მხარეებს. გადაცემა მდიდარია ინფორმაციული თვალსაზრისითაც, რადგან ქვეყანისთვის უმნიშვნელოვანესია ევროკაშირში ინტეგრაციის პროცესი და მისი თანმხლები პროცედურები, აუცილებელია მოსახლეობას ქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და რა მოლოდინები შეიძლება ქონდეს საზოგადოებას თავის მხრივ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ რა მდგომარეობაა ევროკავშირის დამფუძნებელ თუ შედარებით ახალ წევრ ქვეყნებში. ევროპის ქვეყნებზე გასულ რეპორტაჟებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია იმ ცვლილებებზე, რომლებიც ქვეყანაში ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მოხდა, ხაზგასმულია ის დადებითი მხარეები, რომლებიც ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის გამო შეიძინა და დაამკვიდრა სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით. რაც შეეხება კონკრეტულად „ევროტურებს“ :

„ევროტური”- ასე ეწოდება რეპორტაჟებს, რომლებიც „რუსთავი 2-ზე“ გადიოდა 2014წლის ოქტომბრიდან გადაცემა „PS”-ის ფარგლებში. „PS”-ი როგორც ცნობილია, არის გადაცემა, რომელიც ყოველ კვირა დღეს გადის „რუსთავი 2“-ის ტელეეთერში. ამ გადაცემაში თვმოყრილია უამრავი საინტერესო რეპორტაჟი, როგორც საქართველოზე, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებზე, თემები არის მრავალფეროვანი: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ. რაც შეეხება კონკრეტულად „ევროტურებს“: ევროტურებში აღწერილია ევროკავშირში შემავალი ქვეყნები, დახასიათებულია მათი კულტურა, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობები და ა.შ. „ევროტურები“ მოკლემეტრაჟიანი გადაცემებია, რომლებიც დაახლოებით 9-წუთიდან 15-წუთამდე გრძელდება და ძალიან საიტერესოდ არის აგებული: ორი ჟურნალისტი, რომელიც მოგზაურობს კონკრეტულ ქვეყანაში გვაცნობს თითოეული ქვეყნის თავისებურებებს, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, იმ დროის განმავლობაში, რაც მათთვის არის განკუთვნილი, ჟურნალისტები ცდილობენ რომ ყველაზე მნიშვნელოვანი აქცენტები გააკეთონ და შეეხონ ყველა სფეროს, რაც საინტერესო იქნება ქართველი მაყურებლებისთვის. ყველა გადაცემაში ჟურნალისტები პოულობენ საინტერესო რესპოდენტებს, რომელთა საშუალებით ცდილობენ აქტუალური თემები გადმოგვცენ, გაესაუბრონ მათ და მისცენ

შესაძლებლობა საკუთარი დამოკიდებულება გამოთქვან იმ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, რომელშიც იმყოფებიან. არასდროს ტოვებენ ყურადღების მიღმა ქვეყნების ტერიტორიულ მდებარეობას, არქიტექტურასა და რელიგიას. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია ის პარალელები, რომლებსაც ჟურნალისტები ავლებენ საქართველოსთან მიმართებაში. ყოველთვის ცდილობენ, რომ გააკეთონ შედარებები კონკრეტულ ქვეყანასა და საქართველოში არსებულ მდგომარეობას შორის. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ცდილობენ გარკვეული ძაფები გააბან ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის, დააინტერესონ ქართველი მაყურებელი ევროპული ცხოვრებით და მისი უპირატესობებით. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემის ავტორები ყოველთვის ცდილობენ მედლის ორივე მხარე უჩვენონ ქართველ მაყურებელს და მხოლოდ დადებითი კუთხით არ წარმოაჩინონ ევროპის ის ქვეყნები, რომლებზეც აკეთებენ გადაცემას.

კვლევის მიზანი: ჩემი კვლევის მიზანია გავაანალიზო როგორ ხდება ქართველი მაყურებლისთის ევროპის წარდგენა გადაცემა „ევროტურების“ საფუძველზე.

კვლევის ამოცანები

ჩემი კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოვყავი კვლევის ამოცანები :

- „ევროტურებში“ წარმოდგენილი ქვეყნების სოციოკულტურული ცხოვრების

რა ასპექტზე ხდება ყურადღების გამახვილება და რა ფორმით.

- რა ძირითადი გზავნილები მიეწოდება მაყურებელს საქართველოს ევროინტეგრაციის კონტექსტში.
- რა კონკრეტული პარალელებია გავლებული საქართველოსთან მიმართებაში.

კვლევის ჰიპოთეზა:

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი და ამ პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები, ჩემი კვლევის ჰიპოთეზა არის ის, რომ გადაცემა „ევროტურების“ საფუძველზე რუსთავი 2-ის ჟურნალისტები მიუხედავად პრობლემური ასპექტების ჩვენებისა, ცდილობენ, რომ ევროპეიზაციის პროცესი ქართველი მაყურებლისთვის მიმზიდველი გახადონ.

კვლევის მეთოდი:

შერჩევა : ჩემი კვლევა ეყრდნობა რუსთავი 2-ზე გადაცემა P.S. -ის ფარგლებში გასულ რეპორტაჟებს, რომლებსაც „ევროტურები“ ეწოდება. გადაცემა P.S.-ის ფარგლებში გავიდა 28 რეპორტაჟი, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას. ამ „ევროტურის“ 28 გადაცემიდან შევარჩიე 15 გადაცემა, რომელიც ჩემი კვლევისათვის ღირებულ ინფორმაციას შეიცავს.

შერჩეული 15 გადაცემიდან 4 ავიღე ევროკავშირის დამფუძნებელ ქვეყნებზე

გასული რეპორტაჟებიდან, ესენია: ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი და საფრანგეთი. ევროკავშირის შედარებით ძველი წევრი ქვეყნებიდან საკვლევად შევარჩიე საბერძნეთი, შვედეთი და ავსტრია. ევროკავშირის პირველი გაფართოების ქვეყნებიდან შევარჩიე : სლოვაკეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და მალტა. მეორე გაფართოების ქვეყნებიდან კი, ჩემი საკვლევი თემისთვის ავიღე ორივე ქვეყანა: რუმინეთი და ბულგარეთი. აგრეთვე, საკვლევად გამოვიყენე ხორვატიაზე გასული რეპორტაჟი, ხორვატია, როგორც ცნობილია, ბოლო ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირს შეუერთდა.

ამასთან, ჩავატარე ინტერვიუ ერთ-ერთ გადაცემის ავტორთან, აგრეთვე ერთ მედია ექსპერტთან. მედია ექსპერტი შევარჩიე იმ პრინციპით, რომ ეს ადამიანი მუშაობს ევროინტეგრაციის საკითხებზე და კომპეტენტური პირია, რომელსაც ჩემს საკვლევ თემასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება აქვს.

მონაცემების მოპოვების და ანალიზის მეთოდი: კვლევის მეთოდად გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი. ,,რუსთავი 2“-ზე გასული გადაცემების ,,ევროტურების“ ვიზუალური მასალის ანალიზის საფუძველზე ვიკვლიე, თუ როგორ და რა ფორმით ცდილობენ ჟურნალისტები ევროპის გაცნობას ქართველი მაყურებლისთვის და დისკურსის ანალიზის საფუძველზე ვიკვლიე რა კონკრეტული ნარატივები აქვთ გატარებული ევროკავშირთან მიმართებაში გადაცემის ავტორებს. აგრეთვე ისიც, თუ რა პარალელები აქვთ გადაცემის ავტორებს გავლებული ქართულ რეალობასთან.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა:

სამეცნიერო მნიშვნელობა: გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემა „ევროტურებზე“ მსგავსი სახის კვლევა პირველად ტარდება, ჩემი კვლევა იქნება გარკვეულწილად ახალი სიტყვა სამეცნიერო წრეში. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა დაეხმარება და გარკვეულ ინფორმაციას მიაწვდის, იმ ადამიანებს რომლებიც დაინტერესებული იქნებიან საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხებით და იმ პარალელებით, რომლებიც გადაცემა ,,ევროტურის“ ავტორებს აქვთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საფუძველზე გავლებული საქართველოსთან.

პრაქტიკული მნიშვნელობა: ჩემი კვლევა მედიის წარმომადგენლებს დაეხმარებათ, იმის გაგებაში, ევროკავშირთან დაკავშირებული რა საკითხები შეიძლება იყოს განხილული მედიის საშუალებით ქართველი მაყურებლის დასაინტერესებლად. ხოლო ფართო საზოგადოებას დაეხმარება გაიგოს, რაზე ამახვილებდნენ გადაცემის ავტორები გადაცემა ,,ევროტურის“ შექმნის პროცესში ყურადღებას იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები უფრო მიმზიდველაად წარმოეჩინათ.

კვლევის შეზღუდვები: ჩემი კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ვერ ჩავატარე გამოკითხვები მოსახლეობასთან, გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემა „ევროტურები“ რუსთავი 2-ის ეთერით გადაიცემოდა 2014-2015 წლებში, ხოლო ჩემი კვლევა ჩატარდა 2017 წელს და რთული იქნებოდა ისეთი ადამიანების მოძებნა, რომლებსაც გადაცმების ზუსტი შინაარსი ემახსოვრებოდათ და ჩემი კველევისთვის მნიშვნელოვან კონკრეტულ საკითხებზე მოახდენდნენ ფოკუსირებას.

1. თეორიული ნაწილი

ჩემი საკვლევი თემა არის ,,ევროკავშირი ევროტურების საფუძველზე და პარალელები საქართველოსთან“, აქედან გამომდინარე, სანამ უშუალოდ გადაცემაში განხილული თემების ანალიზზე გადავალ, მნიშვნელოვანია განვიხილო არსებული თეორიული მასალა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით, აგრეთვე გავაანალიზო, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის წარმოდგენები ევროკავშირის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ევროპეიზაცია ახალ რეალობას ქმნის, რომელიც სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის ძირეულ რეკონფიგურაციას გულისხმობს (Trenz, 2011, 213). გამომდინარე იქიდან რომ, ევროპეიზაცია ქვეყნისთვის ახალ რელსებზე გადასვლას გულისხმობს, გასათვალისწინებელია, ის თუ როგორი წარსული ქონდა ქვეყანას. როგორც ვიცით, საქართველო პოსტკომუნისტური ქვეყანაა, რომელმაც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ „დაიწყო ბრძოლა გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში და ახალი ტიპის ინფორმაციულ ეკონომიკაში ადგილის დამკვიდრება“ (მეზვრიშვლი, 2015, 181).

ჩემი საკვლევი თემისთვის მნიშვნელოვანია, რა ეტაპები გამოიარეს ევროკავშირის აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნებმა ევროინტეგრაციის პროცესში და ამ კონტექსტში საქართველოს მაგალითის განხილვა და მის მიერ გავლილი ეტაპების ჩვენებაც.

დავიწყოთ იქიდან, რომ ევროკავშირის პირველი გაფართოება შეეხო აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ათ ქვეყანას, მეორე გაფართოებაში კიდევ ორი ქვეყანა მოხვდა,

ხოლო ევროკავშირის ბოლო გაფართოება 2013 წელს მოხდა, როდესაც მას შუერთდა ხორვატია, რომელიც ევროკავშირის 28-ე ქვეყანაა. ამ გაფართოებებეთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტერმინი „ინტეგრაციის უნარი“ (“integration capacity”), რომელიც მომდინარეობს ევროკავშირის პოლიტიკიდან და არა აკადემიური დისკურსიდან. ის ასახავს ევროკავშირის შფოთვას გაფართოების პოტენციური ნეგატიური გავლენის შესახებ მის ფუნქციონირებაზე, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი 2004 წლიდან, გაფართოების ახალი ტალღის შედეგად, მოგვიანებით კი რუმინეთის და ბულგარეთის მიღებასთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების არსებობისას. შედეგად მივიღეთ „გაფართოების მოყირჭება“ (enlargement fatigue): ღია საჯარო უკმაყოფილება გაფართოებასთან დაკავშირებით. აგრეთვე მზარდი შფოთვა, რომ შესაძლოა გაფართოებას მოჰყოლოდა ახალი წევრების მიღება, რომლებიც შეუსაბამო და ამიტომ არასასურველ წევრებად განიხილებოდნენ. რამოდენიმე წევრმა ქვეყანამ (გერმანია, საფრანგეთი) განაცხადა, რომ სამომავლოდ გასათვალისწინებელი იყო ევროკავშირის „შეწოვის უნარი“ (“absorbtion capacity”), სხვა წევრებმა კი (ინგლისი, შვედეთი, პოლონეთი) განაცხადეს, რომ ევროკავშირი ღია უნდა დარჩენილიყო და გაფართოებისათვის არ შეექმნა ხელოვნური ბარიერები(Frank Schimmelfennig, 2014, 6-7).

2006-2007 წლის გაფართოების ტალღისას ევროკომისიამ საკამთო ტერმინი ,,შეწოვის უნარი“ ჩაანაცვლა ტერმინით ,,ინტეგრაციის უნარი“, რომელიც განმარტა, როგორც ევროკავშირის შესაძლებლობა, მოცემულ მომენტში ისე მიეღო ახალი წევრები, რომ საფრთხე არ შეექმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოლიტიკური მიზნებისათვის. ევროკომისიამ გაითვალისწინა 3 კომპონენტი: ინსტიტუტები, საერთო პოლიტიკა (common policies) და ბიუჯეტი. ანუ ევროკავშირს უნდა ქონოდა გარანტია, რომ ინსტიტუტები აგრძელებენ ეფექტურ ფუნქციონირებას, რომ მისი პოლიტიკა აღწევს დასახულ მიზნებს და რომ მისი ბიუჯეტი სწვდება საჭირო ფინანსურ რესურსებს. გაწევრიანების მსურველთათვის წაყენებული პირობა (conditionality) იყო, რომ „კარგად მომზადებულნი“ ყოფილიყვნენ ინტეგრაციისთვის. წევრი ქვეყნებისთვის კი მთავარ ამოცანად დაისახა „უკეთესი კომუნიკაცია“ და „გაფართოების სარგებლისა და გამოწვევების“ გათვალისწინება (იქვე). 2004 წლის გაფართოებისას ევროკავშირს ეშინოდა, რომ ახალი წევრების ევროკავშირის კანონმდებლობისადმი დაქვემდებარება

მარტივი არ იქნებოდა, თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ ახალი წევრები არ გამოირჩევიან ძველ წევრებზე მეტად პრობლემურობით (Sedelmeier 2008, 2009; Toshkov 2008, 2012).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების კროს-კულტურული შედარება დემოკრატიის საზომის საფუძლევზე აჩვენებს, რომ 2004-2007 წლის გაფართოების ტალღის ქვეყნებიდან დიდმა ნაწილმა მიაღწია მნიშვნელოვან აღმასვლას დემოკრატიის თვალსაზრისით უკვე 1993 წლისთვის, როცა მათ წევრობის პერსპექტივა მიიღეს, რაც არსებითად არ შეცვლილა 1999 წლამდე, როცა ისინი შეუდგნენ უშუალო მოლაპარაკებებს. მხოლოდ ესტონეთში, ლატვიაში, სლოვაკეთსა და რუმინეთში, რომლებიც ჩამორჩებოდნენ CEE-ის საერთო მაჩვენებელს, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სანამ ისინი უშუალოდ არ შეუერთდნენ ევროკავშირს. ესტონეთსა და სლოვაკეთში ეს პროცესი ევროკავშირთან შეერთების შემდეგაც გაგრძელდა. ლატვიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა და უნგრეთმაც კი ცოტა შეუნელეს დემოკრატიზაციის ტემპს და გააუარესეს კიდეც მიღწეული მაჩვენებელი. ეს განსაკუთრებით ეხება უმცირესობების უფლებებს, პოლიტიკური პარტიების და პარტიული სისტემების ფუნქციონირებას, სასამართლოს მიუკერძოებლობას და კორუფციასთან ბრძოლას (Tanja Borzel, 2014). ეს ინფორმაცია ჩემი საკვლევი თემისთვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველოს მოსახლეობის ცნობადობა გაიზარდოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ევროინტეგრაციასთან მიმართებაში, რომელსაც ემსახურება გადაცემა „ევროტური“.

იმ პოსტკომუნისტური ქვეყნების მაგალითი, რომლებიც ჟურნალისტებმა თავიანთი გადაცემების პროცესში განიხილეს, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ჩვენს ქვეყანასაც მსგავსი წარსული აქვს და აქედან გამომდინარე, ქართველი მაყურებლისთვის საინტერესოა რა გზა გამოიარეს ამ ქვეყნებმა ევროპეიზაციის პროცესში და რა შედეგები მიიღეს ევროკავშირის წევრობისგან. რადგანაც, როგორც ცნობილია, საქართველოში იგრძნობოდა იმ ინფორმაციის დეფიციტი, რომელიც ევროკავშირსა და ზოგადად ევროინტერგაციის საკითხებს შეეხებოდა. ამიტომაც, გადაცემის ავტორებს გადაწყვეტილი ქონდათ, ქართველი მაყურებლისთვის ეჩვენებინათ ევროკავშირის წევრ წვეყნებში არსებული რეალური სიტუაცია.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის პირველი გაფართოება მოხდა 2004 წელს, როდესაც ერვოკავშირს შეუერთდა 10 ქვეყანა, და მეორე გაფართოების დროს 2007 წელს კიდევ ორი ქვეყანა, ხოლო მესამე ანუ ბოლო გაფართოების დროს 2013 წელს ევროკავშირს შეუერთდა ხორვატია. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია ამ გაფართოებებში შემავალი ქვეყნების გამოცდილება ევროინტეგრაციის პროცესში და ის, თუ რა გზები გამოიარეს ამ ქვეყნებმა ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

განვიხილოთ ერთ-ერთი ქვეყნის-რუმინეთის მაგალითი, რომელიც საქართველოს მსგავსად პოსტკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყანაა, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი იქნება ის გამოცდილება, რომლიც ამ ქვეყანას ევროინტეგრაციის პროცესში ქონდა. ამისათვის კარგი მაგალითია რუმინეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრის (2004-2007), ევროპარლამენტარის მონიკა მაკოვეის და აგრეთვე ,,რუმინეთის ევროპული კვლევების ცენტრის“ დირექტორთა საბჭოს წევრის ჩიპრიან ჩიუკუს განცხადება, რომელიც მათ საქართველოში ყოფნის პერიოდში გააკეთეს. ამ ადამიანებმა რუმინეთის მაგალითზე, საქართველოს მსგავსი ქვეყებისთვის ევროინტეგრაციის გზაზე არსებულ გამოწვევებზე და ასევე ევროკავშირთან ინტეგრაციით მიღებულ სიკეთეებზე ისაუბრეს საქართველოში ყოფნის დროს. ეს ადამიანები ამბობენ, რომ იმ ათი წლის განმავლობაში, რაც რუმინეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა ძალიან დიდი დახმარება მიიღო ევროკავშირისაგან და რაც მთავარია ეს დახმარება არ ყოფილა მხოლოდ ფინანსური სახის, არამედ რუმინეთმა ევროკავშირისაგან დახმარება მიიღო სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხებში, ასევე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხში მიიღო რუმინეთმა ევრკავშირისაგან მნიშვნელოვანი დახმარება. თუმცა ის ფინანსური დახმარება, რომელსაც ევროკავშირი უწევს რუმინეთს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ამასთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ ის 40 მილიარდი ევროს დახმარება, რომელსაც ევროკავშირისგან იღებს რუმინეთი, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებისგან არ არის მმართული, ფინანსები ნაწილდება თვითმმართველობებს, სოფლებსა და თემებს შორის , რათა ქვეყანაში განხორციელდეს განვითარებისათვის აუცილებელი პროექტები და მოხდეს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება.

„მე კარგად ვიცნობ ქართულ კულტურას და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს რუმნეთს და საქართველოს, თუნდაც ევროკავშირზე ინფორმირებული მოსახლეობის რაოდენობით, ასევე საზოგადოების იმ ნაწილის პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც უჭერს მხარს ევროინტეგრაციას და სჯერა ევროსისტემის. ასევე მსგავსებაა რელიგიური აღმსარებლობის კუთხითაც, და თუ კი რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებას მოყვა ის სიკეთეები, რაზეც ვისაუბრე, ვფიქრობ, რომ საქართველოსთვისაც არის ადგილი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. დღეს ჩვენ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მაგრამ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაგვიკარგავს ჩვენი თვითმყოფადობა, როგორც აქამდე ვიყავით რუმინელები, ახლაც ისევე რუმინელები ვართ. მინდაგითხრათ, რომ ახლა ჩვენ უფრო მეტად ვგრძნობთ თავისუფლებას, უფრო მეტად ორგანიზებული გახდა ჩვენი ქვეყანა და უფრო გახსნილი” (ფრანგიშვილი, 2016).საქართველოსთვის თავისი დამოუკიდებლობის ისტორიაში, ევროკავშირთან ინტეგრაცია ერთ-ერთ დომინანტურ ნარატივად ჩამოყალიბდა და ადრეულ ეტაპზევე დადგა დღის წესრიგში. აღსანიშნავია, რომ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით საქართველოს მეორე პრეზიდენტის-ედუარდ შევარდნაძის პერიოდში გადაიდგა. კერძოდ:პირველი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ის, რომ 1995 წელს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა გაიხსნა, 1996 წელს მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა-ამ წელს ევროკავშირ-საქართველოს შორის პირველი ხელშეკრულება გაფორმდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო შემდეგი ნარატივი -„მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“-საქართველოს აწ გარდაცვლილი პრემიერ მინისტრის, ზურაბ ჟვანიას მიერ ევროსაბჭოში წარმოთქმული ეს ფრაზა დღემდე ეროვნული იდენტობის თვითაღქმის ცნობილ სიმბოლურ გამოხატულებად რჩება და განსაზღვრავს საქართველოს გაცხადებულ კურსსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისადმი ინტერესის შესახებ პირველად ედუარდ შევარდნაძემ 2002 წელს განაცხადა პრაღაში ნატოს სამიტზე.

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში უკვე შემდეგი ეტაპი იყო ის, რომ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა სამთავრობო გუნდმა

ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება თავის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა, ამის დასადასტურებლად კი მთავრობამ გამოიყენა ახალი სიმბოლიკა-ევროკავშირის დროშა, რომელიც საქართველოს დროშასთან ერთად ყველა საჯარო დაწესებულების თავზე აღიმართა. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის 2003წლის ინაუგურაციაზე საქართველოს დროშასთან ერთად ევროკავშირის დროშა შემთხვევით არ იყო აღმართული. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „ეს დროშა საქართველოს დროშაც არის იმიტომ, რომ გამოხატავს ჩვენი ცივილიზაციის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ისტორიის არსს და ჩვენი მომავლის პერსპექტივას და ხედვას (ევროპული ინიციატივა- ლიბერალური აკადემია თბილისი, 2010).

საქართელოსთვის ევროინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა 2006 წელი, როდესაც ჩვენი ქვეყნის ჩართვა მოხდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში.

1.1.საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კონტექსტში (ENP)

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი საბაზისო პრინციპია დაეხმაროს მეზობელ ქვეყნებს, აგრეთვე, შიდა რეფორმების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა განსხვავდება ევროკავშირის პოტენციური წევრობის საკითხისაგან. აქედან გამომდინარე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებს სთავაზობს პრივილეგირებულ ურთიერთობას ევროკავშირთნ და აგრეთვე წარმოადგენს შემდგომი გაფართოების ალტერნატივას. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა ითვალისწინებს შემდეგ საკითხს-თანამშრომლობა უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთვალდებულებების აღებას შემდეგ სფეროებში: კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება (მწვანე ალტერნატივა, 2008).

საქართველოსთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა და იმ ვალდებულებების აღება, რომელსაც ეს პოლიტიკა თავის მხრივ ითავლისწინებს, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროინტეგრაციის პროცესში.

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში აგრეთვე, ძალიან დიდ როლს ასრულებს ის ნარატივები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ გატარებული საზოგადოების მისამართით, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია ისიც, რომ 2007წლის 15 მარტის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს: ,,საქართველო ბრუნდება თავის ევროპულ ოჯახში. ჩვენ უბრალოდ ევროპელები არ ვართ, **ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ...ევროპა უპირველეს ყოვლისა**-ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ლოზუნგი“ (მეზვრიშვილი , 2015).

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2009 წელი, როდესაც საქართველო გახდა აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყანა.

1.2 საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში

აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკავშირის მრავალმხრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიემართება აღმოსავლეთ ევროპის მეზობელ ექვს ქვეყანას. ამ ჯგუფში, რომელიც შედგება ექვსი ქვეყნისაგან გაერთიანებულია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა: აზერნაიჯანი, სომხეთი და საქართველო, და აგრეთვე შემდეგი სამი ქვეყანა:ბელარუსია, მოლდოვა და უკრაინა (Rinnert, 2011, 4). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) არის ინიციატივა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის ამ ექვს ქვეყანასთან მიმართებაში.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის დოკუმენტი ეყრდნობა ოთხ ძირითად თემატურ პლატფორმას :

1) დემოკრატია: კარგი მმართველობა და სტაბილურობა,

2) ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობა,

3)ენერგოუსაფრთხოება,

4) ქვეყნების მოსახლეობას შორის ურთიერთობების გაღრმავება (Rinnert , 2010, 10).

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ევროკავშირმა 2009 წლის 7 მაისს ოფიციალურად გამოაცხადა, პრაღაში, ერთობლივი დეკლარაციის მეშვეობით, რომელიც მიუთითებდა ევროკავშირის ურთიერთობების გაძლიერებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონთან. ევროკავშირის ბოლო გაფართოებებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ევროკავშირს გეოგრაფიულად უფრო დაუახლოვა. ამიტომ, როგორც ევროკავშირის, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უსაფრთოება და კეთილდღეობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული (აღმოსავლეთ პარტნიორობის-საზღვრის ინტეგრირებული მართვის (EAP-IBM) შესაძლებლობათა გაძლიერების პროექტი).

საქართველომ აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გადადგა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის განვითარებისათვის, საქართველოს მთავრობამ დაიწყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, აგრეთვე ბიზნენსის განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოსაზიდად გარკვეული კლიმატის შექმნა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები და აგრეთვე ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულების შედეგად შეცვლილი მდგომარეობა, შეიძლება წარმატებულ პროცესად ჩაითვალოს საქართველოში (Bockova , 2014).

2014 წლის 27 ივნისი შემდეგი ეტაპი იყო საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხში. 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს. 2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში (საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ ტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში).

1.3. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება

ასოცირების ხელშეკრულება არის ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობაზე შეთანხმება. თანამშრომლობა, ზოგადად, მოიცავს, როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო, სოციალურ. კულტურულ და უსაფრთხოების სფეროებს. ასოცირებული წევრობის სტატუსის სანაცვლოდ ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს აკისრებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და სასამართლო რეფორმების გატარების ვალდებულებას. ამის სანაცვლოდ კი, ასოცირებულ წევრებს ზოგიერთ ან ყველა ბაზარზე თავისუფალი წვდომა აქვთ, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზეც. ასოცირებული წევრები ასევე იღებენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებასაც (კუპატაძე, 2013).

2017 წელი კი, უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა საქართველოსთვის, რადგან ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის შეთნხმებას მოეწერა ხელი. ვიზალიბერალიზაციის პროცესი გულისხმობს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ იმოგზაურონ შენგენის წევრ ქვეყნებში. საქართველოს მოქალაქეებს მხოლოდ მოკლევადიანები ვიზიტები შუძლიათ განახორციელონ, მოკლევადიანი ვიზიტი კი, 90 დღეს არ უნდა სცილდებოდეს, მათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გრძელვადიანი ვიზიტების დადეგმვა არ შეუძლიათ, აგრეთვე ვიზალიბერალიზაცია არ ითვალისწინებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მუშაობის უფლებას.

როგორც ვნახეთ, საქართველომ გრძელი გზა გამოიარა იმ მდგომარეობის მისაღწევად, რომელშიც დღეს იმყოფება ევროკავშირთან მიმართებაში. თუმცა მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა განიცდის ინფორმაციის დეფიციტს ევროკავშირთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. აქედან გამომდინარე, გადაცემა ,,ევროტურის“ ავტორების მიზანი იყო, რომ ქართველი მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, თუ რა სიტუაციიაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოუტანა ამ ქვეყნებს ევროკავშირში გაერთიანებამ.

1.4.საქართველოს მოსახლეობის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება

საქრთველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეზე, იმ დროისათვის, როდესაც გადაცემა ,,ევროტური" იქმნებოდა, ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროპული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში 2009, 2011, 2013 და 2015 წლებში, CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებით. CRRC-ის მიერ ჩატარებული ეს კვლევები მიზნად ისახავდა საქართველოს მოქალაქეების ცოდნისა და დამოკიდებულების შესწავლას ევროკავშირთან მიმართებაში. ჩემი საკვლევი თემისათვის მეტად მნიშვნელოვანია 2013 და 2015 წლების კვლევის შედეგები. ისევე, როგორც CRRC-ის 2013 წლის გამოკითხვებში, აგრეთვე 2015 წლის გამოკითხვებშიც, მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, თუ რამდენად არის ინფორმირებული საქართველოს მოსახლეობა ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის CCRC-ის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად არის ინფორმირებული, ვიდრე 2013 წელს იყო, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლისთვის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონემ აიწია ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მოქალაქეების ცოდნის დონე საკმაოდ დაბალია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, ევროკავშირის ინსტიტუტები საქართველოში, ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიებები, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აქტივობები და ა.შ.

გადაცემა „ევროტურის" კონტექსტში საყურადღებოა ის წარმოდგენები და მოლოდინები, რომლებიც ევროკავშირის მიმართ გააჩნდა ქართულ საზოგადოებას, რადგანაც მოქალაქეების ევროკავშირისადმი ინფორმირებულობის დაბალი დონის გამო წარმოდგენებიც და მოლოდინებიც შესაბამისი იყო. მაგალითად, ქართულენოვან მოსახლეობას ძალიან გაზვიადებული წარმოდგენა ქონდა იმ სიკეთეებზე, რაც ევროკავშირის წევრობა შეიძლება მოიტანოს, CRRC-ის 2013 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 70% თვლის, რომ ეროვნული უსაფრთხოება გაძლიერდება (2011 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 59% იყო). 63% ფიქრობს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსები გაიზრდება; 65% სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდას ელოდება, ხოლო 64-64% - პენსიების ზრდას, სიტყვის თავისუფლების ზრდას

და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. CRRC-ის 2015 წლის მონაცემებით, ზემოთ აღწერილი სიტუაცია საკმაოდ შეცვლილია. ამ საკითხებთან დაკავშირებული პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია და საქართველოს მოსახლეობას უფრო კარგად აქვს გააზრებული ის მოლოდინები, რომლებიც შეიძლება ევროკავშირისაგან მიიღოს. იმ ადამიანების 33%, რომელთაც სმენიათ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე, ამ შეთანხმების გაფორმების შედეგად ყველაზე მეტად მოელის პოლიტიკურ დაახლოებას და მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან, ხოლო 23% - ევროკავშირში გაწევრიანებას. ამ ჯგუფის მოლოდინები შედარებით ნაკლებად უკავშირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (13%), ნატოში გაწევრიანებას (9%) (ევროპის ფონდი).

აქედან გამომდინარე, ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის შესახებ იფორმაციის ნაკლებობის თემა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი საკვლევი თემისთვის. როგორც ვიცით, ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებულად შეიმჩნევა ამ საკითხებთნ დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტი. ამის დამამტკიცებელ არგუმენტად შემიძლია მოვიყვანო მაგალითი:*,,ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობაზე საუბრისას ცალსახად გამოიკვეთა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა აზრი, რომ საქართველოს მოსახლეობის დონე ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალია. ინფორმაციის ნაკლებობამ კი, შესაძლოა, საზოგადოებაში არასწორი მოლოდინები გააჩინოს. თუკი მოსახლეობას „ლამაზი ლოზუნგებიდან“ ევროპეიზაციის პარაქტიკაში გადატანა რთული მოეჩვენება, ის დაიწყებს ფიქრს, უღირს თუ არა ევროინტეგრაციის რთული გზის გავლა“* (წულაძე და სხვ., 69). აქედან გამომდინარეც, ჩანს, რომ ქართველი მოსახლეობა რეალურად განიცდის მისთვის საინტერესო ინფორმაციის ნაკლებობას ევროკავშირთან და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. აგრეთვე აღნიშნულია-,,*რესპონდენტებს აუცილებლად მიაჩნიათ ფართომასშტაბური საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და ევროკავშირის შესახებ ცნობადობის გაზრდა, როგორც პოლიტიკოსების მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრების, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიურად გამოყენების გზით* (იქვე). გადაცემა „ევროტურის“ ავტორების მიზანიც, სწორედ ამ მოცემულობაზეა აგებული, როგორც ჩვენი ემპირიული კვლევიდან ჩანს, ჟურნალისტები მაქსიმალურად ცდილობენ ყველა

იმ საკითხის მოცვას, რომლის შესახებაც ქართველ მაყურებელს ნაკლები ინფორმაცია გააჩნია. აქედან გამომდინარე, გადაცემა „ევროტური“ ისეა შექმნილი, რომ ქართველი მაყურებლისთვის ინფორმაციის შემცეველი იყოს და თანაც გასართობი ფორმატი აქვს, რომ მოსაწყენი არ გახდეს მაყურებლისთვის.

საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირის შესახებ ინფორმირმირებულობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აგრეთვე CRRC-ის 2013 წლის კვლევებიც, რომლის თანახმად საქართველოში ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია, თითქმის ყოველ მეხუთე ადამიანს უჭირს, პასუხი გასცეს შეკითხვას თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი (19%), ხოლო მოსახლეობის 31%-ს არც სმენია ასოცირების ხელშეკრულების შესახებ. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ 2015 წლის CRRC-ის კვლევების მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინფორმირებულობის დონე გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ქართველი მაყურებლისთვის გადაცემა „ევროტური“ ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. როგორც გადაცემის ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, მასთან ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვიუს დროს, ეს გადაცემა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე გარკვეული გავლენა მოახდინა. თვითონ გადაცემის ავტორების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ეს რეპორტაჟები მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იყო სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერთ-ერთი შემთხეევაც, როდესაც გადაცემის ერთ-ერთ ავტორს დაუკავშირდნენ საქართველოს ერთ-ერთი სკოლიდან და უთხრეს, რომ კლასში პედაგოგები და მოსწავლეები ამ გადაცემებს აქტიურად განიხილავდნენ და ეს მოსწონდათ, რაგდანაც ამ მოკლემეტრაჟიანი გადაცემების საფუძველზე მათ შეძლეს დაენახათ, იმისგან განსხვავებული ევროპა, რაზეც მათ ქონდათ წარმოდგენა, აგრეთვე შეძლეს დაენახათ ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, რის შესახებაც ნაკლებ ინფორმირებულები იყვნენ გადაცემების გასვლამდე.

ჩემი საკვლევი თემისათვის აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომელსაც გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა. ეს საკითხი კი

არის რელიგია. როგორც ცნობილია, ქართული საზოგადოების ცხოვრებაში მართმადიდებელი ეკლესია უმნიშვნელოვანესი როლის მქონე ინსტიტუტია და მას ძალიან ძლიერი გავლენა აქვს მოსახლეობაზე. CRRC-ის 2013 წლის კვლევაც გვიჩვენებს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მოსახლეობის 48% თვლის, რომ რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ძალიან მნიშვნელოვანია გადაცემა „ევროტურის" ფარგლებში განხილული რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები რელიგიის თემა, თითქმის ყველა გადაცემაშია განხილული ჟურნალისტების მიერ და ნაჩვენებია ის დამოკიდებულებები, რომლებიც ზოგადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობას გააჩნია ამ საკითხის მიმართ, და ზოგადად, ევროკავშირს რა დამოკიდებულება აქვს მისი წევრი ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის მიმართ. იმ თემასთან დაკავშირებით, რომ, საქართველოში მართმადიდებელი ეკლესია ძალიან დიდი სტატუსის მქონეა და ეკლესიის წარმომადგენლების მიერ ევროინტეგრაციის მიმართ გატარებული დისკურსები გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეკლესია და მისი წინამძღოლი-ილია მეორე საქართველოს მოსახლეობაში განსაკუთრებით მაღალი ნდობით სარგებლობენ (CRRC, კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015). ამიტომაც ეკლესიის და მისი წინამძღოლის მხრიდან გატარებული დისკურსები ძალიან დიდი დატვირთვის მქონეა ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით.

გადაცემის ავტორები ამ გადაცემების ფარგლებში ატარებენ დისკურს, რომელიც ემსახურება იმის ჩვენებას, რომ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის წევრები ხდებიან, რელიგიური კუთხით არანაირი ცვლილება არ ხდება, ამ ქვეყნების მოსახლეობის რელიგიურ შეხედულებებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ ევროკავშირის მხრიდან. ამის ხაზგასმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტების მხრიდან, რადგანაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში გაჩნდა *,,დასავლეთის ღერძთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური დაძაბულობები*" (მეზვრიშვილი, 2009, 181). გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ძალიან დიდი ხანი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და ძლიერი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იყო, *,,ტრადიციონალისტურად განწყობილი საზოგადოებისათვის, რომელიც ამავე დროს „რკინის ფარდის" მიღმა ყალიბდებოდა, დასავლური სოციალური ლიბერალიზმი კულტურული შოკი აღმოჩნდა, რაც*

საზოგადოების ულტრაკონსერვატული ნაწილისთვის გამოიხატა დილემაში: დასავლეთთან ინტეგრაცია ან ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნება“ (იქვე). აქვე აღსანიშნავია ისიც რომ, CRRC-ის 2013 წლის კვლევის მონაცემებით ქართულენოვანი მოსახლეობა უფრო ხშირად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი იმპერიის ახალი ფორმაა და ის საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. CRRC-ის 2015 წლის კვლევებიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის ევროკავშირი საფრთხედ აღიქმება რელიგიური აღმსარებლობის საკითხთან მიმართებით, აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის იმის ჩვენება, თუ რა მდგომარეობაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ მხრივ, რომ ქართველმა მაყურებელმა შეძლოს შეაფასოს არსებული სიტუაცია, მიიღოს უფრო მეტი ინფორმაცია და ამის საფუძველზე შეძლოს მიიღოს გადაწყვეტილება.

„ევროტურის“ გადაცემებში გადაცემის ავტორების მიერ ნაჩვენებია ისიც, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეკლესია და კანონი ერთმანეთისგან არის გამიჯნული, ანუ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეკლესია არ ერევა ქვეყნის მიერ მიღებულ კანონებში, თუმცა ეკლესიას შეუძლია წარმოაჩინოს თავისი მოსაზრება და ამას არავინ უშლის. საქართველოშიც, ერთ-ერთი კვლევის მონაწილე რესპონდენტების ნაწილიც თვლის, რომ *„სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ეკლესიის ჩარევა მის საქმეებში და თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს მაშინაც, როცა ეკლესია ამას ეწინააღმდეგება. ამასთან, სახელმწიფომ კანონით უნდა დასაჯოს ყველა, ვინც ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს, მათ შორის სასულიერო პირებიც, უმცირესობების მიმართ აგრესიული ქმედებების გამო“* (წულაძე და სხვ., 2015, 158).

როგორც ერთ-ერთი კვლევა გვიჩვენებს ევროპეიზაციის პროცესისგან სამი ტიპის სარგებლის მიღების მოლოდინი არსებობს საქართველოში, ეს სამი ტიპია: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული(წულაძე, 2015, 98). ,,ევროტურის“ გადაცემებში კარგად ჩანს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროკავშირის ქვეყნებში. ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ევროკავშირისგან იღებენ დაფინანსებას, რათა წევრ ქვეყნებში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ სტანდარტებს მიუახლოვდნენ. „ევროტურის“ გადაცემებში რესპონდენტები, მაგალითად კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი მეწარმეები, ხშირად აღნიშნავენ, რომ

ევროკავშირი მათ ბიზნესს აფინანსებს, რათა მისი სტანდარტების შესაბამისი გახდეს და აგრეთვე, ხშირად ხდება იმ უახლესი სტანდარტების ტექნოლოგიებით აღჭურვა, რომელიც აუცილებელია ხარისხიანი პროდუქციის საწარმოებლად.

ეკომონიკური სარგებლის მხრივ, აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია, ტურიზმის თემაც , რომელსაც გადაცემა „ევროტურის“ ავტორები ძალიან ხშირად განიხილავენ, თავიანთი მოკლემეტრაჟიანი გადაცემების ფარგლებში. ტურიზმთან ერთად განხილულია ენოტურიზმიც, რადგანაც როგორც ცნობილია, საქართველო გამორჩეული თავისი მეღვინეობის კულტურით. გადაცემის ავტორების მიერ ენოტურიზმის განხილვა „ევროტურის“ ფარგლებში იმითაც არის ნაკარნახეევი, რომ ქართული მეღვინეობის დიდი ისტორია საერთაშორისო მასშტაბითაა აღიარებული. 2012 წლის ივლისიდან, საქართველოს აქვს ექსკლუზიური უფლება, ქართული წარმოების ღვინოს ევროკავშირში პოპულარიზაცია გაუწიოს სიტყვებით „საქართველო-ღვინის აკვანი“ (ISET პოლიტიკის ინსტიტუტი).

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2013 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანჭა ქვევრის მეთოდს, სამი წლის შემდეგ კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, UNWTO-ს, ინიციატივით, ღვინის ტურიზმის შესახებ პირველი გლობალური კონფერენცია საქართველოში გაიმართა. ეს კი, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს იმიჯის დამკვიდრების კუთხით (ინტერნეტგაზეთი-,,mastsavlebeli.ge”).

საქართველოსთვის ევროპეიზაციიდან მიღებულ უმთავრეს კულტურულ სარგებლად ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების რეალური შესაძლებლობა მიიჩნევა, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიის საფრთხის პირობებში. ამასთან ევროკავშირის ფარგლებში არსებული მულტიკულტურალიზმი რესპონდენტებს სწორედ ქართული იდენტობის და კულტურული თავისებურებების შენარჩუნების გრანტად ესახებათ და არა ეროვნულისთვის საფრთხედ (წულაძე და სხვ., 2016, 100). ,,ევროტურის“ ავტორები თავიანთი გადაცემების ფარგლებში ყოველთვის ცდილობენ, ისეთი დისკურსი გაატარონ, რომ ევროკავშირი არანაირ საფრთხეს არ უქმნის მასში შემავალი ქვეყნების

ეროვნულ იდენტობებს, პირიქით, გვიჩვენებენ იმას, რომ თითოელი ქვეყნის მოქალაქე ყოველთვის წინა პლანზე აყენებს თავის ეროვნულ და კულტურულ ღირებულებებს. ეს აგრეთვე უმნიშვნელოვანესია ევროკავშირისთვისაც, ეს გაერთიანება თავისმხრივ, ცდილობს ხელი შეუწყოს თითოეული მისი წევრი ქვეყნის კულტურულ განვითარებას და ეს დადებითად აისახება ქვეყნის ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე და შესაბამისად ეკონომიკურ განვითარებაზეც.

,,ევროტურის" ფარგლებში ჟურნალისტები, განსაკუთრებულ ხაზგასმას აკეთებენ ,,ევროპულ ოჯახში" დაბრუნებაზე ყველა ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა წარსულით არის ცნობილი, გატარებულია ,,ევროპულ ოჯახში'' დაბრუნების დისკურსი. ეს ფაქტი ქართველი მაყურებლისთვისაც საინტერესოა, რადგანაც, როგორც ცნობილია ჩვენი ქვეყანაც მსგავსი წარსულის მატარებელი ქვეყანაა. „ევროპულ ოჯახში'' დაბრუნება საქართველოშიც არის წინა პლანზე წამოწეული, მაგალითად, პოლიტიკოსების დისკურსებში.

გადაცემა ,,ევროტურის" შემქმნელებმა თავიანთი გადაცემების ფარგლებში ყურადღება გაამახვილეს პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობის მქონე ქვეყნებზე. მათ სურდათ ქართველი მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ შეძლეს მსგავსი წარსულის მქონე ქვეყნებმა, ამ არცთუ სასურველი ისტორიული მემკვიდრეობისთვის თავის დაღწევა, შემდეგ დასავლური ორიენტაციის აღება და იმ სტანდარტების წარმატებით დამკვიდრება ქვეყანაში, რომელსაც ევროკავშირი ითვალისწინებს. დღესდღეობით დასავლეთთან ინტეგრაცია საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია და შესაბამისად ,,საინტერესოა, რა შინაარსის მატარებელია „დასავლეთთან ინტეგრაციის" ღერძი საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის ?" (მეზვრიშვილი, 2000, 179).

გადაცემა ,,ევროტურის" ავტორებმა ამ გადაცემების ფარგლებში გვიჩვენეს, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განვითარებული ტურიზმი, რომელიც აქტიურად იყენებს კომუნისტურ მემკვიდრეობას და არსებული რესურსებით ცდილობს ქვეყანაში შემომავალი ტურისტების დაინტერესებას. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ეს ქვეყნები თავიანთ წარსულის მემკვიდრეობას პატივს სცემენ და მაქსიმალურად ცდილობენ გაუფრთხილდნენ და შეინარჩუნონ მისი პირვანდელი სახე, ამასთან ერთად

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისინი აცნობიერებენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს წარსულის არცთუ სახარბიელო მემკვიდერეობა, მათთვის მომგებიანი ბიზნესის საწარმოებლად.

დღესდღეობით საქართველოსთვის ევროინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება ევროინტეგრაციის პროცესში, განსაკურებით კი, იმ ქვეყნებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მსგავსად პოსტკომუნისტური ქვეყნები არიან. გადაცემა ,,ევროტურის“ ავტორები კი, ცდილობენ, რომ ქართველ მაყურებლამდე მოიტანონ ის ინფორმაცია, რომლის მიღებაც შეძლეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოგზაურობიდან და აჩვენონ რეალური სურათი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის .

2.ემპირიული ნაწილი

გადაცემა „ევროტურების“ ფარგლებში გამოიყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ჟურნალისტები ჩემს მიერს საკვლევად აღებული გადაცემებიდან უმეტესობაში განიხილავდნენ. გადაცემის ავტორებმა მათთან ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს განაცხადეს, რომ გადაცემის შექმნის მიზანი იყო, ქართველი მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორია ევროპა თავისი დადებითი და უაროფითი მხარეებით. ექსპერტი, რომელთანაც ჩავატარე ინტერვიუ, აღნიშნავს, რომ გადაცემა „ევროტურის“ მიზანი არის, ის რომ ქართველ მაყურებელს მიააწოდონ ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაცია. აგრეთვე, ის რომ ქართულ საზოგადოებას ანახონ მაგალითი, როგორ მოახერხა მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ევროკავშირში გაწევრიანება და ამის შემდეგ წარმატბული ტრანსფორმაცია. აგრეთვე ის პრობლემებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ამ ქვეყნებში.

როგორც ჟურნალისტები ამბობენ, თემებს ირჩევდნენ იმ პრინციპით, რომ მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო ეს თემები საქართველოსთან და აგრეთვე, საინტერესო ყოფილიყო ქართველი მაყურებლისთვის. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებმა გადაცემის შქმნის პროცესში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება და ამ გაერთიანების დამფუძნებელი თუ შედარებით ძველი წევრების მაგალითზე აჩვენეს, თუ როგორი ხანგრძლივი პროცესი იყო ამ ქვეყნებისათვის დასახული მიზნის მიღწევა და ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტების დამკვიდრება. ხოლო ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი ქვეყნების მაგალითზე გადაცემის ავტორებმა გვიჩვენეს ის პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ მოუგვარებელია და როგორ ცდილობენ ეს ქვეყნები ეტაპობრივად მოერგონ ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებს.

კვლევის შედეგად გამოვყავი ის ძირითადი თემები, რომლებზეც ჟურნალისტები თავიანთი მოკლემეტრაჟიანი სიუჟეტების განმავლობაში აკეთებდნენ აქცენტს. ეს თემები დავალაგე ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში გამოკვეთილი თემები ერთმანეთთან.

გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში გამოყოფილი თემებია:

1) ტურიზმი (ენოტურიზმი)-ზოგადად, ტურიზმის თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები გადაცემის ავტორებს ყველაზე ხშირად აქვთ გადაცემების ფარგლებში განხილული, ხოლო რაც შეეხება ენოტურიზმს-ეს საკითხი განხილული აქვთ, რა თქმა უნდა, იმ ქვეყნების მაგალითზე, სადაც მეღვინეობის და მევენახეობის მრავალსაუკუნოვანი კულტურა არსებობს, მაგალითად, საფრანგეთი და სლოვაკეთი. ამ ქვეყნების მაგალითზე პარალელები გავლებული აქვთ საქართველოსთან. საქართველოსთვის გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში განხილული ტურიზმის თემა, ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც სახელმწიფოს დღის წესრიგში დგას. ქართველი მაყურებლისთვის გადაცემა ,,ევროტურის“ ფარგლებში განხილული ქვეყნების მაგალითი ძალიან საინტერესო იქნება, რადგანაც ჟურნალისტები გვიჩვენებენ იმ გზას, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გაიარეს ტურიზმის განვითარების პროცესში. ეს კი, ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველოს მოსახლეობა ტურისტული ბიზნესის განვითარების პროცესში არსებულ სირთულეებსა და წარმატებულ ნაბიჯებს გაანალიზებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საფუძველზე.

ტურიზმის საკითხში გამოიყოფა კიდევ ერთი ქვეთავი-ენოტურიზმი. ენოტურიზმის განხილვა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის, რადგან საქართველო ცნობილია მეღვინეობის უძველესი კულტურით და აქედან გამომდინარე, ქართველი მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიღწევების გაცნობა მეღვინეობის დარგში. აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას, რათა ქართველმა მაყურებელმა დაინახოს რა დმგომარეობაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ენოტურიზმთან დაკავშირებით.

2) იუნესკოს დაცული ზონები - იუნესკოს დაცული ზონების თემა ჩემს ნაშრომში ებმის ტურიზმის (ენოტურიზმის) თემას, გამომდინარე იქიდან, რომ ეს

ორი თემა გარკვეულ კავშირშია ერთმანეთთან. კავშირი კი გამოიხატება იმაში, რომ იუნესკო ყოველთვის ცდილობს მის მიერ დაცულთა სიაში შეიტანოს კონკრეტული ქვეყნის ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც გამორჩეულია თავისი უნიკალური თვისებებით, ხოლო ასეთი მემკვიდრეობა ყოველთვის საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისითაც და ესეთი ზონები ყოველთვის პოპულარულია ტურისტებისთვის. ტურიზმის თემაში გამოყოფილი ქვეთავს, რომელიც ეხება ენოტურიზმს, გარკვეულწილად ებმის იუნესკოს დაცული ტერიტორიების თემაც, რადგან ცნობილია, რომ იუნესკომ არამატერიალურ კულტურულ ძეგლთა სიაში შეიტანა ქვევრში ღვინის დაყენების მეთოდი, რომლის ტრადიციაც საქართველოში იღებს სათავეს. იუნესკოს დაცული ზონები-არის თემა, რომელსაც ძალიან ხშირად განიხილავდნენ ჟურნალისტები „ევროტურების“ ფარგლებში და ცდილობდნენ ქართველი მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორი დამოკიდებულებები გააჩნიათ იუესკოს დაცულ ზონებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და რა მოთხოვნები აქვს იუნესკოს თავის მხრივ. ქართველი მაყურებლისთვის იუნესკოს დაცული ზონების თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ცნობილია, საქართველოშიც არსებობს იუნესკოს მიერ დაცული ზონები, რომლებსაც გარკვეულ პერიოდში ამ სტატუსის ჩამორთმევის საფრთხე დაემუქრათ, იმის გამო, რომ ამ ნაგებობების რესტავრაციის პროცესში არ იქნა გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რომელსაც იუნესკო უყენებდა თავის მიერ დაცულ ზონებს. აქედან გამომდინარე, ქართველი მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია, დაინახოს რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და როგორ უფრთხილდებიან ეს ქვეყნები წარსულის მემკვიდრეობას, რომლებსაც კონკრეტულ შემთხვევებში იუნესკო იცავს.

3) კულინარია - ეს თემა ჩემს ნაშრომში ებმის იუნესკოს დაცული ზონების საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ კულინარიაც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია და ხალხი ყოველთვის ამაყობს თავისი ქვეყნის ტრადიციული კულინარიით. ჩემს მიერ საკვლევად შერჩეული გადაცემებიდან, თითქმის ყველა გადაცემაში ეხებიან ჟურნალისტები ამ თემას. გადაცემის ავტორები

თითოეულ ქვეყანაში ტრადიციული კულინარიული კერძების განხილვით, გვიჩვენებენ იმას, თუ რა დამოკიდებულებები აქვთ ამ ქვეყნებს, ზოგადად ქვეყანაში არსებული ტრადიციული კულინარიის მიმართ. ქართველი მაყურებლისთვის ეს თემა მნიშვნელოვანია, იმ კუთხით, რომ ჩვენი ქვეყნა დიდი კულინარიული ტრადიციის მქონე ქვეყანაა და ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ის თუ რა ადგილი აქვს კულინარიას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. აგრეთვე ისიც, თუ რა დამოკიდებულებები აქვს ხალხს ტრადიციული კულინარიის მიმართ.

4) მებაღეობის თემა - ამ საკითხთან მიმართებაში განხილულია ის, მოთხოვნები, რომლებსაც ევროკავშირი უყენებს თავის წევრ ქვეყნებს. აგრეთვე, ის დამოკიდებულებები, რომლებიც მოსახლეობას გააჩნია მებაღეობის მიმართ. გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში გასული ქვეყნების მაგალითი, ქართველი მაყურებლისთვის საინტერესოა, რაგდანაც ჩვენს ქვეყანაში უამრავი პრობლემა არსებობს მებაღეობასთან დაკავშირებით. მსგავსი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები გადაცემის ავტორების მიერ განხილულია ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი ქვეყნების მაგალითზე. ამიტომაც ქართველი მაყურებლისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, იმ კუთხით, რომ დაინახავს, როგორ შეიძლება იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც მას აქვს ამ სფეროში.

5) განათლება - გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად განათლება ამცირებს რელიგიური დოგმების გავლენას და ზრდის ტოლერანტობას სექსუალური, ეთნიკური და სხვა უმცირესობების მიმართ, გადავწყვიტე, რომ ჯერ განათლების საკითხი განმეხილა გადაცემა ,,ევროტურის“ საფუძველზე და შემდეგ რელიგიის, ეროვნული უმცირესობებისა და სექსუალური უმცირესობების თემები.

განათლების საკითხთან დაკავშირებითაც გადაცემის ავტორები განიხილავენ, იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც განათლების საკითხთან მიმართებით გააჩნიათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გამომდინარე იქიდან, რომ განათლების დონე საკმაოდ დაბალია საქართველოში, ქართველი მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია

იმის ჩვენება, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. საინტერესოა ისიც, თუ როგორ მოაგვარეს განათლების სფეროში არსებული პრობლემები ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა და როგორ მიაღწიეს იმ ეტაპამდე, რომელზეც ეხლა იმყოფებიან.

6) **რელიგია**-რელიგიის საკითხიც იყო ხშირად განხილული გადაცემა „ევროტურები"- სათვის განკუთვნილ დროში. ამ შემთხვევაში ჟურნალისტები ცდილობდნენ ქართველ მაყურებლამდე მოეტანათ ის დამოკიდებულებები, რომლებიც ზოგადად, მოსახლეობას და აგრეთვე, ევროკავშირს გააჩნია მისი წევრი ქვეყნების მოსახლეობის რელიგიური შეხედულებების მიმართ. რადგანაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა მართმადიდებელი ქრისტიანია და ეკლესიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოების ცხოვრებაში, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორი დამოკიდებულებები არსებობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით.

7) **ეროვნული უმცირესობები**-ჩემს მიერს საკვლევად შერჩეული გადაცემებიდან ეს თემა განხილული იყო ორი ქვეყნის მაგალითზე. ეს ქვეყნებია: პირველი-ბელგია, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა და მეორე- რუმინეთი, რომელიც ევროკავშირის 2007 წელს შეუერთდა, ანუ ამ გაერთიანების ახალი წევრია. აქედან გამომდინარე, გამოვლინდა ის თავისებურებები, რომლებიც ეროვნული უმცირესობების საკითხთან დაკავშირებით შეიმჩნევა ამ ორ ქვეყანაში. ეროვნული უმცირესობების თემა ქართველ მაყურებელთან საკმაოდ ახლოს დგას, რადგანაც, როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში მრავალი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია ტოლერანტობით სხვა ერების წარმომადგენლების მიმართ, მაინც ხშირია კონფლიქტები ძირითად მოსახლეობასა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის. ამიტომაც, ზემოთ ნახსენები ორი ქვეყნის მაგალითზე ნათლად ჩანს, როგორ შეიძლება არსებული პრობლემების მოგვარება.

8) **სექსუალური უმცირესობები** - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაცემის ავტორებმა განიხილეს, როგორც ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყნების მაგალითი, აგრეთვე, შედარებით ახალი წევრი ქვეყნების მაგალითიც. აქედან გამომდინარე, გამოჩნდა ის განსხვავება, რომელიც ამ ქვეყნებს შორის სექსუალური უმცირესობებისადმი დამოკიდებულებებს შორის შეიმჩნევა. სექსუალური უმცირესობებისადმი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამოკიდებულებების ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის, რადგან საქართველოში სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა არსებობს. ამ უმცირესობების წარმომადგენლები მუდმივად კონფლიქტურ სიტუაციებში ხვდებიან. სექსუალური უმცირესობების თემა ძალიან აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში, ამიტომაც ჟურნალისტებმა ქართველ მაყურებელს უჩვენეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სექსუალური უმცირესობებისადმი არსებული მიდგომები.

9) **პარლამენტარების ხედვები და დამოკიდებულებები სოციალური პრობლემების მიმართ**-ეს თემა ჩემს მიერ შერჩეული ლოგიკური თანმიმდევრობიდან გამომდინარე, მოხვდა ჩემი ნაშრომის ბოლო ნაწილში, რათა გამეანალიზებინა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტარების ხედვები და დამოკიდებულებები, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიმართ. ამ თემასთან დაკავშირებით გადაცემის ავტორები გვიჩვენებენ, იმ განსხვავებულ ხედვებს და დამოკიდებულებებს სოციალური პრობლემების მიმართ, რომლებიც ევროკავშირის შედარებით ძველ და შედარებით ახალი წევრი ქვეყნების პარლამენტარებს აქვთ, საქართველოში, როგორც ცნობილია, მოსახლეობის უმეტეს ნაწილში პარლამენტარებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს, რადგანაც პარლამენტის წარმომადგენლები უმეტეს წილად არ ინტერესდებიან მოსახლეობის პრობლემებით და იმ თანამდებობას, რომლზეც იმყოფებიან ცხოვრებისეული ფუფუნების მოსაწყობად იყენებენ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქართველმა მაყურებელმა დაინახოს რა ხდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ თემასთან დაკავშირებით და შეაფასოს არსებული მდგომარეობა.

2.1.ტურიზმი (ენოტურიზმი)

დღესდღეობით ტურიზმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ძალიან პოპულარული მოვლენაა და ის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ამ ქვეყნების ცხოვრებაში, რადგანაც სარფიან ბიზნესთა ნუსხაში ირიცხება. წარმატებული ტურისტული ბიზნესი ქვეყნის ეკომომიკურ მდგომარეობაზეც აისახება, რადგანაც აქედან სარგებელს ნახულობს, როგორც მოსახლეობის ნაწილი, აგრეთვე სახელმწიფოც. „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნები გამოირჩევა თავისი ტურისტული ზონებით და ტურისტების რაოდენობით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებული გამოცდილებები, ამ ქვეყნების ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებმა კარგად იციან, როგორ აქციონ გარკვეული ზონები ტურისტებისთვის მიმზიდველ და პოპულარულ ადგილებად. ამიტომაც ქართველი ჟურნალისტების მიერ ამ თემის წინ წამოწევა ემსახურება იმ მიზანს, რომ ქართულ საზოგადოებას წარმოდგენა შეექმნას რა სიტუაციიაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ საკითხთთან დაკავშირებით, რა გზები გაიარეს ამ ქვეყნებმა იმისათვის, რომ წარმატებულ ტურისტულ ზონებად ექციათ თავიანთ ქვეყანაში შემავალი ის ადგილები, რომლებსაც გარკვეული ტრადიციები უკავშირდება.

ჩემს მიერ საკვლევად აღებული გადაცემებიდან ჩანს, რომ გადაცემის ავტორები ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას თითქმის ყველა გადაცემაში ცდილობენ. ჟურნალისტების მიზანია, რომ ქართველ მაყურებელს გააცნონ ის გამოცდილებები, რომლებიც გააჩნიათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია ქართველი მაყურებლისთვის, რადგანაც საქართველო დღესდღეობით დგამს პირველ ნაბიჯებს ტურისტული ბიზნესის განვითარების გზაზე. აქედან გამომდინარე, ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცონდაც, თუ რა შეცდომები დაუშვეს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა თავიანთი წარმატებული ტურისტული ბიზნესის წარმოების პროცესში. ამიტომაც ჟურნალისტები ცდილობენ განიხილონ ის შეცდომებიც, რომლებიც თან ახლავს ქვეყნებში პოპულარული ტურისტული ზონების შექმნას. ჩემს მიერ შერჩეული გადაცემებიდან ჩანს ისიც, რომ განსხვავებული მდგომარეობაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. გადაცემის ავტორები განსხვავებულ

აქცენტებს სვამენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტურისტული ბიზნესის წარმოდგენისას.

2.1.1.წარმატებულ ტურისტულ ბიზნესად ქცეული კომუნისტური მემკვიდრეობა

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე ჟურნალისტები, ყოველთვის ცდილობენ განიხილონ კომუნისტურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თემები. ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ შეძლებს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა საბჭოთა მემკვიდრეობის ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება. ტურიზმთან დაკავშირებული კომუნისტური მემკვიდრეობის თემა განხილულია მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში-პოლონეთში. გადაცემის გასვლის პერიოდში ეს ქვეყანა უკვე 10 წლის განმავლობაში იყო „ევროკავშირის" წევრი ქვეყანა. ის ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი ქვეყანაა, ამიტომაც ამ ქვეყანაში განსხვავებული მდგომარეობაა, სხვა უფრო ადრეულ წევრებთან შედარებით. საქართველოსთან მიმართებაში ამ ქვეყანაზე გასული გადაცემა განსაკუთრებით საყურადღებოა, რაგადნაც პოლონეთი საქართველოს მსგავსად კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყანაა და გადაცემის ავტორების მიერ ხაზი გასმულია იმ მოვნელაზე, თუ როგორ შეძლო მან კომუნისტური რეჟიმისაგან განთავისუფლება და ახალი ცხოვრების დაწყება, ისე რომ ეს წარსული მომგებიან ბიზნესად ექცია. ამის დამადასტურებელი ბევრი მაგალითია ნაჩვენები გადაცემაში, ერთ-ერთი მათგანია კომუნისტური რეჟიმისდროინდელი ბინა, რომელშიც თავმოყრილია ამ რეჟიმის დროიდან შემორჩენილი ავეჯი და სხვა საოჯახო მოწყობილობები, რომლებსაც გამოიყენებდა იმ პერიოდის დიასახლისი. ამ ბინაში არსებული თითოეული ნივთი განხილულია ჟურნალისტების მიერ, როგორც მოუხერხებელი იმ პერიოდის დიასახლისებითვის. დღესდღეობით ეს ბინა ტურისტებისთვის არის გამიზნული და გადაცემის ავტორების მიერ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ეს არ არის მონატრებული წარსული, არამედ სარფიან ბიზნესად ქცეული ტურიზმის ერთ-ერთი სახეობაა. პოლონეთის შემთხვევა მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ როგორ იქცევა წარსულის, თუნდაც არასასიამოვნო და არასახარბიელო მემკვიდრეობა თანამედროვეობის წარმატებული ტურისტული ბიზნესის საწარმოებლად.

პოლონეთში კომუნისტური რეჟიმისდროინდელი მშრომელების ქანდაკებები დღემდე დგას და პოლონელი გიდი, რომელიც გადაცემის ავტორებს ათვალიერებინებს ვარშავის ტურისტულ ზონებს, აღნიშნავს, რომ პოლონელი ხალხი პატივს სცმეს ამ ქადნაკებებს, არავის აზრად არ მოსდის მათი შეურაცხყოფა ან დაზიანება, რადგანაც ამ შემთხვევაშიც, ისინი აცნობიერებენ, რომ წარსულის მემკვიდრეობა შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც ტურისტებისთვის მიმზიდველი სანახაობა, თანაც აქ ხაზი ესმევა, იმ მოვლენას, რომ ეს ქანდაკებები შრომის სიმბოლოდ არის დადგმული პოლონეთში. გადაცემის ავტორები ამ ფაქტის აღნიშვნით ქართულ რეალობასთან ავლებენ პარალელს, რომელშიც იკითხება ის, რომ საქართველოში ხშირად აზიანებენ იმ ძეგლებს, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის გადმონაშთია. ამ ნაწილით ჟურნალისტებს ქართველი მაყურებლისთვის უნდათ იმის ჩვენება, რომ ქვეყანას შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს წარსულის, თუნდაც ის მემკვიდრეობა, რომელიც არცთუ სახარბიელოა.

ჟურნალისტებმა შეძლეს კარგად ეჩვენებინათ ქართველი მაყურებლისთვის, თუ როგორ შეიძლება საბჭოთა მემკვიდრეობას ერთად მოუყარო თავი და ტურისტებისთვის საინტერესო ადგილად აქციო. საქართველოში საბჭოთა კავშირის ძეგლებს ხან ყრიდნენ, ხან კი ისევ ძველ ადგილას აბრუნებდნენ. არ იყო ჩამოყალიბებული პოზიცია იმის შესახებ, თუ რა უნდა მოეხერხებინათ ამ ძეგლებისთვის, უნგრელებმა კი გადაწყვიტეს ერთად მოეყარათ თავი საბჭოთა დიქტატურისა და ძლიერების აღმნიშვნელი სიმბოლოებისთვის. „უნგრეთში ეს ერთადერთი ადგილია, სადაც „საბჭოთა კავშირი ცოცხლდება და აქვე სრულდება''-გვეუბნება ერთ-ერთი გადაცემის ავტორი. ამით კი მან მაგალითი უჩვენა ქართულ საზოგადოებას და გარკვეულწილად, რჩევის სახითაც გაიჟღერა მის მიერ წარმოთქმულმა წინადადებამ. ჟურნალისტი, აგრეთვე, ფიქრობს, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც დასავლეთისკენ სვლა არჩიეს, არ უჭირთ საბჭოთა წარსულის შეფასება, და უფრო მეტიც, ამ წარსულის განსაკუთრებულ პოპულარულ ტურისტულ პროდუქტად ქცევა. როგორც ვიცით, საქართველოს ამ გადაცემის შექმნის პერიოდისთვის უკვე აღებული აქვს კურსი დასავლეთისკენ, უნგრეთის მსგავსად ჩვენი ქვეყანაც საბჭოთა დიქტატურის გავლენის ქვეშ ათეული წლების განმავლობაში იყო მოქცეული, ამიტომაც მსგავსი მაგალითები ნამდვილად

არის ნათელი ნიმუში იმისა, თუ როგორ უმკლავდებიან ქვეყნები წარსულის გადმონაშთებს და ცდილობენ ევროპულ ყაიდაზე მოწყობას. მაგალითად, ბუდაპეშტში მიწისქვეშა მუზეუმში იმ ამბოხებულებს იხსენებენ, რომლებიც საბჭოთა ბატონობას წინ აღუდგნენ და საბჭოთა ტყვიის მიერ მიყენებული გამჭოლი ჭრილობის გამთელებას ცდილობდნენ.

ბულგარეთზე გასული გადაცემა ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო ელემენტებს შეიცავს იმ კუთხითაც, რომ პოსტკომუნისტური ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა. ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გადაწყვიტა დასავლეთის კურსის აღება და 2007 წელს მიაღწია კიდევაც იმას, რომ „ევროკავშირის“ წევრი ქვეყანა გამხდარიყო. ბულგარეთი ,,ევროკავშირის შედარებით ახალი წევრია, თანაც ის ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, აქედან გამომდინარე, ამ ქვეყანაზე გასული გადაცემა ახლოს არის ქართველ მაყურებელთან და ძალიან ბევრ საინტერესო და სამაგალითო ელემენტს შეიცავს. გადაცემაში აღნიშნული ფაქტები, გარკვეულწილად, რეკლამის და მაგალითის სახით არის გამოყენებული ქართველი მაყურებლისთვის. თუმცა, ბულგარეთის შეემთხვევაში განსხვავებული სურათი იხატება იმ კუთხით, რომ ამ ქვეყანამ საბჭოთა მემკვიდრეობის ძეგლები ჩაანაცვლა, თანამედროვეობისთვის მისაღები ფიგურებით. ტურისტებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია წმინდა სოფიას მონუმენტი. წმინდა სოფია არის ქალი, რომლის ქანდაკებამაც ის ადგილი დაიკავა, რომელიც 2000წლამდე ლენინის ძეგლს ეკავა. ეს მიმანიშნებელია იმაზე, თუ როგორ ცდილობს ბულგარეთი წარსულის არასასიამოვნო მემკვიდრეობა, შეცვალოს თანამედროვეობისთვის მისაღები ფიგურებით, რომლებიც საინტერესო და მიმზიდველი იქნება, როგორც მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვისაც. ამ შემთხვევაში პარალელი გავლებულია ქართულ რეალობასთან, იმ კუთხით, რომ ჩვენს ქვეყანაშიც მოხდა მსგავსი ფაქტი, როდესაც ლენინის ძეგლის ადგილი დაიკავა წმინდა გიორგის მონუმეტმა, ამ შემმთხვევაშიც, გარკვეულწილად გათვლა გაკეთებულია ტურისტების მისაზიდადაც.

ტურიზმის თემასთან დაკავშირებით გადაცემა ,,ევროტურის“ ფარგლებში გამოიყოფა კიდევ ერთი ქვეთავი, რომელსაც ჟურნალისტები კონკრეტული ქვეყნის ბუნების დახასიათებით წარმოგვიდგენენ. ამ ქვეთავთან დაკავშირებით, ლუქსემბურგის

პარლამენტის ერთ-ერთი წევრისაგან აღებული ინტერვიუდან ირკვევა, რომ ეს ადამიანი ნამყოფია საქართველოში და ის ადარებს ამ ორი ქვეყნის ბუნებას ერთმანეთს. პარლამენტის წევრი აღნიშნავს, რომ ლუქსემბურგს არ აქვს ბუნების ის მრავალფეროვნება, რომლითაც ასე გამორჩეულია ჩვენი ქვეყანა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პასაჟი ქართველი მაყურებლისთვის, რადგანაც იმ ქვეყნის წარმომადგენელი, სადაც ასეთ დონეზეა ტურისტული ბიზნესი განვითარებული, აღნიშნავს საქართველოს იმ დადებით მხარეს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ბიზნესის განსავითარებლად.

2.1.2.ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბუნება ტურიზმის ჭრილში

ქვეყნის ბუნებრივ მონაცემებთან დაკავშირებით განხილულია სლოვენიის მაგალითიც, რომელიც განთქმულია თავისი მარილის საბადოებით. მარილის მომპოვებელი საბადოები, გარდა იმისა, რომ უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ქვეყნისთვის, ტურისტულ ზონადაც არის ქცეული, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი მკაცრად კონტროლდება. ამ მიდამოებზე მიწას იმდენად უფრთხილდებიან, რომ ტურისტებისთვის ბილიკებზე გადასვლა აკრძალულია, ამ ტერიტორიაზე ვერ შემოდიან მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ დააზიანონ ეს მიდამოები მარილის საბადოების გარდა ეს ადგილი ტურისტებისთვის საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ უამრავი ფრინველი იყრის ერთად თავს, მათზე დაკვირვება სიამოვნებას ანიჭებთ ტურისტებს.

კონკრეტულ ქვეყანაში ბუნებას მნიშვნელოვანი ადგილი, რომ უჭირავს ტურისტული ბიზნესის განვითარებაში, ამის დასადასტურებელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ,,ევროკავშირის“ წევრი ქვეყანა-უნგრეთი. როგორც გადაცემიდან ჩანს, უნგრეთი დიდ ყურადღებას უთმობს სანადირო და სათევზაო ზონების კეთილმოწყობას, რადგანაც ტურიზმის ეს სახეობები ძალიან პოპოლარულია ამ ქვეყანაში. რეალურად დღეს საქართველოშიც არსებობს იმის პოტენციალი, რომ ეს სფეროები განვითარდეს და ამ ქვეყანაშიც იქცეს ტურიზმის პოპულარულ სახეობად, ამისათვის კი საჭიროა თევზაობისა და ნადირობის ტრადიციები მოერგოს გარკვეულ

სტანდარტებს, რომლებსაც „ევროკავშირი“ აწესებს თავისი წევრი ქვეყნებისთვის, აგრეთვე იმისთვისაც, რომ საინტერესო და მიმზიდველი გახდეს თანამედროვე ტურისტისთვის. აქედან გამომდინარე, ამ თემებზე ჟურნალისტების მხრიდან აქცენტის გაკეთება გასაგებია და საინტერესოც ქართველი მაყურებლისთვის. ამ გადაცემის ფარგლებში ქართველ მაყურებელს შეუძლია ნახოს, თუ როგორ შეძლო უნგრეთმა საბჭოთა მემკვიდრეობის თავის სასარგებლოდ გამოყენება უკვე „ევროკავშირის“ ფარგლებში.

ამის კიდევ ერთი მაგალითია ქალაქი ვარნა, რომელიც არის განთქმული ოქროს ქვიშით, რომელიც ასე პოპულარულია ტურისტებში. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაშიც მოიძებნება ქალაქი, რომელიც განთქმულია თავისი ქვიშით და მისთვის დამახასიათებელი სასარგებლო თვისებებით. ტურისტები ამ ქალაქის მაგალითს გვიჩვენებენ იქიდან გამომდინარე, რომ ქართველ მაყურებელს დაანახონ, თუ როგორ იყენებენ ქვეყნები ბუნებრივ მოცემულობებს ტურისტების დასაინტერესებლად.

უნგრეთზე გასული სიუჟეტი იწყება დიდი სათევზაო და სანადირო ზოლის აღწერით, რომელიც ადრეც არსებობდა. „თუმცა საბჭოთა რეჟიმის დროს აქ მხოლოდ საბჭოთა ელიტა თუ დადიოდა“-აღნიშნავს ერთ-ერთი ჟურნალისტი. აქედან გამომდინარე, ვხვდებით, რომ საბჭოთა კავშირის დროს ეს ტერიტორიები არ იყო კარგად ათვისებული და ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენებული, არამედ მხოლოდ პრივილეგირებულ ადამიანებს თუ შეეძლოთ მისით სარგებლობა და სიამოვნების მიღება. „ეხლა კი ჩემნაირ მოქალაქესაც შეუძლია აქ ჩამოსვლა და ნადირობა“-ამბობს ერთ-ერთი გადაცემის ავტორი. ამ შემთხვევაში, სიტყვა „ჩემნაირი“ მიუთითებს იმაზე, რომ „ევროკავშირის“ ფარგლებში ეს საზღვრები მოხსნილია და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს ,,ევროკავშირის“ წევრი ქვეყნიდან, ეძლევა აქ ჩამოსვლის უფლება და შეუძლია სიამოვნება მიიღოს, როგორც თევზაობისგან აგრეთვე ნადირობისგან. გადაცემის ავტორების მიერ ხაზგასმულია ისიც, რომ უნგრეთში ძალიან ბევრი რამე კეთდება იმისათვის, რომ ტურისტებმა მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ ამ ქვეყანაში ყოფნისგან და კმაყოფილები დარჩნენ ქვეყანაში არსებული ტურისტული მომსახურებით.

ათეულობით სახეობის თევზის დაჭერა ტურისტებს უნგრეთის ნებისმიერ ტბაში შეუძლიათ. სათევზაო ტურიზმის ამ ქვეყანაში საკმაოდ წარმატებული ბიზნესია და ამიტომაც მის განვითარებაზე როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო წყალსაცავების მფლობელებიც ზრუნავენ. ჟურნალისტები ქართველ მაყურებელს ამ ნაწილით მოუწოდებენ და აჩვენებენ, რომ მარტო სახელმწიფოს მიზანი არ უნდა იყოს ტურიზმის განვითარება და მოსახლეობამაც აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი თავის მხრივ, ერთობლივი მონდომებით კი საქმე აუცილებლად გაკეთდება. თევზაობისთვის აუცილებელია შესაბამისი ლიცენზიის აღება, ანუ, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი ქმედება გარკვეულ წესებს და სტანდარტებს ემორჩილება. მეწარმე ტბას ორ ნაწილად ყოფს: ტურისტებისთვის და მეურნეობისთვის. წყალში ადამიანისთვის და თევზებისთვის საშიში ბაქტერიები რომ არ გავრცელდეს საჭიროა მუდმივად სინჯების აღება და ხარისხის კონტროლი. ჟურნალისტები ამ სახით ქართველ მაყურებელს აწვდიან ინფორმაციას, თუ როგორ უნდა იყოს მოწესრიგებული ბიზნესი, რისი გაკეთება შეიძლება და იმ კუთხითაც აკეთებენ აქცენტს, თუ რა მოთხოვნები აქვს ევროკავშირს და როგორ ემორჩილებიან მეწარმეები ამ სტანდარტებს, რათა ბიზნესი უფრო მომგებიანი იყოს.

ეს ცვლილები, რომლებიც ზემოთ არის აღნიშნული, ბოლო ოცი წლის შედეგია, რაც უნგრეთმა საბჭოთა კავშირს თავი დააღწია. ეს ნაწილი მნიშვნელოვანი გზავნილია ქართველი მაყურებლისთვის, რადგანაც ჩვენი ქვეყანაც უნგრეთის მსგავსად კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყანაა, აქედან გამომდინარე საინტერესოა, როგორ შეძლო უნგრეთმა განვითარება საბჭოთა კავშირისაგან თავის დაღწევის შემდეგ და როგორ შექმნა წარმატებული ტურისტული ბიზნესი.

 უნგრეთის მაგალითზე პარალელი გავლებულია საქართველოსთან იმ აბანოების ჩვენებით, რომლებიც უნგრეთში მრავლად არის და საკმაოდ პოპულარულიც, როგორც ვიცით, საქართველოც ცნობილია ბუნებრივი თბილი წყლებით, თუმცა ბუნების ეს საჩუქარი ნაკლებად არის ათვისებული და ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენებული. ამიტომაც, ეს სიუჟეტი გარკვეულწილად რეკლამას უკეთებს აბანოებს, რომლებიც საკმაო შემოსავლითაც გამოირჩევიან და უნგრეთში კარგი ნადირობის შემდეგ, როცა ლიცენზიას აიღებ და კანონსაც არ დაარღვევ, აბანოები შეუდარებელი რელაქსაციის

საშუალებაა. აქ კარგად არის გაკეთებული აქცენტი იმაზე, რომ ნადირობის დროსაც არ უნდა დაარღვიოს მოქალაქემ კანონი, ეს არის ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი მიიღო და პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე თითოეულმა მოქალაქემ.

2.1.3.ისტორიული ძეგლების საკითხი ტურიზმის ფარგლებში

ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის ფარგლებში განხილული ისტორიული ძეგლების საკითხიც. თუ რა მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული ქვეყნის ისტორიულ ძეგლებს ტურიზმის ჭრილში, შეგვიძლია დავინახოთ ბელგიის მაგალითიდან. ბელგიაზე გასული გადაცემიდან ჩანს, რომ ამ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული ტურიზმი. ამის დასადასტურებელ პირველ მაგალითად გვიჩვენებენ ერთ-ერთ ადგილს, რომელიც ძალიან პოპულარული და საყვარელი ადგილია ტურისტებისთვის. კერძოდ, ბრიუსელში ნაჩვენებია 102 მეტრი სიმაღლის შენობა-ატომიუმი, რომელიც ევროპის დედაქალაქის სიმბოლოდ მიიჩნევა და ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ შენობადაც, ეს კომპოზიცია 55 წელია რაც ბრიუსელში დგას და აღსანიშნავია, რომ არასდროს ყოფილა დავა იმის შესახებ უნდა იდგეს თუ არა ატომიუმი ამ ადგილას. ბრიუსელში კულტურულ და თუნდაც არქიტექტურულ სიჭრელეს ზედმეტად არავინ განიცდის. ბელგიელები არ დაობენ ურბანულ სიახლეებზე, თუმცა პატივს სცემენ ისტორიულ მემკვიდრეობასაც, რომელიც ქვეყნის მთავარ ტურისტულ სანახაობებად არის ქცეული, მაგალითად 12 საუკუნოვანი გრანდ პალასის მოედანი, ტურისტების შეკრების ეპიცენტრი, ამ ნაწილში კარგად არის ნაჩვენები, რომ როგორც თანამედროვე არქიტექტურა, ასევე ძველი ისტორიული მემკვიდრეობაც, თავის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის ცხოვრებაში. აქ გარკვეულწილად იკითხება იმის შესახებ მნიშნელოვანი მინიშნება, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრება სახელმწიფოს მთავრობასა და მოსახლეობას შორის დამოკიდებულია მოსახლეობის შეგნებასა და კანონის მორჩილებაზე და აგრეთვე მთავრობის მიერ ისტორიული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებაზე.

ბელგიელებმა კარგად იციან ნებისმიერი პროდუქციის სარფიან ბიზნესად ქცევა. მაგალითად, ლეგენდის ყველაზე პოპულარულ პროდუქტად ქცევის ერთ-ერთი

ნიმუშია ისტორიული მოედნიდან 200 მეტრში მდგარი, სულ რაღაც 60 სმ-იანი პატარა ძეგლი, რომელიც თავისი სიდიდის მიუხედავად დიდი რეპუტაციით სარგებლობს. ეს არის ბიჭუნა, რომელმაც ბუნებრივი ხერხით გადაარჩინა ბრიუსელი ხანძრისგან. აქ ჩანს ქართველი მაყურებლისადმი გათვლილი გზავნილი, თუ როგორ შეიძლება ნებისმიერი რამ, რომელსაც გარკვეული ღირებულება ენიჭება ქვეყნის ცხოვრებაში, აქციო ტურისტებისთვის მიმზიდველ სანახაობად.

ისტორიული ძეგლების განხილვის კუთხით უმნიშვნელოვანესი მაგალითია საბერძნეთიც, რომელიც აგრეთვე „ევროკავშირის“ შედარებით ძველი წევრია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი ის, რომ გადაცემის გასვლის პერიოდში ქვეყანა დიდი ეკონომიკური კრიზისის წინაშე იდგა, თუმცა მიუხედავად ამისა ტურისტების ნაკლებობა არ იგრძნობოდა. ამის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი არის, ის რომ საბერძნეთი კულტურული მემკვიდრეობით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. ტურისტებისთვის მიმზიდველია ერთ-ერთი მთავარი სანახაობა-აკროპოლისი. საბერძნეთი ცნობილია, აგრეთვე თავისი მთავარი სიძველით-პართენონით, რომელიც ათენის გულად ითვლება, ეს არის 2500 წლის ტაძარი. მის დასათვალიერებლად წელიწადში მილიონობით ტურისტი ჩამოდის და აგრეთვე იმისთვის, რომ მოინახულოს ის ადგილები ,,სადაც დაიბადა დემოკრატია“ და სადაც ცხოვრობდნენ ჰიპოკრატე, სოკრატე და მრავალი სხვა ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. საბერძნეთის შემთხვევაშიც, გადაცემის ავტორები ცდილობენ ქართველ მაყურებელს აჩვენონ, თუ როგორი მომგებიანია ქვეყნისთვის კულტურული მემკვიდრეობის დაფასება და წარმატებულ ტურისტულ ბიზნესად ქცევა. ნაჩვენებია როგორ უფრთხილდებიან ქვეყანაში ამ მემკვიდრეობას და ამის დასადასტურებლად მოყვანილია ის მაგალითი, რომ რესტავრატორები რომლებიც, ნებისმიერი შენობის იერსახის განახლებაზე და შენარჩუნებაზე ზრუნავენ, უდიდესი სიფრთხილით ეკიდებიან საქმეს და განსაკუთრებულ სპეციალურ ხსნარებს და სითხეებს იყენებენ ამ პროცესისთის. მათი მიზანია არცერთ შემთხვევაში არ დაზიანდეს ეს შენობები და არ დაეკარგოს პირვანდელი სახე.

ზემოთ განხილული საკითხის ფარგლებში მნიშვნელოვანია საფრანგეთის მაგალითის განხილვაც. ფრანგებმა, აგრეთვე, კარგად იციან როგორ აქციონ კულტურული მემკვიდრეობა მომგებიან ტურისტულ ბიზნესად, საფრანგეთში ერთ-ერთ რეგიონში პროვანსში ძალიან პოპულარულ ტურისტულ ზონად არის ქცეული უძველესი ციხე-სიმაგრე, რომელშიც სასტუმროს ნომრებად არის გადაკეთებული ის ოთახები, რომლებიც ციხესიმაგრეში იყო გამოჭრილი. სატუმროს ეს ნომრები მთელს მსოფლიოში განთქმულია თავისი სილამაზით და აგრეთვე იმ განსაკუთრებული ფასით, რაც ამ ნომრებში მოსათავსებლად არის დაწესებული.

სლოვენია, აგრეთვე, ცნობილია თავისი ციხე-სიმაგრით, რომელიც 5 საუკუნეზე მეტს ითვლის და მთავარ სიამაყედ ითვლება ამ ქვეყნისთვის. ამ ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზეც ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ტურისტებმა ყველა მომსახურების მიღება შეძლონ უმაღლეს დონეზე და კმაყოფილები დარჩნენ. ინფრასტუქტურაც მაქსიმალურად მორგებულია ტურისტების სიამოვნებაზე.

2.1.4.ევროკავშირის წევრი ქვეყნების ზომის მნიშვნელობის განსაზღვრა ტურიზმის ჭრილში

საქართველო, როგორც ვიცით, სიდიდით პატარა ქვეყანაა, თუმცა იმის დასამტკიცებლად, რომ წარმატებული ტურისტული ბიზნესის ასაღორძინებლად ქვეყნის ზომას მნიშვნელობა არ აქვს, ჟურნალისტებს აღებული აქვთ ლუქსემბურგის მაგალითი. ლუქსემბურგი - ქვეყანა, რომელიც საქართველოზე პატარაა, მაგრამ საქართველოსთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე დგას თავისი ტურისტული ზონებითა და ტურისტული მომსახურებით. ამ გადაცემის პროცესში გადაცემის ავტორები ლუქსემბურგში ტურისტული მარშრუტით გადაადგილდებიან და აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ შუა აგვისტოში უჩვეულო ამინდის მიუხედავად, ამ ქვეყანას ტურისტები მაინც არ აკლია.

ტურიზმი კარგად არის განვითარებული კუნძულ მალტაზეც. მისი დედაქალაქი-ვალეტა ევროპულ ოჯახში ყველაზე პატარა დედაქალაქია, თუმცა წელიწადში მილიონზე მეტი ტურისტი ჩამოდის და სიამოვნებას იღებს ამ ქალაქისგან, აქ არსებული კომფორტული ტურისტული მომსახურებისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქალაქში

დამსვენებლებს კრიმინალი არ აწუხებთ, რადგანაც ყველა ზრუნავს უსაფრთხოების ზომების დაცვაზე და იმაზე, რომ ტურისტებმა თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნონ. ამ ფაქტის აღნიშვნით, ჟურნალისტები ქართველი მაყურებლისთვის გარკვეულ გზავნილს ქმნიან, რადგანაც, როგორც ცნობილია საქართველოში იშვიათობა არ არის ტურისტებისადმი მიმართული კრიმინალი. კუნძულ მალტაზე განსაკუთრებით იგრძნობა მეზობელი ქვეყნის იტალიის გავლენა არქიტექტურაზე, თუმცა ამ ქვეყანაში განსაკუთრებით გამორჩეულია აივნები, რომლებიც აქაურ სახლებს ამშვენებს და რთულია ეს აივნები რამეს მიამსგავსო. ანუ ჟურნალისტების მიერ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში მეზობელი ქვეყნის გავლენაც იგრძნობა, მაგრამ ამავდროულად თავისი ინდივიდუალური თვისებებითაც გამოირჩევა, რომლის მეშვეობითაც ტურისტებში პოპულარულობას იძენს. ძალიან მნიშვნელვანია ის ფაქტიც, რომ მალტაში ქუჩები მანქანებით არ არის გადატვირთული და ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად მორგებულია ტურისტებზე. აქ აქცენტი კეთდება იმაზე, რომ „ევროკავშირის“ ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის ცდილობენ მაქსიმალურად უზრუნველყონ ტურისტებისთვის კომფორტული გარემო, რადგანაც ისინი აცნობიერებენ, რომ ეს ბიზნესი მათთვის მომგებიანია. აქედან გამომდინარე, მალტელებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წმინდანის ხსენების დღე ტურისტული სეზონისთვის დაემთხვიათ და უფრო მიმზიდველი გაეხადათ ტურისტებისთვის ამ ქვეყანაში ჩამოსვლა. ამ მოვლენის აღნიშვნით, გადაცემის ავტორები გვეუბნებიან რომ, ქვეყანამ წარმატებული ტურისტული ბიზნესისთვის აუცილებელია მონდომება და ცოდნა, რომლის მეშვეობითაც დაისახება სტრატეგიები ბიზნესის სწორად საწარმოებლად.

განსხვავებულია ხორვატიის მაგალითი. როგორც ცნობილია ხორვატია ,,ევროკავშირის“ 28-ე ქვეყანაა და ამ გაფართოებას ბევრმა ქვეყენამ სკეპტიკურად შეხედა. გადაცემაში ნაჩვენებია ხორვატიის ერთ-ერთი პატარა ქალაქი-რიჯეკა. „ამ პატარა ქალაქში თითქოს დროა გაჩერებული“ -აღნიშნავს ერთ-ერთი გადაცემის ავტორი, ამით მიგვანიშნებს, რომ ამ ქალაქში ჯერჯერობით საინტერესო არაფერია და ცხოვრების აქტიური ტემპით არ გამოირჩევა. ამას კი ჟურნალისტის აზრით, განაპირობებს ის, რომ ეს ქვეყანა „ევროკავშირის“ ახალი წევრია და მარტივი არ არის იმ სტანდარტების დანერგვა,

რომლებიც „ევროკავშირს“ აქვს. ამიტომაც ჟურნალისტის თქმით, ამ ქვეყანაში შესამჩნევია „ევროკავშირის“ ახალი წევრობა და ის მოუწესრიგებლობა, რომელიც ზოგადად „ევროკავშირის“ ქვეყნებს არ ახასიათებთ ხოლმე. გადაცემის ავტორები ცდილობენ ქართველ მაყურებელს აჩვენონ, რომ მაშინაც კი, როცა უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანა ხდები, ბევრი სამუშაოა გასაწევი, იმისათვის რომ სათანადო სტანდარტებს დაეწიო, აგრეთვე ცდილობენ აჩვენონ ისიც, რომ მომენტალური ცვლილებების იმედი არ შეიძლება ქონდეთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის ახალი წევრები ხდებიან.

2.1.4.ლიტერატურულ ნაწარმოებზე დაფუძნებული ტურისტული მარშრუტი

ქართველი მაყურებრლისთვის მნიშვნელოვანია შვედეთის მაგალითიც. ამ ქვეყნის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ როგორ შეძლო შვედმა ხალხმა, ერთ-ერთი თანამედროვე შვედი მწერლის მიერ შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოების გამოყენებით წარმატებული ტურისტული ბიზნესის განვითარება. ამის დამადასტურებელ მაგალითად არის მოყვანილი შვედი მწერლის სტიგ ლარსონის ტრილოგია „გოგონა დრაკონის ტატუთი'' და ამ რომანის მიხედვით შედგენილი ტურისტული მარშუტი სახელად „მილენიუმი.'' სტოკჰოლმში, ამ ტურის მეშვეობით, იმ ადგილების ნახვაა შესაძლებელი, რომლებიც წიგნშია აღწერილი, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ზუსტად იგივე მარშრუტი გაიაროს, რომელსაც ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გადიოდა. მწერლის პოპულარულმა სახელმა ტურისტებიც წაახალისა და ასე იქცა მომგებიან ტურისტულ ბიზნესად ეს ჩანაფიქრი.

გადაცემის ერთ-ერთ ავტორთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ მათი გადაცემის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ქართველი მაყურებლებისთვის ეჩვენებინათ თუ როგორი რთულია იყო „ევროკავშირის“ წევრი ქვეყანა, რამდენი ეტაპი უნდა გაიარო იმისთვის, რომ ამ გაერთიანებაში გაწევრიანდე და მიიღო ის სიკეთეები, რომლებსაც ის გასცემს იმ მოთხოვნების სანაცვლოდ, რომლებსაც თავის წევრ ქვეყნებს უწესებს. ეს გადაცემა ქართველ ხალხს ამზადებს იმისათვის , რომ გაიგონ თუ რამდენად

ხანგრძლივი პროცესია ევროინტეგრაცია და ქვეყანაში იმ სტანდარტების დამკვიდრება, რომელსაც ევროკავშირი თავის მხრივ უწესებს წევრ ქვეყნებს.

2.1.5.ენოტურიზმი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

ევროპის მასშტაბით მეღვინეობა და მასთან დაკავშირებული ტრადიციები ტურიზმის ერთ-ერთ პოულარულ სახედ არის ქცეული და მას „ენოტურიზმი“ ეწოდება. „ევროკავშირი“ ცდილობს ეს უდიდესი ტრადიცია თანამედროვეობას მოერგოს და ამ სახით გახდეს მსოფლიოსთვის საინტერესო. ცნობილია, რომ „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში ღვინის წარმოების უდიდესი გამოცდილება არსებობს, ეს დარგი სარფიან ბიზნესად არის ქცეული, თუმცა აქაც „ევროკავშირს“ თავისი მკაცრი სტანდარტები აქვს დაწესებული, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მისი წევრი ნებისმიერი ქვეყანა.

ერთ-ერთი ქვეთავი, რომელიც „ევროტურის“ გადაცემებიდან ტურიზმის თემასთან დაკავშირებით გამოიყო არის-ენოტურიზმი. ენოტურიზმი ორი ქვეყნის მაგალითზეა განხილული, და ეს ქვეყნებია : სლოვაკეთი და საფრანგეთი, რომლებიც ტრადიციული მეღვინეობის კულტურით არიან გამორჩეულები. ჩემი კვლევისათვის შერჩეული გადაცემებიდან სლოვაკეთზე გასული სიუჟეტი არის ერთ-ერთი, რომელშიც მეღვინეობა და მასთან დაკავშირებული თემებია განხილული. სლოვაკეთში ღვინის წარმოების უდიდესი ტრადიცია არსებობდა ოდითგანვე, თუმცა როგორც ვიცით, ,,ევროკავშირი“ ყველა სფეროში თავის სტანდარტებს აწესებს და ამიტომაც ამ გადაცემაში ქართველი მაყურებლისთვის ხაზგასმით ნაჩვენებია, თუ როგორ შეძლო სლოვაკეთმა მისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ტრადიციის „ევროკავშირის“ სტანდარტებზე მორგება და ამავდროულად მომგებიან ბიზნესის სახეობად ქცევა. თავდაპირველად ვეცნობით ერთ-ერთი სლოვაკი რესპონდენტის განცხადებას, რომელიც აღნიშნავს, რომ სლოვაკეთში ღვინის მწარმოებელ გლეხებს ძალიან ეშინოდათ საერთაშორისო ბაზრის, ეგონათ, რომ თავს შეირცხვენდენ ამ ბაზარზე თავიანთი პროდუქციით. საბოლოოდ მათი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, თუმცა იქამდე ძალაინ მნიშვნელოვანი ეტაპების გავლა გახდა საჭირო. „ევროკავშირის“ ბაზარზე გასვლა ძალიან რთული აღმოჩნდა სლოვაკეთისთვის და ამ რთულ პროცესს დიდი

დროც დასჭირდა. ევროპულ ოჯახში გაერთიანების შემდეგ „ევროკავშირმა“ მოითხოვა სლოვაკეთში ღვინის წარმოების შეწყვეტა იმ მიზეზით, რომ საერთაშორისო ბაზარი არ გადატვირთულიყო ზედმეტი ღვინით და არ გაჯერებულიყო უხარისხო ღვინის სახეობებით. სლოვაკ ხალხს საკუთრ ქვეყანაში წარმოებული ღვინის ექსპორტი შეეზღუდა. თუმცა გადაცემის ავტორების მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ სლოვაკეთში ტრადიციებს მყარი საფუძველი აღმოაჩნდა, გარკვეულწილად მიემართება ქართველ მაყურებელს, რადგანაც მათი მიზანია საზოგადოებას აჩვენოს ის, რომ თუ ტრადიცია ძლიერია და მყარად აქვს ფესვები გადგმული, ასეთ შემთხვევაში „ევროკავშირი“ ხელს არ უშლის მის გავრცელებას, არამედ პირიქით ხელს უწყობს მის განვითარებასა და საერთაშორისო არენაზე წარმოჩენას. სლოვაკეთის შემთხევავშიც „ევროკავშირმა“ ვერ შეძლო წინ აღდგომოდა ასეთ ტრადიციას, რადგან ამ ხალხმა დაამტკიცა, რომ შეეძლო ხარისხიანი და იმ სტანდარტების შესაბამისი ღვინის წარმოება, რომელსაც მისგან „ევროკავშირი“ ითხოვდა. სლოვაკეთს ეს მონდომება დაუფასდა და თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ბაზარზე, აქედან გამომდინარე ტრადიციის შენარჩუნების უფლებაც მიეცა და მისი განვითარებისაც.

ამ გადაცემაში ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ თურმე თანამედროვე ახალგაზრდობამ მეღვინეობისადმი ინტერესი დაკარგა და მათ საუკუნოვან ტრადიციას საფრთხე დაემუქრა, თუმცა აქაც შეძლო სლოვაკეთმა წინააღმდეგობის დაძლევა, მთავრობის ჩარევით მოხდა ისეთი ამხანაგობის შექმნა, რომელიც ამ საკითხის მოსაგვარებლად იზრუნებდა და სამი წელი დასჭირდათ ახალგაზრდა მოსახლეობის ხელახლა დასაინტერესებლად და მევენახეობის გადასარჩენად. ჟურნალისტები ამ ფაქტის აღნიშვნით, იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ სლოვაკეთი და ევროკავშირის სხვა წევრებიც ძალიან დიდ შრომას და ძალისხმევას დებენ იმაში, რომ შეძლონ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, ტრადიციების შენარჩუნება და მოსახლეობის დაინტერესება მსგავსი საკითხებით.

ჩემი კვლევისთვის სლოვაკეთის მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პირდაპირი კავშირია გავლებული საქართველოსთან და აგრეთვე ამის მიზეზია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანაც დგას იმ პრობლემების წინაშე, რაც სლოვაკეთს ჰქონდა და რომლის მოსაგვარებლადაც ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

საქართველო ძალიან დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაა მეღვინეობის დარგში. ცნობილია, რომ ძალიან ბევრი საუკეთესო ხარისხის ჯიში ხარობს ჩვენს ქვეყანაში და რაც მთავარია ძალიან მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ვენახისა და ღვინის მიმართ. საქართველო ცნობილია სადღეგრძელოების ტრადიციითაც, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიციია ქართველებისთვის და რომლითაც ძალიან ამაყობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა. ღვინო ყოველთვის დაკავშირებულია სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციასთან. ეს ფაქტი კი, აღნიშნულია სლოვაკეთზე გასულ სიუჟეტში, რომელიც დატვირთულია იმ ფილმის ნაწყვეტებით, რომელსაც „რაჭა-ჩემი სიყვარული'' ეწოდება. ფილმში კარგად ჩანს ორივე ქვეყნის დამოკიდებულება ღვინისა და ვენახის მიმართ. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში, სანამ რუსეთთან იყო სავაჭრო ურთიერთობა დამყარებული, დაბალი ხარისხის ღვინო იწარმოებოდა, თუმცა ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის შემდეგ, რომლის მთავარი ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებაა, ბევრად ამაღლდა წარმოების, მათ შორის, ღვინის ხარისხიც. სლოვაკეთზე გასული გადაცემა ძალიან მნიშვნელოვანი მაგალითია ქართველი მაყურებლისთვის, რადგანაც სიუჟეტში ნაჩვენებია ის გამოცდილება, რომელიც სლოვაკ ხალხს გააჩნია ღვინის წარმოების საკითხში, უკვე ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ გადაცემაში ნაჩვენებია, როგორ შეძლეს სლოვაკებმა იმ სტანდარტებზე მორგება, რომლებსაც მათ ევროკავშირი უწესებდა და ამავდროულად საუკუნოვანი ტრადიციის შენარჩუნებაც.

საფრანგეთის მაგალითიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემი თემისთვის. გადაცემაში ნაჩვენებია სამხრეთ საფრანგეთის პროვინცია პროვანსი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ვენახის ერთ-ერთი ჯიშის-როზეს სამშობლოა. აქ ჟურნალისტებს საშუალება ეძლევათ რთველის პერიოდში ყველაზე შესაფერის დროს გაეცნონ ფრანგული მეღვინეობის ტრადიციებს. რთველის წინა დღეს, ჟურნალისტი ერთ-ერთი ფრანგი გლეხის ოჯახში ვახშმობს და გვიჩვენებს, რომ ფრანგსაც ქართველი გლეხის მსგავსი ტრადიცია აქვს და ვახშამთან ერთად ღვინოც აუცილებელი ატრიბუტია, აქვე მასპინძელი აღნიშნავს, რომ როზეს მოყვანას განსაკუთრებული კლიმატური პირობები სჭირდება და ამისათვის საუკეთესო პირობებია პროვანსში. ამ კადრიდან გადავდივართ

მეორე ჟურნალისტთან, რომელმაც ამ ქვეყანაში აღმოაჩინა ფრანგი იურისტი, რომელიც საქართველოში ნამყოფია და იმდენად მოხიბლულია მისით, რომ უკან დაბრუნებულმა გადაწყვიტა, წიგნი დაეწერა და ისეთი ადგილი მოეძებნა, რომელსაც სიღნაღს დაუმეგობრებდა .

ფრანგი იურისტი თვლის, რომ საქართველო იმსახურებს ევროკავშირის წევრობას. ამ ადამიანმა საფრანგეთში ქართული ღვინის ძიებაში ქართული კომპანია „სოფრო-ს'' მიერ საფრანგეთში შეტანილი ქართული ღვინო, წყალი და სხვა პროდუქციაც აღმოაჩინა. ეს ჟურნალისტების მიერ გარკვეულწილად რეკლამაა ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვისაც, რომ მოიპოვონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბაზრების კარის გაღების უფლება. ამ პროდუქციის აღმოჩენის შემდეგ ამ ადამიანს არ მოკლებია ქართული ღვინო, რომელიც ასე ძალიან მოსწონს.

საფრანგეთში ენოტურიზმი საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესია ღვინის მწარმოებლებისთვის, განსაკუთრებით იმ შატოებში, რომელთა არსებობა საუკუნეებს ითვლის. ჟურნალისტები გვიჩვენებენ ერთ-ერთ შატოს, რომელსაც შვიდსაუკუნოვანი ისტორია აქვს და წელიწადში 250 ტურისტულ ჯგუფს მასპინძლობს. ქართველ მოსახლეობას აქვს მსგავსი შესაძლებლობები, განსაკუთრებით კახეთის შემთხვევაში, სადაც ვენახისადმი განსაკუთრებით კარგი კლიმატია და პროვანსის მსგავსად, შეიძლება ისეთი ადგილის მოძებნა, სადაც ღვინის წარმოება ხდება და თან წარსულის ტრადიციები კარგად არის გამოხატული, იმისთვის რომ ტურისტების მიზიდვა მოხდეს და განვითარდეს ენოტურიზმი.

ერთ-ერთი ჟურნალისტი საკუთარი გამოცდილებით აჩვენებს ქართველ მაყურებელს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ პროვანსში რთველისა და ვენახის მიმართ, იგი თვითონ ებმება რთველის პროცესში და აღნიშნავს, რომ ეს კახური რთველი არ არის, ამ დისკურსში ჩანს შედარება, საიდანაც ირკვევა, რომ ფრანგები დღესდღეობის სრულიად განსხვავებულად ეკიდებიან ამ საკითხს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რთველის პრცესს, რომელიც იწყება დილის ექვს საათზე. აქაური წესით ყურძენი მანამდე უნდა მოიკრიფოს სანამ ნამი შეაშრება, ყურძნის მარცვალი მოკრეფამდე ვენახში ორჯერ მოწმდება, რათა რთველი ზუსტად იმ დროს დაიწყოს, როცა საკმარის შაქრიანობას

მიაღწევს. ამ კონტექსტში ჟურნალისტების მიერ იმის აღნიშვნაც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველი მაყურებლებისთვის, რომ რთველში ოჯახის წევრებთან ერთად ადგილობრივი სოფლის მაცხოვრებლებიც მონაწილეობენ, თითოეული მათგანი კი ანაზღაურებას მოკრეფილი ყურძნის რაოდენობის მიხედვით იღებს. აქ ხაზგასმულია ის მოვლენა, რომ ყველა თანასწორუფლებიანია და თავისი შრომის შესაბამის ანაზღაურებას იღებს. როგორც ცნობილია საქართველოში ძალიან მწვავედ დგას დამსქმებლისა და მუშახელის ურთიერთობის პრობლემა. ქართველი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღესდღეობით თავისი შრომის შესაბამის ანაზღაურებას ვერ იღებს და არც მუშახელის სამუშაო საათების რაოდენობა კონტროლდება შესაბამისი სამსახურების მიერ, ამიტომაც ჟურნალისტები აქცენტს აკეთებენ იმაზე თუ როგორი კანონმდებლობა აქვს ევროკავშირს ამ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ მევენახეს არა აქვს უფლება ამუშაოს არალეგალი ან 16 წლამდე მოზარდი თუ ის ოჯახის წევრი არ არის. ეს არის მნიშვნელოვანი გზავნილი იმ კუთხით, რომ ქართველმა მაყურებელმა დაინახოს, თუ როგორ არის დამსაქმებლისა და მუშახელის ურთიერთობა მოწესრიგებული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ევროკავშირის მიერ მკაცრად კონტროლდება ყურძნის რაოდენობაც, აწესებს კვოტას თუ რა რაოდენობის მოყვანა შეუძლია მევენახეს, თუმცა ნებისმიერი გლეხი დარწმუნებულია, რომ ის მოსავალი, რასაც მოიყვანს აუცილებლად გასაღდება ევროკავშირის ბაზარზე. ევროკავშირის მიერ ხარისხიც მკაცრად კონტროლდება. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს უმაღლესი ხარისხი ყურძენი საგანგებოდ ხელით იკრიფება და ამიტომაც საკმაოდ ძვირი ღირს. ფრანგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მსგავსი ღონისძიებებით კლიენტები მიიზიდონ და მაქსიმალურად შეძლონ თავიანთი პროდუქტის პოპულარიზება, იმაზე ხაზგასმით, რომ ნატურალური და ხარისხიანია. საფრანგეთში მოსავალი გლეხს თავის მარანში მიაქვს, სადაც სპეციალური აპარატით ყურძნისა და მარცვლის განცალკავება ხდება, ასეთი ტექნიკა დაახლოებით 15000 ევრო ღირს და ევროკავშირის თანადაფინანსებით არის შეძენილი. ეს კონკრეტული ნაწილი ჟურნალისტების მიერ ქართველი მაყურებლისადმი მიმართული გზავნილი, რომელიც იმას ამცნობს ქართველ მაყურებელს, რომ

ევროკავშირი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მომგებიანი ბიზნესის განვითარებას.

საფრანგეთში კატეგორიულად იკრძალება წყლის ან სხვა ნივთიერებების დამატება ყურძნის წვენში. ეს განაპირობა იმან, რომ ფრანგი ენოლოგების აზრით, ჩენჩო და ღერო დაწურვის დროს ყურძნის წვენს გემოს უფუჭებს, ამიტომაც ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ფაქიზად მოექცნენ თავიანთი შემოსავლის წყაროს. ფრანგი მეღვინე აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობას პოზიტიური ცვლილებები მოჰყვება, თუმცა მოთხოვნები და სტანდარტები ძალიან მკაცრია. რაც ყველაზე მთავარია ევროკავშირი თავის წევრ ქვეყნებს ფულს აძლევს განვითარებისთვის, თუმცა ჭარბ წარმოებას არ პატიობს და მკაცრი კონტროლის ქვეშ ყავს ისინი. ფრანგი მეწარმეები კი თვლიან, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობა საუკეთესო არჩევანია. ამ კონკრეტულ ფაქტზე ხაზგასმით, ჩვენ ვხედავთ გადაცემის ავტორების გზავნილს ქართველი მაყურებლის მიმართ. ეს გზავნილი განსაკუთრებულად მიმზიდველად წარმოაჩენს ევროკავაშირს ქართველი მაყურებლის თვალში.

კვლევისთვის შერჩეული გადაცემების ანალიზიდან აღმოჩნდა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ტურიზმი, ღვინის წარმოება და ენოტურიზმი უმნიშვნელოვანესი საკითხებია, რადგანაც ქვეყნები ამ გზით დიდ შემოსავალს იღებენ, სარფიან ბიზნესს აწარმოებენ და თან საშუალება ეძლევათ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა, არქიტექტურა და ა.შ მსოფლიოს გააცნონ და პოპულარული გახადონ, ამას კი მხარს უჭერს ,,ევროკავშირი" და საკუთარი წვლილი მიუძღვის ტურიზმის განვითარებაში. გამომდინარე იქიდან რომ, საქართველოს დღის წესრიგში დგას, იმაზე ზრუნვა, რომ მაქსიმალურად შეძლოს ქვეყანამ ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება. იმის მაგალითები, თუ როგორ ცდილობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები მსგავს სტანდარტებთან მიახლოებას, ქართველი მაყურებლისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ფოკუსი აღებულია იმ ქვეყნებზე, რომლებსაც დიდხნიანი გამოცდილება აქვთ ევროკავშირის წევრობის და ჩვენს ქვეყანას აუცილებლად რჩევის სახით გამოადგება ის მინიშნებები, რომლებზეც ჟურნალისტებს ყურადღება აქვთ გამახვილებული და რაზეც ზემოთ მქონდა საუბარი.

2.2. იუნესკოს დაცული ტერიტორიები

გადაცემა ,,ევროტურის“ ფარგლებში იუნესკოს დაცული ტერიროტიები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ძალიან ხშირად განიხილავენ ჟურნალისტები. გადაცემის ავტორები, გამომდინარე იქიდან რომ, ეს თემა საკმაოდ აქტუალურია საქართველოშიც და ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო იქნება, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას ამ საკითხზე. ისინი ცდილობენ რომ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდონ ქართველ მაყურებელს იუნესკოს მიერ დაცულ ძეგლებზე. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობა ამაყობს თავისი ქვეყნის არქიტექტურული ძეგლებითა და იმ შენობა-ნაგებობებით, რომლებიც ამშვენებენ გარემოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ზრუნავენ მათ მოვლასა და დაცვაზე. „ევროკავშირში“ ამ საკითხთთან დაკავშირებით ძალიან მკაცრი წესები არსებობს და ჩამოყალიბებულია სტანდარტები, რომელთა საშუალებითაც ამ კავშირის წევრმა ქვეყნებმა შეძლეს დღემდე ხელუხლებლად შეენარჩუნებინათი თავიანთი კულტურული და არქიტექტურული მემკვიდრეობა. აგრეთვე, შეძლეს ისიც, რომ ეს კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და მსოფლიოში ცნობილ და პოპულარულ ადგილებად ექციათ.

2.2.1.იუნესკოს მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი

იუნესკოს დაცული ზონების თემის ფარგლებში გამოიყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც იუნესკოს მიერ ქვეყნის კულტურული ძეგლების დაცვას მიემართება. ამ ქვეთავთან დაკავშირებით ქართველი მაყურებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლუქსემბურგის მაგალითი. ლუქსემბურგი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია. ამ ქვეყნის დედაქალაქი-ლუქსემბურგი, გადაცემის გასვლისას აღნიშნავდა იუნესკოს ძეგლთა ნუსხაში შესვლის 20 წლის თავს. სიუჟეტში ნაჩვენებია იუნესკოს მიერ დაცული ზონები, რომლებიც, როგორც ამ ქალაქის გიდი აღნიშნავს, ყველაზე საამაყო ადგილებია. აქ ხაზგასმულია ის მოვლენა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობა

იუნესკოს დაცულ შენობებს საამაყოდ მიიჩნევს და გააზრებულად ემორჩილება მის მიერ ჩამოყალიბებულ მკაცრ კანონებს. ამ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეები უფრთხილდებიან საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას და ზრუნავენ მის დაცვაზე. ჟურნალისტები ცდილობენ გვაჩვენონ, რომ სამოქალაქო შეგნება საკმაოდ მაღალია ამ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში არსებული დამოკიდებულება, რომ ადამიანები საკუთარ მოქალაქეობრივ ვალდებულებად მიიჩნევენ ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას, დადებითად აისახება ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზეც. გადაცემის ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ იუნესკოს დაცული ძეგლებისგან მიღებული ყველა დადებითი მოვლენა აჩვენონ.

ლუქსემბურგში რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც იუნესკოს მხრიდან, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან, კარგად ჩანს იქიდან, რომ ამ ქვეყანაში შენობები დაახლოებით ოთხასი წლისაა და მხოლოდ ვარდისფერ, ყვითელ ან თეთრ ფერებად უნდა იყოს შეღებილი. ფანჯრების ფორმაც და გადახურვაც ყველგან ერთნაირია. შენობები მხოლოდ ადგილობრივი მოყვითალო ფერის ქვითაა ნაგები. ნაჩვენებია კიბეც, რომელიც 400 წელს ითვლის და რომელშიც არანაირი ცვლილება არ შეიძლება შეტანილი იყოს. ამ კუთხით ჟურნალისტები გვიჩვენებენ იმას, თუ როგორი მკაცრი სტანდარტები აქვს იუნესკოს იმისათვის, რომ დაიცვას ის ღირებულება და ფასეულობა, რომელიც გააჩნია იმ შენობა-ნაგებობებს, რომელიც მის მიერ დაცულ ტერიტორიად მოიაზრება.

ჟურნალისტების მხრიდან ლუქსემბურგში ერთ-ერთი საცხოვრებელი უბნის ჩვენება, სადაც ყველაფერი ხელუხლებელია და დღეისათვის მხოლოდ ფუნქცია აქვს შეცვლილი, იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი ცდილობენ ქართველ მაყურებელს დაანახონ, თუ რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს იუნესკოს დაცულ ზონად გამოცხადებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო ქონება, რომელსაც მფლობელები თავიანთი სურვილის მიხედვით ვერაფერს ვერ უცვლიან, ამ ადამიანებმა შეძლეს, მოინდომეს და ეს ადგილები რესტორნებად გადააკეთეს იუნესკოს მოთხოვნების შესაბამისად და როგორც ტურისტებისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთ-ერთ პოპულარულ ადგილად აქციეს. ერთი სიტყვით, ჟურნალისტები აჩვენებენ გარემოს, რომელიც ქართველებისთვის

გასათვალისწინებელია. ამ მაგალითით კი, სურთ ქართველებს გააცნონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამოკიდებულება ზოგადად, იუნესკოს დაცული ზონების შესახებ და პირიქითაც, იუნესკოს დამოკიდებულებები და ის პროექტებიც, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებენ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ლუქსემბურგში ერთ-ერთ უძველეს ხიდზე აკეთებენ ტრამვაის ხაზს, რათა ქალაქი არ გადაიტვირთოს მანქანების მოძრაობით, თუმცა სამუშაოები მიმდინარეობს ისე, რომ ის სიძველე, რითიც ეს ხიდი ტურისტებს იზიდავს არ დაზიანდეს და მაქსიმალურად ჰქონდეს პირვანდელი სახე შენარჩუნებული. ქართველ მაყურებელს, სწორედაც რომ სჭირდება ინფორმაციის მიღება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ზუსტად ეხმიანება მის პრობლემებს. ამიტომაც გადაცემის ავტორებმა სრულიად შესაბამისი და ზუსტი აქცენტები დასვეს.

ჟურნალისტების მიერ გიდისადმი დასმული კითხვაც : თუ რას ნიშნავს, როდესაც შენს ქალაქს მთლიანად იუნესკო იცავს და გიდის პასუხიც, ის რომ პირველ რიგში დიდი პატივია, შემდეგ ეს იმას ნიშნავს, რომ შენ განსაკუთრებული ხარ, ხარ მსოფლიოში აღიარებული, რომ გაქვს მდიდარი წარსული და მაღალი კულტურის მქონე ერი ხარ, გათვლილია იმაზე, რომ ქართველმა მაყურებელმა შეძლოს მაქსიმალურად აღიქვას, ის ემოციური ფონი, რომელიც თან მოჰყვება იუნესკოს დაცულ ზონაში შესვლას, და ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგად შეძლეს ამ შემთხვევაში ჟურნალისტებმა, იმის გათვალისწინებითაც, რომ გადაცემის ამ ნაწილს მოჰყვა იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში ხშირად ყოფილა დავა ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, იუნესკოს მთავარი მოთხოვნილებაა, რომ იმ ნაგებობების პირვანდელი იერსახე, რომელსაც ის იცავს, უცვლელად იყოს შენარჩუნებული, ბაგრატის ტაძრის შემთხვევაში კი, ეს მოთხოვნა დაირღვა, რადგანაც მისი რესტავრაცია არ მოხდა ამ მოთხოვნის შესაბამისად და ბაგრატის ტაძარმა დაკარგა პირველადი იერსახე, რის შემდეგაც ეს ნაგებობა იუნესკოს დაცულ ზონებიდან ამოღების საშიშროების წინაშე დადგა. ეს იყო პირდაპირი პარალელი, რომელიც ჟურნალისტებმა გაავლეს საქართველოსთან მიმართებით და ასე პირდაპირ შეეხნენ იმ პრობლემას, რომელიც მწვავედ დგას ქართველი მოსახლეობის წინაშე. ამსტერდამის შემთხვევაშიც ნაჩვენებია

უძრავი ქონება, რომელიც ძალიან ძვირი ღირს, თუმცა იმდენად დაცულია, რომ ცვლილებების შეტანა შეუძლებელია. შეიძლება ამ შენობაში ცხოვრობდეს ადამიანი, მაგრამ იგი თავისი ნებით ლურსმანსაც კი ვერ ჩაარჭობს ამ შენობის კედლებში. ის თქვენია, მაგრამ თან თქვენ არ გეკუთვნით. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა ჟურნალისტების მიერ, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოსახლეობა შეგუებულია იმ ფაქტს, რომ თავისი სურვილის მიხედვით ვერაფერს ვერ შეცვლის. მოსახლეობას ისიც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერი შენობა - ნაგებობის იუნესკოს დაცულ ზონად გამოცხადება მათთვის მომგებიანი შეიძლება იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ იუნესკოს დაცულ ზონად გამოცხადებას თან ახლავს სარფიანი ტურისტული ბიზნესის განვითარება და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლის გაზრდაც, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც.

შვედეთზე გასულ გადაცემაში აღნიშნულია, რომ შვედები პატივს სცემენ წინაპრების მონაპოვარს და სხვებზე არანაკლებ ტრადიციულები არიან, კადრში ჩანს გასული საუკუნეების შვედეთი, რომელიც მუზეუმის სახით დღესაც ცოცხალია. ამ შემთხვევაშიც, ჩვენ ჟურნალისტების მხრიდან ვხვდებით გზავნილს, იმის შესახებ, თუ როგორ შევინარჩუნოთ წინაპრების მემკვიდრეობა, მოვუაროთ მას და პოპულარულ ტურისტულ ზონებად ვაქციოთ.

გადაცემის ავტორები აღნიშნავენ, რომ ფრანგები კულტურულ მემკვიდრეობას მაღალი კლასის სასტუმროებისთვისაც იყენებენ, ამის დასადასტურებლად ჟურნალისტებმა კადრში გვაჩვენეს უძველესი ციხე-სიმაგრე ეზე, რომელსაც ფრანგებმა თანამედროვე ეპოქაში სასტუმროს ფუნქცია მიანიჭეს. ამ სასტუმროს ნომრები კლდის კედლებშია განთავსებული და მათი დაქირავება ძალიან ძვირი ღირს, რადგან მსოფლიოში გამორჩეულია საუკეთესო ხედით. იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნები თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას სარფიანი ბიზნესის საწარმოებლადაც იყენებენ, ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის, იმ კუთხით, რომ დაინახონ, როგორ შეიძლება შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე წარმატების მიღწევა.

2.2.2.ქვეყანაში ახალი შენობების აგება იუნესკოს მოთხოვნების შესაბამისად

იუნესკოს დაცული ზონების თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, ისიც, თუ როგორ უდგებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახალი შენობების აგების საკითხს. გადაცემის ავტორების მიერ ისიც არის ნაჩვენები, რომ მიუხედავად ამ მაგალითებისა რომლებიც აქამდე განვიხილე, ლუქსემბურგში ყველაფერი ხელუხლებელი არ არის, ძველ შენობებთან ერთად ახალი შენობებიც იგება, თუმცა ეს მშენებლობებიც, რა თქმა უნდა, გარკვეულ წესებს ექვემდებარება, მაგალითად, როცა მთავრობამ ახალი სასამართლოს აგება გადაწყვიტა, მთავრობამ რამდენიმე წელი იუნესკოსთან ერთად იმუშავა - შემდეგ კი ასეთი დასკვნა მიიღო - განსხვავება ახალსა და ძველს შორის თითქმის შეუმჩნეველია. როგორც ცნობილია, საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ახალი შენობები ყოველგვარი წესრიგის გარეშე იგება, თითქმის არ კონტროლდება მათი აგების წესები. განსაკუთრებით ხშირია კონფლიქტები მოსახლეობასა და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს შორის, რადგან ისეთ ადგილებში მიმდინარეობს მშენებლობები, სადაც მოსახლეობა წუხდება მიღებული შედეგით და გარემოს იერსახეც მახინჯდება, ამიტომაც ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლუქსემბურგში გარკვეული სიმაღლეა დაწესებული, რომელზე მაღალი შენობების აგების უფლება არ აქვთ. აგრეთვე მნიშვნელოვანი მაგალითია ქართველებისთვის არქიტექტორების გადაწყვეტილება, რომ ყველა შუშის შენობა ყოფილიყო ერთ უბანში და ისიც აღსანიშნავია, რომ ამ შენობების სანახავადაც უამრავი ტურისტი ჩამოდის. გადაცემის ავტორები ცდილობენ, ქართველ მაყურებელს აჩვენონ ფაქტები, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესო იქნება მისთვის, როგორც მაყურებლისთვის, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება ისეთ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ნაგებობების მშენებლობასთან.

ახალი შენობების აგების წესების ქვეთავთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ბელგიის მაგალითიც. „ბელგიელები არ დაობენ ურბანულ სიახლეებზე, მაგრამ პატივს სცემენ ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელიც მთავარი ტურისტული სანახაობაა“ - გადმოგვცემს ერთ-ერთი ჟურნალისტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელი გზავნილია ქართველებისთვის, რადგანაც როგორც უკვე აღვნიშნეთ,

საქართველოში ხშირად დგას მსგავსი პრობლემები, როდესაც მოსახლეობის ნაწილსა და მთავრობის, მერიის წარმომადგენლებს შორის ხშირად ჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებული კონფლიქტები. ისინი ცდილობენ ხალხს დაანახონ თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება და მშვიდ გარემოში ცხოვრება, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ტურისტების შემოდინებას ქვეყანაში და ამის ნათელი მაგალითია ბრიუსელში გრანდ პალასის მოედანი, რომელიც მე-12 საუკუნისდროიუნდელი ნაგებობაა, დღეს იუნესკოს დაცულ ზონაში შედის და ტურისტების შეკრების ეპიცენტრს წარმოადგენს.

2.2.3.იუნესკოს მიერ დაცული ბუნებრივი ზონების საკითხი

იუნესკოს დაცული ზონების თემის ერთ-ერთ ქვეთავად აგრეთვე შეიძლება გამოვყოთ, იუნესკოს მიერ დაცული ბუნებრივი ზონები, ქვეყნის ბუნება, რომელიც სავიზიტო ბარათადაც კი აღიქმება. ამ ქვეთავისთვის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ლუქსემბურგი. ლუქსემბურგის პირველი ხედის ჩვენებისას ერთ-ერთი ჟურნალისტი დადებით შეფასებას აკეთებს და ნაჩვენებ ადგილს არქმევს ,,აივანი საუკეთესო ხედით ევროპას.'' ამ შეფასებით ის ცდილობს, მაქსიმალურად დადებითი მუხტი მოიტანოს ქართველ მაყურებლამდე და ამასთან ერთად აღნიშნოს, რომ იუნესკო ცდილობს დაიცვას ის ღირებული კულტურული მემკვიდრეობა, რომლითაც ასე ამაყობს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მოსახლეობა. „ქვეყნის ხედი მისივე სავიზიტო ბარათია, ლამაზ ხედებს აქ ბუნება ქმნის, ლუქსემბურგელები კი, მის შენარჩუნებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნავენ“-ეს გადაცემის ავტორების მხრიდან ერთგვარი მოწოდებაა, რომელიც ქართველ მაყურებელს შთააგონებს იამაყოს იმით, რაც მის ქვეყანას გააჩნია, მოინდომოს და აქციოს ტურისტებისთვის მიმზიდველ ზონად და განსაკუთრებით იზრუნონ იმ ბუნებრივი მოცემულობების შესანარჩუნებლად, რაც დღემდე შემორჩათ.

2.3. კულინარია

კულინარიას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში. ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, ქვეყნები ცდილობენ, რომ წინა

პლანზე ყოველთვის დააყენონ ტრადიციული კულიანარია, რადგანაც თითოეული ერის წარმომადგენელი ამაყობს თავისი ქვეყნის ტრადიციული კულინარიული მიღწევებით. როგორც ვიცით, საქართველო ძალიან დიდი კულინარიული ტრადიციის მქონე ქვეყანაა და ამიტომაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე კულინარიის განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, აგრეთვე მაგალითის მიმცემიც. ჩემი საკვლევი თემისთვის აღებული „ევროტურის'' ყველა გადაცემის ფარგლებში განხილულია კულინარიის თემა. ევროპული ოჯახის წევრ ქვეყნებში ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ კულინარიას, ეს ჩემს მიერ საკვლევად აღებული გადაცემიდან გამოჩნდა. გადაცემის ავტორებს არც ერთი ქვეყანა არ დაუტოვებიათ ტრადიციული კერძების დაგემოვნების გარეშე. მაგალითად, პოლონეთის შემთხვევაში ამ ქვეყნის კულინარიის გაცნობის პარალელურად ჟურნალისტებმა გვიჩვენეს ისიც, რომ კულინარია სარფიან ბიზნესად არის ქცეული და როგორც ტურისტებზე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაზეა გათვლილი.

თითოეული გადაცემის ფარგლებში ჟურნალისტები თავად ცდილობენ, რომ მოამზადონ კერძები და შემდეგ დააგემოვნონ კიდევაც. მაგალითად რუმინეთის შემთხვევაში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, სადაც ერთ-ერთი ბოშა ტრადიციულ სტეიკს ამზადებს, გადაცემის ერთ-ერთ ავტორ ქალს, მიუთითებს რომ ქალები ზოგადად სამზარეულოში ტრიალებენ და სტეიკის მომზადების პროცესში,რომელსაც მხოლოდ მამაკაცები უძღვებიან, არ მონაწილეობენ. ჟურნალისტიც შედის სამზარეულოში და თან ამბობს ფრაზას - „გადავინაცვლე იქ, სადაც ჩემი ადგილი ყოფილა.“-ეს არის მსუბუქი ირონიით წარმოთქმული ფრაზა, რითაც ჟურნალისტი გვაგრძნობინებს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული ბალანსის თემა, ხოლო რუმინეთში, რომელიც ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი ქვეყანაა, ეს პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

ყველა გადაცემაში ხაზგასმულია ის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ძალიან დიდ პატივს სცემენ ტრადიციულ კერძებს და საფირმო კერძებად იყენებენ, ამით გარკვეულწილად ტურისტების დაინტერესება ხდება, რადგან ტურისტები პირველ რიგში ინდომებენ ადგილობრივი ტრადიციული კერძის დაგემოვნებას. პოლონეთის კულინარიული ტრადიციების მაგალითი ქართველი მაყურებლისთვის იმით არის

საინტერესო, რომ დაინახონ როგორ ამაყობს ეს ქვეყენა თავისი ტრდიციული კულინარიით და როგორ ცდილობს ამის პოპულარიზებას.

ამ მხრივ, არც ლუქსემბურგია გამონაკლისი და გადაცემიდან ირკვევა, რომ კულინარიულ ტრადიციებს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ამ ქვეყნის ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა რომ მეზობელი გერმანიისა და საფრანგეთის გავლენა იგრძნობა.

უნგრეთი კიდევ ერთი მაგალითია კულინარიული ტრადიციების წარმოჩენის მხრივ, უნგრელები კულინარიულ ტრადიციას მეთევზეობას და მონადირულ კულტურას უკავშირებენ, მთავარი კერძი ყოველთვის არის თევზის წვნიანი და აგრეთვე ნანადირევი ხორცისგან დამზადებული ტრადიციული კერძი-გულიაში. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ის, რომ გადაცემის ავტორები ცდილობენ გვაჩვენონ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავიანთი ტრადიციული კერძებით იწონებენ თავს და პირველ რიგში, ცდილობენ შექმნან გარემო, სადაც ტურისტები კომფორტულად იგრძნობენ თავს და შეძლებენ დააგემოვნონ მათი ტრადიციული კულინარიული მიგნებები.

ამსტერდამის შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე, რომელსაც ჰოლანდიელები შაბათ დღეს ყიდულობენ სასოფლო-სამეურნეო ბაზარში. ჰოლანდიურ კულინარიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰოლანდიურ ყველს, რომლითაც ისინი ამაყობენ. ჰოლანდია ყველის დამზადების უდიდესი ტრადიციის მქონე ქვეყანაა და ის ამით ცნობილია კიდევაც მთელს მსოფლიოში. გადაცემის ავტორები ცდილობენ, რომ თითოეული ქვეყნის მაგალითზე აჩვენონ, რა დამოკიდებულებები გააჩნიათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავიანთი ტრადიციული კულინარიის მიმართ და როგორ ახდენენ ამ ტრადიციის პოპულარიზებას.

მაგალითად, ბელგია განთქმულია მიდიების მომზადების კულინარიული რეცეპტებით, ხოლო შვედეთში პურის ცხობის უდიდესი ტრადიციით არის გამორჩეული. საფრანგეთს კი, თითქმის, ხელოვნების დონემდე აქვს აყვანილი ხამანწკების და კობორჩხალების მომზადების ტრადიცია და ამისთვის განსაკუთრებული ფასის გადახდაც არის მიზანშეწონილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყანა ზღვის პროდუქციას

ანიჭებს უპირატესობას თავის სამზარეულოში. გადაცემის ავტორები ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტრადიციული კულინარიის განხილვით, ცდილობენ, რომ ქართველ მაყურებელს აჩვენონ, რამხელა ყურადღებას უთმობენ ისინი ამ საკითხს. როგორ ცდილობენ, რომ ხარისხიანი პროდუქტი შესთავაზონ, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, აგრეთვე, ტურისტებსაც.

მალტაზე კულინარიას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა და ეს იქიდანაც ჩანს, რომ ლტოლვილებსაც კი ასწავლიან სარეაბილიტაციო ცენტრებში კულინარიულ ხელოვნებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის კულინარიაშიც იგრძნობა სხვა ქვეყნების-მაგ:იტალიისა და ინგლისის გავლენა, უფრო მეტად პოპულარული ნაციონალური კერძებია და ჟურნალისტებიც ცდილობენ ნაციონალური კერძები დააგემოვნონ .

რა მნიშვნელობის მატარებელია ჟურნალისტების მიერ ამ თემების განხილვა გადაცემაში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია იმ არგუმენტის მოყვანით, რომ საქართველოში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა კულინარიის თემას, ჩვენი ქვეყანა ცნობილია თავისი ნაციონალური კერძებით. ამიტომაც იმის ჩვენება რომ ევროკავშირი თავის წევრ ქვეყნებს არანაირად არ ზღუდავს ამ საკითხშიც და პირიქით, ხელს უწყობს ქვეყნის ტრადიციების პოპულარიზებას და იმასაც, რომ ტრადიციული კულინარიაც ერთ-ერთ სარფიან ბიზნესად იქცეს. ძალიან მნიშვნელოვანია ქართული მაყურებლისათვის.

2.4. მებაღეობის საკითხი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მებაღეობისა და გამწვანების საკითხს. ევროკავშირს მებაღეობასთან და გამწვანებასთან დაკავშირებით მკაცრი სტანდარტები აქვს დაწესებული და მისი წევრი ქვეყნები აუცილებლად ემორჩილებიან ამ მოთხოვნებს. შესაბამისად ცდილობენ განავითარონ თავიანთი მებაღეობის ბიზნესი, აგრეთვე შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე ცდილობენ მოაგვარონ ქვეყანაში გამწვანების საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაცემის ავტორები განიხილავენ ერთ-ერთი ქვეყნის მაგალითს-პოლონეთს. პოლონეთი

წარმოჩენილია თავისი დადებითი კუთხით-გამწვანებისა და მებაღეობის თემით. „გამწვანების თემა ძალიან აქტუალურია ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში''-გვეუბნება ერთ-ერთი გადაცემის ავტორი, რითაც ევროპასა და ევროკავშირს წარმოაჩენს დადებითი კუთხით. ჟურნალისტის მიერ წარმოთქმული ეს წინადადება მიანიშნებს იმაზე, რომ ევროპაში ყოველთვის იმაზე კეთდება აქცენტი, რაც ადამიანის ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანესია, მაგალითად ასეთია ქვეყნის გამწვანებაზე ზრუნვაც, რომელიც ქვეყნისთვის აგრეთვე შემოსავლიან ბიზნესად არის ქცეული.

„აღმოაჩინე მიწიერი სამოთხე''-ასე იწყება ერთ-ერთი მცენარეების საშენის აღწერა ჟურნალისტის მიერ, მისი სურვილია, რომ ქართველ მაყურებელს დაანახოს, რამხელა მნიშვნელობის მატარებელია ასეთი მცენარეების საშენის არსებობა ნებისმიერ ქვეყანაში. ამ მნიშვნელობის მისანიჭებლად კი, ის იყენებს მეტაფორას „მიწიერი სამოთხე''-რაც ამძაფრებს ემოციურ ფონს და მეტ ინტერესს უჩენს მაყურებელს. ეს მცენარეების საშენი, რომელიც დღესდღეობით ევროკავშირის სტანდარტებით არსებობს, საბჭოთა კავშირის რეჟიმს გადაურჩა და შემდეგ ევროკავშირის დახმარებით შეძლო გაფართოება.

„როდესაც ქვეყანა ზრუნავს სიმწვანეზე, ეს მის სავიზიტო ბარათად მიიჩნევა“- აღნიშნავს ამ მცენარეების საშენის მეპატრონე. აქედან ჩანს, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია ასეთი საშენების არსებობა. მეპატრონის საუბრიდან ჩანს, რომ მათი პროდუქცია ევროკავშირის 20-ზე მეტ ქვეყანაში გადის. გადაცემის ავტორების ეს გზავნილი ქართველი მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მათ დაინახონ ის, რომ ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე პროდუქციის გატანას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქვე აღნიშნულია, რომ ევროპული კრიზისის დროს ოჯახმა გადაწყვიტა პროდუქცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც გაეტანა. ანუ აქედან ვიგებთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზარი ნაკლებად პრიორიტეტულია ევროპის დანარჩენი ქვეყნებისთვის, რადგან პროდუქციის გასაღების ნაკლები პოტენციალი არსებობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზარზე.

გადაცემის ერთ-ერთ ნაწილში აღნიშნულია, რომ ეს ოჯახი საქართველოშიც აპირებს თავისი მეურნეობის გახნას. კადრში ჩანს ქართველი სტუდენტი, რომელიც პოლონეთში

ამ ოჯახში მცენარეების მოვლას სწავლობს. გადაცემის ავტორი მას უსვამს ასეთ შეკითხვას: „რას სწავლობთ აქ ისეთს განსაკუთრებულს, რაც შეიძლება რომ საქართველოში ვერ ისწავლოთ.'' სტუდენტის პასუხი ძალიან კარგი მინიშნება იყო იმის შესახებ, რომ საქართველოში არ არსებობს ის ევროპული სტანდარტები, რომლის მიხედვითაც პოლონეთში მცენარეების მოშენების პერიოდში ხელმძღვანელობენ, თუმცა პოტენციალი არსებობს იმისა, რომ საქართველოშიც დამკვიდრდეს ეს სტანდარტები და აღორძინდეს მსგავსი ბიზნესი. ერთ-ერთი ჟურნალისტი თავისი შრომით ცდილობს ქართველ მაყურებელს აგრძნობინოს, თუ რამდენად რთულია ევროპულ სტანდარტებზე მორგება და რამხელა გამოცდილება სჭირდება იმას, რომ სრულფასოვანი ათვისება მოხდეს ამ სტანდარტების, რადგანაც თითოეულ მცენარეს თავისი მოვლის ხერხი და სპეციალური პირობა სჭირდება, რომ მოერგოს ევროკავშირში არსებულ სტანდარტებს. ამ პასაჟით, გადაცემის ავტორები ქართველ მაყურებელს, აგრეთვე, აჩვენებენ იმას, თუ როგორი ხანგრძლივი და რთული პროცესია ევტოინტეგრაცია და ადგილის დამკვიდრება ევროკავშირის წევს ქვეყნებს შორის.

გადაცემაში ჟურნალისტები აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ რუსეთმა პოლონური ვაშლის იმპორტი აკრძალა, თუმცა მებაღეებს ევროპული ბაზრის იმედი აქვთ. ევროკავშირი თავის წევრ ქვეყნებს ყველანაირად უწყობს ხელს, რომ განავითარონ თავიანთი ბიზნესი, ეს არის რეკლამა, რომელსაც ჟურნალისტები ევროკავშირს უწევენ და ხალხს აჩვენებენ, თუ რა დადებითი შედეგები მოჰყვება ამ კავშირში გაერთიანებას. ევროკავშირის სტანდარტები ითვალისწინებს იმასაც, რომ მებაღეებმა შხამ-ქიმიკატები მინიმალური დოზით გამოიყენონ. ზუსტად იმ რაოდენობის მოყვანის უფლებას აძლევს, რომლის გასაღებასაც შეძლებს, ევროკავშირის ბაზარზე ვერცერთ ვარიანტში ვერ მოხვდება ის მოსავალი, რომელიც სეტყვის შედეგად იქნება დაზიანებული, რადგან ეს პრობლემაც წინასწარ არის მოგვარებული, სადაზღვეო კომპანიები მოსავალს მოყვანამდე აზღვევენ და ზარალს ანაზღაურებენ. როგორც ვიცით, მებაღეობასთან დაკავშირებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი საქართველოში პრობლემურია, ამიტომაც ჟურნალისტები გადაცემის პროცესში ცდილობენ ქართველ მაყურებელს აჩვენონ, თუ როგორ შეძლეს ევროპის ქვეყნებმა ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ, იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც ქონდათ მებაღეობის სფეროში. გადაცემის

ავტორების მიზანი „ევროტურების“ შექმნის პროცესში იყო ისიც, რომ შეხებოდნენ ყველა თემას, რომელიც საქართველოში აქტუალური და პრობლემურია, ეჩვენებინათ ის, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რისი მოწესრიგება შეძლეს და რისი ვერ შეძლეს ამ ქვეყნებმა და ქართველმა მაყურებელმა ამ გადაცემის მეშვეობით შეძლოს ამოკრიფოს ის ინფორმაცია, რაც მისთვის იქნება საინტერესო და დაიწყოს ზრუნვა იმ კუთხით, რომ საქართველოშიც მოგვარდეს მსგავსი პრობლემები.

2.5.განათლების საკითხი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

ევროკავშირის წვერ ქვეყნებში დღესდღეობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

თემაა-განათლება. ეს გაერთიანება მის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აწესებს განათლებასთან დაკავშირებულ გარკვეულ სტანდარტებს, ამ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები განათლების სფეროში უნდა ემორჩილებოდნენ ევროკავშირის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანი ცდილობს თავის ქვეყანაში დაამკვიდროს ევროკავშირთან შესაბამისი სტანდარტები. აქედან გამომდინარე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა განათლების საკითხს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითი, რომლებიც წარმატებულები არიან განათლების სფეროში, ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში განათლების სფეროში ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი და ამ წარმატებული ქვეყნების მაგალითი ქართველ მაყურებელს დაეხმარება გააცნობიეროს, თუ რა პრობლემების წინაშეა ჩვენი ქვეყანა განათლების სფეროში და რისი გაკეთება შეიძლება წარმატებული ქვეყნების მაგალითიდან გამომდინარე.

2.5.1.განათლების სფეროში წარმატებული ქვეყნების მაგალითი

 განათლებასთან დაკავშირებით გადაცემის ავტორებს მოყავთ ამ სფეროში ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის მაგალითი-პოლონეთი. ჟურალისტები აღნიშნავენ, რომ პოლონელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიული განათლების საკითხს, რადგანაც, როგორც უკვე ვნახეთ, მოსავლის მოყვანასა და შენახვასაც თავისი

მკაცრი წესები და სტანდარტები აქვს, რომელსაც „ევროკავშირი“ აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, ეს ქვეყანა ცდილობს მოერგოს ამ სტანდარტებს და მოსახლეობას მისცეს იმის საშუალება, რომ სრულფასოვნად შეისწავლოს მისთვის საინტერესო საკითხები ნებისმიერ პროფესიასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, პოლონეთი ერთ-ერთი საგანმანათლებლო ტრადიციის მქონე ქვეყანაა ევროპულ ოჯახში და ამ სფეროში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნადაც ითვლება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ბიზნეს სკოლის დამაარსებელი ამბობს, რომ მათი ქვეყანა საბჭოთა პერიოდშიც კი, არ დაშორებია დასავლეთს განათლების მხრივ, თუმცა სრულიად განსხვავებული სურათი დაიხატა „ევროკავშირში“ გაწევრიანების შემდეგ, რადგანაც ყველა კარი გაიხსნა მათთვის, რომელიც ევროკავშირში შესვლამდე დახურული იყო და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რამაც ქვეყნის განათლების სფეროს უფრო მეტი განვითარების საშუალება მისცა.

სლოვაკეთის მაგალითიც საყურადღებოა ქართველი მაყურებლისთვის, იმ კუთხით რომ ამ ქვეყანამ შეძლო განათლების სფეროში ევროკავშირის სტანდარტების დამკვიდრება და ამის საშუალებით ქვეყნის განათლების დონის ამაღლება. სლოვაკეთის ხელისუფლებამ მაქსიმუმი გააკეთა ამ საქმისთვის, გამოყო ფინანსები განათლების საკითში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად და შეძლო განათლების დონის ამაღლება ახალგაზრდებში. აქედან გამომდინარე სლოვაკეთის შემთხვევა მაგალითია საქართველოსთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი განათლების საკითხთან დაკავშირებული პრობლემაა მოსაგვარებელი.

ევროპულ ოჯახში განათლებას რომ დიდი ყურადღება ექცევა ეს იქიდანაც ჩანს, რომ მალტაზე, სადაც ყოველწლიურად უამრავი ემიგრანტი ცდილობს მოხვედრას ქმნიან სარეაბილიტაციო ცენტრებს, რომლებიც ზრუნავენ იმაზე, რომ ემიგრანტებმა მიიღონ განათლება, დაეუფლონ ინგლისურ ენას, კომპიუტერული უნარები შეიძინონ, რადგან შემდეგ სამსახურის მოძებნა არ გაუჭირდეთ ამ ქვეყანაში.

კიდევ ერთი ქვეყნის შვედეთის მაგალითის განხილვა მნიშვნელოვანია ჩემი საკვლევი თემისთვის, რადგან აქ პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ განათლებამ და მისმა დონემ

შეცვალა საზოგადოება და მიიყვანა თითქმის სრულყოფილ დონემდე რაც დღეს შვედეთში არსებობს.

2.5.2.განათლების სფეროში პრობლემური ქვეყნების მაგალითი

„ევროტურის“ ავტორები გვიჩვენებენ განათლების სფეროში პრობლემების მქონე ქვეყანასაც, ჟურნალისტებმა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან პრობლემური საკითხების საჩვენებლად რუმინეთის მაგალითი წარმოაჩინეს. განსხვავებული მდგომარეობაა „ერვოკავშირის“ შედარებით ახალ წევრ ქვეყანაში-რუმინეთში, რომელიც ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ამ ქვეყანაში, როგორც გადაცემის ავტორები აღნიშნავენ, პრობლემური მდგომარეობაა განათლების საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ჟურნალისტი ამბობს, რომ რუმინეთში განათლების სფეროშიც შესამჩნევია, რომ ის ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი ქვეყანაა და ამიტომაც ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. რუმინეთზე გასულ სიუჟეტში გადაცემის ავტორები აღნიშნავენ, რომ რუმინეთში განათლების პრობლემა მწვავედ დგას და ეს საინტერესო იქნება ქართველი მაყურებლისთვის, რადგანაც უამრავი მოუგვარებელი პრობლემა არსებობს ჩვენს ქვეყანაში ამ თემასათან დაკავშირებით. ერთ-ერთი ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ რუმინეთში არსებული ეს სიტუაცია შეიძლება ,,ევროკავშირის“ წევრი ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის გასაკვირი იყოს, თუმცა მისთვის არ არის, რადგანაც ჩვენს ქვეყანაშიც იგივე პრობლემები დგას განათლების სფეროში. აღსანიშნავია, რომ რუმინეთში განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ბოშების დასახლებაში მოსახლეობის უმეტესობა, ვერ ახერხებს ამ პრივილეგიით სარგებლობას უსახსრობის გამო. გადაცემის ავტორებმა რუმინეთზე გასული რეპორტაჟის ფარგლებში გვიჩვენეს ისიც, თუ როგორ ცდილობენ არასამთავრობო ორგანიზაციები განათლების მიღების საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემების მოგვარებას. მაგალითად ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია რუმინეთში ხელმოკლე ოჯახის შვილებს ეხმარება იმაში, რომ მიიღონ განათლება იმ დონეზე მაინც, რომ მუშაობის დაწყება შეძლონ.

ჩემს მიერ საკვლევად აღებული გადაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ ევორპული ოჯახისთვის განათლება უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი საკითხია, რადგან ისინი აცნობიერებენ იმას, რომ მათი ცხოვრების ხარისხი დამოკიდებულია განათლების დონეზეც, ამიტომ თითოეული ქვეყანა ცდილობს ფეხი აუწყოს ევროკავშირის სტანდარტებს და ამის მიხედვით ააგოს თავისი განათლების სისტემა და ამაში დიდი თანხები ჩადოს. ეს კი საქართველოსთვის უდიდესი მაგალითია, რადგან ძალიან ცუდი შედეგები გვაქვს განათლების სფეროში, უამრავი საკითხი მოუწესრიგებელია, ამიტომაც ჟურნალისტების მიერ ასეთი სურათის ჩვენება ქართველი მაყურებლისთვის წამახალისებელია.

2.6.რელიგია

საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაში რელიგიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ჩვენი ქვეყნის საზოგადოების რელიგიური იდენტობა ძალიან ძლიერია- ქართველი ნიშნავს მართმადიდებელს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ქართულ საზოგადოებაში იგრძნობა მტრული დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობების მიმართ, აქედან გამომდინარე, გადაცემის ავტორების მიერ რელიიგის თემის განხილვა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის.

ჩემი კვლევისთვის შერჩეული „ევროტურის“ გადაცემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგეს რელიგია, კონკრეტული ქვეყნის რელიგიური მიმდინარეობის მიმართ ხალხის დამოკიდებულების ჩვენება, აგრეთვე იმის გაგება, შეიცვალა თუ არა რაიმე რელიგიური ცხოვრების კუთხით „ევროკავშირში“ გაწევრიანების შემდეგ და ევროკავშირს რა დამოკიდებულება აქვს მისი წევრი ქვეყნების მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობების მიმართ.

როგორც ცნობილია, საქართველო ტრადიციულად მართმადიდებლური ქრისტიანული აღმსარებლობის ქვეყანაა. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მართმადიდებელი ქრისტიანია. ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობას გააჩნია გარკვეული მოლოდინები

„ევროკავშირში“ შესვლასთან დაკავშირებით, როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი და რასაკვირველია, რელიგიის თემასთან მიმართებაშიც, ამიტომაც გადაცემის ავტორების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ეს თემა და ისინი, ჩემს მიერ საკვლელად აღებული გადაცემებიდან, უმეტესობაში ცდილობენ, რომ მოკლემეტრაჟიან ფორმატში გარკვეული დრო დაუთმონ ამ თემას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

კონკრეტულ გადაცემების დისკურსული და ვიზუალური ანალიზიდან ჩანს, რომ ჟურნალისტები ცდილობენ ქართველ მაყურებელს დაანახონ ის ფაქტი, რომ ქვეყნებში, რომლებიც ,,ევროკავშირში“ გაწევრიანდნენ და დღემდე ამ გაერთიანების წევრებად ითვლებიან, რელიგიური ცხოვრების მხრივ, არაფერი ცვლილება არ მომხდარა და ისინი განაგრძობენ ჩვეულ რიტმში ცხოვრებას.

2.6.1.ევროკავშირის დამოკიდებულება წევრი ქვეყნების რელიგიური იდენტობის მიმართ

ჟურნალისტები ქართველ მაყურებელს გადაცემა „ევროტურის“ მეშვეობით ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნების მაგალითზე აჩვენებენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება მისი წევრი ქვეყნების რელიგიურ აღმსარებლობას, თუნდაც ისინი დამფუძნებელი ქვეყნების რელიგიისაგან განსხვავდებოდეს, არ ემუქრება. პირიქით, ევროკავშირი ყველა აღმსარებლობის ადამიანის უფლებებს თანაბრად იცავს.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რუმინეთი. რუმინეთზე გაკეთებულ გადაცემაში, გადაცემის ავტორების მიერ პირდაპირ არის აღნიშნული ეს ფაქტი, ერთ-ერთი ჟურნალისტი ამბობს: „ევროკავშირში შესვლის შედეგად, ამ ქვეყანაში რელიგიური კუთხით არაფერი შეცვლილა.“ ცნობილია, რომ რუმინეთის მოსახლეობის 87% მართმადიდებელი ქრისტიანია. ისინი საკუთარ რელიგიიას პატივს სცემენ და ცდილობენ შეასრულონ თავიანთი რელიგიური მოვალეობები, ამის დამადასტურებელ არგუმენტად კი, გადაცემის ავტორები კადრში გვიჩვენებენ ეკლესიას, რომელიც საღამოს წირვის დროს მორწმუნეებით არის სავსე.

ამ გადაცემის ფარგლებში, ჟურნალისტები ქართველი მაყურებლის საყურადღებოდ აღნიშნავენ, რომ რუმინეთში „როგორც ეკლესიისთვის, ისე მორწმუნეებისთვის ადამიანი და მათი უფლებები უპირატესია.“ სწორედ ამგვარი მიდგომა აქვს „ევროკავშირსაც.“ აგრეთვე ამ პასაჟით ცდილობენ დადებითი კუთხით წარმოაჩინონ ის მოვლენა, რომ „ევროკავშირი“ თავის წევრ ქვეყნებს არანაირად არ ზღუდავს რელიგიური კუთხით და ქვეყნები, რომლეთაც ამ გაერთიანებაში გაწევრიანება სურთ, დარწმუნებულები უნდა იყვენენ, რომ მათი მოსახლეობის რელიგიურ აღმსარებლობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება „ევროკავშირის“ მხრიდან. პირიქით, გადაცემის ავტორები ქართველ მაყურებელს აჩვენებენ, რომ ეს კავშირი მათ დაეხმარება მეტად დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ თავი ამ კუთხითაც.

ცნობილია, რომ რუმინეთში ბოშები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა ისინი რეგილიურ უმცირესობაში არ არიან და მართმადიდებელ ქრისტიანები არიან, აქედან გამომდინარე, ეკელესია „ევროკავშირის“ მხარდაჭერით აქტიურად არის მათი პრობლემების მოგვარებაში ჩართული, საპატრიარქო ფინანსური პრობლემების გადაჭრაშიც ეხმარება მათ და უყურადღებოდ არ ტოვებს ამ კუთხითაც. ამ შემთხვევაში გადაცემის ავტორები გვიხატავენ სურათს, რომელშიც კარგად ჩანს, რომ „ევროკავშირი“ ცდილობს ჩაერთოს იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც ზოგადად ქვეყანას და მის მოსახლეობას აქვს.

2.6.2.რელიგიის ჭრილში განხილული სექსუალური უმცირესობების თემა

ზუსტად იმავე არგუმენტით შეიძლება ავხსნათ, გადაცემის ავტორების მიერ რელიგიის კონტექსტში განხილული სექსუალური უმცირესობების თემაც, რომელსაც ზოგადად, გადაცემის ფარგლებში ისედაც დიდი ყურადღება ეთმობა. იმ მიზნით, რომ ქართველი მაყურებლისთვის უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს იმ მოსაზრებებმა, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებობს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ნაჩვენებია საპატრიარქოს წარმომადგენლის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ, პიროვნება, რომელიც საპატრიარქოს წარმოადგენს, აღნიშნავს,

რომ ეს მოვლენა თავისთავად ცოდვაა, თუმცა არავის აქვს უფლება ფიზიკურად გაუსწორდეს ამ უმცირესობების წარმომადგენლებს. ამ ნაწილში პირდაპირ შეიძლება გავავლოთ საქართველოსთან პარალელი, რადგანაც, როგორც ცნობილია, დღესდღეობით, საქართველოში რუმინეთისგან განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები არიან, როგორც ეკლესიის, აგრეთვე მოსახლეობის ნაწილის მხრიდანაც. ქართველ მაყურებელს გაახსენდება 17 მაისი, რომელიც იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი მოსახლეობის ნაწილი აგრესიულია სექსუალური უმცირესობების მიმართ და ამის აშკარად გამოხატვასაც არ ერიდება. ამიტომაც ჟურნალისტების მიზანია, მიაწოდონ ხალხს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში და ამ კონკრეტულ შემთხვევაში-რუმინეთში.

გადაცემის ავტორების მხრივ, აგრეთვე, ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ ეკლესიის ტერიტორია ღიაა ტურისტებისთვის და არც ჟურნალისტებს უშლის ვინმე ამ ტერიტორიაზე შესვლას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რუმინეთის მაგალითი, სადაც ჩანს, რომ მოსახლეობა ცდილობს, გარკვეულწილად მომგებიან შემოსავლადაც აქციოს რელიგიური კულტურაც კი. „ევროკავშირი“ კი, ხელს უწყობს ადამიანებს თავიანთი პიროვნული თავისუფლების გამოხატვაში და იმაშიც, რომ ხალხის რელიგია და ღირებულებები იყოს ხელშეუხებელი. ჟურნალისტები ამ გადაცემის ფარგლებში ყურადღებას იმაზეც ამახვილებენ, რომ „ევროკავშირი“ ხელს უწყობს იმასაც, რომ ნებისმიერი აღმსარებლობის კუთვნილებაში არსებული ტერიტორიები და ნაგებობები დაცულიც და ტურისტებისთვის ხელმისაწვდომიც იყოს.

2.6.3.ელექტრონული პირადობების თემა რელიგიის ფარგლებში

კვლევამ აჩვენა, რომ ჟურნალისტები ყველა გადაცემის ფარგლებში ცდილობენ გააშუქონ ისეთი თემები, რომლებიც განსაკუთრებით დააინტერესებს ქართულ მაყურებელს და მიაწოდებს ევროკავშირთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამიტომაც

ელექტრონული პირადობების თემა, რომელსაც ერთ-ერთი ჟურნალისტი ამ გადაცემაში ეხება, ძალიან მნიშვნელოვანია ამ კუთხით, რადგანაც, როგორც ცნობილია, საქართველოში ეს თემა პრობლემურ საკითხს წარმოადგენს და უამრავჯერ ყოფილა განხილვისა და დავის საგანი, თვით ეკლესიის შიგნითაც ორი განსხვავებული მოსაზრება არსებობს ამ თემასთან დაკავშირებით. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჟურნალისტების გათვლა ზუსტად არის მორგებული ქართველ მაყურებელზე. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული პირადობების პრობლემური საკითხი რელიგიის დონეზე არ წყდება, გადაცემის ავტორები ცდილობენ ეს საკითხი ქართველ მაყურებელს რელიგიურ კონტექსტში ისინი ცდილობენ საზოგადოებას დაანახონ, თუ როგორ ცდილობენ „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნები ერთმანეთისგან გამიჯნონ ეკლესია და კანონი, თუმცა ამ ქვეყნებში ეკლესიის წარმომადგენლებს თავიანთი აზრის დაფიქსირებას არავინ არ უშლის და ამის ნათელი მაგალითია, ის ოფიციალური პოზიცია, რომელიც რუმინეთის საპატრიარქოს უჭირავს.

მიზანშეწონილია განვიხილოთ ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს რუმინეთის საპატრიარქოს წარმომადგენელს ელექტრონულ პირადობასთან დაკავშირებით და რა ოფიციალურ განცხადებას აჟღერებს იგი. ამ ადამიანის განცხადებიდან ჩანს, რომ ეკლესიის მესვეურებისთვის წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება ეკლესია იმ ელექტრონული პირადობების წინააღმდეგ წავიდეს, რომელიც მაქსიმალურად არის ადამიანზე და მის თანამედროვე მოთხოვნილებებზე მორგებული. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები აცნობიერებენ, თუ რა არის უმჯობესი მათი ყოველდღიური ცხოვრების წარმატებულად წარმართვისთვის, ამას აცნობიერებს ეკლესიაც და თითოეული ინსტიტუტი თავისებურად ცდილობს ხელი შეუწყოს ქვეყნის მაქსიმალურად განვითარებას. ჩემი აზრით, გადაცემის ავტორებს, ეს თემა რელიგიის ფარგლებში, იმიტომ აქვთ განხილული, რომ ქართველებისთვის რელიგიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და როგორც კვლევებიდან ირკვევა, ეკლესიის ინსტიტუტს ძლიერი გავლენა აქვს ქვეყნის მოსახლეობაზე, აქედან გამომდინარე, ჟურნალისტები ცდილობენ ამ პრობლემის მოგვარების გზები ქართველ მაყურებელს აჩვენონ იმ კუთხით, რომლითაც მეტ დამაჯერებლობას და ეფექტს შესძენენ.

2.6.4.ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი რელიგიულ ჭრილში

მნიშვნელოვანია შევეხოთ ჰოლანდიაზე გასულ გადაცემასაც. ამ ქვეყანაზე მომზადებულ სიუჟეტშიც ჩანს, თუ რა დამოკიდებულებები არსებობს მოსახლეობაში რელიგიური კულტურის მიმართ. ერთ-ერთი გადაცემის ავტორი, გადაცემის შექმნის მიზნიდან გამომდინარე, ხაზს უსვამს იმ მოვლენას, რომ ტრადიციული ჰოლანდიელის სანახავად მის მეგზურს, სწორედაც რომ ეკლესიაში მიჰყავს. ისეთ ქვეყანაში, რომელიც ასე პოპულარულია თავისი არატრადიციული მიდგომებით, ჟურნალისტები გვიჩვენებენ, რომ რელიგიური კულტურა თავის ადგილას დგას და მოსახლეობის უმრავლესობა პატივს სცემს ამ ტრადიციას. თუმცა ისიც არის აღნიშნული, რომ ეკლესიაში უფრო მეტად საშუალო და უფროსი ასაკის ხალხის ნახვა შეიძლება, ახალგაზრდობის წარმომადგენლებისა კი იშვიათად. ეს იმაზე მიმანიშნებელია, რომ ახალგაზრდებს სხვა მისწრაფებები და მოთხოვნები აქვთ. ამ გადაცემის მაგალითი იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი ჩემი კვლევისათვის, რომ მთლიან სურათში ჩვენ ვხედავთ „ევროკავშირის“ ადგილს რელიგიურ კულტურასთან მიმართებაში და იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც ამ გაერთიანებას გააჩნია თავისი წევრი ქვეყნების მიმართ რელიგიურ კონტექსტში. როგორც კვლევიდან გამოჩნდა, ევროკავშირი არ ერევა არცერთი ქვეყნის რელიგიურ არჩევანში და მითუმეტეს არსებული ტრადიციული მიდგომების შეცვლას არ ცდილობს. ამ შემთხვევაშიც ქართველი მაყურებელი დაინახავს, იმ ფაქტს, რომ „ევროკავშირში“ გაწევრიანებით ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებაში არანაირი ცვლილებები არ ხდება. ის გზავნილები, რომლებიც ყველა გადაცემაში იკითხება ქართველი მაყურებლის მიმართ, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც ცნობილია, ქართულ საზოგადოებას გააჩნია გარკვეული მოლოდინები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და გადაცემის ავტორები მუდმივად ცდილობენ, რომ მაყურებელმა დაინახოს რამდენად რეალურია მათი მოლოდინები და ზოგადად, შეესაბამება თუ არა ისინი, ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ რეალურ მდგომარეობას.

„ევროტურის“ გადაცემებიდან ხორვატიის მაგალითიც არის იმის დამამტკიცებელი არგუმენტი, რომ „ევროკავშირი“ ადამიანის უფლებების შევიწროებას არავითარ

შემთხვევაში არ დაუშვებს მაგალითად იმ კუთხითაც, რომ არ მოხდეს სხვადასხვა რელიგიურ აღმსარებლობებს შორის დაპირისპირებები და ამ დაპირისპირებების ფონზე ადამიანის რელიგიური ღირებულებების შეურაცხყოფა. ხორვატიის მაგალითი კი, ნათელი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ ევროკავშირი არ ერევა მოქალაქეების რელიგიურ აღმსარებლობაში, რადგანაც ეს ადამიანების ხელშეუხებელ უფლებად მიაჩნია. ამიტომაც ხორვატიის მაგალითში, გადაცემის ფარგლებში, ჟურნალისტები გვახსენებენ იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქრისტიანია და განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ ისინი მორწმუნეები არიან, ამას კი იმ ფაქტით ამყარებენ, რომ კადრში გვიჩვენებენ საღამოს წირვის დროს ეკლესიას, რომელიც სავსეა მლოცველებით, თანაც აქვე პარალელს ავლებენ საქართველოსთან და ამბობენ, რომ ეკლესიაში წირვაზე დასწრების ტრადიცია მათთვის ნაცნობი მოვლენაა, რადგანაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა მართმადიდებელია და აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებობს მართმადიდებლური ქრისტიანული რელიგიური ტრადიცია, რომელიც ითვალისწინებს მორწმუნეების წირვაზე დასწრებას.

მალტის შემთხვევაში კარგად არის ნაჩვენები, თუ რამხელა მნიშვნელობის მატარებელია ქვეყნის მოსახლეობისთვის საკუთარი სახელმწიფო რელიგია და მასთან დაკავშირებული ტრადიციები. გადაცემის ავტორები ესწრებიან ერთ-ერთი წმინდანის დღესასწაულს. მალტის სახელმწიფო რელიგია არის რომანული კათოლიციზმი და ამიტომაც, ამ ხალხისთვის მისაღებია თავიანთი წმინდანების ქანდაკებების ქუჩებში დადგმა და მათთვის პატივის მიგება. იმ დღესასწაულს, რომლზეც „ევროტურის“ ავტორები იმყოფებიან, მოსახლეობის გარდა, ჩამოსული ტურისტებიც მონაწილეობენ და სიამოვნებასაც იღებენ ამ პროცესისგან. ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან, შეიძლება ითქვას, რომ კარგი გათვლაა გაკეთებული, რადგან მათ გადაწყვიტეს ეს დღესასწაული დაემთხვიათ ტურისტული სეზონისთვის და ტურისტებისთვისაც სასიამოვნო პროცესად ექციათ. ჩემი აზრით, ეს არის საუკეთესო მაგალითი იმის საჩვენებლად, თუ როგორ უზრუნველჰყოფენ „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნები რელიგიისა და ტურიზმის ჰარმონიულ თანაარსებობას, ისე რომ ტრადიციებიც დაიცვან და ქვეყნის სარფიან შემოსავალზეც გააკეთონ აქცენტი. ეს ძალიან კარგი მაგალითია საქართველოსთვის, რადგანაც ჩვენი ქვეყანა მდიდარია თავისი რელიგიური კულტურით და რეალურად

აქვს შანსი, რომ ეს კულტურა გამოიყენოს ტურისტების დასაინტერესებლად და წარმატებული ტურისტული ბიზნესის საწარმოებლად.

ჟურნალისტები გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში რელიგიასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას გამოყოფენ. ეს თემა ეხება თითოეული მოქალაქის ხელშეუხებელ უფლებას, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი აღმსარებლობა და იცხოვროს ამ აღმსარებლობის წესების შესაბამისად. ამ თემის ფარგლებში ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს თავის წევრი ქვეყნების მოქალაქეების უფლებების შელახვას, როგორც ზოგადად, აგრეთვე რელიგიური კუთხითც.

ჩემი აზრით, იმისათვის რომ მთლიანი სურათი შეიკრას, იმ დამოკიდებულებების შესახებ, რომლებიც „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებს გააჩნიათ რელიგიასთან მიმართებაში, აუცილებელია განვიხილოთ ბულგარეთის მაგალითიც, რადგანაც ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული კუთხითაც არის ეს ქვეყანა წარმოჩენილი, რომლითაც გარკვეულწილად საინტერესო იქნება ქართველი მაყურებლისთვის. გადაცემის ავტორები ხაზს უსვამენ იმ მოვლენას, რომ ბულგარეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქრისტიანია და მორწმუნეა. ისინი უდიდეს პატივს სცემენ თავიანთ რელიგიურ ნაგებობეს და ამაყობენ იმ ტაძრებით, რომლებიც თავიანთ კედლებზე მოხატული ფრესკებით არიან ცნობილები. თუმცა განსხვავებული ამ გადაცემაში არის ის, რომ ბულგარეთი დგას დიდი გამოწვევის წინაშე და ეს გამოწვევა არის-ისლამი, რელიგია, რომელიც ამ ქვეყანაში შუა საუკუნეებში გავრცელდა და დღემდე მყარი ფესვები აქვს. ბულგარეთში ეს მიმდინარეობა ყველაზე დიდ რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი რელიგია სრულიად განსხვავებულ საფუძვლებზე დგას, ამ ქვეყნის მაგალითზე ჟურნალისტებმა ძალიან კარგად აჩვენეს, თუ როგორ ჰარმონიულად თანაარსებობენ ამ ორი რელიგიის წარმომადგენლები ერთ სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს, არავინ ცდილობს ამ რელიგიის წარმომადგენლების უფლებების შელახვას, პირიქით ბულგარეთის ქრისტიანი მოსახლეობა პატივისცემით ექცევა განსხვავებული აღმსარებლობის მქონე მოსახლეობის ნაწილს. ამ მოსაზრების გასამყარებელ არგუმენტად, კადრში ნაჩვენებია

ერთ-ერთი წმინდანის სახელობის ტაძარი, რომელშიც ისლამის წამომაგდენლებიც ლოცულობენ თავიანთი წესის მიხედვით, ამას კი არ აპროტესტებს ქრისტიანი მოსახლეობა, რადგან ისლამისტები არანაირ წესებს არ არღვევენ და თავის მხრივ, პატივს სცემენ უმრავლესობის რელიგიურ წარმოდგენებს.

გადაცემის ერთ-ერთი ავტორი მასთან ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ „ევროტურების“ გადაცემათა ციკლის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო, სწორედ იმის ჩვენება, თუ როგორ შეიძლება ევროკავშირის ფარგლებში მშვიდობიანად იარსებობს განსხვავებული აღმსარებლობების მქონე მოსახლეობამ ერთ ქვეყანაში, თუ როგორ ტოლერანტობას იჩენენ ისინი ერთმანეთის მიმართ და ისიც, თუ როგორ აქვთ გაცნობიერებული, რომ ერთმანეთის უფლებები არ უნდა შელახონ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უძველესი ტრადიციები გააჩნია სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან ურთიერთობებისა და ტოლერანტობაც მისთვის უცხო თემა არ არის, დღესდღეობით მაინც არსებობს გარკვეული პრობლემები ამ საკითხთან დაკავშირებით და ამიტომაც, ჟურნალისტებმა დადებითი კუთხით დაანახეს ქართველ მაყურებელს, თუ რა მდგომარეობაა ამ საკითხთან დაკავშირებით „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში და აჩვენეს ისიც, რისი სწავლა შეიძლება მათგან, ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

2.7. ეროვნული უმცირესობების საკითხი ,,ევროტურებში“

გადაცემა „ევროტურის“ ფარგლებში გამოიყოფა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს ეხება. გადაცემის ავტორები გვიჩვენებენ ევროკავშირის რამოდენიმე ქვეყანას, რომლებშიც წინა პლანზეა ეროვნული უმცირესობების საკითხი წამოწეული.

ეროვნული უმცირესობების საკითხთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია ბელგიის მაგალითი. როგორც ერთ-ერთი გადაცემის ავტორი გვეუბნება, ბელგია არის ქვეყანა, რომელიც „პოლიტიკას და ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნის.“ ბელგიის შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ უმცირესობებზე, რომლებიც ქვეყნის მრავალფეროვნებას განსაზღვრავენ და ეს მრავალფეროვნება სულაც არ ქმნის სერიოზულ პრობლემებს მოსახლეობაში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკურ

დონეზე არსებობს გარკვეული პრობლემები, რადგან ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობას მეტი ავტონომიის მოთხოვნის სურვილი აქვს და ეს იწვევს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებებს ბელგიის პარლამენტში, თუმცა დაპირისპირება პოლიტიკურ დონეს არ სცილდება და მოსახლეობა მშვიდად თანაცხოვრებას განაგრძობს, რაც აისახება კიდევაც სოციალური ცხოვრების ყველა სფეროზე.

ბელგია არის ერთ-ერთი იმ ქვეყნებიდან, რომელმაც „ევროკავშირის'' ქვეყნების გაერთიანება დააფუძნა. მიუხედავად ამისა, ის დღესდღეობით სამ ნაწილად არის დაყოფილი: ვალონიური და ფლამანდრიული ნაწილები და მესამე-ქალაქი ბრიუსელი, რომელიც გამორჩეულია თავისი ორენოვნებით, სადაც ფრანგები და ჰოლანდიელები ოფიციალურ სტატუსს ინაწილებენ. ამ რეგიონებს შორის სოციალურ, ლინგვისტურ და ეროვნულ, ეკონომიკურ საკითხებს შორის მუდმივი დავა და დაძაბულობა დღემდე არსებობს, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოვლენას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, თუმცა ამ რეგიონების მოსახლეობა მაინც ახერხებს მშვიდობიან თანაცხოვრებას. ლუდიც კი, რომელიც ასე პოპულარულია-ორენოვანია და მისი ბოთლების სიჭრელე გარკვეულწილად ქვეყნის პორტრეტსაც ხატავს. „ბრიუსელი ყველა ეთნიკურ უმცირესობას ეკუთვნის'' - აღნიშნავს ერთ-ერთი ჟურნალისტი, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ამ ქალაქში კულტურულ სიჭრელეს არავინ განიცდის.

ბელგიაზე გასული გადაცემიდან ვხედავთ, რომ ქალაქ ბრიუსელში რამდენიმე ერის წარმომადგენელი ერთად თანაცხოვრობს და მათ ერთმანეთთან თანაცხოვრების არანაირი პრობლემა არ აქვთ. გადაცემაში ხაზგასმული ეს ფაქტი ქართველი მაყურებლისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სხვა ერის წარმომადგენლების მიმართ ჩამოყალიბებული აქვს სტერეოტიპები, რომლებასც უმეტესწილად უარყოფითი კონტექსტი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერი თავისი ტოლერანტობით გამოირჩევა, გარკვეული ინციდენტები ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის რეგიონები დამოუკიდებლობას და მეტ ავტონომიას ითხოვენ, ბელგია მაინც ინარჩუნებს ერთიანობას, რადგან ის ყველა ეროვნულ

უმცირესობაზე ერთნაირად ზრუნავს. მოსახლეობის უმეტესობაც მიიჩნევს, რომ არააქვს მნიშვნელობა რომელი ერის წარმომადგენლები იქნებიან. ისინი ბელგიელებად თვლიან თავს და კულტურათა ასეთი მშვიდობიანი თანაარსებობა საამაყოდ მიაჩნია.

ბელგიაზე გაკეთებული რეპორტაჟის ამ ნაწილით, გადაცემის ავტორები ცდილობენ დაგვანახონ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსახლეობა და ხელისუფლება ლოიალურად უდგება ეროვნულ უმცირესობებს და თანასწორად ზრუნავს მათი უფლებების დაცვაზე, ისევე როგორც ძირითადი მოსახლეობის უფლებებზე.

„ევროტურის“ ავტორები ეროვნული უმცირესობების თემას ეხებიან ისეთი ქვეყნის მაგალითზეც, რომელიც ევროკავშირის შედარებით ახალი წევრია და აქედან გამომდინარე, განსხვავებული სურათი იხატება ამ საკითხთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ განსხვავებული რეალობა არსებობს, მაგალითად რუმინეთის შემთხვევაში, სადაც ბოშები წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას. ბოშები ბევრ პრობლემას ქმნიან, როგორც მოსახლეობისთვის ასევე ხელისუფლებისთვის. ჟურნალისტების მიერ ნაჩვენებია ერთი მხრივ, ბოშათა დასახლება, სადაც უამრავი პრობლემა არსებობს და მოსახლეობა ამტკიცებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს ისინი ევროპელებად ითვლებიან თუ არა, რადგან მათი უფლებები მაინც არ არის დაცული. მათ არ აჩერებენ საავადმყოფოებში, ყურადღებას არ აქცევენ, არ აქვთ დაზღვევა და სამუშაო და ა.შ. მეორე მხრივ, გადაცემის ავტორები გვიჩვენებენ იმ შენობებს, რომლებიც მთავრობამ გამოყო ბოშების საცხოვრებლად და აგრეთვე ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ სახელმწიფო ცდილოს მათ დასაქმებას. თუმცა ფაქტია, რომ პრობლემები კვლავ მოუგვარებელია.

2.8. სექსუალური უმცირესობების თემა ,,ევროტურებში“

იმ თემებს შორის, რომლებიც გადაცემა „ევროტურების“ ფარგლებში აქვთ ჟურნალისტებს განხილული, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად შეიძლება გამოიყოს სექსუალური უმცირესობების თემაც, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნების ცხოვრებაში. ამ უმცირესობის

წარმომადგენლებს გააჩნიათ პრობლემები, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს მასშტაბით ისინი თანდათან იმკვიდრებენ თავიანთ ადგილს საზოგადოებაში. სხვადასხვა ქვეყნებში გასნხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ამ უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ, მუდმივად განხილვის საგანს წარმოადგენს მათი პრობლემები და ისინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, „ევრკავშირის“ წევრ სხვადასხვა ქვეყნებზე გასულ სიუჟეტებში, ჩანს გადაცემის ავტორების მიზანი, რომ შეხებოდნენ ისეთ თემას რომელიც აქტუალურია, როგორც „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში, ისე საქართველოშიც. ამ გადაცემების ფარგლებში, ჟურნალისტები გვაჩვენებენ სექსუალური უმცირესობის საკითხთან დაკავშირებულ როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებსაც.

პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ საქართველოში მწვავედ დგას სექსუალურ უმცირესობების საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ისინი ქართული საზოგადოების მიერ მუდმივი კამათის და განსჯის საგანი ხდებიან, ისინი მუდვივად კონფლიქტურ სიტუაციებში ეხვევიან და ზოგჯერ მსგავსი შემთხვევები ფატალურადაც მთავრდება ხოლმე. ჩემი აზრით, რადგანაც საქართველოს წინაშე „ევროკავშირში“ გაერთიანების სამომავლო პერსპექტივა ისახება, მნიშვნელოვანია ქართველმა მაყურებელმა იცოდეს, თუ რა ხდება ამ კუთხით „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში, რა დამოკიდებულებები აქვთ ამ უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ, როგორ აგვარებენ მათთან დაკავშირებულ პრობლემებს. გადაცემა „ევროტური“ კი, სწორედ ამ თემებზე დაკვირვებაში დაეხმარება ქართულ საზოგადოებას, რომელიც შემდეგ შეძლებს შეადაროს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობები ჩვენს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას.

ჩემს მიერ კვლევისათვის შერჩეული გადაცემებიდან განვიხილავ იმ ნაწილებს, რომლებიც პირდაპირ ეხმიანება ამ თემას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. თავდაპირველად შევეხები ჩეხეთის მაგალითს, რომელიც პოსტკომუნისტური ცენტრალური ევროპის ქვეყანაა. გადაცემის ავტორები ამ თემასთან დაკავშირებით გვიჩვენებენ მოედანს ჩეხეთში, რომელიც ჩეხი ხალხისთვის სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია, რადგანაც ამ მოედანზე იმ ორი სტუდენტის მემორიალია აღმართული, რომლებმაც თავი შესწირეს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას,

თუმცა იმ თემის ფარგლებში, რომელსაც ეხლა განვიხილავ, ამ მოედანს სხვა დანიშნულება ენიჭება, ამ ადგილზე გამართულია გამოფენა, რომელიც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ეძღვნებათ. ამ ნაწილში აუცილებელია ქართველმა მაყურებელმა დაინახოს ის, რასაც ჟურნალისტები ხაზს უსვამენ. ისინი იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ ასეთ სიმბოლურ და ტრადიციულ ადგილას არის გამართული სექსუალურ უმცირესობებისათვის მიძღვნილი გამოფენა, მიანიშნებენ იმაზე, რომ ჩეხი ხალხისთვის სექსუალური ორიენტაცია, როგორიც არ უნდა იყოს ის, ეროვნულ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოდის, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად თანაცხოვრება მათ გაღიზიანებას არ იწვევს და არანაირ პროტესტს არ აცხადებენ იმ გამოფენის მიმართ, რომელიც ამ მოედანზე სექსუალურ უმცირესობებს ეძღვნებათ. აგრეთვე, ამ ნაწილში, გადაცემის ავტორების მიზანია, ის რომ ქართულ საზოგადოებას დაანახონ „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში არსებული კანონები, რომლებიც იცავს ნებისმიერ ადამიანს და მის უფლებებს რელიგიის, ეროვნებისა და სექსუალური ორიენტაციების განურჩევლად, უფრო მეტიც „ევროკავშირი“ ცდილობს დააწესოს ის სტანდარტები, რომლითაც უმცირესობების უფლებები უფრო მეტად იქნება დაცული.

ჩეხეთში გამართული გამოფენა, რომელიც სექსუალურ უმცირესობებს ეძღვნება, აგრეთვე ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ამ ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები არ ცდილობენ თავიანთი განსხვავებულობის დამალვას და კარგად ჩანს ისიც, თუ როგორ მშვიდობიან გარემოში შეუძლიათ მათ თავიანთი განსხვავებულობის წარმოჩენა. გადაცემის ავტორები კადრში გვიჩვენებენ ერთ-ერთ ჩეხ რესპოდენტს, რომელიც პირდაპირ საუბრობს ჩეხი ხალხის დამოკიდებულებებზე სექსუალური უმცირესობების მიმართ და ამით ამყარებს ჟურნალისტების მიერ შექმნილ სურათს. ეს რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჩეხი ხალხი ზოგადად, ლიბერალურ ხალხად ითვლება მთელს ევროპაში, და იმასაც, რომ ისინი პატივს სცემენ სექსუალურ უმცირესობებს, მათ უფლებებს და მათთვის მიძღვნილ აღლუმებსაც, საინტერესოა ის მოსაზრება, რომელსაც ეს ადამიანი ამ ყველაფრის ძირითად განმსაზღვრელ მიზეზად ასახელებს, როგორც მისი ნათქვამიდან ჩანს, ეს არის ის, რომ ჩეხეთში არ არსებობს ერთი დომინანტური რელიგია.

პოლონეთის მაგალითზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში საზოგადოების სხვადასხვა ფენებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით. გადაცემის ავტორებმა ამ შემთხვევაშიც გვიჩვენეს სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული, როგორც დადებითი, აგრეთვე უაროფითი მოვლენები. გაავლეს პარალელები ქართულ საზოგადოებასთან, რადგანაც ამ ქვეყნის მაგალითი უფრო მეტად არის ახლოს ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან.

პოლონეთში, ვარშავის ცენტრში აგებული კონსტრუქცია-ცისარტყელა, მიიჩნევა სესქსუალური უმცირესობების სიმბოლოდ ამ ქვეყანაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ დაფიქსირებულა, რომ სექსუალური უმცირესობების საპატივცემულოდ რაიმე სახის ნაგებობა დაედგათ, ამიტომაც ქართველი მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორი რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან მსგავს მოვლენას პოლონეთში. გადაცემის ავტორები გვიჩვენებენ რეალურ სურათს და ყურადღების მიღმა არ ტოვებენ იმ ფაქტს, რომ ქალაქის ცენტრში მდგარი ეს სიმბოლო აღმოჩნდა კათოლიკური ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, ამან კი საზოგადოების ნაწილს შორის დაპირისპირება გამოიწვია და მოწინააღმდეგე მხარემ სამჯერ დაანგრია აღნიშნული კონსტრუქცია, თუმცა ქალაქის მერიამ სამჯერვე აღადგინა და კვლავ ჩვეულ სახეს დაუბრუნა ცისარტყელა. გადაცემის ფარგლებში, პოლონელი გიდი ამ საკითხის მიმართ თავის დამოკიდებულებას გვაცნობს და ამბობს, რომ ამ სიმბოლოს დგომა ქალაქის ცენტრში დიდი მნიშვნელობის მქონეა, რადგანაც ეს სიმბოლო ამტკიცებს იმას, რომ ეკლესია და კანონი ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს, ეს ორი მხარე არ უნდა ერეოდეს ერთმანეთის უფლებამოსილების საზღვრებში. აგრეთვე, ამავე გიდის საუბრიდან ჩანს, რომ ცისარტყელა, რომელიც სექსუალური უმცირესობების სიმბოლოდ არის მიჩნეული, მიუთითებს იმაზეც, რომ ქვეყანაში არსებობს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნისთვის. თუმცა პოლონეთში საზოგადოების კონსერვატული ნაწილი, ამ დროისთვის ჯერჯერობით ვერ შეეუგუა ამ ფაქტს და ეს მოვლენა ხშირად ხდება კონფლიქტების მიზეზი, პოლონელი გიდი მაინც თვლის, რომ მისმა ქვეყანამ წარმატებით ჩააბარა ის

გამოწვევა, რომელიც „ევროკავშირმა“ დაუყენა და დარწმუნებულია, რომ დანარჩენი პრობლემებიც თანდათან მოგვარდება. ცნობილია, რომ საქართველოში სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული უამრვი პრობლემა მოუგვარებელია, ამიტომაც გადაცემის ეს ნაწილი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლისთვის, რადგანაც მისი გზავნილია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მსგავსი სტერეოტიპები, რომლებსაც დაძლევა სჭირდება.

ჟურნალისტები ყოველთვის აკეთებენ იმაზე აქცენტს, რომ „ევროკავშირის“ ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს ადამიანთა უფლებები და ამ უფლებების დასაცავად ზრუნვა. ამის არგუმენტად კი მოყვანილია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგალითი და ეს არის შვედეთი, რადგანაც ის არის „ევროკავშირის“ წევრი პირველი ქვეყანა, სადაც 2009 წელს ერთსქესიანთა ქორწინება ლეგალური გახდა. ეს მოვლენა მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოადგენს განხილვის საგანს, თუმცა შვედეთში ამ მოვლენას არც ეკლესია და არც საზოგადოების უმრავლესობა არ შეწინააღმდეგებია და აქედან გამომდინარე, მიიღო კიდეც კანონიერი სახე, ამ ფაქტის აღნიშვნით, გადაცემის ავტორები ცდილობენ ქართველ მაყურებელს მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში ეკლესია და კანონი ერთმანეთისგან არის გამიჯნული, ეკლესიას თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავ საზოგადოების ცხოვრებაში და ასრულებს იმ მოვალეობას, რაც მასზეა დაკისრებული, ეს ინსტიტუტი არ ერევა სახელმწიფოს საქმიანობაში და არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ფარგლებში მიღებულ კანონებს, ისიც აღსანიშნავია, რომ საზოგადოებას აზრის გამოთქმას ნებისმიერი საკითხის გარშემო არავინ უშლის, რადგანაც სიტყვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნებისთვის.

შვედეთზე გასულ გადაცემაში იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებები დაცულია, ნაჩვენებია ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, სექსუალურ უმცირესობებზე ზრუნვის 50 წლიანი გამოცდილებით, რომლის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ შვედეთში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა. არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად იცავს უმცირესობების უფლებებს. ამავე ნაწილში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ შვედეთი ტრადიციული ქვეყანაა და მან წარმატებით შეძლო იმ სტიგმის დაძლევა, რომელიც სექსუალური

უმცირესობების მიმართ არსებობდა საზოგადოებაში, ეს კი ქართველი მაყურებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ქართველ საზოგადოებას დღესდღეობით განსხვავებული ორიენტაციის მქონეა დამიანების საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად მიღება ძალიან უჭირს, ამიტომაც ქართველი მაყურებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შვედეთის მაგალითის ჩვენება.

შვედეთში ერთსქესიანთა ოჯახურ წყვილებს საშუალება ეძლევათ კანონიერად აიყვანონ შვილი და აღზარდონ თავიანთ ოჯახში. ამ ფაქტს დადებითად აფასებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი დირექტორი, რომელიც სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავს. ეს ქალბატონი გადაცემის ავტორებთან ინტერვიუს პროცესში აღნიშნავს, რომ კანონის შეცვლამ შვედეთში შეცვალა საზოგადოების ხედვაც. აქ გარკვეულწილად მინიშნებულია, რომ ჯერ განწყობა კონსტიტუციის ფონზე უნდა შეიცვალოს, თანდათან უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში ამ ყველაფრის მოქცევა, ეტაპობრივად მოხერხდეს სიტუაციის მოგვარება, რათა ამ ფაქტმა საზოგადოების გაღიზიანება არ გამოიწვიოს და შემდეგ ნელ-ნელა საზოგადოებაც მოერგება კონსტიტუციის მიერ მიღებულ კანონს. ეს ქალბატონი, აღნიშნავს, რომ ის არის საქართველოში ნამყოფი და ქართველ აქტივისტებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო ერთ-ერთ პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა პოლიციელების გადამზადებას სექსუალური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, პოლიციელებსაც არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცნენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს და როგორ დაიცვან მათი უფლებები. თუმცა პროექტი ჩაიშალა და განუხორციელებელი დარჩა ყველა ის გეგმა, რომელიც ამ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იყო მოფიქრებული.

„ევროკავშირის“ წევრი სხვადასხვა ქვეყნები, რა თქმა უნდა განსხვავებულად უდგებიან სექსუალური უმცირესობების საკითხს, თუმცა შვედეთზე გასულ გადაცემაში ხაზსგასმით არის აღნიშნული ევროკავშირის ერთ-ერთი არაწევრი ქვეყნის - მალაიზის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, იმ ერთსქესიანი წყვილის ფონზე, რომელმაც შექმნა ოჯახი და შვედეთში გადაწყვიტა ცხოვრება, ამ გადაწყვეტილებას თავისი მიზეზი აქვს. ამ შემთხვევაში, იგულისხმება ის, რომ შვედეთში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებულია და წყვილს შეუძლია კანონის ფარგლებში მშვიდად

თანაცხოვრება. აღსანიშნავია, რომ ამ ერთსქესიანი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც მალაიზიიდან არის, სრულიად განსხვავებულ სურათს ხატავს და წარმოაჩენს მის ქვეყანაში ამ საკითხისადმი არსებულ უარყოფით დამოკიდებულებებს. როგორც მისი საუბრიდან ჩანს, მალაიზიაში ეს თემა ტაბუდადებულია და თუ განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანი ხარ, ყველა გიყურებს, როგორც ავადმყოფს და ყველა შენს გამოსწორებას ცდილობს. ამ მიზეზით ხდება ოჯახური კონფლიქტები და საზოგადოება ყოველთვის რიყავს მსგავს ადამიანებს თავისი რიგებიდან. საზოგადოება მათ რიგებში ერთსქესიანი წყვილების არსებობას ვერ ეგუება. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა მალაიზიელი რესპონდენტიც. მეორე მხრივ, მისი შვედი პარტნიორის საუბრიდან ირკვევა, რომ მას მსგავსი პრობლემები არ გასჩენია, სწორედ იმიტომაც, რომ ის შვედია.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები ვალდებულები არიან სამხედრო სამსახურში იმსახურონ. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ „ევროკავშირი“ ყველას ისე ექცევა, როგორც თანასწორს და ვინმესთვის პრივილეგიის მინიჭებას არ ცდილობს. ეს გაერთიანება ყველას უფლებების თანაბრად დაცვას ცდილობს და სწორედ ამ დამოკიდებულების დამკვიდრებაა პრიორიტეტული მის წევრ ყველა ქვეყანაში. საქართველოსთვის, როგორც, ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ეს გზავნილი, რადგანაც, ევროკავშირში გასაწევრიანებლად აუცილებელია ამ გაერთიანების მიერ მოთხოვნილი გარკვეული სტანდარტების დანერგვა ქვეყანაში.

ჩემს მიერ საკვლევად შერჩეული გადაცემებიდან ირკვევა, რომ სექსუალური უმცირესობების თემა ყველა ქვეყანაში აქტუალურია, უმეტესობაში კი პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ევროკავშირი“ თავის წევრ ყველა ქვეყანაში ცდილობს იმ სტანდარტების დანერგვას, რომლებიც მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. რა თქმა უნდა, პროცესი ხანგრძლივია და შრომატევადი, თუმცა შედეგი ეფექტურია, რადგან ამ გაერთიანების წარმომადგენლების მიერ ჩატარებული რთული სამუშაოებითა და მონდომებით სიტუაცია იცვლება უკეთესობისკენ და რაც მთავარია, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საზოგადოების აზრისა და დამოკიდებულების ფორმირებაში.

საქართველოსთვის კი, ამ ყველაფრის ჩვენებას ის მიზანი აქვს, რომ ქვეყნის მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია თუ რა მდგომარეობაა სექსუალური უმცირესობების საკითხთან დაკავშირებით „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში და რა რეფორმები ტარდება სიტუაციის გამოსასწორებლად, რადგანაც ჩვენი ქვეყანა სწორედ იმ ეტაპზეა, როდესაც საზოგადოებაში არსებობს სერიოზული სტიგმა სექსუალური უმცირესობების მიმართ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი სექსუალური უმცირესობების მიმართ და ზოგჯერ აგრესიული ფონითაც არის გამოხატული ხალხის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ.

2.9.პარლამენტარების ხედვები და დამოკიდებულებები სოციალური პრობლემების მიმართ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

გადაცემა „ევროტურები“ როგორც კვლევიდან ჩანს, აქცენტს ყოველთვის იმ თემებზე აკეთებს, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან გარკვეულ კავშირშია. ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ თემებზე, რომლებიც შეიძლება დღეს საქართველოში შეიძლება პრობლემური იყოს, თუმცა „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში უკვე გამოვლილი იყოს ეს ეტაპი და საქართველოს მაგალითად გამოადგეს ის, თუ როგორ შეძლეს ამ ქვეყნებმა პრობლემების მოგვარება და წარმატებულ ქვეყნებად ქცევა. რაგდანაც ჩვენი ქვეყანას გაცხადებული აქვს ევროპეიზაციის კურსი, რაც ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით ქვეყნის ტრანსფორმაციას გულისხმობსს, ამიტომაც ყველა ის თემა, რომელიც „ევროტურების“ ფარგლებშია განხილული, საინტერესოა ქართველი მაყურებლისთვის. ერთ-ერთი ასეთი თემაა ის დამოკიდებულებები და ხედვები, რომელიც „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნების პარლამენტარებს აქვთ სოციალური პრობლემების მიმართ.

,,ევროტურის“ გადაცემებში ნაჩვენებია ხალხის დამოკიდბულებებიც პარლამენტარების და სახელმწიფოს მეთაურების მიმართ. მაგალითად ჩეხეთის შემთხვევაში, გადაცემის განმავლობაში ჟურნალისტების მიერ ნაჩვენებია საპროტესტო აქცია, რომელიც მიმართულია ჩეხეთის პრეზიდენტის მიმართ. ხალხი ითხოვს პრეზიდენტის გადადგომას, რადგანაც ამ ადამიანს ვერ აპატიეს, ის პრორუსული დამოკიდებულება,

რომელიც უკრაინასთან დაკავშირებულ ამბებში გამოიჩინა. აქ ხაზგასმულია ის მოვლენა, რომ ხალხს საპროტესტო აქციის ჩატარებას არავინ უშლის და არც საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. მნიშვნელოვანია ის, რომ ჩეხეთში სიტყვის თვისუფლებას პატივს სცემენ. პარლამენტის და მთავრობის წარმომადგენლები არ ერევიან ამ მოვლენებში და სრულ თავისუფლებას აძლევენ ხალხს თავიანთი დამოკიდებულებების გამოსახატავად.

განსხვავებული კუთხით არის ნაჩვენები ლუქსემბურგი. ეს არის ძალიან კარგი მაგალითი, იმის საჩვენებლად, თუ როგორი დამოკიდებულებები აქვთ პარლამენტის წევრებს მათ გარშემო არსებული ყოველდღიური ცხოვრების მიმართ. ამ შემთხვევაში, როგორც გადაცემის ერთ-ერთმა ავტორმა მასთან ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნა, გადაცემის შექმნის დროს გადაწყვეტილი ჰქონდათ, შემთხვევით ესარგებლათ და ქართველი ჩინოვნიკებისა და მაღალი თანამდებობის მქონე პირებისთვის ეჩვენებინათ, თუ რა კუთხით იყენებენ „ევროკავშირში“ შემავალი ქვეყნების პარლამენტარები და მაღალი თანამდებობის მქონე პირები მათთვის მინიჭებულ უფლებებს, როგორი დამოკიდებულებები აქვთ ჩვეულებრივი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ და როგორ არიან დაინტერესებული იმ მოვლენებით, რაც ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება. ამის დამადასტურებელ არგუმენტად, შეიძლება მოვიყვანოთ ლუქსემბურგის გადაცემაში ნაჩვენები პარლამენტარი, რომელიც ქართველ ჟურნალისტებს სთავაზობს ქალაქის ცენტრში ფეხით გასეირნებას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ლუქსემბურგის პარლამენტის წევრია, არ გრძნობს არანაირ უპირატესობას სხვების წინაშე და როგორც ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, ისე იქცევა. ფაქტია, რომ ასეთი დამოკიდებულება პარლამენტარების მხრიდან ქართველი ჟურნალისტებისთვის და მაყურებლებისთვის უჩვეულოა, რადგანაც ქართულ რეალობაში პარლამენტარებს განსხვავებული დამოკიდებულებები და ხედვები გააჩნიათ.

ლუქსემბურგის პარლამენტის წევრი საუბრობს მათ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, ჟურნალისტების მიერ განსაკუთრებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ლუქსემბურგში მეზობელი ქვეყნებიდან ყოველდღიურად დაახლოებით 1800 ადამიანი გადმოდის სამუშაოდ და ქვეყნის პრიორიტეტია ის, რომ ამ ადამიანებს ხელი არ

შეეშალოთ გადაადგილებაში. ისინი ძალიან დიდი ყურადღებას უთმობენ მსგავს საკითხებს. მაგალითად იმისათვის, რომ ქალაქი მანქანებით ზედმეტად არ გადაიტვირთოს, ლუქსემბურგში ერთ-ერთ უძველეს ხიდზე აკეთებენ ტრამვაის ხაზს, მაგრამ ამას აკეთებენ ისე, რომ ხიდი არ დაზიანდეს და არ დაეკარგოს სიძველის ის ეფექტი, რომლითაც ის ტურისტებს იზიდავს.

„ევროტურების“ ფარგლებში ბელგიაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ როგორი ბალანსია დამყარებული პარლამენტში, რომელიც აქ სამ ნაწილად არის დაყოფილი, სამივე მხარე საკუთარ ენაზე საუბრობს და თარჯიმნები ჰყავთ იმისათვის, რომ ერთმანეთის ნააზრევი გაიგონ. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ნაწილში არის ის, რომ გადაცემის ავტორები ცდილობენ ქართველ მაყურებელს აჩვენონ ის, თუ როგორ პატივს სცემენ ამ მრავალფეროვანი პარლამენტის წარმომადგენლები ერთმანეთს. თუმცა ამ დადებით მხარესათან ერთად ჟურნალისტები აღნიშნავენ იმასაც, რომ ამ ადამიანებს შორის მრავალფეროვნების გამო ხშირად ხდება სიტყვიერი დაპირისპირებები, თუმცა ეს დაპირისპირება არასოდეს გადადის ფიზიკურ დაპირისპირებაში, რადგან ამ ადამიანებმა კარგად იციან ზღვარი, რომელიც არ უნდა გადალახონ. გადაცემის ამ ნაწილში ჟურნალისტების მიერ საყურადღებო ფაქტებია წინ წამოწეული ქართველი პარლამენტარებისთვის, რადგანაც როგორც ცნობილია, ქართული პარლამენტისა და მისი წარმომადგენლებისთვის უცხო არ არის ფიზიკური დაპირისპირებები, რომლებიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

პარლამენტის თავმჯდომარე იმასაც გვეუბნება, რომ ბელგიის ერთიანობა მიუხედავად მისი ეროვნული და ეთნიკური მრავალფეროვნებისა, არასოდეს დაირღვევა, თუკი პოლიტიკოსები ბალანსის შენარჩუნებას შეძლებენ და ყველა უმცირესობაზე თანაბრად იზრუნებენ. გადაცემის ავტორები ცდილობენ დაგვანახონ, რომ ბელგიელები პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და მიიჩნევენ, რომ ყველანი თანასწორები არიან, ამ მოსაზრებას ისინი იმ არგუმენტის მეშვეობით ამტკიცებენ, რომ ქუჩაში პარლამენტის თავმჯდომარეს არ ელოდება არც სამთავრობო მანქანა და არც დაცვის მოციმციმე ესკორტები ჩანს სადმე. ქუჩაში პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად გამოსული ერთ-ერთი ჟურნალისტის სახეზე გულწრფელი გაკვირვება იხატება იმის გამო, რომ ისეთი თანამდებობის მქონე პირს, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარეა, ფეხით ან

მეტროთი გადაადგილება ურჩევნია, მისთვის გამოყოფილი სამთავრობო მანქანით გადაადგილებას.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მაგალითია ბელგიელების მენტალიტეტის ჩვენება, რადგანაც როგორც ცნობილია ხშირია კონფლიქტები ეროვნულ უმცირესობებს შორის და იმის ნაცვლად რომ პრობლემა მოგვარდეს, ხშირად პარკვეულწილად პრვოცირებაც კი ხდება სხვადასხვა ჯგუფების მიერ.

ძალიან მნიშვნელოვანია ერთ-ერთ გადაცემაში განხილული შვედეთის მაგალითიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსგან სრულიად განსხვავებული სურათია დახატული ამ ქვეყნის მაგალითზე. მაყურებელი კადრში ხედავს საქართველოში ევროკავშირის მისიის ყოფილ ხელმძღვანელს, რომელსაც, როგორც მისივე საუბრიდან ჩანს, საქართველოში ყველაზე საინტერესო დროს, რეფორმებისა და ცვლილებების პროცესში მოუწია მუშაობა. საქართველოში ევროკავშირის მისიის ყოფილი ხელმძღვანელი ამბობს, რომ ის კარგად ერკვევა იმ პრობლემურ საკითხებში, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. ეს ადამიანი აღნიშნავს, რომ რომ შვედეთი ძველი დემოკრატიის და ტრადიციების ქვეყანაა. ხაზს უსვამს იმ მოვლენას, რომ შვედებისთვის არჩევნების გაყალბების თემა უცხოა. რესპოდენტი იმაზეც აკეთებს აქცენტს, რომ მისი ქვეყნისთვის აგრეთვე უცხოა კორუფციის თემა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ სტრესი, დრამა და იმედგაცრუება არ აქვთ. ქართველი მაყურებლისთვის კი ეს თემები საკმაოდ პრობლემური საკითხებია და ამიტომაც აკეთებს აქცენტს ამ თემებზე საქართველოში ევროკავშირის მისიის ყოფილი ხელმძღვანელი. გადაცემის ამ ნაწილით, ჟურნალისტები ცდილობენ, ქართველ მაყურებელს აჩვენონ, რომ ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებში განსხვავებული სურათი იხატება ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებთან შედარებით. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ შედარებით ახალ წევრ ქვეყნებს სჭირდებათ საკმაოდ დიდი დრო იმ ეტაპების გასავლელად, რაც თავის დროზე გაიარეს ევროკავშირის ძველმა წევრმა ქვეყნებმა და იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ამ ქვეყნებსაც აწუხებდათ თავდაპირველად.

ავსტრიაც მნიშვნელოვანი მაგალითია იმის საჩვენებლად, როგორი კულტურით გამოირჩევიან აქაური პარლამენტარები და როგორი დამოკიდებულებები აქვთ მათ

გარშემო არსებული სოციალური პრობლემების მიმართ. ავსტრია ცნობილია იმით, რომ აქაური ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავს ხანდაზმულებზე და მათი პრობლემების მოგვარებაზე უამრავ ფულს ხარჯავს. ამ ქვეყანაში პოლიტიკური ნებაა ის, რომ მოხუცები კარგი ცხოვრების ხარისხით დატკბნენ და პენსია იყოს 1500 ევრო.

ავსტრიაზე გასულ გადაცემაში ჟურნალისტებმა გვიჩვენეს ავსტრიის ერთ-ერთი მინისტრი, რომელიც ხელმძღვანელობს ერთ-ერთ ყოველკვირეულ კონფერენციას. გადაცემის ავტორები კადრში გვიჩვენებენ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ამ მინისტრს კონფერენციაში მონაწილე თითოეულ ადამიანთან .

ბულგარეთის მაგალითის განხილვაც მნიშვნელოვანია პარლამენტარების დამოკიდებულებების საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის მაგალითზე განსხვავებული სურათი იხატება, ამას განაპირობებს ის, რომ ბულგარეთი ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი ქვეყანაა. გადაცემიდან ჩანს, რომ ბულგარეთში ძალიან ბევრი პრობლემა მოუგვარებელია. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ბულგარეთის მთავრობა თავისი არაეფექტურობით არის გამორჩეული. პარლამენტარებისათვის და მთავრობის წევრებისათვის კორუფცია უცხო თემა არის. პარლამენტისა და მთავრობის წევრები პრობლემების მოგვარებაზე არ ფიქრობენ, აქედან გამომდინარე იურისდიქციაში სრული ქაოსია, ლტოლვილების პრობლემები კვლავ მოუგვარებელია. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის გასვლის პერიოდისთვის ეს ქვეყანა უკვე 9 წლის განმავლობაში იყო ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ის პრობლემები, რომლებიც ბულგარელ ხალხს ევროკავშირში შესვლამდე აწუხებდა, მაინც არ არის მოგვარებული. გადაცემის ავტორების ეს გზავნილი იმისათვის არის საჭირო, რომ სქართველოს მოსახლეობას არ შეექმნას ილუზია იმისა, რომ თუ იქნები ევროკავშირის წევრი ქვეყანა, აუცილებლად ყველა პრობლემა მოგვარდება და აგრეთვე არც იმის უსაფუძვლო შიში, რომ ევროკავშირის წევრობა მათ საზიანოდ იქნება გამოყენებული.

დასკვნა

დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ევროტურის“ გადაცემების ფარგლებში გადაცემის ავტორები ცდილობენ განიხილონ ის თემები, რომლებიც დღესდღეობით ძალიან აქტუალურია საქართველოში, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს აღებული აქვს კურსი დასავლეთისაკენ და ცდილობს ქვეყანაში დაამკვიდროს ის სტანდარტები, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოებს მას. როგორც ვიცით, ქართული საზოგადოება ევროკავშირთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის, აქედან გამომდინარე, კვლევიდან გამოჩნდა ისიც, რომ „ევროტური“ წარმოგვიდგება, როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმწოდებელი საქართველოს მოსახლეობისთვის.

ჟურნალისტები ნებისმიერი ევროკავშირის წევრი ქვეყნის მაგალითზე, ყურადღებას ამახვილებენ იმ თემებზე, რომლებიც საინტერესო იქნება ქართველი მაყურებლისთვის. ჩემი აზრით, ჟურნალისტები აქცენტს უფრო მეტად აკეთებენ აგრეთვე იმ თემებზე, რომლებიც დღესდღეობით აქტუალურია საქართველოში. ამ გადაცემების შექმნის დროს, ჟურნალისტების მიზანი იყო, რომ ქართველი მაყურებლისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნები ეჩვენებინათ თავისი დადებითი და უაროფითი მხარეებით. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ჟურნალისტები ცდილობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიღწევებთან ერთად აჩვენონ ის პრობლემებიც, რომლებიც აქვთ ამ ქვეყნებს.

კველევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გადაცემის ავტორების მიერ გატარებული დისკურსით ქართველ მაყურებელს მიეწოდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროკავშირი თავისი წევრი ქვეყნებისთვის არანაირი კუთხით არ წარმოადგენს საფრთხეს. ჟურნალისტები ,,ევროტურის“ ფარგლებში აჩვენებდნენ იმას, რომ საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს იმის შიში, რომ ქვეყანაში ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ საფრთხე დაემუქრება მის ეროვნულ იდენტობას, რელიგიურ აღმსარებლობას, ან ნებისმიერი სახის კულტურულ მემკვიდრეობას. პირიქით, ისინი ცდილობენ, რომ ევროკავშირი, მიუხედავად პრობლემური ასპექტების ჩვენებისა, მიმზიდველად წარმოაჩინონ ქართველი მაყურებლისთის ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის მაგალითზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) *მუსხელიშვილი, მ., მეზვრიშვილი, ლ. კეჭაყმაძე, ი., & იაკობიძე, მ. (2015), არჩევანი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი;*
2) *წულაძე, ლ., ესებუა, ფ., კახიძე, ი., კვინტრაძე, ა., ოსეფაშვილი, ი., ამაშუკელი, მ. (2016), ევროპეიზაციის პერფორმანსი-პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი;*
3) *Bockova , 2014,*
4) Borzel T, A., (2014) Coming Together or Drifting Apart? Political Change in New Member States, Accession Candidates and Eastern Neighbourhood Countries;
5) *Rinnert, D. (2011) the eastern partnership in Georgia, working paper F.G 5;*
6) *Schimmelfennig, F., (2014) Enlargement & Integration Capacity: A Framework for Analysis;*
7) *Sedelmeier, U. (2015) Beyond Uniform Integration? Researching the Effects of Enlargement on the EU's Legal System;*
8) *Toshkov D., Kortenska E., Dimitrova, A. and Fagan, A. (2014). The 'Old' and the 'New' Europeans: Analyses of Public Opinion on EU Enlargement in Review. MAXCAP Working Paper Series, 2. Retrieved from: http:// www.maxcap-project.eu/system/files/maxcap_wp_02.pdf*
9) *Trenz, H. (2011). Social Theory and European Integration. In Favell, A. and Vachudova, M.A. (2005). Europe Undivided: Democracy, Leverage and Integration after Communism (193-213). Oxford University Press, Oxford.*
10) *რას ნიშნავს ევროინტეგრაცია-შეხვედრა საკრებულოში, ფრანგიშვილი (2016), მოძიებულია- http://batumelebi.netgazeti.ge/news/40941/#sthash.eJ07rARz.OsCYGGxr.dpbs*
11) *რა არის აღმოსავლეთ პარტნიორობა, მოძიებულია - http://www.eap-ibm-capacitybuilding.eu/ka/eastern-partnetship/Eastern-Partnership*
12) *ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ევროპის ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი) , მოძიებულია- http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/385-evropis-samezoblo-politika.html?lang=ka-GE)*
13) *ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებების და ცოდნის შფასება საქართველოში, ცვლილებები და ტენდენციები 2009-2015 წლებში, მოძიებულია- http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/09/eu_attitudes_survey_ge_nov_24_1.pdf*
14) *ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, მოძიებულია- http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/*
15) *კუპატაძე, პ., რა სარგებლობა მოაქვს ასოცირების ხელშეკრულებას-ცოტა რამ ისტორიული დოკუმენტის შესახებ, მოძიებულია- http://sazogadoeba.ge/index.php?post_id=1157*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lika Gabisonia

The European Union based on “Eurotours” and parallels with Georgian reality

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Social and Cultural Studies

Thesis supervisors: Amiran Berdzenisvili- PHD in Philosophy,

Proffesor at Tbilisi State University

Lia Tsuladze -PHD in Sociology,

Assosiate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ანუკი ცაავა

გენდერული სტერეოტიპები ქართულ სატელევიზიო გასართობ თოქ შოუებში

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ამირან ბერძენიშვილი

ფილოსოფიის დოქტორი, თსუ პროფესორი

ლია წულაძე,

სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

სარჩევი

შესავალი 5

1. თეორიული ნაწილი 10

1.1 სოციალური როლის თეორია 10

1.1.2 გენდერული როლები და სტერეოტიპები 11

1.1.3 შრომის დანაწილება და გენდერული იერარქიის საწყისები 12

1.1.4 კომუნალური და აგენტური კატეგორიები 13

1.2 სოციალიზაცია 15

1.3 სექსუალობის ორმაგი სტანდარტი 17

1.4 სქესზე დაფუძნებული ძალადობა 18

1.5 სექსისტური ენა და სექსიზმი 20

1.6 გენდერული მედია 22

2. ემპირიული ნაწილი 25

ზოგადი დასკვნა 43

მედია ესქპერტის გამოკითხვის ანგარიში 44

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა: 49

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულ სატელევიზიო გასართობ თოქ შოუებში გენდერული სტერეოტიპების კვლევას. ჩვენს ქვეყანაში, დემოკრატიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად, გენდერული უთანასწორობის პრობლემა უფრო მეტად იჩენს თავს. კონკრეტულად მე, მაინტერესებდა როგორ ხდება, ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპების გამოყენება მედიაში, კერძოდ, ტელევიზიაში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაისვა შემდეგი ძირითადი **ამოცანები:**

- ჟურნალისტების მიერ სექსისტური ენის გამოყენების კვლევა;
- გადაცემის სტუმრების მიერ სექსისტური ენის გამოყენების კვლევა;

კვლევაში გამოვიყენე თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, დისკურსის კრიტიკული ანალიზი. კვლევისთვის ორ სხვადასხვა არხზე, შევარჩიე 4 გასართობი თოქ შოუ. დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდით სულ გავაანალიზე 36 გადაცემა.

გადაცემების დისკურსული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ გენდერული საკითხების გაშუქებისას ქართულ გასართობ თოქ-შოუებში სტერეოტიპული აზროვნება ჭარბობს. გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე მიგვითითებენ. ძირითადად გამოვლინდა ისეთი ტიპის სტერეოტიპები, რომელიც უკავშრდება ქალის მოლოდინებს ქორწინებასა და მამაკაცთან ურთიერთობაში; სტერეოტიპები „ნამდვილი“ ქართველი ქალის ფენომენთან დაკავშირებით; სტერეოტიპები დედისა და ვაჟის განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ; სტერეოტიპული ხედვები ორმაგ სტანდარტებთან დაკავშირებით. გადაცემებში სტერეოტიპების გაჟღერება ხდება როგორც გადაცემების წამყვანების, ისე, სტუმრების მიერ.

Annotation

Anuki Tsaava

Gender stereotypes in Georgian entertaining talk shows

The purpose of the work is study of gender stereotypes in Georgian TV entertaining talk shows. In our country along with the increase of degree of democratization the problem of gender inequality is becoming more and more obvious. In particular, I was interesting how used stereotypes are related to women in media coverage, especially in television, when covering issues related to women. Based on the research goal, the following main **tasks** were set:

- Study of the use of sexist language by journalists;
- Study of the use of xesist language by guests of the program;

In the study I used the qualitative method, in particular, a critical analysis of discourse. For the study in two different channels, I have chose 4 entertaining talk shows. Through the critical analysis of the discourse, I analyzed 36 programs.

As a result of discourse analysis of the programs have been revealed that while covering gender issues in Georgian entertainment talk shows the stereotypical thinking prevails. Different types of gender stereotypes have been identified, which indicate the gender inequality in Georgian society. Mainly are identified such kinds of stereotypes which are related to the expectations of marriage and the relationship between men and women; Stereotypes concerning the phenomenon of "real" Georgian woman; Stereotypes about the special relationship between the mother and son; Stereotypical views on dual standards. The stereotypes are transmitted in programs by programmers, as well as by guests.

შესავალი

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა

წლებია ქალები და არა მხოლოდ ქალები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით იბრძვიან ქალთა უფლებების დასაცავად. გენდერული თანასწორობის პრობლემის აქტუალურობას დემოკრატიზაციის ხარისხის ზრდა განაპირობებს. ბრძოლის შედეგად მიღწეულია კიდეც გარკვეული წარმატება, თუმცა ქალები და გოგონები მაინც განიცდიან დისკრიმინაციასა და ძალადობას მსოფლიოს ყველა ნაწილში.

გენდერული თანასწორობის მიღწევა ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოშიც. ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაცია შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ფიზიკურ ძალადობაში ქალის მიმართ, არამედ სიტყვიერ მიმართვებშიც, რომელიც ხელს უწყობს სტერეოტიპული გარემოს ჩამოყალიბებას. ისეთ პატრიარქალურ საზოგადოებაში, როგორიცაა საქართველო, განსაკუთრებით მაღალია ქალისადმი სტერეიტიპული დამოკიდებულება. ქალების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და აზროვნების გავრცელება კი, უპირველეს ყოვლისა, მედიაში ვლინდება, იქნება ეს ტელევიზია, ინტერნეტი, პრესა თუ სხვ.

21-ე საუკუნეში მასმედია ნამდვილად განსაკუთრებით დიდი როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში. როგორც ნიკლას ლუმანი თავის ნაშრომში „მასმედიის რეალობა“ წერს, მასმედია ახდენს რეალობის კონსტუირებას და შესაბამისად, ადამიანები უკვე სამყაროს აღიქვამენ ისე, როგორადაც ამას მედია აწვდის მათ. (Luhmann, 1996). ქედან გამომგდინარე, მიმაჩნია, რომ მედიის როლი გენდერულ საკითხებთან დაკავშრებით ძალიან დიდია, განსაკუთრებით კი გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბების საკითხში.

ქართულ მედიაში, ჩემი ინტერესის სფეროს ტელევიზია წარმოადგენს, ვინაიდან ქართველი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიღების, გართობისა და დასვენების მთავარი წყარო სწორედ ტელესივრცეა. გასართობი გადაცემებიდან კონკრეტულად მე მაინტერესებს არაპოლიტიკური თოქ-შოუები, ვინაიდან მსგავსი ტიპის გადაცემებში

ჟურნალისტები და მათი სტუმრები ხშირად საუბრობენ ქალებზე და ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისად, ყველაზე ხშირად ამ გადაცემებში ვხვდებით ქალების მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას.

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, მიმოვიხილე უკვე არსებულ კვლევები ამ თემასთან დაკავშირებით. 2011 წელს "მედიის განვითარების ფონდი"-ს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გენდერული საკითხების გაშუქებისას ქართულ მედიაში სტერეოტიპული მიდგომები ჭარბობს. (მსხილაძე, 2011). კვლევაში მონიტორინგის ობიექტს 12 მედია საშუალება წარმოადგენდა. 5 ტელეარხი[1] და 7 გაზეთი[2]. განმეორებითი კვლევა 2012 წელს ჩატარდა, მაგრამ გენდერული საკითხების გაშუქებისადმი მედიის მიდგომა თვისობრივად არ გაუმჯობესებულა. (მსხილაძე, 2012).

ასევე საინტერესოა ნინია კაკაბაძის კვლევა, რომელიც თოქ-შოუებში უშუალოდ გენდერული სტერეოტიპების აღმოჩენაზე არ იყო ფოკუსირებული, არამედ ზოგადად დარღვევებზე, რომელიც არ შეესაბამება მაუწყებლის ქცევის კოდექსს. (კაკაბაძე, 2012) .

ჩემთვის ეს კვლევა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ავტორი აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ ხდება უფლებების დარღვევა პირადი ცხოვრებისა და პირადი ტრაგედიის გაშუქებასთან დაკავშრებით გასართობ თოქ-შოუებში და ვინაიდან აქცენტს მეც გასართობ თოქ-შოუებზე ვაკეთებ, ავტორის ანალიზი ამ მიმართულებით უკვე არსებული პრობლემის უკეთ გააზრებასა და საკვლევი ინსტრუმენტის შესაბამისად აგებაში დამეხმარება.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, მე მაინტერესებს როგორ ვლინდება გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში. რამდენად იყენებენ ჟურნალისტები და მათი სტუმრები სექსისტურ ენას.

კვლევის ფარგლებში აღნიშნულ ცნებებს გამოვიყენებ შემდეგი მნიშვნელობით:

[1] 1-ლი არხი,რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია.
[2] რეზონანსი, ასავალ-დასავალი, ალია, პალიტრა, ქრონიკა, 24 საათი.

- **გენდერი** - ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებული მოლოდინების, ქცევებისა და აქტივობების ნაკრები, რომელიც მიეწერებათ მათ, სქესის საფუძველზე (Brander, Witte, Ghanea, Gomes, Keen, Nikitina, Pinkeviciute, 2012; გვ. 503).
- **გენდერული სტერეოტიპი** -ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებსა და სოციალურ ქცევაზე (პოლიტიკაში ქალთა დაწინაურების კამპანია და პოლიტიკოსის უნარ-ჩვევები, 2006, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).
- **სექსისტური ენა** - ენა, რომელიც გამოხატავს გარკვეულ კეთილგანწყობას ერთი სქესის მიმართ, და მეორე სქესსზე მოქმდებს დისკრიმინაციულად. სექსისტური ენით უმეტეს შემთხვევაში უპირატესობა გამოიხატება მამრობითი სქესის მიმართ მდედრობითი სქესის საწინააღმდეგოდ (Lei, 2006).

კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩემი კვლევის **მიზანს** წარმოადგენს გენდერული სტერეოტიპების, კერძოდ კი, ქალებთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპების გამოყენების კვლევა, ქალებთან დაკავშრებული საკითხების გაშუქებისას გასართობ თოქ-შოუებში.

დასახული მიზნიდან გამომდინარე დაისვა შემდეგი ძირითადი **ამოცანები:**

- ○ ჟურნალისტების მიერ სექსისტური ენის გამოყენების კვლევა;
- ○ გადაცემის სტუმრების მიერ სექსისტური ენის გამოყენების კვლევა;

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზები:**

○ გასართობ თოქ-შოუებში ხშირად ვხვდებით სექსისტური ენის გამოყენებას იმ მიზეზით, რომ მაყურებლების უმეტესობა არ არის გენდერული თანასწორობის მომხრე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი ამას მოითხოვს და შესაბამისად, გადაცემაც იმ მასალას აწვდის მაყურებელს არც მას სურს.

○ იმისათვის რომ გადაცემა გამოვიდეს სკანდალური და რეიტინგული, ჟურნალისტები გამიზნულად იყენებენ სექსისტურ ენას.

○ სტუმრებისა და ჟურნალისტების მიერ გენდერული სტერეოტიპების გამოყენება არ განსხვავდება სხვადასხვა თოქ-შოუში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში ძირითად მეთოდად გამოვიყენებ დისკურსის ანალიზს, კერძოდ კი, დისკურსის კრიტიკულ ანალიზს, ვინაიდან სწორედ დისკურსის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ხდება საზოგადოებაში არსებული უთანასწორობისა და სტერეოტიპული ხედვის აშკარა გაცხადება ტექსტსა თუ საუბარში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შევარჩიე შემდეგი სატელევიზიო გასართობი თოქ-შოუები:

იმედი

- „ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“ (ოთხშაბათი 22:00სთ)
- „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად“ (ხუთშაბათი 22:00სთ)

რუსთავი 2

- „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“ (ოთხშაბათი 22:00სთ)
- „პროფილი“ (ხუთშაბათი 22:00სთ)

ამ გადაცემების საერთო ნიშანი არის ის რომ, თითოეული მათგანი გასართობი, სანახაობრივი და სკანდალურია. გადაცემის ავტრები ირჩევენ ერთ კონკრეტულ თემას, რომელიც აქტუალურია და იწვევენ სტუმრებს ამ თემაზე სასაუბროდ.

თითოეული გადაცემის ქორნომეტრაჟი საშუალოდ 90 წუთია.

კვლევისთვის გადაცემების შერჩევის პერიოდად განვსაზღვრე 2017 წლის 1 თებერვალი-31 მარტი. ეს პერიოდი მოიცავს თითოეული გადაცემის 9 ეპიზოდს. გადაცემების ეთერში გასვლის ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იქნება ჩემი კვლევისთვის მონაცემების შეგროვების მხრივ, ვინაიდან 14 თებერვალი არის სიყვარულის დღე და მარტის თვეში აღინიშნება ქალებთან დაკავშირებული ორი დღესასწაული, დედებისა და ქალთა დღე, შესაბამისად გასართობი თოქ-შოუების წამყვანები დროის ასეთ პერიოდში გადაცემის მთავარ განსახილველ თემად ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს ირჩევენ.

ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა: ნაშრომში განხილული საკითხებისა და მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალა იქნება გენდერული სტერეოტიპების კვლევაზე მომუშავე სტუდენტების, ინდივიდუალური მკვლევრებისა თუ უბრალოდ ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. ეს კონკრეტული კვლევა გვიჩვენებს იმას თუ როგორ ხდება დღეს საქართველოში სექსისტური ენის გამოყენება ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი ხელს უწყობს გასართობ თოქ-შოუებში გენდერული სტერეოტიპების გაშუქებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას. კვლევაში განხილული საკითხებისა და ანალიზის გათვალისწინება ხელსაყრელი იქნება როგორც ჟურნალისტებისთვის, ასევე გადაცემის სტუმრებისთვის, რომლებიც იყენებენ სექსისტურ ენას.

კვლევის შეზღუდვები: კვლევის ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს შერჩეული ტელეარხებისა და გასართობი თოქ-შოუების რაოდენობის სიმცირე. რაოდენობრივად მეტი თოქ-შოუების შერჩევა სხვადასხვა ტელეარხებზე მომცემდა უკეთეს შესაძლებლობას მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისათვის.

1. თეორიული ნაწილი

1.1 სოციალური როლის თეორია

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს გენდერულ სტერეოტიპებს ქართულ გასართობ თოქ-შოუებში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ემპირიული მონაცემების ასახსნელად გამოვიყენებ რამდენიმე ავტორის თეორიას. პირველი თეორია ეკუთვნის ელის იგლს, ვენდი ვუდსა და ამანდა დიკმანის. თავიანთ თეორიაში, რომელსაც სოციალური როლის თეორია ეწოდება, ავტორები საუბრობენ იმაზე, თუ როგორ ხდება საზოგადოებაში გენდერული როლების განაწილება და რას ფიქრობს მისი მოსახლეობა ქალისა და მამაკაცის სოციალურ როლებზე. ასევე, თეორიაში საუბარია იმაზე, თუ როგორ ახდენს სოციალური როლი გავლენას ინდივიდის ქცევაზე და როგორ და რატომ წარმოიქმნება სქესთან დაკავშრებული სტერეოტიპები. ვინაიდან, ჩემი სამაგისტრო კვლევა სწორედ გენდერულ სტერეოტიპებს იკვლევს, ვფიქრობ, აღნიშნული თეორიული ჩარჩო მომცემს საშუალებას, თეორიის ჩემს ემპირიულ მონაცემებზე მორგებით ავხსნა, როგორ ხდება გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოება ქართულ რეალობაში.

სოციალური როლის თეორიის თანახმად, ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული ქცევა გამომდინარეობს ქალებისა და მამაკაცების მიერ სოციალური როლების განსხვავებული განაწილებიდან. ინდივიდები ირგებენ სქესისთვის დამახასიათებელ როლს, გარკვეული უნარებისა და რესურსების მოპოვებით. ამის საილუსტრაციოდ ავტორებს მოჰყავთ ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული როლები ოჯახთან და ეკონომიკურ საკითხთან დაკავშირებით და ამბობენ, რომ, როდესაც საქმე ეხება ოჯახის საშინაო საქმეებს, მაშინ ქალები და გოგონები ირგებენ ოჯახის საშინაო საქმეების შემსრულებლის როლს და სწავლობენ და იძენენ ისეთ უნარებს, როგორიცაა კულინარია და კერვა. ოჯახის ეკონომიკურად უზრუნველყოფაზე კი მამაკაცები და ბიჭები ზრუნავენ და, შესაბამისად, ეუფლებიან ისეთ უნარებს, რომლებიც მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით (Eagly, Wood & Diekman, 2000).

ჩემს ემპირიულ მონაცემებში თვალშესაცემია მსგავის სტერეოტიპული შეხედულებები. გადაცემების დისკურსული ანალიზის შედეგად გამოვლინდა ხალხის

დამოკიდებულება, რომ ოჯახის საშინაო საქმეებზე ზრუნვა და სამზარეულო ქალის საქმეა. მამაკაცებს კი, სტერეოტიპული შეხედულებით, ოჯახის ეკონომიკურად უზრუნველყოფა ევალებათ და ამ როლიდან გამომდინარე, მანამდე არ უნდა დაქორწინდნენ, სანამ არ ექნებათ ოჯახის მატერიალურად უზუნველყოფის უნარი და შესაძლებლობა.

1.1.2 გენდერული როლები და სტერეოტიპები

გენდერული როლი არის გაზიარებული მოლოდინები, რომელიც მიეწერება ინდივიდებს მათი სოციალურად დადგენილი სქესის საუძველზე. არსებობს მოლოდინი, რომ თითოეულ სქესს უნდა ახასიათებდეს ისეთი თვისებები, რომელიც საერთო იქნება მხოლოდ ამ კონკრეტული სქესისთვის და, შესაბამისად, მოამზადებს ინდივიდს ამ სქესისთვის დამახასიათებელი როლისთვის. მოლოდინი, რომ ქალები უნდა იყვნენ სხვაზე ორიენტირებულები და თანამგრძნობები, წაახალისებს მათ აღმზრდელობით საქმიანობებს, როგორც ოჯახის შიგნით, ასევე სამსახურშიც და მდედრობითი სქესით დომინირებულ თანამდებობებზე. (მაგ: მასწავლებელი, მომვლელი, სოციალური მუშაკი). ის მახასიათებლები თუ თვისებები, რომელიც საჭიროა გენდერული როლის ჩამოყალიბებისთვის, ქალებისა და მამაკაცებისთვის ხდება სტერეოტიპული. გამომდინარე იქიდან, რომ ქალები მამაკაცებზე ხშირად ასრულებენ ისეთ როლებს, რომელიც დაკავშირებულია საოჯახო საქმიანობასთან და დაქვემდებარებულ ქცევებთან, ასეთი ტენდენციები სტერეოტიპული ხდება ქალისათვის და ხდება მისი მიკუთვნება მდედრობითი სქესის როლისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ მამაკაცები ქალებთან შედარბით უფრო მეტად ასრულებენ ისეთ როლს, რომელიც დაკავშირებულია რესურსების შეძენასთან და დომინანტურ ქცევასთან, ასეთი ტენდენციები ხდება სტერეოტიპული მამაკაცებისთვის და ხდება მათი მიწერა მამრობითი სქესის როლისთვის (Eagly, Wood & Diekman, 2000).

გენდერის როლზე საუბრისას იკვეთება სტატუსისა და ძალაუფლების ფაქტორებიც. ორივე შემთხვევაში უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ. ნებისმიერ ტიპის

ორგანიზაციაში მამაკაცებს უფრო მაღალი სტატუსი და ძალაუფლება აქვთ, ვიდრე ქალებს. ქალები აღიქმებიან, როგორც საქმეში მამაკაცის დამხმარე. მსგავსი შეხედულება გამომდინარეობს ქალების ხასიათისა და თვისებების შესახებ წარმოდგენებიდან (Eagly & Crovley, 1986, გვ. 284). თეორიიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ორგანიზაციაში აღმასრულებელ თანამდებობაზე მამაკაცი იმყოფებოდეს და ქალი კი მამაკაცს საორგანიზაციო საქმეების მოგვარებაში ეხმარებოდეს.

1.1.3 შრომის დანაწილება და გენდერული იერარქიის საწყისები

ავტორთა თქმით, თუ ქალები და მამაკაცები ფსიქოლოგიურად განსხვავებული არსებები არიან, მაშინ არ არის გასაკვირი, რომ მათ სხვადასხვა სოციალურ როლები შეასრულონ, თუმცა აქვე დასძენენ, რომ შრომის დანაწილება და გენდერული იერარქია, გამოწვეულია არა ქალებსა და მამაკაცებს შორის შინაგანი ფსიქოლოგიური განსხვავებულობის საფუძველზე, არამედ განპირობებულია სხვა ფაქტორებით.

შრომის დანაწილებაში უპირველესი მახასიათებელი არის სქესებს შორის ფიზიკური განსხვავება. იმის გამო, რომ ქალებს რეპროდუქციული ფუნქცია აქვთ, მათი ეს როლი წაახალისებს ან ზღუდავს მათ გარკვეულ ქცევებს. ქალების მოვალეობაში შედის ორსულობა, ბავშვის გაჩენა და შემდეგ ბავშვის მოვლა და ზრუნვა. მეორე მხრივ, სწორედ რეპროდუქციული ფუნქციის გამო, იზღუდება ქალის შესაძლებლობები, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სისწრაფეს, სახლიდან დიდი მანძილზე მოგზაურობას და აქტივობის უწყვეტობას, ვინაიდან ორსულობისა და ბავშვის გაჩენის დროს ქალს სჭირდება მცირე ხნით შეისვენოს სოციალური აქტივობისგან. (Eagly,Wood &Dickma, 2000, გვ.129).

სქესის განმასხვავებელი კიდევ ერთი ნიშანი არის მამაკაცის დიდი ფიზიკური მონაცემები და ძალა. იქიდან გამომდინარე, რომ მწარმოებლური სამუშაოები მოითხოვს დიდი ფიზიკურ ძალას, არსებობს მოლოდინი, რომ მამაკაცებმა უფრო უნდა შეასრულონ ისეთი სამუშაო, რომელიც ფიზიკურ ძალას საჭიროებს, ვიდრე ქალებმა. სქესის ფიზიკური მახასიათებლით განსხვავება, კერძოდ, ქალების რეპროდუქციული

ფუნქცია და მამაკაცების ფიზიკურობა კავშირშია სოციოეკონომიკური სისტემის მოთხოვნებთან და გავლენას ახდენს როლებზე, რომლესაც ასრულებენ ქალები და მამაკაცები (Eagly, Wood & Diekma, 2000).

1.1.4 კომუნალური და აგენტური კატეგორიები

მამაკაცებისა და ქალების ქცევის განსხვავების მიზეზად პირადი მახასიათებლები სახელდება, რომელთა დაჯგუფება ხდება კომუნალურ და აგენტურ კატეგორიებად (Bakan,1996; Eagly, 1987 როგორც მითითებულია Eagly, Wood & Diekman, 2000).

კომუნალური პირადი მახასიათებლების დაკავშირება ხდება ქალებთან. კომუნალურ კატეგორიაში ერთიანდება ისეთი თვისებები, როგორიცაა მეგობრულობა და მგრძნობელობა. აგენტური მახასიათებლებს უკავშირებენ მამაკაცებს და აქ იგულისხმება ისეთი თვისებები, როგორიც არის, მაგალითად, დამოუკიდებლობა, სიმამაცე. ადამიანები, რომლებიც ოჯახის საშინაო საქმეებს ასრულებენ მიიჩნევა, რომ არიან უფრო მეტად კომუნალური ტიპის, ვიდრე აგენტური და ასეთები არიან ძირითადად ქალები. გენდერული სტერეოტიპების თანახმად, მოსალოდნელია, რომ ქალები უნდა იყვნენ უფრო მეტად მზრუნველები, თბილები და სხვაზე ორიენტირებულნი, მამაკაცები - უფრო მეტად აგრესიულები (Eagly, Johannesen-schmitd, 2001).

ქალებისთვის დამახასიათებელი კომუნალური თვისებები მივუსადაგე ჩემი კვლევის ემპირიულ მონაცემებს. იქიდან გამომდინარე, რომ ქალები უფრო მეტად მგრძნობიარეები და მზრუნველები არიან, მონაცემებში გამოიკვეთა მოლოდინი რომ, ბავშვებისთვის მიძღვნილი სიმღერა უფრო მეტად ქალებს უნდა მოეწონოთ, ვიდრე მამაკაცებს. ჩემს ემპირიულ მონაცემებში კომუნლაურ და აგენტურ თვისებებთან დაკავშირებით გამჟღავნდა, კიდევ ერთი შეხედულება. კერძოდ, ის, რომ ქალისთვის ტირილი დამახასიათებელი თვისებაა და ამაში გასაკვირი არაფერი არ არის, მაგრამ თუ მამაკაცმა იტირა, მაშინ მართლაც რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა. ეს შეფასება გამომდინარეობს აგენტური კატეგორიისთვის დამახასიათებელი თვისებებიდან,

რომლის თანახმადც, მამაკაცები ნაკლებად მგრძნობიარეები არიან და, ამასთანავე, ძლიერები.

კომუნალურ და აგენტურ კატეგორიებთან დაკავშირებით იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ლინდა კარლის თანახმად, ადამიანებს არ მოსწონთ, როდესაც ქალი არ ამჟღავნებს კომუნალურ ქცევას და უპირველესად საკუთარი ინტერესების წარმოჩენაზეა ორიენტირებული. სტერეოტიპული შეხედულების თანახმად, ქალის მიერ სხვაზე ზრუნვაა მისაღები და არა საკუთარი თავის წარმოჩენასა და საკუთარ განვითარებაზე ზრუნვა, თუმცა ქალები, რომლებიც ზრუნავენ საკუთრი თავის განვითარებაზე, საზოგადოებაში აღიქმებიან, როგორც უფრო კომპეტენტურები და თავდაჯერებულები, ვიდრე ისინი, რომლებიც არ ზრუნავ ამაზე (Carli, 2001).

ამ თეორიის ჩემს ემპირიულ მონაცემებთან დაკავშირება მაძლევს საშუალება ავხსნა, რატომ გაჟღერდა ერთ-ერთ გადაცემაში შეხედულება, რომ საქმიანი და წარმატებული ქალი შეიძლება არ იყოს კარგი დედა. თეორიიდან გამომდინარე, ქალი რომელიც ზრუნავს საკუთარი თავის განვითარებაზე და აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, ნაკლებად ამჟღავნებს კომუნალურ ქცევას. ნაკლები კომუნალური ქცევის გამჟღავნება კი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ქალი ნაკლებ დრო უთმობს ოჯახსა და შვილზე ზრუნვას. აქედან გამომდინარე, ჩნდება მოსაზრება, რომ წარმატებული და საქმიანი დედები ვერ არიან კარგი დედები.

ადამიანები არა მარტო აღიარებენ სქესებს შორის განსხვავებას და აქვთ სტერეოტიპული რწმენები, არამედ ძალიან მარტივად და, შეიძლება ითქვას, ავტომატურად ახერხებენ სტერეოტიპული აზროვნების გააქტიურებას. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ისეთ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად, ძიძა ან ექიმი ადამიანები ქვეცნობიერად და სტერეოტიპულად უკავშირებენ კონკრეტულ სქესს, მდედრობითს ან მამრობითს ასევე, ისეთ სტერეოტიპულ მახასიათებლებს, როგორიცაა, მაგალითად, მგრძნობიარე და ლოგიკურად მოაზროვნე, მარტივად უკავშირებენ მამაკაცებისა და ქალების სახელებს. გამომდინარე იქიდან, რომ კომუნალური კატეგორიის მიხედვით, მგრძნობელობა უფრო მეტად მდედრობით სქესთან ასოცირდება, ამიტომ ადამიანები ამ სიტყვას ქალის სახელს უკავშირებენ. აგენტური კატეგორიიდან გამომდიანრე კი, ლოგიკური

აზროვნების დაკავშირება მამაკაცთან და მის სახელთან ხდება (Banaji & Hardin, 1996 როგორც მითითებულია Eagly, Wood & Deikman, 2000).

თეორიის ეს ნაწილი დამეხმარება ამეხსნა, თუ რატომ შესთავაზა ერთ-ერთ გადაცემაში წამყვანმა ქალებსა და მამაკაცებს გართობისა და დასვენების განსხვავებული საშუალებები. წამყვანმა სტეეოტიპული აზროვნების გავლენით, ველოსიპედითა და ცხენით ჯირითი მამაკაცებს დაუკავშირა, ქალები კი სპა სალონთან დააკავშირა, იმ შეხედულებიდან გამომდინარე, რომ ქალისთვის მნიშვნელოვანია თავის მოვლა და ფორმაში ყოფნა.

1.2 სოციალიზაცია

გენდერული როლებისა და სტერეოტიპების წარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი სოციალიზაციის პროცესს უკავია.

აქ განვიხილავ სკოტ კოლტრანეს თეორიას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალიზაციას გენდერული როლის ჩამოყალიბების პროცესში და როგორ ხდება ბავშვთა სოციალიზაციის პერიოდში გენდერული სტერეოტიპების დასწავლა. ეს თეორია მაძლევს საშუალებას ავხსნა რატომ ექცევიან მშობლები შვილებს განსხვავებულად სქესიდან გამომდინარე და, შესაბამისად, როგორ ითვისებენ ბავშვები სტერეოტიპულ შეხედულებებს.

სკოტ კოლტრანეს თეორიის მიხედვით, სქესებს შორის განსხვავებას ჩვენ ბავშვის დაბადებამდე ვაკეთებთ. ვუქმნით მათ სხვადასხვა გარემოს და ვეპყრობით განსხვავებულად, რისი შედეგიც არის ის, რომ მათ გააჩნიათ განსხვავებული სურვილები, საჭიროებები, მოთხოვნები და უნარები. ისინი სხვადასხვა ტიპის ადამიანები ხდებიან - ქალი და მამაკაცი. რადგანაც ადმაინები ფიქრობენ რომ, გოგონები და ბიჭები უნდა იყვნენ განსხვავებულები და არიან განსხვავებული, ისინი განსხვავებულად ეპყრობიან მათ. განსხვავებული მოპყრობა კი ავითრებს კონკრეტულ ქცევებსა და ხატებს, რის საფუძველზეც შემდეგ კულტურაში ჩნდება გენდერული

სტერეოტიპები. ბავშვის დაბადებამდე იმდენად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბავშვის სქესს, რომ შემდეგ ბავშვებისთვის რთულია ამ სქესის უარყოფა. გოგო შვილისთვის არჩევენ განსხავებულ ფერის სამოს და სხვანაირად აწყობენ ბავშვის ოთახს. ახალშობილს სქესიდან გამომდინარე ჩუქნიან საჩუქრებს.

სკოლამდე პერიოდში მშობლები შვილებისთის ყიდულობენ სტერეოტიპულ სათამაშოებს. უქმნიან მათ სტერეოტიპულ გარემოს. ბიჭებისთვის ავტომობილებს, სპორტულ აღჭურვილობებს, სამხედრო სათამაშოებს. მაშინ როდესაც გოგონებისთის ყიდულობენ თოჯინებს, თოჯინის სახლებს. (Bradbard, 1988; Etaugh&Liss, 1992; Pomerleau et al..1990; Rheingold&Cook, 1975 მითითებულია Coltrane, 1997).

ჩემი კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, მშობლების მიერ, სქესის საფუძველზე, განსხვავბეული ქცევა ბავშვებთან მიმართებაში. კერძოდ, დედამ და მისმა მეორე მეუღლემ, მიიჩნიეს, რომ მათი ქორწინების ამბავი შეიძლებოდა ბიჭ შვილს უფრო მტკივნეულად მიეღო, ვიდრე გოგო შვილს. **„მაინც ბიჭია, მამაკაცია და შეიძლება რაღაც მომენტები მტკივნეულად აღიქვას“.** ამ დისკურსში ვლინდება, თუ როგორ ხდება პატარა ასაკშიც კი მშობლების მხრიდან ბავშვისადმი სტერეოტიპული მიდგომა.

ფსიქოანალიტიკური თეორია

ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, მცირეწლოვან ასაკში ბავშვები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ დედასთან. მხოლოდ 3-დან 5 წლამდე ასაკში ხდება ბავშვის მიერ იდენტური სქესის მქონე მშობელთან იდენტიფიცირება და შესაბამისად, იძენენ ამ სქესისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. იდენტიფიკაციის ამ პროცესით ბავშვები ხდებიან სქეს განსაზღვრულები. იდენტური სქესის მქონე მშობელთან იდენტიფიკაცია ბიჭებში უფრო ძლიერია, ვიდრე გოგოებში (Bussey & Bandura, 1999). როდესაც ვაჟი შვილი აანალიზებს, რომ ის განსხვავდება დედისგან, მან დისტანცირება უნდა მოახდინოს დედისგან, რათა უკეთ მოახდინონ საკუთარი სქესის აღქმა. ვინაიდან ვაჟები აანალიზებენ, რომ ისინი არ გვანან დედას და დედაც სხვანაირად ეპყრობა მათ,

ისინი ივითარებენ იდენტობას, რომელიც დაფუძნებულია დედისგან განსხვავებულობაზე. ისინი ივითარებენ უფრო მტკიცე „მე“-ს (Coltrane, 1997).

სოციალიზაცია მხოლოდ ბავშვობის ასაკში არ ხდება, არამედ გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ბიჭების სოციალიზაცია უფრო მყარია, ნაკლებად არღვევენ საზღვრებს. გოგონებისთის უფრო მარტივია დაარღვიოს გენდერული საზღვარი და ითამაშოს ბიჭის სათამაშოთი, ვიდრე ბიჭმა დაარღვიოს. (Bem 1993, ციტირებულია Coltrane, 1997)

1.3 სექსუალობის ორმაგი სტანდარტი

მერიემ ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით, ორმაგი სტანდარტი არის გარკვეული ნორმების ერთობლიობა, რომელიც სხვაგვარად და ჩვეულებრივ, უფრო მკაცრად მიემართება ერთი კონკრეტული ჯგუფის ადამიანებს სხვებთან შედარებით. (Webster, 1828)

ჩემი კვლევის მონაცემებში თვალშესაცემია სხვადასხვა სტერეოტიპული ხედვები ორმაგ სტანდარტებთან დაკავშირებით. მონაცემთა ანალიზის მიხედვით, ქალს, რომელსაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობა უკავია, საქმიანი შეხვედრების დროს, მამაკაცებთან ურთიერთობაში, გარკვეული დისტანციისა და ზღვარის დაცვა მართებს. აქ იგულისხმება ის, რომ ქალი დისტანციის დაცვით საქმიან ურთიერთობებს არ უნდა გასცდეს. მამამაკაცს კი არ მოეთხოვება მსგავსი რამ და თამამად შეუძლია ზღვარის დარღვევა.

გრინი, ფოლკნერი და მარკსი (Greene & Faulkner, 2005; Marks, 2008, როგორც მითითებულია Vogel, 2012) განმარტავენ, რომ სექსუალობის ორმაგი სტანდარტი არის ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმადაც მამაკაცები სექსუალური აქტივობისთვის ქებას იმსახურებენ, მაშინ როდესაც იგივე აქტივობისთვის ხდება ქალების დამცირება.

ეს განმარტება მაძლევს საშუალებას ავხსნა, ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, რატომ მალავენ გოგონები თავიანთი სექსუალური პარტნიორების რიცხვს.

1.4 სქესზე დაფუძნებული ძალადობა

„გენდერული თანსწორობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა“ (Brander, Witte, Ghanea, Gomes, Keen, Nikitina, Pinkeviciute, 2012; გვ.504). როგორც ავტორები წერენ, ადამინის უფლებების დარღვევა მთელს მსოფლიოში ხდება და ის შეიძლება გამოიხატოს დისკრიმინაციით სქესის საფუძველზე, სექსუალური თუ სხვა ტიპის ძალადობით.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის წახალისებისთვის ბოლო პერიოდში დიდი ნაბიჯები გადაიდგა, ქალები მაინც განიცდიან დისკრიმინაციას სხვადასხვა სფეროებში. მაგალითად სამსახურში, რა თანამდებობა უკავიათ, რამდენია მათი შემოსავალი, რამდენად ხშირად გვხვდებიან ისინი ლიდერის როლში. ქალები ასევე ხშირად განიცდიან სამსახურში სექსუალურ ძალადობას და აწყდებიან სექსისტურ ხუმრობებსა და დამოკიდებულებებს სამსახურში მათი კოლეგებისგან. ავტორები წერენ, რომ საოჯახო ვალდებულები ერთნაირად არ არის გადანაწილებული ოჯახში, ქალსა და მამაკაცს შორის რასაც მოჰყვება ის რომ ქალებს ხშირად აქვთ გარკვეულ პერიოდიან შესვენებები თავიათ კარიერაში (Brander, Witte, Ghanea, Gomes, Keen, Nikitina, Pinkeviciute, 2012; გვ.505).

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციაში განმარტებულია, რომ ქალზე ძალადობა არის ისეთი ტიპის ქმედება, რომელმაც შესაძლოა ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენოს ქალს. (United Nations. Declaration of the Elimination of Violence against Women, 1993).

სქესზე დაფუძნებული ძალადობის, ერთ -ერთ ყველაზე სერიოზულ ფორმას სწორედ ქალებზე ძალადობა წარმოადგენს. ქალები და გოგონები შესაძლოა სხვადასხვა ტიპის

ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, მათ შორის, ოჯახური ძალადობის, სექსუალური ძალადობის. ქალები შეიძლება გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ქალის სასქესო ორგანოს დაზიანებაც მიეკუთვნება ქალზე ძალადობის ფორმას, ისევე როგორც შერჩევითი სქესის საფუძველზე აბორტი.

ადრიან რიჩ თავის ნაშრომში „იძულებითი ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური ცხოვრება“ განიხილავს ქეთლინ გაფის მიერ შემოთავაზებულ მამაკაცის ძალაუფლების გამოხატვის რვა მახასიათებელს.

1. **ქალთა სექსუალობის უარყოფა** - კლიტორის მოკვეთა; „უმანკოების ქამარი“; სიკვდილით დასჯა მეუღლის ღალატისთვის და ლესბოსური სექსუალობისთვის.
2. **მამაკაცური სექსუალობის დამტკიცება ქალისთვის** - გაუპატიურება; ფიზიკური ძალადობა ცოლზე; მამისა და ქალიშვილის, ძმისა და დის ინცესტი; ჰეტეროსექსუალური რომანტიკის გაიდეალება ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მედიაში; მცირეწლოვან ასაკში ბავშვების გათხოვება, პროსტიტუცია.
3. **ქალების შრომითი უფლებების კონტროლი** - დედობის ინსტიტუტი; ქალების ჰორიზონტალური სეგრეგაცია ანაზღაურებად სამსახურში; მამაკაცის მიერ აბორტის, კონტრაცეფციის, სტერილიზაციისა და ბავშვის გაჩენის კონტროლი.
4. **შვილის წართმევა დედისთვის** - მამის უფლებების გამოყენებით, ბავშვის „ლეგალურად გატაცება“; ბავშვის ჩამორთმევა ლესბოსელი დედისთვის სასამართლოს დახმარებით.
5. **ქალები ფიზიკური შეზღუდვა** - სექსუალური ძალადობა ქუჩაში; ჩადრის იძულებითი ტარება; ქალების ათლეტური უნარების დაკნინება; მაღალი ქუსლები; „ფემინური“ დრეს კოდი მოდაში.
6. **ქალების გამოყენება მამაკაცურ გარიგებებში** - ქალი, როგორც „საჩუქარი“; ქორწინების წინასწარი დაგეგმვა; ქალის გასართობად გამოყენება.
7. **ქალების შემოქმედებითი უნარის შეზღუდვა** - მამაკაცის სამუშაოს უფრო ღირსეულად მიჩნევა ვიდრე ქალის; ქალის სექსუალური ექსპლუატაცია მამაკაცი ხელოვანების მიერ.

8. **საზოგადოებრივი ცოდნისა და კულტურული მიღწევების დაცვა ქალებისგან** - ქალებისთვის განათლების საშუალების არ მიცემა; მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და სხვა „მამაკაცურ' სფეროებში ქალის ადგილის უარყოფა.

აღნიშნული მახასიათებლები მივუსადაგე ჩემი კვლევის მონაცემებს. ერთ შემთხვევაში გამოვლინდა მცირეწლოვანი გოგონების გათხოვების ფაქტი. გათხოვების მოტივს სტერეოტიპული შეხედულება განაპირობებს. კერძოდ, შეძლებულ მამაკაცზე შვილის მითხოვება, მშობლების აზრით შვილის უზრუნველყოფილ ცხოვრებას განაპირობებს. მეორე შემთხვევაში, კი ქალის სასქესო ორგანოს დაზიანების ფაქტი გამოვლინდა. მსგავსი ქმედებით, ქალი კარგავს ინტერესს მამაკაცის მიმართ და გავრცელებული აზრით არ ღალატობს ქმარს.

1.5 სექსისტური ენა და სექსიზმი

სექსისტური ენა, არის ენა, რომელიც გამოხატავს გარკვეულ კეთილგანწყობას ერთი სქესის მიმართ, და მეორე სქესსზე მოქმდებს დისკრიმინაციულად. სექსისტური ენით უმეტეს შემთხვევაში უპირატესობა გამოიხატება მამრობითი სქესის მიმართ მდედრობითი სქესის საწინააღმდეგოდ. სექსისტური ენის არსებობას საზოგადოებაში არსებული სექსიზმი განაპირობებს და ვინაიდან ენა სოციალური ფენომენია, საზოგადოებაში მიდმინარე მოვლენები აისახება და გამოხატება ენის საშუალებითაც. (Lei, 2006)

სექსიზმთან დაკავშირებით განვილიხავ, მერილინ ფრაის თეორიას. ავტორი წერს, რომ ადამიანის სქესი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხია დღეს მსოფლიოში. ფრაი აღნიშნავს, რომ ადამიანები სქესს სხვადასხვანაირად გამოხატავენ. სწორედ სქესებს შორის განსხვავების ნიშანს წარმოადგენს ტანსაცმელი და მორთულობები, რომელსაც, ინდივიდები იყენებენ. გარდა ამისა, სხვადასხვა სქესს

განსხვავებული ჩაცმის სტილი და ვარცხნილობა ახასიათებს. მაღაზიებში მდედრობითი სქესისთვის დამახასიათებელი ტანსაცმელი, სუნამოები და კოსმეტიკა წარმოდგენილია ცალკე და მითითებული, რომ ეს არის „ქალბატონებისთვის“. მამრობითი სქესისთვის განკუთვნილი ტანსაცმელი და სუნამოები წარმოდგენილია ცალკე და მითითებული, რომ არის „მამაკაცებისთვის“. დაყოფიდან გამომდინარე ჩვენ ვირჩევთ და ვატარებთ იმ ატრიბუტებს, რომელიც გამოხატავს და შეესაბამება ჩვენს სქესს (Frye, 1989).

მერილინ ფრაის მიხედვით სექსიზმი არის ნემისმიერი ტიპის ქმედება, რომელიც წარმოქმნის, განამტკიცებს, ან ექსპლუატაციას უწევს ნებისმიერ შეუსაბამო და შეურაცხმყოფელ ქმედებას, სქესებს შორის განსხვავების აღსანიშნად (Frye, 1983, გვ.18). ავტორი თქმით სქესიდან გამომდინარე, ჩვენ სხვადასხვაგვარად ვეგებებით, ვესაუბრებით, მივმართავთ, ვეკითხებით ადამიანებს.

სქესის გაცხადება აუცილებელია როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ავტორი აღნიშნავს, რომ სქესის გაცხადების პროცესი სხვადასხვაგვარად გამოიხატება მდედრობით და მამრობით სქესებს შორის, თუნდაც ისეთ მარტივ თემასთან დაკავშირებით, როგორიც არის სამოსი. მერილინ ფრაი აღნიშნავს, რომ უპირატესობა აქაც მამაკაცის მხარესაა. ავტორი წერს, რომ ის ტანსაცმელი, რომელიც განკუთვნილია ქალისთვის გარკვეულ წილად ზღუდავს მას. მაგალითად, ის შეიძლება ადვილად გაიხეს სირბილის დროს, ან ქალს შეძლება გამოუჩნდეს სხეულის ის ნაწილი, რომელიც ტანსაცმელმა უნდა დაფაროს, თუ ის დაიხრება. მამაკაცის ტანსაცმელი კი ქალისგან განსხვავდება. ის ძალიან გამძლე და კომპორტულია. ხელს არ უშლის მამაკაცს მოძრაობასა და გადაადგილებაში. ავტორს იმის თქმა სურს, რომ მდედრობითობა ფიზიკურად და სოციალურადაც გარკვეულ აკრძალვებს უწესებს ქალებს, მაშინ როდესაც იგივე აკრძალვები არ ეხებათ მამაკაცებს.

ჩემი კვლევის მონაცემებში გამოვლინდა ფაქტი, როდესაც გადაცემის სტუმრის მიერ მოხდა ქალის ჩაცმულობაზე ყურადღების გამახვილება. ქალის ჩახსნილი კაბა, სტერეოტიპული შეხედულებიდან გამომდინარე აღქმული იქნა, როგორც მინიშნება,

რომ ქალს სურს გათხოვება. საინტერესოა, ქალის ჩაცმულობა როგორ უწესებს ქალს გარკვეულ აკრძალვას, თუ არ უნდა გათხოვება, მაშინ ნუ ჩაიცვამს ჩახსნილ კაბას.

მერილინ ფრაი საუბრობს ჩაგვრაზეც და განმარტავს, რომ ჩაგვრა ეს არის ბარიერებისა და იძულების ისეთი სისტემა, რომელიც ამცირებს და ბოჭავს კონკრეტული ჯგუფის ადამიანებს და გავლენას ახდენს ამ ჯგუფის სხვა ჯგუფისთვის დაქვემდებარებულობაზე (frey,1983, გვ.33). იმისათვის, რომ ერთმა ჯგუფმა დაიქვემდებაროს მეორე, ამის საუკთესო გზა არის დაარწმუნოს ადამიანი თუ ადამიანები, დაქვემდებარების გარდაუვალობაში. სუბორდიანაცია ეფექტური მაშინაა, როცა დაქვემდებარებულ ჯგუფს დააჯერებ, რომ ეს ადამიანების გადაწყვეტილება და ტრადიცია კი არ არის, არამედ, ბუნებრივი მოვლენაა. მამაკაცების დომინანტობას და ქალების დაქვემდებარებულობას ხელს უწყობს ისეთი შეხედულებები, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია და ყველა ქალი ერთნაირია (frey,1983).

ჩემი კვლევის ფარგლებში მამაკაცის დომინანტობა და ქალის დაქვემდებარებულობა ვლინდება ოჯახში. ქართულ საზოგადოებაში არსებობს მოლოდინი, რომ ქალისა და მამაკაცის ოჯახურ ურთიერთობაში მამაკაცი უნდა იყოს დომინანტი და ქალი კი მასზე დაქვემდებარებული. გარდა ამისა, მამაკაცების ისევე, როგორც ქალების ნარატივებში ყველა ქალის ერთნაირობა გამოიხატა შემდეგნაირად: - ყველა ქალს უყვარს ყვავილი, ფული და ძვირადღირებული ნივთები.

1.6 გენდერული მედია

იმას თუ როგორ ვხედავთ ჩვენ ქალებსა და მამაკაცებს, ბევრი ფაქტორი განაპირობებს და მათ შორის მედია არის ყველაზე ძლიერ გავლენას მედია ახდენს. "მედია განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და ჩვენს გონებაში ნერგავს თავის შეტყობინებებს" (Wood, 1994). ხშირ შემთხვევაში ეს შეტყობინებები არარეალური და სტერეოტიპულია. ავტორი განიხილავს სამ გზას, თუ როგორ წარმოაჩენს მედია სქესს.

პირველ შემთხვევაში ავტორი საუბრობს მედიაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლობის სიმცირეზე, მამაკაცებთან შედარებით. ავტორი წერს, რომ მამაკაცების რაოდენობა ყოველთვის აღემატება მედიაში (გადაცემებში) ქალების რაოდენობას და ამ მხრივ მედია მდედრობით სქესს წარმოაჩენს როგორ ნაკლებად მნიშვნელოვანს და უჩინარს.

მეორე შემთხვევაში ხდება მამაკაცებისა და ქალების სტერეოტიპული წარმოჩენა, რომელიც თავისთავად გავლენას ახდენს სქესთან დაკავშირებულ წარმოდგენებზე. მესამე შემთხვევაში, ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობის წარმოჩენით ხდება ტრადიციული როლების ხაზგასმა და ქალის მიმართ ძალადობის ნორმალიზება (Wood, 1994).

მედია სტერეოტიპულად წარმოაჩენს, როგორც მამაკაცებს ისე ქალებს და იმგვარად წარმოაჩენს მათ, რომ იზღუდება ჩვენი აღქმა ადამიანის შესაძლებლობებისა. ჩვეულებრივ მამაკაცის აღწერა ხდება, როგორც აქტიური, თავგადასავლების მოყვარული, ძლიერი და სექსუალურად აგრესიული. რაც შეეხება ქალებს, მათ წარმოაჩენენ, როგორც პასიურებს, ლამაზებს, გამხდრებს, დაქვემდებარებულებს. ხშირად ხდება მათი წარმოჩენა, როგორც არაკომპეტენურები და ნაკლებად აქტიური მოსაუბრეები. ქალები დიდი დროს უთმობენ თავიანთ გარეგნობას და ზრუნავენ, რომ მუდამ ფორმაში იყონ, ასევე დიდი დროს უთმობენ სახლის მოვლას და სხვაზე ზრუნვას. ავტორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გაჟღენთილია მედიით, მისი მხრიდან სქესის და მისი შესაძლებლობების არასწორმა წარმოჩენამ შეიძლება დაამახინჯოს საკუთარ თავზე ჩვენი წარმოდგენა და ის თუ რას აღვიქვამთ ჩვენ ნორმად და რა არის სასურველი ქალისთვის და რა მამაკაცისთვის.

ავტორს მოჰყავს მაგალითი, რომლის მიხედვითაც სათამაშოების მაღაზიამ მომხმარებლებს შესთავაზა ახალი ბარბის თოჯინა და რომელიც ამბობდა, „მათემატიკა არის რთული“. როგორც ავტორი განმარტავს ამ წინადადებაში ჩანს ქალის მიმართ სტერეოტიპული შეხედულება, რომ თითქოს ქალბისთვის მათემატიკა რთულია და მათემატიკის ნიჭი მხოლოდ მამაკაცებს აქვთ (Wood, 1994).

მსგავსი სტერეოტიპული შეხედულება გამოვლინდა ჩემი კვლევის ემპირიულ მონაცემებშიც. ჟურნალისტი ეკა ხოფერია განათლების მინისტრს უსვამს კითხვას, თუ რამდენი გოგო სწავლობდა მის კლასში კომაროვის სკოლაში. ჟურნალისტს იმ სტერეოტიპული შეედულებებიდან გამომდინარე, რომ მათემატიკი ნიჭი მხოლოდ მამაკაცებს აქვთ ჰქონდა მოლოდინი, რომ გოგონების რიცხვი კლასში მცირე იქნებოდა.

მედია ქალის ორგვარ სახეს ხატვას. ერთ შემთხვევაში ეს არის ქალი, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სახლის საქმეებზე, ოჯახზე და ოჯახის წევრებზე ზრუნვაზე. ისინი არიან მამაკცების დაქვემდებარებაში მყოფები და ერთგული მეუღლეები. მეორე შემთხვევაში მედიის მიერ დახატული ქალები არიან თავიანთ ტრადიციულ როლს დაშორებულები, არიან ცივები და აგრესიულები.

მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში მედიაში ვლინდება დომინანტურ/დაქვემდებარებულის ნიმუშები. ასევე მამაკაცის ძალაუფლება და ქალის ნაკლები კომპეტენტურობა. ხშირად მედია ქალებს წარმოაჩენს, როგორც მამაკაცის მსხვერპლებს, მამაკაცებს კი როგორც ქალზე მოძალადეებს. ჩემს ემპირიულ მონაცემებში, მედიამ მამაკაცის სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სახით წარმოაჩინა 16 წლის გოგონა, რომელიც დაორსულდა 40 წლის მანდატურისგან.

2. ემპირიული ნაწილი

გადაცემების დისკურსული ანალიზის შედეგად გამოვლინდა სხვადახვა ტიპის სტერეოტიპები ქალებთან მიმართებაში. ვხვდებით ასევე სექსისტური ენის გამოყენებისა და სქესის საფუძველზე გენდერული დისკრიმინაციის მაგალითებს. კვლევამ აჩვენა, რომ სტერეოტიპებსა და სექსისტურ ენას საუბარში იყენებენ როგორც გადაცემის წამყვანები, ასევე მათ სტუმრები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტიპის სტერეოტიპები;

1. **სტერეოტიპები, რომლებიც გამოხატავენ ქალის მოლოდინებს ქორწინებასთან დაკავშირებით და მამაკაცთან ურთიერთობაში;**

კვლევის შედეგად, გადაცემების წამყვანებისა და სტუმრების საუბარში იკვეთება მათი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოლოდინები აქვთ ქალებს საქართველოში, როდესაც ისინი ქორწინდებიან. გავრცელებული შეხედულების თანახმად, ქალი ქორწინდება იმისთვის, რომ მამაკაცმა „შეინახოს“ და დაუკმაყოფილოს მას სხვადასხვა მოთხოვნები. „შენახვაში“ იგულისხმება ის, რომ მამაკაცმა ფულით უნდა უზრუნველყოს ქალი. მამაკაცს უნდა შეეძლოს როგორც საკუთარ თავზე, ასევე ქალზე ზრუნვა და მისი სურვილების ასრულება. მოთხოვნებში შეიძლება იგულისხმებოდეს მაგალითად, ფული ახალი კაბისთვის ან ფეხსაცმლისთვის, ფული დასვენებისთვის და სხვა. ქალის სურვილებისა და საჭიროებების სტერეოტიპული შეხედულების თანახმად, ქალებს სჭირდებათ ფული და გამიზნულად ეძებენ ან, როგორც ამას გადაცემებში განმარტავენ, „ნადირობენ“ ისეთ მამაკაცებზე, რომლებსაც აქვთ მატერიალური შესაძლებლობა. სიტყვა „ნადირობა“ გამოხატავს მამაკაცის სტერეოტიპულ ხედვას ქალის მიმართ, რომ ქალი უანგაროდ არ ქორწინდება, არამედ პირადი სარგებლის ნახვის მოლოდინით. კონკრეტულად ამ თემაზე საუბრობს გია ჯაჯანიძის შოუში მოწვეული სტუმარი, ბლოგერი გიორგი ნაზღაიძე, რომელიც ამბობს: **„ქალი მაშინ უნდა მოიყვანო, როდესაც შეინახავ. ქალის მოთხოვნები გაზრდილია, ითხოვენ მამაკაცისგან ბევრს და მამაკაცს არა აქვს საშუალება. ქალები ნადირობენ ისეთ მამაკაცზე, რომელიც დაუკმაყოფილებს**

ყველაფერს“. სტუმრის საუბრიდან ჩანს, რომ ქალებს დღეს გაცილებით მეტი მოთხოვნები და სურვილები აქვთ, ვიდრე ოდესმე და ხშირად, მამაკაცები ვერ ახერხებენ ამ მოთხოვნების დაკამყოფილებას, შესაბამისად, ქალები აღარ მიყვებიან ცოლად ასეთ მამაკაცებს. გადაცემაში ერთგვარი დასკვნის სახით ჟღერს მოსაზრება, რომ ქალების მიერ გაზრდილი მოთხოვნებისა და მამაკაცების მიერ ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას მივყავართ იმ შედეგამდე, რომ საქართველოში კლებულობს ქორწინების რიცხვი.

სწორედ ამ სტერეოტიპს ემყარება ქალაქ მარნეულში გოგონების გათხოვების ფაქტები. ამ თემაზე საუბრობს ნანუკას შოუში მოწვეული სტუმარი შალალა ამირჯანოვი: **„დედა ეუბნება შვილს, შვილო, მე მძიმე ცხოვრება მქონდა და შენც რომ იგივე არ გამოიარო, ამიტომ გათხოვებთ მდიდარ კაცზე“.** მშობლების შეხედულებით, გოგონას შეძლებულ მამაკაცზე გათხოვება ნიშნავს იმას, რომ მათ შვილს ექნება კარგი სახლი, ტანსაცმელი, საჭმელი და არ მოუწევს გაჭირვებაში ცხოვრება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში სტუმრის მიერ სტერეოტიპის გაჟღერება გააზრებულად ხდება. ამ სტერეოტიპის მოშველიებით სტუმარს სურს ახსნას, რომ მშობლების მსგავსი შეხედულება და დამოკიდებულება არ არის სწორი და მართებული და რომ ამ შემთხვევაში ხდება გოგონების უფლებების დარღვევა. გოგონებს არა აქვთ შესაძლებლობა, თავად მიიღონ გათხოვებისა და დაქოროწინების გადაწყვეტილება, თავიანთი სურვილიდან გამომდინარე.

მსგავსი სტერეოტიპული დამოკიდებულება ჩანს ასევე მაია ასათიანის გადაცემაში, სადაც თავად წამყვანი ამბობს, რომ **„თავის რჩენა რთულია, მარტო როცა ხარ, მითუმეტეს“.** ამ შემთხვევაში წამყავნი მარტო ყოფნაში გულისხმობს ქმარს გაცილებული ქალის მდგომარეობას. ამ კომენტარში აისახება ის სტერეოტიპი, რომ ქალს, თუ ის მარტოა, საკუთარ თავზე ზრუნვა უჭირს და მას სჭირდება დახმარება, მათ შორის მატერიალური, მამაკაცისგან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, რომ ქალს „თავის სარჩენად“ მამაკაცის დახმარება სჭირდება.

იგლის, ვუდისა და დიკმანის სოციალური როლის თეორიის თანახმად, ოჯახის ეკონომიკურად უზრუნველყოფა მამაკაცს ევალება, ვინაიდან, ოჯახის საშინაო

საქმეებზე ქალი ზრუნავს. ამ თეორიიდან გამომდინარე, ქართულ საზოგადოებაში არსებობს გავრცელებული შეხედულება, რომ ქალების გათხოვების მთავარ მოტივი სწორედ ისაა, რომ მამაკაცმა უზრუნველყოს ის მატერიალურად და თვითონ ქალს, არ მოუწიოს ამაზე ზრუნვა.

ქალისთვის მამაკაცის დახმარების საჭიროების შესახებ სტერეოტიპზე საუბრობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავაც ეკა ხოფერიას თოქ-შოუში. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მინისტრი ცდილობს თავი პროგრესულად წარმოაჩინოს და ღიად გმობს ქალების მოლოდინებთან დაკავშირებით მსგავს შეხედულებას. მას მიაჩნია, რომ ქალს თავადაც შეუძლია საკუთარ თავზე ზრუნვა და ამისთვის არ სჭირდება მამაკაცი. ის საუბრობს ისეთ ზღაპრებზე, სადაც მთავარი გმირები პრინცესები არიან და ელოდებიან მამაკაცებს, რომელბმაც უნდა გადაარჩინონ ისინი. მინისტრის თქმით, ასეთი ზღაპრები არწმუნებენ გოგონებს, რომ მათ აუცილებლად კაცმა უნდა უშველოს, ნაცვლად იმისა, რომ თავად უშველონ თავიანთ თავებს, თავად იზრუნონ საკუთარ თავზე, საკუთარი სურილებისა თუ მოთხოვნების ასრულებაზე. მართალია, ამ შემთხვევაში მინისტრი არ იზიარებს სტერეოტიპულ შეხედულებას და გმობს მას, თუმცა თავად ის ფაქტი რომ მას უწევს ამ სტერეოტიპზე საუბარი და მისი დაგმობა, მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად არის გავრცელებული საზოგადოებაში მსგავსი შეხედულებები.

გადაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქალის მამაკაცზე დაქორწინება შეიძლება არ ემსახურებოდეს მხოლოდ მატერიალურ უზრუნველყოფას. გადაცემებში ქალის მამაკაცზე გათხოვების მოტივად სხვა მიზეზებსაც ასახელებენ. კერძოდ, ქალი შეიძლება დაქორწინდეს ან დააქორწინონ მამაკაცზე მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეურაცხყოს და დაიცვას როგორც ოჯახის, ასევე საკუთარი სახელი. თუ ქალი ან გოგონა ქორწინების გარეშე დაორსულდება, ეს სირცხვილია მისი ოჯახისთვის და ღირსების შელახვაა თვითონ ქალისთვის. მიჩნევა, რომ ის „ვერ გამოყოფს ვერსად თავს“, სხვას არავის მოუნდება მასზე დაქორწინება და ერთადერთი გამართლებული გზა მისთვის არის ის, რომ დაქორწინდეს იმ მამაკაცზე, რომლისგანაც არის ორსულად.

თოქ-შოუ პროფილის ერთ-ერთი გადაცემაში განიხილებოდა 16 წლის მოსწავლე გოგოს ისტორია, რომელიც მისივე სკოლის 40 წლის მანდატურისგან იყო ფეხმძიმედ.

გადაცემის ჟურნალისტის მიერ მომზადებულ რეპორტაჟში ჩანს, რომ საზოგადოების უმრავლეოსობისა და ოჯახის წევრების დამოკიდებულებით გოგონა აუცილებალდ უნდა დაქორწინდეს 40 წლის მანდატურზე, ვინაიდან მათ მიაჩნით, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი არსებული სიტუაციიდან. გოგონას ამ გზით შეუძლია, თავი აარიდოს საზოგადოების კრიტიკასა და მისკენ თითის გაშვერას. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და რომ მამაკაცი აუცილებლად უნდა დაისაჯოს. სტუდიაში მყოფთა შეხედულებები რეპორტაჟში გამოკითხულთა შესახებ ორად გაიყო. ერთი ნაწილი, კერძოდ, გივი სიხარულიძე ამბობდა, რომ „სოფელი ბრძენია“ და გოგონას ნაცნობები და მეზობლები ტყუილს არ იტყოდნენ. მეორე ნაწილი კი ცდილობდა დაეცვა 16 წლის ახალგაზრდა გოგო და განმარტავდნენ, რომ მსგავსი შეფასებები მის მიმართ შეურაცხმყოფელი და დაუშვებელია.

როგორც თეორიაში ვახსენე, გენდერულ მედიაზე საუბრისას, მედია ხშირად წარმოაჩენს ქალებს, როგორც მამაკაცის მსხვერპლებს და მამაკაცებს, როგორც ქალებზე მოძალადეებს. ამ კონკრეტულ მაგალითში ვლინდება სწორედ მედიის ეს როლი. ამ შემთვევაში მედიამ 16 წლის გოგონა წარმოაჩინა, როგორც 40 წლის მანდატურის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, თავად მანდატური კი, როგორც მოძალადე.

<u>სტერეოტიპები, რომლებიც გამოხატავენ ქალის მოლოდინებს მამაკაცთან ურთიერთობაში;</u>

მონაცემების ანალიზის პროცესში, გამოვლინდა ასევე შემდეგი სტერეოტიპი, რომლის თანახმად, არსებობს მოლოდინი, რომ მამაკაცებმა უფრო უნდა მოუწყონ სიურპრიზები ქალბატონებს და დაასაჩუქრონ ისინი და არა პირიქით. ამასთანავე, ქალისთვის მირთმეული საჩუქარი სასურველია ძვირადღირებული იყოს. ეკა ხოფერიას ერთ-ერთ გადაცემაში წამყვანი მხოლოდ მამაკაცებს ეკითხება, თუ რა სიურპრიზები მოუწყვიათ მათ თავიანთი საყვარელი ქალბატონებისთვის და რამდენად ძვირადღირებული იყო მათი საჩუქრები. შესაბამსად, წამყვანი მის ქალბატონ სტუმრებს ეკითხება, თუ რამდენად ხშირად უწყობენ სიურპრიზებს მათ მამაკაცები და რამდენად არის

მნიშვნელოვანი მათთვის საჩუქრის ფასი. ქალბატონები აღნიშნავენ, რომ მამაკაცისგან მუდმივად „გულით ნაჩუქარი" და იაფფასიანი საჩუქრები არ უნდათ. **„უგულოდ გაჩუქოს მანქანა, არ ჯობია?"** - ამბობს ერთ-ერთი სტუმარი. ამ კომენტარით ისინი ამყარებენ მამაკაცის სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალის მოლოდინებთან დაკავშირებით, რომ მათ უყვართ საჩუქრები და თან ძვირადღირებული.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი შეხედულება, რომლის თანახმად, მოლოდინია, რომ ყველა ქალს უნდა უყვარდეს ყვავილები. ამასთან დაკავშირებით ეკა ხოფერიას შოუში მოწვეული ნიკა წულუკიძე ამბობს: **„კაცი რომ გაიგებს, რომ ქალს ყვავილები არ უყვარს, ასოცირდება, რომ ქალი რომანტიკოსი არ არის. თუ არ უყვარს, ა შენ ფული და წადი, იყიდე. ქალები შეცდომს უშვებენ, არ უნდა თქვან ასეთი რაღაც".** ამ დისკურსში ვლინდება, რომ თუ ქალს ყვავილი არ უყვარს, მაშინ ტყუილი უნდა თქვას და არ უნდა გაუმხილოს ეს მამაკაცს. მამაკაცებს ქალის შეცდომად მიაჩნიათ ამის არ დამალვა და ფიქრობენ, რომ, თუ ქალს ყვავილი არ უყვარს მაშინ მას ფული ან რამე ძვირადღირებული უნდა. როგორც სტუმრის საუბრიდან ჩანს, მამაკაცებს ურჩევნიათ ქალებმა მათთან ურთიერთობაში ითამაშონ. მათ ქალის მხირდან ასეთი საქციელი უფრო გამართლებულად მიაჩნიათ, ვიდრე იმის არ დამალვა, რომ ყვავილი არ უყვარს.

<u>სტერეოტიპი ქორწინებაში ქალის როლთან დაკავშირებით;</u>

მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაზე საუბრისას ვლინდება კიდევ ერთი სტერეოტიპული შეხედულება, რომელიც უკავშირდება ქორწინებაში ქალის როლს. ეკა ხოფერიას თოქ-შოუს ერთ-ერთი გადაცემის სტუმარია ვახტანგ რჩეულიშვილი. სტუმართან საუბრისას წამყვანი ინტერესდება, თუ ვინ იყო მათ ოჯახში დომინანტი, ბატონი ვახტანგი თუ მისი მეუღლე - ქალბატონი მაია. ბატონი ვახტანგი ამბობს, რომ ოჯახში თვითონ არ ყოფილა დომინანტი, არამედ იყო მისი მეუღლე. შემდეგ, წამყვანი ინტერესდება, ის ფაქტი, რომ ოჯახში მამაკაცი არ იყო დომინანტი, დისკომფორტს ხომ არ უქმნიდა მას. ამ შემთხვევაში წამყვანის მიერ დასმული შეკითხვა გამომდინარეობს იმ სტერეოტიპული შეხედულებიდან, რომლის თანახმად, უფრო დიდია მოლოდინი, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში, როდესაც ისინი იმყოფებიან ქორწინებაში,

მამაკაცი უნდა იყოს დომინანტი. მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის წინამძღოლი და ქალი მის გადაწყვეტილებებს უნდა დაემორჩილოს.

ქალისა და მამაკაცის დომინანტური და დაქვემდებარებული ქცევის ახსნაში დამეხმარება თეორია, რომელიც ხსნის ქალისა და მამაკაცის სოციალურ როლებს. თეორიის მიხედვით, დომინანტური ქცევა დამახასიათებელია მამაკაცისთვის, დაქვემდებარებული ქცევა კი ქალისთვის. ეს თვისებები, შესაბამისად, ხდება სტერეოტიპული და მიეწერება კონკრეტულ სქესს.

გამოვლენილი სტერეოტიპები გვიჩვენებენ, რომ ქალი მამაკაცზე შეიძლება დაქორწინდეს ორი მიზეზით. პირველ შემთხვევაში, იმიტომ, რომ მამაკაცმა „შეინახოს“ და მატერიალურად უზრუნველყოს ის, ვინაიდან ქალებს დამოუკიდებლად უჭირთ თავის რჩენა. მეორე შემთხვევაში, იმიტომ, რომ დაიცვას, როგორც ოჯახის, ისე საკუთარი სახელი შერცხვენისა და დამცირებისგან. ასევე, მამაკაცებისთვის გამართლებულია ქალის მხრიდან თვალთმაქცობა მამაკაცთან ურთიერთობაში. მონაცემების დისკურსულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მამაკაცებს ურჩევნიათ ქალმა დამალოს, რომ ყვავილი არ უყვარს, ვიდრე სიმართლე თქვას. გარდა ამისა, არსებობს მოლოდინი, რომ ოჯახში დომინანტი უნდა იყოს მამაკაცი და ქალი დაქვემდებარებული, ვინაიდან დომინანტური ქცევა უფრო აგენტური ტიპის ადამიანებს ახასიათებთ და ასეთები ძირითადად მამაკაცები არიან.

2. **სტერეოტიპები, რომლებიც ქალის საოჯახო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეხება;**

გადაცემების დისკურსული ანალიზის შედეგად, ქალის საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა სტერეოტიპი, რომ სამზარეულო ქალის საქმეა. ეს სტერეოტიპი კარგად ჩანს გია ჯაჯანიძის შოუში, როდესაც წამყვანი სთხოვს სტუმარს, ანატოლი ბოისას დაეხმაროს საჭმელთან დაკავშირებით ექსპერიმენტის ჩატარებაში და ეკითხება, იცის თუ არა მან გაზქურის გამოყენება. ამ შემთხვევაში, წამყვანი შესაძლოა

გაუაზრებლად, მაგრამ მაინც ახდენს იმ სტერეოტიპს დემონსტრირებას, რომ სამზარეულოს საქმეები ქალმა უნდა იცოდეს და ვინაიდან მისი სტუმარი მამაკაცია, უშვებს იმას, რომ შესაძლოა ის არ ერკვეოდეს სამზარეულოს ტექნიკაში.

მართალია, ვხვდებით სტერეოტიპს, რომ სამზარეულო ქალის საქმეა და შესაბამისად, საჭმელი ქალმა უნდა მოამზაოდს, თუმცა, როცა მამაკაცი შედის სამზარეულოში, არსებობს მოლოდინი, რომ მან ქალისგან განსხვავებით სხვა კერძი უნდა მოამზადოს.

ეკა ხოფერიას თოქ-შოუში, ლალი მოროშკინა ამბობს: **„ხორცი ჩემი წამოსაგები არ არის მაინცდამაინც ... სალათს ბიჭებს ვერ გავაკეთებინებ“.** სტუმარს ურჩევნია, მწვადის შეწვა მამაკაცებს მიანდოს, თვითონ კი სალათა გააკეთოს. აქ ჩანს სტუმრის სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომ ხორცისგან დამზადებული კერძი, უფრო მისაღებია მამაკაცმა დაამზადოს, ვინაიდან, მიიჩნევა, რომ ხორცი მამაკაცებს უფრო უყვართ და ამიტომ „მამაკაცური საჭმელია“.

<u>სტერეოტიპები, რომლებიც ეხება ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებას;</u>

რაც შეეხება სტერეოტიპებს, რომლებიც ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, ვლინდება დამოკიდებულება, რომ ქალმა შესაძლოა დამოუკიდებლად წარმატებას ვერ მიაღწიოს კარიერაში. თუ ქალს კარგი სამსახური აქვს და არის წარმატებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ვიღაც დაეხმარა ამ წარმატების მიღწევაში. კონკრეტულად ეს სტერეოტიპი გამოვლინდა ეკა ხოფერიას თოქ-შოუში, სადაც წამყვანს მოწვეული ჰყავს, სხვადასხვა პროფესიის ცნობილი ქართველი ქალები და ინდივიდუალური ინტერვიუ აქვს თითოეულ მათგანთან. ცნობილ და წარმატებულ მსახიობს, ნანკა კალატოზიშვილს წამყვანი ეკითხება, მისი კარიერა დამოუკიდებლად დაიწყო თუ მას „ჰყავდა პატრონი“ და ვიღაც დაეხმარა.

შემდეგი სტერეოტიპის მიხედვით, არსებობს მოლოდინი, რომ ქალი მუშაობს იმისთვის, რომ ჰქონდეს ფული. თუ ქალს ექნება ძალიან ბევრი ფული, მოსალოდნელია, რომ ის არ იმუშავებს და გახდება დიასახლისი. ქალბატონი ეკა იმავე გადაცემაში ეკითხება ასევე წარმატებული კარიერის მქონე ქალბატონს: **„რომ გქონდეს შესაძლებლობა, იჯდებოდი სახლში? რატომ მუშაობ? ფული გჭირდება, თუ იმიტომ, რომ არ დაჯდე სახლში“?**

სტუმრების პასუხები არაერთგვაროვანია. ერთ-ერთი მათგანი აღიარებს, რომ მუშაობს იმისთვის, რომ ჰქონდეს ფული. მეორე სტუმარი კი ბევრი ფულის ქონის შემთხვევაში თანახმაა, დაისვენოს ცოტა ხნით, მაგრამ შემდეგ აუცილებლად დაუბრუნდება სამუშაოს. ამ შემთხვევაში ჩანს, რომ ქალებს აქვთ სხვადასხვა მიზნები, ზოგი მუშაობს იმისთვის, რომ ფული გამოიმუშაოს, ზოგი კი მხოლოდ ფულისთვის არ მუშაობს, არამედ სურს, რომ იყოს სოციალურად აქტიური.

წამყვანის კიდევ ერთი სტერეოტიპული დამოკიდებულება ჩანს მის კითხვაში, როდესაც ის ეკითხება სტუმრებს, შესაძლებელია თუ არა, ქალი იყოს საქმიანი და წარმატებული და ამავე დროს კარგი დედა? წამყანის ამ შეკითხვაში აისახება სტერეოტიპი, რომ ქალები, რომლებიც არიან წარმტებულები და საქმიანები, ხშირად ვერ არიან კარგი დედები, საკმარის დროს ვერ უთმობენ ბავშვებთან ურთიეთობას. შესაბამისად, ქალები, რომლებიც არ მუშაობენ, არიან უკეთესი დედები, ვინაიდან მათ აქვთ შესაძლებლობა, უფრო მეტი დრო დაუთმონ შვილის აღზრდას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეკა ხოფერიას თოქ-შოუში მთლიანი გადაცემა არის მიძღვნილი წარმატებული და საქმიანი ქალებისათვის. ამ გადაცემის თემა არის ძლიერი ქალები. გადაცემის თემატიკაც ერთგავარად სტერეოტიპულია. გამოხატავს შეხედულებას, რომ ქალები, ზოგადად სუსტები არიან, მაგრამ არსებობენ ძლიერი ქალებიც, რომლებიც ამ შემთხვევაში არიან ის ქალები, რომლებსაც წარმატებული კარიერა აქვთ. მნიშვნელოვანია ასევე, გადაცემის წამყვანის მიერ დასმული შეკითხვა სტუმრის მიმართ, თუ ვინ არის ძლიერი ქალი? რაზეც, სტუმრი ნინო კობახიძე პასუხობს: **„ძლიერი ქალი, ძლიერი ადამიანი, ჩემთვის ერთი და იგივე კონტექსტია. კაციც შეიძლება იყოს ზუსტად ისევე ძლიერი ან სუსტი, როგორც ქალი.“** სტუმრის ამ კომენტარში ჩანს, რომ ის არ იზიარებს სტერეოტიპს ქალის სისუსტესთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ სუსტები მხოლოდ ქალები არ არიან. სისუსტე მისთვის, ზოგადად, ადამიანური მახასიათებელთან ასოცირდება და არა სქესის საფუძველზე ადამიანისთვის მინიჭებული თვისებასთან.

აღნიშნული სტერეოტიპები გამოხატავენ შეხედულებებს, რომ ქალისთვის რთულია დამოუკიდებლად წარმატების მიღწევა და თუ მიაღწია, მაშინ ის ძლიერი ქალია და განსხვავდება სხვა ქალებისგან. ასევე, სტერეოტიპული შეხედუელბით, ქალი

ერთდროულად ვერ იქნება კარგი დედა და წარმატებული პირად კარიერაში. როგორც თეორიაში კომუნალურ და აგენტურ კატეგორიებზე საუბრისას აღვნიშნე, ქალები, რომლებიც საკუთარი თავის განვითარებაზე ზრუნავენ მიიჩნევა, რომ ნაკლებად ავლენენ კომუნალურ თვისებებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში ჩნდება სტერეოტიპული შეხედულება, რომ ქალი, რომელიც დიდი დროს უთმობს კარიერას, ნაკლები დრო რჩება ოჯახისთვის. რაც შეეხება ქალის საოჯახო საქმიანობას, მისი მოვალეობები ქმრის მოვლითა და საჭმლის მომზადებით განისაზღვრება.

3. **სტერეოტიპები, რომლის მიხედვით, თავის მოვლა მხოლოდ ქალების საქმეა;**

გამოვლენილი სტერეოტიპის თანახმად, თავის მოვლა ქალების საქმეა და კაცებისთვის „ტეხავს.“ თავის მოვლაში ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულსხმება ლაზერული ეპილაცია და სხვა ტიპის კოსმეტიკური პროცედურები. არსებობს მოლოდინი, რომ მსგავსი ტიპის პროცედურებს ქალები უფრო მიმართავენ, ვიდრე მამაკაცები. ნანუკას შოუში სტერეოტიპის გაჟღერება გადაცემის წამყვანის მიერ ხდება. ის გაკვირვებას ვერ მალავს, როდესაც შეიტყობს, რომ მისი სტუმარს, რომელიც მოჭიდავეა, გაკეთებული აქვს ლაზერული ეპილაცია: **„კარგი ბიჭი, ყველაფერს ვიფიქრებდი ამის გარდა, მოჭიდავისგან ლაზერი გამიკვირდა.“** წამყვანის გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ისეთი ძლიერი მამაკაცი, როგორიც მოჭიდავეა, ძნელი წარმოსადგენია, იკეთებდეს ლაზერულ ეპილაციას, რომლითაც ძირითადად ქალები ინტერესდებიან. თუმცა, გადაცემის ბოლოს წამყვანი მაყურებლებს მიმართავს და ეუბნება: **„კაცებო და ბიჭებო, თავის მოვლა არ ტეხავს.“** მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის მსვლელობისას ნანუკა თვითონაც ექცევა სტერეოტიპის გავლენის ქვეშ, ამ კომენტარით წამყვანი თავის პროგრესულად წარმოჩენას ცდილობს, ვინაიდან იცის, რომ თავს კაცებმაც უნდა მოუარონ და არასწორია შეხედულება, რომ მხოლოდ ქალები უვლიან საკუთარ თავს.

4. **სტერეოტიპები, რომლებიც ქართველი ქალის ფენომენს ეხება;**

გადაცემების დისკურსული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ქართველი მამაკაცების შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს „ნამდვილი" ქართველი ქალი. გია ჯაჯანიძის შოუში მოწვეული სტუმარი ქალბატონებს უძღვნის ლექსს და ამბობს: **„ეს ლექსი ეძღვნება ყველა ნამდვილ ქალბატონს, რომელიც იმსახურებს თავისი ცხოვრების წესით და შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, რომ ეძღვნებოდეს."** ქართველი მამაკაცების შეფასებით, იმისათვის, რომ ქალი „ნამდვილ" ქართველ ქალად იწოდებოდეს, ის გარკვეული ცხოვრების წესით უნდა ცხოვრობდეს და გარკვეული შინაგანი ბუნება უნდა გააჩნდეს. ქალის ხასიათსა და თვისებებზე საუბრისას ჟღერდება სიტყვა „პატიოსნება". გადაცემის ჟურნალისტის მიერ მომზადებულ რეპორტაჟში, სადაც ქუჩაში გამვლელი ქალებისა და მამაკაცების მოსაზრებები ჩანს, ვისმენთ, რომ ქალი, რომელსაც უყვარს თავისი ოჯახი და ზრუნავს შვილებზე, არის პატიოსანი. მათი აზრით პატიოსანია ასევე ისეთი ქალი, რომელსაც არ აცვია გამომწვევად, მაგალითად, ძალიან მოკლე ქვედაბოლო. რაც შეეხება ქალის ცხოვრების წესს, ქალი გათხოვებამდე ქალიშვილი უნდა იყოს. გათხოვების შემდეგ კი ქმარს არ უნდა უღალატოს.

აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, გია ჯაჯანიძის შოუში მოწვეული სტუმარი წაკითხულ ლექსს უძღვნის კონკრეტულად იმ ქალებს, რომლებიც „იმსახურებენ," რომ ეძღვნებოდეთ და არა, ზოგადად, ქალებს.

ერთ-ერთ გადაცემაში გამოვლინდა ასევე, მამაკაცის მიერ საყვარლისა და ბოზის განსხვავების ფაქტი. ქართველი ქალის მიმართ მამაკაცის სტერეოტიპული ხედვის თანახმად, საყვარელი არის ქალი, რომელსაც მამაკაცი დადებით კონტექსტში მოიხსენიებს. ეს არის ქალი, რომლის მიმართაც მამაკაცს აქვს სიმპათია და სასიყვარულო ურთიერთობა. მამაკაცი საყვარლისგან განასხვავებს ბოზს და მას უარყოფით კონტექსტში აღიქვამს. ეს არის ქალი, რომელთანაც მამაკაცი ხანგრძლივი ურთიერთობით არ ინტერესდება და მხოლოდ ერთჯერადი გართობის ობიექტს წარმოადგენს. მსგავს შეფასებას ვხვდებით გია ჯაჯანიძს შოუში. წამყვანი მოხუც მამაკაცს უსვამს შეკითხვას: **„მართალია, რომ თქვენს ოთხივე შვილს საყვარლების**

სახელები დაარქვით?“ რაზეც მოხუცი მამაკაცი პასუხობს, რომ მართალია და ეუბნება: **„იმის სახელს ვარქმევდი, ვინც მომწონდა, აბა ბოზის სახელს ხომ არ დავარქმევდი.“**

წინა აბზაცებიდან გამომდინარე, რომ შევაჯამო, მამაკაცებისთვის „ნამდვილი“ ქართველი ქალის მთავარი თვისება „პატიოსნებაა“. პატიოსნება მამაკაცებისთვის, და ასევე ქალებისთვისაც არის ქალის გარკვეული ცხოვრების წესი, რომელიც მთელი ცხოვრება ერთ მამაკაცთან ურთიერთობასა და ქმრის ერთგულებას გულისხმობს.

5. **სტერეოტიპები დედისა და ვაჟის განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ;**

ნანუკას შოუს ერთ-ერთი გადაცემის თემა ეხება მშობლებს. გადაცემის დასაწყისში წამყვანი ამბობს შემდეგ ფრაზას: **„გაცილებით სხვანაირად ისმინება, როდესაც მშობლებზე, მშობლის ამაგზე კაცი საუბრობს.“** აქ ის იგულისხმება, რომ საქართველოში „მშობელი“ აღმზრდელის სინონიმად მოიაზრება, ასეთი კი ტრადიცულად დედაა და არა მამა. დედის ამაგზე კი კაცი „სხვანაირად“ საუბრობს დედასა და ვაჟს შორის ჩვენში არსებული მიჯაჭვულობიდან გამომდინარე.

ისევ ნანუკას შოუში, მაგრამ ამჯერად სხვა გადაცემაში, სტუმრები საუბრობენ თავიანთ დედებზე. წამყვანი გადაცემის დასაწყისში საუბრობს საქართველოში დედის ფენომენის სიძლიერეზე: **„ზოგადად, საქართველოში დედის ფენომენი კიდევ უფრო მეტად სხვაგვარია. ამბობენ, რომ ქართველ კაცებს დედასთან გაცილებით უფრო მეტი კავშირი აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყანაში, თუმცა ეს არავინ იცის“.** გადაცემის ყველა სტუმარი მამაკაცია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ სტერეოტიპულ შეხედულებას, რომ ვაჟს განსაკუთრებული სიყვარული და დამოკიდებულება აქვს დედასთან და მას უკეთ შეუძლია დედის სიყვარულზე და ამაგზე საუბარი, ვიდრე ქალს. გადაცემის სტუმარი დათო გომართელი ამბობს: **„დედაჩემი ყოველთვის იყო ჩართული ჩემს ცხოვრებაში, როგორც ყველა დედა, თან დედებს ბიჭებთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ“.** სტერეოტიპულ შეხედულებას აჟღერებს ასევე, ერთ-ერთი სტუმრის დედა, რომელიც

ამბობს: „საერთოდ, ბიჭები არიან გამორეჩეული დედის მიმართ სიყვარულით.“ სტერეოტიპული შეხედულების თანახმად, ვაჟსა და დედას შორის არსებობს განსაკუთრებული სიყვარული, რასაც ადგილი არ აქვს დედისა და გოგოს შემთხვევაში.

აღნიშნული ტიპის სტერეოტიპები, გამოხატავენ შეხედულებას, რომ ვაჟისა და დედის ურთიერთობა უფრო გამორჩეულია, ვიდრე გოგონასი და დედის. დედის სიყვარული ვაჟის მიმართ ისევე განსხვავებულია, როგორ ვაჟის სიყვარული დედის მიმართ.

6. **გენდერული სტერეოტიპები, გენდერული დისკრიმინაციის ფაქტებში;**

გადაცემებში, გენდერულ სტერეოტიპებთან ერთად, გვხვდება გენდერული დისკრიმინაციის ფაქტებიც.

გენდერულ დისკრიმინაცისთან დაკავშირებულმა საკითხმა გაიჟღერა გადაცემა პროფილში. გადაცემის თემა იყო გოგონათა წინადაცევთა. როგორც გადაცემის წამყავნი, ასევე სტუმრებიც აღნიშნავდნენ, რომ გოგონათა წინადაცვეთის ტრადიცია წარმოადგენს ძალადობას ქალზე და ეს არის ქალის დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა. წინადაცვეთას გოგონას უკეთებენ პატარა ასაკში, როდესაც მას საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლიათ. ეს ფაქტი, ისევე როგორც მცირეწლოვან გოგონათა გათხოვება, ქალაქ მარნეულის სოფლებში ხდება. თავად სოფლის მოსახლეობა ამ ფაქტს არ აღიქვამს, როგორც ძალადობას და ყველაფერს თავიანთ უძველეს ტრადიციებს მიაწერენ. წინადაცვეთის შედეგად ქალი კარგავს ტემპერამენტს და როგორც სოფლის მოსახლეობა განმარტავს, მომავალში ის ამის გამო არ უღალატებს ქმარს. როგორც თეორიაში აღვნიშნე, ქალის სექსუალობის უარყოფა და მასზე ძალადობა ერთ-ერთია მამაკაცის ძალაუფლების გამოხატვის 8 მახასიათებელს შორის.

7. **გენდერული სტერეოტიპები, სქესის საფუძველზე განსხვავებასთან დაკავშირებით;**

გადაცემებში, გამოიკვეთა ასევე შეხედულება, რომ მამაკაცებს გოგო შვილის ყოლას ბიჭი შვილი ურჩევნიათ. ბიჭი შვილის ყოლა უპირატესად მიიჩნევა, ვინაიდან ის ოჯახის გვარს აგრძლებეს, რაც არ ხდება გოგო შვილის შემთხვევაში. ეკა ხოფერიას თოქ-შოუში, გადაცემის სტუმარი გიგი დედალამაზიშვილი ამბობს, რომ მას და მის მეუღლეს უნდათ ჰყავდეთ მეორე შვილი და ამატებს: **„სქესს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ჯანმრთელი იყოს“.** საუბარში მისი მეუღლე ერთვება და წამყვანს უხნის, რომ გიგის ძალიან უნდა მეორე შვილი ბიჭი იყო და ამას სახლში ხშირადა ამბობს, თუმცა ამ შემთხვევაში არ აღიარებს ამას, ვინაიდან კამერა უღებს. ამ მონაკვეთში ჩანს, თუ როგორ ცდილობს გიგი დამალოს საჯაროდ საუბრისას ბიჭის ყოლის სურვილი, ვინაიდან იცის, რომ ეს სტერეოტიპულ ხედვას წარმოადგენს და მას კი სურს თავი პორგრესულად წარმოაჩინოს.

ასევე საინტერესოა ნანუკას შოუში გიორგი ყიფშიძის მოთხრობილი ამბავი. სტუმარი ყვება, რომ მის ბაბუას ორი გოგო გაუჩნდა, მას კი ძალიან უნდოდა ბიჭი, ამიტომ ორივე შვილს ბიჭივით ზრდიდა. აქაც აისახება სტერეოტუპლი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი სასურველია ქართელი მამაკაცებისთვის ბიჭი შვილის ყოლა.

სქესის საფუძველზე განსხვებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი, რომელსაც გია ჯაჯანიძის შოუში ვხვდებით. წამყვანს გადაცემის სტუმრები მიჰყავს გასართობ ცენტრში, სადაც ერთმანეთს ორი ჯგუფი უნდა შეეჯიბროს. წამყვანის მიერ ჯგუფების დაყოფა შემდეგნაირად ხდება: **„რომ არ დაირღვეს გენდერული ბალანსი, ბიჭები ვიქნებით ცალკე, გოგოები ცალკე“.** ამ შემთხვევაში წამყვანი ფიქრობს, რომ ჯგუფების მსგავსი დაყოფით ის გენდერულ ბალანს იცავს, რეალურად კი განსხვავებული სქესის ნიშნის საფუძელზე ახდენს ჯგუფების ჩამოყალიბებას და გაუაზრებლად ახდენს ქალთა დისკრიმინაციას.

გადაცემებში ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როდესაც სქესის საფუძველზე ხდება ქალისა და მამაკაცისთვის განსხვავებული უნარების, თვისებების, დამოკიდებულებისა თუ ინტერესთა სფეროს მინიჭება.

ეკა ხოფერიას თოქ-შოუში წამყვანი სტუმრად მყოფ განათლების მინისტრს სკოლის პერიოდზე საუბრისას წამყვანი ეკითხება, თუ რამდენი გოგო სწავლობდა მის კლასში კომაროვის სკოლაში. წამყვანის ეს შეკითხვა გამოხატავს მოლოდინს, რომ გოგონების რაოდენობა იქნებოდა მცირე, რადგან კომაროვის სკოლაში სწავლობენ განსაკუთრებულად მათემატიკური ნიჭის მქონე ბავშები და ასეთები ძირითადად ბიჭები არიან. მინისტრი პასუხობს, რომ მის კლასში გოგონების რაოდენობა ნამდვილად მცირე იყო, 35 ბავშვიდან მხოლოდ 7 გოგო და ამატებს, რომ მისი შვილის კლასში ახლა გოგონების და ბიჭების რაოდენობა თითქმის თანაბარია. მინისტრის პასუხი მისი შვილის კლასში გოგონებისა და ბიჭების თითქმის თანაბარ რაოდენობაზე, ერთგვარად გამოხატავს მის დამოკიდებულებას, რომ სქესის საფუძველზე ნიჭიერების განსაზღვრა სტერეოტიპია, რომ გოგონებსაც შეუძლიათ იყვნენ ისეთივე ნიჭიერები, როგორებიც არიან ბიჭები.

ნანუკას შოუში სტუმრად მოწვეული გოგონა ყვება ისტორიას, თუ როგორ დაშავდა მისი შეყვარებული ავტოსაგზაო შემთხვევისას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. გოგონა იხსენებს, თუ როგორ ტიროდნენ მისი შეყვარებულის მეგობრები, განსაკუთრებით კი ბიჭები და ამბობს: **„ბიჭი რო ტირის, ცოტა ისეთი მომენტია“.** გოგონას კომენტარი გამოხატავს სტერეოტიპულ შეხედულებას, რომ ტირილი ქალის საქმეა და არა კაცის და თუ კაცმა ცრემლები გამოაჩნა, ეს ნიშნავს, რომ მართლაც ძალიან მძიმე რამ მოხდა.

ქალების მამაკაცებისგან განსხვავებულ დამოკიდებულებას ბავშვების მიმართ გამოხატავს გია ჯაჯანიძის შოუში, ქართელი მომღერლის კომენტარი. სტუმარი ამბობს, რომ მისი ახალი სიმღერა ბავშებზეა და ბევრს მოეწონება, განსაკუთრებით კი ქალებს. მის ამ კომენტარში აისახება სტერეოტიპი, რომ ქალებს ბავშვებთან უფრო სენსიტიური დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე კაცებს და შესაბამისად ეს სიმღერა ქალებსთვის უფრო ძვირფასი იქნება.

ეკა ხოფერიას შოუში წამყვანი ეკითხება სტუმარს, ვახტანგ რჩეულიშვლს, ახსოვს თუ არა მას, რა ეცვა მის მეუღლეს, როდესაც პირველად ნახა. ბატონი ვახტანგი პასუხობს, რომ არ ახსოვს, რაზეც წამყვანი შემდეგ კომენტარს აკეთებს: **„კაცებს არასდროს არ ახსოვთ“.** წამყვანის მიერ ნათქვამ ფრაზაში, აისახება სტერეოტიპი, რომ, თითქოს მამაკაცები არასდროს არ იმახსოვრებენ ისეთ დეტალს, როგორიც შეიძლება იყოს ჩაცმულობა. არსებობს მოლოდინი, რომ დეტალების დამახსოვრება უფრო ქალების საქმეა, ვიდრე მამაკაცების.

ისევ ეკა ხოფერიას თოქ-შოუში ვხვდებით შემდეგ სტერეოტიპს, რომ ბიჭმა შვილმა შეიძლება უფრო მტკივნეულად აღიქვას მისი დედის ხელმეორედ დაქორწინება, სხვა მამაკაცზე, ვიდრე გოგო შვილმა. გადაცემის ერთ-ერთი ბლოკის სტუმრები არიან ცოლ-ქმარი, რუსა ჩაჩუა და დიმა ნაფეტვარიძე. დიმა იხსენებს იმას, თუ როგორ უთხრა რუსას უფროს შვილს მათი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ და ამბობს: **„მაინც ბიჭია, მამაკაცია და შეიძლება რაღაც მომენტები მტკივნეულად აღიქვას“** და არც კი ახსენებს რუსას მეორე შვილს, რომელიც გოგოა.

სქესის საფუძველზე ასხვავებს ჟურნალისტი ეკა ხოფერია იმას, თუ რა შეიძლება გართობისა და დასვენების მიზნით შესთავაზოს ქალ სტუმრებს და რა მამაკაცებს. ქალბატონებს წამყვანი სთავაზობს სპა პროცედურებს. მამაკაცებს რაც შეეხება, მათ ველოსიპედით სეირნობასა და ცხენით ჯირითს. აქ ჩანს წამყვანის მოლოდინი, რომ ქალებს თავის მოვლა და ლამაზად ყოფნა უფრო მოუნდებათ, ვიდრე ველოსიპედით სეირნობა. მამაკაცებს კი მოლოდინის მიხედვით თავის მოვლა ნაკლებად აინტერესებთ და ურჩევნიათ ცხენით იჯირითონ.

როგორც ვხედავთ, გადაცემებში ვხვდებით ფაქტებს, როდესაც სქესის საფუძველზე ხდება ქალისა და მამაკაცისთვის განსხვავებული უნარებისა და თვისებების მინიჭება და მამაკაცის ქალზე უპირატესად წარმოჩენა.

8. **სტერეოტიპული ხედვები, ორმაგ სტანდარტებთან დაკავშირებით;**

გასართობ თოქ-შოუებში გამოვლინდა სტერეოტიპული ხედვები ორმაგ სტანდარტებთან დაკავშირებით, მაგალითად, გია ჯაჯანიძის შოუში. გადაცემის სტუმარი არის სალომე ზურაბიშვილი. წამყვანი ეუბნება სტუმარს, რომ ის ლამაზი ქალბატონი ბრძანდება და შემდეგ ინტერესდება, ჰქონია თუ არა ქალბატონ სალომეს ფლირტი მამაკაცებთან, როდესაც ის დიპლმატი იყო. ქალბატონი სალომე პასუხობს, რომ მას არ ჰქონია დიპლომატიური ურთიერთობების დროს ფლირტი მამაკაცებთან და არც მამაკაცებისგან უგვრძნია ისეთი დამოკიდებულება, რაც საქმიან ურთიერთობებს სცდება. **„როგორც ქალს, ალბათ მეტიც გევალება. ქალ დიპლომატს მეტი დისტანცია სჭირდება, ვიდრე მამაკაც დიპლომატს, რომელიც თავის თავს მეტის უფლებას მისცემს.“** ამ შემთხვევაში ქალბატონ სალომეს კომენატრში აისახება სტერეოტიპული აზრი ქალისა და მამაკაცის ქცევის განსხვავებულ მოლოდინებთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, ქალმა დიპლომატმა მამაკაცებთან ურთიერთობაში უნდა გააკონტროლოს საკუთრი თავი და დისტანციის დაცვით საქმიან ურთიერთობებს არ უნდა გასცდეს. მამაკაცი დიპლომატისთვის კი დასაშვებია მსგავსი ქცევა და მას ნაკლებად მოეთხოვება პასუხი ამისთვის.

ორმაგ სტანდარტზე მიუთითებს აგრეთვე გია ჯაჯანიძის შოუში სტუმარი ლიზა ვადაჭკორია, რომელიც საუბრობს საქართველოში ჩატარებულ კვლევაზე, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ 30 წლამდე მამაკაცებში, რამდენიმე სექსუალური პატრნიორი ჰყავდა გამოკითხულთა 57%-ს და 30 წლამდე გამოკითხული გოგონების მხოლოდ 1%-ს. ამ ინფორმაციის მოსმენისთანავე სტუდიაში ისმის სტუმრების შემდეგი კომენტარი: **„საქართველოში მალავენ“.** ეს კომენტარი გამოხატავს იმ სტერეოტიპს, რომ საქართველოში გოგონები მალავენ მათი სექსულარი პარტნიორების რიცხვს, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ ბევრი პარტნიორის ყოლა სამარცხვინოა. მამაკაცისთვის ბევრი პარტნიორის ყოლა და შემდეგ ამ თემაზე ღიად საუბარი არ წარმოადგენს პრობლემას, ქალისთვის კი ეს დანაშაულია და უნდა დამალოს.

ორმაგ სტანდარტზე მიუთითებს აგრეთვე ნანუკას შოუში სტეფანე მღებრიშვილის კომენტარი: **„ცხოვრებაში შეზღუდვა არ მქონია, არც მე და არც ჩემს დებს იმიტომ, რომ**

გოგოები იყვნენ“. მის ეს ფრაზა გამოხატავს იმას, რომ, ზოგადად, მშობლები გოგონას უკრძალავენ ისეთი რაღაცეების კეთებას, რასაც არ უკრძალავენ ვაჟს, თუმცა სტეფანეს დებს გაუმართლათ, რადგან მათ მშობლები, სტეფანეს მსგავსად, არაფერს უკრძალავდნენ.

9. **დისკურსის ლინგვისტური ასპექტები;**

ქალის მიმართ სექსისტური და სტერეოტიპული შეხედულებები დისკურსში შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ ლინგვისტური ასპექტითაც. სწორედ დისკურსის ლინგვისტური ასპექტის მნიშვნელოვან მაგალითს ვხვდებით ჯაჯანიძის შოუში. გადაცემაში დათო ხუჯაძე უსვამს შეკითხვას ამავე გადაცემაში სტუმრად მყოფ ქალთა ინტერესების დამცველ გოგონას, აპირებს თუ არა ის გათხოვებას, რაზეც პასუხად იღებს „არ ვიცი“ და შემდეგ ყურადღებას ამახვილებს მის ჩაცმულობაზე: **“ასეთი ვიზუალიდან გამომდინარე, როგორც ხართ, არ გეწყინოთ, ეხლა შენ როგორ ხარ მოსული დღეს, ჩახსნილი გაქვს კაბა და თან იძახი, რომ მე გათხოვებას არ ვაპირებო“.** გოგონას მხრიდან ხდება მითითება შენობით მიმართვაზე, რასაც მოჰყვება დათო ხუჯაძისგან მობოდიშება. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დათო ხუჯაძე მიმართვას იწყებს თქვენობით და შემდეგ კი შენობითზე გადადის, ვინაიდან ასე უფრო მეტად დაამცირებდა გოგონას. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ის გოგონას ჩაცმულობაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი შეფასება გამოხატავს მოლოდინს, რომ, როცა გოგოს ჩახსნილი კაბა აცვია, მაშინ მას უნდა გათხოვება; ამ ჟესტით ის ცდილობს, ინტერესი გამოიწვიოს მამაკაცში. გათხოვება რომ არ უნდოდეს, ჩახსნილ კაბას არ ჩაიცვამდა.

10. **დამამცირებელი დისკურსი ქალის მიმართ;**

ქალის მიმართ დამამცირებელი დისკურსი გამოვლინდა სხვადასხვა გადაცემებში. ამ მხრივ საინტერესოა, 16 წლის გოგონასა და 40 წლის მანდატურის ურთიერთობის ფაქტი, რომელის განხილვასაც ეთერი გადაცემა პროფილმა დაუთმო. საინტერესოა ის კომენტარები, რომლებსაც გოგონას სკოლის მასწავლებლები აკეთებენ გოგონას მიმართ. ისინი მას მოიხსენიებენ, როგორც „ცუდი ყოფაქცევის“ გოგოს. **„გოგონა არ იყო პატიოსანი, მას სხვასთანაც ჰქონდა ურთიერთობა. ბავშვი რომ დაიბადება, დნმ-ით დაადგენენ ვისია“.** მსგავსი შეფასებებით, რომ გოგონას ბევრ მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა და, შესაბამისად, არ იციან დანამდვილებით, ვისგანაა ორსულად, ხდება გოგონას დამცირება. გარდა ამისა, მასწავლებლები მომხდარ ფაქტში გოგონას ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ მანდატური გოგონამ „შეაცდინა“ და „დაღუპა“ ის. აქვე უნდა აღინიშნოს თავად დაზარალებული, 16 წლის გოგონას კომნეტარი, რომელმაც დანამდვილებით იცის, რომ მისი შვილის მამა, მისივე სკოლის მანდატურია, ვინაიდან მას სხვა მამაკაცთან ურთიერთობა არ ჰქონია.

ქალის მიმართ დამამცირებელი დისკურსი აისახება თოქ-შოუ პროფილის ერთ-ერთ გადაცემაშიც. ახალგაზრდა გოგონა, რომელიც გადაცემის სტუმარია საუბრობს, რა რეაქცია ჰქონდა მის შეყვარებულს, როდესაც გოგონას ორსულობის შესახებ შეიტყო. გოგონას თქმით მამაკაცმა მიატოვა ის და შვილთან დაკავშირებით დნმ-ის ანალიზს ითხოვდა: „...ჩემი შვილი არ არისო.“ ამ დროს, გოგონა დარწმნუბულია, რომ შვილს სწორედ ამ მამაკაცისგან ელოდება. გადაცემის სტუმრები მამაკაცის მხრიდან გოგონას დამცირებისა და მამობის უარყოფას ხსნიან იმით, რომ მამაკაცი შესაძლოა არ იყო მზად ოჯახის შესაქმნელად და ფიქრობს, რომ გოგონა განზრახ დაფეხმძიმდა მისგან, რომ ამ მამაკაცს ცოლად შეერთო. მამაკაცისგან კი მსგავსი კომენტარებით ხდება გოგონას ერთგულებისა და ღირსების შეურაცხყოფა.

ზოგადი დასკვნა

4 სხვადასხვა გასართობი თოქ-შოუს, საერთო ჯამში 36 გადაცემის დისკურსის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ გასართობ თოქ-შოუებში სტერეოტიპული აზროვნება ჭარბობს. ანალიზის შედეგად გამჟღავნდა, რომ გენდერული სტერეოტიპების რეპროდუცირებას ახდენენ, არა მხოლოდ გადაცემის სტუმრები, არამედ თავად წამყავნებიც. საუბარში იყენებენ სექსისტურ გამონათქვამებსა და შედარებებს. ზოგ შემთხვევაში გენდერული სტერეოტიპების რეპროდუცირების წყაროს ჟურნალისტი წარმოადგენს, ზოგ შემთხვევაში კი სტუმრის მხრიდან ხდება სტერეოტიპის გაჟღერება.

არ გამართლდა ჩემი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალისტები გამიზნულად იყენებენ გენდერულ სტერეოტიპებს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჟურნალისტების მიერ სექსისტური ენის გამოყენება, თუ გენდერული სტერეოტიპის გაჟღერება არაცნობიერად ხდება.

კვლევისას გამოიკვეთა დისკურსის არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარე, არამედ ლინგვისური ასპექტების მნიშვნელობაც.

ძირითადი გამოვლენილი სტერეოტიპებია:

1. ქალებთვის გათხოვების მთავარ მოტივს, მამაკაცების მხრიდან მზრუნველობა და მატერიალური უზრუნველყოფა წარმოადგენს;
2. მამაკაცი ძლიერია, ამიტომ ოჯახში ის უნდა იყოს დომინანტი, ქალი კი მას უნდა დაემორჩილოს;
3. სამზარეულო და ბავშვის მოვლა ქალის საქმეა;
4. ქალმა შეიძლება წარმატებას დამოუკიდებლად ვერ მიაღწიოს;
5. „ნამდვილი“ ქართველი ქალის მთავარი ღირსება პატიოსნებაა;
6. თავის მოვლა ქალების საქმეა და კაცებითვის „ტეხავს“;
7. ვაჟსა და დედას შორის არსებობს განსაკუთრებული სიყვარული, რასაც ადგილი არ აქვს დედისა და გოგონას შემთხვევაში;

8. ქალებს მამაკაცებისგან განსხვავებული უნარები, თვისებები და ინტერესთა სფერო აქვთ;
9. ქალებს არა აქვთ თავისუფლება ქცევაში, მაშინ როცა მამაკაცებს შეუძლიათ გააკეთონ ის რაც უნდათ;

მედია ესქპერტის გამოკითხვის ანგარიში

ჩემი საკვლევი თემიდან გამომდინარე, მედია ექსპერტს ვთხოვე ესაუბრა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება დღეს საქართველოში ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება და რა ტიპის დარღვევები იჩენს თავს. ასევე, რა განაპირობებს გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას მედიაში.

მედია ექსპერტმა საუბარში აღნიშნა, რომ გენდერული სტერეოტიპები მხოლოდ გასართობ თოქ-შოუებში არ გვხვდება. მსგავსი პრობლემისგან არც სხვა ტიპის მედია არის დაცული, მაგრამ, ვინაიდან დღეს ყველაზე მეტი მომხმარებელი ტელევიზიას ჰყავს, სწორედ ამიტომ ყველაზე მწვავედ აქ იჩენს ეს პრობლემა თავს.

ექსპერტმა ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას განიხილა 16 წლის გოგონასა და მანდატურის საკითხი და აღნიშნა, რომ ამ თემის განხილვისას ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტიპის დარღვევებს. მისი განმარტებით, რეპორტაჟში, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებით მომზადდა, არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მსხვერპლის პირადი იდენტიფიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ თავად მსხვერპლი თანახმაა მოხდეს საზოგადოების მიერ მისი იდენტფიკაცია, ჟურნალისტმა არ უნდა ისარგებლოს ამით და უნდა იმოქმედოს ისე, როგორც ამას ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხშირად ხდება მსხვერპლის არა პირდაპირი, არამედ ირიბი იდენტფიკაცია, მაგალითად იმ შემთვევაში, თუ ჟურნალისტი ინტერვიუს მსხვერპლის მეზობელთან ან ოჯახის რომელიმე წევრთან წერს. მსგავს შემთხვევასთან დაკავშირებით მედია ექსპერტი განმარტავს, რომ თუ მეზობელი ან ნებისმიერ სხვა პირი, თავად არ არის კონკრეტული ფაქტის მოწმე, მაშინ ინტერვიუში მისი გამოჩენა არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს.

გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებასთან დაკავშირებით, მედია ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტეოროტიპებისგან და სტერეოტიპული აზროვნებისგან დღეს ჩვენი საზოგადოება არ არის თავისუფალი და, შესაბამისად, არც მედიაა. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით მამაკაცები ხშირად ადანაშაულებენ მედიას, იმაში, რომ ქალებს მისცა საშუალება ესაუბრათ თავიანთ უფლებებზე. აქედან გამომდინარე, მამაკაცებს ხშირად კომპლექსი უჩნდებათ და უფრო მეტ აგრესიას გამოხატავენ, რაც აისახება კიდეც ქალების მიმართ სექსისტურ გამონათქვამებსა თუ სტერეოტიპულ შეხედულებებში. ამ მოსაზრებას ლინდა კარლის თეორიაც განამტკიცებს, რომელიც წერს, რომ მამაკაცები ხშირად უარყოფენ ქალის გავლენასა და ძალაუფლებას, იმიტომ, რომ საფრთხე არ შეექმნას მათ ძალაუფლებას (Carli, 2001).

მედია ექსპერტს ვთხოვე შეეფასებინა გასულ წლებთან შედარებით შეიცვალა თუ არა გენდერული საკითხების გაშუქების გზები მედიაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით, გენდერული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით შეინიშნება პროგრესი, თუმცა დღევანდელი სიტუაცია არ არის იდელაური მდგომარეობა. მედია ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გენდერული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში დიდი წვლილი არასამთავრობო ორგანიზაციებს მიუძღვით.

ბოლოს, მედია ექსპერტს ვთხოვე განემარტა, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გენდერული სტერეოტიპებისგან განთავისუფლდეს მედია. ექსპერტის თქმით, მედიამ აუცილებლად უნდა გააშუქოს გენდერთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები, მაგრამ, ამავდროულად უნდა დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. მედიას და ჟურნალისტებს ბევრი მუშაობა სჭირდებათ. პირველ რიგში, მედია უნდა

განთავისუფლდეს სტერეოტიპებისგან და შემდეგ, მან უნდა იზრუნოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. ექსპერტრის თქმით, ის გაადცემები, რომლებიც რეიტინგზე მუშაობენ, სავარაუდოდ, დიდხანს ვერ განთავისუფლდებიან სტერეოტიპული აზროვნებისგან.

დასკვნა

ჩემი სამაგისტრო კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ სატელევიზიო გასართობ თოქ-შოუებში, ძალიან ხშირად ისმის გენდერული სტერეოტიპები. გამოვლენილი სტერეოტიპები, ქართულ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე მიგვითითებენ. თეორიული და ემპირიული მონაცემების შეჯამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალის როლი საზოგადოებაში განსხვავდება მამაკაცის როლისგან. განსხვავდება ასევე ქალის მოსალოდნელი ქცევა მამაკაცის ქცევისგან. მამაკაცი ქალზე უპირატესად აღიქმება და ქალი კი მასზე დაქვემდებარებულად. გადაცემების დისკურსულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალზე ძალადობა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქართულ საზოგადოებაში. ქართულ გასართობ თოქ-შოუებში ხდება არა მხოლოდ გენდერული სტერეოტიპების მუდმივი კვლავწარმოება, არამედ, ზოგადად პრობლემას წარმოადგენს ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება.

გამართლდა ჩემი ვარაუდი, იმასთან დაკავშირებით, რომ გენდერული სტერეოტიპების გაჟღერების მხრივ, გადაცემები არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ეკა ხოფერია თავის გადაცემებს თემატურად კულტურას, ხელოვნებას, გართობასა და დასვენებას უკავშირებს. მაია ასათიანი - სოციალურ პრობლემებს. გართობასა და ადამიანის განტვირთვას ემსახურება ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ. რაც შეხება გია ჯაჯანიძის შოუს, ის ცდილობს მისი თითოეული გადაცემა იყოს სკანდაური და არაორდინალური. თუმცა, ოთხივე გადაცემაში თემატურად ერთი დაიგივე გენდერული სტერეოტიპები ჟღერდა.

გამართლდა ასევე ჩემი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაზე გავლენას საზოგადოებრივი შეხედულებები ახდენს. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მედიაში გაჟღერებული სტერეოტიპები, მხოლოდ საზოგადოების შეხედულების ანარეკლია. უფრო სწორი იქნება თუ მივიჩნევთ, რომ მედიაზე გავლენას საზოგადოებასთან ერთად, ბევრი სხვა ფაქტორი ახდენს. ასეთ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად, ქართული ენა, კულტურა, ხელოვნება, პოლიტიკა, სოციალური სტატუსი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ფაქტორებიც გაჟღენთილია სტერეოტიპული წარმოდგენებით. სტერეოტიპული კულტურისა და ენის გავლენით სტერეოტიპული ხდება საზოგადოებაც და მედიაც, ვინაიდა სტერეოტიპული შეხედულებების გავრცელება იმ ენისა და კულტურის გავლენით ხორციელდება რომლესაც ჩვენ ვფლობთ. ამის მიზეზია ქართულ საზოგადოებასა თუ მედიაში გენდერული სტერეოტიპების მუდმივი რეპროდუქცია, რასაც მივყავართ იქამდე, რომ რომ დღეს საქართველოში სტერეოტიპულია როგორც საზოგადოება, ისე მედია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brander, P., Witte, L.D., Ghanea, N., Gomes, R., Keen, E., Nikitina, A., Pinkeviciute, J., (2012). *Compass Manual for human rights education with young people.* Hungary: Council of Europe Publishing.
2. Bussey, K & Bandura, A. (1999). *Social cognitive theory of gender development and differentiation.* Psychological Reviw, 106, 676-713.
3. Carli, L. L. (2001). *Gender and Social Influence.* Journal of Social Issues, 4, 725-741. მოძიებულია 21 ივნისი, 2017, http://academics.wellesley.edu/Psychology/Psych/Faculty/Carli/GenderAndSocialInfluence.pdf
4. Coltrane, S. (1998). *Gender and Families.* Oxford: AltaMira Press.
5. Eagly, A.H. & Crowley, M. (1986). *Gender and Helping Behavior: A Meta-Analytic Review of the Social Psychological Literature.* Psychological Bulletin, 3, 283-308, მოძიებულია 19 ივნისი, 2017, http://psy.haifa.ac.il/~ep/Students_Post/Projects/Project_2/2009-10/gender%20and%20helping%20behavior.pdf
6. Eagly, A. H. & Johannesen-Schmidt, M.C. (2001). *The Lidership Styles of Women and Men.* Journal of Social Issues, 4, 781-797, მოძიებულია 23 ივნისი, 2017, https://is.muni.cz/el/1421/jaro2009/PSB_516/6390561/the_leadership_styles_of_women_and_men.pdf
7. Eagly, A. H., Wood, W. & Diekman, .A. B. (2000). *Social Role Theory of Sex Differences and Similiarities: A Current Apprisal.* Eckers, T & Trautner, H. M. (Eds.), The developmental social psychology of gender. Mahwah, NJ: Erlbaum.
8. Frye, M., (1983). *The Politics of Reality: Essays in Feminist Theory.* New York: The Crossing Press.
9. Lei, X. (2006). *Sexism in Language.* Journal of Language and Linguistics. 1, 87-94, მოძიებულია 22 ივნისი,

http://webspace.buckingham.ac.uk/kbernhardt/journal/5_1/5LingLei.pdf

10. Luhmann, N. (1996) *"The Reality of the Mass Media".* Stanford: Stanford University Press.
11. Rich, A., (1980). *Compulsory Heterosexuality. Signs: Journal of Women in Culture and Society.* Chicago: The Univeristy of Chigaco Press.
12. Vogel, E. A. (2012). *"Attachement Theory and the Sexual Double Standard", Honors Projects.* მოძიებული 24 ივნისი, 2017, *http://digitalcommons.iwu.edu/psych_honproj/156*
13. Wood, J. T. (1994). *Gendered Media: The Influence of Media on View of Gender.* მოძიებულია 28 ივნისი, 2017, https://www1.udel.edu/comm245/readings/GenderedMedia.pdf
14. მსხილაძე, ქ. (2011). *გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში.* http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Genderuli_monitoringi_qartul_mediashi.pdf
15. მსხილაძე, ქ. (2012). *გენდერული სტერეოტიპები ქართლ მედიაში.* http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Gender_report_II.pdf
16. კაკაბაძე, ნ. (2012). *შემეცნებით-გასართობი თოქ-შოუები და მედია სტანდარტი.* http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Shemecnebit_gasartobi_toq_shouebi_da_media_standarti%20_1_.pdf
17. პოლიტიკაში ქალთა დაწინაურების კამპანია და პოლიტიკოსის უნარ-ჩვევები. (2006) *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.* http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9581
18. Webster, M. 1828. https://www.merriam-webster.com/
19. United Nations. *Declaration of the Elimination of Violence against Women,* (1993) http://www.un.org/documents/ga/res/48/a48r104.htm

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Anuki Tsaava

Gender stereotypes in Georgian entertaining talk shows

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Social and Cultural Studies

Thesis supervisors: *Amiran Berdzenishvili* – PhD in Philosophy,

Professor at Tbilisi State University

Lia Tsuladze – PhD in Sociology,

Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარი ბაბილოძე

ქართველი სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიები უცხოურ საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს მიღმა სოციალურ გარემოში

სამაგისტრო პროგრამა ,,კულტურისა და მედიის სოციოლოგია"

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კულტურისა და მედიის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ლია წულაძე– სოციოლოოგის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ამირან ბერძენიშვილი - სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

სამაგისტრო კვლევა პოლონეთსა და დასავლეთ გერმანიაში სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტების ადაპტაციის პროცესებსა და სტრატეგიებს ეხება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საზღვარგარეთ სწავლა განსაკუთრებით პოპულარული გახდა. საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებული უამრავი გაცვლითი პროგრამა შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს ქართველ სტუდენტებს ისწავლონ უცხოურ უნივერსიტეტებში უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასად, პირველ რიგში, ახალი გამოცდილების მისაღებად და მეორეც, უცხოური განათლება წარმატებულად დასაქმების მეტ შესაძლებლობას იძლევა საქართველოში. გაცვლითი პროგრამების გარდა სტუდენტები სხვადასხვა გზას იყენებენ იმისთვის, რომ საზღვარგარეთ სწავლა გააგრძელონ.

კვლევა განხორციელდა ორ ქვეყანაში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებთან. ეს ქვეყნებია პოლონეთი და გერმანია. ქვეყნები შეირჩა ორი კრიტერიუმით: პირველი ის, რომ ამ ქვეყნებში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობაა და მეორე, საინტერესოა, არის თუ არა განსხვავება სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიებს შორის პოსტკომუნისტურ და კომუნისტური რეჟიმის გამოცდილების არმქონე ქვეყნებში.

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტებისთვის სწავლის პირველი წელი ძალიან რთული და შრომატევადი იყო. ყველაზე დიდ ბარიერს მათთვის უცხო ენაზე დიდი რაოდენობის ლიტერატურის დამუშავება წარმოადგენდა. ამასთან ერთად, განსხვავებულ სასწავლო სისტემასთან შეგუება დიდ სტრესთან და სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ბარიერებთან ერთად კი რესპონდენტებს უცხო კულტურაში ადაპტაციის პროცესშიც ბევრი სირთულე შეხვდათ. თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ, დღეს ეს პრობლემები აღარ აწუხებთ და თავს იმდენად კომფორტულად და კარგად გრძნობენ, რომ ჯერჯერობით საქართველოში დაბრუნებას არ აპირებენ.

Annotation

The Master`s graduate research is related to adaptation process and strategies of those Georgian students who has gone to Poland and Germany for studying purposes. Recently studying abroad has become very appealing. There are many exchange programs at different universities of Georgia that give excellent opportunities to Georgian students either to study for free at foreign universities or fairly low tuitions fee. First of all, this helps gain experience and secondly it offers more possibilities for better employment in Georgia. Apart from the exchange programs students look for different ways to continue studying abroad.

This research has been carried out based on Georgian students who has studied in two countries. The countries are Poland and Germany. These counties were selected according to two criteria. The first point was the great number of Georgian students and the second one-it is interesting whether there are differences or not among students` adaptation strategies in Post-Soviet Union and independent states.

It had occurred that the first year was very challenging and laboursome for the respondents. The most difficult for them was to cope with immense information and literature in foreign language. Moreover, to become adapt to different teaching system was related to stress and difficulties. Furthermore, the students encountered barriers while getting used to the foreign culture. However, as per them they do not worry about these problems now and feel so comfortable that even do not think about returning to Georgia.

სარჩევი:

შესავალი 5

თავი I. თეორიული მიმოხილვა 10

§1.1 სასწავლო მიგრაცია - ზოგადი მიმოხილვა 10

§1.2 სოციალიზაცია და კულტურული იდენტობა 13

§1.3 აკულტურაცია და ადაპტაციის სტრატეგიები 18

თავი II. ემპირიული ნაწილი 24

§2.1 საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მიზეზები და წინასწარი

მოლოდინები 24

§2.2 სირთულეები ადაპტაციის პროცესში 26

§2.3 განსხვავება ქართულ და უცხოურ სასწავლო სისტემას შორის 28

§2.4 უცხო კულტურულ გარემოსთან შეგუების პროცესი 30

§2.5. ადაპტაციის სტრატეგიები უნივერსიტეტს მიღმა სოციალურ

გარემოში 31

§2.6. მნიშვნელოვანი ცვლილებები საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში... 33

§2.7. რჩევები საზღვარგარეთ სწავლის მსურველი სტუდენტებისთვის ... 35

დასკვნა 37

ბიბლიოგრაფია 39

დანართი 41

შესავალი

თანამედროვე სამყაროში სულ უფრო და უფრო იზრდება საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სტუდენტების რაოდენობა. ამის მიზეზებია: გლობალიზაციის შედეგად გამარტივებული კომუნიკაციები; დასავლური განათლების პოპულარობა; კარიერული წინსვლისა და ენების შესწავლის მეტი შესაძლებლობა; პიროვნული განვითარების პერსპექტივა; ახალი ინტერესები; კვალიფიკაციის ამაღლება.

სასწავლო მიგრაცია, როგორც წესი, დაბალგანვითარებული ქვეყნებიდან მაღალგანვითარებული ქვეყნებისკენ ხდება. დასაქმებისა და უკეთესი პერსპექტივის ძიებაში ახალგაზრდები ცდილობენ ჩაერთონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში და მიიღონ განათლება უცხოურ უნივერსიტეტებში, რადგან საქართველოში მიღებული განათლება არ მიაჩნიათ საკმარისად შემდგომში პერსპექტიულად დასაქმებისთვის. თუმცა უცხო ქვეყანაში სწავლის დაწყება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. უცხოურ საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს მიღმა არსებულ გარემოსთან ადაპტირება და თავის დამკვიდრება რთული პროცესია. ეს გამოწვეულია, უპირველესად, კულტურათა და განათლების სისტემის დონეთა განსხვავებულობით. სწავლების მეთოდები უცხოურ სასწავლებლებში განსხვავდება ჩვენი სასწავლებლებისგან; ენობრივი ბარიერიც ხშირად ქმნის პრობლემებს; ადაპტაციის პროცესი ახალ საცხოვრებელ ადგილთან და განათლების სისტემასთან შეიძლება თვეების განმავლობაში გაგრძელდეს. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მკაცრი სასწავლო დისციპლინა, რომელსაც ქართველი სტუდენტი მიჩვეული არაა. ასევე, ხშირად ხდება უცხო გარემოში ჩასულების სტიგმატიზაცია. ეთნიკურად მრავალფეროვან ყველა საზოგადოებაში კულტურული ჯგუფებისა და მათი ცალკეული წევრების მიმართ დგას საკითხი, თუ როგორ გაუმკლავდებიან ისინი აკულტურაციის პროცესს, რა სტრატეგიებს გამოიყენებენ სტიგმატიზაციის თავიდან ასარიდებლად და როგორ მოახერხებენ ახალ სოციალურ გარემოში ჩართვას.

სოციალიზაციასა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების სტრატეგიებთან დაკავშირებით საინტერესოა ფრანგი მეცნიერის ანდრეა კამილერის სტატია - ,,სოციალიზაცია და იდენტობის სტრატეგიები“. ავტორი გამოყოფს სოციალიზაციისა

და იდენტიფიკაციის სტრატეგიებს. ასევე, იმ მეთოდებს, რომლითაც უმცირესობები ცდილობენ, თავიდან აირიდონ სტიგმატიზაცია და მოერგონ უცხო სოციალურ გარემოს.

კამილერის მიხედვით, სოციალიზაციის პროცესი და იდენტობის სტრატეგიები ერთი და იმავე ფენომენის ორი ასპექტია. როდესაც სოციალური კონტექსტი არის სტაბილური და ინდივიდისთვის კარგად ნაცნობი, სოციალიზაცია და იდენტობა ერთმანეთს ემთხვევა. ანუ ეთნიკური ან ნაციონალური იდენტობა ყოველდღიურ ცხოვრებაში გააქტიურებული არაა. მისი შეცნობა ისეთ სიტუაციებში იჩენს თავს, როგორიც, მაგალითად, მიგრაციაა. ამ შემთხვევაში ხდება სწრაფი სოციალური ცვლილებები. ინდივიდებმა უნდა აირჩიონ ახალ კულტურასთან შეგუების სხვადასხვა გზა და მოახდინონ აკულტურაცია, რომ შეინარჩუნონ იდენტობასთან შესაბამისობა. ამ დროს ისინი ავითარებენ კოგნიტურ სტრატეგიებს, რომლებითაც ცდილობენ თავიდან აირიდონ ან მოერგონ წინააღმდეგობებს. ის გვთავაზობს სხვადასხვა სტრატეგიების ჩამონათვალს, რომელსაც ინდივიდები იყენებენ განსხვავებულ კულტურულ გარემოში და ცდილობენ მათი მეშვეობით მოახდინონ ახალ გარემოსთან ადაპტაცია. იმის გათვალისიწნებით, რომ სასწავლებლად წასული სტუდენტებიც, შესაძლებელია, დროებით მიგრანტებად განვიხილოთ, აკულტურაციის პროცესი მათთანაც აქტუალური და მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაშიც სტიგმატიზაციის პრობლემა რეალურია, რადგანაც ისინი სხვა კულტურის წარმომადგენლები არიან, მათი ქცევა და ღირებულებები განსხვავდება მიმღები კულტურის მახასიათებლებისგან.

ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი პოლონეთის ერთ-ერთი ქალაქის არასამთავრობო ორგანიზაციაში საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების მიმართულებით. ამ პერიოდში უშუალო შეხება მქონდა როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ სტუდენტებთან. მათ შორის იყვნენ საქართველოდან პოლონეთში სასწავლებლად ჩასული სტუდენტებიც. სწორედ ჩემმა მათთან მუშაობის გამოცდილებამ გადამაწყვეტინა ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება. დამაინტერესა, რა პრობლემები შეექმნათ ქართველ სტუდენტებს უცხო სასწავლო და სწავლის მიღმა არსებულ გარემოში, რა გზით დასძლიეს ეს სირთულეები და როგორ გაიარეს ადაპტაციისა და სოციალიზაციის პერიოდი ახალ კულტურულ გარემოში. გარდა ამისა, ვფიქრობ, საინტერესოა კამილერის მიერ შემოთავაზებული იდენტიფიკაციის

შენარჩუნებისა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების რომელ სტრატეგიებს იყენებენ ისინი უცხო გარემოში ადაპტაციისთვის.

კვლევის მიზანი იყო ქართველი სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიების კვლევა უცხოურ საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს მიღმა არსებულ სოციალურ გარემოში.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასმული იყო შემდეგი ამოცანები:

- რა ბარიერებს აწყდებიან ქართველი სტუდენტები უცხო აკადემიურ და აკადემიურს მიღმა არსებულ გარემოში?
- რა სტრატეგიებს იყენებენ ახალ გარემოში ადაპტაციისთვის?
- როგორ ცდილობენ სტიგმატიზაციის თავიდან არიდებას და რა წინაღობებს აწყდებიან ამ პროცესში?

კვლევის მეთოდად გამოვიყენე სიღრმისეული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. ინტერვიუ ჩავატარე 20 საზღვარგარეთ მყოფ სტუდენტთან.

საქსტატის მონაცემებით, 2015-2016 წლებში საქართველოდან სასწავლებლად წასული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით ქვეყნების პირველი ხუთეულის რანჟირება ასეთია: გერმანია, პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, აშშ. შესაბამისად, ჩემი კვლევისთვის შევარჩიე გამგზავრების სიხშირით პირველი ორი ქვეყანა - გერმანია და პოლონეთი. გარდა ამისა, საინტერესოა, არის თუ არა განსხვავება სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიებს შორის პოსტკომუნისტურ და კომუნისტური რეჟიმის გამოცდილების არმქონე ქვეყნებში, ამიტომ კვლევისთვის შევარჩიე კონკრეტულად დასავლეთ გერმანია, რომელსაც კომუნისტური რეჟიმი არ შეხებია და გამოვიკვლიე გერმანიის მხოლოდ ამ ნაწილში არსებულ უნივერსიტეტებში სასწავლებლად წასული სტუდენტები.

თითოეული ქვეყნიდან ინტერვიუ ჩავატარე 8 სტუდენტთან, რომლებიც კვლევის ჩატარების პერიოდში ამ ქვეყნებში სწავლობდნენ. რადგანაც ჩემი რესპონდენტები კვლევის მიმდინარეობისას საქართველოში არ ცხოვრობდნენ, ინტერვიუები ჩატარდა „სკაიპის“ (skype) საშუალებით.

კვლევის მიზნის გათვალისწინებით, რესპონდენტები თოვლის გუნდის პრინციპით შევარჩიე, რადგანაც შერჩევის ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც არ არსებობს კვლევისათვის საჭირო რესპონდენტთა წინასწარ განსაზღვრული სია.

რესპონდენტთა შერჩევისას დაცული იყო გენდერული ბალანსი იმისათვის, რომ დამედგინა, მსგავს წინაღობებს აწყდებიან თუ არა ქალები და მამაკაცები და არის თუ არა განსხვავება მათი ადაპტაციის სტრატეგიებს შორის.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზის გამო: საზღვარგარეთ სწავლის მსურველი ქართველი სტუდენტების რიცხვი და ქართულ შრომით ბაზარზე უცხოეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. თუმცა ნაკლებად შესწავლილია ის სირთულეები და პრობლემები, რომლებსაც სტუდენტები საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში აწყდებიან. ეს ეხება როგორც უცხო აკადემიურ, ისე აკადემიურს მიღმა არსებულ გარემოში ადაპტაციის საკითხს.

მსგავსი კვლევები ხელს შეუწყობს იმ პრობლემების შესწავლას და ანალიზს, რომლებსაც ქართველი სტუდენტები უცხოეთში სწავლის დროს აწყდებიან. სტიგმატიზაციის თავიდან არიდებისა და უცხო გარემოში ადაპტაციის სტრატეგიების შესწავლა კი დაეხმარება ამ თემაზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო სექტორებს შესაბამისი მიდგომების შემუშავებაში საზღვარგარეთ სწავლის მსურველ სტუდენტებთან მიმართებაში.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კვლევა ჩატარდა დისტანციურად, „სკაიპის“ საშუალებით. ასევე, თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებამ, შესაძლოა, ერთგვაროვანი შედეგები მოგვცეს. კვლევის შეზღუდვად ჩაითვლება ისიც, რომ რესპონდენტთა რაოდენობა შეზღუდულია დროისა და ფინანსების გამო.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო მიგრაცია, სასწავლო მიგრაცია, კულტურული შოკი, აკულტურაცია, ადაპტაციის სტრატეგიები, იდენტობა.

თავი I

თეორიული მიმოხილვა

§1.1 სასწავლო მიგრაცია - ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო მიგრაცია ესაა მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განსახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას (ANU Press - Migration and mobility, 2010, 41p.)

საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვა. მიგრაციის რამდენიმე ტიპს გამოყოფენ. მაგალითად, განხორციელების ფორმის მიხედვით არსებობს ნებაყოფლობითი და იძულებითი მიგრაციები. ასევე, დროითი განზომილების შესაბამისად - მუდმივი და დროებითი (ჩიტაშვილი მ. (რედ.), 2004, 248).

გლობალიზაციის ერაში ტრანსნაციონალიზაციის საყოველთაო ბუნებისა და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებების გავლენით, საერთაშორისო მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. თავისუფლად გადაადგილებისა და მიგრაციის უფლება ადამიანის უფლებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და, რა თქმა უნდა, დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებას წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით, საზღვარგარეთ კონკრეტული მიზნით წასვლა გააქტიურებული გლობალიზაციის პირობებში მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა.

სასწავლო მიგრაციაც, რომელიც სოციალურ-კულტურული მიზეზებით გამოწვეულ მიგრაციათა რიცხვში შედის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც წარმატებული კარიერის მოწყობასა და სრულყოფილ განათლებაზე არიან ორიენტირებული.

სასწავლო მიგრაცია შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: ეს არის იმ სტუდენტთა გადაადგილება სამშობლოდან, რომლებიც გარკვეული დროით სწავლობენ საზღვარგარეთ, უცხოური განათლების მიღების მიზნით (Lyon. E.P. 2017 - The Migration of Students, 20).

მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი:

- ქართული საგანმანათლებლო სისტემისადმი უკმაყოფილება;
- უკეთესი განათლების მიღების სურვილი;
- ქართულ შრომით ბაზარზე უცხოური განათლებისათვის უპირატესობის მინიჭება;
- უკეთესი პერსპექტივის ძიება;
- კარიერული წინსვლის მეტი შანსი;
- გამოცდილების მიღებისა და პიროვნული განვითარების მეტი პერსპექტივა და ა.შ.

გლობალიზაციის პერიოდში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია დრამატულად იზრდება. თავისი ეკონომიკური სარგებლით ის ბაზარზე ორიენტირებული საქმიანობა გახდა. საერთაშორისო განათლების პოპულარულობის ზრდის პირობებში, სულ უფრო და უფრო მეტი სტუდენტი მიისწრაფვის, მიიღოს უმაღლესი განათლება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მიგრაციას. ბევრი განვითარებადი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის შესაბამის საკმარის საუნივერსიტეტო ადგილებს და შედეგად სტუდენტს აღარ რჩება არჩევანი, გარდა იმისა, რომ წავიდეს სასწავლებლად საზღვარგარეთ. ამასთან, გავრცელებულია მოლოდინი, რომ უცხოური განათლება ჩვენნაირ ქვეყნებში ზრდის პროფესიულ შესაძლებლობლებს პერსპექტიული დასაქმებისა თუ კერძო ბიზნესისთვის. როგორც წესი, საერთაშორისო განათლების მიღების მსურველი სტუდენტები სასწავლებლად

მიდიან უფრო განვითარებული საგანმანათლებლო სისტემის მქონე ქვეყნებში, ვიდრე მათ ქვეყანაშია.

უმაღლესი განათლება გადაიქცა უდიდეს გლობალურ საექსპორტო პროდუქტად. სავიზო და საემიგრაციო პოლიტიკაში შეტანილმა ცვლილებებმა სტუდენტებს მისცა სტიმული უცხო ქვეყნებში მოგზაურობისთვის. სტიპენდიები კი სთავაზობს მათ მასპინძელ ქვეყანაში ცხოვრების შესაძლებლობას. სწორედ მიგრაციის შესაძლებლობებია სტუდენტთა მიგრაციის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

2009 წლის ანგარიშის მიხედვით, 2.5 მილიონ სტუდენტზე მეტი მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ სწავლობდა. იუნესკოს პროგნოზის მიხედვით, 2020 წლამდე საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი 7 მილიონამდე გაიზრდება. საერთაშორისო სტუდენტებისთვის სასურველი ქვეყნებია შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, კანადა და ავსტრალია. საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი გაორმაგდა და 2000-დან 2007 წლების პერიოდში 2 მილიონს მიაღწია. საერთაშორისო სტუდენტთა მკვეთრი პროცენტული ზრდა მოხდა ახალ ზელანდიაში, კორეაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიასა და ირლანდიაში (გამოყენებული ბმული 2).

ბოლო წლებში აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმაც დაწყეს საერთაშორისო სტუდენტების აქტიური მიზიდვა. ეს რეგიონები ბაზარზე შემოვიდნენ ამბიციით, რომ გახდნენ რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრები რამდენიმე ასეული ათასი საერთაშორისო სტუდენტის მიზიდვის გზით.

რაც შეეხება საქართველოს, საქსტატის მონაცემებით, 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისისთვის საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად 434 სტუდენტი წავიდა. მათ შორის: 291 - სახელმწიფო სასწავლებლებიდან, ხოლო 143 - კერძო უნივერსიტეტებიდან.

საქსტატის ინფორმაციით, ყველაზე მეტი, 81 ქართველი სტუდენტი, გერმანიაში სწავლობს, ხოლო 33 - პოლონეთში. საქართველოდან სასწავლებლად წასულები, ასევე,

არიან: ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში და ა.შ. (გამოყენებული ბმული 1).

ქართველი სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გერმანიისა და პოლონეთის გაცვლითი პროგრამებით. ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი ქართველი სტუდენტების რაოდენობის მიხედვით სწორედ ამ ქვეყნებს აქვთ. ჩემი კვლევის მიზანი ამ ორ ქვეყანაში სასწავლებლად წასული სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიების შესწავლა იყო. თუ როგორ მოახერხეს უცხო სასწავლო და სწავლის მიღმა სოციალურ გარემოში სოციალიზაცია და ადაპტაცია ახალ კულტურულ გარემოსთან. როცა საქმე საერთაშორისო სასწავლო მიგრაციას ეხება, სოციალიზაციისა და იდენტობის საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

§1.2 სოციალიზაცია და კულტურული იდენტობა

კულტურა ერთერთი ფართოდ გავრცელებული სიტყვაა როგორც ყოფით მეტყველებაში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჰოფსტედეს მიერ მოცემულია კულტურის ერთერთი პოპულარული განმარტება, რომლის თანახმადაც, „კულტურა არის აზროვნების კოლექტიური პროგრამირება, რომლითაც ერთი ჯგუფის წევრები მეორე ჯგუფის წევრებისგან გამოირჩევიან“ (Hofstede G. 1984). ძირითადად, ინდივიდები მოქმედებენ ისე, რომ მათი ქცევა პასუხობდეს და შეესაბამებოდეს კულტურულ მოლოდინებსა და გავლენებს (Berry, 1997).

იმისათვის, რომ ადამიანი კულტურის ნაწილად ჩაითვალოს, ის უნდა ითავისებდეს ამ კულტურისთვის მისაღებ ნორმებსა და სტანდარტებს. ამ კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს კი ინდივიდები სოციალიზაციის პროცესში ითვისებენ.

სოციალიზაცია ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბების, კონკრეტული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებების, ნორმებისა და ცოდნის შეთვისების პროცესია. სოციალიზაციას სხვაგვარად ინკულტურაციას უწოდებენ.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარის მიხედვით, ის აღნიშნავს ინდივიდის მიერ სოციალური ნორმების, კანონების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების ათვისების პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდი შეიმუშავებს საზოგადოებაში ცხოვრებისა და სოციალური ნორმების დაცვის ჩვევებს.

სოციალიზაცია აქტიური პროცესია, რომლის დროსაც ინდივიდი საზოგადოების გარკვეულ ნორმებს ირჩევს, ხოლო დანარჩენს უკუაგდებს. ის ორიენტირებულია ახალ ღირებულებებზე, თუმცა არსებულ ღირებულებებს კრიტიკულად ითვისებს. ამიტომ სოციალიზაციისას, კულტურული მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად, ინოვაციაც გვხვდება. პარსონსმა სოციალიზაცია განმარტა, როგორც ინდივიდის სოციალურ რეალობაში ინტეგრაცია, ანუ კულტურულ ღირებულებათა ინტერნალიზაცია. მიდთან, როლების თეორიაში, პიროვნების ფორმირება, ანუ სოციალიზაცია სხვათა როლების ათვისების შედეგად ხდება. რ. ბერნსი მიიჩნევს, რომ ,,მე-კონცეფციის“ შედეგად სოციალიზაციისას ინდივიდი იმუშავებს არა მხოლოდ გარე სამყაროსადმი, არამედ, უპირველესად, საკუთარი თავისადმი მიმართებას. ამ პროცესს კი ღირებულებებზე ორიენტირება განსაზღვრავს (ჩიტაშვილი მ. (რედ.), 2004, 278).

ინდივიდები კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს ითავისებენ სოციალიზაციის პროცესის დახმარებით. სოციალიზაცია ეხმარება ადამიანებს საერთო სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბებაში (Camilleri C, Malewska-Peyere H, 1997).

ყოველი საზოგადოება განსაზღვრულ პიროვნულ თვისებებს სხვებზე მეტად აფასებს. ამ ღირებულებებს ბავშვები სოციალიზაციის პროცესში ითვისებენ. სოციალიზაციის მეთოდები კი დამოკიდებულია იმაზე, კონკრეტულად პიროვნების რომელი თვისებები იმსახურებენ მაღალ შეფასებას ამა თუ იმ კულტურაში. ამით მარტივდება ერთ სისტემაში არსებობა, რადგან წინასწარ გვიყალიბდება მოლოდინები კულტურის წევრის ქცევებსა და ღირებულებებთან დაკავშირებით. სხვადასხვა კულტურაში ეს მოლოდინები განსხვავებულია. მაგალითად, შეგვიძლია განვიხილოთ ტრადიციული საზოგადოება, სადაც სოციალიზაციის პროცესი შეძლებისდაგვარად ბოლომდე არის კონტროლირებული კულტურის მიერ, ადამიანის ნებისმიერი თავისუფალი ქმედება კი შეზღუდული და განპირობებული არის ღირებულებებით. ტრადიციულ

საზოგადოებაში კულტურულ მრავალფეროვნებას და ვარიაციებს მოწონებით არ ხვდებიან (Camilleri C, Malewska-Peyere H, 1997, pp. 43-47). ეს კულტურული ღირებულებები სოციალური ნორმების საფუძველში დევს. კულტურის წევრთა მოქმედებებზე, შეხედულებებზე და მისწრაფებებზე გავლენას მოცემული საზოგადოების კულტურული იდეალები ახდენს.

თუმცა ინდუსტრიულ საზოგადოებებში ადამიანი ბოლომდე არაა დამოკიდებული კულტურასა და საზოგადოების მოლოდინებზე. მას შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ღირებულებასთან დაკავშირებით და შეავსოს ის ახალი, მისთვის უფრო მისაღები ღირებულებით. ინდივიდებს აქვთ საშუალება, შეეწინააღმდეგონ კულტურულ შეზღუდვებს და მოახდინონ თავიანთი სურვილების რეალიზება, ეს იქნება თავიანთ კულტურებში თუ მათგან განსხვავებულ ახალ კულტურულ გარემოში. ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე ინდივიდუალური საჭიროებები და შეხედულებები დგას და არა კოლექტიური რწმენები და ნორმები. ასეთ საზოგადოებებში კულტურული და ღირებულებათა მრავალფეროვნება დასაშვებია, რაც შესაძლებლობას იძლევა განსხვავებული კულტურული ღირებულებების მქონე ჯგუფების თანაარსებობისთვის (1997, pp. 54-56).

სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა კულტურა ერთმანეთისგან განსხვავებულია, ინდივიდის გადასვლა ერთი კულტურიდან მეორეში ადაპტაციის მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. იმ მოვლენის აღსანიშნავად, როცა ერთი კულტურის მატარებელი ინდივიდები ცხოვრებას იწყებენ ახალ განსხვავებულ კულტურულ გარემოში, შემოტანილია ცნება აკულტურაცია.

აკულტურაცია წარმოადგენს სხვადასხვა კულტურის ურთიერთზეგავლენის, ერთდროულად, პროცესსაც და შედეგსაც, რომლის დროსაც ერთი კულტურის (რეციპიენტი კულტურა) ყველა წარმომადგენელს ან მის გარკვეულ ნაწილს გადმოაქვს სხვა კულტურის (დონორი კულტურა) ნორმები, ფასეულობები და ტრადიციები (М.А. Василика 2003 - Основы Теории Коммуникации).

რედფილდის, ლინტონისა და ჰერსკოვიჩის განმარტების თანახმად, „აკულტურაცია არის სხვადასხვა კულტურის მატარებელ ინდივიდთა ჯგუფების განგრძობითი

კონტაქტი, რომლის შედეგადაც ხდება ერთი ან ორივე ჯგუფის კულტურული მოდელების ცვლილება“ (1936, გვ. 149).

აკულტურაციის დროს პირველადი კულტურებიდან რომელიმე ან ყველა შეიძლება შეიცვალოს, თუმცა ჯგუფები მაინც ერთმანეთისგან განსხვავებულნი რჩებიან.

ინდივიდი გადის რესოციალიზაციისა და აკულტურაციის პროცესებს, ითვისებს ახალ ნორმებსა და ღირებულებებს. ეს პროცესები, ხშირ შემთხვევაში, უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული და ერთერთი მთავარი იდენტობის საკითხია.

ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდ როლს კულტურა, ოჯახი, საზოგადოება და ამ საზოგადოებაში გაბატონებული მოლოდინები ასრულებს. იდენტობის ფორმირება არის იმ ნორმებისა და ღირებულებების ათვისება, რაც ჩვენი კულტურისთვისაა მისაღები.

კამილერის მიხედვით, იდენტობა არის ადამიანის ერთიანობა სივრცესა და დროში, ახალი გამოცდილებების, ღირებულებებისა და ნორმების ერთიანობა. ერთიანობაში იგი გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების კავშირს, არამედ ღირებულებათა სისტემის შეთანხმებას. ამას კამილერი ,,მნიშვნელობათა ერთიანობას“ უწოდებს. იდენტობის ჩამოყალიბებისას ზოგჯერ პრაგმატული საჭიროებები ონტოლოგიურ საჭიროებებს უპირისპირდება. ონტოლოგიური საჭიროებები საკუთარ თავთან, შინაგან "მე"-სთან ჰარმონიაში ყოფნას გულისხმობს (გვ. 44).

კამილერმა თავისი კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა 2 სახის სტრატეგია: ონტოლოგიური და პრაგმატული. ონტოლოგიური სტრატეგია გულისხმობს კულტურაში ყოფნის დროს საკუთარი კულტურის ერთგულებას, ხოლო პრაგმატული - დომინანტურ კულტურასთან შეგუებას და მისი ღირებეულებების გარკვეულ გაზიარებას. გარდა ამისა, სტრატეგიები შეიძლება გამოიყენონ 2 დონეზე: მარტივ (ირჩევენ ან ონტოლოგიურს ან პრაგმატულს) და რთულ (რაციონალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით ახდენენ ონტოლოგური და პრაგმატული სტრატეგიების სინთეზს) (1996, pp. 54-56).

ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა და იმ ნორმებისა და ღირებულებების ათვისება, რომელსაც მას თავისი კულტურა სთავაზობს. სწორედ ამით განისაზღვრება მისი იდენტობა. ინდივიდს ჯგუფური მიკუთვნებულობის გზით მიეწერება გარკვეული როლები და სტატუსები საზოგადოების მხრიდან. ამ პროცესში ყალიბდება ,,ჩვენ-ისინი" დიქოტომიაც (1997, pp. 51-53).

ამასთან, ინდივიდი შეიძლება მიეკუთვნებოდეს რამდენიმე ჯგუფს და იზიარებდეს სხვადასხვა ღირებულებას. ტრადიციულ საზოგადოებაში სოციალური სტრუქტურაცია მყარია, მაგრამ თანამედროვეში მუდმივად ცვალებადია, რადგან ადამიანებს არჩევანის თავისუფლება ეძლევათ. სხვაგვარად, თანამედროვე სამყაროში აქტუალურია მრავალგვარი იდენტობის ქონა. ინდივიდების ქცევები და შეხედულებები სიტუაციისა და გარემოს შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს. ეს მოქნილობა მათ საშუალებას აძლევთ, უფრო მარტივად მოახდინონ ადაპტაცია სხვადასხვა გარემოში. თუმცა ნებისმიერი ინდივიდის შემთხვევაში, ჯგუფური მიკუთვნებულობა მაინც მთავარია და უცხო კულტურაში აღმოჩენა აყალიბებს ხოლმე ნეგატიურ და პოზიტიურ იდენტობებს. ჯგუფური მიკუთვნებულობის მიხედვით, უცხო კულტურულ გარემოში მოხვედრისას ინდივიდს ხშირად მიეწერება ხოლმე გარკვეული სტატუსები, მოლოდინები და სტერეოტიპები, რის საფუძველზეც ხდება მისი ნეგატიური იდენტობის ჩამოყალიბება და მისი სტიგმატიზაცია, რაც მთელი რიგი ფსიქოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზი ხდება (1997, pp.56-57). ინდივიდი გარიყულად გრძნობს თავს მიმღები საზოგადოებისაგან და რთულდება ადაპტაციის პროცესი.

უმეტესად მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან მიგრანტები, რომლებსაც ახალ კულტურულ გარემოსთან შეგუება უწევთ. ძალიან ხშირად კი ეს ხდება მიმღები კულტურის შესახებ ინფორმაციის სრული არარსებობის ან ნაკლებობის ფონზე, რაც, რა თქმა უნდა, დამატებით პრობლემებს წარმოშობს. ქართველი სტუდენტებიც, რომლებსაც ადაპტაცია უწევთ როგორც სასწავლო, ისე არაფორმალურ გარემოში, ხშირად დგანან მსგავსი პრობლემის წინაშე. მათ უწევთ შეეგუონ განსხვავებულ საგანმანათლებლო სისტემას, რომელშიც სწავლისადმი განსხვავებული მიდგომებია დანერგილი. სხვადასხვა გარემოში, განსხვავებულ სიტუაციებში იდენტობის შენარჩუნებაზე ყოველდღიური ზრუნვა სჭირდებათ, რაც მრავალ სირთულესთანაა

დაკავშირებული. ეს სირთულეები ჩნდება აკულტურაციისა და ადაპტაციის პროცესში. თითოეული ადამიანი მათ განსხვავებულად უმკლავდება.

§1.3 აკულტურაცია და ადაპტაციის სტრატეგიები

საზოგადოების ყველა წევრი დაბადებისთანავე იწყებს იმ კულტურული ნორმებისა და ღირებულებებისა ათვისებას, რაც მის კულტურაში დომინანტია. შესაბამისად, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის გათვალისწინებთ, რომ განსხვავებულია მათი კულტურული კონტექსტიც.

კულტურის კვლევისა და მისი ტიპის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ორი სახის გარემოება:

1. ჩვენი კულტურისაგან განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან კავშირი თანამედროვე ცნობიერებისა და ცხოვრების განუყოფელი ფუნქციაა;

2. კულტურა, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, არის ის, რის გამოც შენ უცხოდ იქცევი, როგორც კი შენს სახლს დატოვებ... როდესაც შენ საკუთარ ჯგუფში იმყოფები, მათთან კი საერთო კულტურა გაქვს, არ გიხდება ფიქრი საკუთარ აზრებსა და ქცევაზე. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ შენც და ისინიც ერთნაირად ხედავთ სამყაროს. შესაბამისად, იცით, ერთმანეთისაგან რას შეიძლება მოელოდეთ. თუმცა უცხო საზოგადოებაში უსუსურობისა და დეზორიენტირებულობის გრძნობა გეუფლება (ПодРед. Василика М.А, 2003).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იბადება კითხვები - თუ კულტურას ამხელა გავლენა აქვს ინდივიდის სოციალიზაციის პროცესსა და ქცევაზე, რა ხდება მაშინ, როცა მას უცხო კულტურულ გარემოში უწევს გადასვლა? რა ცვლილებებს განიცდის ინდივიდი ამ პროცესში და ადაპტაციის რა სტრატეგიებს მიმართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა? რა ხდება მაშინ, როცა ინდივიდისთვის დამახასიათებელი კულტურული ჩვევები და ნორმები წინააღმდეგობაში მოდის ახალი კულტურული გარემოსთვის დამახასიათებელ ნორმებთან?

იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდისთვის მისაღები ღირებულებები და ნორმები წინააღმდეგობაში მოდის ახალი კულტურული გარემოს ღირებულებებთან და ნორმებთან, ადგილი აქვს ე.წ. ,,კულტურულ კონფლიქტს". ძირითადად, ინდივიდები ცდილობენ თავიდან აირიდონ ეს კონფლიქტი და მიმართავენ ადაპტაციის სხვადასხვა გზას, სტრატეგიას.

ადაპტაცია კომპლექსური ფენომენია და გულისხმობს, რომ მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ინდივიდს უვითარდება კულტურული და სოციალური უნარები, რომლებიც შეესაბამება იმ კულტურას, რომელშიც ინდივიდი ადაპტაციას ცდილობს. ასევე მას უყალიბდება ახალი კულტურის ღირებულებების, ნორმების და რწმენების მიმართ მგრძნობელობა და უვითარდება მასპინძელ კულტურასთან ეფექტიანი ინტერაქციისთვის შესაბამისი კომუნიკაციური უნარები (Castro, 2003). ლაფრომბუასი, კოლმანი და გერტონი მიიჩნევენ, რომ სოციალურ და კულტურულ გარემოსთან კარგად შეგუებულ ინდივიდს ახალ კულტურაში აქტიური სოციალური კავშირების დამყარება და წარმატებით ფუნქციონირება შეუძლია (LaFromboise, Coleman, & Gerton, 1993).

ბერის მიხედვით, მრავალეროვან საზოგადოებებში ბევრი კულტურული ჯგუფი გვხვდება და მათი აკულტურაციის პროცესში განსხვავება სამი ფაქტორითაა გამოწვეული: ნებაყოფლობით, მობილობითა და მუდმივობით (Berry, 1997, გვ.7-8). მაგალითად, ემიგრანტები ნებაყოფლობით გადადიან ახალ კულტურულ გარემოში. ლტოლვილები, დევნილები იძულებით ერთვებიან აკულტურაციის პროცესში. მიგრანტების ნაწილი, მაგალითად, სტუდენტები, დროებით გადადიან ახალ კულტურულ გარემოში და ა.შ. ამის გათვალისწინებით, სხვადასხვა მიზეზისა და გარემოების მიხედვით განსხვავებულია აკულტურაციისა და ადაპტაციის სტრატეგიები, რომლებსაც ინდივიდი ახალ კულტურულ გარემოში მოხვედრისას მიმართავს.

ბერი (1997) გამოყოფს აკულტურაციის სტრატეგიების ორ მთავარ მიმართულებას:

- საკუთარი კულტურის შენარჩუნება;

- ახალ კულტურაში ჩართულობა, კონტაქტი ანუ რამდენად ორიენტირებულია ინდივიდი, ჩაერთოს და ინტეგრირდეს ახალ კულტურაში.

ამ ორი მიმართულების მიხედვით ბერიმ გამოყო აკულტურაციის ოთხი სტრატეგია:

- ასიმილაცია-აკულტურაცია - რომლის დროსაც ადამიანი მთლიანად იღებს სხვა კულტურის ნორმებსა და ფასეულობებს, ამასთან, უარს ამბობს საკუთარი კულტურის ნორმებსა და ფასეულობებზე.
- სეპარაცია - საკუთარ კულტურასთან იდენტიფიკაციის შენარჩუნების გზით უცხო კულტურის უარყოფა. ამ შემთხვევაში, არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლები ამჯობინებენ მეტ-ნაკლები დოზით იზოლაციას დომინანტური კულტურებისგან. თუკი დომინანტური კულტურის წარმომადგენლები ამგვარ იზოლაციას მოითხოვენ, ამ პროცესს სეგრეგაცია ეწოდება.
- მარგინალიზაცია - ეს არის ერთდროულად საკუთარ კულტურასთან იდენტობის დაკარგვა და უმრავლესობის კულტურის იდენტობის არარსებობა. ასეთი შემთხვევა ხდება მაშინ, როცა შესაძლებელი არ არის საკუთარი კულტურული იდენტობის მხარდაჭერა და, ამასთან, ადგილი აქვს სხვა იდენტობის მიღებისკენ სწრაფვის სურვილის არქონას.
- ინტეგრაცია - იდენტიფიკაცია როგორც ძველ, ასევე, ახალ კულტურასთან (1997, გვ. 9-12).

კულტურულ ცვლილებასთან შეგუებისთვის ინტეგრაცია საუკეთესო გზადაა მიჩნეული. კანადური მოსახლეობის შესწავლის შედეგად, მკვლევარებმა ბერიმ და კიმმა აღმოაჩინეს, რომ ინტეგრაცია ფსიქოლოგიური მდგრადობისა და აკულტურაციისგან გამოწვეული ნაკლები სტრესის მაჩვენებელი იყო. მაგრამ ინტეგრაციისთვის გარკვეული პირობებია საჭირო: პირველ რიგში, ინდივიდს უნდა ჰქონდეს საკმარისი უნარები ახალი ენისა და ახალი კულტურის შესასწავლად, რათა სრულიად ჩაერთოს ახალი საზოგადოების აქტივობებში; გარდა ამისა, პირველადი

კულტურის ღირებულებები და ფასეულობები არ უნდა მოდიოდნენ დიდ წინააღმდეგობაში დომინანტურ კულტურასთან; ასევე, ახალი საზოგადოება უნდა იყოს ღია/გახსნილი ახალი წევრებისთვის და ადგილი არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციას (Camilleri C. and Malewska-Peyre, 1996, Socialization and Identity Strategies (გვ. 43-64)).

ბერის მიერ ჩამოყალიბებული ეს კლასიფიკაცია ემყარება იმ დაშვებას, რომ არადომინანტური კულტურის წევრებს აქვთ უფლება, თავისი სურვილისამებრ აირჩიონ, რომელ სტრატეგიას გამოიყენებენ უცხო კულტურაში ყოფნისას.

ჩემი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხიც სწორედ ქართველი სტუდენტების ადაპტაციის სტრატეგიების კვლევაა. საინტერესოა, რამდენად შეიცვალა ეს სტრატეგიები დროთა განმავლობაში; რა განსხვავებაა ახალჩასულ და უკვე გამოცდილ სტუდენტთა ადაპტაციის სტრატეგიებს შორის; როგორ მიმდინარეობდა მათი აკულტურაციის პროცესი და რა სირთულეები შეხვდათ მათ ამ საკითხთან დაკავშირებით.

აკულტურაცია შეიძლება მრავალმა ფაქტორმა გამოიწვიოს და შესაძლებელია სხვადასხვა ინდივიდის მიერ გამოყენებულ იქნას სხვასხვა სტრატეგია, მაგრამ ერთი რამ ყველასთვის საერთოა - ადაპტაციის პროცესი, რომლის გავლაც არადომინანტური ჯგუფის ნებისმიერ წევრს უწევს.

ბერის მიხედვით, ადაპტაცია განიმარტება როგორც ცვლილებები, რომლებსაც ინდივიდები ან ჯგუფები გარემოს მოთხოვნილებების შესაბამისად განიცდიან (1997, გვ. 13-14). ადაპტაცია შეიძლება იყოს მყისიერი ან გრძელვადიანი. აკულტურაციის პროცესში მყისიერი ცვლილებები ზოგჯერ შეიძლება იყოს ნეგატიური, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ინდივიდთა უმრავლესობისთვის პოზიტიურ ადაპტაციას ეყრება საფუძველი (Beiseretal, 1988).

მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ადაპტაციამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. ხშირად ჩნდება მზარდი შესაბამისობა აკულტურაციის პროცესში მყოფ ინდივიდსა და ახალ კულტურულ გარემოს შორის (მაგალითად, როცა ადგილი აქვს ასიმილაციის ან ინტეგრაციის სტრატეგიებს).+ ზოგჯერ კი ეს შესაბამისობა ანუ

აკულტურაციის პოზიტიური შედეგები ვერ მიიღწევა (მაგალითად, სეპარაცია/სეგრეგაციისა და მარგინალიზაციის დროს).

მიგრანტთა მოტივაცია, შეეწყონ ადგილობრივ კულტურას, განსხვავებულია და დამოკიდებულია მათ მიზნებზე, ეთნიკურობაზე, ახალ კულტურაში გადასვლის მიზეზებსა და ინდივიდუალურ პრობლემებზე. შესაბამისად, განსხვავებულია მათი ადაპტაციის სტრატეგიებიც.

კამილერმა (1997) გამოყო იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების მარტივი და კომპლექსური სტრატეგიები. მარტივი სტრატეგიის დროს ინდივიდი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებიდან ირჩევს ერთერთს - ან ბოლომდე იცავს თავის ღირებულებებსა და ნორმებს და გამოეყოფა ადგილობრივ კულტურას ან პირიქით, მთლიანად ახდენს ასიმილაციას ახალ კულტურასთან. კომპლექსური სტრატეგიის დროს კი ხშირად ხდება ღირებულებების შერწყმა და ახდენს ნაწილობრივ ორივე კულტურის ელემენტების შეთავსებას (1997, გვ. 58).

იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების მარტივი და კომპლექსური სტრატეგიების გარდა, კამილერმა და მალევსკა-პიერიმ ჩამოაყალიბეს სტიგმატიზაციის თავიდან არიდების ინდივიდუალური და კოლექტიური სტრატეგიები. მაგალითად, ინდივიდუალურ დონეზე ინდივიდს შეუძლია გამოიყენოს ასიმილაციის, ინტეგრაციის ან გამოყოფის სტრატეგია. ინდივიდი ან იღებს და ითვისებს ახალი კულტურის ღირებულებებს და ამით იმ საზოგადოების ნაწილი ხდება, ან პირიქით, მისი დამოკიდებულება ახალი კულტურისადმი შეიძლება იყოს მკვეთრად ნეგატიური და დაუპირისპირდნენ უცხო კულტურულ გარემოს (1997, გვ. 59-64).

თუმცა მიგრანტთა ნაწილი ცდილობს, საკუთარი კულტურის ღირებულებები შეუთავსონ მიმღები კულტურის ელემენტებს, ამით გაიადვილონ ახალ კულტურულ გარემოში ადაპტაცია და, ამასთან ერთად, იდენტობა შეინარჩუნონ.

ჯგუფურ დონეზე ადაპტაციასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში. საზღვარგარეთ წასული ერთი ეროვნების ადამიანები ხშირად ცდილობენ, დაამყარონ მჭიდრო კავშირი ერთმანეთთან. ერთად მოძებნონ ის სტრატეგიები და გზები, რომლითაც გაიუმჯობესებენ უცხო კულტურულ გარემოში

ცხოვრებას. მათ შეიძლება გადაწყვიტონ თავიანთი ღირებულებებისადმი ბოლომდე ერთგულება და გაემიჯნონ მიმღებ კულტურას ან, პირიქით, ერთობლივად დასახონ გზები, თუ როგორ უნდა მოხდეს ორი კულტურის ელემენტების შეთავსება (1997, გვ.59-64).

ჩემი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადაპტაციის პროცესის განხილვა როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე, რადგანაც საინტერესოა, როგორ ახდენენ ადაპტაციას ქართველი სტუდენტები, როგორც ტრადიციული, კოლექტივისტური საზოგადოების წევრები, ევროპის ინდივიდუალისტურ კულტურებში.

თავი II

ემპირიული ნაწილი

ჩემი ყველა რესპონდენტი კვლევის ჩატარების პერიოდში დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი იყო. რესპონდენტების ნაწილისთვის ეს იყო საზღვარგარეთ სწავლის პირველი სემესტრი, ნაწილისთვის კი მეორე ან მესამე წელი. იყვნენ რესპონდენტები, რომლებიც უკვე 5-6 წელია ამ ქვეყნებში ცხოვრობენ და კიდევ აპირებენ სწავლის გაგრძელებას. მაგალითად, სამედიცინო კურსის სტუდენტი დასავლეთ გერმანიის ერთერთ უნივერსიტეტში.

რესპონდენტების ასაკი 21-29 წლამდე მერყეობდა. ისინი სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები იყვნენ. დისტანციის გამო ინტერვიუები ჩატარდა „სკაიპის“ საშუალებით და თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა 40-60 წუთი იყო. სულ 16 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუს გზამკვლევი იხილეთ დანართ 1-ში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავ.

§2.1 საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მიზეზები და წინასწარი მოლოდინები

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი კვლევის ჩატარებისას იყო, თუ რატომ ირჩევენ ქართველი სტუდენტები უცხოურ უნივერსიტეტებს სწავლის გასაგრძელებლად და რა წინასწარი მოლოდინებით მიდიან ისინი საზღვარგარეთ სასწავლებლად. ჩემი კვლევის შემთხვევაში საუბარია კონკრეტულად ორ ქვეყანაზე - პოლონეთსა და გერმანიაზე, რომლებიც საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით მოწინავე პოზიციებზეა.

როგორც რესპონდენტების გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა მოულოდნელად გადაწყვიტეს საქართველოში სამსახურის პოვნის რამდენიმე უშედეგო მცდელობების შემდეგ. როგორც ამბობენ, იმდენი

იმედგაცრუება შეხვდათ ამ პროცესში, რომ სრულიად დაკარგეს კარგი სამსახურის დაწყების იმედი. ერთადერთი გამოსავალი კი უცხოური განათლების მიღებაში დაინახეს, რაც ენის ცოდნასაც განუვითარებდათ და მეტ გამოცდილებასაც მისცემდა მათ: ,,უფასოზე ვისწავლე ბაკალავრიატზე. სწავლის დასრულების შემდეგაც კი ვერ დავსაქმდი. მერე მაგისტრატურაზე ჩავაბარე, ისევ უფასოზე...ერთი წელი ვისწავლე და რომ გადამეწურა სამსახურის პოვნის იმედი, გადავწყვიტე საზღვარგარეთ სწავლაზე დამეწყო ფიქრი..." - თათული 26 წლის, პოლონეთი.

რესპონდენტების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ საზღვარგარეთ სწავლა არის შემდგომში წარმატებით დასაქმებისა და კარიერული ზრდის გარანტი. მათი აზრით, საქართველოში დასაქმება იმათთვის, ვისაც უცხოური განათლება აქვს, გაცილებით ადვილია, ვიდრე დანარჩენებისთვის. ამიტომ საქართველოში რამდენიმე სემესტრის დახურვის შემდეგ მიიღეს წასვლის გადაწყვეტილება. ზოგი რამდენიმე სემესტრით, ზოგიერთი კი უკვე 2 წელზე მეტია იქ სწავლობს.

როგორც აღმოჩნდა, ქვეყნისა და უნივერსიტის არჩევა სხვადასხვანაირად მოხდა. რამდენიმე რესპონდენტმა სასწავლებლად წასვლა საქართველოში არსებული სპეციალური სააგენტოების საშუალებით მოახერხა, სადაც ხდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების, ფულადი შესაძლებლობებისა და ინგლისური ენის ცოდნის დონის მიხედვით მათთვის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების შეთავაზება:

,,გაცილებით იაფია აქ სწავლაც და ცხოვრებაც, უნივერსიტეტი ავარჩიე სპეციალური სააგენტოს საშუალებით და ნაცნობების დახმარებით. მიდიხარ, ეუბნები შენს მონაცემებს, როგორი ქულები გაქვს უნივერსიტეტში, ინგლისურის სერთიფიკატი თუ გაქვს და რა ფასიც გაწყობს, რა თქმა უნდა, იმის მიხედვით გირჩევენ" - კოტე, 25 წლის, პოლონეთი.

კიდევ ერთი საშუალება, რომელიც წასასვლელად გამოიყენა რამდენიმე რესპონდენტმა არის ე.წ. ოპაიერის ანუ ძიძის პროგრამა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები საწყის ეტაპზე ცდილობენ გაიუმჯობესონ გერმანული ენის ცოდნა. ერთი წლის შემდეგ კი უკვე უკეთ მომზადებულები იწყებენ სწავლას უნივერსიტეტებში. როგორც ერთერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

,,ამერიკაში სწავლაზე ვოცნებობდი, მაგრამ იქ სწავლაც ძვირია, საყოფაცხოვრებო ხარჯებიც და უფრო რთულიცაა მოხვედრა. რახან გერმანულს სკოლაშიც ვსწავლობდი და ასეთუ ისე ნაცნობი იყო ჩემთვის, გადავწყვიტე ოპაიერის პროგრამით წასვლა, რითიც დავხვეწე ჩემი გერმანული და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე სწავლა, ქართველების უმეტესობა ასე აკეთებს, თან ფულს აგროვებენ, თან ემზადებიან გერმანულში. ევროპაში მაინც წამყვანი ქვეყანა გერმანია იყო ჩემთვის და ამიტომაც გადავწყვიტე აქ"- მაიკო, 28 წლის, გერმანია.

რაც შეეხება პოლონეთს, რესპონდენტების უმრავლესობა ხაზს უსვამს ქართულ უნივერსიტეტებში არსებულ გაცვლით პროგრამებს პოლონეთში, რომელიც ქართველ სტუდენტებს ჯერ კიდევ საქართველოში სთავაზობს პოლონური ენის შემსწავლელ კურსებს. მისი წარმატებით გავლის შემდეგ კი მათ აქვთ შესაძლებლობა პოლონეთის რომელიმე უნივერსიტეტში სწავლის. როგორც ერთერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

,,ამ კურსების წყალობით წინასწარ ვიცოდი დაახლოებით რა სიტუაცია დამხვდებოდა, ასე თუ ისე მესმოდა პოლონური ენა და გარდა ამისა, პოლონურ კულტურაზეც მქონდა ინფორმაცია. ასე რომ, რასაც ველოდი, ზუსტად ის დამხვდა" - ქეთო, 25 წლის, პოლონეთი.

ორივე ქვეყნის შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოც ირჩევენ გერმანიასა და პოლონეთს, არის სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხარჯების ხელმისაწვდომობა. ამ მნიშვნელოვან ფაქტორს აღნიშნავს უკლებლივ ყველა რესპონდენტი. მაგალითად, რესპონდენტებმა, რომლებიც დასავლეთ გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლობენ, გერმანიაზე არჩევანი უფასო სწავლის გამო შეაჩერეს.

§2.2 სირთულეები ადაპტაციის პროცესში

რესპონდენტების თქმით, პირველი სერიოზული პრობლემა, რომელმაც სწავლის დაწყებისთანავე იჩინა თავი ენობრივი ბარიერი იყო. უცხო ქვეყანაში სწავლის შემთხვევაში ეს მოსალოდნელი ფაქტორიც იყო და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ

როგორც რესპონდენტები ამბობენ, ეს პროცესი გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ.

კერძოდ, გერმანიაში წასული სტუდენტების თქმით, მათ გერმანული ენის ბარიერი არ უნდა შეჰქმნოდათ, რადგან სათანადოდ იყვნენ მომზადებულები, მაგრამ სასწავლო პროცესში პირველი და საკმაოდ ხანგრძლივი პრობლემა სწორედ ენობრივი ბარიერი აღმოჩნდა. სასწავლო ლიტერატურა, რომელსაც ისინი სემესტის განმავლობაში გადიოდნენ, იმდენად რთული გასაგები იყო მათთვის, რომ რამდენიმე სტუდენტს გამოცდების ჩაბარება მესამედ მოუწია. რა თქმა უნდა, ეს დროში გაიწელა და დამატებითი ორი სემესტრის გავლა მოუწიათ. ამასთან, ლექტორები არ უწევენ შეღავათს უცხოელ სტუდენტებს, უფრო მეტად სთხოვენ პრეზენტაციებისა და სასწავლო მასალის დამუშავებას, ვიდრე ადგილობრივ სტუდენტებს. ეს პრობლემა უკლებლივ ყველა სტუდენტთან დაფიქსირდა.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია პრაქტიკის ნაკლებობასთან და კომპიუტერულ უნარებთან. როგორც რესპონდენტები ამბობენ, მათ არ ჰქონდათ პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გამოცდილება. პრაქტიკულ გამოცდებში ისინი გულისხმობენ პრეზენტაციების მომზადებას ფართო აუდიტორიისთვის, ყველაფრის კომპიუტერულ უზრუნველყოფას, კრიტიკულ და სწრაფ აზროვნებას, სასწავლო პროგრამის მიღმა არსებული თემებისა და არაპროგნოზირებადი საკითხების დამუშავებას.

რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ საწყისი ეტაპი რთული იყო, ასევე, მეგობრებისა და საურთიერთობო წრის არარსებობის გამო. ისინი თავს სრულიად მარტო გრძნობდნენ უცხო ქვეყანაში. მათი თქმით, ძალიან რთული იყო ახალ კულტურასთან შეგუება, ახალი მეგობრების პოვნა განსხვავებული ღირებულებებისა და ნორმების გამო.

რამდენიმე რესპონდენტს პრობლემა შეექმნა ბინადრობის უფლების მქონე საბუთის მიღებაზე, რის გამოც ისინი დიდი ხანი ვერ ჩამოდიოდნენ საქართველოში და ვერც ოჯახების მონახულებას ახერხებდნენ. როგორც მათ აღნიშნეს, მომსახურების სფერო პოლონეთში ძალიან ცუდად ფუნქციონირებს და ამის გამო არაერთი პრობლემა შექმნიათ. ზოგიერთი კი დღემდე მოუგვარებლად რჩება.

რესპონდენტთა ნაწილს გაუჭირდა ასევე დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყება. მათი თქმით, მარტო ცხოვრებამ მათ უამრავი საზრუნავი მოუტანა, რაც სწავლის პროცესის პარარელურად სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა მათ. მასალების მომზადებასთან ერთად სტუდენტებს უწევდათ გადასახადებზე ზრუნვა, მუშაობა დამატებითი თანხისთვის, საყიდლებზე სიარული, სადილის მომზადება და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარება, რაც დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვდა. ეს სწავლის პარალელურად ძალიან ძნელია. თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ დღეს ეს სირთულეები არაფრად მიაჩნიათ, რადგან იმდენად შეეგუენ მსგავს გარემოს, რომ ახლა უკვე მშობლებთან ცხოვრებაც ვერ წარმოუდგენიათ:

,,როგორც დაგეგმავ ხოლმე, ყველაფერი ისე ხდება. ბევრი დაბრკოლება შემხვდა მაგრამ ვიცოდი, რომ მარტო ვიყავი და ვერავინ დამეხმარებოდა ჩემი თავის გარდა. თავიდან გამიჭირდა შეგუება მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა“ - ირაკლი, 24 წლის, პოლონეთი.

§2.3 განსხვავება ქართულ და უცხოურ სასწავლო სისტემას შორის

შეკითხვაზე, რა განსხვავებას ხედავთ უცხოურ და ქართულ სასწავლო გარემოს შორის, რესპონდენტების უმრავლესობა ხაზს უსვამს იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რასაც ისინი თეორიის პარალელურად იღებენ. როგორც ისინი აღნიშნავენ, მხოლოდ თეორიული ცოდნის შეფასებით არ შემოიფაგრლება მათი სასწავლო პროგრამა და სასწავლო პროცესშიც პრაქტიკაზე ხდება უფრო მეტი ფოკუსირება და გამოცდებიც სწორედ პრაქტიკული სახისაა. თეორიული მასალა მთლიანად პრაქტიკაშია გადატანილი პრაქტიკული კურსების სახით. ამასთან ერთად, გამოცდებზე მათ სრულიად ზოგადი, განსხვავებული საკითხების ჩაბარება უწევთ, რაც კრიტიკულ, სწრაფ ანალიზს მოითხოვს და არა დაზეპირებული თეორიული მასალის გადმოცემას ფურცელზე:

,,პირველი გამოცდა არასდროს დამავიწყდება...ძალიან ბევრი ვიწვალე საკითხების სწავლაზე, თანაც ენის ბარიერის ფონზე. რამდენიმე დღე არ მეძინა, რომ საშუალო ქულა მაინც ამეღო და გამოცდაზე იმდენად ზოგადი საკითხი დამიდეს, მეგონა კურსი

შემეშალა. რა თქმა უნდა, ზოგადი მსჯელობა მომიწია და ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ნორმალური ქულა ავიღე საბოლოოდ..." - მაიკო, 24 წლის, პოლონეთი.

აღსანიშნავია, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობაც, რაც, ასევე, განსხვავდება ქართული რეალობისგან. გერმანიის შემთხვევაში:

,,არ არსებობს ბარიერი ლექტორსა და სტუდენტს შორის, უშუალო დამოკიდებულებებია. არსებობს სპეციალური დღეები, რომლებსაც სტუდენტების მიღების საათებს უწოდებენ და ამ პერიოდში ლექტორი უშუალოდ ხვდება მათ და აძლევს რჩევებს, ეხმარება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ა.შ. რა თქმა უნდა, სპეციალური საათების გარეშეც შეგიძლია მიხვიდე და დახმარება სთხოვო, თუ გჭირდება" - ლევანი, 23 წლის, გერმანია.

რაც შეეხება პოლონეთს, როგორც რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, აქ ლექტორობა იმხელა სტატუსია, სულ თავაწეულები და ამაყები დადიან:

„ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს სერიოზულად არც უყურებენ ხშირად. აი, თუ უკვე ხარისხს იცავ, ნელ-ნელა მათ დონეს უთანასწორდები და შესაბამისად, დამოკიდებულებაც იცვლება" -მაიკო, 24 წლის, პოლონეთი.

როგორც კვლევამ აჩვენა, სტუდენტებს ყველაზე მეტად მოსწონთ უცხოელი ლექტორების მეთოდები. კერძოდ, როგორც ისინი აღნიშნავენ, პრაქტიკაზე ორიენტირებულმა სისტემამ მათ დამოუკიდებლად და კრიტიკულად აზროვნება ასწავლა. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე რესპონდენტებს ყველაზე დიდი სირთულე ენობრივმა ბარიერმა და გამოცდების განსხვავებულმა სისტემამ შეუქმნა, როგორც ამბობენ, ეს იყო ძალიან სასარგებლო გამოცდილება მათთვის. დღეს ყველა თამამად აღნიშნავს ასეთი სასწავლო სისტემის დადებით მხარეებს და ისურვებენ, რომ საქართველოს უნივერსიტეტებშიც დაინერგოს მსგავსი მიდგომა. მათი აზრით, მხოლოდ თეორიული მასალის დამუშავება არაა საკმარისი იმისათვის, რომ სამომავლოდ წარმატებული კარიერა შეიქმნა. ქართველი ახალგაზრდების მასობრივი უმუშევრობის მიზეზად სწორედ ამ პრობლემას ასახელებენ.

როგორც გაირკვა, კვლევაში ჩართული თითქმის ყველა რესპონდენტი სწავლის პარარელურად მუშაობს. ზოგიერთი მათგანი უკვე დასაქმებულია თავისი პროფესიით და როგორც ამბობენ, ამაში მათ ლექტორები დაეხმარნენ. კერძოდ, სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების დროებით დასაქმებას თავიანთი პროფილის შესაბის კომპანიებში, რაც პრაქტიკულ სამუშაოში ეთვლებათ და რა თქმა უნდა, საბოლოო შეფასებაზეც აისახება. როგორც სტუდენტები ამბობენ, ასეთი დროებითი სამსახურები მათ სამომავლოდ დიდ პერსპექტივებს უხსნის.

§2.4 უცხო კულტურულ გარემოსთან შეგუების პროცესი

უცხო კულტურულ გარემოსთან ადაპტაციასთან დაკავშირებული პასუხები ორ ნაწილად გაიყო. რესპონდენტების ერთი ნაწილის თქმით, საწყის ეტაპზე საკმაოდ რთული იყო ახალ კულტურასთან შეგუება იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან ბევრი დეტალის სწავლა და გათვალისწინება მოუხდათ და ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა.

როგორც ისინი აღნიშნავენ, ჩასვლიდან რამდენიმე თვე ძალიან გაუჭირდათ იმიტომ, რომ არ ჰყავდათ ადგილობრივი მეგობრები და უჭირდათ უცხო კულტურაში ორიენტაცია. ეს ფაქტი, ძირითადად, გერმანიაში მცხოვრებმა სტუდენტებმა დააფიქსირეს. მათი თქმით, ძალიან ძნელია გერმანელთან ურთიერთობაში შესვლა:

,,ჯერ გაკვირდებიან რამდენიმე თვე, აინტერესებთ რაიმე კონკრეტული ხომ არ გჭირდება მისგან ანუ სარგებელს ხომ არ ეძებ. მერე თუ დაინახეს, რომ გულწრფელად გინდა მეგობრობა და პასუხისმგებლობის გრძნობა გაქვს, ნელ-ნელა გიშვებენ ახლოს. თუკი მოახერხე და დაუმეგობრდი, ძალიან კარგი მეგობრები არიან და მერე უკვე ადვილად გიშვებენ მათ წრეში" - მაიკო, 28 წლის, გერმანია.

გერმანიაში მცხოვრებმა თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გერმანელებთან დაახლოება საკმაოდ რთულია, რადგან ისინი ძალიან ფრთხილობენ მეგობრების არჩევასა და, მითუმეტეს, უცხოელებთან ურთიერთობაში. როგორც ამბობენ, *„ქართველებივით ღიები და თბილები არ არიან"* - ალეკო, 29 წლის, გერმანია.

პოლონეთის შემთხვევაში რესპონდენტები უფრო დადებითად საუბრობენ ადაპტაციის საწყის ეტაპზე. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

,,საკმაოდ კარგად შევეგუე ყველაფერს, ბევრი ადგილობრივი მეგობარი გავიჩინე, ძალიან თავისუფალი ხალხია, თავის კულტურაზე გიყვებიან, თავის ქვეყანაზე, პოლიტიკას განიხილავენ შენთან ერთად, ცდილობენ ჩაგრთონ თავიანთ წრეში. მეც ხშირად ვსტუმრობდი ხოლმე ახალგაჩენილ მეგობრებს და ძალიან მარტივად ავითვისე ყველა დეტალი და სწრაფად. ქართულ და პოლონურ სიტყვებს ვცვლით ხოლმე, ერთმანეთს ვასწავლით და ასე"-კოტე, 25 წლის, პოლონეთი.

როგორც რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, პოლონეთში განსაკუთრებით იგრძნობა ქართველებისადმი სიყვარული და პატივისცემა. ამ ყველაფერს ხსნიან იმით, რომ არ არსებობს დიდი განსხვავება ქართულ და პოლონურ კულტურას შორის და ამიტომაც არ გასჭირვებიათ ახალ გარემოსთან შეგუება. თუმცა რესპონდენტები იქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ რაღაც დონეზე სოციალური დისტანცია მაინც იგრძნობა, მაგრამ უფრო ასაკოვან ხალხთან, ვიდრე ახალგაზრდებთან.

მნიშვნელოვანია ის, რომ მიუხედავად საწყის ეტაპზე ადაპტაციის ბარიერებისა, რესპონდენტების სრული უმრავლესობა დღეს ბოლომდე ინტეგრირებულად თვლის თავს ადგილობრივ კულტურასა და საზოგადოებასთან. ამასთან ერთად, ხაზს უსვამენ, რომ ახალ გარემოში ცხოვრებამ მათ ბევრი სასარგებლო და პრაქტიკული თვისება შესძინა, რასაც წარმატებით გამოიყენებენ როგორც ცხოვრებაში, ისე კარიერაში.

§2.5 ადაპტაციის სტრატეგიები უნივერსიტეტს მიღმა სოციალურ გარემოში

რესპონდენტების ნაწილისთვის უცხო კულტურასა და სოციალურ გარემოში ადაპტაცია არ ყოფილა სირთულეებით დატვირთული. როგორც ერთერთი მათგანი აღნიშნავს:

,,არაა რთული მოერგო ახალ კულტურას, როცა პატივს სცემ მათ ღირებულებებსა და შეხედულებებს. იქაური ქუდი უნდა დაიხურო, სადაც მიდიხარ...მე ეგრე ვიქცეოდი

თავიდანვე და უამრავი ადგილობრივი მეგობარი მყავს და არასდროს მქონია არანაირი პრობლემა“ - ეთო, 27 წლის, გერმანია.

როგორც პოლონეთში მყოფი სტუდენტები აღნიშნავენ, პოლონელებს ქართველები ძალიან უყვართ და არასდროს ჰქონიათ ადაპტაციის პრობლემა. ზოგიერთმა მათგანმა ისიც კი აღნიშნა, რომ იქ მყოფ ქართველებთან ურთიერთობას ურჩევნიათ ადგილობრივებთან მეგობრობა, ამიტომაც თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს მათთან ერთად ატარებენ. ამის მიზეზები სხვადასხვანაირია, კერძოდ, როგორც ერთერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

,,ადგილობრივებთან ურთიერთობამ ძალიან გამიმარტივა ახალ გარემოში ცხოვრების დაწყება. მათგან იმდენს ვსწავლობ და ვიღებ, რომ არასდროს მქონია უცხოობის შეგრძნება. ძალიან უშუალო და კომფორტულები არიან და ყოველთვის ცდილობენ, რომ თავი მათი წრის წევრად მაგრძნობინონ. არვიცი სხვები როგორ არიან, შეიძლება მე გამიმართლა ასე“ - ირაკლი, 26 წლის, პოლონეთი.

ამასთან, სტუდენტების უმეტესობა ხაზს უსვამს პოლონეთში სტუდენტური ცხოვრების კომფორტულობასა და მრავალფეროვნებას, რაც მათ პოლონეთში სწავლის გაგრძელებისა და დარჩენისკენ უბიძგებთ.

როგორც ინტერვიუების შედეგებიდან გაირკვა, გერმანიაში სტუდენტებს გაცილებით მეტი სირთულე შეხვდათ ადაპტაციის პროცესში, ვიდრე პოლონეთში. ამის მიზეზებად რესპონდენტები ასახელებენ გერმანელების ინდივიდუალიზმს, მათი ცხოვრების სტილსა და ღირებულებებს, რაც განსხვავდება ქართული რეალობისგან: *,,სწავლის სირთულესთან ერთად არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი - მარტო ხარ... მივხვდი, რომ ვინმეს რომ დავახლოვებოდი, 100 ფუთი მარილის ჭამა მომიწევდა და მხოლოდ ამის შემდეგ შემომხედავდნენ სხვანაირად. ძალიან ცივი და ინდივიდუალური წრე დამხვდა. ყველა თავისთვის იყო და იშვიათად მეკონტაქტებოდნენ. არ დამხვდა ქართული სიტუაცია, სადაც ყველა ყველას მეგობარია“* - ალეკო, 29 წლის, გერმანია.

რაც შეეხება პოლონეთს, სტუდენტებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ პოლონელებთან ბევრი საერთო აქვთ და კულტურებს შორისაც ვერ ხედავენ არსებით

განსხვავებას. მათი აზრით, ცხოვრების ტემპი, ღირებულებები და შეხედულებებიც მსგავსია და შესაბამისად, ადვილად ხდება მათთან ურთიერთობის დამყარება.

კერძოდ, როგორც ერთერთი რესპონდენტი აღნიშნავს, სწავლის საწყისი ეტაპი განსაკუთრებით რთული იყო იმით, რომ არ ჰყავდა არცერთი ადგილობრივი მეგობარი:

მიუხედავად ადაპტაციის პროცესში განსხვავებული გამოცდილებისა, მოცემულ მომენტში არცერთ რესპონდენტს არ აქვს უცხო სოციალურ გარემოში დისკომფორტის შეგრძნება. თითოეული მათგანი წარმატებით ინტეგრირდა უცხო კულტურაში, ზოგს ამისთვის რამდენიმე თვე დასჭირდა, ზოგიერთმა კი საწყის ეტაპზევე მოახდინა ადაპტაცია ახალ გარემოში და როგორც თვითონვე აღნიშნავენ: ,,როგორც მიუდგები სიტუაციას, ისეთივე შედეგს მიიღებ...მე მზად ვიყავი, რომ ახალი გარემო მიმეღო ისეთი, როგორიც დამხვდებოდა და ამიტომ არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ყოველთვის ვახერხებდი საკუთარის და სხვისის ერთმანეთთან შეწყობას..." - ელენე, 25 წლის, გერმანია.

შენი დამოკიდებულება არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი“ - ლუკა, 24 წლის, პოლონეთი.

§2.6 მნიშვნელოვანი ცვლილებები საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში

უცხო სოციალურ გარემოში ცხოვრება მნიშვნელოვან ცვლილებებთანაა დაკავშირებული, იქნება ეს ღირებულებითი, პიროვნული, პროფესიული თუ ა.შ. ჩემი რესპონდენტების შემთხვევაში ეს ცვლილებები ერთმანეთის პარალელურად ხდებოდა და როგორც ამბობენ, დღეს რადიკალურად განსხვავებული ადამიანები არიან. გერმანიაში მცხოვრები სტუდენტები ამბობენ, რომ მათი ღირებულებები, შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ცხოვრების წესთან დაკავშირებულ ცვლილებებს. კერძოდ, ამბობენ, რომ გახდნენ უფრო პუნქტუალურები, მოწესრიგებულები და პასუხისმგებლიანები. შეიცვალა მათი დამოკიდებულება განსხვავებული ქცევების, ეროვნებისა და კულტურის ადამიანებისადმი, გახდნენ უფრო ტოლერანტულები.

ისწავლეს გერმანელებისთვის დამახასიათებელი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება: ყველაფრის წინასწარი დაგეგმვა. შესაბამისად, ნელ-ნელა დაემშვიდობნენ სპონტანურად გადაწყვეტილებების მიღებასა და დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას:

,,გერმანელებისთვის სრულიად მიუღებელია დაუფიქრებლად მოქმედება, ყველა დეტალი წინასწარ აქვთ განსაზღვრული და სხვისგანაც ამასვე მოელიან. შესაბამისად, როცა ხედავენ მსგავსი ღირებულებების მქონე ადამიანს, დიდი პატივისცემით ექცევიან“ - ელენე, 22 წლის, გერმანია.

როგორც ერთერთი რესპონდენტი აღნიშნავს, ცხოვრების ისეთი მოწესრიგებული სისტემა როგორიც გერმანიაშია, რთული ასათვისებელი აღმოჩნდა საწყის ეტაპზე. თუმცა დროთა განმავლობაში ავტომატურად ეჩვევი და უკვე დღის წესრიგად გექცევა ყველაფრის წინასწარ დაგეგმვა და პუნქტუალურობა:

,,წარმოიდგინე, შვებულებებსაც კი 1-2 წლით ადრე გეგმავენ, წინასწარ იციან სად წავლენ, რამდენი დაეხარჯებათ, ვისთან ერთად და ა.შ. თავიდან ძალიან მიკვირდა, მაგრამ ახლა მეც იგივენაირად ვგეგმავ ყველაფერს. ძალიან მომწონს ასეთი მიდგომა...” - ივერი, 23 წლის, გერმანია.

პიროვნულ ცვლილებებთან დაკავშირებით რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ისწავლეს ემოციების მართვა, გახდნენ უფრო თავდაჯერებულები, ინდივიდუალურები და ნაკლებად ითვალისწინებენ გარშემომყოფთა აზრს:

,,რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა საქართველოსგან, ჩვენთან სხვისი ცხოვრებით ცხოვრება ისეთი ჩვეულებრივი მომენტია, რომ სხვანაირად ვერც წარმოგიდგენია არსებობა. თან ძალიან ემოციურები ვართ, რაც ბევრ რაღაცაში გვიშლის ხელს. ეს ყველაფერი მას მერე გავაანალიზე, რაც გერმანიაში ჩამოვედი. ამ მხრივ ძალიან შევიცვალე და მიხარია, უფრო თავისუფლად და დამოუკიდებლად ვგრძნობ თავს...” - თათია, 23 წლის, გერმანია.

ასევე, აღნიშნავენ, რომ გერმანული ცხოვრების სტილის გავლენით არც თავად ინტერესდებიან სხვისი ცხოვრებით და იქვე მოჰყავთ საქართველოს მაგალითი:

,,კაი შეგრძნება ყოფილა, როცა შენთვის ხარ და იცი, რომ სხვებსაც არ აინტერესებს რას აკეთებ და როგორ. შენი ცხოვრებით ცხოვრობ" - ავთანდილი, 24 წლის, გერმანია.

რესპონდენტი, რომელიც პოლონეთში სწავლობს ამბობს, რომ პიროვნულად ძალიან შეიცვალა. საქართველოს რიტმთან შედარებით პოლონეთში ყველაფერი საოცრად სწრაფად ხდება, მითუმეტეს უნივერსიტეტში:

,,მივეჩვიე სისწრაფეს და სტრესულ გარემოში მოქმედებას. როცა ყველაფერი ერთდროულად გატყდება თავს, გრძნობ, რომ ძალა გეცლება, აღარაფრის გაკეთების უნარი აღარ გაქვს, მაგრამ ბოლო მომენტში აქტიურდება უკანასკნელი ენერგია და საოცარია, მაგრამ მაინც ყველაფერს ასწრებ" - სალომე, 25 წლის, პოლონეთი.

სხვა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ცხოვრების ახალმა წესმა ისინი უფრო თავდაჯერებული და დამოუკიდებელი გახადა. მარტო ცხოვრებას და საყოფაცხოვრებო პრობლემებს პიროვნული ზრდა მოსდევს, რაც უკვე რამდენიმე თვის მერეც შესამჩნევია. ერთერთი რესპონდენტის თქმით:

,,ვიცი, რომ ახლა ჩემთვის შეუძლებელი არაფერია, იმდენი უცნაური და ერთი შეხედვით გამოუვალი სიტუაცია გადავლახე, რომ ეს გამოცდილება სამუდამოდ დამეხმარება ცხოვრებაში" - კოტე, 25 წლის, პოლონეთი.

რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ გახდნენ მეტად კომუნიკაბელურები. ამის გარეშე, როგორც ამბობენ, შეუძლებელია ინტეგრირდე უცხო კულტურულ გარემოში.

§2.7 რჩევები საზღვარგარეთ სწავლის მსურველი სტუდენტებისთვის

უკვე გამოცდილმა ქართველმა სტუდენტებმა ინტერვიუების ბოლოს რამდენიმე რჩევაც დაუტოვეს იმ სტუდენტებს, რომლებიც სამომავლოდ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას გეგმავენ. პირველი, რასაც ხაზს უსვამენ არის ენის კარგად ცოდნა:

,,თუ ენა კარგად არ ეცოდინებათ, ძალიან გაუჭირდებათ იმ უზარმაზარი ლიტერატურის ათვისება, რომელსაც ყოველდღიურად გვაძლევენ ხოლმე. უბრალოდ

ვერ დაეწევიან სასწავლო პროცესს და დიდი სტრესის გადატანა მოუწევთ, თანაც არავინ გიწევს შეღავათს უცხოელი რომ ხარ მაგ მიზეზით" - ელენე, 26 წლის, გერმანია.

რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კრიტიკული აზროვნების გარეშე უცხოურ სასწავლო სისტემაში წარმატებით ინტეგრირება შეუძლებელია, გამომდინარე იქედან, რომ ყველაფერი აგებულია მოულოდნელ, სწრაფ და კრიტიკულ აზროვნებაზე:

,,გამოცდებიც კი განსხვავებულად ტარდება და არავინ იცის რა საკითხზე მოგიწევს მსჯელობა... შეიძლება საერთოდ ზოგად თემებზე მოგთხოვონ გამოცდის ჩაბარება და შენი ნასწავლი ლიტერატურა ვერაფერში გამოიყენო" - ნინიკო, 24 წლის, პოლონეთი.

განსაკუთრებულად ხშირად დაფიქსირდა ისეთი რჩევები, როგორიცაა პრაქტიკაზე ორიენტირებულობა, ყველაფრის წინასწარი დაგეგმვის უნარის გამომუშავება, უნივერსიტეტსა და კულტურაზე მაქსიმალური ინფორმირებულობა, ბევრი შრომა, ცვლილებებისადმი ღიაობა და კომუნიკაბელურობა.

დასკვნა

ყველა მიგრანტი, რომელიც საცხოვრებლად უცხო საზოგადოებაში გადადის, აწყდება სხვადასხვა პრობლემას, რაც დაკავშირებულია უცხო კულტურულ გარემოში ადაპტაციისა და სოციალიზაციის პროცესთან. თუმცა სტუდენტების შემთხვევაში სოციალურ გარემოში ადაპტაციას ემატება უცხო სასწავლო სისტემასთან შეგუების პროცესში წარმოშობილი სირთულეებიც. რამდენადაც დიდია საზღვარგარეთ სწავლის სარგებელი, იმდენად მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რომლებსაც ქართველი სტუდენტები აწყდებიან უცხოურ საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს მიღმა არსებულ სოციალურ გარემოში.

კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ქართველ სტუდენტებს უცხოეთში სწავლის საწყის ეტაპზე აწუხებდათ: მნიშვნელოვნად განსხვავებული სასწავლო სისტემა, ენობრივი ბარიერი, პრაქტიკაზე ორიენტირებულობა, გამოცდების განსხვავებული სისტემა, დროში შეზღუდულობა, სტრესულ გარემოში სწავლა და მუშაობა, დამოუკიდებლად ცხოვრების სირთულეები და ა.შ.

თუმცა უკლებლივ ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ პრობლემებს მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდათ და გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველაფერი მოგვარდა. ყველა რესპონდენტი პოლონეთშიც და გერმანიაშიც იმდენად კარგად გრძნობენ თავს, რომ უკან დაბრუნებაზე ჯერ არ ფიქრობენ. როგორც აღნიშნავენ, მათ პირველად შეიგრძნეს, რას ნიშნავს სტუდენტური ცხოვრება და ძალიან გაუჭირდებათ ისევ საქართველოში დაბრუნება.

ადაპტაციის სტრატეგიების ფონზე ჩემი მონაცემების გაანალიზება გვაჩვენებს, რომ ქართველი სტუდენტები ორივე ქვეყანაში ადაპტაციის ერთსადაიმავე სტრატეგიას მიმართავენ: ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის ერთერთი ყველაზე დიდი პრობლემა ადგილობრივებთან დაახლოება იყო, მათ არასდროს უცდიათ გამიჯვნოდნენ ახალ კულტურასა და მის ღირებულებებს. თავადვე აღნიშნავენ, რომ დროთა განმავლობაში მათში ძირეული

ღირებულებითი და პიროვნული ცვლილებები მოხდა. ანუ მოხდა მათი და ადგილობრივი კულტურის ღირებულებების ჰარმონიზაცია ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე. კერძოდ, როგორც რესპონდენტები ამბობენ, ადგილობრივებისგან აიღეს ის კარგი თვისებები და ღირებულებები, რაც მათ სამომავლოდ ძალიან დაეხმარებათ წარმატებული კარიერის მოწყობასა და ცხოვრების ნაყოფიერად დაგეგმვაში.

მნიშვნელოვანია, რომ პოლონეთში მყოფი ყველა რესპონდენტი ხაზს უსვამს იმას, რომ ქართულ და პოლონურ კულტურას შორის არაა დიდი განსხვავება. ამის გათვალისწინებით კი არ გასჭირვებიათ ახალ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.

როგორც ანალიზიდან გამოვლინდა, ჩემ მიერ გამოკითხული სტუდენტები ინტეგრირებულნი არიან როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. რესპონდენტები არ განიცდიან არანაირ ნეგატიურ დამოკიდებულებას ადგილობრივებისაგან. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ არასდროს დასჭირვებიათ ეროვნებისა და ღირებულებების დაფარვა.

ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე, ის, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ სტუდენტებს ადვილად შეუძლიათ დასაქმება უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშიც კი. მათ აქვთ სისტემატური ურთიერთობა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან. ამასთან, აქტიური და საინტერესო სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობენ. რაც მთავარია, როგორც აღნიშნეს, თავიანთი ოცნებების განხორციელების მეტი შესაძლებლობა აქვთ.

ბიბლიოგრაფია:

1. ჩიტაშვილი, მ. (რედ.). (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი* (სოციალურ მეცნიერებათა სერია). თბილისი: გამომცემლობა ლოგოს პრესი.

2. Василика, М.А. (2003). *Основы Теории Коммуникации: Учебник/ПодРед.*

3. Berry, J. W. (1997) *Imigration, Acculturation, and Adaptation. Applied Psychology: an international review.* Queen's University , Kingston, Ontario, Canada.

4. Berry, J. W. Phinney, J. S. Sam D. L. & Vedder P. (2006). *Immigrant youth: Acculturation, identity, and adaptation. Applied Psychology: An International Review.*

5. Camilleri, C. Malewska-Peyre, H. (1997) *Socialization and Identities strategies. Hand Book of Crosscultural Psuchology Second Editon, Besic Processes of Human Development.* (ds J. N. Berry, P.R Dasen, T.S Saraswathi) . Boston, London, Toronto, Sydney, Tokyo, Singapore: Allan and Bacon.

6. Castro, V. S. (2003). *Acculturation and psychological adaptation.* Westport, CT: Greenwood Press.

7. Cohen, R. (1996) - *Theories of Migration.*

8. Final Report of World Conferense on Higher Education 2009. Paris, UNESCO Headquarters, 5 to 8 July, 2009.

9. Furnham, A. Alibhai, N. (1985). The friendship networks of foreign students: A replication and extension of the functional model. *International Journal of Psychology.*

10. Javakhishvili, N. (2013) *Identity Formation in Early Adulthood Localisation versus Globalisation.* Tbilisi, Georgia.

11. Lyon, E. P. (2017) *The Migration of Students.* Published by: American Association for the advancement of Science.

12. Tseng, W. (2002). *International students strategies for well-being.* College Student Journal*, 4.*

გამოყენებული ბმულები:

1. გიგოლაშვილი, ქ. (09.04.2015). *რამდენი ქართველი სტუდენტი წავიდა უცხოეთში 2014-2015 წელს და რამდენი უცხოელი სწავლობს საქართველოში.* 19.04.2017. https://edu.aris.ge/news/ramdeni-qartveli-studenti-wavida-ucxoetshi-2014-2015-wels-da-ramdeni-ucxoeli-swavlobs-saqartveloshi.html

2. World Conference on Higher, Education 2009, Final Report, Paris, UNESCO Headquarters, 5 to 8 July 2009 http://www.uis.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx

დანართი 1

ინტერვიუს გზამკვლევი

1. რატომ გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა?
2. რის მიხედვით აირჩიეთ ქვეყანა და უნივერსიტეტი?
3. რა მოლოდინები გქონდათ და გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინები?
4. გთხოვთ, შეადაროთ ახალჩასული პერიოდი თქვენს ახლანდელ მდგომარეობას, რა მსგავსებას და განსხვავებას ხედავთ? რა გაგიმარტივდათ და პირიქით?
5. გქონდათ თუ არა რაიმე სახის სირთულეები უცხო სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში და თუ გქონდათ, როგორ გადალახეთ ეს სირთულეები?
6. რა განსხვავებას ხედავთ უცხოურ და ქართულ სასწავლო გარემოს შორის? მაგალითად, სასწავლო პროცესში პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის ინტერაქციის ფორმა განსხვავდება თუ არა ქართული რეალობისგან?
7. როგორ ფიქრობთ, რა სჭირდება თავად სტუდენტს და რა უნდა მისცეს მას აქაურმა უნივერსიტეტმა, რომ შემდეგში არ გაუჭირდეს უცხო სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია?
8. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა თქვენი სწავლისადმი მიდგომა და პროფესიული უნარები საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში? კონკრეტულად რა შეიცვალა?
9. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ჯგუფელებთან? ლექტორებთან?
10. როგორი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ სტუდენტებს თქვენ მიმართ? გიგრძვნიათ თუ არა მათგან ნეგატიური დამოკიდებულება განსხვავებული ნაციონალობის, ღირებულებების ან სხვა მიზეზების გამო? თუ გიგრძვნიათ, როგორია თქვენი რეაქცია ამ დროს?
11. როგორ შეეგუეთ ახალ კულტურულ გარემოს?
12. როგორ ფიქრობთ, იგრძნობა თუ არა სოციალური დისტანცია თქვენსა და ადგილობრივებს შორის? თუ იგრძნობა, თქვენი აზრით, რითია ეს გამოწვეული?

13. გთხოვთ, აღმიწეროთ თქვენი თავისუფალი დრო, როგორ ატარებთ მას და ვისთან ურთიერთობთ უნივერსიტეტს მიღმა სოციალურ გარემოში? შეიძინეთ თუ არა ახალი მეგობრები?

14. ხართ თუ არა ჩართული რაიმე სახის აქტივობებში, რომელშიც ინტენსიური ურთიერთობა გიწევთ უცხოელებთან? რა სახის აქტივობებზეა საუბარი?

15. როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდებით ადგილობრივებისგან კულტურული თვალსაზრისით?

16. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა კულტურული განსხვავებულობა ადაპტაციის ბარიერი?

17. როგორ შეაფასებთ ადგილობრივების დამოკიდებულებას თქვენ მიმართ? რას გიადვილებთ ან გირთულებთ ასეთი დამოკიდებულება?

18. გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა მოგწევიათ თქვენი ეროვნების ან ღირებულებების დაფარვა ან უკუგდება?

19. როგორ ფიქრობთ, მოხდა თუ არა ღირებულებითი, პროფესიული, სოციალური ცვლილებები თქვენში მას შემდეგ, რაც სასწავლებლად წახვედით? კონკრეტულად რა შეიცვალა?

20. რას ურჩევდით საზღვარგარეთ სწავლის მსურველ ქართველ ახალგაზრდებს სასწავლო კუთხით? უცხო კულტურულ გარემოში წარმატებით ადაპტაციისთვის?

21. როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mari Babilodze

The Adaptation Strategies of Georgian Students in and out of Foreign Universities

Sociology of Culture and Media

The work is carried out to obtain Master's degree in Sociology of Culture and Media

Lia Tsuladze, TSU, Assotiated Professor

Amiran Berdzenishvili, TSU, Assotiated Professor

TSU, Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეკლე ქაროსანიძე

ქართველი ქალის სოციალური პრობლემები და მათთან გამკლავების სტრატეგიები პროექტის „ქალები საქართველოდან“ მაგალითზე

კულტურის და მედიის სოციოლოგია

ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ლია წულაძე - სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს, შევისწავლო ქართველი ქალის სოციალური პრობლემები და მათთან გამკლავების სტრატეგიები პროექტის „ქალების საქართველოდან მაგალითზე“. ქალთა საინიციატივო ჯგუფის „ქალის ხმა“ სოციალური პროექტი ასახავს უცნობი და ნაცნობი ქალების რეალურ ისტორიებს. რესპონდენტები თავად გვიყვებიან საკუთარ გამოცდილებაზე, მძიმე ცხოვრების ეტაპებზე, სტრატეგიებზე, რომელთა დახმარებითაც დასძლიეს პრობლემები და გაძლიერდნენ. უმთავრესი ამ ისტორიებში, სწორედ ქალების განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობაა. ისინი უპირისპირდებიან მჩაგვრელ გარემოს, ცდილობენ გაარღვიონ ეს „მოჯადოებული წრე“ და დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში.

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რადგან საქართველოში სქესის ნიშნით ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) რიცხვმა საგრძნობლად იმატა. თვალშისაცემია გენდერული დისკრიმინაციის პრობლემები ოჯახსა და პროფესიულ ასპარეზზე, ქალების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, ერთსადაიმავე სამსახურებრივ პოსტებზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ანაზღაურება, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება, რომელიც მისი იდენტიფიცირების სირთულიდან გამომდინარე დისკრიმინაციის „უხილავ“ ფორმად ითვლება. ხელმძღვანელ პოსტებზე დასაქმებული მამაკაცები დაქვემდებარებულ პოზიციაში მყოფ ქალებს მტრული სამუშაო პირობების შექმნით, სამსახურის დაკარგვის მუქარით აიძულებენ შეასრულონ მამაკაცის სურვილები და გასწიონ „მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ“. მტრული სამუშაო გარემო და მუდმივი სტრესი ემოციურად ფიტავს ქალებს და უუნაროს ხდის.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი სოციალური მეთოდის გამოყენებით. კერძოდ, გამოვიყენე კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდი და გავაანალიზე 130-მდე ნარატივი. ნარატივების დისკურსული ანალიზი დამეხმარა, გამომეყო პროექტში წარმოდგენილი ქართველი ქალების პრობლემები და მათთან გამკლავების სტრატეგიები.

კვლევის შედეგად გამოვლენილი სოციალური პრობლემებია: გენდერული დისკრიმინაცია, სექსიზმი - სოციალური როლების სეგრეგაცია, ოჯახში ძალადობა, ქალის სუბორდინირებული როლი საშინაო და საზოგადოებრივ სფეროში, სექსუალური

შევიწროება სამუშაო ადგილას, თვითრეალიზაციის შეზღუდვა. რაც თავის მხრივ, ჩვენ საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული გენდერული უთანასწორობის გამოხატულებაა. ქალებთან ერთად, ძალადობისადმი მოწყვლად ჯგუფებს შორის უნდა გამოვყოთ: ხანდაზმულები, საშუალო ასაკის უმუშევარი ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები და ლგბტ თემის წარმომადგენლები. ამ უკანასკნელებს, შრომის სისტემა ვერ ან არ იყენებს და სასარგებლო საზოგადოებრივი ჩართულობისგან გამორიცხავს. აქტივობა/ქმედება კი მაშინ არის აღიარებული, როდესაც სოციალური თანამშრომლობის ფარგლებშია შესრულებული.

რესპონდენტების ისტორიები განსაკუთრებულია სოციალურ პრობლემებთან გამკლავების სტრატეგიების მრავალფეროვნებით. მათი უმეტესი ნაწილი, ცდილობს მიიღოს განათლება, დაეუფლოს მისთვის საინტერესო პროფესიას, მოიპოვოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ჩაერთოს სამოქალაქო აქტივიზმში და დაიცვას საკუთარი უფლებები. თვითგანვითარების მუდმივი მცდელობა რესპონდენტებს პრობლემებისადმი შეუვალს ხდის.

Annotation

The work aims to study Georgian Woman's Social Issues and Strategies to Deal with them Based on the Project: "Women of Georgia".

The social project of Women's Initiative Group "Women's Voice" reflects the real stories of unknown and known women. Respondents tell us about their own experience, hard life stages, strategies by the help of wich have been overcome problems and became stronger. The most important in these stories is women's special fighting capacity. They are fighting and opposing against the oppressive environment, trying to break this "enchanted circle" and establish their own place in society.

The study issie is relevant because the number of murdered women as sex-based crime (femicide) has been increased significantly. The Gender Discrimination Problems in the family and professional arena is obviously, low participation of women in political processes, different salaries for men and women at the same position, sexual harassment at workplace, due to the complexity of its identification is considered an "invisible" form of discrimination. Men employed on managing posts are forced to fulfill the men's wishes and to "serve the sevices for services" by creating a hostile job conditions and threatening to lose the job. The hostile working environment and constant stress emotionally exhausts women and makes them incapable.

The study had been conducted by using qualitative social methods. In particular, I used the method of critical discourse analysis and analyzed 130 narratives. The discourse analysis of narratives helped me to allocate the problems of Georgian women represented in the project and the strategies to deal with them.

The social problems identified as a result of the research are: gender discrimination, sexism – segregation of social roles, domestic violence, subordinated role of women in domestic and public sphere, sexual harassment at workplace and restriction of self-realization. That in its turn is an expression of structural gender inequality of our society. Along with women, we have to outline vulnerable groups of violence: elderly, middle-aged unemployed people, disabled

persons and persons with special educational needs and representatives of the LGBT Community. The labour system doesn't of can't use the latter or disallow to be involved in useful oublic activities. The activity/action is recognized when it is conducted within the social co-operation.

The stories of respondents are special with the diversity of strategies to deal with social issues. Most of them are trying to get education, gain interesting profession, obtain economical independence, engage in civic acivism and protect their own rights. The constant effort of self-development makes the respondents unbreakable.

Tekle karosanidze

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. ჩაგვრის სახეები 14

თავი II. „პატრიარქატის გაგება“ 21

2.1 სექსიზმი 24

თავი III. სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა 28

3.1 მასკულინობა 32

3.2 არამამაკაცური მასკულინობები 34

3.3 მასკულინობა, როგორც ჰომოფობია 37

თავი IV. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი საქართველოში 40

თავი V. გენდერული უთანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპების ზოგადი განხილვა ქართულ რეალობაში 46

5.1 გენდერული სოციალიზაციის თავისებურებები ოჯახში 49

5.1.1 ოჯახში ქალზე გენდერული ძალადობა 52

5.1.2 ოჯახში ბავშვზე ძალადობა 55

5.2 გენდერული სოციალიზაციის თავისებურებები სკოლაში/უნივერსიტეტში 57

5.2.1 ბულინგი საგანმანათლებლო დაწესებულებებში 58

5.3 გენდერული დისკრიმინაცია სამსახურში 60

5.3.1 სექსუალური შევიწროება სამსახურში 62

თავი VI. უმცირესობების პრობლემები გენდერულ ჭრილში 66

6.1 ეთნიკური უმცირესობის პრობლემები 67

6.2 ლგბტ თემის პრობლებები 72

6.3 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემები 74

დასკვნა 77

ბიბლიოგრაფია 79

შესავალი

საკითხის დასმა და კვლევის აქტუალობა

კოლექტივისტური, პატრიარქალური ტიპის საზოგადოებისთვის ქალთა უფლებების დაცვა და აღიარება მუდმივად პრობლემურია. გახშირებული ფემიციდისა და ქალთა თვითმკვლელობის არაერთი შემთხვევის შედეგად, საქართველოს პრეზიდენტმა 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა.

ცხადია, საქართველოში ქალები უამრავი პრობლემის წინაშე დგანან: ნაადრევი და/ან იძულებითი ქორწინება, მისგან მომდინარე საფრთხეები - რეპროდუქციული, სქესობრივი პრობლემები, „უჩინარი, აუნაზღაურებელი შრომა“ - ოჯახის წევრთა მსახურება, მხარდაჭერა, განსაკუთრებით „ქმრისმსახურება“, მამაკაცის დომინანტური როლი ოჯახში, გენდერული უთანასწორობა, პოლიტიკაში ქალთა მინიმალური ჩართულობა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი, მკვლელობები - ფემიციდი ოჯახში ძალადობის ნიადაგზე, სექსუალური შევიწროება ოჯახსა და სამუშაო ადგილას, როდესაც ქალის საქმე, პროფესიონალიზმი ყურადღების მიღმაა დარჩენილი და იერარქიულ სტრუქტურაში მისი ადგილი მხოლოდ სექსუალური აღნაგობით, ჩაცმულობით, სასურველობით განისაზღვრება.

ეს პრობლემები დაკავშირებულია კულტურულ-ისტორიულ გამოცდილებასთან, გენდერულ სტერეოტიპებთან. ქართველი ქალი ოდითგანვე, „ჭირთამთმენელი“, გამძლე, ოჯახისთვის თავდადებული, „ლეჩაქიანი“ ქალი უნდა ყოფილიყო. ის ინახავდა ოჯახის სიწმინდეს, უვლიდა შვილებს, ქმარს და საკუთარ თავს ოჯახის კეთილდღეობას სწირავდა. მამაკაცის დომინანტური როლი აისახებოდა მემკვიდრეობის განაწილებისას - ქალიშვილს ათხოვებდნენ, ვაჟიშვილი კი, როგორც გვარის გამგრძელებელი, მთელი მემკვიდრეობის მეპატრონე ხდებოდა. დღეს, საქართველოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გენდერული ნიშნით სქესის სელექციის აღმოფხვრა - ვაჟის ყოლა კვლავაც გადამწყვეტი „მისიაა“, ქალს, კი როგორც უმნიშვნელო არსებას, „თავიდან იშორებენ“.

მწვავე სოციალური პრობლემების არსებობის პარალელურად, მცირეოდენი ცვლილებები შეიმჩნევა საზოგადოებრივ წარმოდგენებში, გადარჩენისთვის არსებობა და შვილებისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნის სურვილი აიძულებს ქალებს დაუპირისპირდნენ პრობლემებს და იპოვონ გამოსავალი - განათლების მიღებით, საკუთარი უფლებების გაცნობიერებით და დაცვის მოთხოვნით, სტერეოტიპებთან ბრძოლით, სამოქალაქო აქტივიზმში მონაწილეობით, ეკონომიკური დამოუკიდებელობის მოპოვებით. ქალთა გაძლიერებას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საერთაშორისო სტანდარტები.

საქართველოში ქალთა უფლებების დამცველი არაერთი ორგანიზაცია და დამოუკიდებელი დაჯგუფება არსებობს, რომელთა შექმნაც დაკავშირებულია კონკრეტულ კამპანიებთან (მაგ: აბორტის აკრძალვა), კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებაზე (მაგ: 2014 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის, მაკა წივწივაძის მკვლელობა). მათი გვერდები შექმნილია სოციალურ ქსელში, ეს ვირტუალური სივრცე აქტიურად გამოიყენება აქტივობების დასაგეგმად და დასაანონსებლად. ქალთა საინიციატივო ჯგუფი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ქართველი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის მნიშვნელობა, კვოტირების სისტემის შემოღების აუცილებლობა. საინიციატივო ჯგუფი დღემდე აქტიურად იბრძვის ფემიციდის და ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ.

ქალთა საინიციატივო ჯგუფის „ქალის ხმა“, სოციალური პროექტი „150 ქალი საქართველოდან“ ასახავს ნაცნობი და უცნობი ქალების რეალური ცხოვრების ისტორიებს. პროექტის აღწერაში ვკითხულობთ, რომ ქალის ხმის დუბლირებისას იკარგება თავდაპირველი სახის, უნიკალური ამბები, რაც ქალებს თავს გადახდენიათ. ამ სოციალური პროექტით კი ქალები თავად გვაცნობენ საკუთარ თავს, პირადად საუბრობენ თავიანთ ისტორიებზე, პრობლემებზე, სურვილებზე, მათი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე, წარსულზე, აწმყოზე. ისინი გვიყვებიან გულწრფელად, **ჰიპერბოლიზებისა და „შელამაზების გარეშე“, იბრძვიან და არ კარგავენ უკეთეს** სამყაროში ცხოვრების იმედს. ეს პროექტი გვაცნობს ძლიერ, მტკიცე, გაბედულ

ქართველ ქალებს და ინახავს მათ უნიკალური ისტორიებს. ისინი არასოდეს იქნებიან „ისტორიაში ცოცხლად დამარხული ქალები“, რადგან მათი ხმა უკვე ისმის.

საინტერესოა, როგორია პროექტში წარმოდგენილი 150 თანამედროვე ქალის სახე, რა სოციალური პრობლემების წინაშე დგანან, რაზე ამახვილებენ ყურადღებას თავად პროექტის ავტორები, როგორ და რა ხერხებით წარმოაჩენენ თანამედროვე ქართველი ქალების სახეს.

კვლევის მიზანი

ჩემი კვლევის მიზანია შევისწავლო პროექტში წარმოდგენილი ქართველი ქალების სოციალური პრობლემები და მათთან გამკლავების სტრატეგიები.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის განსახორციელებლად გამოვყავი შემდეგი *ამოცანები*

- რა სოციეტალური პრობლემების წინაშე დგანან ქართველი ქალები ამ პროექტის მაგალითზე, როგორია მათი მდგომარეობა მათ მიერ მოყოლილი ნარატივების თანახმად?
- რა სტრატეგიებს მიმართავენ ისინი ამ პრობლემებთან გასამკლავებლად?

საკვლევი ჰიპოთეზა

- რადგან საქართველოში ყველაზე მწვავედ ქალთა „უხილავი“ შრომის, ეკონომიკური დამოკიდებულების, გენდერული უთანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის ხილული თუ უხილავი ფორმების პრობლემები დგას, ვფიქრობ, რომ 150 ქალის მიერ მოყოლილ ნარატივებშიც მსგავსი შინაარსის პრობლემებია ასახული.
- ქალების განათლების და დასაქმების საერთო მდგომარეობა განაპირობებს კულტურულ სტერეოტიპებთან ბრძოლის სტრატეგიებს, მათ ინიციატივიანობას.

კვლევის მეთოდური ნაწილი

შერჩევა

ჩემი კვლევისთვის საჭირო მონაცემები მოვიპოვე ქალთა საინიციატივო ჯგუფის „ქალის ხმა“ პროექტიდან „150 ქალი საქართველოდან“. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, მონაცემების ასარჩევად გამოვიყენე მიზნობრივი შერჩევის მეთოდი. კერძოდ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩევის კრიტერიუმად გამოვიყენე ნარატივებში ასახული სოციალური პრობლემების სიმწვავე/აქტუალობა და გავაანალიზე 130-მდე ნარატივი.

მონაცემთა ანალიზის და დამუშავების მეთოდი

პროექტში წარმოდგენილი თანამედროვე ქართველი ქალების მდგომარეობა ნარატივების კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდით შევისწავლე. ნარატივების დისკურსული ანალიზი დამეხმარა დამენახა პროექტში ჩართულ ქალთა ძირითადი სოციეტალური პრობლემები და ის, თუ რა სტრატეგიებს იყენებენ ისინი ამ პრობლემებთან გასამკლავებლად.

კელერი (2013) ნაშრომში „დისკურსის კვლევა: შესავალი სოციალური მეცნიერებისთვის“ აღწერს კვლევის პროცესს, დისკურსის ანალიზის ბაზისურ ტერმინებს, როგორიც არის: ადრესატი/აუდიტორია - ადამიანი ან ადამიანები ვისაც მიემართება დისკურსი ან ვინც ამ დისკურსს იღებს;

პირველ ეტაპზე, ანალიტიკის ტექნიკა მოიცავს ტექსტის წაკითხვას და იმ ინფორმაციის „შეფასებას“, რომელიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. თუ შესაძლებელია ტექსტის კორპუსის ყველა დოკუმენტი უნდა გამოვიყენოთ. მეორე ეტაპზე, სპეციფიკური ანალიტიკური და ინტერპრეტაციული ტექნიკები გვჭირდება, სულ მცირე, დისკურის პროცესის ხელახალ, მარტივ მოყოლაზე მეტი უნდა შევძლოთ. დისკურსის ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს დიდი ან მცირე მოცულობის ინდივიდუალური განცხადებების დეტალურ ანალიზს. განცხადებების, ნარატივების, ამბების ანალიზი ინტერპრეტაციული აქტია და მთლიანად მკვლევრის გამოცდილებასა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული (Keller, 2013, თავი 4, გვ. 12).

ამბების/განცხადებების/მოვლენების დეტალური ანალიზი გულისხმობს შინაარსის ფორმალური და ლინგვისტურ-რიტორიკული სტრუქტურის კვლევას.

ინდივიდუალური მონაცემების ანალიზი კი იწყება ტექსტის წაკითხვის პროცესით, შემდეგ განმეორებით ვკითხულობთ და შინაარსის პერიფრაზირებას ვახდენთ.

ტექსტის მიკროსტრუქტურის ანალიზი გულისხმობს მისი შიდა სტრუქტურის - თემის, ფორმალური სტრუქტურის, გამომსახველობითი წესების კვლევას. (რა ლინგვისტური მახასიათებლებია ცენტრში, რა სიტყვები, არგუმენტებია გამოყენებული და განმეორებული, კონფლიქტის, უთანხმოების მიზეზების შესაკრავად და განსამტკიცებლად).

კვლევის პროცესი იწყება ტექსტის კოდირებით, კომენტარებით და მემოებით. კომენტარები უნდა ხსნიდეს რატომ მიენიჭა ტექსტის ამ მონაკვეთს გარკვეული კოდი, მემო კი შეძლებისდაგვარად ამომწურავ შენიშვნებს/ჩანაწერებს უნდა მოიცავდეს. ვკითხულობთ ტექსტს, ვახდენთ პერიფრაზირებას, ვაანალიზებთ შინაარს, ვაფასებთ დეტალურ ინტერპრეტაციას და ვაჯამებთ დასკვნებს (Keller, 2013, თავი 5, გვ. 4-5).

ვოდაკი და ვეისი (2003, როგორც ციტირებულია Blackledge, 2005) თვლიან, რომ დისკურსის კრიტიკული ანალიზი ენას სოციალურ პრაქტიკად განიხილავს. მას აინტერესებს ენის და ძალაუფლების მიმართება, რადგან სწორედ ენაშია ამოქმედებული დისკრიმინაციული პრაქტიკები, ენაშია განმტკიცებული და აღდგენილი, რეპროდუცირებული უთანასწორო, არათანაბარი ძალაუფლებრივი ურთიერთობები. ამ სოციალურმა ასიმეტრიებმა კი შეიძლება დროთა განმავლობაში სახე იცვალოს, ტრანსფორმირდეს. დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიდგომა ამტკიცებს, რომ საკუთრივ ენა კი არ არის ძლევამოსილი, არამედ დომინანტური ჯგუფები სძენს მას ძალაუფლებას.

ნორმან ფერკლოუს თანახმად, ტექსტის ანალიზი დისკურსის ანალიტიკური კვლევის ერთ-ერთი ნაწილია. დისკურსის ანალიზი სამი ელემენტისგან შედგება: ტექსტი, ინტერაქცია და სოციალური კონტექსტი. შესაბამისად, ტექსტის აღწერა, ტექსტის და

ინტერაქციის კავშირის ინტერპრეტაცია, ინტერაქციის და სოციალური კონტექსტის კავშირის ახსნა კრიტიკული დისკურსის ანალიზის განხორციელების საფეხურებია.

ამ საფეხურების ახსნა ორგანიზებულია ათი საკვლევი კითხვის გარშემო. ტექსტის ანალიზის სამი მიმართულება გამოიყოფა: ლექსიკა, გრამატიკა და ტექსტური სტრუქტურა. თითოეულ მიმართულებაში გამოიყოფა საკვლევი კითხვები.

ლექსიკა:

1. რა გამოცდილების მატარებელია სიტყვები (რა იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი კავშირებია სიტყვებს შორის (სინონიმი, ანტონიმი, ჰოპონიმი))
2. რა მიმართებითი მნიშვნელობა აქვს სიტყვებს? (არის თუ არა ტექსტში გამოყენებული ევფემიზმები, სიტყვები შესამჩნევად ფორმალურია თუ არაფორმალური?)
3. რა ექსპრესიული მნიშვნელობა აქვს სიტყვებს?
4. რა მეტაფორებია გამოყენებული?

გრამატიკა:

5. რა გამოცდილებითი მნიშვნელობა აქვს გრამატიკულ სტრუქტურებს? (წინადადებები მოქმედებით გვარშია თუ ვნებითში?; უარყოფითია თუ დადებითი? და ა.შ)
6. რა მიმართებებია გრამატიკულ სტრუქტურებს შორის (წინადადებები თხრობითია, კითხვითი თუ ბრძანებითი, არის თუ არა გამოყენებული ნაცვალსახელები ჩვენ - თქვენ, მე - ისინი და ა.შ)
7. რა ექსპრესიული მნიშვნელობები აქვს გრამატიკულ მახასიათებლებს?
8. როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს (მარტივი) წინადადებები? (რომელი ლოგიკური მაკავშირებლებია გამოყენებული; რთული წინადადებები კოორდინაციით ხასიათდება თუ სუბორდინაციით და ა.შ)

ტექსტური სტრუქტურა

9. რა ინტერაქციული კონვენციები ანუ წესებია გამოყენებული? (აკონტროლებს თუ არა ერთი მონაწილე სხვების ნაამბობის თანმიმდევრობას?)
10. კონკრეტული ტექსტი ახდენს თუ არა აპელირებას უფრო ფართო კონტექსტზე? (Fairclough, 1989, გვ. 110-111)

ვიქტორია დეფრანცისკოს კვლევის თანახმად, (1991, როგორც ციტირებულია, Coates, 2012) ქალთა მიმართ დისკრიმინაცია გამოიხატება მამაკაცების დომინანტური საუბრის ენით. მამაკაცები აკონტროლებენ დიალოგებს სხვადასხვა სტრატეგიებით: პასუხის გაუცემლობა, საუბრის უხეშად გაწყვეტა, შეუსაბამო და დაყოვნებული პასუხები და სიჩუმე. მათ შესწევთ ძალა ყოველდღიური საუბრების ნორმები დააწესონ და აიძულონ ქალები მიიღონ ეს წესები. დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ საუბრის კვლევა კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდით, ააშკარავებს სოციალურ პრობლემებს, უთანასწორობას, ცდილობს გამოარკვიოს მისი გამომწვევი მიზეზები და აიძულოს ადამიანები თავი დააღწიონ მჩაგვრელ გარემოს.

კვლევის პირველ ეტაპზე, წავიკითხე მოცემული დოკუმენტური მასალა, გამოვიყენე კოდირება-კატეგორიზაციის ანალიტიკური მეთოდი: გამოვყავი მნიშვნელოვანი თემები, მივანიჭე კოდები და შესაბამისად დავახარისხე.

შემდეგ ეტაპზე, გავაანალიზე მნიშვნელოვანი თემები და კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდით ტექსტის კორპუსები - გრამატიკული სტრუქტურა შევისწავლე. რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის მეთოდით დავთვალე განმეორებული სიტყვები, ფრაზები, ნაცვალსახელები. გამოვყავი ტროპები - მეტაფორები, შედარებები, სინონიმები, ანტონიმები. გავაანალიზე მათი მნიშვნელობა მონაცემების კონტექსტში.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

პრაქტიკული თვალსაზრისით, პროექტის „150 ქალი საქართველოდან“ საფუძველზე თანამედროვე ქართველი ქალის სოციალური პრობლემების და გადაჭრის სტრატეგიების შესწავლა პოლიტიკის ადვოკატირებაზე მოახდენს გავლენას.

მეცნიერული თვალსაზრისით, ჩემი კვლევა ამ კონკრეტულ პროექტში წარმოდგენილი ქალების პრობლემებს პირველად შეისწავლის დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდით, ეს კი საინტერესო იქნება ქალთა უფლებადამცველებისთვის, ფემინისტი მკვლევრების, აქტივისტებისა და სტუდენტებისთვის.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა ქალთა ნარატივების დისკურსის კრიტიკულ ანალიზს ეყრდნობა. 150 ქალის სოციალური პრობლემების და მათთან ბრძოლის სტრატეგიების შესწავლით საქართველოში ქალთა მდგომარეობის ზოგად ტენდენციებზე ვერ ვსაუბრობ. მიღებული კვლევის შედეგებს ვერ ვაზოგადებ ქართველ ქალთა ყოველდღიურობაზე. გარდა ამისა, კვლევა დამოკიდებულია ჩემს ინტერპრეტაციებზე, გამოცდილებაზე, შესაბამისად, შესაძლოა სუბიექტურობის და ნაკლები ვალიდურობის პრობლემაც იყოს წარმოქმნილი.

თეორიული ნაწილი

თავი I. ჩაგვრის სახეები

პოლიტიკის თეორეტიკოსი და ფემინისტი აირის მერიონ იანგი (Young, 1990) თავის ნაშრომში „სამართლიანობა და განსხვავების პოლიტიკა“ განმარტავს ჩაგვრის ცნებას. მისი მიზანია აღწეროს მჩაგვრელი პირობები, გარემოებები, რომლებშიც ყველაზე მეტად ქალები, ფერადკანიანები, ამერიკელი ინდიელები, ებრაელები, ესპანურენოვანი ამერიკელები, ლესბოსელები, გეი მამაკაცები, არაბები, აზიელები, მუშათა კლასი, ხანდაზმულები და ფიზიკურად, მენტალურად შეზღუდული ადამიანები იჩაგრებიან.

აშკარაა, რომ ზემოთაღნიშნული ჯგუფები ერთნაირი ხარისხით ან მსგავსი მეთოდებით არ იჩაგრებიან. ზოგადად, ყველა ჩაგრული ადამიანი იტანჯება შესაძლებლობების განვითარების შეზღუდვით, მათი საჭიროებების, მოსაზრებების, გრძნობების გამოხატვის ჩახშობით. აბსტრაქტული გაგებით, ყველა დაჩაგრული ადამიანი საერთო პრობლემურ პირობებს აწყდება. უფრო სფეციფიკურად, შეუძლებელია აღნიშნული ჯგუფების ჩაგვრის პირობების დასახასიათებლად ერთი კონკრეტული კრიტერიუმი განვსაზღვროთ. შესაბამისად, თეორეტიკოსების და აქტივისტების მცდელობა აღმოაჩინონ ჩაგვრის წარმოქმნის გარდაუვალი მიზეზები და ჩამოაყალიბონ მისი აღმწერი საერთო კონცეფცია, უნაყოფოა. ავტორი ჩაგვრის უსამართლობის აღსაწერად იყენებს ცნებების ნაკრებს, რომელსაც ხუთ კატეგორიად ჰყოფს: ექსპლოატაცია, მარგინალიზაცია, ძალაუფლების/ძალის არ ქონა (Powerlessness), კულტურული იმპერიალიზმი და ძალადობა (Young, 1989, თავი 2, გვ. 40).

1960-1970-იან წლებში ახალმა მემარცხენე სოციალურმა დაჯგუფებებმა ჩაგვრის გაგება შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს: ჩაგვრა აღნიშნავს/განსაზღვრავს არახელსაყრელ/საზიანო პირობებს და მტანჯველ უსამართლობას, გამოწვეულს კეთილისმზრახველი ლიბერალური სისტემის ყოველდღიური პრაქტიკებისგან და არა ტირანული ძალაუფლებისგან. ამ გაგებით, ჩაგვრა უფრო მეტად სტრუქტურულია, ვიდრე რამდენიმე ადამიანის არჩევანის ან პოლიტიკის შედეგი. ფართო გაგებით, ჩაგვრა მიემართება ცალკეული ჯგუფების იგნორირებას, ვრცელ და ღრმა/ძირეულ

უსამართლობას, რომელსაც იწვევს კეთილისმზრახველი ადამიანების, გარეშემომყოფების არაცნობიერი შეფასებები, რეაქციები ჩვეულებრივი ურთიერთობისას, ასევე, მედიაში წარმოებული კულტურული სტერეოტიპები, ბიუროკრატიული იერარქიის სტრუქტურული მახასიათებლები, ბაზრის მექანიზმი - მოკლედ, ყოველდღიური ცხოვრების ჩვეული პროცესები. ჩვენ ვერ მოვსპობთ ამ სტრუქტურულ ჩაგვრას ცალკეული მმართველების თავიდან მოცილებით და ახალი კანონების შექმნით, რადგან ჩაგვრა, სუსტემატურად რეპროდუცირდება ძირითად ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინსტიტუტებში (Young, 1989, თავი 2, გვ. 41).

აირის მერიონ იანგის ჩაგვრის თეორია დამეხმარა გამეანალიზებინა ჩემი კვლევის ემპირიული მონაცემები. ჩაგვრის თითოეული სახე მივუსადაგე ნარატივებში ასახულ სოციალურ პრობლემებს და ვეცადე გამომეყო მათთან გამკლავების ინდივიდუალური სტრატეგიები. ყველა ისტორიაში საუბარია ქალთა ექსპლოატაციაზე - პატრიარქატის მიერ განსაზღვრული ნორმები, მათ ართმევს შესაძლებლობას განვითარდნენ და მოიპოვონ ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ქალთა ექსპლოატაციაში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური შრომის ნაყოფის, არამედ ემოციური, მზრუნველობითი ენერგიების გადაცემა მამაკაცებისთვის.

ექსპლოატაცია გულისხმობს, რომ ზოგიერთი ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებს ახორციელებს სხვა ადამიანთა კონტროლქვეშ, მათივე მიზნებისა და სარგებლისთვის. კაპიტალიზმი სისტემატურად გადასცემს ადამიანთა ნაწილის ძალებს ადამიანთა სხვა ნაწილს, რითიც ამ უკანასკნელთა ძალაუფლება იზრდება. ექსპლოატაციის ცნებაში გამოხატული წამყვანი აზრი ისაა, რომ ჩაგვრა ხორციელდება ერთი ჯგუფის შრომის შედეგების მეორესთვის უწყვეტი გადაცემის მდგრადი პროცესის შედეგად (Young, 1990, თავი 2, გვ. 49).

ფემინისტებმა დაგვანახეს, რომ ქალების ჩაგვრას ნაწილობრივ ქალების მიერ მამაკაცებისთვის მათი აუნაზღაურებელი შრომის სისტემატური გადაცემა შეადგენს. ქალთა ჩაგვრა არ არის მხოლოდ სტატუსის, ძალაუფლების და სიმდიდრის უთანასწორობა. გენდერულ ექსპლოატაციას ორი ასპექტი აქვს - მატერიალური შრომის

ნაყოფის და მზრუნველობითი, სექსუალური ენერგიის მამაკაცებისთვის გადაცემა. ქალების ენერგია და ძალები იხარჯება საშინაო საქმეებზე, ემოციურ, სექსუალურ ზრუნვაზე, ისეთ საქმიანობებზე, რომლებიც სხვებს, ძირითადად მამაკაცებს ასიამოვნებს, სტატუსს აუმაღლებს და დროს დაუტოვებს შემოქმედებითი, უფრო მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის. მამაკაცების თავისუფლების, სტატუსის, ძალაუფლების, თვითრეალიზაციის საფუძველი ქალის შრომაა. ამასთან, ჰეტეროსექსუალობის ნორმები უფრო მეტად მამაკაცის სიამოვნებაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, ქალი მხოლოდ მცირედ, უმნიშვნელო სიამოვნებას იღებს კაცთან სექსუალური კავშირისგან (Young, 1990, თავი 2, გვ. 50-51).

ჩემი კვლევის მონაცემებში, თვალშისაცემია შეზღუდული შესაძლებლობების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების სოციალური პრობლემები. ისინი აღიქმებიან უუნარეობად, საზოგადოების არასრულფასოვან წევრებად. უსარგებლო, ზემდეტი მზრუნველობა და მფარველობითი დამოკიდებულებები მათ მსხვერპლად აქცევს და საკუთარი თავის რწმენას უკარგავს. სტერეოტიპულია დამსაქმებლის შეხედულებებიც, საქართველოში შშმპ ადამიანების დასაქმება ერთ-ერთ პრობლემური საკითხია. მარგინალებს შორის არიან ასევე, მოხუცები, ახალგაზრდები, მარტოხელა დედები, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები და საშუალო ასაკის ადამიანები, რომლებიც კარგავენ და ვეღარ პოულობენ სამუშაო ადგილს. ხანდაზმულებს ნაკლები კომუნიკაცია აქვთ საზოგადოებასთან, უმეტესად სახლებში ატარებენ დროს და ამგვარად, ბევრი მათგანი თავს სიცოცხლეშივე გამოუსადეგრად გრძნობს. იანგი გვთავაზობს ჩაგვრის შემდეგ სახეს - მარგინალიზაცია, რომელიც კარაგად ხსნის ზემოთაღწერილი ადამიანების პრობლემებს და ბედს.

მარგინალები არიან ადამინები, რომლებსაც შრომის სისტემა ვერ ან არ იყენებს. მესამე სამყაროს კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთად, დასავლურმა კაპიტალისტურმა საზოგადოებებმაც აღიარეს - ქვეკლასის კატეგორიაში შემავალი ადამიანების რაოდენობის ზრდა. მარგინალიზაცია ჩაგვრის ყველაზე სახიფათო ფორმაა, რადგან ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოირიცხება სოციალურ ცხოვრებაში

სასარგებლო მონაწილეობისგან. თანამედროვე, განვითარებულმა კაპიტალისტურმა საზოგადოებებმა უკვე აღიარეს მარგინალიზაციით გამოწვეული მატერიალური დეპრივაციის უსამართლობა, განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, სადაც სხვებს ყველაფერი აქვთ უზრუნველყოფილი ცხოვრებისთვის. თანამედროვე საზოგადოებებმა მარგინალიზაციასთან საბრძოლველად კეთილდღეობის სისტემები შექმნეს. თუმცა, ეს სისტემები ვერ ახერხებენ დეპრივაციისა და ტანჯვის/ჩაგვრის ბოლომდე აღმოფხვრას. კეთილდღეობით უზრუნველყოფაც ორი სახის უსამართლობასთანაა დაკავშირებული. პირველი, კეთილდღეობის სისტემები თავის მხრივ, ახალ უსამართლობებს წარმოშობენ - სისტემაზე დამოკიდებული ადამიანები კარგავენ სხვებისთვის მინიჭებულ უფლებებს და მეორე - იზღუდება უნარების განვითარების შესაძლებლობა სოციალურად განსაზღვრული და აღიარებული გზების საშუალებით. მარგინალები არიან მოხუცები, ახალგაზრდები, საშუალო ასაკის ადამიანები, რომლებსაც სამსახურიდან ათავისუფლებენ და ახალს კი ვეღარ პოულობენ, მარტოხელა დედები, მათ შვილები, ფიზიკურად და მენტალურად შეზღუდული ადამიანები.

თანამედროვე ეპოქაში, დამოკიდებული ადამიანების გამორიცხვა თანასწორუფლებიანი მოქალაქეებისგან ცხადად შეფარულია. ისინი დამოკიდებულნი არიან მხარდაჭერის ბიუროკრატიულ ინსტიტუტებზე და საჭიროებებზე მორგებულ სერვისებზე. მოხუცები, ღარიბები, მენტალურად და ფიზიკურად შეზღუდული ადამიანები კეთილდღეობის ბიუროკრატიების წარმომადგენლების მიერ შექმნილი პოლიტიკის დამსჯელობით, დამამცირებელ, თვითნებურ მოპყრობას იტანენ. სოციალური სერვისის მომწოდებლები, საჯარო და კერძო სექტორის მოხელეები აიძულებენ მარგინალებს დაემორჩილონ მათ მიერ შექმნილ წესებს (Young, 1989, თავი 2, გვ. 53-54).

ავტორი აღნიშნავს, რომ მარგინალიზაცია მჩაგვრელ ხასიათს ინარჩუნებს მაშინაც კი, როდესაც თავშესაფარი და საკვები ყველასთვის ხელმისაწვდომია. მაგალითად: შესაძლოა, ხანდაზმულებს ჰქონდეთ კომფორტული ცხოვრებისთვის საჭირო საშუალებები, მაგრამ მარგინალის სტატუსი მათ კვლავ ჩაგრულებს ტოვებს. მაშინაც კი, თუ მარგინალები უზრუნველყოფილნი იქნებიან კეთილდღეობის ინსტიტუტების მიერ კომფორტული ცხოვრების მატერიალური საშუალებებით მათი პატივისცემის,

ღირსებისა და თავისუფლების შენარჩუნების გზით, მარგინალობის უსამართლობები მაინც შენარჩუნდება გამოუსადეგრობის, მოწყენილობის და თვითშეფასების ნაკლები განცდით. მატერიალური საჭიროებების აუცილებლობასთან ერთად, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აღიარებული და ნაყოფიერი აქტივობები, ორგანიზებული სოციალური ურთიერთთანამშრომლობის ფაგრლებში მიიღწევა. სოციალური სტრუქტურები და პროცესები კი უსამართლოა, თუ ადამიანები გამოირიცხებიან სოციალურ კოოპერაციაში სასარგებლო მონაწილეობისგან (Young, 1989, თავი 2, გვ. 55). იანგის ეს განმარტება ხსნის ჩემს ემპირიულ მონაცემებს, სადაც მარგინალური ჯგუფები სოციალური ურთიერთთანამშრომლობის ნაკლებობასა და მისგან გამოწვეულ ჩაგვრაზე, უსამართლობაზე საუბრობენ.

ადამიანთა უდიდესი ნაწილის შრომა მიემართება მცირე, პრივილეგირებული ნაწილის ძალაუფლების ზრდასა და განმტკიცება/შენარჩუნებას. „საშუალო კლასსა“ და „მუშათა კლასს“ შორის განსხვავება გამოიხატება პროფესიონალებისა და არაპროფესიონალების შრომის სოციალური დანაწილებით. არაპროფესიონალებს ექსპლოატაციასთან ერთად ჩაგვრის კიდევ ერთი სახე ეხებათ - *ძალის/ძალაუფლების არ ქონა.* არაპროფესიონალებს არა აქვთ ძალაუფლება, ისინი იღებენ ბრძანებებს, თავად კი ვერასოდეს გასცემენ განკარგულებებს. შრომის ამგვარი დანაწილება „მუშათა კლასის“ წარმომადგნელებს უნარების განვითარების და წინსვლის შესაძლებლობას უკვეცავს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალებსაც ზედამხედველები ჰყავთ და გადაწყვეტილებებზე უშუალო გავლენას ვერ ახდენენ, უმეტესობას სამუშაო პრივილეგიები მაინც აქვს. ისინი გარკვეულ ძალაუფლებას ფლობენ სხვებზე - მუშებზე, თანაშემწეებზე. მათი უპირატესობები სცდება სამუშაო ადგილს და მთელ ცხოვრებაზე ვრცელდება. სწორედ ეს არის რესპექტაბელობა, პროფესიონალები მოელიან და იღებენ კიდეც პატივისცემას სხვებისგან (Young, 1990, თავი 2, გვ. 56-57).

კუტლტურული იმპერიალიზმის მსხვერპლებად მე მოვიაზრებ უმცირესობებს - მენტალურად და ფიზიკურად შეზღუდულ ადამიანებს, ლგბტ თემის წარმომადგენლებს. ჩემს ემპირიულ მონაცემებში, ეს ორი ჯგუფი პარალელსაც კი ავლებს ერთმანეთის მდგომარეობასთან. ნარატივებში ШМП ადამიანები აღნიშნავენ, რომ

საქართველოში ზუსტად ისევე არიან „დაღდასმულები“ და „სხვად“ მონიშნულები, როგორც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები.

ექსპლოატაცია, მარგინალიზაცია და ძალაუფლების/ძალის არ ქონა მიემართება შრომის დაყოფისას ძალაუფლებისა და ჩაგვრის ურთიერთკავშირს - ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ მათთვის, ვინც არ მუშაობს და სარგებელს იღებს მათგან, ვისი ჩანაცვლებაც ყოველთვის შეიძლება (Young, 1989, თავი 2, გვ. 58).

გამოსცადო *კულტურული იმპერიალიზმი* ნიშნავს გამოსცადო საზოგადოების დომინანტი ჯგუფების მიერ განსხვავებული ჯგუფების უხილავად, „სხვად“ მონიშვნა და ამავე დროს, მათი სტერეოტიპიზაცია. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული, დომინანტური კულტურული პროდუქტები ასახავენ დომინანტი დაჯგუფებების გამოცდილებას, ღირებულებს, მიზნებსა და მიღწევებს. კულტურული პროდუქტები ასახავენ პრივილეგირებულთა მოსაზრებებს და მოვლენების მათეულ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის, ამერიკელ ინდიელებსა და ევროპელებს შორის, ევროპელებსა და აფრიკელებს შორის, ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის, ჰომოსექსუალებსა და ჰეტეროსექსუალებს შორის, მუშებსა და პროფესიონალებს შორის - დევიაციად და არასრულფასოვნებად ითვლება (Young, 1989, თავი 2, გვ. 58-59).

ავტორი ჩაგვრის მეხუთე სახედ *ძალადობას* მოიაზრებს. ჩემი კვლევის შედეგად, სისტემური ძალადობის მსხვერპლები არიან კულტურული იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ადამიანები. აქაც, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, ორმაგად სტიგმატიზირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. ისინი გამუდმებით მოითხოვენ ბაზისური უფლებების დაცვას, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საჭირო მომსახურებაზე და მუდმივად სტრესულ გარემოში ცხოვრობენ.

და ბოლოს, არაერთი ჯგუფი იტანჯება სისტემური *ძალადობის* მიერ წარმოებული ჩაგვრით. „სხვად“ მონიშნულ ჯგუფის წევრებს მუდმივად შიშის ქვეშ უწევთ ცხოვრება, გამუდმებით ეშინიათ უმიზეზო თავდასხმების, რომლებიც არ არის მათ მიერ პროვოცირებული და მიზნად ისახავს ჯგუფის „უხილავი“ წევრების შეურაცხყოფას,

დაზიანებას, ფიზიკურ განადგურებას. განსაცვიფრებელია ფიზიკური ძალადობის შემთხვევები ქალებზე, ფერადკანიანებზე, აზიელებზე, არაბებზე, გეებსა და ლესბოსელებზე. ისინი მუდმივად ძალადობის მუქარის წნეხის ქვეშ ცხოვრობენ. განსაკუთრებით იზრდება გეი მამაკაცებსა და ლესბოსელ ქალებზე თავდასხმები. ავტორი სხვამს კითხვას - რატომ დუმს მსგავს უსამართლობებზე სამართლიანობის თეორიები? იანგის აზრით, თეორეტიკოსები ძალადობის და შევიწროების მსგავს ინცინდენტებს სოციალური უსამართლობის გამოვლინებად არ აღიქვამენ. ძალადობას სოციალური უსამართლობის ფენომენად აქცევს მისი სისტემური ხასიათი და სოციალური პრაქტიკის სახით არსებობა. ქალების, ფერადკანიანების, გეების და სხვა „მონიშნული“ ჯგუფის წევრების გაუპატიურება, ფიზიკური შეურაცხყოფა, მკვლელობა მოტივირებულია ამ ჯგუფების შიშით ან სიძულვილით (Young, 1989, თავი 2, გვ. 61-62).

თავი II. „პატრიარქატის გაგება“

ბელ ჰუქსის სახელით ცნობილი ამერიკელი მწერალი, აკადემიკოსი, ფემინისტი და სოციალური აქტივისტი გლორია ჯინ ვოტკინსი ესეში „პატრიარქატის გაგება“ საუბრობს პატრიარქატზე და მას სიცოცხლისთვის სახიფათო სოციალურ დაავადებას უწოდებს. მამაკაცები სიტყვა „პატრიარქატს“ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იყენებენ, მათ არ იციან რას ნიშნავს ის, როგორ შეიქმნა და შენარჩუნდა დღემდე. ხოლო ვინც იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა, პატრიარქატს ქალთა გათავისუფლებასთან, ფემინიზმთან აკავშირებს და გამორიცხავს საკუთარი გამოცდილებისგან.

პატრიარქატი პოლიტიკურ-სოციალური სისტემაა, რომელიც მამაკაცის უპირობო დომინანტურობას ამტკიცებს, განიხილავს მას ყველაფრის და ყველას ხელმძღვანელად, ვისაც/რასაც სუსტად მიიჩნევს, განსაკუთრებით ქალებს და ანიჭებს მათ უფლებას მოიპოვონ უპირატესობა და მართონ სუსტები, განამტკიცონ დომინანტურობა ფსიქოლოგიური ტერორიზმის და ძალადობის მრავალფეროვანი ფორმებით.

ავტორი თვლის, რომ ადამიანებს პატრიარქალურ აზროვნებას რელიგია უნერგავს. ეკლესიაში ისინი სწავლობენ როგორ შექმნა უფალმა მამაკაცი სამყაროში ყველას და ყველაფრის სამართავად და ქალი, როგორც მამაკაცის დამხმარე ამ ამოცანების შესრულებისას, მორჩილი და ურთიერთობისას ძლიერ მამაკაცს დაქვემდებარებული როლის მიმღები. მათ ასწავლეს, რომ ღმერთი მამაკაცი იყო. ეს სწავლებები მხარდაჭერილი და განმტკიცებულია - სკოლაში, სასამართლოში, კლუბებში, სპორტულ მოედნებზე და ეკლესიაში. პატრიარქალური აზროვნების მიღებით, ისინი, ისევე როგორც ყველა მათ გარშემო, თავიანთ შვილებს უნერგავენ და ასწავლიან პატრიარქატის მორჩილებას, რადგან ის სოციალური ცხოვრების ორგანიზების „ბუნებრივ“ გზად მიიჩნევა.

„მე როგორც გოგოს მასწავლიდნენ, რომ უნდა ვიყო სუსტი, მზრუნველი სხვებისადმი, რომ ქალისთვის შეუფერებელია იყოს მოძალადე, მასწავლეს, რომ უნდა გამომეხატა ემოციები, გრძნობები. ჩემს ძმას კი შთააგონებდნენ, რომ უნდა ყოფილიყო ძლიერი, ეფიქრა, დაეგეგმა, რომ საჭირო დროს ძალადობა გარდაუვალია, მას ასწავლეს, რომ

ემოციების გამოხატვა მამაკაცისთვის დაუშვებელია. როდესაც თოჯინად ყოფნას ბრაზით და აგრესიით ვუპასუხე, პატრიარქალურ ოჯახში მითხრეს, რომ გაბრაზება ქალისთვის შეუფერებელი გრძნობაა, ჩემს ძმას კი პირიქით, სიბრაზეს უქებდნენ და ასწავლიდნენ, როგორ უნდა გაეთავისუფლებინა თავი მისგან. მისი აგრესია და წინააღმდეგობა მშობლების სურვილისადმი დაუშვებელი იყო, მაგრამ როდესაც გაიზარდა, უთხრეს რომ, აგრესია ოჯახის და ერის დაცვაში დაეხმარებოდა.

გენდერულ როლებზე წარმოდგენები ხშირად გვაბდენდა მე და ჩემს ძმას, რადგან მე რეალურად, მასზე ძლიერი და აგრესიული ვიყავი, ის კი მშვიდი და ნაზი. ამის მიუხედავად, ერთი რამ გვესმოდა, ისე უნდა მოვქცეულიყავით, როგორც გვასწავლეს და არა ისე, როგორც თავად გვსურდა, რომ გვეცხოვრა“ (Watkins, 2016, გვ. 1).

ესეში ავტორი გვიყვება მის წარსულ, მტკივნეულ მოგონებაზე - როგორ სცემა 4-5 წლის აგრესიული, კონკურენტუნარიანი გოგონა პატრიარქალური ოჯახის უფროსმა მამამ ჭკუის სასწავლებლად. ოთახში ჩაკეტილ გოგონას დედა აკითხავდა. მისი როლი, დავალება პატრიარქალურ სისტემაში მამაკაცის ქმედების გამართლებით შემოიფარგლებოდა: „მე გაფრთხილებდი, შენ უნდა გახსოვდეს, რომ გოგონა ხარ და ისე ვერ მოიქცევი, როგორც ბიჭები იქცევიან“.

ბელ ჰუკსს ეს ისტორია კარგად ახსოვს, რადგან გამუდმებით უმეორებდნენ და ახსენებდნენ ამ სტრესულ დღეს. არავის აღელვებდა, რომ სისტემატურ მოყოლებს და შეხსენებებს, შესაძლოა პოსტ-ტრავმული სტრესი გამოეწვია. ეს არ ყოფილა უბრალო შეხსენებები - ის აუცილებელი იყო აბსოლუტური ძალაუფლების განსამტკიცებლად, პატრიარქალური ოჯახის უფროსი მამაკაცი ქალიშვილს არა მხოლოდ მის გენდერულ როლს შეახსენებდა, არამედ აფრთხილებდა ყველას, ვინც ძალადობის ფაქტს შეესწრო - ქალიშვილებს, ვაჟიშვილებს, დედას, რომ მამა ოჯახის მმართველი იყო. ის ახსენებდა, მათ, რომ თუ დადგენილ წესებს არ დაემორჩილებოდნენ სასჯელი ელოდათ, სასიკვდილოც კი (Watkins, 2016. გვ. 2).

ავტორის გამოცდილებაში უნიკალური და განსაკუთრებული არაფერია, რადგან პატრიარქალურ ოჯახში გაზრდილი ბავშვების უმეტესობას, შეუძლია გაიხსენოს

მსგავსი ისტორია. ჩემს ემპირიულ მონაცემებში, მრავლადაა ასახული პატრიარქატის ძალაუფლებისგან დაზარალებული ქალების ისტორიები. ყველა მათგანს გამოუცდია ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური შეურაცხყოფა ოჯახის უფროსი მამაკაცისგან. სინამდვილეში, სწორედ „ბუნებრივი სოციალური წესრიგის დაცვის და განმტკიცების“ სურვილი ამოძრავებთ მოძალადე მამაკაცებს. ქალი ვერასოდეს დაიკავებს მამაკაცის ადგილს, რადგან მას ბუნებამ დაქვემდებარებული როლი არგუნა.

ავტორის თეორიის თანახმად, პატრიარქატი ძალადობს არა მხოლოდ ქალებზე, არამედ მამაკაცებზეც და ამავე დროს, ქალებიც განამტკიცებენ პატრიარქატის ძალაუფლებას ჩვენთვის მისი წესების მუდმივი ჩაგონებით. პატრიარქალური აზროვნება აყალიბებს ჩვენს კულტურულ ღირებულებებს და მათ განამტკიცებს ჩვენს გარშემო არსებული ინსტიტუტები. პატრიარქატი მოითხოვს მამაკაცის ბატონობას, ნებისმიერი საჭირო საშუალებით, შესაბამისად, მხარს უჭერს, აწარმოებს და დასაშვებად მიიჩნევს ამორალურ, შეურაცხმყოფელ სექსისტურ ძალადობას. სექსისტური ძალადობაა გაუპატიურების და სასტიკი მოპყრობის ფაქტები ინტიმური პარტნიორის მხრიდან. თუმცა, პატრიარქალური ძალადობის ყველაზე გავრცელებული და ჩვეული ფორმაა მშობლების შვილებზე ძალადობაც. პატრიარქალურ კულტურას განმტკიცებს ოჯახში მომხდარი ფაქტების შესახებ სიმართლის დამალვა. ჩვენ ვინახავთ პატრიარქატის საიდუმლობებს, უთქმელ წესებს და ამით სიცოცხლეს ვუხანგრძლივებთ მას. სიჩუმის წესი (The rule of silence) მხარს უჭერს კულტურას და სიტყვა „პატრიარქატი“ ბევრისთვის გაუგებარ, მიუწვდომელ სიტყვად რჩება. ბავშვების უმეტესობას არ ასწავლიან, რა უწოდონ ინსტიტუციონალიზებული გენდერული როლების სისტემას. შესაბამისად, ისმის კითხვა - როგორ უნდა შევცვალოთ სისტემა, რომელიც არც კი სახელდება (Watkins, 2016, გვ. 3).

ესეში ავტორი ხაზს უსვამს, რომ პატრიარქალური იდეოლოგია ტვინს ურეცხავს მამაკაცებს და აჯერებს, რომ მათი დომინაცია ქალზე სასარგებლოა, როდესაც ეს ასე არ არის. პატრიარქატი იწვევს კაცების ემოციურ პარალიზებას (Emocional cripple). სისტემა თავს ესხმის ბიჭებს და იწვევს მათ ვიქტიმიზაციას, თუ არ გახდებიან მისი ერთგული წევრები (Watkins, 2016, გვ. 4).

პატრიარქალური იდეოლოგიის კაცებზე ძალადობა, მათთვის ემოციური თვითგამოხატვის აკრძალვა, ჩემი ემპირიული კვლევის ფარგლებში, ერთ-ერთ ნარატივში ქვეთემად გამოიყო.

კაცებიც ხომ ძალადობის მსხვერპლნი არიან? კულტურა მათაც ნორმებს უწესებს: არ უნდა იტირონ, არ უნდა გამოხატონ ემოციები, უნდა იყვნენ რაციონალურად პრაგმატულები და კულტურა არ ეკითხება, უნდათ თუ არა მათ ეს, ან შეუძლიათ თუ არა მათ ამ პასუხისმგებლობის ტარება.

თანამედროვე ეპოქაში, მამაკაცები დგანან კრიზისის წინაშე და ეს არის არა მასკულინობის, არამედ პატრიარქალური მასკულინობის კრიზისი. პატრიარქატის დასასრულებლად უნდა ვებრძოლოთ ფსიქოლოგიურ პატრიარქატსაც და მის კონკრეტულ გამოვლინებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში. კაცების მენტალური ავადმყოფობის დასასრულებლად, კრიზისის საპასუხოდ, ორივე სქესმა უნდა გააცნობიეროს, რომ პატრიარქატი პრობლემაა, ის უნდა დასრულდეს. ჩვენ ყველაფერი უნდა შევცვალოთ (Watkins, 2016, გვ. 5-6).

2.1 სექსიზმი

მერილინ ფრაი ნაშრომში „სინამდვილის პოლიტიკა: ესეები ფემინისტურ თეორიებზე“, საუბრობს ქალთა ჩაგვრასა და სექსიზმზე. ავტორი სექსიზმს განმარტავს, როგორც ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ქმნის, განამტკიცებს, იყენებს ან აწარმოებს შეუსაბამო და პატივის ამყრელ, შეურაცხმყოფელ ქმედებას სქესთა შორის განსხვავების მოსანიშნად.

ჩემი კვლევის ფარგლებში, თვალშისაცემია სექსიზმის მსხვერპლი ქალების ისტორიები. გავლენიანი, ძალაუფლების მქონე მამაკაცები (მამები, მეუღლეები, ძმები, ინტიმური პარტნიორები) ქალებს დაქვემდებარებულ არსებებად აღიქვამენ და თავს მოვალედ თვლიან აკონტროლონ მათი ცხოვრების ყველა ეტაპი. ქალი უნდა ემორჩილებოდეს ოჯახის უფროს მამაკაცს, უვლიდეს შვილებს, მეუღლეს, მეუღლის ახლობლებს და

შემოიფარგლებოდეს „ქალური“ საქმეებით - საოჯახო საქმე და სოფლის მეურნეობა (მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მიწის დამუშავება). სექსიზმი იგრძნობა საზოგადოებრივ სფეროშიც - მცირეა ხელმძღვანელ პოსტებზე დასაქმებული ქალების რაოდენობა, რადგან ე. წ „შუშის ჭერი“ ართმევს მათ შესაძლებლობას დაწინაურდნენ იერარქიულ კიბეზე - ორგანიზაციათა უმრავლესობაში არსებობს ე.წ უხილავი ჭერი, რომლის ზემოთაც ქალები და აგრეთვე, არაევროპული წარმოშობის ამერიკელები, უბრალოდ ვერ ადიან (წერეთელი, 2006, გვ. 76).

სექსიზმის უკეთ გასაგებად ფრაი გვთავაზობს მაგალითებს - წყვილი შედის რესტორანში, დიასახლისი ან უფროსი მიმტანი ეგებება მათ და მიმართავს მამაკაცს და არ მიმართავს ქალს, ექიმი მამაკაცს მიმართავს გვარით და პატივისცემის გამომხატველი სიტყვით (ბატონო ბაქსტერ), იგივე ექიმი ქალს მიმართავს სახელით (ნენსი, გლორია). ჩვენ ვულოცავთ ჩვენს მეგობრებს სხვადასხვანაირად - ჩახუტებით, ტაშის კვრით, ხელის ჩამორთმევით, კოცნით. ერთ-ერთი მიზეზი რატომაც ვიქცევით ასე, სწორედ ჩვენი მეგობრის სქესია. ჩვენი ქცევა დამოკიდებულია ქალებთან და მამაკაცებთან ურთიერთობის განსხვავებულობაზე. მისალმება, ამბის მოყოლა, ბრძანების გაცემა, ბრძანების მიღება, ურთიერთობები, ჟესტიკულაცია განსხვავებულობის და უპირატესობის განსამტკიცებლად, წახალისება, გამოწვევა, ინფორმაციის მიღება - ეს ყველაფერი სრულდება განსხვავებულად, სქესის შესაბამისად.

მართალია, ეს დასკვნები სოციოლოგიური და სოციოლინგვისტური კვლევებითაა დამტკიცებული, მაგრამ მსგავსი ქცევები მარტივად ვლინდება საკუთარ გამოცდილებაზე დაკვირვებითაც. სექსიზმის ნიშნების აღმოსაჩენად საკმარისია დავაკვირდეთ შემდეგი სახის ქცევებს ქალთან და მამაკაცთან მისალმებისას: თვალებით კონტაქტის ხანგრძლივობა, შეხების სიხშირე და ტიპი, ხმის სიმაღლე და ტონალობა, ფიზიკური დისტანციის შენარჩუნება სხეულებს შორის, როგორ და როდის ვიღიმით, სლენგისა და უწმაწური სიტყვების გამოყენების სიხშირე. სქესთა შორის განსხვავებებს განამტკიცებს ლინგვისტიკა, ჩვენი ყოველდღიური ენა. უამრავ სიტყვაში, თავისთავად ვგულისხმობთ სქესს (მაგ: პილოტი, ძიძა). თუმცა, რადგანაც ჩვენი ცხოვრება

დამოკიდებულია ინტერაქციისა და კომუნიკაციის ჩვენსავე უნარზე, სქესის მონიშვნის ქცევა არის სავალდებულო და ყოვლისმომცველი (Frye, 1983, გვ. 18-20).

ქალებიც და კაცებიც ჩვენი დამოკიდებულებებით, ქცევით, ათასგვარი გზით მოვნიშნავთ/ვამხელთ სქესს: ვიკაზმებით ტანსაცმლით, დეკორაციებით. ერთმანეთისგან გამოგვარჩევს ყველა შემთხვევისთვის განსხვავებული აქსესუარები, ვარცხნილობა, კოსმეტიკა. ეს ატრიბუტიკა ასოცირებულია ბინარულ სქესთან. ასევე, კანის ფერის, სიარულის, ჟესტიკულაციის, პოზების, მეტყველების, იუმორის, გემოვნების, აღქმის, ინტერესის განსხვავებულობა ადრეული ასაკიდანვე გვაყალიბებს ქალებად და კაცებად (Frye, 1983, გვ. 22-24).

სქესის მონიშვნა/გაცხადება თანაბრად მნიშვნელოვანია კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც, მაგრამ საქმე სწორედ თანასწორობას ეხება - ქცევის მნიშვნელობა კაცისთვის და ქალისთვის რადიკალურად განსხვავებულია. იყო ქალი, ქალური ნიშნავს დაიკავო მცირე სივრცე, იყო ჩუმი, მოკრძალებული, დამთმობი და გულისხმიერი (ემოციურად თანაუგრძნო სხვებს). ამ განცხადებას გამოკვლევა არ სჭირდება, რადგან უამრავჯერაა გამოკვლეული ფემინისტურ თეორიებში. ავტორის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: ქალიც და მამაკაციც აცხადებს საკუთარ სქესს, მაგრამ ქცევა რომლითაც ქალურობა მოინიშნება, მამაკაცის ქცევასთან შედარებით, საკუთარ თავშივე შეზღუდულია ფიზიკურადაც და სოციალურადაც. სქესის გაცხადებით, მამაკაცი დომინანტური ჯგუფის წევრად მოიაზრებს თავს, ქალი კი სუბორდინირებული ჯგუფის წევრად. სქესის მონიშვნის იძულება/ვალდებულება არის ძალა, რომელიც განამტკიცებს ქალის ჩაგვრას.

ჩაგვრა არის ურთიერთდაკავშირებული წინაღობების და ძალაუფლების სისტემა, რომელიც ამცირებს, უუნაროს ხდის და იმორჩილებს განსაზღვრული ჯგუფის წევრებს. სუბორდინაციაზე თანხმობის შესანარჩუნებლად ყველაზე ეფექტური გზაა, ადამიანების დარწმუნება, იმაში, რომ გარდაუვალია დომინაცია-სუბრდინაციის სტრუქტურის არ არსებობა.

ჩაგვრა/სუბორდინაცია უნდა გამოიყურებოდეს ბუნებრივად და არ უნდა ამხელდეს მის კავშირს ადამიანების ნებასთან, გადაწყვეტილებებთან. ბუნებრივი უნდა იყოს ინიდივიდების დომინაცია ინდივიდებზე, ერთ ჯგუფის დომინაცია მეორე ჯგუფზე. მამაკაცის ბატონობის და ქალის დაქვემდებარებულობის ბუნებრიობა მხარდაჭერილია, იმით, რომ კაცი ჰგავს სხვა კაცებს და განსხვადება ქალისგან, ხოლო ქალი ჰგავს სხვა ქალებს და განსხვავდება კაცისგან. ჩვენ გვასწავლიან მოვიქცეთ ქალურად და კაცურად, განსხვავებულად მოვეპყროთ ქალებს და კაცებს, რაც თავის მხრივ მძლავრად განამტკიცებს სქესობრივ დიმორფულობას. ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიური სხვაობა ამართლებს შრომის და პასუხისმგებლობების დაყოფას, რაც კარგად ჩანს თანამედროვე პატრიარქალურ ოჯახში და სამუშაო ადგილას, სადაც ხელმძღვანელი მამაკაცია. საყოველთაოდ მიღებული ტრადიციები, კულტურის არტეფაქტები გვაიძულებს დავემორჩილოთ სუბორდინაცია-დომინაციის ამორალურ სისტემას. შესაბამისად, საჭიროა ჩაგვრის მწარმოებელი კულტურული მოცემულობების დარღვევა (Frey, 1983, გვ. 29-35).

თავი III. სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა

ადრიან რიჩი ნაშრომში „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური არსებობა“ საუბრობს ჰეტეროსექსუალობის ნორმატულობაზე, პატრიარქატის ძალაუფლებაზე, რომელიც ჩაგვარს, იმორჩილებს ქალს, ართმევს თვითგამოხატვის უფლებას და იღებს სარგებელს ქალის სუბორდინირებული პოზიციისგან, იყენებს მის ემოციურ, სექსუალურ ენერგიას.

რიჩის თეორია თავსმოხვეულ ჰეტეროსექსუალობაზე კარგად ეხმიანება ჩემს ემპირიულ მონაცემებში ასახულ ისტორიებს, სადაც ლესბოსური სექსუალობა გაიგივებულია ავადმყოფობასთან, ჰეტეროსექსულობის დევიაციურ ფორმასთან. შვილის მიერ ოჯახში ლესბოსური „ქამინგ აუთი“ ტრაგედიად აღიქმება, წარმოუდგენელია პატრიარქალური ოჯახის უფროსმა იცოდეს ან მიიღოს მსგავსი გაცხადება. აღიარებას შედარებით ლოიალურად იღებს მშობელი დედა, იმ იმედით, რომ ეს „გადახრა“, „დევიაცია“ დროებითია და „გაივლის“. ჩემი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტები ჰყვებიან, რომ დედები არ არიან მზად ბოლომდე გააცნობიერონ და მიიღონ შვილის არჩევანი. ემპირიულ მონაცემებში, მშობელ მამასთან საკუთარი სექსუალობის გაცხადების ფაქტი არსად არ გვხვდება, ერთადერთი შემთხვევა უკავშირდება მამის დაუზუსტებელ ეჭვებს, რომელიც „ფემინური ჩაცმის სტილის“ დარღვევამ და საკუთარ სხეულზე კონტროლის მოპოვების მცდელობამ გამოიწვია. ამ შემთხვევაში, პატრიარქალური ოჯახის უფროსი მამაკაცი ძალადობს შვილზე - ფიზიკურად უსწორდება მას და სახლიდან წასვლას აიძულებს.

ეს და კიდევ უამრავი სხვა პრობლემა საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ ერთ-ერთი სახლში გვიან მისვლის შემდეგ ძალიან სერიოზნული ჩხუბი გვქონდა (ღრიალით და ცემა-ტყეპით) და მამა სახლიდან მაგდებდა იმ არგუმენტით, რომ არ უნდოდა ისეთი ვყოფილიყავი, სხვები რომ პატრონს უგინებენ და კიცხავენ. და რომ „ჩემნაირ“ ტიპებს თვითონვე აგინებდა თანამშრომლებთან ერთად და თავის თავთან მართალი უნდა ყოფილიყო. და რომ სანამ მის სახლში ვიყავი მისი წესებით უნდა მეცხოვრა, მინდოდა ეს მე თუ არა“.

ნაშრომის ფარგლებში, რიჩი განიხილავს ქეთლინ გაფის მიერ ჩამოყალიბებული მამაკაცური ძალაუფლების გამოხატვის რვა ნიშანს არქაულ და თანამედროვე საზოგადოებაში.

1. ქალთა სექსუალობის უარყოფა

(კლიტორის მოკვეთა (გენიტალიების დამახინჯება); „უბიწოების ქამარი"; დასჯა - სიკვდილი მეუღლის ღალატისთვის; დასჯა - სიკვდილი ლესბოსური სექსუალობისთვის; კლიტორის ფსიქოანალიტიკური უარყოფა; ჩუკენობის კრიტიკა; საშვილოსნოს იძულებითი ამოკვეთა (ჰისტერექტომია); ლესბოური ისტორიების/გამოცდილების შემცველი დოკუმენტების განადგურება, არქივის დახურვა;).

2. მამაკაცური სექსუალობის დამტკიცება ქალისთვის

(გაუპატიურება (ოჯახური ურთიერთობისას სექსუალური ძალადობის/გაუპატიურების ჩათვლით) და ცოლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება; მამისა და ქალიშვილის, ძმისა და დის ინცესტი; ჰეტეროსექსუალური რომანტიკის იდეალიზება ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მასმედიაში, რეკლამებში; დაგეგმილი ქორწინება/ნიშნობა; პროსტიტუცია; ჰარამხანა; ფრიგიდულობის და ვაგინალური ორგაზმის ფსიქოანალიტიკური დოქტრინები; პორნოგრაფია, რომელიც ამტკიცებს, რომ ქალი სექსუალური ძალადობისა და ჩაგვრისაგან სიამოვნებას იღებს;).

3. ქალების შრომის კონტროლი და გამოყენება

(ქორწინებისა და დედობის ინსტიტუტები; ანაზღაურებად შრომაში ქალის შრომის ჰორიზონტალური სეგრეგაცია; აბორტზე, კონტრაცეფციასა და შვილების გაჩენაზე კაცის კონტროლი; იძულებითი სტერილიზაცია; ქალის მიერ ახალშობილის მკვლელობა - ინფანტიციდი, რომელიც ქალის ფენომენის გაუფასურებას ემსახურება;).

4. შვილების კონტროლი და მათი წართმევა დედისთვის

(მამის უფლებები და ბავშვის „ლეგალური გატაცების“ მეთოდი; სისტემატური ინფანტიციდი (ახალშობილთა მკვლელობა); სასამართლოს მიერ ლესბოსელი ქალებისთვის შვილების ჩამორთმევა;).

5. ფიზიკური შეზღუდვა და გადაადგილების აკრძალვა

(გაუპატიურება; ქალის ქუჩისგან დახსნა; ჩადრი; ფეხის შეკვრა; ქალის ათლეტური უნარის ატროფია; მაღალი მოდა; „ფემინური“ დრეს კოდი; ვუალი; სექსუალური შევიწროება ქუჩაში; დასაქმების ადგილზე ქალის შრომის ჰორიზონტალური სეგრეგაცია; ცოლების იძულებითი ეკონომიკური დამოკიდებულება ქმრებზე;).

6. ქალების ობიექტებად გამოყენება მამაკაცურ გარიგებებში

(ქალი, როგორც „საჩუქარი“, „პატარძლის ფასი“ (სასიძოს მიერ პატარძლის მშობლებისთვის გადაცემული ფული ან საქონელი); ქალის გასართობად გამოყენება;).

7. ქალების შემოქმედებითი უნარის შეზღუდვა

(კამპანიები ქალი ექიმების/მკურნალების წინააღმდეგ, ქალის კრეატიულობისკენ სწრაფვის ჩახშობა;)

მამაკაცური ძალაუფლების გამოვლენის ამ ნიშანს თუ ჩემს ემპირიულ მონაცემებს შევადარებ „ქალი და ქირურგი, მე არ გამიგია“ განაცხადს გადავაწყდებით.

8. საზოგადოებრივი ცოდნისა და კულტურული ღირებულებების დაცვა ქალებისგან

(ქალთა განათლების უარყოფა - მსოფლიოში წერა-კითხვის უცოდინრებს შორის 60% ქალია; „დიდი დუმილი“ - ისტორიასა და კულტურაში ქალის, განსაკუთრებით ლესბოსელი ქალის არსებობის შესახებ; სქესობრივი როლების სტერეოტიპიზაცია, რომელიც უგელებელყოფს ქალს მეცნიერებიდან, ტექნოლოგიიდან და სხვა „მასკულინური“ მოღვაწეობის სფეროებიდან; მამაკაცური კავშირები (Male Bonding), რომელიც ქალს გამორიცხავს; ქალების დისკრიმინაცია პროფესიებში;)

ეს არის მეთოდები, რომლის საშუალებითაც გამოიხატება და ნარჩუნდება მამაკაცური ძალაუფლება. ზოგიერთი მეთოდი ადვილად ამოსაცნობია - ჰეტეროსექსუალობის იძულება, „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა“, „უმანკოების ქამარი“, არასრულწლოვანთა ქორწინება, ლესბოსური გამოცდილების ამოშლა ლიტერატურიდან, ფილმებიდან. ჰეტეროსექსუალობის რომანტიზება და ქორწინება კი ცნობიერების კონტროლის ფორმებია (Rich, 1980, გვ. 637-640).

მამაკაცის სექსუალური ძალადობა ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში „ნორმალურად“ მიიჩნევა, ქალებს შორის ემოციური და ეროტიკული კავშირი კი „ავადმყოფობად“ მოიხსენიება. „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა“ მამაკაცის მხრიდან ქალზე ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს (Rich, 1980, გვ. 641).

რაც შეეხება, სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას, ფაქტი ერთია, სამუშაო ადგილი სხვა სოციალურ ინსტიტიტებთან ერთად, არის ადგილი, სადაც ქალმა გადარჩენის ფასად უნდა ისწავლოს მამაკაცის ფსიქიკური და ფიზიკური ძალმომრეობის თვინიერად მიღება. ქალი, რომელიც არ მიიღებს მამაკაცის ძალმომრეობას ფრიგიდულად, ლესბოსელად აღიქმება. ხშირად, მატერიალურად შეზღუდული ქალები, ამ ძალმომრეობის თავიდან ასაცილებლად ქორწინების გზას ირჩევენ, როგორც საიმედო, დამცავ საშუალებას (Rich, 1980, გვ. 642).

სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა არ გულისხმობს მარტივ „გენდერულ უთანასწორო-ბას“, მამაკაცების დომინაციას კულტურაზე, არც ტაბუებს ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ, არამედ ჰეტეროსექსუალობის გარდაუვალობას ქალებისთვის და ამით მამაკაცის ფიზიკური, ეკონომიკური და ემოციური უფლების წვდომას ქალებზე. რიჩი აღნიშნავს, რომ უხილავი ლესბოსელობა და მისი მარგინალიზაცია, სწორედაც ქალთა ჯგუფის გათავისუფლებისა და გაძლიერების საწინააღმდეგოდ მუშაობს (Rich, 1980, გვ. 647-648).

3.1 მასკულინობა

ჩაგვრის სახეებზე საუბრისას უნდა შევეხოთ მასკულინობის ცნებას. ჩემს ემპირიულ მონაცემებში ქალებისა და სექსუალური უმცირესობების ჩაგვრა განპირობებულია პატრიარქალური წესრიგისა და მამაკაცური მასკულინობების საზოგადოებრივი აღქმით. ოჯახის უფროსი, პრივილეგირებული მამაკაცი აკონტროლებს ცოლების, შვილების ცხოვრების ყველა ეტაპს. ერთ მხრივ, მამაკაცი ემორჩილება სტერეოტიპულ განწყობებს, რომლის თანახმადაც, გოგონებს არ სჭირდებათ განათლება, ისინი უნდა „ჩაბარდნენ პატრონს“, ხოლო რადგანაც „მარტო დარჩენილი ქალი სახიფათოა და აიშვებს“ ისინი მხოლოდ საოჯახო საქმეებით უნდა კავდებოდნენ. ბიჭი შვილების შემთხვევაში ფემინური თვისებები მკაცრად იკიცხება - *„მხოლოდ ქალაჩუნები ტირიან“.* ამ წესების დაცვით, მამაკაცურ დომინაციას და ჩვეულ სოციალურ წესრიგს საფრთხე არ ემუქრება. „ჰეგემონური მასკულინობის ცნება“ ეხმიანება ჩემი კვლევის ნარატივებში სექსუალური უმცირესობების პრობლემებს. ჰეტეროსექსუალი, პატრიოტი, ოჯახის სიწმინდის დამცველი მამაკაცები ძალადობენ ჰომოსექსუალ კაცებზე და „უცხოდ“, „სხვად“ მონიშნავენ მათ, ისევ და ისევ მასკულინური ჰეგემონიის დასაცავად და განსამტკიცებლად.

მასკულინობის თანამედროვე განსაზღვრება გულისხმობს, რომ ქცევა გამომდინარეობს პიროვნების ტიპისგან - არამამაკაცური კაცი სხვანაირად მოიქცევა: უფრო მშვიდობიანი იქნება, ვიდრე მოძალადე, უფრო თანასწორობაზე ორიენტირებული, ვიდრე დომინანტი, არ დააინტერესებს ფეხბურთი, სექსუალური გამარჯვებები და სხვა. ეს ცნება ერთგვარად შედარებითიცაა. მასკულინობა არ არსებობს ცალკე, ფემინურობასთან კონტრასტის გარეშე. კულტურაში, სადაც არ არსებობს ქალი და კაცი, როგორც ორი განსხვავებული და პოლარიზებული კატეგორია, არ არსებობს მასკულინობის ისეთი გაგება, როგორიც ის თანამედროვე ამერიკულ/ევროპულ კულტურებშია.

მასკულინობის განსაზღვრება სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირია, მაგრამ ეს განსხვავებები ძირითადად 4 მიმართულებით ვითარდება: *ესენციალისტური* მიმართულებისთვის მამაკაცურობის განმსაზღვრელი მისი არსია.

პოზიტივისტური მიდგომა მასკულინობის მარტივ დეფინიციას გვთავაზობს: მასკულინობა არის ის, რაც კაცები სინამდვილეში არიან. თუმცა ეს განმარტება გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი ქალი მასკულინურია, ზოგიერთი კაცი კი „ფემინური“ (Connell, 2005, ნაწილი 1, თავი 3, გვ. 67-68).

ტერმინები მასკულინური და ფემინური სქესობრივი განსხვავებების კატეგორიებს სცილდება და მოიაზრებს გენდერს. *ნორმატული* განსაზღვრება გვთავაზობს სტანდარტს: მასკულინობა არის ის, როგორიც უნდა იყოს კაცი. *სემიოტიკური* მიდგომა განსაზღვრავს მასკულინობას სიმბოლური სხვაობების მეშვეობით. აქ, მასკულინობა და ფემინურობა ერთმანეთის ოპოზიციებია. მასკულინობა პირველ რიგში, განისაზღვრება, როგორც არაფემინურობა (Connell, 2005, ნაწილი 1, თავი 3, გვ. 70).

გენდერს, კლასსა და რასას შორის ურთიერთდამოკიდებულების ფართოდ აღიარებამ ხელი შეუწყო მასკულინობის მრავალგვარობის აღიარებას. „ჰეგემონური მასკულინობა“ გენდერული ურთიერთობების პატერნში ჰეგემონურ პოზიციას იკავებს და მისთვის შეჯიბრი მუდმივად მიმდინარეობს. ტერმინი *ჰეგემონია* მომდინარეობს ანტონიო გრამშისეული კლასობრივი ურთიერთობების ანალიზისგან და განსაზღვრავს კულტურულ დინამიკას, რომლის საშუალებითაც ერთი რომელიმე ჯგუფი იღებს და ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას სოციალურ ცხოვრებაში. ჰეგემონური მასკულინობა მოიაზრებს პატრიარქატის ლეგიტიმაციას, რაც თავის მხრივ, ერთგვარი გარანტია ზოგადად კაცის დომინანტური პოზიციისა და ქალთა დაქვემდებარებისთვის (Connell, 2005, ნაწილი 1, თავი 3, გვ. 76-77).

ჰეგემონია ნიშნავს საზოგადოებაში კულტურულ დომინაციას. ამ პირობებში არსებობს სპეციფიკური დომინანტური და სუბროდინაციული გენდერული ურთიერთობები კაცების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. თანამედროვე ამერიკულ/ევროპულ საზოგადოებებში ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევაა ჰეტეროსექსუალი კაცების დომინაცია და ჰომოსექსუალთა სუბორდინაცია. ეს პრაქტიკა გულისხმობს ჰომოსექსუალი მამაკაცის კულტურულ ჩაგვრას, ძალადობას, ეკონომიკურ დისკრიმინაციას. ჩაგვრა ჰომოსექსუალურ მასკულინობებს გენდერული იერარქიის ძირში აქცევს. ჰეგემონური მასკულინობის თვალთახედვიდან, ჰომოსექსუალობა

ძალიან ადვილად ასიმილირდება ფემინურობასთან და ხშირად იწვევს ჰომოფობიურ თავდასხმებს. „ჰეგემონური მასკულინობა“ არ არის ფიქსირებული კატეგორია, არამედ პრაქტიკების კონფიგურაცია, რომელიც ცვლადი ურთიერთობების სიტუაციაში წარმოიქმნება (Connell, 2005, ნაწილი 1, თავი 3, გვ. 78).

3.2 არამამაკაცური მასკულინობები

ემპირიული მონაცემების ახსნაში დამეხმარა ტოდ რიზერის თეორია ქალურ მასკულინობებზე. ჩემს მიერ გაანალიზებულ ნარატივებში ქალის მაღალი თანამდებობრივი პოზიცია მიუღებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი მამაკაცი თანამშრომლებისთვის, პროფესიულ და პირად სივრცეში წარმატებული ქალი კარგავს ფემინურობას და კაცისთვის დამახასიათებელი თვისებები მიეწერება. რიზერი გვთავაზობს მასკულინობა განვიხილოთ, როგორც „უსხეულო ფენომენი“, რომელიც გაიგება დამოუკიდებლად, სხეულის სქესის გარეშე.

ერთ-ერთი გზა განვიხილოთ ქალური მასკულინობა არის ის, თუ როგორ იღებს და ქმნის კულტურული დისკურსი ქალებს, რომლებიც კოდირებულნი არიან, როგორც მასკულინური. ასეთი ქალები იმიტომ იქცევენ ყურადრებას, რომ მასკულინობა არაა მოთავსებული „შესაბამის“ სხეულში. კონკრეტულ საზოგადოებაში მასკულინური ქალების მიმართ დამოკიდებულება ასახავს ზოგადად, კულტურულ დამოკიდებულებას გენდერთან მიმართებით. ქალურმა მასკულინობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს უფრო ფართომასშტაბიან შფოთვებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ქალი, ან მოიცავდეს საფრთხეს, რომ მამაკაცებმა მის გამო შეიძლება დაკარგონ თავიანთი „ბუნებრივი“ ფლობა კაცურობაზე (Reeser, 2010, გვ. 132).

იდეა, რომ ქალური მასკულინობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მასკულინობის ბუნებრივ კავშირს კაცის სხეულთან ჯუდით ჰალბერშტამის ცნობილი წიგნის „ქალური მასკულინობის“ მთავარი წინამძღვარია. ქალური მასკულინობა ანგრევს გენდერის ბინარულ აღქმას და ბინარულ ოპოზიციებს. ძალაუფლება იმდენად მასკულინურია და

იმდენად უკავშირდება მამაკაცებს, რომ თუ ქალს მაღალი პოზიცია აქვს მთავრობაში ან პოლიტიკაში ხდება მისი „გაკაცება“, მაგრამ რადგან მასკულინობა და ძალაუფლებას შორის ბუნებრივი კავშირი არ არსებობს, ასევე არ არსებობს საფუძველი, რომ ძალაუფლების მქონე ქალი მასკულინურად ჩაითვალოს. საზოგადოებამ ქალური მასკულინობის ტიპი შეიძლება დაინახოს, როგორც „კაცი, ქალის სხეულში“, „ქალი, კაცისთვის დამახასიათებელი ქცევებით“ (Reeser, 2010, გვ.132-133).

მიუხედავად იმისა, რომ ქალური მასკულინობა არ არის უბრალოდ სხვა სხეულში გადანაცვლებული მასკულინობა, მასზე რეაქციები კავშირშია კაცური მასკულინობის კულტურულ აღქმებთან, სადაც ძირეულია სურვილი შეუნარჩუნდეს მასკულინობა მამაკაცს. თუმცა იმ კონტექსტში, სადაც მამაკაცის ქალურობაზე დიდი შფოთვაა, ნეგატიური რეაქცია ქალურ მასკულინობაზე ასევე, შეიძლება შიშის გამტარი იყოს „კაცის გაქალურებაზე“, რომელიც არსებული წესრიგის რღვევას გამოიწვევს. ორივე ტიპის შფოთვა არის მცდელობა მოხდეს ბინარული გენდერული სისტემის კონსტრუქცია/რეკონსტრუქცია. ზოგიერთ კონტექსტში, ქალური მასკულინობა ქმნის სივრცეს მამაკაცური მასკულინობისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ერთის მხრივ, სქესსა და გენდერს შორის, მეორე მხრივ კი მასკულინობასა და მამაკაცის სხეულს შორის კავშირი. თუ არსებობს ქალური მასკულინობა ე.ი არსებობს მამაკაცური ფემინურობა (Reeser, 2010, გვ. 134).

ქალური მასკულინობა ხშირად ლესბოსელობასთანაა დაკავშირებული - როდესაც ქალს მამაკაცური თვისებები აქვს, ის შეუძლებელია დარჩეს ქალად, უფრო კონკრეტულად კი ჰეტეროსექსუალ ქალად. ამიტომაც ის, როგორც კაცის მსგავსი ან კაცური ქალი ექცევა ლესბოსელის კატეგორიაში (Reeser, 2010, გვ. 136).

ქალური მასკულინობა საფრთხეა მამაკაცებისთვის და მისი ჩახშობა განპირობებულია მიზეზით - შენარჩუნდეს მამაკაცის სხეული, როგორც მასკულინობის ბაზისი (Reeser, 2010, გვ. 137).

ჯუდით ჰალბერშტამი ნაშრომში „ქალური მასკულინობები“ წერს, რომ ქალური მასკულინობა უარყოფილია დომინანტური მასკულინობის მიერ იმისთვის, რომ

მამაკაცური მასკულინობა ნამდვილი აღმოჩნდეს. თუმცა, ჰეროიკული მასკულინობის ჩვენეული გაგება გულისხმობს, რომ მას ორივე სქესის, ქალური და მამაკაცური სხეული ქმნის. მითია და ფანტაზია, რომ მასკულინობა და მამაკაცურობა არ შეიძლება განუყრელი იყოს ერთმანეთისგან, რადგან მასკულინობის ცნება მოითხოვს გადააზრებას და აღიარებას, რომ არსებობს უამრავი ალტერნატიული მასკულინობა - მათ შორის ქვიარი და ქალური მასკულინობა. ეს უკანასკნელი, აშკარად იგნორირებულია კულტურასა და მასკულინობის აკადემიურ კვლევებში. ქალური მასკულინობისადმი ფართოდ გავრცელებული ინდიფერენტულობა იდეოლოგიური მოტივაციებით აიხსნება, კომპლექსურ სოციალურ სტრუქტურებს განამტკიცებს და მასკულინობას მამაკაცურობასთან, ძალაუფლებასა და დომინაციასთან აერთაინებს (Halberstam, 1998, გვ. 1).

ჩემი კვლევის ემპირიულ მონაცემებში, პროფესიულად რეალიზებული ქალები ხშირად საზოგადოების მიერ მარგინალიზებულნი ხდებიან. ქალი ხელმძღვანელის შენიშვნა, კომენტარი, განკარგულება არასერიოზნულად აღიქმევა, უკიდურეს შემთხვევაში კი მამაკაცები ქალისადმი დაქვემდებარებულ თანამდებობრივ პოზიციას ვერ ეგუებიან და სამსახურს ტოვებენ. სწორედ ტოდ რიზერის და ჯუდით ჰალბერშტამის თეორიები ხსნის ამ ფენომენს და განამტკიცებს შეხედულებას, რომ ქალური მასკულინობა საფრთხეა მამაკაცებისთვის. როგორც რიზერი გვიხსნის, ქალური მასკულინობა ლესბოსელობის ჩარჩოში თავსდება, რადგან „კაცური ქალი“, ჰეტეროსექსუალი ვეღარ იქნება.

ჩვენს საზოგადოებაში, მასკულინობა გარდაუვალად დაკავშირებულია ძალაუფლების, ლეგიტიმურობის და პრივილეგიების ცნებებთან. ის სიმბოლურად სახელმწიფო ძალაუფლებას და სიმდიდრის არათანაბარ განაწილებას მიემართება. მასკულინობა ვრცელდება პატრიარქალურ ოჯახში, მასკულინობა აისახება მემკვიდრეობასა და სოციალურ პრივილეგიებში. რასაც ჩვენ „დომინანტურ მასკულინობას“ ვუწოდებთ მამაკაცურობის და ძალაუფლების არსის ბუნებრიობას მიემართება (Halberstam, 1998, გვ. 2).

ჰალბერშტამი ამტკიცებს, რომ თანამედრივე მასკულინობის ფორმები საუკეთესოდაა წარმოდგენილი ქალურ მასკულინობებში. ამის საილუსტრაციოდ ავტორი ჯეიმს ბონდის მაგალითს განიხილავს, სადაც მამაკაცური მასკულინობა წარმოდგენილია ალტერნატიული მასკულინობის თანმდევი აჩრდილის სახით. „ქალური მასკულინობის“ მატარებელია ჯეიმს ბონდის ბოსი M, რომელიც დინოზავრს არქმევს მას და კიცხავს მიზოგინიისა და სექსიზმის გამოვლენისთვის. ალტერნატიული მასკულინობის სახეა აგენტი Q, რომელშიც შეგვიძლია „ქვიარ მასკულინობა“ ამოვიკითხოთ (Halberstam, 1998, გვ. 3).

3.3 მასკულინობა, როგორც ჰომოფობია

შიში, სირცხვილი და სიჩუმე გენდერის ისტორიის კონსტრუირებისას

მაიკლ კიმელი ნაშრომში „მასკულინობა, როგორც ჰომოფობია“ საუბრობს, რომ მამაკაცურობა არც სტატიკურია და არც მუდმივი, ის არ გამოხატავს შინაგან არსს, მამაკაცურობა ისტორიულია და სოციალურად კონსტრუირებული, კულტურაში შექმნილი. მამაკაცურობის განმარტება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ერებისთვის განსხვავებული იყო. კიმელი ცდილობს ახსნას თანამედროვე კულტურაში მამაკაცურობის ცნების მნიშვნელობა „სხვებთან“ - რასობრივ უმცირესობასთან, სექსუალურ უმცირესობასთან და ყველაზე მეტად, ქალებთან შეპირისპირებით.

კიმელი განიხილავს ჰეგემონურ და ალტერნატიულ მასკულინობებს და ამერიკული მამაკაცურობის ახალ თეორიულ მოდელს გვთავაზობს (Kimmel, 2005, თავი 2, გვ. 25).

ჩემს ემპირიულ მონაცემებში, ჰომოფობია სექსუალური უმცირესობის მარგინალიზაციასა და ჩაგვრაში გამოიხატება. ოჯახი და ჩვენს გარშემო არსებული სოციალური ინსტიტუტები განამტკიცებენ პატრიარქატის ძალაუფლებას, რომელიც „ქალურ მამაკაცს“ ნამდვილ მამაკაცად არ თვლის, ართმევს ჯგუფისთვის განკუთვნილ ყველა უპირატესობას, რიყავს და უჩინარს ხდის. საზოგადოებისთვის ერთნაირად მიუღებელია „მასკულინური ქალიც“ და „ფემინური კაციც“, ისინი უხეშად არღვევენ

დადგენილ სოციალურ წესრიგს, ამიტომაც „მიუკარებლებად“, „უხილავებად“ და „ავადმყოფებად“ მოინიშნებიან.

ჩაგვრა, ძალადობა, ბულინგი - ეს ყველაფერი სკოლიდან დაიწყო. კლასში კარადაში მკეტავდნენ ხოლმე, შიგნით ასაფეთქებლებს მიყრიდნენ, მიბრახუნებდნენ. მიყვიროდნენ: „რაო ჰიდარასტო, მოგწონს სიბნელეში? კაცი ჰო არ შემოგიგდო?“ ან ჩამომაცმევდნენ ნაგვის ურნას თავზე და ცოცხებს მირტყამდნენ...

სახლშიც იყო ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა ჩემზე. ჩემი ძმები, რომელთაგანაც ერთი 2 წლითაა ჩემზე უფროსი და მეორე 7 წლით, ზიზღით მიყურებდნენ, ასეთივე კომენტარებს მიკეთებდნენ. აიღებდნენ საოჯახო ალბომს და ფოტოებში ჩემს სახეს ან ამოჭრიდნენ, ან სხვა რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის სახეს დააკრავდნენ ხოლმე.

მასკულინური ჰომოფობია კაცების მიმართ შიშია, დამცირების, აბუჩად აგდების და გარიყვის შიში. ნამდვილი მამაკაცი ვერ იქნება ჰომოსექსუალი - მამაკაცურობა მტკიცდება სხვა მამაკაცის თვალთახედვიდან. კაცს სჭირდება სხვა კაცის მხარდაჭერა და მოწონება. ქალი ერთგვარი ვალუტა ხდება, რომელსაც მამაკაცები საკუთარი მასკულინურობის გასაუმჯობესებლად/დასამტკიცებლად იყენებენ. მასკულინობა ჰომოსოციალური ქმედებაა. ჩვენ ვცდით საკუთარ თავს, ვრისკავთ, ვმონაწილეობთ საგმირო საქმეებში მხოლოდ იმისთვის, რომ სხვა კაცებმა დაგვინახონ და მოგვანიჭონ მასკულინურის იარლიყი. მოზარდისთვის მამა ხდება პირველი მამაკაცი, რომელიც აკონტროლებს მის ქცევას, მამას უერთდება სხვა კაცების: მასწავლებლების, მწვრთნელების, უფროსების გამომცდელი თვალები. ის ვეღარასოდეს იქნება თავისუფალი, რადგან მას მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვა კაცების მზერა აკონტროლებს (Kimmel, 2005, თავი მეორე, გვ. 33).

„ქალაჩუნად ყოფნის შიში“ ჰომოფობიის კულტურული განსაზღვრების საფუძველია. ეს კი ადრეული ასაკიდანვე იწყება. ბიჭებს გამუდმებით ემუქრებიან ბიჭი თანატოლები, რომ მათ „არამამაკაცურობას“, „ფემინურობას“, „ქალაჩუნობას“ გაამხელენ, რომ გათქვამენ მათ საიდუმლოს და ყველა დანარჩენი კაცის წინაშე შეარცხვენენ, როგორც

არა კაცურს, „ქალაჩუნას“. ავტორი იგონებს, რომ მისთვის ერთ-ერთი საყვარელი ხრიკი იყო ეთხოვა ბიჭებისთვის დაეხედათ საკუთარი ხელების ფრჩხილებისთვის - თუ ბიჭი ხელს გაშლიდა და საკუთარ სახეს გაუსწორებდა, შემდეგ კი მტევანს სახისკენ შემოატრიალებდა, თითებს მოხრიდა და ისე დააკვირდებოდა მას, გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა, ის კაცივით ამოწმებდა ფრჩხილებს. ხოლო თუ ბიჭი იგივე თხოვნის შესრულებისას მკლავს გაშლიდა, მტევანს სახის გასწვრივ დაიჭერდა და ხელის გულის შემოტრიალების გარეშე, გაშლილ მდგომარეობაში დააკვირდებოდა თავის მტევანს და ფრჩხილებს, ის ცხადად „ქალაჩუნა“ გამოდიოდა. კაცები მთელი სიცოცხლის მანძილზე იცავენ მამაკაცურობის საზღვრებს. როგორ ვიცვამთ, როგორ დავდივართ, რას მივირთმევთ, როგორ ვსაუბრობთ, ყველაფერი, ყველა მანერა და მოძრაობა შეიცავს კოდირებულ გენდერულ ენას. ავტორი კითხვებს უსვამდა ქალებს თუ როგორ ცნობდნენ ჰომოსექსუალ მამაკაცებს - პასუხები სტერეოტიპული იყო - სხვანაირად დადის, მანევრულია, ემოციური, ზედმეტად მზრუნველია, მიმატოვა, ქალების მიმართ ინტერესს არ იჩენს (Kimmel, 2005, თავი 2, გვ. 34).

შესაბამისად, მასკულინური ჰომოფობია არის არა ქალების, არამედ სხვა კაცების მიმართ შიში, არ აღიარებისა და გარიყვის შიში. გამოსავალი შენიღბვაა, საჯაროდ ქალების მიმართ ინტერესს უნდა იჩენდე, ინიღბებოდე და ცდილობდე არავინ ჩამოგხსნას ნიღაბი, რომ უპირატესობა არ დაკარგო. შიში გაიძულებს აიტანო სექსისტური ხუმრობები და გაჩუმდე, როდესაც გეებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებენ, ისე წარმოაჩინო საკუთარი თავი თითქოს შენთვისაც მისაღებია სექსუალური უმცირესობების მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულება (Kimmel, 2005, თავი 2, გვ. 35-36).

თავი IV. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი საქართველოში

ემპირიული მონაცემების განხილვამდე, მიმოვიხილავ კვლევის ანგარიშებს, რომლებიც ნათლად ასახავს ქალების, ბავშვების, ეთნიკური უმცირესობის, შშმ პირებისა და ლგბტ თემის მდგომარეობას საქართველოში.

საქართველოში, გენდერული უთანასწორობა და ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში 2013 წელს ჩატარებული კვლევა „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ ცხადყოფს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მყარია სტერეოტიპები გენდერულ როლებზე. ქალის ფუნქციაა შვილების გაჩენა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება, ხოლო მამაკაცების - ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა. მოსახლეობა თვლის, რომ ქალისთვის უმჯობესია მისთვის „შესაფერისი საქმის“ კეთება, ის უნდა იყოს მორჩილი და თმობდეს პოზიციებს მამაკაცების სასარგებლოდ. გენდერული როლების განაწილება ქალისა და მამაკაცის ბუნებრივ არსთანაა დაკავშირებული. ქალი აჩენს შვილებს, უვლის მათ და ეს აძლევს უპირატესობას ოჯახის გარეთაც მასწავლებელი, აღმზრდელი იყოს. მამაკაცი ბუნებით აქტიური, მებრძოლი და ლიდერული თვისებებითაა დაჯილდოებული და პოლიტიკაში, ბიზნესში წამყვან პოზიციებზე მოიაზრება.[1]

მონაცემთა ანალიზის შედეგად ავტორები ასკვნიან, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევა იმეორებს წინა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებს. ანგარიშში გაანალიზებულია 2008, 2010 და 2011 წლების კვლევის შედეგები.[2]

---

[1] გაეროს განვითარების პროგრამის კვლევა: საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზენში, 2013 წელი, გვ. 4

[2] იქვე, გვ. 5

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევები კვლავაც მაღალია. კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება დაბალი შემოსავლების მქონე ან შემოსავლების არმქონე ქალებე, არასრულწლოვნებზე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე.[3]

ტენდენციად რჩება, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შეტყობინების შემდეგ, მსხვერპლის მიერ საქმის სამართალწარმოებაზე უარის თქმა. ომბუდსმენი მომართვიანობის მიხედვით გამომწვევ მიზეზებს შორის ასახელებს სამართალდამცავი უწყებებისადმი უნდობლობას, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სამომავლო პერსპექტივების არ ქონას, ძალადობის გაძლიერების და საცხოვრებლის არ ქონის შიშს. ძალადობის მსხვერპლები აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები ხშირად სოლიდარობას გამოხატავენ არა ძალადობის მსხვერპლის მიმართ, არამედ მოძალადის მიმართ და მათ თავს უხერხულად აგრძნობინებენ ოჯახის წევრის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის გამო.[4]

ქალების დასაქმებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის დაბალ მაჩვენებელზე მეტყველებს ომბუდსმენის 2016 წლის ანგარიში, რომლის თანახმადაც, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, როგორც სამინისტროებში, ისე სახელმწიფო მინისტრის აპარატებში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, მაგრამ არა წამყვან, არამედ დაქვემდებარებულ პოზიციებზე. ეს გარემოება უკავშირდება ე.წ „შუშის ჭერს“, როდესაც ორგანიზაციული სტრუქტურა, არაფორმალური წესები, სტერეოტიპები და დამყარებული ცრურწმენები ქალებს კარიერულ კიბეზე დაწინაურების საშუალებას არ აძლევს. გენდერული დისბალანსი შეინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროში. აღსანიშნავია, რომ სამინისტროებში კვლავაც არ არის გამოყოფილი გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები. [5]

[3] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და გენდერული თანასწორობა“, 2016 წელი, გვ. 28
[4] იქვე, გვ. 29-30
[5] იქვე, გვ. 7-8

ანგარიშში აღნიშნულია, რომ წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია იმ გამგეობების რიცხვი, რომლებსაც ჰყავთ გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი „გენდერის მრჩეველი“. თუმცა, 25 გამგეობაში, კვლავ არ არის დანიშნული გენდერულ ბალანსზე პასუხისმგებელი პირი.

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაბალია გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ არცერთი თვითმმართველი ქალაქის მერი არ არის ქალი და მხოლოდ ერთ გამგებელია ქალი. [6]

„ქალთა მოძრაობამ“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად სპეციალური მექანიზმების დაწესების ინიციატივით მიმართა საქართველოს პარლამენტს. ორგანიზაციის ინიციატივას კვოტირების სისტემის შემოღებაზე მხარი დაუჭირა ომბუდსმენმაც და პარლამენტის წინაშე წარდგენილ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ „კვოტირების სისტემა არის არსებული უთანასწორო მდგომარეობიდან თავის დაღწევის რეალური გამოსავალი და შანსი, ორივე სქესს თანაბრად მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“. პარლამენტმა კვოტირების სისტემასთან დაკავშირებულ არცერთ ინიციატივას არ დაუჭირა მხარი. [7]

რაც შეეხება დასაქმების ადგილზე სექსუალურ შევიწროებას - საქართველოს შრომის კოდექსი შეიცავს ჩანაწერს დისკრიმინაციისა და შევიწროების შესახებ, მაგრამ არ ეხება სექსუალურ შევიწროებას, არც მის ფორმებს და მას დისკრიმინაციის ზოგად დეფინიციასთან აერთიანებს. კერძოდ, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი და არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ

[6] იქვე, გვ. 11-12
[7] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“, 2015, გვ. 8

აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით“. [8]

საქართველოს კანონმდებლობა სექსუალური შევიწროების დეფინიციას არ მოიცავს, შესაბამისად, ჯერჯერობით არ შექმნილა პრეცენდენტი ამ ტიპის დანაშაულების გამოძიებაზე.

ომბუდსმენის 2016 წლის ანგარიშში, აღნიშნულია, რომ გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე კაცებთან შედარებით ნაკლებია და თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, 2015 წელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი გაუარესებულია. განსხვავებულია სქესთა შორის შემოსავლების თანაფარდობა, კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი, ორჯერ აღემატება ქალის საშუალო წლიურ შემოსავალს. სახალხო დამცველი თვლის, რომ ამ მაჩვენებლებს მრავალი სოციო-კულტურული მიზეზი აქვს, თუმცა მთავარი ისაა, რომ არ არსებობს საკანონმდებლო გარანტიები ქალთა გენდერული ნიშნით ჩაგვრის წინააღმდეგ, მაგალითად: სექსუალური შევიწროების აკრძალვა, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების საკითხის რეგულირება და სხვა. [9]

სექსუალური შევიწროების და ოჯახში ძალადობის შემთხვევები აქტუალურია ეთნიკური უმცირესობის წარმამადგენელი ქალებისთვისაც. კონსტიტუციის 42-ე მუხლის კვლევის თანახმად, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართველებთან ერთად კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ოჯახში ძალადობის შემთხვევები ხშირია, თუმცა ქალები ამ თემაზე საუბარს ერიდებიან და დუმილს ამჯობინებენ. ამ პრობლემას ემატება ადრეული ქორწინების მავნე პრაქტიკა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია საკუთრებასთან მიმართებით და ქართული ენის არ ცოდნა. ენობრივი ბარიერები, მატერიალური სიდუხჭირე, განათლების დაბალი

[8] მარიამ ამაშუკელი, კვლევის ანგარიში: „სექსუალური შევიწროება - ქალთა „უჩინარი“ დისკრიმინაცია“, 2015 წელი, გვ. 39

[9] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და გენდერული თანასწორობა“, 2016 წელი, გვ. 13

დონე და გავრცელებული სტერეოტიპები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებს ართმევს შესაძლებლობას დაიცვან საკუთარი უფლებები.[10]

ომბუდსმენის 2016 წლის ანგარიშში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ ვკითხულობთ, რომ შშმ პირები - ბავშვები, ქალები, უმრავი პრობლემის წინაშე დგანან. სახელმწიფოს პოლიტიკა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში არ არის სენსიტიური შშმ პირთა მიმართ. ისინი ვერ სარგებლობენ მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურებით, ბენეფიციარები ფინანსურად სახელმწიფო სოციალურ პაკეტზე არიან დამოკიდებულნი. ეს პაკეტი კი არ იძლევა ჯანმრთელობისთვის აუცილებელი მედიკამენტების შეძენის შესაძლებლობას.

ერთ-ერთი გამოწვევაა შშმ ქალის მიმართ არსებული ძალადობის გამოვლენა პოლიციელების მხრიდან. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო მსხვერპლს ფსიქიკური პრობლემები აქვს. მიზეზი ზოგადი საკანონმდებლო რეგულაციებია, რომლებიც არ ითვალისწინებს შშმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.[11]

რაც შეეხება შშმ ბავშვებს, აქაც იგივე უნდა ითქვას, პრობლემურია მათ მიმართ არსებული ძალადობის იდენტიფიცირების საკითხი. საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს ცალკე რეგულაცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შშმ პირებთან (მათ შორის ბავშვებთან) მიმართებით და ის გაერთიანებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგად პოლიტიკასთან. [12]

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასთან მიმართებით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ არ არსებობს დაფინანსების ერთიანი მექანიზმი და ინკლუზიური განათლების დაფინანსება ზოგადი განათლების

[10] კონსტიტუციის 42-ე მუხლის კვლევა: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა სამცხე-ჯავახესთსა და ქვემო ქართლში“, 2017 წელი, გვ. 8-9
[11] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 2016 წელი, გვ. 32-33
[12] იქვე, გვ. 29-30

საფეხურზე ფრაგმენტულია. საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული სპეციალური პედაგოგის სტატუსი და ინტეგრირებული კლასების კონცეფცია. [13]

ჩემი კვლევის ფარგლებში ქალებისა და შშმ პირების პრობლემებთან ერთად აქტუალურია სექსუალური უმცირესობის პრობლემები. ომბუდსმენის ყოველწლიური კვლევის ანგარიშის თანახმადაც - ლგბტ ადამიანები ცხოვრების ყველა სფეროში დევნის, შეუწყნარებლობის, სისტემური ძალადობის მსხვერპლნი არიან. მოსახლეობაში მაღალია ჰომოფობიური განწყობები და ასევე, პრობლემად რჩება, პოლიტიკური ჰომოფობია, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს აგრესიას თემის წევრების წინააღმდეგ. [14]

[13] იქვე, გვ. 24-25

[14] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“, 2016 წელი, გვ. 45

ემპირიული ნაწილი

თავი V. გენდერული უთანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპების ზოგადი განხილვა ქართულ რეალობაში

კვლევის ფარგლებში, 150-მდე ნაარტივის გაანალიზების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ქართველი ქალების ისტორიებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და მოცულობითი თემაა გენდერული უთანასწორობა, რომელსაც კარგად ხსნის აირის მერიონ იანგის ჩაგვრის სახეებიდან - ექსპლოატაცია. ქალების ჩაგვრას ნაწილობრივ ქალების მიერ მამაკაცებისთვის მათი აუნაზღაურებელი შრომის სისტემატური გადაცემა წარმოადგენს. ქალთა ჩაგვრა არ არის მხოლოდ სტატუსის, ძალაუფლების და სიმდიდრის უთანასწორობა. გენდერულ ექსპლოატაციას ორი ასპექტი აქვს - მატერიალური შრომის ნაყოფის და მზრუნველობითი, სექსუალური ენერგიის მამაკაცებისთვის გადაცემა (Young, 1990, თავი 2, გვ. 50). ქალები ასრულებენ საშინაო, საოჯახო საქმეებს - უვლიან შვილებს, ალაგებენ სახლებს, ამზადებენ სადილს, ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობაში, მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებაში, ხშირად კი ამ ყველაფერის პარალელურად ადგილის დასამკვიდრებლად პროფესიულ სფეროშიც უწევთ ბრძოლა - *„დილიდან საღამომდე ხომ გასული უნდა იყოს ქალი ფულის საშოვნელად, მერე მოვიდეს საჭმელიც უნდა გააკეთოს, შეშაც იმან დაჭრას და წყალიც მოიტანოს“.*

საუკუნეების განმავლობაში მამაკაცის მიერ ცოლის/ქალის შერთვა მისი და მისი ოჯახის წევრების მოვლა-პატრონობასთან იყო გაიგივებული. ქალი გადასცემს მამაკაცს მზრუნველობით ენერგიას, უვლის და ემსახურება მას, თავად კი მუდმივად იჩაგრება, ვერ იყენებს საკუთარ უნარებს, ნაკლებად თვითრეალიზებულია და შესაძლოა, ამას ბევრი მათგანი ვერც კი აცნობიერებდეს.

ჩვენს კულტურაში ბიოლოგიური სქესი უამრავ ბარიერს ქმნის - გოგონებს უწევთ თანასწორი სტატუსის დამტკიცება, ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, ხშირად თავის მართლებაც კი გულწრფელობისა და „ადამიანობისთვის“. ოჯახური სტრუქტურა

ცვლის ადამიანებს და მსხვერპლს ითხოვს არამხოლოდ დედისგან, არამედ დედმამიშვილებისგანაც. დედასთან ერთად, გოგონაც იძულებულია აიტანოს მამის მძიმე ხასიათი და მუდმივი „დანაშაულის“ გრძნობით იცხოვროს, რომ ოჯახს სურდა მის ნაცვლად ვაჟი დაბადებულიყო. ისტორიებში ამ პრობლემით არაერთი ადამიანია შეწუხებული - ***ტკივილები და სევდა, რომელიც გოგოდ დაბადებას თან ახლავს, არ განელებულა; „აა, ბიჭის გამო გააჩნეთ ეს, ალბათ, არა?“*** მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპია - შრომისმოყვარე გოგონა, რომელიც დიდი ძალისხმევის შედეგად აღწევს წარმატებას და ბიჭი, რომელიც იგივე შედეგს იღებს მარტივად, დროის და ენერგიის მინიმალური დანახარჯით. საბავშვო ბაღის აღმზრდელები, სკოლის მასწავლებლები, ლექტორები აღადგენენ და ამტკიცებენ ამ წარმოდგენებს გოგონების უნარების, სამომავლო პერსპექტივის დაკნინებით - ***„ქალის ტვინი თხამ ბალახს მიაჭამაო“; „გოგო და ჭკვიანი მე არ გამიგია, რა თქვენი საქმეა ფიზიკაო“.***

„რეპრესირებული სურვილები“ - ასე აფასებს ერთ-ერთი რესპონდენტი პატრიარქატის გავლენის ქვეშ მოქცეულ ნებას, თავისუფლებას. ქალებს ეზღუდებათ განქორწინება - „სირცხვილია“, განათლების მიღება - „აიშვებს“, საკუთარი სხეულების მოვლა - „არ შეგშვენის“, ხმამაღალი სიცილი, ინიციატივის გამოხატვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. თუკი ისინი მოახერხებენ მაღალ პოზიციაზე დაწინაურებას - განსაკუთრებით იგრძნობა ქალი ხელმძღვანელის მიუღებლობა. მის მიერ გამოცხადებული საყვედური, მოთხოვნა არასერიოზულად აღიქმება და უფროსი ქალის ისტერიულ, ნევროზულ, „მოუწყობელ“ ცხოვრებასთან ასოცირდება. ქალი სუსტია, მსხვრევადი და მისი მხრიდან ძლიერების, პრინციპულობის გამოხატვა არანორმალურ ქცევად ითვლება. აქ, თავს იჩენს მეორე უკიდურესობა - ძლიერი, მასკულინური ქალი აღარაა ფემინური და მას არც სისუსტე ეპატიება - „კაცივით აზროვნებს“, „კაცივით მოქმედებს“ – *„თითქოს აღარ გაქვს უფლება, თუნდაც იტირო“.*

თუკი ახალგაზრდა გოგონებს/ქალებს მეტი ცოდნა, უკეთესი პირობები აქვთ მჩაგვრელ სისტემასთან საბრძოლველად, მეტად უჭერენ მხარს ოჯახის წევრები, მშობლები, იგივე პირობებით არ იყვნენ განებივრებულები ასაკოვანი რესპონდენტები. მათი განსაკუთრებულობაც აქედან გამომდინარეობს. ცნობიერების, განათლების ნაკლებობის

პირობებში რესპონდენტებს მაინც უჩნდებოდათ პროტესტის გრძნობა და ყველა მათგანი თავისებურად ცდილობდა თავი დაეღწია ძალადობრივი გარემოსთვის. ისინი დაუპირისპირდნენ ქმრებს, ქმრის ოჯახის წევრებს, საკუთარ მშობლებს და წარმოუდგენელ პირობებში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქალის ისტორიები შექმნეს - „*39 წლის ვიყავი და მარტომ დავიწყე ცხოვრება თავიდან. დავივიწყე ლეილა და* ***გავხდი ისევ გული***“.

ქალებს და მხოლოდ დედებს, ბრალს სდებენ და სჯიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილების გაჩენისთვის. დედები ისჯებიან მდედრობითი სქესის შვილის დაბადების შემთხვევაშიც. გამოსავალი ერთია, დამნაშავე დედაა, ისჯება მკაცრად, ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში ფიზიკური ძალადობით ან მარტოობით. მამაკაცები ტოვებენ ოჯახს და სპეციალური საჭიროების მქონე შვილების აღზრდაში მთელს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე მხოლოდ ქალები იღებენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი მამაკაცები უკურნებელი სენით დაავადებულ შვილებს დედების ამარა ტოვებენ და პასუხისმგებლობას იხსნიან, ქალების როლი არა მხოლოდ ამ შემთხვევაშია ყურადღების ღირსი, არამედ თითქმის ყველა შვილის ისტორიაში მათი ქცევა არის გულშიჩამწვდომი. ძლიერი, თავდადებული დედის სახე ჩანს ნინო ბაიდაურის ისტორიაში, სადაც ღარიბი, მარტოხელა ქალი შვილს სარეცხის **„შპილკებით“** დანთებულ ცეცხლზე უწვავს ერბოკვერცხს. დედის როლი განსაკუთრებულია სალომე ცოფურაშვილის ისტორიაში - სიმსივნით დაავადებული დედა მალავს საკუთარ პრობლემას, რომ შვილებმა უდარდელად შეძლონ საზღვარგარეთ სწავლის დასრულება.

ამ პროექტში ისტორიები ერთმანეთს ჰგვანან - ძალადობის მსხვერპლი, ძლიერი, განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით გამორჩეული ქალები, რომლებიც საკუთარი ძალებით უპირისპირდებიან მჩაგვრელ გარემოს, უკეთესობისკენ ცვლიან ცხოვრებას და ქმნიან პრეცენდენტებს. თითოეული მათგანი ძალადობის მსხვერპლია, საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად, წლების განმავლობაში იტანდნენ ფიზიკურ, მორალურ შეურაცხყოფას მშობლების, და-ძმების, მეზობლების, ქმრების, პარტნიორების, ქმრის ოჯახის წევრების მხრიდან. მათ წაართვეს არჩევანის,

დამოუკიდებლობის უფლება, მკაცრად დაუწესეს საყოველთაოდ მიღებული ნორმები, „ცოცხლად დამარხეს“ და წარსულიც კი მოჰპარეს - შეუცვალეს სახელი, აიძულეს ჰყვარებოდათ მოძალადე, მოღალატე ქმრები, რომლებიც მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას და „მსახურებას“ ითხოვდნენ მათგან.

5.1 გენდერული სოციალიზაციის თავისებურებები ოჯახში

ქართველი ქალების ისტორიებში ყველაზე ხშირად გენდერული უთანასწორობის პრობლემა იკვეთება. სტერეოტიპულ კონტექსტში ჩამოყალიბებული გენდერული როლები აიძულებს ქალებს და მამაკაცებს დაემორჩილონ კულტურულ ნორმებს. ქალი საოჯახო/საშინაო საქმეების პარალელურად ჩართულია პროფესიულ საქმეშიც. საშინაო საქმეების გარდა ქალები სოფლის მეურნეობაშიც აქტიურად მონაწილეობენ (მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მიწათმოქმედება) მამაკაცი კი უმეტესად, მხოლოდ ეკონომიკურ ვალდებულებას იღებს საკუთარ თავზე. აუნაზღაურებელი საოჯახო საქმე „უხილავ შრომასთან“ იგივდება და ქალებისთვის პროფესიული უნარების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად ითვლება.

სამუშაოდან დაბრუნებულს, დასვენების დრო არ გაქვს იმიტომ, რომ ისევ ოჯახის საქმეებია მოსაგვარებელი: სარეცხი, ჭურჭელი, სადილი.

გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას ხელს უწყობს მშობლები, რომლებიც განსხვავებულად ეპყრობიან შვილებს. ბიჭებს მეტი უპირატესობა, არჩევანის/ნების თავისუფლება აქვთ, ნაკლებად არიან დატვირთული საოჯახო საქმეებით და არ მოეთხოვებათ „ხუთოსნობა“. მათგან ითხოვენ ძლიერებას, ემოციების ჩახშობას, აგრესიას ოჯახისა და ქვეყნის დასაცავად. გოგონებს მოეთხოვებათ თვინიერება, უსიტყვო მორჩილება, საოჯახო საქმეების შესრულება, დროის უმეტესი ნაწილის სახლში გატარება, დროულად მოსვლა. მათ არა აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება, რადგან პატრიარქალურ ოჯახში დადგენილ წესებს ემორჩილებიან.

ჩემი ოჯახის წევრებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა ჩემი მეზობელ სოფელში სირბილი. „მაინც გოგო ვარ და...“ არადა, ბიჭივით, მეც 2 ხელი და 2 ფეხი მაქვს.

პატარაობისას მამას ეცინებოდა პოლიციელობა რომ მინდოდა, ბებია კვდებოდა სიცილით.

გოგონების ქცევას, არჩევანს, სექსუალობას ჯერ მშობლები აკონტროლებენ, შემდეგ კი პარტნიორები. პროექტის მონაწილე ქალების ისტორიები ერთმანეთს ჰგავს, მათ არა აქვთ უფლება მიიღონ განათლება, აირჩიონ სასურველი პროფესია, შექმნან ოჯახი მათთვის სასურველ დროს. ქალის ცხოვრების ყველა ეტაპს საზოგადოება აკონტროლებს.

თუმცა ქმრის ე.წ. ფუნქციები ახლა მშობლებმა იკისრეს და მუდმივი კონტროლის წნეხში მამყოფებდნენ. ხანდახან მიკვირს, ამდენს როგორ მივაღწიე კონტროლის ასეთ რეჟიმში.

მეცვა ყველაზე მოკლე კაბა 90-იანებში; ვისვამდი ისეთ წითელ პომადას, რომელსაც მაშინ ძალიან ნაკლებად ატარებდნენ და ალბათ, სიგარეტის მოწევაც ამის გამო დავიწყე. ეს იყო, ჩემი მცირე საპროტესტო აქცია მამის წინააღმდეგ, რომელმაც დაბადებისთანავე მეორეხარისხოვანის იარლიყი მომამაგრა და ასევე საზოგადოების, რომელიც დღიურად ცდილობდა ჩემი ინდივიდუალობისა და განსხვავებულობის დაკნინებას, გაქრობას.

გლორია ვოტკინსის თეორიის თანახმად, პატრიარქატი ძალადობს არა მხოლოდ ქალებზე, არამედ მამაკაცებზეც და ამავე დროს, ქალებიც განამტკიცებენ პატრიარქატის ძალაუფლებას ჩვენთვის მისი წესების მუდმივი ჩაგონებით. პატრიარქალური აზროვნება აყალიბებს ჩვენს კულტურულ ღირებულებებს და მათ ჩვენს გარშემო არსებული ინსტიტუტები განამტკიცებენ (Watkins, 2016, გვ. 3).

პატრიარქალური წესები ჩაგრავს არა მხოლოდ გოგონებს, არამედ ბიჭებსაც - მთელი რიგი თვისებების გამოვლენის შეზღუდვითა და მძიმე პასუხისმგებლობების დაკისრებით.

კულტურა მათაც ნორმებს უწესებს: არ უნდა იტირონ, არ უნდა გამოხატონ ემოციები, უნდა იყვნენ რაციონალურად პრაგმატულები და კულტურა არ ეკითხება, უნდა თუ არა მათ ეს, ან შეუძლიათ თუ არა მათ ამ პასუხისმგებლობის ტარება.

დაღლილი, შეურაცხყოფილი ქალები იწყებენ ბრძოლას, იცვლიან ცხოვრების წესს, იძენენ განათლებას და ხდებიან დამოუკიდებლები. ამ ამბებს კი სხვა ქალებისთვის ჰყვებიან, მათთვის ვინც, თავს უხრის ძალადობრივ გარემოს, ვისაც საკუთარი თავი „შვილების გულიზა“ შეუწირავს მოძალადეებისთვის. ქართველი ქალები აქტიურად ერთვებიან სამოქალაქო აქტივიზმში, ცდილობენ უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობა მისცენ შვილებს და გარშემომყოფებს, იბრძვიან ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის, თანამშრომლობენ სახელმწიფო სტრუქტურებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აცნობენ პრობლემების მოგვარების მათეულ ხედვას, აწვდიან რეკომენდაციებს, მონაწილეობენ საკრებულოს სხდომებში.

„მშობელთა კავშირის“ სახელით, ასევე, აქტიურად ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვებში, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააკეთოს ამ ბავშვებისთვის რაღაც. გარდა ამისა, ვატარებთ ტრეინინგებს საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის, სპეც-პედაგოგებისთვის და სხვა. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ორგანიზაციებთანაც.

ეხლა მე ვმუშაობ ჩემი და ჩემი დის დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში. ჩვენ ვმუშაობთ უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების პრობლემებზე - განათლება, რეაბილიტაცია, გარემოს ხელმისაწვდომობის მიმართულებებით.

ჩემი კვლევის ემპირიული მონაცემები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს როლი სოციალური პრობლემების მოგვარებისას უმნიშვნელოა და რესპონდენტები თავად ცდილობენ გამონახონ პრობლემის მოგვარების სტრატეგიები.

ყველაზე დიდი სიხშირით გვხვდება ზმნები: **ვიბრძოდი**, **ვწვალობდი**, **ვიტანჯებოდი**. ყველა ისტორია ადრესატში იწვევს ემოციურ თანაგანცდას. ამბები თანმიმდევრულია, მიჰყვები მათ, კითხულობ და ნათლად წარმოიდგენ ყველა სოციალურ პრობლემას.

ქალებთან მიმართებით დამკვიდრებული ეპითეტებია: „წუწუნა“, „კეკლუცი“, „ისტერიული“, „უვარგისი“, „გაფუჭებული“ – „*როგორც წესი, ეს სიტყვები **ჭირვეულობა, ისტერიულობა** ქალის მიმართ გამოიყენება“.* ეს ეპითეტები მიგვანიშნებს ქალთა პრობლემების აღქმის არასერიოზულობაზე, პატრიარქალური გარემოს ღიად და შეფარულად გამოხატულ ძალადობაზე, სადაც ქალებს უწევთ ბრძოლა, ძალისხმევის დახარჯვა საკუთარი სიმართლის, გულწრფელობის დასამტკიცებლად - „*შეიძლება ამაზე არავინ ყვიროდეს, მაგრამ ეს სამყარო ღიად გამოხატული ძალადობის გარეშეც ძალადობს*“. **„ნაცრისფერი ქალი“** არის მეტაფორა უუფლებო, უჩინარი ქალებისა, რომლებსაც ინიციატივის, არჩევანის, დამოუკიდებლობის უფლებები აქვთ ჩამორთმეული.

5.1.1 ოჯახში ქალზე გენდერული ძალადობა

ოჯახური ძალადობის შემთხვევები ამ ნარატივებში ერთი-ერთი წამყვანი თემაა. პრობლემები იწყება ადრეული ქორწინებიდან, როდესაც არასრულწლოვან გოგონებს დაუკითხავად ათხოვებდნენ „პატიოსან და დიდებულ პიროვნებებზე“, სრულიად უცნობ ადამიანებზე, ასაკოვან მამაკაცებზე. ამ დროს, არა მხოლოდ ქალის, არამედ მამაკაცის უფლებებიც ირღვეოდა, რადგან სწორეც ვაჟის ოჯახი წყვეტდა ვისი ოჯახისშვილი უნდა შეერთო მას ცოლად. ცალკე მოვლენაა, არასრულწლოვანი/ასაკით უმცროსი გოგონების შერთვა იმ მიზეზით, რომ მამაკაცმა თავად „აღზარდოს ქალი“, „მის ჭკუაზე მოიყვანოს“.

ჩვენთან მაშინ პატარები თხოვდებოდნენ და 8 კლასი რო დავამთავრე, სათხოვნელად მოდიოდნენ. რა ვიცი, ხან ვინ მოჰყავდათ, ხან ვინ...

საოჯახო საქმეებსა და შვილების ზრუნვაში ძალაგამოლეულ ქალებს ნასვამი, ნარკოდამოკიდებული ქმრები ფიზიკურად უსწორდებიან, ემუქრებიან. აშკარაა, რომ გათხოვილი ქალები „მამაკაცის ოჯახში“ სრულიად უუფლებო სტატუსით

სარგებლობენ, მათზე ძალადობენ არამხოლოდ ქმრები, არამედ ოჯახის დანარჩენი წევრები: მამათილი, დედამთილი, მული. საკუთარი აზრის გამოთქმა, მამაკაცისთვის ვერბალურად წინააღმდეგობის გაწევა მათ ძალადობისადმი მოწყვლადს ხდის. ქალი საკუთარი აზრებით, არგუმენტებით, საკითხისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით მაშინვე საეჭვო ხდება.

მის შემთხვევაში სახეში გარტყმა ძალადობად არ ითვლებოდა. თუკი ერთი შემოგარტყა „რა პრობლემაა, აქ არაფერი ისეთი არ არის!“.

ოჯახში ქალზე ძალადობის მიზეზს შორისაა ქალის მიერ გოგონას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის გაჩენა. მამაკაცები თვლიან, რომ მსგავს შემთხვევებში მხოლოდ ქალები არიან დამნაშავეები, ფიზიკურად უსწორდებიან მათ და პასუხისმგებლობას გაურბიან. ნარატივების მნიშვნელოვან ნაწილში, გამოკვეთილია ემოციურად არამდგრადი, ოჯახიდან გაქცეული, მოძალადე მამაკაცების სახე. ქალის „ბრალეულობა“ გამოწვეულია კულტურული სტერეოტიპებით, განათლების და ცნობიერების დაბალი დონით. მამაკაცებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, რომ შვილის განსაზღვრული სქესით დაბადება ორივე მშობელზე ერთნაირადაა დამოკიდებული (ბიოლოგიური მოცემულობა).

მაგალითად, საზოგადოებაში არსებობს შეხედულებები, რომ ქალის ბრალია, როდესაც ბავშვი იბადება ასეთი. ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ „შენ ალბათ ფეხმძიმობის დროს არ გაუფრთხილდი“... და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს დაუნის სინდრომი, აუტიზმი თუ ცერებრალური დამბლა, ხდება ქალის დადანაშაულება. ძალიან ბევრი ოჯახი დაინგრა ამის გამო და მთლიანად მარტო დარჩენილ ქალზე გადადის ტვირთი. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო...

ერთ-ერთი ისტორიის თანახმად, ქმარმა ცოლი გოგონას გაჩენისთვის დასაჯა და საავადმყოფოშივე მიატოვა.

მე მაშინ პირველად ვიმშობიარე თელავში და სოფელიც მახსოვს, კონდოლიდან იყო გოგო, რომელსაც აღარ მოაკითხა ქმარმა იმიტომ, რომ გოგო გააჩინა. ეს გოგო ტიროდა ხოლმე, ისე ტიროდა...

ქალები ძირითადად ქმრებზე არიან ეკონომიკურად დამოკიდებულნი, რადგან ნაადრევი ქორწინება განათლების მიღების შესაძლებლობას უკარგავთ. გათხოვილი ქალი „ახალ ცხოვრებას“ იწყებს, ვაჟის ოჯახის წევრებს უფლება აქვთ მულის პატივსაცემად სახელიც კი შეუცვალონ მას.

ჩემი ქმრის ოჯახმა სახელიც კი შემიცვალა, ლეილა დამარქვეს, ჩემი ქმრის დის საპატივცემულოდ. მე კიდევ გული უფრო მომწონდა.

ძალადობის მსხვერპლი ქალები სრულიად მარტონი არიან სინამდვილის წინაშე. წლების განმავლობაში იტანჯებიან ძალადობრივი ურთიერთობებით, რადგან ქმართან გაცილების ნებას მათ საკუთარი მშობლები არ რთავენ. თუკი გაბედავენ და თავს დააღწევენ „ცემა-ტყეპას,“ ეს ნიშნავს, რომ ისინი „ოჯახს არ გამოადგნენ“, „უვარგისები და გაფუჭებულები“ არიან.

სახლშიც ვერ ვბრუნდებოდი, მშობლებმა მითხრეს, სახელს ნუ შეარცხვენ ჩვენსასო. დავრჩი, ასე, მარტო ჩემს დარდებთან.

ოჯახურ ძალადობას ქალები განსხვავებული ინდივიდუალური სტრატეგიებით უპირისპირდებიან. ცდილობენ თავი დააღწიონ მჩაგვრელ გარემოს განქორწინებით, განათლების მიღებით, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებით - საჯარო და კერძო/ბიზნეს სექტორში დასაქმებით, თვითდასაქმებით, მოძალადე მამაკაცთან დაპირისპირებით - სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვით.

ყველაზე რთული იყო იმის გაცნობიერება, რომ მშობლები არ აპირებდნენ ჩემს მხარდაჭერას, როცა ქმართან განქორწინების და საკუთარი განვითარებისთვის თავისუფალი სივრცის მოპოვება გადავწყვიტე.

რაც შეეხება სახელმწიფოს როლს, ნარატივებში საერთოდ არ არის საუბარი მის ძლიერებაზე.

ოჯახური ძალადობის თემაზე საუბრისას ხშირად გამოყენებული სიტყვებია: **ცემა, ატანა, ბრძოლა, შიში, შეზღუდვა, კონტროლი.** ყველა ისტორია დინამიური, ექსპრესიული და მიზანმიმართულია. ისინი მინიმალური კონტრასტით გამოირჩევიან,

თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთ ისტორიას მამისა და დედის, შვილისა და მამის დაძაბული ურთიერთობის შესახებ. ამ ამბავში გამოყენებულია ტროპის რამდენიმე სახე - შედარება - *„დიდ კაცთან პატარა ქალსა როდის გასვლია მართალი“;* ირონია - *„**დედას** კარიერული ზრდისთვის არ უზრუნია ისე გათხოვდა... **დედას** იმედი არ ჰქონდა, რომ გაყრის შემდეგ 4 ბავშვს არჩენდა მარტო, უმამოდ. ამიტომ **„შვილების გულიზა“** იტანდა ყოველივეს“.* **„შვილების გულიზა“** არის ვერბალური ირონიის სახე, როდესაც შვილი პრობლემის ახსნისას, დედის დიალექტურ მეტყველებას „დასცინის“. ეს წინადადება განამტკიცებს რესპონდენტის მოსაზრებას, რომ დედაც დამნაშავე იყო საკუთარი თავისა და შვილების წინაშე. რესპონდენტი მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად წინადადებებში ერთსადაიმავე სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებს - მაგ: *„**დიახ**, ჩემს ოჯახში იყო ძალადობა... **დიახ**, მეც ვიყავი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი“.* სხვა ისტორიებისგან განსხვავებით, აქ, გამოყენებულია ჟარგონები - **„მოსმა“**, **„ტიპი“**, **„გავედი ქალაქში“**, გამონაკლის შემთხვევად გვხვდება „თვითირონია“ – „ნელ-ნელა **ავიხსენი აღვირი“.** ამ შემთხვევაში, „აღვირის ახსნა“ არა გარყვნილი, არამედ თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრების მეტაფორაა.

5.1.2 ოჯახში ბავშვზე ძალადობა

ოჯახში არამხოლოდ ქალებისთვისაა შექმნილი სტრესული გარემო, არამედ ბავშვებისთვისაც. მათ არჩევანს პატივს არ სცემენ, გამუდმებით შეახსენებენ, რომ „შესანახები“ არიან და დროა, ოჯახი შექმნან. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები, განსაკუთრებით, მამები ძალადობენ შვილებზე. მიზეზი ძირითადად, გენდერული სტერეოტიპებია. ქალის დაბადება მწუხარებას, ცხოვრების სურვილის დაკარგვას იწვევს. მშობლები ფიზიკურად უსწორდებიან შვილებს. განსაკუთრებით მიუღებელი ხდება განსხვავებული აზრი, ჩაცმულობა, სექსუალობა, საყოველთაოდ მიღებული წესებიდან გადახრა.

ყოველი მორიგი ჩხუბისას 3 ბავშვი ვაშველებდით მშობლებს (რაც მამის გაკავებასა და დედის გაჩუმებაში გამოიხატებოდა).

ძალიან ხშირად მესმოდა მამისგან, რომ არ ჰქონდა ცხოვრების მოტივაცია, რადგან არ ყავდა ბიჭი შვილი - მემკვიდრე.

წნეხის ქვეშ, უმეტესად, გოგონები არიან, მათ საკუთარი მამები განათლების მიღების უფლებას არ აძლევენ. განათლება არ არის „ქალის საქმე“, მათ არ ენდობიან, რადგან მარტო დარჩენილი ქალი სახიფათოა და „აიშვებს“.

ასეთი „ჩარჩო“ იყო წამოყენებული ოჯახის მხრიდან. და როცა ვამბობდი, რომ თეატრალურში მინდოდა ჩაბარება, პასუხად ვიღებდი, რომ „თეატრალურში მხოლოდ ბოზები სწავლობენ“, ხომ იყო ეს დამოკიდებულება, არა?

საქართველოში თუ გოგოდ დაიბადე, რეალურ ცხოვრებას ვერ ეხები ვერსად გარდა იმისა, რაც ხდება სახლში, ოთხ კედელს შუა. არა და არაფერი არ ხდება სამზარეულოში.

ოჯახური სტრუქტურა ცვლის ადამიანებს და მსხვერპლს ითხოვს არამხოლოდ დედისგან, არამედ დედმამიშვილებისგანაც. გოგონა იძულებულია აიტანოს მამის მძიმე ხასიათი და მუდმივი „დანაშაულის“ გრძნობით იცხოვროს, რომ ოჯახს სურდა მის ნაცვლად ვაჟი დაბადებულიყო. ისტორიებში ამ პრობლემით არაერთი ადამიანია შეწუხებული.

„ტკივილები და სევდა, რომელიც გოგოდ დაბადებას თან ახლავს, არ განელებულა“;

„აა, ბიჭის გამო გააჩნეთ ეს, ალბათ, არა?“

მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპია - შრომისმოყვარე გოგონა, რომელიც დიდი ძალისხმევის შედეგად აღწევს წარმატებას და ბიჭი, რომელიც იგივე შედეგს იღებს მარტივად, დროის და ენერგიის მინიმალური დანახარჯით.

5.2 გენდერული სოციალიზაციის თავისებურებები სკოლაში/უნივერსიტეტში

გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში დიდი წვლილი მიუძღვის საგანმანათლებლო სისტემას, სკოლის პედაგოგებს. საკუთარ ისტორიებში მოსწავლეები ჰყვებიან მასწავლებლებზე, რომლებიც სასწავლო პროცესში პრივილეგიებს ანიჭებენ ბიჭებს, მათემატიკაში/ფიზიკაში გოგონების წარმატებას არ აღიარებენ და მათ მხოლოდ ჰუმანიტარული საგნებით დაინტერესებისკენ უბიძგებენ.

სწავლასა და მეცადინეობაშიც, რომელიც, დამეთანხმებით ალბათ, სახალისო არავისთვისაა, გოგო ცალკეა და ბიჭი - ცალკე. ჩვენს მასწავლებელს არაერთხელ უთქვამს: „ბიჭი მესმის და გოგო რომ გაკვეთილს არ ისწავლისო!“

სამწუხაროდ, სტერეოტიპების გავრცელებაში ახლა განათლების სისტემა უფროა ჩართული, ვიდრე სხვა რომელიმე უწყება. სკოლაში სწავლის პერიოდში მივხვდი, რომ მასწავლებელს, რომელმაც შენ უნდა გაგიღოს ცნობიერება, თვითონაც დახშული აქვს კარი.

მეც არ ვიცი მათემატიკა ისე როგორც მეხცრე კლასელმა უნდა იცოდეს, იმიტომ რომ ყველა სკოლაში დირექტორიდან დაწყებული სასწავლო ნაწილით დამთავრებული იმას გაიძახოდნენ, რომ მე არ მაქვს მათემატიკური უნარი და ტვინი. მერე მეც ჩავიქნიე ხელი, არ მაქვს და ნუ მაქვს, ჰოდა თუ არ მაქვს, არ ვისწავლი!

მასწავლებლების/აღმზრდელების არასაკმარის პროფესიონალიზმზე და ცოდნაზე მიუთითებს მათი გენდერული არასენსიტიურობა.

2009 წლიდან დღემდე ინკლუზიური განათლების საკითხებზე ხშირად ვატარებ ტრენინგებს, დღეს მასწავლებელთა განწყობები ისეთი ხისტი აღარ არის, როგორც მაშინ. მე და ჩემი მეწყვილე, სამ დღიანი ტრენინგის ჩასატარებლად რომ მივდიოდით რეგიონებში, აქედან პირველ დღეს მასწავლებელთა აგრესიის ჩაცხრობას ვანდომებდით, უმრავლესობა ღიად აპროტესტებდა ინკლუზიური განათლების ტრენინგს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სკოლაში ინკლუზიას.

ასევე, დიდი აგრესია იყო გენდერული თანასწორობის შესახებ სკოლებში ჩატარებული ტრენინგების დროს.

-რატომ ტირი?! ქალაჩუნა ხომ არ ხარ?! - უჯავრდება ბაღის მასწავლებელი ჩემ შვილს.

გენდერულ სტერეოტიპებს სკოლასთან ერთად უნივერსიტეტიც განამტკიცებს. პროფესორების ნაწილი გოგონების უნარებს აკნინებს და აბუჩად იგდებს მათ, ვინც ტექნიკურ საგნებს - ინფორმაციულ საზოგადოებას/უმაღლეს მათემატიკას ან ფიზიკას ირჩევს.

ერთი ლექტორი გვყავდა, რომელიც სულ გვეუბნებოდა „გოგო და ჭკვიანი მე არ გამიგია, რა თქვენი საქმეა ფიზიკაო“ და ასეთი გამოთქმა ჰქონდა ხოლმე „ქალის ტვინი თხამ ბალახს მიაჭამაო“.

განათლების სისტემის წარმომადგენლებსაც კი ვერ გაუგიათ, რომ ბიოლოგიური სქესი არ განსაზღვრავს ადამიანთა შესაძლებლობებს. ქალი ვერც ფიზიკოსი, ვერც მატემატიკოსი, ვერც სპორტული თამაშების მსაჯი და ვერც ლეიტენანტი ვერ იქნება რადგან *„ქალის გაცემულ ბრძანებაზე, ბიჭები სმენაზე არ გავლენ“,* რადგან სამხედრო სამსახური ფიზიკურ ძლიერებასთან იგივდება, სინამდვილეში კი ნორმატივებს ისე აბარებ, როგორც ჩვეულებრივი აბიტურიენტი უნარ-ჩვევების ტესტს. საბოლოოდ, გოგონებს ორმაგი ენერგიის დახარჯვა უწევთ ნდობისა და ავტორიტეტების მოსაპოვებლად.

5.2.1 ბულინგი საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ცალკე თემად გამოყოფას იმსახურებს ბავშვთა უფლებების დარღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ბაღებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში. გენდერული სტერეოტიპების კონტექსტში სკოლის როლზე უკვე ვისაუბრე და

აღმოჩნდა, რომ სკოლა გენდერულად არასენსიტიურია. მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც სასკოლო ბულინგის აქტორებად მოიაზრებიან. რესპონდენტების განცხადებით ისინი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მოსწავლეებს: ესვრიან საგნებს, მაგ: მერხს, აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას „ბევრს ჭამ და გონება არ გიმუშავებს“, მეკამათები და „უზრდელი ხარ“, „გოგო და ჭკვიანი მე არ გამიგია“ და ა.შ. ერთ-ერთი რესპონდენტი, ბავშვთა ფსიქოლოგი აცხადებს, რომ ბაღებში აღმზრდელები ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელ აქტივობებს ზღუდავენ და აიძულებენ ზურგს უკან დალაგებული ხელებით ისხდნენ სკამებზე, რომ ბოლოს გამარჯვებული „სიჩუმის მეფე“ დასახელდეს. „თამაში“ ბავშვის აქტიურ ბუნებას ზღუდავს და გაჩუმებას ერთგვარ ნორმად აწესებს. ადრეული განათლება ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ბავშვთა უფლებების დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი კი განათლების ნაკლებობაა, მათი უფლებების არცოდნა. ყველა რესპონდენტის ისტორიაში ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილია სუსტი, გაღიზიანებული, გაუნათლებელი მასწავლებელი, რომელსაც არაფერი სმენია გენდერზე და განვითარებაზე, თანასწორ უფლებებზე.

ერთხელ, მერვე კლასში როცა ვიყავით, გეოგრაფიის მასწავლებელმა ერთ გოგოს ისე მოქაჩა თმა, რომ ბავშვი ატირა. კიდევ ერთ კლასელს, რომელსაც წონის პრობლემა ქონდა, მათემატიკის მასწავლებელმა უთხრა, შენ იმიტომ ვერ სწავლობ, ბევრს ჭამ და გონება არ გიმუშავებსო. იმ გოგომ შესვენებაზე იტირა და მერე მთელი კვირა სკოლაში არ დადიოდა, იმიტომ რომ მთელმა კლასმა დასცინა.

მყავდა მასწავლებლები, რომლებიც თბილად მახსოვს და მასწავლებლები, რომელთა გახსენება დღემდე რთულია და რომელთაც არაფრად უღირდათ კლასის წინ შენი დამცირება და შეურაცხყოფა, ნებისმიერი მოსწავლის, არამარტო ჩემი.

სასკოლო ბულინგის აქტორი არა მხოლოდ მასწავლებელია, არამედ თვითონ მოსწავლეებიც, რომლებიც მნიშვნელოვან ფიზიკურ ტრავმებს აყენებენ ერთმანეთს. ბულინგის წახალისება იწყება მასწავლებლის ქმედებით. ჩემს ემპირიულ მონაცემებში მრავლადაა ისტორიები მასწავლებლებზე, რომლებიც ფიზიკურად, მორალურად

ძალადობენ მოსწავლეებზე. მასწავლებლის მიერ შეურაცხყოფილი თანატოლის დამცირებას კი კლასელი აგრძელებს.

დაბალ კლასებში მთელი წლები ვიტანჯებოდი ბულინგით. მეც მქონდა წონის პრობლემა და ხან რას მეძახდნენ ბავშვები და ხან რას. ერთხელ მახსოვს არდადაგებიდან რომ დავბრუნდი, მწვანე კალგოტკა მეცვა და თმაც მოკლედ მქონდა შეჭრილი. ჰოდა შევედი თუ არა კლასში, ბიჭებმა სიცილი დაიწყეს, „ჰალკი“ მოვიდაო. მე მაშინ არ ვიცოდი, რა იყო ჰალკი და სახლში, რომ მოვედი, დავგუგლე. გული გამისკდა. სკოლაში რამდენიმე დღე არ დავდიოდი მაგის გამო. მაშინ თავდაცვა არ შემეძლო. კი, ახლა უფრო გავძლიერდი, მაგრამ მაშინ როგორ ცუდად ვიყავი? არავის დავუცვივარ, არ აქვს სკოლას არანაირი გეგმა, როგორ შეიძლება ეს ბულინგი მოაგვაროს.

5.3 გენდერული დისკრიმინაცია სამსახურში

ნარატივებში სამსახურში გენდერული დისკრიმინაცია და სექსიზმი ერთ-ერთი გამოკვეთილი პრობლემაა. ქალების სქესის ნიშნით დისკრიმინაცია იწყება სამსახურში აყვანამდე, გასაუბრებისას - მათ ეკითხებიან არიან თუ არა დაოჯახებულები, ჰყავთ თუ არა მცირეწლოვანი შვილები, აპირებენ თუ არა დაოჯახებს, დაორსულებას და ა.შ.

მკაცრადაა გაწერილი სამსახურში ჩაცმის სტილის ეტიკეტი - *„პირველად მაშინ გავოცდი, როდესაც კონტრაქტი წავიკითხე, რომელშიც საკუთარი კაბის სიგრძე მილიმეტრებით იყო გაზომილი“.*

ქალებისთვის კარიერულ კიბეზე დაწინაურება დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, თითქოს სათანადოდ არ ენდობიან მათ - *„ზოგი ამბობდა, გოგოებს კრედიტორების ფინანსური შემოწმების ტვინი არ ეყოფათ, ზოგიც იმაზე საუბრობდა, რომ სესხის გატანა და დამტკიცება კომიტეტებზე გაგვიჭირდებოდა“.*

მერილინ ფრაი ნაშრომში „სინამდვილის პოლიტიკა: ესეები ფემინისტურ თეორიებზე“ საუბრობს სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე და აღნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიური სხვაობა ამართლებს შრომის და პასუხისმგებლობების დაყოფას, რაც კარგად ჩანს თანამედროვე პატრიარქალურ ოჯახში და სამუშაო ადგილას, სადაც ხელმძღვანელი მამაკაცია. საყოველთაოდ მიღებული ტრადიციები, კულტურის არტეფაქტები გვაიძულებს დავემორჩილოთ სუბორდინაცია-დომინაციის ამორალურ სისტემას. შესაბამისად, საჭიროა ჩაგვრის მწარმოებელი კულტურული მოცემულობების დარღვევა (Frye, 1983, გვ. 35).

გენდერული დისკრიმინაცია და სექსიზმი გამოხატულია ქალი ხელმძღვანელის სამსახურებრივი პოზიციის მიუღებლობით. მამაკაცი თანამშრომლები არ აღიარებენ ხელმძღვანელ ქალს - არ იღებენ მის შენიშვნებს, კომენტარებს, არასერიოზნულად იღებენ მის მოთხოვნებს და ქალ ხელმძღვანელსაც მთელი რიგი არგუმენტების მოყვანა უწევს, უამრავი ენერგიის დახარჯვა, რომ მისი პრინციპული და საყვედურიანი ტონის სამართლიანობა გაამართლოს.

მესამე წელია კულტურის სახლის დირექტორი ვარ და მუდმივ რეჟიმში მიწევს იმის მტკიცება, რომ თუკი სამართლიანად ვარ პრინციპული ან მაქვს საყვედურიანი ტონი, ეს არ არის განპირობებული სხვა მიზეზებით, როგორც ჩემ შემთხვევაში ამბობენ, პირადი ცხოვრების მოუწყობლობით და ამით გამოწვეული „ნევროზული მდგომარეობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქალების დისკრიმინაცია სამსახურში კავშირშია ქალის ორსულობასთან. „ნულოვანი ტოლერანტობა“ ორსული ქალის მიმართ სამუშაო ადგილას - ასე აფასებს ერთ-ერთი რესპონდენტი, ორსულობის პერიოდში, ხელმძღვანელისა და თანამშრომლების მიერ შექმნილ სამუშაო პირობებს. დეკრეტული შვებულების აღების შესაძლებლობა დამსაქმებლისთვის საფრთხის შემცველია, რადგან ორსული და მეძუძური ქალი კომპანიისთვის არაპროდუქტუილია.

ამ დროს დაცულობის განცდა ქალისთვის თითქმის ნულოვანია. ცხადია, პირში არავინ გეუბნება, მაგრამ ამას გრძნობ, რომ თითქოს მეორეხარისხოვანი თანამშრომელი ხდები,

რადგან კორპორაციულ თავგანწირვას შენი პირადი გეგმები ამჯობინე და თანაც სხვისთვისაც ვერ გამოდექი „კარგი მაგალითი“.

არის შემთვევები, როდესაც ქალს ეკრძალება სამუშაო ადგილას ორსულობის გამხელა.

მახსოვს, ჩემს კოლეგა ქალს, მისმა უფროსმა HR-ის ხელმძღვანელმა აუკრძალა სამსახურში გაემხილა, რომ ორსულად იყო.

ამ დაუცველობის გამო ქალები იშვითად გადიან დეკრეტულ შვებულებაში მშობიარობის მოახლოებამდე. სისტემატური დისკრიმინაცია წარმოშობს შფოთვას, შიშს - ქალი მუდმივად დაძაბულია, არ სურს, რომ მეორეხარისხოვან თანამშრომლად თვლიდნენ, მის „მოცილებას ცდილობდნენ“, ამიტომაც არანორმირებული გრაფიკით მუშაობს, ბოლომდე რჩება „კორპორაციის ავანსცენაზე“ და ცდილობს მთელი ძალებით გაარღვიოს კულტურული სტერეოტიპი, რომელიც უშვებს, რომ დედობის არჩევა პროფესიული საქმის მეორეხარისხოვნად ქცევას ნიშნავს.

სულ მეშინოდა იფიქრებდნენ, რომ „ველარ ვარ ფორმაში“, არაპრდუქტიული ვარ, ძველებურად აღარ ვმუშაობ და იფიქრებდნენ ჩემს მოცილებას.

5.3.1 სექსუალური შევიწროება სამსახურში

ისტორიები სექსუალური შევიწროების თემასაც ეხმაურებიან. შევიწროება გამოხატულია შემდეგი ქმედებებით: სექსისტური, შემფასებლური და ჰომოფობიური კომენტარები, სექსუალური ძალადობის მცდელობა, მსხვერპლის დამცირება, შეშინება, ძალადობრივი და მტრული გარემოს შექმნა.[15] ამ ისტორიებში, მამაკაცები თანამშრომელ ქალებს „სამსახურის“ სანაცვლოდ სქესობრივ ურთიერთობას აიძულებენ. ისინი უმეტესად მამაკაცებისადმი დაქვემდებარებულ პოზიციებზე არიან დასაქმებულნი. დანაშაულის ჩადენის მცდელობა იწყება „უწყინარი“ სექსისტური ხუმრობებით, „სექსის ფილოსოფიაზე საჯარო საუბრებით“. შემდეგ კი სქესობრივი კავშირის სურვილზე

[15] კავშირი „საფარის“ კვლევა: „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში: საკანონმდებლო პრაქტიკის კვლევა“, 2017 წელი, გვ. 5

უშუალო, პირდაპირი და უხეში მინიშნებებით გრძელდება. დანაშაულის იდენტიფიცირების სირთულიდან გამომდინარე, სექსუალური შევიწროება საქართველოში დისკრიმინაციის „უხილავ“ ფორმად ითვლება. თავდაპირველად, მსხვერპლმა თავად უნდა გააცნობიეროს, რომ ეს არის გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და არა მამაკაცის მხრიდან ქალის მოხიბვლის „ჩვეულებრივი“ მცდელობა. საქართველოში ჯერ-ჯერობით კანონმდებლობა სექსუალურ შევიწროებას დასჯად ქმედებად არ განსაზღვრავს.[16] სექსუალური შევიწროება ქალებს რთული არჩევანის წინაშე აყენებს, ხელს უშლის მათი პროფესიული უნარების განვითარებას და სამსახურის დაკარგვის საშიშროებას ქმნის.

სექსუალური შევირწოების თემას ყველაზე მწვავედ და კონკრეტულად ორი რესპონდენტის ისტორია ეხმიანება, თუმცა სხვა ისტორიებში ეს საკითხი/პრობლემა ქვეთემადაა გამოყოფილი. ორივე რესპონდენტის ამბავი ერთმანეთს ჰგავს - დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება - **Quid pro quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ)** - როდესაც სექსუალური ხასიათის მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ ადამიანი მიიღებს სამსახურს ან დაწინაურდება სამსახურში, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა დაკარგოს. მეორეა მტრული სამუშაო გარემო - სქესობრივი დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფიზიკურ შეხებას, სექსუალურ მოთხოვნებს ან სქესობრივი ხასიათის სხვაგვარ ქცევას. ეს ქმედება იმდენად დაჟინებული და ხშირი უნდა იყოს, რომ ხელს უშლიდეს ადამიანის მუშაობის პროცესს, ადაბლებდეს საქმიანობის ხარისხს ან ქმნიდეს შეურაცხმყოფელ გარემოს მუშაობისთვის (საბედაშვილი, 2006, გვ. 74-75).

ისტორიებში ასახულია შევიწროების ორივე ფორმა. მასკულინური ჰეგემონიის გამოვლინებაა ქალების დაქვემდებარებული პოზიციები, სადაც მათ არამხოლოდ პროფესიული მოვალეობის შესრულება უწევთ, არამედ დამატებითი სამუშაოების შესრულება, რომელიც მამაკაცს ასიამოვნებს და დროს გამოუთავისუფლებს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობისთვის (Connell, 2005). ასეთი დამატებითი საქმიანობაა - **„ყავის მოდუღება“**. ფიზიკური ძალადობის წინაპირობა ხდება სექსუალური ხასიათის

[16] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ბლოგპოსტი: „სახელმწიფომ სექსუალური შვიწროება დასჯადი უნდა გახადოს“, 2016 წელი.

კომენტარები, სექსისტური ხუმრობები, რომლებიც მტრულ გარემოს ქმნის ქალებისთვის - *„რა კარგი მიხვრა-მოხვრა გაქვს“*; *„არ ხარ ძალიან ლამაზი და ამ კაცების მიკვირს რატომ გიჟდებიან შენზე, ეტყობა მაგარ მინეტს აკეთებ...“* ქალები უნდა იყვნენ ლმობიერები, მორჩილები, თუკი მათი რეაქცია განსხავებულია/ადეკვატურია და აგრესიულად პასუხობს მამაკაცის დომინაციას, მისი საქციელი **„ქაჯობის“**, **„გოიმობის“** გამოვლინებად აღიქმება. მსგავს შემთხვევებში, გარშემომყოფი ქალებიც შეუწყნარებლობით გამოირჩევიან. შესაძლოა, ეს ერთგვარი თავდაცვის სტრატეგიაა მარგინალობის თავიდან ასაცილებლად. სამსახურში დაქვემდებარებულ პოზიციაზე მყოფი ქალი მამაკაცისთვის სათამაშოდ ქცეულა.

*ისევ დაიწყო თავისი მოთხოვნები. ისევ ვიჩხუბეთ. ბოლოს, ძალიან მკაცრი ტონით მითხრა, მოკლედ ბევრს აღარ გავაგრძელებ, ხვალ 6 საათზე მოდი და მოგ*ნავო და ხელით მომიგდო ის ჩემი ნაყიდი ჩულქი.*

ასე მითხრა, შეხედე სხვა ქალებს ფიზიკურობას რომ იყენებენ და ერთი ადგილით რომ მუშაობენ, რამხელა მწვერვალებს აღწევენ და ყოველთვის კარგი ხელფასი აქვთო.

სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალის მიერ დანაშაულის აღიარება მის სტიგმატიზირებას იწვევს. მიღებული კულტურული ნორმებიდან გამომდინარე საზოგადოება ადანაშაულებს მსხვერპლს და არა მოძალადეს.

„სექსუალური შევიწროების ინცინდენტები გვთავაზობს, რომ მამაკაცის სექსუალური სურვილი ჩნდება ქალის მოწყვლადი ბუნებიდან გამომდინარე. მამაკაცი გრძნობს, რომ ურთიერთობისას ის შეიძლება იყოს უპირატესი, მას ასე სურს და ასეც იქცევა. სექსუალური შევიწროება ჩნდება ეკონომიკური უთანასწორობის ფარგლებში“ (MacKinnon, 1979, გვ. 220).

როგორც საგანს ისე მექცეოდა. ერთხელ მითხრა, აი ყავას რომ მიდუღებ, ვისკის მისხამ, დაწოლაზე უარს როგორ მეუბნებიო? მე შენი უფროსი ვარ და ის უნდა გააკეთო, რასაც ვითხოვ, თორემ დარჩები უსამსახუროდო.

მერილინ ფრაი თვლის, რომ სექსუალური შევიწროების პირობებში, სამსახურის დაკარგვის შიში აიძულებს ქალებს თვინიერად მიიღონ მამაკაცის შემოთავაზება და მიიღონ მონაწილეობა გარიგებაში „მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ“. „რაც შეეხება, სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას, ფაქტი ერთია, სამუშაო ადგილი სხვა სოციალურ ინსტიტიტებთან ერთად, არის ადგილი, სადაც ქალმა გადარჩენის ფასად უნდა ისწავლოს მამაკაცის ფსიქიკური და ფიზიკური ძალმომრეობის თვინიერად მიღება. ქალი, რომელიც არ მიიღებს მამაკაცის ძალმომრეობას ფრიგიდულად, ლესბოსელად აღიქმევა. ხშირად, მატერიალურად შეზღუდული ქალები, ამ ძალმომრეობის თავიდან ასაცილებლად ქორწინების გზას ირჩევენ, როგორც საიმედო, დამცავ საშუალებას“ (Rich, 1980, გვ. 642).

როცა მასთან ვმუშაობდი სულ მეუბნებოდა, მე ოდიოზური ტიპი ვარ, ყველა პატივს მცემს და მიცნობს, კარგად მოიქეცი თორემ გაგაგდებ და ვერსად ველარ იმუშავებ, ვერც GDS-ზე, ვერც მაესტროზე, რუსთავი 2-ზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია, რაც შენ ნიკა გვარამიას გაუკეთეო, აღარც ქმარი გყავს და დარჩები ასე უფულოდო.

ორივე შემთხვევაში, თათია და დადუ იბრძვიან სამართლებრივი მეთოდებით, ღიად საუბრობენ შევიწროებაზე და მართალია, საზოგადოების მხრიდან უამრავი შეურაცხყოფის ატანა უწევთ - *„ინტრიგანი“; „კაცს ერთი წაჩალიჩების გამო ცხოვრება დაუნგრია“,* ისინი იცავენ ღირსებას და მაგალითი ხდებიან იმ ქალებისთვის, რომლებსაც გამოუცდიათ შევიწროება ან ჯერაც ამ ძალადობრივ პირობებში უწევთ არსებობა. წნეხი, სტიგმატიზაცია მორალურად და ფიზიკურად შეურაცხყოფილ რესპონდენტებში თვითმკვლელობაზე ფიქრებს აღძრავს, მითუმეტეს რომ მსგავსი დანაშაულების გამოძიების პრეცენდენტი საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს - *„ვიმედოვნებ, რომ **ქვეყანა ჩალით არ არის დახურული** და მე დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს“.*

„ლეკვი“ - ეს მეტაფორა კიდევ ერთხელ მიგვითითებს პატრიარქალური საზოგადოების სტერეოტიპულ წარმოდგენებზე, სადაც ქალი ხშირად უსულოც კია - ***„როგორც საგანს ისე მექცეოდა“.***

თავი VI. უმცირესობების პრობლემები გენდერულ ჭრილში

ჩემს ემპირიულ მონაცემებში უმცირესობების პრობლემები ერთ-ერთი მოცულობითი თემაა. ეთნიკური უმცირესობები, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ხანდაზმულები - მარგინალიზებულნი არიან და გამოირიცხებიან სამუშაო ძალისგან.

მათ მდგომარეობას კარგად ხსნის პოლიტიკის თეორეტიკოსის, აირის მერიონ იანგის ჩაგვრის სახეებიდან მარგინალიზაცია.

ღარიბები, მოხუცები, საშუალო ასაკის ადამიანები, მარტოხელა დედები, მათი შვილები, შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანები გამოირიცხებიან სოციალურ ცხოვრებაში სასარგებლო ჩართულობისგან და ვერ არღვევენ მათ გარშემო შეკრულ „მოჯადოებულ წრეს“, ისინი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ სამუშაო ძალაში არ მოიაზრებიან - *„დაბრუნების მთავარი **შიში** ის არის, რომ მე ამ ასაკში მანდ სამუშაოს ვერ ვიპოვნი და სულ ვფიქრობ, რა უნდა აკეთოს საქართველოში ჩამოსულმა ჩემი ასაკის ქალმა?“*.

აირის მერიონ იანგის თანახმად, სექსუალური უმცირესობა „კულტურული იმპერიალიზმის“ ჩაგვრას განიცდის. გამოსცადო კულტურული იმპერიალიზმი ნიშნავს, გამოსცადო საზოგადოების დომინანტური მნიშვნელობების მიერ ცალკეული ჯგუფის განსაკუთრებული ხედვის გაუჩინარება, მაშინ როდესაც ამავე დროს ხდება ამ ჯგუფის სტერეოტიპიზაცია და „სხვად“ წარმოჩენა. დომინანტური ჯგუფები ხშირად ვერც კი ამჩნევენ ისე წარმოადგენენ საკუთარ გამოცდილებას ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებად. შესაბამისად ის, რომ ქალები განსხვავდებიან კაცებისგან, ჰომოსექსუალები ჰეტეროსექსუალებისგან რეკონსტრუირდება, როგორც მათი დევიაცია და არასრულქმნილება, ეს ჯგუფები „სხვად“ მოინიშნებიან. კულტურულად დომინირებული ჯგუფები პარადოქსულ ჩაგვრასაც განიცდიან იმ მხრივ, რომ მათ სტერეოტიპებით გამოარჩევენ და ამავე დროს უჩინარსაც ხდიან - *„ხარისხობრივად ძალიან ძლიერია ეს ჩაგვრა და დამთრგუნველია გარიყულად ყოფნა“.* დევიანტურად, სტერეოტიპულ „სხვად“ განსაზღვრული ჯგუფი, დომინანტური ჯგუფისგან

კუტურულად განსხვავდება, რადგან „სხვის“ სტატუსი განსაკუთრებულ გამოცდილებას ქმნის - ისინი სოციალურად სეგრეგირებულნი არიან და შრომის სოციალურ დანაწილებაში სპეციფიკური პოზიციები უჭირავთ. ამგვარი ჯგუფის წევრები - ქალები, ჰომოსექსუალები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ და ასე ინარჩუნებენ თავინთ კულტურას - ***„იმ პერიოდში ჰეტერო ან არათემში გაცნობილი ადამიანები, ყველა ჩამოვიშორე“*** . იანგი ამ პროცესის აღსაწერად იყენებს ტერმინს „ორმაგი ცნობიერება“, რომელსაც ორი კულტურა ქმნის - დომინანტური და დაქვემდებარებული. ჰეტერონორატიულობიდან გადახრა საკმარისია იმისთის, რომ საზოგადოებამ ადამიანი გარყვნილად გამოცხადოს - „***რაო პიდარასტო, მოგწონს სიბნელეში? კაცი ჰო არ შემოგიგდო?“*** (Young, 1990, თავი 2, გვ. 59-60).

6.1 ეთნიკური უმცირესობის პრობლემები

ეთნიკური უმცირესობის პრობლემებს შორის აღსანიშნავია ადრეული ქორწინების პრობლემა და მასთან დაკავშირებული „რიტუალები“. ბოშათა თემში, გოგონებს ათხოვებენ უცნობებზე და ფიზიკურად ძალადობენ მათზე - თუკი პირველ ღამეს, არასრულწლოვნებს შორის სქესობრივი კონტაქტი არ დამყარდა, გოგონებს სპეციალურად „ამ საქმისთვის შერჩეული ქალი“ საქალწულე აპკს ხელით ურღვევს. რესპონდენტი ვენერა მარტყოფილშვილი ამბობს, რომ მისი შვილები გათხოვებისას სწორედ ამ „ტრადიციის“ მსხვერპლნი გახდნენ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თავს სრულფასოვან მოქალაქეებად ვერ გრძნობენ, არ მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია, რადგან სიახლეები უმეტესად სახელმწიფო ენაზე გადაიცემა და ინფორმაციაზე წვდომა შეუძლებელი ხდება. მათი უმეტესობა, სახელმწიფო ენას ვერ ეუფლება, გამონაკლის შემთხვევებში, ზოგიერთი მათგანი ტელესივრცეში ქართულად გახმოვანებული თურქული სერიალებიდან სწავლობს ქართულს. ეს ყველაფერი კი სამოქალაქო ჩართულობასა და აქტივობებზე უარყოფით გავლენას ახდენს. რესპონდენტების ისტორიებში გვხვდება ტერმინები **„უცხო“, „სხვები“, „კედელი აღიმართა“**.

ბოშა გოგოებს 13-4 წლისებს ათხოვებენ. გოგოს კი არ ეკითხებიან რა უნდა, ისე ათხოვებენ ძალით.

მოკლედ, ქორწილის პირველ ღამეს თუ კი არ მოხდა სქესობრივი აქტი წყვილს შორის, გოგო მიყავთ წინასწარ ამ საქმისთვის შერჩეულ ქალთან, რომელიც საქალწულე აპკს ხელით არღვევს. წარმოიდგინეთ ეს რამხელა ძალადობაა?!

ეთნიკური უმცირესობის პრობლემებს შეეხება პანკისელი ლეილა ბექაურის ისტორიაც. ჩანს, რომ ბოშებთან ერთაც ქისტებთან ურთიერთობაც გაუცხოვებულია. აქაც გამიჯნულია ქისტი და ქართველი, მუსლიმანი და ქრისტიანი - *„რაც მართალია მართალია, მეგობრობა უფრო მეტი იყო ერთმანეთში და* ***ქისტებს იგივე ქართველებად*** *თვლიდნენ (...)“.* წინადადების წარსული დრო მიგვანიშნებს გარდასულ და უკვე შეცვლილ ურთიერთობებზე. ისტორიაში გვხვდება მეტაფორა - ***დიდი კედელი,*** რომელიც ქისტებისა და ქართველების თანამედროვე ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. ვაჰაბისტურ რელიგიასთან მიმართებით გვხვდება შედარებები ***„შირმასავით“, „მოდასავით“*** – *„სკოლაში კი არა, ადრე თავშალი გასათხოვარ ქალსაც არ ეხურა პანკისში. იფარებოდა გათხოვილი და დღეს უკან-უკან მივდივართ“.* რესპონდენტის პირად შეფასებებში რელიგიური თვითგამოხატვიდან მომდინარე საფრთხის შიში იგრძნობა, არამხოლოდ პირად, არამედ სახელმწიფოებრივ დონეზე - *„პრობლემას უკვე გადაწყვეტა მათავრობიდან სჭირდებოდა“.* ბექაური თვლის, რომ „რადიკალურ რელიგიას“ უკან-უკან მიჰყავს **ეს ხალხი.** ამ შეფასებაშიც იგრძნობა გაუცხოვება და ქისტებთან დამოკიდებულება. ბოშები და ქისტებიც უცხოები არიან და ამაზე, მიგვანიშნებს მათი მისამართით გამოყენებული სიტყვა - ***ეს ხალხი.*** თითქოს აღმსარებლობა ყველასთვის თავისუფალია, მაგრამ რესპონდენტი განიცდის რელიგიური დოგმების სიმკაცრეს, რომლებიც ქისტებს უფლებებს უზღუდავს. **აბსურდულს** უწოდებს რელიგიურ ტრადიციას - *„თვალები რასაც აქვს, იმის დახატვა არ შეიძლება“.* აქ, ერთგვარად, რელიგიური ტრადიციის დაკნინების მცდელობა იგრძნობა, რესპონდენტი ამ სიტყვებით წესების უნაყოფობას, უსარგებლობას უსვამს ხაზს. მსგავსმა განცხადებებმა შეიძლება შეურაცხყოს განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანები - *„თავსაფარს ვატარებ და თავს ამის გამო*

მანდილოსანს ვუწოდებ. ჩემი თავსაფრის ტარებით არავის ვაწუხებ, მაგრამ როცა გაიგებენ, რომ მუსულმანი ვარ, მაინც კეთროვანივით მიყურებენ“. რესპონდენტი იყენებს შედარებას - **„კეთროვანივით“**. რელიგიური უმცირესობის მიერ მსგავსი ჰიპერბოლიზებული შეფასება აუდიტორიაზე, ადრესატებზე ემოციური გავლენის მოხდენას ემსახურება და საკითხის სიმწვავეზეც მიგვანიშნებს. ამ თემასთან მიმართებით, უნდა გამოვყოთ რელიგიური ბულინგის შემთხვევები აჭარის სკოლებში, როდესაც ქრისტიანული სიმბოლოები, არააკადემიური მიზნით გამოიყენება. ეს ფაქტი განსხვავებულობის განცდას ამძაფრებს უმცირესობაში და ამ მასწავლებლების შემთხვევაც კარგად უკავშირდება პანკისის სკოლის მასწავლებელის, ლეილა ბექაურის ისტორიას. თუმცა, გაუცხოვება ცალმხრივი არ არის, ვხედავთ, რომ ქისტები სიძულვილით მოტივირებულ, უკიდურესად აგრესიულ განცხადებებს მიმართავენ ქართველთა წინააღმდეგ - *„თემურ ლენგის რვაჯერ შემოსევაზე შეიძლება თქვან **„ღირსები იყვნენ!“, „მოსულიყო მეცხრედ და დაეპყრო““**.* ეს სიტყვები უმწიფარ, თუმცა მოსალოდნელ კონფლიქტზეც მიგვანიშნებს - *„მუსლიმანი ქისტები და მართლმადიდებელი ქართველები ერთად რომ იყვნენ კლასში, დაპირისპირება გარდაუვალი იქნებოდა“.*

ეთნიკური იდენტობის პრობლემებს ეხმაურება შალალა ამირჯანოვა მარნეულიდან. ამ ისტორიაშიც გვხვდება არსებითი სახელი **„სხვები“**, რომელიც ქართველებს მიემართება - *„მანამდე ქართველები პარალელურ კლასში გვყავდა და ჩვენთვის ისინი **„სხვები“** იყვნენ, ისევე როგორც მათთვის ვიყავით ჩვენ **„სხვები“**.* ეს წინადადება ამყარებს შეფასებას, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობა გარიყულია, შედეგად სამოქალაქო აქტივიზმში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობა მინიმალურია. ურთიერთგაუცხოვება წარმოშობს მოტივებს ერებს შორის სიძულვილისთვის. რესპონდენტის განცხადებაში მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქართველების, როგორც „სხვების,“ მითის დამსხვრევის მიზეზი გახდა ჩართულობა - ტრენინგებში მონაწილეობა, ურთიერთობა, ქართველებთან სოციალური ინტეგრაცია.

სტერეოტიპულ შეხედულებებზე საუბრობს თურაჯ იბრაჰიმოვაც, თუ ზემოთხსენებულ ისტორიებს შევადარებთ იბრაჰიმოვას ისტორიას, აქაც იკვეთება **„უცხო“** ქართველის,

კონკრეტულად „ცუდი“ სვანების სახე - *„ჩვენში ჭორები იყო, თითქოს, სვანები **ცუდები** არიან, დაგხოცავენო“.* აქ იკვეთება წარსული სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების, ისტორიული მეხსიერების მნიშვნელობა, რომელმაც ნაწილობრივ დღევანდელი კონტექსტი განაპირობა - *“90-იან წლებში, როცა გამსახურდიამ განაცხადა **საქართველო მარტო ქართველებისთვის არისო**, ჩვენს სოფელში, ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში „მხედრიონი“ დაბინავდა და არსად გვიშვებდნენ“, როგორც კი დაინახავდნენ, რომ ვინმე მოდიოდა, **აყაჩაღებდნენ, ქალებს ოქროს კბილებს აძრობდნენ**, ასეთი საშნელება ხდებოდა, ამიტომ, ჩვენც ქართველებზე მუდმივად ცუდს ვფიქრობდით“.* ბოლო წინადადებაში ნაცვალსახელი „ჩვენც“ „ც“ ნაწილაკით აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას და ხაზს უსვამს დამატებითობას, რომ ჯერ იყვნენ ქართველები, რომლებიც „კბილებს აძრობდნენ“ ქალებს და შემდეგ აზერბაიჯანელი უმცირესობა, რომელსაც ცუდი წარმოდგენა შეექმნა ქართველ ერზე. ამ ისტორიაშიც იკვეთება საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის მნიშვნელობა - ამ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაცია „სიქა“ აღმოჩნდა თემში ადრეული ქორწინების პრობლემით დაინტერესებული და საგანმანათლებლო ტრენინგებით შეეცადა ცნობიერების ამაღლებას. განსხვავებულის მიუღებლობას ეხება რასიზმის მაგალითი, სადაც ქართველი ახალგაზრდები ფერადკანიან იამაიკელს - „მაიმუნად“ მოიხსენიებენ - *„მე მითხრეს „**ამ მაიმუნის** გვერდით რატომ ზიხარო“, ან როცა შემთხვევა მოხდა მაკდონალდსში, სადაც მე არ ვიყავი და დაცვამ „სიტუაციის გასანაიტრალებლად“ ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. დაზარალებულს რატომ უნდა დაეტოვებინა ტერიტორია?“.* რესპონდენტის კითხვა სრულიად ლეგიტიმურია, რასობრივი დისკრიმინაცია დანაშაულებრივი ქმედებაა და მსხვერპლის ნაცვლად მოძალადე უნდა ისჯებოდეს. ზემოთ განხილულ ისტორიებში ქართველებზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები საუბრობდნენ, ეს კი ის შემთხვევაა, როდესაც ქართველი გოგონაა იმედგაცრუებული საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლებით - *„როცა აარონს ასთმის შეტევა დაემართა და სკამზე დამჯდარს ასუნთქებდნენ ინგალატორს, სანამ არ დავრეკეთ, იმიტომ, რომ **ეგონათ ვიღაცა „ჭ“** - ასეთია ჩვენი ქვეყანა“.* ფრაზა - *ეგონათ ვიღაცა „ჭ“* მიგვითითებს შერჩევითობაზე, საქართველოში ადამიანები გრძნობენ, რომ განირჩევიან კანის ფერის, ეროვნების და რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით.

რაც შეეხება, პრობლემის მოგვარების ინდივიდუალურ სტრატეგიებს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პანკისის ხეობის ქალების ძალისხმევა ქალთა საბჭოს დაარსების საქმეში. ადრე, პანკისში მამაკაცები წყვეტდნენ ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს და ვერავის წარმოედგინა, რომ უხუცესი მამაკაცების საბჭოს გვერდით ქალთა საბჭოც იარსებებდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პანკისში ქალთა საბჭო შეიქმნა. კაცებისთვის ეს გაუგონარი ამბავი იყო. თავიდან წინააღმდეგობაც გაგვიწიეს. მაგრამ ჩვენ ძალიან ტექნიკურად ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს, შეპარვით. ვესაუბრებოდით და ვარწმუნებდით, რატომ იყო მათთვისაც სასარგებლო ასეთი საბჭოს არსებობა.

პანკისის ხეობაში სახელმწიფოს სუსტი როლი გამოხატულია ეთნიკური უმცირესობის სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობის ნაკლებობით. რეგიონში არ ტარდება შეხვედრები თემთან, განათლების სამინისტრო მოსახლეობის მიმართვებს, წერილებს დუმილით პასუხობს.

ერთხელ ლია გიგაურს წერილიც კი მივაწოდე, სადაც ამ პრობლემებზე ვწერდი და იქნებ ერთად გვეფიქრა, რა მოვახერხოთ-მეთქი. მაგრამ არავითარი კომუნიკაცია ჩვენთან არ ყოფილა, არც არაფერს გვავალებენ და არც გვეკითხებიან.

ეთნიკურად განსხვავებულ ადამიანებს შორის დაპირისპირება იგრძნობა რესპონდენტის მიერ ბოშების მესამე პირის ნაცვალსახელით მოხსენიებაში, ქმარი - ის, „***ის*** *ბოშა იყო გურჯაანიდან,* დედამთილი, მამათილი, მული - **ისინი, ამათთან** - ...„*მაგრამ რაიმე სამსახურში მუშაობა* ***ამათთან*** *სირცხვილი იყო;* ***ამათთან*** *მიღებულია ორი-სამი ცოლი რომ ჰყავდეს".*

რესპონდენტი იყენებს ოპოზიციურ წყვილს **„ჩვენ - ისინი"**, ქართველობის, ეროვნულობის განცდას გამოხატავს სიტყვებით - **„ჩვენებმა"**. ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ ოჯახური კონფლიქტის კვალი იკვეთება, არამედ უფრო ღრმა და ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მტრობის მაგალითი - *„მოკლედ, გავყევი და წამიყვანა გურჯაანში, მაგრამ მალე დამაბრუნეს* ***ჩვენებმა; მე კი ქართველი ვიყავი*** *და არ შემეძლო,*

რომ ჩემს ქმარს მეორე-მესამე ცოლი ჰყოლოდა და სახლში ერთად გვეცხოვრა. ***ჩემები*** *სულ მეუბნებოდნენ, დაანებე* ***მაგათ*** *თავი და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდიო".* რესპონდენტი ამ სიტყვებით გამოხატავს ქართული ტრადიციების დაცვის მცდელობას. მარტყოფიშვილის ნაამბობში სახელმწიფოებრივი დანაშაულიც იკვეთება, არა მხოლოდ რესპონდენტია „უცხოტომელების" მიმართ უარყოფითად განწყობილი, არამედ ქართული სახელმწიფოც - *„1991-1992 წლებში, გამსახურდიას დროს, ჩვენ მაშინ გურჯაანში ვცხოვრობდით, ბოშები გაყარეს საქართველოდან. მართალია,* ***მე მითხრეს, შენ არ წახვიდე, ქართველი ხარო****, მაგრამ ქმარი მიდიოდა და იძულებული ვიყავი, მეც წავსულიყავი".* ბოშები, როგორც ჩანს სახელმწიფოებრივ დონეზე აღიქმებოდა უცხოებად.

მართალია, რესპონდენტი ბოშების, როგორც უცხოების მიმართ უნდობლობას გამოხატავს პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგრამ ისტორიის ბოლოში ვიგებთ, რომ მარტყოფიშვილი ბოშათა თემში ქალთა უფლებების დასაცავად იბრძვის - „*დიდი ნდობა მაქვს მე* ***ამ*** *თემში*" - ამ სიტყვებით კი რესპონდენტი არ გამოხატავს ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდას. იბრძვის თემის დასაცავად, მაგრამ ისინი მაინც უცხოებად რჩებიან.

6.2 ლგბტ თემის პრობლემები

ისტორიებში ვკითხულობთ სექსუალურ უმცირესობებზე ძალადობის შემთხვევებს. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს დისკრიმინაციის სამიზნედ აქცევს გარეგნობა, გამორჩეული ჩაცმის სტილის, საუბრის ინტონაცია, მანერა. მათზე ძალადობს საზოგადოება, მშობლები, დედმამისშვილები, მოსწავლეები, დამსაქმებლები. ოჯახის წევრებისთვის მიუღებელია შვილების განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია, მათ „მკურნალობენ" სამედიცინო დაწესებულებებსა და ეკლესიაში. ერთ-ერთი რესპონდენტი გულწრფელად ამბობს, რომ დიდი ხნის განმავლობაში „პატრიოტულ-ნაციონალისტური" იდეებით შთაგონებული ჰომოფობი

იყო და „მორჩილი“, „ჰეტეროსექსუალი“, „ტრადიციების მიმდევარი“ „ჭეშმარიტი ქართველი ქალის“ ღირებულებებს იცავდა.

ჩაგვრა, ძალადობა, ბულინგი - ეს ყველაფერი სკოლიდან დაიწყო. კლასში კარადაში მკეტავდნენ ხოლმე, შიგნით ასაფეთქებლებს მიყრიდნენ, მიბრახუნებდნენ. მიყვიროდნენ: „რაო პიდარასტო, მოგწონს სიბნელეში? კაცი ჰო არ შემოგიგდო?“ ან ჩამომაცმევდნენ ნაგვის ურნას თავზე და ცოცხებს მირტყამდნენ... ამას 13-14 წლის ბავშვები მიკეთებდნენ.

სექსუალური უმცირესობების წამრმომადგენლები მარგინალური ჯგუფის წევრები არიან, არ მოუწვდებათ ხელი საჭირო სერვისებზე, მომსახურებაზე, სახელმწიფო სტრუქტურები, ძალოვანი სისტემა ნაკლებ ყურადღებას უთმობს მათი შევიწროების, დისკრიმინაციის ფაქტების გამოძიებას, ამ ყველაფერს კი მუდმივი შიშის, სტრესის, დაუცველობის განცდა ახლავს თან - *სულ გეშინია, რომ ვინმე* ***დაგაშინებს, დანას დაგარტყამს, იარაღით მოგკლავს,*** *პატრულიც გვიმძაფრებს დაუცველობის შეგრძნებას, როდესაც დაგცინის, ცინიკურად გელაპარაკება, გამცირებს“...*

რაოდენობრივი კონტენტ ანალიზის *შედეგად,* ლგბტ თემის ისტორიებშიც მეტი სიხშირით გამოყენებული სიტყვაა - **„სხვები“**.

ადრიან რიჩის „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა“ ეხმიანება ჩემს ემპირიულ მონაცემებში, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების მდგომარეობას. ჰეტეროსექსუალობა დადგენილია პატრიარქატის წესების ფარგლებში და ამ ნორმის ჩაგონება, განმტკიცება იწყება ადრეული ასაკიდანვე.

გოგონა უნდა იყოს მორჩილი, თვინიერი, დამყოლი, მომთმენი, ემპათიური, ბიჭი კი ძლიერი, აგრესიული, შემტევი, კონკურენტუნარიანი. მას ეკრძალება ემოციების გამოხატვა - მაგ: ტირილი. ჰომოსექსუალი მამაკაცი კარგავს მასკულინობას და ხდება ფემინური, „ქალაჩუნა“. ხოლო ქალი, რომელიც კარგავს ფემინურობას და ხდება მასკულინური, ასევე მიუღებელია. „კაცური“ ქალი მხოლოდ ლესბოსელი შეიძლება იყოს.

6.3 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემები

ისტორიებში გამოკვეთილია შეზღუდული შესაძლებლობების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა/ბავშვთა უფლებების დაუცველობა. ბავშვთა უფლებების დარღვევა გამოიხატება მშობლების მხრიდან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში. შშმპ/სსსმპ პირთა უფლებები ილახება საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული რწმენა-წარმოდგენების გამო. რესპონდენტების თქმით, საქართველოში სჯერათ, რომ ფიზიკური შეზღუდვების და სპეციალური საჭიროების მქონე პირებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და ჩვენთვის სიკეთის მოტანა. მოქალაქეებს ებრალებათ ეს ადამიანები, უადგილო დახმარებას უწევენ, ამ დროს, კი პრობლემა საჭირო მომსახურებასა და დასაქმებაზე მიუწვდომლობაა. **„სირცხვილის დერეფანი“** ასეთია გარემო მათთვის, სადაც სიტყვით, მზერით, ქცევით ძალადობს საზოგადოება.

როცა ქალი ხარ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხარ, მანდ თითქმის მთავრდება ყველაფერი. შენ სქესიც აღარ გაქვს. ჩემი ფლირტი, როგორც წესი, ე.წ. „ფრენდზონით“ მთავრდება. ან მე ვხვდები ამ ზონაში, ან - ის.

ერთხელ, ბოსტნეულის გამყიდველს უთქვამს, ქუდი რატომ არ გახურავს ამ ქარშიო. თუმცა ქუდი რად გინდა, ტვინი არ გაქვს, რომ გაგიფრინდესო. მომიყვა და ორივეს გაგვეცინა, იმიტომ რომ მართლა სასაცილო იყო. რასაკვირველია არცერთი არ გავბრაზებულვართ ამაზე.

განსაკუთრებით თვალშისაცემია სამედიცინო პერსონალის არაპროფესიონალიზმი - ინფორმაციის, ცოდნის ნაკლებობა, დაგვიანებული და არასწორი სამედიცინო დასკვნის ფატალური შედეგები. ციფრულ ეპოქაში, სადაც ხელმისაწვდომია უამრავი სამეცნიერო სტატია და უმოკლეს დროში, ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, ექიმს აუტისტური სპექტრის აშლილობის შესახებ წარმოდგენა არა აქვს. არაპროფესიონალური ქირურგიული ჩარევა ლეტალურად სრულდება უკეთეს შემთხვევაში კი ფიზიკურად მახინჯდებიან ადამიანები/ბავშვები. ერთ-ერთი

რესპონდენტი ამბობს, რომ მის მცირეწლოვან გოგონას არაერთი არასწორი ჩარევების შედეგად 16-ჯერ გაუკეთდა ერთი და იგივე ოპერაცია.

მარიამს 16 ოპერაცია აქვს გაკეთებული, რადგან ექიმებს ზოგჯერ რაღაც ეშლებოდათ, ხან შუნტის ადგილი ჩირქდებოდა, ხან თავში, ხანაც მუცლის ღრუში.

მონიტორინგი არ მიმდინარეობდა და ძალიან საშინელი პირობები იყო. მაგალითად, აბაზანაში არ იყო შუქი, ნახევარი მეტრი ჭუჭყი იყო შიგ და ტილები დადიოდნენ. ასევე, ერთი ბიჭი გარდაიცვალა უცებ, მხოლოდ ერთი მედდა იყო იქ კეთილი მეტ-ნაკლებად და გვეხმარებოდა, რომელმაც თქვა რომ ფსიქოტროპული წამლების ზედოზირების გამო მოკვდა ეს ბიჭი.

ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებიც და მათი მშობლებიც თავად ცდილობენ გზა გაიკვლიონ. იბრძვიან თავიანთი უფლებების დასაცავად, იღებენ განათლებას, ესწრებიან სამეცნიერო/სამედიცინო კონფერენციებს - სიახლეების მისაღებად, ქმნიან პრეცენდენტებს და აქტიურად მონაწილეობენ შშმ პირთა უფლებების დაცვის საბჭოს საქმიანობაში.

„მშობელთა კავშირის“ სახელით, ასევე, აქტიურად ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვებში, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააკეთოს ამ ბავშვებისთვის რაღაც. გარდა ამისა, ვატარებთ ტრეინინგებს საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის, სპეც-პედაგოგებისთვის და სხვა. ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ორგანიზაციებთანაც.

შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების უფლებების დარღვევა სახელმწიფოს სუსტი ჩართულობით არის გამოწვეული. გარემო არ არის ადაპტირებული, რიგ შემთხვევებში, სადაც ერთი შეხევდით ჩანს, რომ შშმ/სსსმ პირებისთვის გარემო შესაფერისია, რეალურად, ეს ადამიანები ვერ იყენებენ ვერც პანდუსებს, ვერც საპირფარეშოს მოაჯირებს, რადგან ისინი არასწორად დაგეგმილი პროექტების შედეგად იქმნება. სახელმწიფო მოხელეებს ბოლომდე არა აქვთ გაცნობიერებული ამ ადამიანების მდგომარეობის სიმძიმე,

სინამდვილე, რომელშიც მათ უწევთ არსებობა. მიზეზი მათთან კომუნიკაციის ნაკლებობაა. საბჭოში, რომელიც ამ ადამიანების უფლებებს უნდა იცავდეს, არც შშმ პირთა მშობელია ჩართული და არც თავად შშმ პირი, რომელსაც ყველაზე უკეთ ესმის, როგორი გარემო იქნებოდა მისთვის შესაძლებლობების განვითარების და გამოვლენის ხელშემწყობი.

პანდუსების ნაწილი ფორმალურია, კვაზი პანდუსებს ვეძახი მათ, შეუძლებელია ამ პანდუსებით ისარგებლო.

არაფერი არ იყო ჩემთვის ხელმისაწვდომი - არც ფიზიკური გარემო და არც ტესტები. ძირითადად ზეპირად ვაბარებდი ლექტორებს გამოცდებს. არც ჩემს მერე შეცვლილა იქ სიტუაცია, როგორც სხვა სტუდენტები ყვებიან.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები საზოგადოების დამოკიდებულების აღსაწერად იყენებენ მეტაფორას - **„სირცხვილის კორიდორი“**. ამ მეტაფორას აბსოლუტური სიზუსტით იმეორებენ სხვა რესპონდენტებიც. „სირცხვილის კორიდორში“ გამავალ ადამიანებს უწევთ დაჟინებული მზერის, კომენტარების, შეურაცხმყოფელი გადალაპარაკებების, შორისდებულების ატანა - ***„ეს, ვაბშე როგორ დადის?“; „თუ უსინათლო ხარ, რას დაწანწალებ აქეთ-იქით, დაეგდე სახლში“; „ნწ, ნწ, ნწ“.*** ამ ამბებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები საკუთარ თავს სექსუალური უმცირესობის მდგომარეობას ადარებენ - *„ჩვენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები,* ***იდეალური მსოფლიოს და იდეალური ადამიანების ხატს ვამსხვრევთ“ (თვითირონია).*** *ამიტომ ხალხს ურჩევნია, ჩვენ სადღაც ერთად თავმოყრილები და თან მათი თვალისგან მოშორებით ვიყოთ. იგივეა* ***სექსუალური უმცირესობების მიმართაც“.***

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კვლევის ჰიპოთეზები გამართლდა. 130-მდე ნარატივის კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდით კვლევამ გვიჩვენა, რომ პროექტში წარმოდგენილი ქალების პრობლემები ემთხვევა უფრო ფართო კონტექსტში არსებულ აქტუალურ პრობლემებს. განათლებულ და ეკონომიკურად დამოუკიდებელ ქალებს უფრო მეტი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ მჩაგვრელი გარემოსთვის, ვიდრე პროფესიის არმქონე, ეკონომიკურად სხვაზე დამოკიდებულ ქალებს.

ქართველ ქალებს არა აქვთ შესაძლებლობების განვითარების, ნიჭის რეალიზების საშუალება, რადგან კულტურული სტერეოტიპები აწესებს საერთო ნორმებს, რომლებსაც ყველანი ბრმად უნდა ემორჩილებოდნენ. მკვეთრად გამოხატული სოციალური პრობლემაა გენდერული უთანასწორობა და მისგან მომდინარე საფრთხეები: სიღარიბე, უმუშევრობა, ეკონომიკური დამოკიდებულება, არაერთგვაროვანი გენდერული როლები ოჯახში - ქალის აუნაზღაურებელი, „უხილავი“ შრომა (საოჯახო საქმეები, შვილების, ქმრის, ქმრის ნათესავების მოვლა-პატრონობა), ოჯახური ძალადობა... ძალადობისადმი მოწყვლადი ჯგუფებია ეთნიკური, სექსუალური უმცირესობა, ფიზიკურად და მენტალურად შეზღუდული ადამიანები, „უჩინარი“ მარგინალები, რომლებიც „სხვებად“ არიან მონიშნულები. მარგინალიზებულთა ჯგუფებს მიეკუთვნებიან ხანდაზმულები, საშუალო ასაკის მოსახლეობა, მარტოხელა დედები და მათი შვილები, რომლებსაც სოციალური კოოპერაციის ნაკლებობით გამოწვეული პრობლემები აწუხებთ - ნაკლები ინტერაქცია საზოგადოებასთან და შედეგად, გამოუსადეგრობის, უსარგებლობის განცდა. მართალია, არსებობს სოციალური დახმარების სერვისები, რომლებიც ამ ადამიანებს უზრუნველჰყოფს მატერიალური კეთილდღეობისთვის საჭირო რესურსებით, მაგრამ კეთილდღეობის სერვისებზე დამოკიდებულება სხვა პრობლემებს წარმოშობს - ეს ადამიანები ვერ სარგებლობენ სხვებისთვის მინიჭებული უფლებებით და დახმარების დაკარგვის შიში აიძულებთ განვითარების შესაძლებლობებზე უარი თქვან. ეთნიკური უმცირესობის პრობლემებს შორის მნიშვნელოვანია გამოვყოთ ადრეული ქორწინების და გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევები. ადრეული ქორწინების პრობლემაში

განსაკუთრებით შემზარავია გოგონების სასქესო გენიტალიების დამახინჯების ტრადიცია.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები თავიანთ მდგომარეობას სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების მდგომარეობას ადარებენ. ეს ორი ჯგუფი საერთო პრობლემების წინაშე დგას: საჭირო მომსახურებისადმი მიუწვდომლობა, სტრესული გარემო - თავდასხმის, ძალადობის მუდმივი შიში, უმუშევრობა და უნარების განვითარების შეზღუდვა.

ისტორიების განსაკუთრებულობა სწორედ ისაა, რომ ყველა ქალი თავისებური ძლიერი ხასიათით, შეუპოვრობით და მედგარი ბუნებით გამოირჩევა. ისინი დამოუკიდებლად, ინდივიდუალური სტრატეგიების გამოყენებით ცდილობენ, დაიცვან მოწყვლადი ჯგუფები ძალადობისგან, მოითხოვენ მათი უფლებების აღიარებას სახელმწიფოსგან და საზოგადოებისგან, მაგ: შშმ პირთა უფლებების დაცვის საბჭოს სამუშაო ჯგუფში აქტიური მონაწილეობით, შშმ პირის მშობელი, საბჭოს წევრებს აწვდის ზუსტ ინფორმაციას ამ ადამიანების საჭიროებებზე და სთავაზობს პრობლემის მოგვარების მისეულ ხედვასაც; ქალები ესწრებიან სამედიცინო კონფერენციებს, იღებენ უახლეს ინფორმაციას იშვიათი დაავადებების მკურნალობის მეთოდებზე; ესწრებიან ინკლუზიური განათლების გაკვეთილებს სკოლაში და საკუთარ რეკომენდაციებს აწვდიან განათლების სამინისტროს.

პროექტში წარმოდგენილი რესპონდენტების მიზანია, თავიანთი ისტორიის, გამოცდილების, პრობლემასთან გამკლავების სტრატეგიების სხვებისთვის გაზიარება, თანაგანცდის გამოწვევა და იმ ადამიანების გააქტიურება, წახალისება, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან.

ბიბლიოგრაფია

1. Blackledge, A. (2005). *Discourse and Power in a Multilingual World.* Amsterdam: John Benjamins Publishing Company.
2. Connell, R.N. (2005). *Masculinities*. California: University of California Press.
3. Frye, M. (1983). *The Politics of Reality: Essays in Feminist Theory.* New York: The Crossing Press.
4. Fairclough, N. (1989). *Language and Power*. London: Longman.
5. Halberstam, J. (1998). *Female Masculinity.* Duke University Press: Durham and London.
6. Kimmel, M. (2005). *The Gender of Desire (Essays on Male Sexuality).* New York: State University of New York Press.
7. Keller, R. (2013). *Doing Discourse Research: An Introduction for Social Scientists.* London: SAGE.
8. MacKinnon, A. (1979). *Sexual Harassment of Working Women: A Case of Sex Discrimination.* New Heaven, Conn: Yale University Press.
9. Reeser, T. (2010). *Masculinities in Theory: An Introduction.* Hoboken: John Wiley & Sons.
10. Rich, A. (1980). *Compulsory Heterosexuality.* Signs: Journal of Women in Culture and Society. Chicago: University of Chicago Press.
11. საბედაშვილი, თამარ. (2006). *ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
12. წერეთელი, მ. (2006). *გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
13. Watkins, G. (2016). *Understanding Patriarchy.* https://resonanceaudiodistro.org/2016/12/17/understanding-patriarchy-audiozine/ accessed 20 June, 2017
14. Young, M. (1990). *Justice and The Politics of Difference.* Princeton: Princeton University Press.

ინტერნეტ რესურსები:

15. ამაშუკელი, მ. (2015). *„სექსუალური შევიწროება ქალთა „უჩინარი“ დისკრიმინაცია“.*

http://css.ge/files/Books/Mariam%20Amashukelis%20book/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%A3%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_(%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98).pdf

16. გაეროს განვითარების პროგრამის კვლევა: *„საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“.*

http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

17. კონსტიტუციის 42-ე მუხლის 2017 წლის კვლევა: *„ქალთა უფლებრივი მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში“.*

http://ewmi-prolog.org/images/files/5865ReportofArticle42.pdf

18. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში: *„ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“.*

http://ombudsman.ge/uploads/other/3/3720.pdf

19. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანაგრიში: *„ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“.*

http://ombudsman.ge/uploads/other/4/4451.pdf

20. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში: *„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა“.*

http://ombudsman.ge/uploads/other/4/4562.pdf

21. საიას ბლოგპოსტი: *„სახელმწიფომ სექსუალური შევიწროება დასჯადი უნდა გახადოს“.*

https://gyla.ge/ge/post/sakhelmtsifom-seqsualuri-shevitsroeba-dasjadi-unda-gakhados#sthash.o0jrX1sk.dpbs

22. „საფარის“ 2017 წლის კვლევა: *„სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში - საკანონმდებლო პრაქტიკის მიმოხილვა“.*

http://sapari.ge/wp-content/uploads/2017/02/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tekle Karosanidze

Georgian Woman's Social Issues and Strategies to Deal with them Based on the Project: "Women of Georgia"

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Sociology of Culture and Media

Thesis supervisor: Lia Tsuladze

Phd in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

ნუცა ქირიკაშვილი

თეატრი, როგორც საზოგადოების რეპრეზენტაცია, თანამედროვე ქართულ რეალობაში

ნაშრომი შესრულებულია კულტურისა და მედიის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები:

ლია წულაძე-სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ამირან ბერძენიშვილი-ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება რუსთაველის თეატრის მიერ საზოგადოების რეპრეზენტაციას თანამედროვე ქართულ რეალობაში. როგორ აისახება რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში თანამედროვე რეალობა და როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს მაყურებელი.

რუსთაველის თეატრი არის ერთ-ერთი პირველი დრამატული თეატრი საქართველოში, რომელიც დაარსების დღიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული კულტურის განვითარებაში. რუსთაველის თეატრმა გააცნო საქართველო მსოფლიოს და საერთაშორისო თეატრალურ ხელოვნებაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. რუსთაველის თეატრში იდგმებოდა სპექტაკლები ისეთ თემებზე, რომელზეც ხმამაღლა საუბარი აკრძალული იყო, თეატრს ჰქონდა გავლენა საზოგადოებაზე, მისი აზრის ფორმირებაზე.

რუსთაველის თეატრის ისტორიის გაანალიზება ისეთ საკითხებზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს, როგორიცაა ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო, სახელმწიფო პოლიტიკა, ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და სხვა. ეს ყველაფერი განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს რუსთაველის თეატრს, როგორც სოციოკულტურული სახელმწიფოებრივი ყოფის ამსახველ ინსტიტუტს.

საკვლევი საკითხის შესასწავლად, გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის ტექნიკა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა მიზნობრივი შერჩევა. ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ რუსთაველის თეატრის, როგორც მაყურებლები, ასევე რეჟისორები და მსახიობები. კვლევის მიზანია თეატრის, როგორც სოციალური რეალობის რეპრეზენტაციის კვლევა, როგორც მაყურებლის, ისე რეჟისორისა და მსახიობების პერსპექტივიდან.

მიზნის განსახორციელებლად დასახული ამოცანებია: რეჟისორის მიერ სპექტაკლში ჩადებული სოციალური გზავნილის განსაზღვრა, როგორ ხედავენ და ახორციელებენ მსახიობები რეჟისორის მიერ სპექტაკლში ჩადებულ სოციალურ გზავნილს, როგორ

აღიქვამს მაყურებელი რეჟისორის და მსახიობის გზავნილებს და რამდენად მიაჩნია ისინი ქართული რეალობის რელევანტურად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რუსთაველის თეატრის სპექტაკლები თანამედროვე და აქტუალურია, მკაფიო მინიშნებებით პრობლემატურ საკითხებზე და შესაბამისად მაყურებლის მიერ აღიქმება, როგორც ჩვენი რეალობის რელევანტური.

Annotation:

Master's work concerns to society representation in modern reality by The Rustaveli theatre - how modern reality is reflected in the Rustaveli theatre performances and how it will be perceivable by the Georgian audience.

The Rustaveli theatre is one of the first playhouse in Georgia which plays important role in development of Georgian culture since its very foundation. The Rustaveli theatre has introduced Georgia to the intire world and obtained honorable place in international theatrical arena. Performances produced at the Rustaveli theatre covered actual, problematic themes and issues that were prohinited by that time. Theatre had influence on society and on formation of general opinion in the country.

The analysis of the Rustaveli theatre history gives us the opportunity to discuss such issues as individual, society, state, state policy, everyday life of citizens and other themes. This highlights additional significant status to the Rustaveli theatre as the institute illustrating social-cultural exitance of the state.

For examination the issue qualitative methods of sociological research were carried out, more specificly in-depth interview and focus group techniques. Within the scope of research, target selection was carried out within the survey.The target group of my research are spectators, producers and actors of the Rustaveli theatre. The aim of research is representation the study of social reality from perspective of director and actors.

Objectives set for implementing the final aim are: determination of social or any problematic message displayed in the performance by the director, how artists see and implement certain messages of the director in various shows and how audience perceives the very messages displayed in the show – its relevance on Georgian reality.

As a result of the carried out research, it has been stated that the performances of the Rustaveli theatre are modern and actual with obvious references on problematic issues currently shaping social and political processes in Georgia and accordingly, overall process is perceived as a relevant picture of our reality by audience.

სარჩევი

Contents

ანოტაცია 2

თავი 1. შესავალი 7

საკითხის დასმა და კვლევის აქტუალობა 7

კვლევის მიზანი და ამოცანები: 10

ამოცანები: 10

საკვლევი ჰიპოთეზა: 10

შერჩევა და მონაცემების მოპოვების მეთოდები 10

მიღებული მონაცემის გაანალიზება: 12

კვლევის მეცნიერული პრაქტიკული მნიშვნელობა: 13

კვლევის შეზღუდვები : 13

თავი 2. ძირითადი ცნებების განმარტება 14

თავი 3.თეორიული ნაწილი 17

თეატრი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში 17

ბერტოლდ ბრეხდი და აუგუსტო ბოალი 22

რუსთაველის თეატრი 24

თავი 4. ემპირიული ნაწილი 34

რეჟისორის და მსახიობების სოციალური გზავნილები 37

დასკვნა 43

ბიბლიოგრაფია 46

Bibliography 46

თავი 1. შესავალი

საკითხის დასმა და კვლევის აქტუალობა

თეატრს საზოგადოებისთვს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ის აყალიბებს მათ გემოვნებას, უზრუნველყოფს ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებას, როგორიც არ უნდა იყოს თეატრალური ხელოვნების გამოხატვის ფორმა მისი შინაარსი ძირითადად დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, ისტორიასთან და კულტურასთან. ის აღწერს, ასახავს ადამიანის შინაგან სამყაროს, აქვს მჭიდრო კავშირი თანამედროვეობასთან და ითვალისწინებს საზოგადოების მოთხოვნებს.

ადამიანების ყოველდრიური ცხოვრება შეიძლება დავაკავშიროთ თეატრალურ წარმოდგენასთან, სადაც ადამიანს ისევე როგორც მსახიობს მორგებული აქვს სხვადასხვა როლი, რომლის პრეზენტაციასაც ახდენენ აუდიტორიის წინაშე, თეატრი არის საშუალება ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების გასაანალიზებლად, ამის მიხედვით იკვლია ირვინ გოფმანმა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება, ის ბევრ საერთოს ხედავს თეატრალურ წარმოდგენებსა და იმ თავისებურ აქტებს შორის, რომელთაც ჩვენ ვქმნით ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, ადამიანებს ყოველდღიურად მორგებული აქვთ სხვადასხვა როლი, , ინდივიდს აქვს სცენარი, რომლის მიხედვითაც მოქმედებს, ეს ყველაფერი ადამიანს აქცევს მსახიობად, რომელიც ასრულებს სპექტაკლს და მას აფასებს აუდიტორია. ადამიანი შეიძლება მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო როლს თამაშობდეს ეს შეიძლება იყოს მშობლის, პედაგოგის, მეზობლის, მეგობრის და ა.შ. რომლის პრეზენტაციასაც ახდენენ აუდიტორიის წინაშე. (გოფმანი, 2007)

საქართველოში თეატრალური სანახაობები, უძველისი დროიდან იღებს სათავეს, სარიტუალო დღესასწაულებზე ადამიანები თეატრალური ხელოვნების ელემენტების შემცველი მოძრაობებით გამოხატავდნენ საკუთარ რწმენას, პრობლემებს და სურვილებს. ამ ყველაფერს ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები: ვერცხლის თასი ნიღბოსანთა ფერხულის გამოსახულებით (თრიალეთი, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა), კოლხური მონეტები, ფრესკები, ნიღბები და

ა.შ. დროთა განმავლობაში გამოხატვის ფორმები და საშუალებები შეიცვალა, თუ ადრე დრამატურგი თავად იყო რეჟისორიც და მსახიობიც, ახლა ფუნქციები გადანაწილდა და დრამატურგი წერს პიესას, რეჟისორი დგამს სპექტაკლს ხოლო მსახიობი რეჟისორის ჩანაფიქრის რეალიზებას ახდენს და მიაქვს ჩანაფიქრი მაყურებლამდე დრამატული მოქმედების საშუალებით.

რუსთაველის თეატრი არის ერთ-ერთი პირველი დრამატული თეატრი საქართველოში, რომელიც დაარსების დღიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული კულტურის განვითარებაში. რუსთაველის თეატრმა გააცნო საქართველო მსოფლიოს და საერთაშორისო თეატრალურ ხელოვნებაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. თეატრის რეჟისორები მსახიობებთან ერთად ისტორიის მანძილზე მუდმივად ცდილობდნენ, წინ წამოეწიათ ქვეყანაში არსებული ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდა ქვეყნის და საზოგადოების განვითარებას. თეატრში იდგმებოდა სპექტაკლები ისეთ თემებზე, რომელზეც ხმამაღლა საუბარი აკრძალული იყო, რომლის უკანაც ხშირად იმალებოდა ფარული პროტესტი, მიმართვა ხალხისადმი და იმ პრობლემების ასახვა, რომელიც საზოგადოებაში არსებოდა, ეხებოდა ეს პოლიტიკურ, სოციალურ თუ გენდერული საკითხებს. (ვადაჩკორია, 1981)

რუსთაველის თეატრი იყო ერის განმამტკიცებელი, გამაერთიანებელი, რომელიც აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, მოუწოდებდა საზოგადოებას ერთიანობისკენ . თეატრი „აღადგინეს და განაახლეს 1879 წელს, ხოლო 1921 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. (სიკო ვადაჭკორია 1981,3-4), თეატრის აღდგენის იდეა გულისხმობდა საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და კულტურულ იდენტიფიკაციას. თეატრის აღმდგენი და მისი იდეური მიმართულების განმსაზღვრელები თავდაპირველად იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, მათი მთავარი ამოცანა იყო განევითარებინათ ქართული კულტურა, აემაღლებინათ საზოგადოების განათლების დონე და შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა. თეატრი მუდმივად ასრულებდა ეროვნულ საქმეს, რომელიც გამოიხატებოდა სპექტაკლებით მაგალითად დავით ერისთავის სამშობლო, რომლის

პრემიერა შედგა 1982 წელს, სპექტაკლში გამოყენებული იყო ქართული ჩალისფერი დროშა, რომელიც იყო სიმბოლო ბრძოლის, საქართველოს ეროვნულობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. სპექტაკლმა მაყურებელი იმდენად მოხიბლა, რომ წარმოდგენა ნამდვილ მშვიდობიან დემონსტრაციად გადაიქცა (ვადაჩკორია, 1981)ამ მასალის მიხედვით შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ რუსთაველის თეატრს ქონდა გავლენა საზოგადოებაზე, მისი აზრის ფორმირებაზე და ის ასახავდა არსებულ რეალობას, ეს არ არის ერთადერთი მასალა რომელიც რუსთაველის თეატრის მნიშვლელობას უსვამს ხაზს, რუსთაველის თეატრი თავისი არსებობის განმავლობაში მუდმივად იმყოფებოდა ქვეყანაში მიმდინარე კულტურული თუ პოლიტიკური მოვლენების ცენტრში, ამის თვალსაჩინოდ ბოლო პერიოდის მაგალითებს მოვიყვან ადრეულ 60-იან წლებში რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუა, თეატრის შემოქმედებითი ხელმძღვანელი 1980 წლიდან. ამავე პერიოდში თეატრში მუშაობდა კიდევ ერთი განთქმული რეჟისორი - თემურ ჩხეიძე. ის იყო ავტორი ფსიქოლოგიური დადგმების ხაზგასმული ქალური თემებით - "ქალის ტვირთი", "გუშინ" დასხვები. (ვადაჩკორია, 1981)

70-იან წლებში რობერტ სტურუას უმნიშვნელოვანეს ნამუშევართა შორის არის "ყვარყვარე", "კავკასიური ცარცის წრე", "რიჩარდ III" და სხვა ნაწარმოებები, რომლებმაც რუსთაველი მსოფლიო მნიშვნელობის თეატრი გახადა. 80-იანი და 90-იანი წლები თეატრში დაკავშირებულია ეპოქის, საუკუნის დასასრულთან, საზოგადოებებისა და პიროვნებების შექმნასა და გარდაქმნასთან. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ყველა მოვლენა თეატრის გარშემო ხდებოდა ფიზიკური მნიშვნელობითაც. ხალხი შემოდიოდა ქუჩის დემონსტრაციებიდან, რათა პასუხი ეპოვათ მათ შეკითხვებზე, ხალხი მოდიოდა მაშინაც კი, როდესაც ქალაქში ელექტროენერგია არ იყო და წარმოდგენები სანთლის შუქზე იმართებოდა. ტეატრი ცხოვრების ნაწილი, ხოლო ცხოვრება კითეატრის ნაწილი იყო. ყვეაფერი ეს დღემდე გავლენას ახდენს რუსთაველის თეატრის ყოველ ახალ წარმოდგენაზე, ყოველ იდეაზე, ახალ ქმნილებაზე და კონცეფციაზე. (ვადაჩკორია, 1981)

საინტერესოა როგორ აისახება ახლა რუსთაველის თეატრში თანამედროვე ქართული რეალობა და როგორ აღიქვამს მაყურებელი რეჟისორის და მსახიობის მიერ სპექტაკლით მიწოდებულ სოციალურ გზავნილს.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანია თეატრის, როგორც სოციალური რეალობის რეპრეზენტაციის კვლევა, როგორც მაყურებლის, ისე რეჟისორისა და მსახიობების პერსპექტივიდან.

ამოცანები:

1. რეჟისორის მიერ სპექტაკლში ჩადებული სოციალური გზავნილის განსაზღვრა
2. როგორ ხედავენ და ახორციელებენ მსახიობები რეჟისორის მიერ სპექტაკლში ჩადებულ სოციალურ გზავნილს.
3. როგორ აღიქვამს მაყურებელი რეჟისორის და მსახიობის გზავნილებს და რამდენად მიაჩნია მაყურებელს ისინი ქართული რეალობის რელევანტურად.

საკვლევი ჰიპოთეზა:

კვლევის მოსალოდნელი ვარაუდი არის ის, რომ შერჩეული სპექტაკლები მორგებულია თანამედროვე ქართულ რეალობას და შესაბამისად მაყურებლის მიერ აღიქმება, როგორც ჩვენი რეალობის რელევანტური.

შერჩევა და მონაცემების მოპოვების მეთოდები

საკვლევი საკითხის შესასწავლად, გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის ტექნიკა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა მიზნობრივი შერჩევა. ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ რუსთაველის თეატრის, როგორც მაყურებლები, ასევე რეჟისორები და მსახიობები. რუსთაველის თეატრის მუზეუმის თანამშრომლებთან ადმინისტრაციის

სამსახურთან, თეატრის რამდენიმე მსახიობთან და რეჟისორთან გავიარე კონსულტაცია, რის შედეგადაც მივიღე ინფორმაცია, რომ სპექტაკლებს ,,დაკანონებულ უკანონობას'', ,,ასულნის'' და ,,ნადირობის სეზონს'' მაყურებლის და თეატრმცოდნეების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოყვა, ამას ადასტურებს მასალა, რომელშიც ასახულია სპექტაკლებზე დამსწრე მაყურებლების რაოდენობა გაყიდული ბილეთების მიხედვით, ასევე თეატრის თანამშრომლების თქმით სპექტაკლები ეხება და აღწერს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს.

რუსთაველის თეატრის, როგორც სოციალური რეალობის რეპრეზენტაციის კვლევის ფარგლებში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი, თითოეული ჯგუფი შედგებოდა 9 რესპოდენტისგან,

1 ჯგუფი - სპექტაკლ ნადირობის სეზონის მაყურებელი.

2 ჯგუფი - სპექტაკლ ასულნის მაყურებელი

3 ჯგუფი - სპექტაკლ დაკანონებული უკანონობის მაყურებელი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო მაყურებელმა, რომლებიც ესწრებოდნენ კონრეტულ სპექტაკლებს, ფოკუს ჯგუფი ჩატარდა სპექტაკლის დასრულების შემდეგ, რომლის ხანგრძლივობაც შეადგენდა 2- 2,5 საათს.

რუსთაველის თეატრის, როგორც სოციალური რეალობის რეპრეზენტაციის კვლევის ფარგლებში ჩატარდა 7 სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრის რეჟისორმა ასევე სპექტაკლებში მონაწილე მსახიობებმა.

- ნადირობის სეზონი - მსახიობი ქალი, მსახიობი კაცი.
- ასულნი - ორი მსახიობი ქალი (სპექტაკლის მონაწილე მსახიობები არიან მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები)
- დაკანონებული უკანონობა - მსახიობი ქალი, მსახიობი კაცი.

სიღრმისეული ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 1 საათს. ფოუკუს ჯგუფების და სიღრმისეული ინტერვიუების კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენე წინასწარ შედგენილი სადისკუსიო გეგმა, რომელიც შედგებოდა მსგავსი შინაარსის კითხვებისაგან, კერძოდ: ,,თქვენი აზრით, რომელ პერიოდს ეხება წარმოდგენა ? თქვენი აზრით, ერგება თუ არა სპექტაკლი თანამედროვე ქართულ რეალობას?',,,როგორ ფიქრობთ, ახდენს თუ არა სპექტაკლი საზოგადოების რეპრეზენტაციას თანამედროვე ქართულ რეალობაში?,

თქვენი აზრით, რა არის რეჟისორის მთავარი სათქმელი?'' ,, გამოყავით თქვენთვის მნიშვლენოვანი დეტალები, რომელმაც მიიქცია თქვენი ყურადღება? და სხვა.
სადისკუსიო გეგმის საშუალებით გაირკვა, როგორც მაყურებელის ისე რეჟისორის და მსახიობების რეფლექსიები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მიღებული მონაცემის გაანალიზება:

გამოვიყენე საკითხზე/პრობლემაზე ფოკუსირებული ზოგადი ანალიზი.

პრობლემაზე/საკითხზე ფოკუსირებული ანალიზი გულისხმობს შემდეგ ანალიტიკურ პროცესებს: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია.

<u>კოდირება:</u> გულისხმობს რესპონდენტის მონათხრობის დაკავშირებას იმ ცნებებთან და კატეგორიებთან, რაც ანგარიშში იქნება წარმოდგენილი. კოდირება წარმოადგენს საფუძველს კატეგორიზაციისა და ინტეგრაციისთვის, თუმცა ამ უკანასკნელთა საფუძველზე შესაძლოა მონაცემების ხელახალი კოდირებაც.

<u>კატეგორიზაცია:</u> გულისხმობს კოდების ქვეშ შესაბამისი მონაცემების თავმოყრას ტრანსკრიპტებიდან.

<u>ლოკალური ინტეგრაცია:</u> ხდება მასალის ორგანიზება და ინტეგრირება ანგარიშის ცალკეულ სექციად. ლოკალური ინტეგრაციის ყველაზე მარტივი გზა არის ინტერვიუს ამონარიდების და მათი კოდების შეჯამება,

<u>ინკლუზიური ინტეგრაცია:</u> ერთ ისტორიად აერთიანებს იზოლირებულ საკითხებს. მისი მიზანია, ერთიანი სახე მისცეს კვლევის ანგარიშს, რომელშიც თემატური ბლოკები ლოგიკურად იქნება დაკავშირებული.

მიღებული მონაცემები გაანალიზდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის საფუძველზე, რისი საშუალებითაც აღმოვაჩინე რესპოდენტების მსგავსება-განსხვავებები სპექტაკლების აღქმის პროცესში, ასევე არის თუ არა მათთვის სპექტაკლები ჩვენი რეალობის რელევანტური და დადგინდა, როგორც მაყურებელის ისე რეჟისორის და მსახიობების რეფლექსიები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის მეცნიერული პრაქტიკული მნიშვნელობა:

თეატრის, როგორც საზოგადოების სოციალური რეპრეზენტაციის საშუალების კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, ეს არის პირველი მცდელობა, რომ თეატრი წარმოადგინოს როგორც სოციალური რეპრეზენტაციის ინსტრუმენტი, რომელიც თანამედროვეობის აქტუალურ მოვლენებზე რეფლექსიას ახდენს, ამდენად მოცემული კვლევა მნიშვნელოვანია, როგორც ხელოვნების სოციოლოგიით დაინტერესებული დარგის სპეციალისტებისთვის, ისე თეატრის პერსონალისთვის, რომლებიც სოციალური გზავნილების უშუალო შემქმნელები და გადამცემები არიან.

კვლევის შეზღუდვები :

ჩემი კვლევის შეზღუდვა, გაომდინარეობს იქიდან, რომ არის მცირე მასშტაბის, ვერ მოიცავს სხვა თეატრების მაყურებელს, რეჟისორებსა და მსახიობებს, ეს ყველაფერი გამოწვეულია დროისა და რესურსების სიმცირით. სწორედ ამ შეზღუდვების გამო გადავწყვიტე მეკვლია, მხოლოდ რუსთაველის თეატრი, რადგან ის არის ერთ-ერთი პირველი დრამატული თეატრი საქართველოს ისტორიაში, რომელსაც არსებობის მანძილზე მრავალი ისტორია გადახდა თავს და ის მუდმივად იმყოფებოდა პოლიტიკური და სოციალური პროცესების ცენტრში.

ასევე თეატრის რეპერტუარიდან მხოლოდ სამი სპექტაკლის კვლევა არ არის საკმარისი, რომ გამოვლინდეს ტენდენციები და შემდგომ გაკეთდეს მათი ადეკვატური ანალიზი

თავი 2. ძირითადი ცნებების განმარტება

განვმარტავ ძირითად ცნებებს, რომელთაც გამოვიყენებ ნაშრომის, როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ ნაწილში. ამ ტერმინების განმარტება ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან თეატრალურ ტერმინებთან ერთად გამოყენებულია სამეცნიერო ტერმინები, რომელთა მნიშვნელობაც განმარტების გარეშე გაუგებარია.

გოფმანი სასცენო სპექტაკლის ანალოგიურად მიჩნეული ცხოვრებისეული თეატრის აღსაწერად იყენებს შემდეგ ტერმინებს: (გოფმანი, 2007)

შესრულება ანუ პერფორმანსი - ამ ტერმინში გოფმანი ინდივიდის მიერ თავისი სოციალური როლის შესრულებას, საზოგადოების წინაშე პრეზენტაციას გულისხმობს. შესრულების მიზანია აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდენა და სწორედ ამისთვის წინასწარ მზადება. (გოფმანი, 2007)

აუდიტორია - საზოგადოება რომლის წინაშეც ხდება შესრულება. (გოფმანი, 2007)

გუნდი - რაიმე ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც დამოკიდებულები არიან ერთმანეთზე, ერთმანეთის ქცევასა და მიზნებზე. მათ გააჩნიათ საერთო მახასიათებლები და შთაბეჭდილებები. (გოფმანი, 2007)

რეგიონი- გოფმანი ამ ტერმინს განსაზღვრავს, როგორც ადგილს, სადაც შესრულების აღქმა ბარიერებით არის შემოსაზღვრული, სოციალური მოქმედების რეგიონებად დაყოფა იძლევა საშუალებას ჩვენ ირგვლივ მიმდინარე პროცესების უკეთ გასაანალიზებლად. გოფმანი გამოყოფს წინა პლანის რეგიონს, რომელიც თეატრის სცენის ანალოგიად შეიძლება გავიგოთ და უკანა პლანის რეგიონს, ანუ ,,კულისებს მიღმა რეგიონს. შემსრულებლის ქცევა განპირობებულია იმით თუ რომელ რეგიონში მიმდინარეობს მოქმედება, შესრულება ორივე რეგიონში განსხვავებულია, წინა პლანის რეგიონში შესრულება არის პერფორმანსი, ხოლო კულისებს მიღმა შესრულება აღარ არის, აქ მსახიობი თავის ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება, რეგიონების მიხედვით

ქცევის გა (Савина, 2010)ნსხვავებას აქვს ფუნქციური დანიშნულება, კულისები არის მნიშვნელოვანი ადგილი სადაც სცენაზე გამოსვლამდე შავი სამუშაოები ტარდება, ეს ყველაფერი სცენაზე წარმატებულ შესრულებას უწყობს ხელს. (გოფმანი, 2007)

გარემო - გულისხმობს შესრულების დეკორაციას,ურთიერთქმედების მონაწილეთა განლაგებას. (გოფმანი, 2007)

ავანსცენა- სცენის ნაწილი მაყურებელთა დარბაზში, რომელიც ფარდის წინ არის გამოწეული. (Театр Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий, 2010.ст 9)

მიზანსცენა- (ფრანგ. Mise en scene – სცენაზე დადგმული) მსახიობების და დეკორაციების განლაგება სცენაზე ერთმანეთთან გარვეული კომბნაციებით. მიზანსცენა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება პიესის მთავარი შინაარსის გამოვლინების, ის წარმოადგენს რეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელების მნიშვნელოვან კომპონენტს. (Театр. Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий, 2010.ст 203-204)

სპექტაკლი-(ლათ. Spectaculum – წარმოდგენა) , თეატრალური წარმოდგენა,სანახაობა, რომელიც იქმნება რეჟისორის მიერ დრამატურგიული პიესების ან სხვა ლიტერატურული კომპოზიციების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობენ მსახიობები, სცენოგრაფები, კომპოზიტორები და ა.შ.(Театр. Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий, 2010.ст - 276)

რეჟისორი- (ლათ. Rego – მმართველი) თეატრის თანამშრომელი, რომელიც დგამს დრამატულ ან მუსიკალური ნაწარმოებს. ხელმძღვანელობს სპექტაკლის შექმნის ყველა სამუშაოს.რეჟისორი პიესიდან იღებს მთავარ სათქმელს რომელსაც საკუთარი ინტერპრეტაციით დგავს თეატრის სცენაზე, ის ასევე თავისი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებისთვის მუშაობს მსახიობებთან, სცენოგრაფებთან, კომპოზიტორთან ქორეოგრაფთან და ა.შ. მ(Театр. Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий, 2010.ст -266)

დრამატურგი- მწერალი რომელიც ქმნის დრამატულ ნაწარმოებს.(Театр. Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий, 2010.ст -112)

რეკვიზიტი- (ლათ. Reqisitum -საჭირო) 1. ნივთების კომპლექსი, რომლებიც ჭირდებათ მსახიობებს სპექტაკლის თამაშის პროცესში .2.მცირე საგნები, ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება სპექტაკლის დეკორაციად. 3. საკვები, სასმელი და თამბაქო, რომელიც გამოიყენება მოქმედების დროს. (Театр. Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий, 2010.ст -266)

თავი 3.თეორიული ნაწილი

თეატრი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში

საკვლევი თემის მიზნიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს თეატრის, როგორც სოციალური რეალობის რეპრეზენტაციის კვლევას, თეორიული ჩარჩოსთვის გამოვიყენე ირვინ გოფმანის(1922-1982) ნაშრომი, „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში" (1959), გოფმანმა ნაშრომში აღწერა ადამიანებს შორის ურთიერთობები და ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების გასაანალიზებლად დრამატურგიული მიდგომები შემოგვთავაზა.

გოფმანამდე მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში არიან მსახიობები გამოთქვა შექსპირმა მის ერთ-ერთ სონეტაში, ის ამბობდა, რომ ,,მთელი მსოფლიო თეატრია, და ჩვენ ყველანი მსახიობები ვართ''. (უილიამ შექსპირი, როგორც გენებოთ,1599)

გოფმანის ნაშრომი „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში" თეატრის უკეთ გაანალიზებაში დამეხმარა, რადგან გოფმანს დეტალურად აქვს აღწერილი თეატრი, სცენა, კულისები აუდიტორია მსახიობები და ყველაფერი ის, რაც ქმნის წარმოდგენას, რომელსაც შემდგომ აფასებს აუდიტორია. გოფმანმა თეატრის ცხოვრება შეადარა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას და მსახიობების ქცევის მიხედვით განსაზღვრა ადამიანების ყოველდღიური ქცევა, იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვთ სცენა და კულისები და ამ ორ გარემოში ისინი განსხვავებულად იქცევიან. (გოფმანი, 2007)

გოფმანმა ნაშრომში აღწერა ექვსი დრამატურგიული პრინციპი, რომლებსაც ადამიანები იყენებენ ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში, ესენია: შესრულება, გუნდები, რეგიონები, და რეგიონალური ქცევა, წინააღმდეგობრივი როლები, ხასიათის (სახის) გარეთ არსებული კომუნიკაცია და შთაბეჭდილებათა მართვა. (გოფმანი, 2007)

შესრულება გულისხმობს, ინდივიდის ისეთ მოქმედებას რომელიც მიმართულია სხვა ინდივიდებზე შთაბეჭდილების მოსახდენად, შესრულება ადამიანს აქცევს მსახიობად რომელსაც მორგებული აქვს სხვადასხვა როლი, მაგალითად: ოჯახში მშობლის, შვილის, და ა.შ., როლი, სამსახურში სასწავლებელში, ფორმარული როლი, სამეგობროში კიდევ უფრო განსხვავებული როლი, ამ როლების მიმართ ყველა სიტუაციაში განსხვავებული მოლოდინებია და ინდივიდიც შესაბამისი სცენარით მოქმედებს. ანუ ის ასრულებს სპექტაკლს, რომელსაც შემდგომ აფასებს აუდიტორია. შესრულების დროს მნიშვნელოვანია დეკორაცია, ანუ შესრულების ადგილმდებარეობა, ,,გარემო'', სადაც შემსრულებელი ასრულებს მის წარმოდგენას, გარემოს მოსაწყობად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ავეჯი, მატერიალური საგნები და ფონური ელემენტები, რომელიც ქმნის დეკორაციას და რეკვიზიტს დამაჯერებელი და საინტერესო პერფორმანსისთვის. უნდა იყოს წინასწარ გათვალისწინებული ის გავლენა, რომელიც შესაძლოა მოახდინოს გარემომ აუდიტორიაზე. (გოფმანი, 2007)

მნიშვნელოვანია ინდივიდის ,,გარეგნობა'' და ,,მანერა'', გარეგნობის მიხედვით ადამიანზე ბევრი ინფორმაციის გაგებაა შესაძლებელი, მაგალითად გარეგნობა იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ ინდივიდის სოციალური სტატუსი. ადამიანმა უნდა იზრუნოს მის გარეგნულ მხარეზე როლის შესაბამისად. (გოფმანი, 2007)

რაც შეეხება მანერას ის შეიძლება იყოს განსხვავებული ინდივიდის როლის თამაშის და სიტუაციის მიხევით, მაგალითად მანერა შეიძლება იყოს ქედმაღლური, აგრესიული, თვინიერი, შემრიგებლური და ა.შ. (გოფმანი, 2007)

შესახედაობა და მანერა, შეიძლება, ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, ისევე როგორც შემსრულებელი, რომელიც თავის აუდიტორიაზე უფრო მაღალი სტატუსის მქონეა, მაგრამ ისე თამაშობს, რომ მისი მანერები მოულოდნელად შესაბამისი, გულითადი ან შემრიგებლური ხდება, ან როდესაც შემსრულებელიმაღალი მდგომარეობის მქონე ადამიანის სამოსელში ჩაცმული, უფრო მაღალი სტაუსის მქონე ინდივიდსაც კი წარუდგენს თავს. (გოფმანი, 2007)

ინდივიდი ქმედებაში, როდესაც საკუთარ თავს სხვებს წარუდგენს იყენებს ნიშანთა სისტემას, რომელიც დრამატურგიული ხერხებით ასახავს ფაქტებს და გადასცემს მოქმედების დროს, ეს ნიშნები უნდა იყოს სწორად გამოხატული და შეესაბამებოდეს მოქმედების შინაარს, იმისთვის, რომ აუდიტორიამ სწორად აღიქვას გადაცემული ინფორმაცია. (გოფმანი, 2007)

შესრულება ინდივიდის მიერ ძირითადად მორგებული და სოციალიზებულია, აუდიტორიის მოლოდინების გათვალისწინებით, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს სხვებს წარუდგენს მისი შესრულება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების მიერ აღიარებული ღირებულებები მისთვის სამაგალითოა და მისაღები, ფაქტობრივად, უფრო მეტად, ვიდრე ამას მთლიანობაში მისი ქცევა გულისხმობს. (გოფმანი, 2007)

მაგრამ, შესაძლებელია ეს ნიშნები აუდიტორიის მიერ წარმოდგენილი მინიშნებები ირწმუნოს და ეს ნიშნები არა თავად ნიშან-ინსტრუმენტებად, არამედ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის ან განსხვავებულის წარმოჩენად განიხილოს, აუდიტორიის მიერ ნიშნების აღქმის ეს ტენდენცია შემსრულებლის პოზიციას გაუგებარს ხდის და აუცილებლობას ქმნის, რომ მან განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს ყველა წვრილმანის მიმართ, რასაც აუდიტორიის წინაშე აკეთებს. ეს ნიშან მიმღები ტენდენცია თავად აუდიტორიასაც მოტყუებულ მდგომარეობაში ტოვებს, რადგან ძალიან ცოტაა ისეთი ნიშნები, რომლებიც შეიძლება არ გამოიყენებოდეს რაიმე ისეთის დასამტკიცებლად, რაც ნამდვილად იქ არის. (გოფმანი, 2007)

პერფორმანსი შეიძლება შეასრულოს არა ერთმა ინდივიდმა, არამედ ინდივიდთა გარკვეულმა ჯგუფმა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გუნდურ შესრულებასთან, გუნდის წევრები ერთიანდებიან საერთო ინტერესების საფუძველზე, ესენი შეიძლება იყვნენ თანამშრომლები, სტუდენტები და ა.შ. მათ აქვთ საერთო საქმე და საერთო მიზნის მისაღწევად ერთად შრომობენ, მათ შორის მყარდება თავისუფალი ურთიერთობები რომელსაც მხოლოდ მაშინ ამჟღავნებენ როდესაც ამ შესრულებას არ ყავს დამსწრე აუდიტორია, გუნდებს გააჩნიათ საიდუმლოებები, რომლებსაც ასევე გამოყოფენ

აუდიტორიისგან, გოფმანი აღწერს ბნელ, სტრატეგიულ და შიდა საიდუმლოებებს. ბნელი საიდუმლოებების გამჟღავნება არასასურველი და შეიძლება გუნდისთვის დამანგრეველი აღმოჩნდეს, სტრატეგიული საიდუმლოებები გუნდისთვის საფრთხის შემცველი არ არის, ეს საიდუმლოებები ეხება ფაქტებს რომლებიც გუნდის საქმიანობას ეხება, შინაგანი საიდუმლოებები არის ინფორმაცია, გუნდის წევრების შესახებ. (გოფმანი, 2007)

სცენური საუბრების დროს გუნდის წევრები ღიად განიხილავენ საუთარ როლებს, ეს ყველაფერი აუცილებლად ხდება ,,კულისებში'', როდესაც ისინი აუდიტორიის მიღმა იმყოფებიან, მათი საუბარი ხშირად სცენური პრობლემების ირგვლივ ტრიალებს, ასევე ისინი განიხილავენ აუდიტორიის რეაქციებს, რადგან შემდგომი წარმოდგენა იყოს უფრო დამაჯერებელი და გუნდისთვის სასურველი შედეგის მომტანი, გუნდებს აქვთ გარკვეული მოქმედებები ჟესტები რომლებიც მხოლოდ გუნდის წევრებისთვის არის ცნობილი. (გოფმანი, 2007)

შემსრულებელი გუნდი იქნება თუ ცალკეული ინდივიდი, სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად ის უნდა დაეუფლოს შთაბეჭდილების მართვის ხელოვნებას, რომლის პირველ პრინციპად გოფმანი ასახელებს აუდიტორიის კულისებში არ დასწრებას. შემდეგი პრინციპია დაიმალოს არასასურველი ინფორმაცია რომელიც შესრულების დამაჯერებლობას შეუშლის ხელს, აუცილებელია ძლიერი თვით კონტროლი და სიტუაციის კონტროლი შესრულების დროს. შტაბეჭდილების მოსახდენად გუნდის თითოეულ წევრს უნდა ქონდეს კარგად გათავისებული წინასწარ შემუშავებული მოქმედების წესები, თავაზიანობის ეტიკეტები, თავაზიანობის წესები არის იმ ნორმების შინაარსი რომელსაც შემსრულებელი იცავს პრეზენტაციის დროს და რომლის მიხედვითაც ის ჩაბმულია აუდიტორიასთან კომუნიკაციაში. ეტიკეტი არის იმ საშუალებათა ერთობლიობა რომელთა მეშვეობითაც შემსრულებელი ამჟღავნებს თავაზიანობის წესებს ,,სცენაზე''. (გოფმანი, 2007)

რეგიონი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ადგილს, რომელშიც შესრულების აღქმა გარკვეული ბარიერებითაა შემოსაზღვრული, რეგიონები, განსხვავდებიან იმით, თუ

რამდენად არიან შემოსაზღვრული და იმითაც, თუ რა სახისაა კომუნიკაციები, რომლებშიც აღქმის ეს ბარიერები არსებობს. (გოფმანი, 2007)

გოფმანი გამოყოფს წინა პლანის რეგიონს, რომელიც თეატრის სცენის ანალოგიად შეიძლება გავიგოთ და უკანა პლანის რეგიონს, ანუ ,,კულისებს მიღმა რეგიონს. შემსრულებლის ქცევა განპირობებულია იმით თუ რომელ რეგიონში მიმდინარეობს მოქმედება, შესრულება ორივე რეგიონში განსხვავებულია, წინა პლანის რეგიონში შესრულება არის პერფორმანსი, ხოლო კულისებს მიღმა შესრულება აღარ არის, აქ მსახიობი თავის ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება, რეგიონების მიხედვით ქცევის განსხვავებას აქვს ფუნქციური დანიშნულება, კულისები არის მნიშვნელოვანი ადგილი სადაც სცენაზე გამოსვლამდე შავი სამუშაოები ტარდება, ეს ყველაფერი სცენაზე წარმატებულ შესრულებას უწყობს ხელს. (გოფმანი, 2007)

აუდიტორიის სწორად შერჩევას გოფმანის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან განსხვავდება აუდიროტია და ისინი ინფორმაციას განსხვავებულად იღებენ, შემსრულებელმა უნდა გაითვალისწონოს ის რაც ერთი აუდიტორიისთვის მისაღები იყოს მეორესთვის მიუღებელი. (გოფმანი, 2007)

ადამიანი შესაძლებელია მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო როლს ასრულებდეს, იმისთვის რომ შესრულება იყოს წარმატებული და შთაბეჭდილების მომხდენი უნდა დაცალკევდეს აუდიტორია და შემსრულებელმა ამის შემდეგ დაიწყოს მოქმედება, რადგან თუ ერთი და იმავე აუდიტორიას ორი ერთმანეთისგან საპირისპირო როლით აჩვენებ თავს ეს წარმოდგენა დამაჯერებლობას და აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდების შესაძლებლობას კარგავს. თუ აუდიტორიის ცალკე გამოყოფა ვერ მოხერხდება და მაყურებელი ნახავს შემსრულებელს მისი მოლოდინებისგან განსხვავებული როლით, მასზე აქტორს შთაბეჭდილების მოხდენა საკმაოდ გაურთულდება. (გოფმანი, 2007)

გოფმანი ბევრ საერთოს ხედავს თეატრალურ წარმოდგენებსა და იმ თავისებურ აქტებს შორის, რომელთაც ჩვენ ვქმნით ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, სოციალურ სფეროში

განხორციელებული ურთიერთქმედებები არის ფაქიზი და მყიფე, ცუდი შესრულება ანალოგიურად თეატრალური წარმოდგენისა განიხილება, როგორც ჩავარდნა.გოფმანის მიხედვით ადამიანებს ყოველდღიურად მორგებული აქვთ სხვადასხვა როლი, , ინდივიდს აქვს სცენარი რომლის მიხედვითაც მოქმედებს, ეს ყველაფერი ადამიანს აქცევს მსახიობად რომელიც ასრულებს სპექტაკლს და მას აფასებს აუდიტორია. ადამიანი შეიძლება მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო როლს თამაშობდეს ეს შეიძლება იყოს მშობლის, პედაგოგის, მეზობლის, მეგობრის და ა.შ. რომლის პრეზენტაციასაც ახდენენ აუდიტორიის წინაშე. (გოფმანი, 2007)

გოფმანის თეორიების მიხედვით და სპექტალიდან გამოსულ მაყურებელზე დაკვირვებით გავაანალიზე მაყურებელი, რომელიც სპექტაკლიდან გამოსული თავად თამაშობს სპექტაკლს, უზიარებს საკუთარ მიგნებებს და აღმოჩენებს აუდიტორიას, რითიც ახდენს შთაბეჭდილებას აუდიტორიაზე, რადგან სპექტალის გაგება, გააზრება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინდივიდის გაგების უნართან, აღქმის შესაძლებლობებთან, ცოდნასთან, განათლებასთან და ა. შ. ეს ყველაფერი დამეხმარა მაყურებლის შეფასებების უკეთ გაანალიზებაში.

ბერტოლდ ბრეხდი და აუგუსტო ბოალი

თეატრი, გარდა იმისა, რომ გვეხმარება გავაანალიზოთ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და მათი ქცევები, აგრეთვე ის თავად შეიძლება გახდეს ადამიანების ქცევის განმაპირობებელი, თეატრი არის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ადამიანებს მოუწოდო, გააერთიანო, შექმნა აქტიური სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ. ამ ყველაფრის თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან გერმანელი რეჟისორის და დრამატურგის ბერტოლდ ბრეხტის(1898-1956) და ბრაზილიელი რეჟისორის და თეორეტიკოსის აუგუსტო ბოალის(1931-2009) თეორიული ნააზრევის და პრაქტიკული მოღვაწეობის მაგალითებს.

მეორე მსოფლიო ომი ადამიანებისთვის რთულად გასააზრებელი და გადასატანი აღმოჩნდა, რადგან მათ გარშემო ხდებოდა ბევრი ცვლილება, როგორც ომის პერიოდში ისე მის შემდგომ, ეს გულისხმობდა ტერიტორიების გადანაწილებას, ახალი წესრიგის და სახელმწიფოებს შორის ახალი ურთიერთობების დამყარებას, ასევე ხდებოდა ადამიანების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, საკონცენტრაციო ბანაკები და ა.შ. ადამიანები მხოლოდ თვითგადარჩენისთვის და არსებობისთვის იბრძოდნენ, რასაც მოყვა მათი ღირებულებების და ფასეულებათა სისტემის გადაფასება, ადამიანებმა დაკარგეს მოქალაქეობრივი თვითშეგნება და პასუხისმგებლობის გრძნობა ისტორიული მოვლენების მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნე, მთელ მსოფლიოში სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობა იყო, ასევე იყო გერმანიაშიც, ბრეხტმა გაიაზრა არსებული ვითარება და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თეატრით მოქმედება დაიწყო, მისთვის თეატრი საზოგადოების შეცვლის მთავარი მექანიზმი იყო. მან პრობლემების მოგვარების გზების ძიება დაიწყო და ამ ყველაფერს საზოგადოებას თეატრის საშუალებით უზიარებდა. ბრეხტმა 1949 წელს, ევროპის შუაგულში ბრეხტის თეატრი - ,,ბერლინერ ანსამბლი'', დააარსა. ბრეხტის თეატრის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ხალხისთვის გასაგებ ენაზე მათთვის ნაცნობ თემებზე საუბარი და ამის მხატვრულად გარდაქმნა. ის ცდილობდა მებრძოლი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და თვლიდა, რომ მაყურებელს სპექტაკლის დასრულების შემდეგ თავი დამშვიდებულად არ უნდა ეგრძნო, პირიქით მაყურებელს უნდა გაეგრძელებინა ფიქრი, და გაეანალიზებინა რეჟისორის სათქმელი. მას უნდოდა ყოველ ადამიანს ეგრძნო პირადი პასუხისმგებლობა ისტორიული მოვლენების მიმართ. ბერტოლდ ბრეხტის თეატრი მოუწოდებდა გმირსაც და პატარა, ჩვეულებრივ ადამიანსაც, რომ მათზე იყო დამოკიდებული საზოგადოების და სახელმწიფოს ბედი, ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ და აქტიურად გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები მიმდინარე მოვლენების მიმართ. (ნათელა, 2008)

ბრეხტის მაგალითი საინტერესოა ასევე იმით, რომ მისი პიესები კარგად ერგება ქართულ ხასიათს, რომელიც რუსთაველს თეატრის რეჟისორმა რობერტ სტურუამ ის უფრო

მეტად გააქართულა და დადგა არსებულ რეალობაზე მორგებული სპექტალები მაგალითად : ,,კავასიური ცარცის წრე'', ,,სეჩუანელი კეთილი ადამიანი'', ,,დაკანონებული უკანონობა'', მაგრამ სანამ ქართული თეატრის მაგალითებზე გადავალ, მანამდე ვისაუბრებ აუგუსტო ბოალზე, რომელმაც ბრეხტის შემდეგ სოციალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. (ნათელა, 2008)

აუგუსტო ბოალი იყო ცნობილი ბრაზილიელი რეჟისორი, ხელოვანი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანი თავად შეიცავს თეატრს და ის არის ერთ მთლიანში ერთდროულად წარმოდგენილი თეატრი, რეჟისორი მსახიობი და მაყურებელი. ბოალმა ჩამოაყალიბა და განავითარა თეატრი ჩაგრულებისთვის, მისი თეატრის იდეა გულისხმობდა იმას, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავად მიიღონ მონაწილეობა მსოფლიო მოვლენებში და ამავე დროს დააკვირდნენ საკუთარ თავს მოვლენებში მოქმედების დროს. მისი აზრით საკუთარ თავზე დაკვირვებით ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ სამყაროზე სხვადასხვა ზემოქმედება და გააუმჯობესონ ის. ბრეხტის მსგავსად ბოალიც თვლიდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებზე საუბარი კი არა მისი მოგვარების გზების ძიება და ამ ყველაფრის თეატრალური სანახაობებით მაყურებლისთვის გადაცემა იყო. (thespartacat, youtube,2009)

რუსთაველის თეატრი

როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში რთული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა იყო, საზოგადოებას ჭირდებოდა მოწოდება, გამოფხიზლება და გაერთიანება, უნდა გააქტიურებულიყო სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქვეყნის და საზოგადოების პრობლემებს წამოწევდა წინ, ამ იდეას ემსახურებოდა რუსთაველის თეატრის დაარსება, რომელიც დაარსების დღიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული კულტურის განვითარებაში. თეატრი „აღადგინეს და განაახლეს 1879 წელს, ხოლო 1921 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. თეატრის აღდგენის იდეა გულისხმობდა საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და

კულტურულ იდენტიფიკაციას. თეატრის აღმდგენი და მისი იდეური მიმართულების განმსაზღვრელები თავდაპირველად იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, მათი მთავარი ამოცანა იყო განევითარებინათ ქართული კულტურა, აემაღლებინათ საზოგადოების განათლების დონე და შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა. თეატრი მუდმივად ასრულებდა ეროვნულ საქმეს, რომელიც გამოიხატებოდა სპექტაკლებით მაგალითად დავით ერისთავის სამშობლო, რომლის პრემიერა შედგა 1982 წელს, სპექტაკლში გამოყენებული იყო ქართული ჩალისფერი დროშა, რომელიც იყო სიმბოლო ბრძოლის, საქართველოს ეროვნულობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. სპექტაკლმა მაყურებელი იმდენად მოხიბლა, რომ წარმოდგენა ნამდვილ მშვიდობიან დემონსტრაციად გადაიქცა. (ვადაჩკორია, 1981)

რუსთაველის თეატრი იყო ერის განმამტკიცებელი, გამაერთიანებელი, რომელიც აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, მოუწოდებდა საზოგადოებას ერთიანობისკენ . რუსთაველის თეატრის რეჟისორები მსახიობებთან ერთად ისტორიის მანძილზე მუდმივად ცდილობდნენ, წინ წამოეწიათ ქვეყანაში არსებული ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდა ქვეყნის და საზოგადოების განვითარებას. თეატრში იდგმებოდა სპექტაკლები ისეთ თემებზე, რომელზეც ხმამაღლა საუბარი აკრძალული იყო, რომლის უკანაც ხშირად იმალებოდა ფარული პროტესტი, მიმართვა ხალხისადმი და ხდებოდა იმ პრობლემების ასახვა, რომელიც საზოგადოებაში არსებოდა, ეხებოდა ეს პოლიტიკურ, სოციალურ თუ გენდერული საკითხებს.

რუსთაველის თეატრის ისტორიის გაანალიზება ისეთ საკითხებზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს, როგორიცაა ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო, სახელმწიფო პოლიტიკა, ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და სხვა. ეს ყველაფერი განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს რუსთაველის თეატრს, როგორც სოციოკულტურული სახელმწიფოებრივი ყოფის ამსახველ ინსტიტუტს.

ამის მაგალითად მნიშვნელოვნად მიმაჩნია მოვიყვანო ოთხი რეჟისორის მოღვაწეობა და მათი შემოქმედება, რომელიც იყო თანამედროვე რეალობის რელევანტური. ამ

რეჟისორებმა თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. ესენი იყვნენ კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, მიხეილ თუმანიშვილი და რობერტ სტურუა . ამ ყველაფერის გასაანალიზებლად გამოვიყენე ნათელა არველაძის ნაშრომი ,,მომავლის გადასარჩენად'' (2008).

საქართველოში მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო.(1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია მოახდინა, გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება). ტოტალური და გამიზნული საბჭოთა იდეოლოგია აყალიბებდა ახალ თვალსაზრისს სამშობლოს თაობაზე. ქართველებისთვის უპირველესი ღირებულებებისგან გაუცხოება ეროვნული თვითშეგნების დაკნინებასა და ისტორიული მეხსიერების მოშლას იწვევდა, რაც კეთდებოდა იმისთვის რომ შექმნილიყო ,,საბჭოთა ადამიანი'', მათ ფიზიკური განადგურების შიში ჩაუნერგეს ადამიანებს და ამის ფონზე ცდილობდნენ საზოგადოებრივი ცნობიერების დაქვეითებას, შექმნეს ყველა პირობა იმისთვის, რომ ადამიანებში პატრიოტიზმის გრძნობა გაექროთ, სამშობლოდ მოიაზრებოდა არა ერთი რესპუბლიკა, არამედ საბჭოთა კავშირი ანუ დედამიწის ერთი მეექვსედი. ამ ყველაფრის ფონზე ადამიანებს გაუქრათ თავისუფლების მოთხოვნილება, უნდობლობამ და შიშმა ადამიანების ჯგუფების დაყოფა გამოიწვია რის შედეგადაც მათი მართვა საბჭოთა ხელისუფლებას უფრო უმარტივდებოდა. ამ ვითარებაში კოტე მარჯანიშვილი, 1922 წელს ჩამოდის საქართველოში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა თეატრს, (ნათელა, 2008)

კოტე მარჯანიშვილი აღნიშნავდა:,, დადგა დრო ხელოვნებაში, როდესაც იგი უნდა იყოს ისეთივე დიადი, როგორიც ჩვენი თანამედროვეობაა. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი დრამატურგია, უთუოდ, შეთანხმებული პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქასთან''. (ნათელა არველაძე, მომავლის გადასარჩენად,2008.გვ33)

მარჯანიშვილმა დადგა ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო'', რომელიც ქართული თეატრის დიდ გამარჯვებად იქცა, რადგან სპექტაკლი ეხებოდა იმ პრობლემებს რაც იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში არსებოდა, ადამიანის ადამიანურობის დაკარგვის, საზოგადოების

ერთიანობის მოშლის, ეს სპექტაკლი იყო რევოლუციური ეს ყველაფერი რუსთაველის თეატრის განახლების საფუძველი გახდა. (ნათელა, 2008)

XX საუკუნის პირველი ნახევრში რუსთაველის თეატრში ერთად მოღვაწეობდნენ კოტე მარჯანიშვილი და ალესანდრე ახმეტელი, ალექსანდრე ახმეტელი მთლიანად ეროვნული მოღვაწე იყო, ის 1927 წლამდე დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრი 1921 წლამდე, ის ასევე იმყოფებოდა პოლიტიკური პატიმრობის ქვეშ, თანაუგრძნობდა 1924 წლის აჯანყებულებს, მან 1928 წელს რუსთაველის თეატრში დადგა ბორის ლავრენევის პიესა ,,რღვევა'', რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავს მიეძღვნა. თეატრი აგიტაციის მძლავრ იარაღად მიაჩნდა ბოლშევიურ ხელისუფლებას და მომგებიანად იყენებდა კიდეც მასებზე ზემოქმედებისათვის. თეატრში მოღვაწეობა კი თავისთავად გულისხმობდა ამ ცხოვრების მიღებასაც, ეს ყველაფერი კი ადვილი არ იქნებოდა სანდრო ახლეტელისთვის რომელიც უნდა შეგუებოდა იმ პირობებს და იდეოლოგიურ წნეხს, კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ხელისუფლებისთვის საფრთხის შემცველი პიროვნებები იყვნენ, სანდრო ახმეტელს სთავაზობდნენ დაეტოვებინა საქართველო და საზღვარგარეთ გამგზავრებულიუო, მაგრამ ის ეროვნული მოღვაწე იყო და გადარჩენის ეს შესაძლებლობა წარმოუდგენლად მიაჩნდა. კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა ერთად 4 წლის განმავლობაში იმუშავეს, მათ მოუვიდათ დაპირისპირება სპექტაკლი,,ლამარას'' დადგმის დროს და კოტე მარნაჯიშვილმა რუსთაველის თეატრი დატოვა და თავისი თეატრი დააარსა, ორივე თეატრი წარმატებით ახორციელებდა საქმიანობას, სანდრო ახმეტელი დგამდა ისეთ სპექტაკლებს სადაც კარგად ჩანდა მისი სულისკვეთება, მოქალაქეობრივი პოზიცია, ეროვნული მოტივები, აკეთებდა პოლიტიკურ სპექტაკლებს, ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლი იყო შილერის ,,ყაჩაღები'', რომელსაც ქვესათაურად ქონდა სახელი ,, ტირანების წინააღმდეგ'', სწორედ ეს სათაური გამოიტანა სანდრო ახმეტელმა სპექტაკლის დასახელებად - ,,ინ ტირანოს''. ეს პიესა ეკუთვნის იმ კლასიკური პიესების რიცხვს, რომლებიც თავისი იდეური მიზანდასახულობით ყველაზე ახლოს დგანან ჩვენს ეპოქასთან.ამ სპექტალთან დაკავშირებით არის ერთი ფაქტიც, რომ

აღლუმის დღეს სანდრო ახმეტელმა აფიშა თეატრის შესასვლელთან ჩამოკიდა მაშინდელი საბჭოთა ლიდერების ლენინის, სტალინის, ბერიას, მარქსის, ენგელსის, პორტრეტების ქვემოთ და გამოფენილი იყო უზარმაზარი წარწერა ,,ტირანების წინააღმდეგ''. (ნათელა, 2008)

ალექსანდრე ახმეტელის თეატრის წამყვან თემად მასისა და გმირის ურთიერთობები საკითხი იყო. რეჟისორი სპექტაკლიდან სპექტაკლში ამუშავებდა ამ თემას და მას პრიორიტეტულ პრობლემად მიიჩნევდა. მის დადგმებში მასა და გმირი ერთი იდეით, შინაგანი მუხტითა და რწმენით იყო სავსე. (ნათელა, 2008)

სანდრო ახმეტელი თავისუფალი აზროვნების გამო იდევნებოდა 10 წელი, ის თეატრიდან დაუმორჩილებლობის გამო გაათავისუფლეს, შემდეგ დააპატიმრეს და 222 დღიანი წამების შემდეგ 1937 წელს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიესაჯა, მასთან ერთად დახვრიტეს მისი თანამოაზრეები, ასევე ანადგურებდნენ ყველაფერს რაც მის შემოქმედებით მოღვაწეობას ეხებოდა, მაგრამ რუსთაველის თეატრის მუზეუმის თანამშრომელბა ესტატე ბერიაშვილმა საკუთარი სიცოცხლე რისკის ქვეშ ჩაიგდო და ახმეტელის შემოქმედების ყველა მასალა საკუთარ საცხოვრებელში თეატრის მუზეუმიდან ჩუმად გადაიტანა, სადაც 20 წლის განმავლობაში ინახავდა და ხელნაწერები განადგურებას გადაარჩინა, 20 წლის შემდეგ ეს მასალა ისევ რუსთაველის თეატრს დაუბრუნა. (ნათელა, 2008)

ალექსანდრე ახმეტელის ჩანაწერები მისი სარეპეტიციო დღიურებიდან:

,,სანამდი... როლის ტექსტის სწავლას დაიწყებდეს მსახიობი, უნდა გაეცნოს იმ პიროვნების რიტმს, რომელსაც ის ასახიერებს, ყოველი ადამიანი თავისი საკუთარი რიტმით ცხოვრობს, ამიტომ ყოველი განცდა სხვადასხვაა ადამიანში, როგორც სხვადასხვა რიტმის მქონე სხეულში, სხვადასხვანაირად ყალიბდება. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად განიცდის, რადგან მათ სხვადასხვა რიტმი აქვთ ...'' (ნათელა არველაძე, მომავლის გადასარჩენად,2008.გვ72)

სანდრო ახმეტელმა ქართული თეატრის ეროვნული მოდელი შექმნა, სპექტაკლზე მოსული რიგითი ადამიანი შინ მოქალაქედ, პატრიოტ მამულიშვილად ბრუნდებოდა. ის არ ეგუებოდა რეჟიმს და უშიშრად ბრძოლობდა მის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რუსთაველის თეატრის ისტორიის ახალი ეტაპი იწყება, რომელიც დაკავშირებულია მიხეილ თუმანიშვილის სახელთან. მისი სათეატრო მოდელი ,,სულის გამწმენდ'' რიტუალებთან და სიმართლის ქადაგებასთან კავშირდებოდა. მან წარმოადგინა ადამიანი-სოციუმი-სახელმწიფო. მისთვის მთავარი იყო ადამიანი და ცდილობდა ადამიანისთვის საკუთარი თავის რწმენა დაებრუნებინა, დაებრუნებინა ადამიანებში აქტიურობის მოთხოვნილება, მიუხედავად იმისა , რომ პოლიტიკური მდგომარეობა ნელ ნელა იცვლებოდა და იკლებდა რეჟიმის სისასტიე, აშკარა კრიტიკა და წინააღმდეგ წასვლა მაინც შეუძლებელი იყო. რეჟისორი სახელმწიფოს ადამიანში გააქტიურების სურვილის ჩანერგვით დაუპირისპირდა. ახმეტელის შემდეგ თეატრი ჩამორჩა თეატრალურ ცხოვრებას იყო უმოქმედო და თუმანიშვილი ცდილობდა აღმოეფხვრა თეატრის კულტურული ჩამორჩენა.((ნათელა, 2008)

,,თუმანიშვილის თეატრი'' მუდმივად მოუწოდებდა ადამიანებს, ყოველ მაყურებელს პერსონალურად მიმართავდა და ცდილობდა მასში თანაშემქმნელთან ერთად, თანამოაზრეც აღმოეჩინა, თუმანიშვილი ახალი თვალსაზრისით მუხტავდა მაყურებელს და ამზადებდა მას პრობლემების გასააზრებლად, მისი თეატრი წარმოადგენდა პიროვნება-სოციუმის დიალექტურ ერთიანობას და მას განიხილავდა თეატრი-სახელმწიფოს კონტექსტით, ის ცდილობდა ყველა ადამიანში პიროვნება დაებრუნებინა, გამოეკვეთა მისი მნიშვნელობა რადგან ეს იყო ეპოქა პიროვნებების გადაშენების, ცდილობდა გამოეფხიზლებინა სოციუმი, მისი თეატრის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო სიყვარულის და ყოვლისშემძლეობის ქადაგება, ადამიანებში რწმენის დაბრუნება, ამას მოწმოს სპექტაკლის სახელწოდებებიც. (ნათელა, 2008)

,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად!'' სპექტაკლი , რომელიც მიხეილ თუმანიშვილის ლიდერობით და რუსთაველის თეატრში ახალი თობის აქტიორთა ნიჭიერი გუნდის წყალობით შეიქმნა. ეს სპექტაკლი იყო მანიფესტი იმ შემოქმედებითი გუნდის, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა მე20-ე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული სასცენო ხელოვნება. ამ სპექტაკლით გამოიკვეთა მსახიობთა ახალი გაერთიანება ე.წ. შვიდკაცა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული რეჟისორული თეატრის აღორძინებისთვის და მისი ახალი თვისებებით წარმოჩენისთვის. ეს სპექტაკლი თავისი მებრძოლი სულისკვეთებით გამოხატავდა დამდგმელი გუნდის მოქალაქეობრივ აქტივობას და ადამიანებსაც მოუწოდებდნენ გააქტიურებისკენ. (ნათელა, 2008)

საკავშირო ცკ დადგენილებით, ფარული განკარგულებითაც იზღუდებოდა უცხოური პიესების დადგმა, საერთოდ ყოველგვარი უცხოურისადმი ინტერესი ბადებდა ეჭვს, ნებისმიერი პიროვნება, განსაკუთრებით შემოქმედი, ვინც ზედმეტ ინტერესს იჩენდა უცხოური მწერლობის, მუსიკის, მხატვრობის, თეატრის, კინოხელოვნების მიმართ, კოსმოპოლიტად ცხადდებოდა, განსაკუთრებით გამკაცრებული იყო კონტროლი დრამატული თეატრების მიმართ, ეს ეხებოდა როგორც სარეპერტუარო პოლიტიკას, ასევე სადადგმო-საშემსრულებლო კულტურასაც. თუმანიშვილი თავის გუნდთან ერთად საიდუმლოდ აწყობდნენ რეპეტიციებს, შერებებს სადაც არჩევდნენ და განიხილავდნენ მიმდინარე თემებს , უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულს და ა.შ. (ნათელა, 2008)

1968 წელს მიხეილ თუმანიშვილმა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დადგა ჟან ანუის ,,ანტიგონე'', ეს დრამა ქართულ სცენაზე რეჟისორმა წარმოადგინა მაშინ, როდესაც საქართველოში იყო უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განუკითხაობა, სიღარიბე, შიმშილი, უმრავლესობა იყო სოციალურად დაუცველი, ადამიანებს მომავლის რწმენა ქონდათ დაკარგული, ისინი სასოწარკვეთილები და დეპრესიულები იყვნენ, იმდენად ეშინოდათ ცხოვრების, რომ ენატრებოდათ საბჭოთა პერიოდის ,,უზრუნველი'' ცხოვრება და მათ მორჩილებაში არსებობა. ქვეყანა შეჩვეული იყო ბელადის გარეშე ცხოვრებას საბჭოთა რეჟიმი ახალ ფაზაში გადადიოდა , ეს იყო ბრეჟნევის ხანა. სწორედ

ამიტომ შეირჩა ჟ.ანუის ეს პიესა, რომელიც ადამიანებს მოუწოდებდა თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ, დაუმორჩილებლობისკენ, გაჩენოდათ ახალი წესების, ახალი რეჟისმის მიუღებლობის განცდა უჩენდა, სწორედეს გზავნილები უნდოდა რეჟისორს მაყურებლამდე მიეტანა. ეს სპექტაკლი არ იყო მხოლოდ ქართული მოვლენების აღმწერი, ის ეხებოდა გლობალურ სტუდენტურ ამბოხებას, რომელიც დაიწყო საფრანგეთში და გადაედო დასავლეთ ევროპას, ინგლის, იაპონიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ისინი იბძოდნენ პიროვნების თავისუფლებისთვის. ამ მოწოდებების გამო სპექტაკლს რეპერტუარიდან ამოღება ეუქრებოდა მაგრამ საბედნიეროდ თატრმა სპექტაკლი შეინარჩუნა და ის დიდხანს მოუწოდებდა საზოგადოებას თავისუფალი არჩევანისა და შეურიგებელი მოქმედებებისაკენ. 70-იანი წლეის ქართულ თეატრში სპექტაკლი ანტიგონე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, სპექტაკლის მხატვრულ დონესთან ერთად მოქალაქეობრივმა მოწოდებებმა სპექტალს დიდი აღიარება მოუტანა. (ნათელა, 2008)

თუმანიშვილის შემდეგ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხდება რობერტ სტურუა, 1977 წელს მან დადგა უ.შექსპირის ,,რიჩარდ მესამე''. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი განიცდიდა შინაგან რყევას, მაგრამ მაინც ბევრს ეგონა, რომ საბჭოთა კავშირის ძლევამოსილება იყო შეურყეველი, ხოლო ბოლშევიკ-კომუნისტთა ტოტალური ძალადობა დაუსრულებელი, კარიერისტი მეფის შვილის ბიოგრაფია და მისი სისხლიანი სვლა ძალაუფლებისაკენ, ტოტალური განუკითხაობის წარმოჩენა, ძალაუფლებისთვის ახლობლების და გარშემომყოფების გაწირვა, თვინიერებისა და ტოტალური შიშის დამკვიდრების სისასტიკე იყო ის მთავარი სათქმელი, რისი თქმაც სურდა რეჟისორს ამ პიესით. მან მაყურებელს დაანახა შემზარავი, შეუსმენელი დაშლილი სამყარო, რეალობა. რობერტ სტურუას სპექტაკლი ირეკლავდა გარშემო არსებულ რეალობას, მან არ შეალამაზა ეს დამახინჯებული რეალობა და მაყურებელს დეფორმირებული სახით შესთავაზა, რადგან ეხსნა მაყურებელი იმ ზემოქმედებისგან რომელიც მოხდენილი იყო მათზე, გაეანალიზებინათ პიროვნული პასუხისმგებლობა, და გამოეფხიზლებინა

მოდუნებული თვითშეგნება. ეს სპექტაკლი სტურუამ ადამიანების გამოსაფხიზლებლად შექმნა, რომელმაც მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. (ნათელა, 2008)

სტურუას თეატრი ასახავს იმ სოციოკულტურულ ცხვლილებებს, რაც მიმდინარეობდა როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ, ესენია: საბჭოთა ეპოქა, საბჭოთა იმპერიის დაცემის დასაწყისი, საბჭოთა იმპერიის დაცემა, საქართველოს დამოუკიდებლობა, სამოქალაქო დაპირისპირება, რუსეთ-საქართველოს ომი და ტერიტორიული მთლიანობა, ვარდების რევოლუცია და საქართველოს არამყარი პოლიტიკური ყოფა, ეროვნული ნიჰილიზმის მომძლავრება, ჩვენს რეალობას ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესების აღმწერელია რობერტ სტურუა. (ნათელა, 2008)

რობერტ სტურუა თავის მისიას, ხალხის გამოფხიზლებასა და მისი თვითშეგნების ამაღლებაში ხედავდა, 1987 წელს ის ახორციელებს სპექტაკლს ,,მეფე ლირი'', რეჟისორის და მხატვრის მირიან შველიძის გადაწყვეტილებით სცენის დეკორაციად ისევ სცენა მოეწყო , თეატრი თეატრში, სპექტაკლში ლირიც და თანამონაწილეებიც ნაცრისფერი უნიფორმებით იყვნენ შემოსილები და პიროვნება, ინდივიდი მხოლოდ ლირი იყო, ყველაფრის უფლებამოსილებაც, მხოლოდ მას ქონდა, დანარჩენები კი როგორც მაყურებლები ისე ისხდნენ და მხოლოდ სანახაობას უყურებდნენ, ისინი იყვნენ უინიციატივო, უმოქმედო დამსწრეები, ეს ყველაფერი გულისხმობს იმას, რომ იმდროინდელი საზოგადოება იყო შეგუებული მის მდგომარეობას და უმოქმედოდ ელოდებოდა ყველაფრის გაუმჯობესებას, სტურუას კი სურდა მათთვის დაენახებინა ის, რომ უმოქმედობა არათუ გამოასწორებდა არსებულ მდგომარეობას არამედ, პირიქით დაამძიმებდა მას. (ნათელა, 2008)

სანამ სპექტაკლებს რეჟისორები მაყურებლამდე მიიტანდნენ, მანამდე ინიშნებოდა ამ სპექტაკლების ე.წ. ,,გასინჯვა'', რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და მათი გადაწყვეტილებით ხდებოდა ამ სპექტაკლების გასაჯაროება, რადგან სპექტაკლი მათთვის იყო საფრთხის შემცველი, რომელიც შეასუსტებდა მათ ზეგავლენას

საზოგადოებაზე, ეს ფაქტიც ადასტურებს იმას, რომ თეატრს აქვს დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს საზოგადოებაზე. (ნათელა, 2008)

1979 წელს რობერტ სტურუამ დადგა სპექტაკლი უ. შექსპირის პიესაზე ,,რიჩარდ III'', რომელმაც აგრეთვე დიდი წარმათება მოუტანა რუსთაველის თეატრს, ამ პერიოდში თეატრისა და კულტურის სამინისტროს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო, დაინიშნა სპექტაკლის ,,გასინჯვა'', რომელიც მთავრობამ კრიტიკულად შეაფასა და პრემიერის დანიშვნის უფლება არ გასცა, რადგან სპექტალი ნათლად აღწერდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ყოველდღიურობას, პოლიტკურად და სოციალურად დაძაბულ მდგომარეობას, რომელიც რეჟისორს გადმოცემული ქონდა ქვეტექსტების, სიმბოლოების და მეტაფორული სისტემით საშუალებით, მართალია შექსპირმა ეს პიესა მე-16 საუუნეში დაწერა, მაგრამ რეჟისორმა ის კარგად მოარგო მაშინდელ თანამედროვე რეალობას. მთავრობას არ სურდა რომ ეს ყველაფერი მაყურებლამდე მისულიყო, მაგრამ წარმოდგენა მაინც მიიღეს ექვსი ოფიციალური და რამდენიმე არაოფიციალური გასინჯვის შემდეგ. (ნათელა, 2008)

თავი 4. ემპირიული ნაწილი

კვლევის მიზანს წარმოადგენს რუსთაველის თეატრის მიერ საზოგადოების რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართულ რეალობაში, მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანის მიხედვით, რომელიც გულისხმობს რეჟისორის მიერ სპექტაკლში ჩადებული სოციალური გზავნილის განსაზღვრას, მნიშვნელოვნად მიმაჩნია პირველ რიგში გავაანალიზო არჩეული სპექტაკლები (ნადირობის სეზონი, ასულნი, დაკანონებული უკანონობა) რეცენზიების საფუძველზე, განვიხილო მათში ჩადებული რეჟისორის და მსახიობების სოციალური გზავნილები და შემდეგ გავაანალიზო რამდენად მიაჩნია კონკრეტული სპექტაკლები მაყურებელს ჩვენი რეალობის რელევანტურად.

მონაცემების საფუძვლიანად შესასწავლად გამოვიყენე სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები: სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. აღნიშნული სპექტაკლების უკეთ გასაანალიზებლად გამოვიყენე თეატრმცოდნეების რეცენზიები.

თეატრმცოდნეების რეცენზიების მიხედვით სამივე სპექტაკლი ერგება თანამედროვე ქართულ რეალობას, მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული პიესები არ არის თანამედროვე რეალობაში დაწერილი, სამივე სპექტაკლში ნათლად ჩანს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ამ პროცესების გავლენა საზოგადოებაზე, მაგალითად სპექაკლ ,,ასულნიში'' ჩანს ის, რომ პოლიტიკოსები საკუთარი ძალაუფლებისა და კეთილდღეობისთვის, ყველა შესაძლო ხერხს იყენებენ ადამიანების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, შემდეგ მათ ცვლიან სხვა მათზე უფრო ძლიერი პოლიტიკოსები და ასე გრძელდება წლების განმავლობაში.

,,ბურუსით მოცემულ სივრცეში მკვლელობები ჩვეულებრივი ამბავია. მიდიან და მოდიან ხელისუფლებები, მაგრამ გარემო და დამოკიდებულებები ერთი და იგივე რჩება.''(თეატრმცოდნე)

სპექტაკლში ჩანს საზოგადოების მდგომარეობა, ისინი არიან უმოქმედოები, უიმედოდ დარჩენილები და ელოდებიან გმირს, რომელიც მოვა და იხსნის მათ არსებული პრობლემებისგან, ასე გადის დრო იცვლება თაობები მაგრამ მდგომარეობა უცვლელი

რჩება, გოფმანის მიხედვით შესრულების დროს მნიშვნელოვანია დეკორაცია, ანუ შესრულების ადგილმდებარეობა, ,,გარემო'', სადაც შემსრულებელი ასრულებს მის წარმოდგენას, გარემოს მოსაწყობად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ავეჯი, მატერიალური საგნები და ფონური ელემენტები, რომელიც ქმნის დეკორაციას და რეკვიზიტს დამაჯერებელი და საინტერესო პერფორმანსისთვის. (გოფმანი, 2007) ამ სპექტაკლის დეკორაციაში მიზნიდან გამომდინარე საინტერესოა სცენის უკან განლაგებული ადამიანის ფიტულები, რომლებიც არიან სახეწაშლილები და ხელები მაღლა აქვთ აღმართული, დეკორაციის შინაარსიც საზოგადოების უმოქმედობას, ღირებულებების გაუფასურებას და ადამიანების უმოქმედობას გამოხატავს.

გოფმანის მიხედვით შესრულების დამაჯერობლობისთვის მნიშვნელოვანია ინდივიდის ,,გარეგნობა'' და ,,მანერა'', გარეგნობის მიხედვით ადამიანზე ბევრი ინფორმაციის გაგებაა შესაძლებელი, სპექტაკლ ასულნიში მსახიობების კოსტუმები და მათი გრიმი ერთნაირია, მათი მანერა და მოძრაობებიც მსგავსია რაც საზოგადოების მდგომარეობას გამოხატავს. (გოფმანი, 2007) (კიკნაველიძე, 2014)

სპექტაკლში ისმის ფრაზები, რომლებიც რეჟისორის გზავნილებია მაყურებლისთვის: *,,თქვენი კაცად გახდომა არ იქნა და არ მოხდა''; ,,მოგვატყუეს, დაგვიმონეს''; ,,არა კაც კვლა - დაგავიწყდათ?!''; ,,ღმერთია მოწმე, არ მინდოდა, თქვენ მაიძულეთ''; ,,ცუდი ხელოვანი ღრწნის ერს''; ,,ჭეშმარიტება და სიმართლე ყველა ენაზე უცხოა''; ,,ჩვენი ქვეყანა კეკლუცია, მაგრამ საყმოდ არ გამოდგება'', ,,მოფილოსოფოსო ვირის ჭკუა, ერთის ჭკუაა და ისიც ვერ გვიშველის'' და სხვა.*

სპექტაკლი ,,ნადირობის სეზონიც'' აღწერს და ასახავს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს, მაგრამ სპექტაკლში ძირითადი აქცენტი საზოგადოებაზეა გაკეთებული, რეჟისორისთვის მთავარ პრობლემას სწორედ საზოგადოება წარმოადგენს, ვიდრე რომელიმე ლიდერი, რადგან საზოგადოებაში გაუფასურდა ღირებულებები, ისინი უმოქმედოდ და უპასუხისმგებლოდ ეგუებიან მდგომარეობას რომელშიც არსებობენ.

,,საფრთხე თქვენშიაო, გვეუბნება და გადავყავართ საოცრად ელექტურ, როგორც ფორმით ასევე შინაარსით, სამყაროში. სტურუას პერსონაჟები გაურკვეველი ისტორიისა და წარმომავლობისანი არიან, თითქოსდა არ ახსოვთ წარსული, ვერ ცნობენ წინაპრებს და სისხლით ნათესავებსაც კი უცხო ადამიანებში დაეძებენ. მშობლები შესაძლოა, არც დაუკარგავთ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, სად არიან ისინი, რომელ მოხუცთა თავშესაფარში, როდესაც მათ გარდაცვლილებად თვლიან?! ძილ-ბურანში ყოფნა ერთგვარი თავის გადარჩენაა, ვინც ასეთ გზას ირჩევს, ადვილად სამართავია".((კიკნაველიძე, 2014გვ.35)

ამ სპექტაკლსაც განსაუთრებულ დამაჯერებლობასაც მისი დეკორაცია ქმნის, დეკორაციად გამოყენებულია სარკეები, რომელიც ჩემი აზრით მიგვანიშნებს იმაზე რომ სპექტაკლი ასახავს ჩვენს თანამედროვე რეალობას, სადაც ასევე გამოყენებულია სახეწაშლილი მანეკენები, უსულო საგნები, რომელიც საზოგადოების მდგომარეობაზე მიგვანიშნებს, ასევე სცენის მთავარი დეკორაცია საწოლია, ყველა ნივთს რომელსაც რეჟისორი დეკორაციად იყენებს თავისი სიმბოლური დატვირთვა და მიშვნელობა აქვს, მაგალითად კოკა-კოლის ქილა შესაძლებელია თავისუფლების სიმბოლოდ აღვიქვათ.

საზოგადოების ღირებულებების გაუფასურებას ეხება სპექტაკლი დაკანონებული უკანონობაც, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, რელიგიის წარმომადგენლებიც კი ძალაუფლებისთვის ბრძოლაში არავის და არაფერს ინდობენ, შავ საქმეს სხვებს აკეთებინებენ, სპექტაკლში კეთილი ადამიანი ისჯება, თავისივე სიკეთის გამო, ხოლო ბოროტი ადამიანი მიღებული ძალაუფლებით განაგრძობს დიდხანს ცხოვრებას, სპექტალი ამ პრობლემებით მთლიანად მორგებულია ქართულ და არა მხოლოდ ქართულ რეალობას, აქ ის გლობალური საკითხებია წამოჭრილი, რაც საზოგადოების წინაშე დგას ყოველდღიურად. სპექტალის დეკორაცია შერულების განმავლობაში თითქმის უცვლელია, აქ კიდია თეთრი ნაჭერი რომელზეც განათების საშუალებით იქმნება შესაძლებლობა ადამიანებმა წარმოიდგინონ ,,გარემო'' რომელშიც პერსონაჟები მოგზაურობენ, საინტერესოა მსახიობების შესრულების მანერა, ყველა მსახიობი

როლისთვის შესაბამისი მანერით გამოხატავს თავის სათქმელს, რაც უფრო მეტ დამაჯერებულობას მატებს წარმოდგენას.

რეჟისორის და მსახიობების სოციალური გზავნილები

სპექტაკლების ანალიზის შემდეგ ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები რუსთაველის თეატრის რეჟისორთან და მსახიობებთად, რაც დამეხმარა მათი კონკრეტული სოციალური გზავნილების განსაზღვრაში.

სპექტაკლ ნადირობის სეზონში დეკორაციად გამოყენებულია სახე წაშლილი ადამიანები, როლებმაც საკუთარი ადამიანური სახეები დაკარგეს, სიკეთის და სიყვარულის ნაცვლად განიცდიან ბოროტებას, შურს, ზიზღს ერთმანეთის მიმართ, ეს ის პრობლემებია, რაც აწუხებს სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ გმირს, რომელსაც სურს მაყურებელს სწორედ ეს გზავნილი მიაწოდოს,

,,ჩემი გზავნილი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობ მაყურებლისთვის არის სიყვარული, ადამიანებს შორის სიყვარულის ძალა, სამწუხაროდ დღევანდელ რეალობაში ეს გრძნობა გაუფასურდა, ადამიანებს აღარ ახარებთ ერთმანეთის წარმატება, ბედნიერება, სიხარული, ეს ყველაფერი ჩაანაცვლა ბოროტებამ, შურმა, ზიზღმა და სხვა უარყოფითმა გრძნობებმა ამიტომ ჩემი მთავარი გზავნილი მაყურებლისთვის არის სიყვარული''.(მსახიობი, ქალი)

რეჟისორის მთავარი გზავნილი საზოგადოებისთვის თავად საზოგადოების სახის წარმოჩენის მცდელობაა, რადგან ის მთავარ პრობლემას სწორედ საზოგადოებაში, მის უმოქმედობაში ხედავს, სპექტაკლი ნადირობის სეზონი ასევე ასახავს ყველაფერს, ყველა ეპოქას დაწყებული წარსულიდან მოსული დღემდე, წარსულის და აწმყოს კავშირს, ადამიანის გრძნობებს, ოცნებებს, მოლოდინებს, იმედს, თავისუფლებას და ა.შ.'.(რეჟისორი)

სპეტაკლი ,,ასულნი'' თანამედროვე და აქტუალურია მკაფიო მინიშნებებით პრობლემატურ საკითხებზე. აქაც ისევე როგორც ნადირობის სეზონში სპექტაკლის მთავარი სათქმელი, არის ის, რომ პრობლემა საზოგადოებაში და მის უმოქმედობაშია, საზოგადოება უშედეგოდ ელოდება მხსნელს გმირის სახით, რომელიც მოაგვარებს მათ პრობლემებს, მაგრამ მხსნელი არსად ჩანს, ასე იყო წარსულში, ასეა აწმყოშიც და თუ ასე გაგრძელდა იგივე იქნება მომავალშიც, სპექტაკლი მაყურებელს მოუწოდებს გამოფხიზლებისკენ, პიროვნული პასუხისმგებლობის გაანალიზებისკენ და არსებული რეალობის და პრობლემების საკუთარი ძალებით შეცვლისკენ.

,,სპექტაკლში ასულნი ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი , თაობები რომელიც მხსნელის მოლოდინში უმოქმედოდ იცვლება, ხოლო მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება და გაგრძელდება ასე სანამ ერი არ გამოფხიზლდება და მხსნელს ადამიანები საკუთარ თავებში არ მოძებნიან''.(რეჟისორი)

,,ეს არ არის მარტო საქართველოს ისტორია, მე ვფიქრობ ეს არის ზოგადსაკაცობრიო პრობლემა, ტრაგედია, ადამიანები უნდა გამოფხიზლდნენ და სასწაულის მოლოდინში მთელი ცხოვრება უმოქმედოდ არ გაატარონ.''(მსახიობი)

სპექტალი ,,დაკანონებული უკანონობა'' რეჟისორის უახლესი ნამუშევარია, აქ ყველაზე ნათლად ჩანს ის, რომ ადამიანებმა საბოლოოდ დაკარგეს ყველა ღირსება, სპექტაკლი აღწერს ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან ძალაუფლებისთვის, საკუთარი კეთილდღეობისთვის, ისინი ყველა სიტუაციაში მზად არიან ბრძოლისთვის, ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ნდობა იმდენად დაკარგული აქვთ, რომ კეთილის მსურველებსაც ბოროტებად აღიქვამენ და მოსაკლავად იმეტებენ. რეჟისორის სოციალური გზავნილი საზოგადოებისთვის არის ის რომ საზოგადოებაში სიკეთის ძალა დაიკარგა, გაუფასურდა და ადამიანებმა დაკარგეს მისი კეთების და დანახვის უნარი.

,,სპექტაკლი დაკანონებული უკანონობა ეხება გლობალურ პრობლემებს ომებს ნავთობის, რელიგიის გამო, ადამიანის ძალაუფლებას, ამ ყველაფრის შედეგებს, სიკეთეს, ბოროტებას, ადამიანების ღირებულებების გაუფასურებას''.(რეჟისორი)

,,ძალიან დიდ იდეაზეა სპექტაკლში ლაპარაკი, რატომ ხდება ომი, რატომ იბრძვის კაცობრიობა, რატომ ხოცავენ ადამიანები ერთმანეთს, რელიგიაა ამ ყველაფრის მიზეზი თუ ქონების გაყოფა ?, ყველაფრის მიზეზი ძალაუფლებისთვის და მატერიალური კეთილდღეობისთვის ბრძოლაა და ამ ბრძოლაში ადამიანები ადამიანურ სახეს კარგავენ''. (მსახიობი)

ფოკუს - ჯგუფი

მაყურებლისთვის სპექტაკლები ,,დაკანონებული უკანონობა'' და ,,ასულნი'' აღიქმება, როგორც ჩვენი რეალობის რელევანტური, ასევე მათ მიერ აღქმული სოციალური გზავნილები ემთხვევა რეჟისორის და მსახიობების მიერ ჩადებულ გზავნილებს,

სპექტაკლ ასულნის მთავარი სოციალური გზავნილი იყო ის, რომ ადამიანებს ესაჭიროებათ გააქტიურება და მხსნელის პოლიტიკურ ლიდერში კი არა არამედ საკუთარ თავებში მოძებნა. სპექტაკლმა მაყურებელზე მოახდინა შთაბეჭდილება, ამ დასკვნას ვაკეთებ გოფმანის თეორიის გაანალიზების საფუძველზე, სპექტაკლი მათთვის იყო, სარე, რომელშიც ხედავდნენ საკუთარ თავებს, საკუთარ უმოქმედობას და ამ ყველაფრის ფონზე აწუხებდათ სირცხვილის გრძნობა.

,,სპექტაკლის ძირითადი თემები, რაც არის წამოჭრილი, ამბივალენტურია არსებულ პრობლემებთან''(მაყურებელი)

,,სპექტაკლი ყველამ უნდა ნახოს!!! ის ჩვენი ისტორიაა, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი უმოქმედობა და ამ უმოქმედობაში დასრულებული ცხოვრება.''(მაყურებელი)

,,ნანახმა სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ძველი თუ ახალი ხელისუფლება, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს''.(მაყურებელი)

,,სპექტაკლის ძირითადი სათქმელია, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი აწმყო და მომავალი, ,,ხელისუფლების'' შემყურე საზოგადოება, მხოლოდ მონა, მორჩილ საზოგადოებად დარჩება''.(მაყურებელი)

სპექტაკლ დაკანონებული უკანონობის მთავასი სოციალური გზავნილი არის ის, რომ ადამიანებმა დაკარგეს სიკეთის კეთების სურვილი და ამ ყველაფრის ფონზე სიკეთეს აღიქვამენ ისე როგორც ბოროტებას, განიცდიანს შურს, ბოღმას და უნდობლობას ერთმანეთის მიმართ. მაყურებელამდე სპექტაკლის გზავნილები იმ სახით მივიდა რა სახითაც რეჟისორს ქონდა ჩაფიქრებული, სპექტაკლმა მოახდინა მაყურებელზე შთაბეჭდილება, სპექტაკლის ყველა დეტალი და მესიჯი მათთვის გასაგები არ იყო, მაგრამ ძირითადი სათქმელი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში დაკანონებული უკანონობის არსებობას, სიკეთის ბოროტებით ჩანაცვლებას, იმას, რომ ადამიანები ძალაუფლების მოპოვების ყველა შესაძლო გზას იყენებენ და არ ითვალისწინებენ სხვა, უფრო ,,სუსტი'' ადამიანის სიცოცხლეს, ამ სამყაროში და შედეგად ,,ძლიერი მეფობს, სნეული კვდება'' ,რეჟისორის ჩანაფიქრი მაყურებლისთვის თანამედროვე რეალობის რელევანტური აღმოჩნდა.

პერსონაჟების დამოკიდებულება გარესამყაროსადმი, ურთიერთობები მათშ შორის, სოციუმისა და „ამაქვეყნის ძლიერთა“ კონფლიქტი, ეს ის პრობლემებია რომელიც ჩვენ ქვეყანას აწუხებს დიდი ხანია.(მაყურებელი)

წყლის სცენა სპექტაკლში, როდესაც წყლის მიწოდება (დახმარება) ხდება მკვლელობის საბაბი, სადაც სიკეთის მთესველი ადამიანი თავისი სიკეთის გამო იღუპება, ეს არის ჩვენი რეალობა რომელშიც ვცხოვრობთ.(მაყურებელი)

ნანახმა სპექტაკლმა მრავალ საკითხზე დამაფიქრა, თუმცა ერთს გამოვყოფ და ვიტყვი, რომ ხანდახან ერთმანეთის არ გვესმის, და სიკეთის კეთება სხვებში მკვლელობის მიზეზი ხდება.'' (მაყურებელი)

უკანონობა კანონად იქცა და საზოგადოება ამ ყველაფერს ვერ თუ არ ცვლის და უმოქმედობა დადებითი პასუხია''(მაყურებელი)

როგორც უკვე აღვნიშნე სპექტაკლები დაკანონებული უკანონობა და ასულნი მაყურებლის მხრიდან აღიქმება, როგორც ჩვენი რეალობის რელევანტური, მაგრამ სპექტაკლ ნადირობის სეზონზე მათ ვერ დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით, რადგან რესპოდენტთა უმრავლესობისთვის სპექტაკლის სოციალური გზავნილი გაუგებარი იყო.

,, ჩემთვის გაუგებარი იყო რეჟისორის ჩანაფიქრი, სპექტაკლის მთავარი სათქმელი ეპოქა და ა.შ.''(მაყურებელი)

,,რთულია გიპასუხოთ, რამდენად ერგება სპექტაკლი თანამედროვე ქართულ რეალობას რადგან ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო რეჟისორის ჩანაფიქრი''.(მაყურებელი)

ჩემთვის საინტერესო იყო გამერკვია იცნობდნენ თუ არა რესპოდენტები რეჟისორის სხვა ნამუშევრებს, აღმოჩნდა რომ მათ რობერტ სტურუას სხვა სპექტაკლები ქონდათ ნანახი და ამბობდნენ რომ მიუხედავად რთულად გასაგები სპექტაკლებისა, ისინი რეჟისორის მთავარ სათქმელს მაინც იგებდნენ, ეს სპექტაკლი ჩემი აზრით მაყურებლისთვის გაუგებარი იმიტომ იყო, რომ სპექტაკლში ბევრი ინფორმაცია ერთად იყო მოწოდებული, მათ გაუჭირდათ რეალობის და არარელობის ერთმანეთისგან გარჩევა, მათ ვერ გაიგეს სპექტაკლის დასაწყისი და დასასრული, კვლევის ანალიზის შედეგად დავადგინე, რომ სპექტაკლი ,,ნადირობის სეზონი'' გამოხატვის ფორმებით განსხვავდება დანარჩენი ორი სპექტაკლებისგან, ,,ასულნი'' და ,,დაკანონებული უკანონობა'' , დადგმა ერთგვარი რებუსია და მისი სირთულე კომბინაციის მრავალმხრიობაშია. ეს სპექტაკლი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ექსპერიმენტი. რეჟისორი იყენებს დადგმის მისგან განსხვავებულ სტილს, რომელიც არ გავს მის სხვა ნამუშევრებს, მაყურებელი კი ამ ექსპერიმენტისთვის მზად არ არის, შესაბამისად გაუჭირდათ სპექტაკლის გაგება, ამიტომ ისინი საუბრობდნენ მსახიობებზე, აფასებდნენ მათ ნიჭს, როლის შესრულების ხარისხს, დეკორაციას მუსიკალურ გაფორმებას, მაგრამ ამ ყველაფერს და რეჯისორის სათქმელს ვერ აკავშირებდნენ არსებულ თანამედროვე რეალობასთან რადგან ეს ყველაფერი მათთვის

იყო გაუგებარი. მაყურებლისთვის სპექტაკლის გაუგებრობის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ თეატრალურ სამყაროში მსგავსი ექსპერიმენტები იშვიათია, ამიტომ, რეჟისორი, რაც უფრო ხშირად შესთავაზებს აუდიტორიას სიახლეს, ექსპერიმენტს, დადგმისას გამოიყენებენ თანამედროვე მიდგომებს მაყურებლის მხრიდან მოლოდინიც შესაბამისი იქნება, მათ გაუჩნდებათ სურვილი გაიგონ მეტი თეატრის ხელოვნების შესახებ, რაც შესაბამისად სპექტალების უკეთ აღქმის შესაძლებლობებს გაზრდის.

,,სპექტაკლი იმდენად ქაოსურია და იმდენად გაურკვეველი ვერ მივხვდი რა იყო რეალური და რა არარეალური, მაქვს მოსაზრებები რომელზეც საუბარი მიჭირს , არ ვარ დარწმუნებული იმაში , რომ ჩემი ვარაუდი ემთხვევა რეჟისორის ჩანაფიქრს, ვამჯობინებ მოვუსმინო სხვებს და გავიგო მათთვის რა იყო სპექტაკლის მთავარი სათქმელი.''(მაყურებელი)

,,მინდა აღვნიშნო ქალის როლის შემსრულებელი ია სუხიტაშვილი, მისმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ნანახმა სპექტაკლმა დამათფიქრა სად არის რეალობა და მოგონილი სამყარო იქნებ სწორედ რეალობაა მოგონილი სამყარო და მოგონილი სამყარო რეალობა''.(მაყურებელი)

,, რობერტ სტურუას ნამუშევრები არასდროს გამოირჩევა მისი სიმარტივით . ავტორს თითქოს ერთი სპეკტაკლით სურს მსოფლიო პრობლემების მაყურებლებისთვის გადაცემა ამას მოწმობს სპეკტაკლის დროს გაშვებული პოლიტიკური ნიშნის კადრებიც, მსოფლიოში დატრიალებულია ქაოსი და ამ ქაოსით დაბნეულია ხალხი, ეს ჩანს მათ ფიქრებში , შეხედულებებში და მოქმედებებში . მსოფლიო შეიშალა '' (მაყურებელი)

რეჟისორი მაყურებელს უნდა ესაუბრებოდეს მათთვის გასაგებ ენაზე, ითვალისწინებდეს არსებულ რეალობას და შეეძლოს რეალობის მხატვრულად გარდაქმნა თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. თუ ამ ყველაფერს ემატება მაყურებელი, რომელსაც აქვს გაგების უნარი, აღქმის შესაძლებლობები, შესაბამისი ცოდნა და განათლება, პერფორმანსი ნამდვილად იქნება შთაბეჭდილების მომხდენი. ამ ყველაფრის მაგალითია სპექტაკლები ,,ასულნი'' და ,,დაკანონებული უკანონობა'', მაყურებელისთვის

კონკრეტული სპექტაკლები იყო გასაგები და შესაბამისად მათ არ გაუჭირდათ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება და აღნიშნავდნენ, რომ სპექტაკლები პირდაპირ ერგება თანამედროვე ქართულ რეალობას, სოციუმის პრობლემებს.

დასკვნა

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, კვლევის მოსალოდნელი ვარაუდები გამართლდა,

კვლევის პირველი ამოცანის მიხედვით, განვსაზღვრე რეჟისორის სოციალური გზავნილები რეცენზიების და თეატრის რეჟისორთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე,

რეჟისორის სოციალური გზავნილები ეხება საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს რეჟისორს, მაგალითად სპექტაკლ ასულნის სოციალური გზავნილი არის ის, რომ რეჟისორი საზოგადოებას მოუწოდებს გამოფხიზლებისკენ, რადგან ამ პოლიტიკურ გარემოში, სადაც საზოგადოებას უწევს ცხოვრება პრობლემების მოგვარების ნაცვლად ისინი უფრო რთულ სახეს იღებენ და თუ არ გამოფხიზლდებიან და აქტიური მოქმედებით და პასუხისმგებლობის საკუთარ თავებზე აღებით არ შეეცდებიან ამ პრობლემების მოგვარებას ქვეყნის მდგომარეობა გაუარესდება, დრო გავა თაობები შეიცვლება და მდგომარეობა კვლავ უცვლელი ან უფრო უარესი იქნება.

სპექტაკლ ნადირობის სეზონშიც რეჟისორის მთავარი გზავნილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მდგომარეობას ეხებოდა, იმ უსამართლობას რომელიც

სპექტაკლის შექმნის პროცესში მიმდინარეობდა საქართველოში. ასევე საზოგადოებას მოუწოდებდა გამოფხიზლებისკენ და არსებული მოვლენების რეალურად აღქმისკენ, რადგან მედია საშუალებები ამახინჯებენ რეალობას და მსგავსი სახით აწვდიან საზოგადოებას, საზოგადოება კი უნდა იყოს ფხიზლად, რომ შეძლონ რეალურის და არარეალურის ერთმანეთისგან გარჩევა.

სპექტაკლ დაკანონებულ უკანონობაში რეჟისორის გლობალური საითხები აქვს განხილული სადაც საქართველოში არსებული რეალობაც როგორც მსოფლიოს ნაწილი ისეა აღწერილი, რეჟისორის სოციალური გზავნილი ადამიანების მორალური ფასეულობების დაკარგვაზე მიანიშნებს, რომ ამ ყველაფრით ისინი ადამიანურ სახეებს კარგავენ. ჩვენს რეალობაში დაკანონებულია უკანონობა, თავად სათაურიც ამ ყველაფერზე მიგვანიშნებს, რეჟისორმა პიესის სათაური შეცვალა იმიტომ, რომ ჩვენ რეალობას უფრო უკეთესად მორგებოდა.

მსახიობებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, შემიძლია დავასკვნა რომ მათი სოციალური გზავნილები რეჟისორის მიერ მიწოდებული სოციალური გზავნილების რელევანტურია, მაგრამ ისინი მაინც იმ საკითხებზე აკეთებენ ფოკუსირებას, რომლებიც მათთვის უფრო პრობლემატური და აქტუალურია, მაგალითად ეს შეიძლება იყოს სიყვარულის ძალა, რომელიც ადამიანებისთვის გაუფასურდა და ჩაანაცვლა შურმა, ბოროტებამ, ზიზღმა და სხვა უარყოფითმა გრძნობებმა.

სპექტაკლები დაკანონებული უკანონობა და ასულნი მაყურებლის მხრიდან აღიქმება, როგორც ჩვენი რეალობის რელევანტური, მაგრამ სპექტაკლ ნადირობის სეზონზე მათ ვერ დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით, რადგან რესპოდენტთა უმრავლესობისთვის სპექტაკლის სოციალური გზავნილი გაუგებარი იყო.

სპექტაკლებში აღწერილია საზოგადოების უსუსურობა, უმოქმედობა, ადამიანების ღირებულებების გაუფასურება, ასევე ის პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ასევე ეს ის გზავნილებია რომლის მიწოდებაც სურს რეჟისორს მაყურებლისთვის, შესაბამისად მსახიობის სოციალური გზავნილებიც ამ აქტუალურ

თემებს ეხება, უბრალოდ ისინი კონკრეტულად იმ გზავნილს უსვამენ ხაზს, რომელიც მათთვის უფრო პრობლემატურია.

რუსთაველის თეატრი არის საზოგადოების სოციალური რეპრეზენტაციის საშუალება, ის აღწერს და ერგება თანამედროვე რეალობას და იმ პრობლემებს, რომლებიც ყოველდღიურად არსებობს ადამიანების ცხოვრებაში. ეს ასე იყო წარსულში და ასეა დღევანდელ რეალობაშიც. რეჟისორის სოციალური გზავნილები საზოგადოებაში აქტუალურ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ეხება და ცდილობს საზოგადოების სახე წარმოაჩინოს. საზოგადოებისთვისაც თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს,რადგან ისინი ფიქრობენ და მსჯელობენ ისეთ თემებზე, რომლებსაც საუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ აანალიზებენ, თეატრი საზოგადოებისთვის არის, სარკე, რომელშიც საკუთარ ანარეკლს ხედავენ, გრძნობენ სირცხვილს, სიხარულს, უსუსურობას, უბედურებას, ეს ყველაფერი მათ გარშემო ტრიალებს, ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველდღიურად ხდება და სპექტაკლები მაყურებელს ამ პრობლემების უკეთ გაანალიზებაში და სირთულეების დაძლევის გამოსავლების ძიებაში ეხმარება, ამ დასკვნას იმის საფუძველზე ვაკეთებ, რომ მაყურებელთან ინტერვიუები სწორედ სპექტაკლების დასრულების შემდეგ ჩავატარე, ისინი გამოხატავდნენ ემოციებს, გრძნობდნენ სირცხვილის, სინანულის გრძნობას, ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ სპექტაკლები კონკრეტულად იმ პრობლემების ამსახველია, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს.

ბიბლიოგრაფია

Bibliography

thespartacat. (2009, May 9). *youtube*. Retrieved from youtube: https://www.youtube.com/watch?v=HOgv91qQyJc

Савина, А. (2010). *Театр Актер. Режиссер. Краткий словарь терминов и понятий.* Москва: Планета музыки, Лань.

გოთმანი, ი. (2007). *თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში.* თბილისი: დიოგენე.

ვადაჩკორია, ს. (1981). *შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კიკნაველიძე, თ. (2014). რობერტ სტურუას კალეიდოსკოპი. *ქართული თეატრის დღე*, 35-41.

ნათელა, ა. (2008). *მომავლის გადასარჩენად.* თბილისი: ახალი საქართველო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურის და მედიის სოციოლოგია

თამარ მჟავანაძე

<u>სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემატიკის გაშუქება ტელევიზიაში</u>

(საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, რუსთავი 2-ისა და ერთსულოვნების ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გადაცემების შედარებითი ანალიზი)

ნაშრომი შესრულებულია კულტურისა და მედიის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ლია წულაძე,

სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

კვლევა მიზნად ისახავს ტელესივრცეში სოციალურად დაუცველი ფენის საკითხების გაშუქების ტენდენციების გამოვლენას. წლების განმავლობაში, საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალზედ დაბალი იყო. ყველა სიუჟეტი, გადაცემა თუ სტატია მიკერძოებულ და ტენდენციურ ხასიათს ატარებდა. დღეს საქართველოში, წინა წლებთან შედარებით, უფრო ჯანსაღი მედია გარემოა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მედია მთლიანად თავისუფალია პოლიტიკური გავლენებისან. მე დავინტერესდი, თუ რა ტენდენციები ვლინდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკითხების გაშუქებისას ტელესივრცეში (საზოგადოებრივი მაუწყებელი; ,,რუსთავი 2''; ,,ერთსულოვნება'') და შეინიშნება თუ არა ეს სხვადასხვა დაინტერესებული პოლიტიკური ძალის გავლენა ამ საკითხების გაშუქებისას. კვლევის მიზნიდან დავისახე შემდეგი ამოცანები:

- მთავარი საინფორმაციო გამოშვებების ანალიზი;
- მედიაექსპერტების და მოსახლეობის დამოკიდებულებების გამოვლენა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის თემების გაშუქებასთან დაკავშირებით;
- სიუჟეტებში გაჟღერებული თემების რელევანტურობის შეფასება რეალურ მდგომარეობასთან მიმართებაში (სიუჟეტების შინაარსის შედარება სახალხო დამცველის ანგარიშებთან)

კვლევაში გამოვიყენე, როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი მეთოდები : რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი; დისკურს ანალიზი; მასობრივი გამოკითხვა; სიღრმისეული ინტერვიუ.

შედეგად, გამოვლინდა რომ ,,რუსთავი 2'' და ,,ერთსულოვნება'' სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ტენდეციურად მხოლოდ ერთ ჭრილში და ერთი მხარის სასარგებლოდ აშუქებენ ინფორმაციას. თუმცა, შედეგის მიხედვით, დღეს ყველაზე დაბალანსებული და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოდგა.

Anotation

The target of the research is to identify the tendencies of broadcasting issues concerning socially vulnerable population in TV-media. During years, independence rank of the media has been extremely low in Georgia. Each media subject, TV-show or article tended to be based and tendentious. Nowadays, the media environment in Georgia has improved in comparison with previous years. However, media is still not entirely free from political influences. My field of interest is to identify tendencies in broadcasting issues in TV-media that concern socially vulnerable population (Georgian public broadcaster, ,,Rustavi 2'', ,,Ertsulovneba'') and to find out, whether media broadcast is politically influenced or not. According to the research target, I have set following tasks:

- Analysis of basic news programs;
- Identifying the attitude of media experts and population towards broadcasting the issues of socially vulnerable population;
- The evaluation of relevance of broadcasted subjects and reality (comparison of subject plot and accounts of the Public Defender)

In my research I have used both qualitative and quantitative research methods : quantitve content analysis, discourse analysis, mass surveys, in-depth interview. As a result it has turned out that ,,rustavi 2'' and ,,ertsulovneba'' are the most biased televisions, they both show different, but only one side of the story, from one point of view. According to the results, nowdays the most objective and politically independent is Georgia public broadcaster.

სარჩევი

1 თავი - შესავალი..... 5 - 12გვ.

2 თავი - თეორიული მიმოხილვა..... 13 - 26გვ.

2.1 ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები.....14 - 18 გვ.

2.2. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები..... 18 - 21 გვ.

2.3 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების გაშუქება მედიაში

..... 21 - 26 გვ.

3 თავი - ემპირიული ნაწილი..... 27 - 45 გვ.

3.1 საინფორმაციო გამოშვებების ანალიზი..... 27 - 37 გვ.

3.2 მოსახლეობის გამოკითხვა..... 38 - 40 გვ.

3.3 ინტერვიუ მედიაექსპერტეთან..... 41- 43გვ.

4 თავი - დასკვითი ნაწილი..... 44-47 გვ.

ბიბლიოგრაფია..... 48 გვ.

შესავალი

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა

საქართველოს ლიბერალური და პროგრესული კანონდმებლობა აქვს მედიასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში წლების მანძლიზე მედია არასაკმარისად გამჭვირვალე და დამოუკიდებული იყო, რაზეც არა ერთი კვლევა ჩატარდა.

სოციოლოგი NamrataRaut თავის ესეში „მედიის როლიგანათლებში“ წერს: „ნებისმიერ საზოგადოებაში მედია თამაშობს კატალისიტის როლს სოციალური ტრანსფორმაციის კუთხით, მას შეუძლია შეცვალოს ხალხის დამოკიდებულება ამა, თუ იმ საკითხის მიმართ“. შესაბამისად, მედიაზე დაკვირვება საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მეორე საკითხია, თუ რა აქცენტებს სვამს მედია და საზოგადოებისთვის და რამდენად მნიშვნელოვან საკითხებს აშუქებს.

საქართვეოში აქამდე ჩატარებული რამდენიმე კვლევა ცხადობს, რომ მედიის მიერ სოციალური საკითხები არასათანადოდ შუქდება და ძირითადად პოლიტიზებულია.

MDF-ისკვლევის - ,,სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში'' საგანისატელევიზიო არხების საინფორმაციო პროგრამებში სოციალური თემატიკის გაშუქება იყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მიზანი სოციალური სიუჟეტების შესწავლა იყო, ანგარიშიშში ნათქვამია, რომ :,,სოციალური თემატიკის პოლიტიკისგან გამიჯვნა ვერ მოხერხდა, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში სოციალური თემა პოლიტიკასთან არის მიბმული''.(ქეთი მსხილაძე სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში, 2011 წელი, გვ. 2).

საერთოდ, ტელევიზიების მიერ სოციალური თემების პოლიტიზების ტენდენცია ძალზე თვალში საცემია. სოციალურ სიუჟეტებში გაშუქებული საკითხების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ აქტივობასთან თუ სამთავრობო ინიციატივებთან და კავშირებითან/და პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული (მაგალითად,

ინფრასტრუქტურისა და უფლებების ჯგუფებში გაერთიანებული თითქმის ყველა სიუჟეტი).'' (ქეთი მსხილაძე, 2011).

კიდევ ერთი კვლევა, რომელზეც ყურადღება მინდა გავამახვილო ევროკავშირის მხარდაჭერით "კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის" მიერჩაატარებული კვლევაა, რომელიც მედიის თავისუფლებას მიეძღვნა (სივილ ჯორჯია,2012). ის 2011 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა ევროკომიის მიერ თბილისში ორგანიზებულ კონფერენციაზე. კვლევა, რომლის მიზანი საქართველოს მდგომარეობის შესწავლა იყო, აჩვენებს, რომ ახალი ამბებისადმი ინტერესი საქართველოს მოსახლეობაში უაღრესად დიდია და მათი უმეტესობა ტელევიზიებიდან მიღებულ ინფორმაციას კრიტიკულად უყურებს.

კვლევის თანახმად, ტელევიზიებით გაშექებულ საინფორმაციო გამოშვებებს ყოველდღიურად რესპონდენტების 84% უყურებს. უმეტესობა დაახლოებით ერთი ან ორი საათის განმავლობაში. ტელევიზია ჯერ კიდევ ინფორმაციის მთავარ წყაროდ რჩება, მიუხედავად ინტერნეტგამომცელოების როლის ყოველდღიურად მატებისა. ყველაზე პოპულაული ტელეარხი ტელეკომპანია,,რუსთავი 2''-ია, რომლის საინფორმაციო გამოშვებას გამოკითხულთა 79% უყურებს.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ, სოციალური საკითხების გაშუქების შესწავლის მიზნით, 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული ქართული ბეჭდური და ტელემედიის მონიტორინგზე, რომელიც ჩემი საკვლევი სფეროს მთავარ მოტივატორს წარმოადგენს (ნინო კევლიშვილი,ნანა საჯაია, 2011). კვლევამ მოიცვარაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. მკვლევარებმა შეაგროვეს მონაცემები სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამებში გადაცემული სოციალური საკითხების შესახებ. ისინი აკვირდებოდნენ მომზადებული მასალის ქრონომეტრაჟს, გამოყენებულ ტონს, სუბიექტებს, თემების შინაარს. საზოგადოებრივ საქმეთა ინტიტუტმა მედიასუბიექტებად : საზოგადოებრივი მაუწყებელი; ,,რუსთავი 2''; ,,იმედი''; ,,კავკასია'' და ,,მაესტრო'' დაასახელა.

სოციალური თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები ქართული სინამდვილის ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სოციალურად დაუცველი ფენა მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავს. კვლევის მსვლელობისას საზოგადოებრივ საქმეთა ინსისტუტმა ყურადღება სამ მათგანზე გაამახვილა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, პენსიონერები და მიუსაფარი ბავშვები. (ნინო კევლიშვილი,ნანა საჯაია, 2011).

შედეგების განხილვისას ვაწყდებით შემდეგ ტენდენციებს:

უშუალოდ სოციალური პრობლემის გაშუქებას არ ახდენდა არც ერთი სიუჟეტი და სტატია. უმრავლესობის შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა არა უშუალოდ თემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, არამედ სხვადასხვა ინიციატივაზე, რომელსაც ძირითადად მთავრობა, ქველმოქმედი ორგანიზაცია და ადამიანი იჩენდა; დაკვირვების პერიოდში კვლევის ძირითადი სუბიექტები ძირითადად ირიბად იყვნენ წარმოჩენილი.

სოციალურ თემები გადმოცემული იყო ნეიტრალური ტონის ფონზე და პარალელურად, ვიზუალური მხარე მკვეთრად დადებით კადრებს ასახავდა. სოციალურ თემებზე გასულ სიუჟეტებში გაცილებით მეტი დრო ეთმობა სხვადასხვა სუბიექტებს (მაგალითად: მთავრობის წარმომადგენლებს ან ქველმოქმედ პიროვნებებს) ვიდრე თვითონ სოციალურად გაჭირვებული ფენის წარმომადგენლებს. (ნინო კევლიშვილი,ნანა საჯაია, 2011).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტელეარხის მიერ მომზადებული სიუჟეტები, დათმობილი დროის, შინაარსის და სტრუქტრუისმიხედვით ერთმანეთის მსგავსი იყო. კვლევაში ნახსენებია ნოემბერ-დეკემბრის ექვსი კვირის განმავლობაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის შესახებ დღის მთავარ საინფორმაციო გადაცემაში მომზადებული 7 სიუჟეტი. აქ ხაზგასასმელია, რომ 7-ვე სიუჟეტი სამთავრობო თუ მუნიციპალურ ინიციატივებს ეძღვნებოდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, სიუჟეტების რაოდენობით ,,რუსთავი 2'', ხოლო ქრონომეტრჟით- საზოგადოებრივი მაუწყებელი ლიდერობდა.

დასკვნის სახით, კვლევაში ნათქვამია: ,,საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში კვლევამ ,,სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ ბეჭდურ და ტელემედიაში'' აჩვენა, რომ სოციალური თემები ქართულ მედიაში არასათანადოდ შუქდება. მძიმე სოციალური ფონი ტელევიზიით მხოლოდ ისეთ სიუჟეტებში აისახება, სადაც სახელისუფლებო სტრუქტურები ან ქველმოქმედი ადამიანები სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის გარკვეულ აქციებს მართავენ. არც ერთ სტატიასა და სიუჟეტში არ არის საუბარი თავად პრობლემაზე. ლაპარაკი სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებზე მხოლოდ ირიბად მიმდინარეობს და მათ არ ეძლევათ კომენტარის გაკეთების საშუალება თუ არ ჩავთვლით გაწეული დახმარების გამო მადლობის გადახდას.'' (ნინო კევლიშვილი,ნანა საჯაია, 2011, გვ. 197) ასევე, დასკვნაში ნათქვამია, რომ პრობლემურია სიუჟეტებში და სტატიებში გამოყენებული ზოგადი ტონიც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია. ხოლო, ტელევიზიით გასული სიუჟეტები ვიზუალური მასალის გამოყენებით უფრო მეტად დადებითი განწყობის შექმნისკენაა მიმართული.

ამ კვლევის გაცნობის შემდეგ, დამაინტერესა თუ რა მდგოარეობა იყო მაშინ, 2011 წელს და ახლა და რამდენი ადამიანია საარსებო შემწეობაზე მცხოვრები საქართველოს მასშტაბით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული მოსახლეობის რაოდენობამ წლების განმავლობაში მკვეთრად იმატა.

იხილეთ ცხრილი (2007-2015 წლებში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა და წილი საშუალო წლიურ მოსახლეებაში) (საქსტატი, 2016 წელი).

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საარსებოშემწეობისმიმღები მოსახლეობა*	279,474	368,431	436,309	430,603	411,091	435,961	437,238	432,487	376,776
წილისაშუალოწლიურმოსახ	6.4	8.4	9.9	9.7	9.2	9.7	9.7	11.6	10.1

ლეობაში (%)**									

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიდში მედიაში გახშირებულია აქცენტი სოციალური, კერძოდ, სოციალურად დაუცველი ფენის პრობლემებზე. თუმცა, ერთი შეხედვით ძირითადად ნეგატიური კონტექსტით, სადაც (წინა კვლევების შედეგებისგან განსხვავებით) აღარც მთავრობის და სხვადასხვა ორგანიზაცის ინიციატივებზეა აქცენტი, უფრო მეტიც ხელისუფლებისა და საზოგადოებისგან უყურადღებოდ დარჩენილ სოციალურად დაუცველ ფენაზეა აქცენტი. მაშინ, როცა მოყვანილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ამ საარსებო შემწეობის მიმღებმა მოსახლეობამ საგრძნობლად მატება 2009 წლიდან დაიწყო და 2014-2015 წლებში შეინიშნება მკვეთრი კლების ტენდენცია. კერძოდ, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს მაჩვენებელი 12%-ით შემცირდა.

საკვლევად არჩევანი შევაჩერე სამ ტელემაუწყებელზე: საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ,,რუსთავი 2''- სა და ,,ერთსულოვნებაზე''. ამ კონკრეტული 3 ტელეკომპანიის არჩევის ძირითადი მიზეზი განსხვავებული დაფინასებისა და შემოსავლის წყაროა, რომელიც სარედაქციო დამოკიდებულების მნიშვნელოვან კომპონენტს წარომადგენს. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც საზოგადოებისგან ფინანსდება და საზოგადოების მთავარი პრობლემების გამმხმოვანებელი უნდა იყოს. ის ვალდებულია ითვალისწინებდეს სხვადასხვა სოციალური ფენის, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ინეტერსებს. ,,რუსთავი 2'' , როგორც კომერციული ინტერესების მქონე ტელევიზია და რომელსაც დღესდღეობით ყველაზე დიდი მაყურებელი ჰყავს. ხოლო ერთსულოვნება კერძო, საპატრიარქოს ტელევიზიაა, რომელსაც გარკვეიული პასუხისმგებლობა აკსირია საზოგადოების წინაშე.

მიზანი

კვლევის მიზანია მედიაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკითხების გაშუქების ტენდენციების გამოვლენა. რამდენად ასახვს სხვადასხვა „ინეტერსების“მქონე ტელევიზიები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემურ საკითხებს და ხომ არ იყენებს მათ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად;რა აქცენტებითა და რაკურსით ხდება მათი პრობლემის გაშუქება, განსხვავებული ხედვის მქონე ტელევიზიების მხრიდან.

ამოცანები

1. რამდენად ადექვატურია ამ 3 არხის მიერ გაჟღერებული პრობლემებიმოსახლეობის რეალურ პრობლემებთან მიმართებაში (სიუჟეტების კონტექსტის შედარება სახალხო დამცველის ანგარიშთან);
2. რამდენად შეესაბამება ერთმანეთს 3 განსხვავებული ტელეარხის მიერ მომზადებული თემები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემებს. დროის რა მონაკვეთს უთმობს ამ 3 ტელეარხის მთავარი საინფორმაციო გადაცემა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემებს და როგორი პრიორიტეტი ენიჭება მათ რიგითობის კუთხით გაშუქებისას;
3. მედიაექსპერტებისა და მოსახლეობის დამოკიდებულების გამოვლენა მედიაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემური საკითხების გაშუქების მიმართ.

ჰიპოთეზა

ვფიქრობ, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, სოციალურ თემაზე გახშირებული აქცენტების გამო, დღესაც, სოციალურუად დაუცველი მოსახლეობის პრობლოემატიკის გაშუქება ქართულ ტელევისრცეში არაჯეროვანად და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხდება.

კვლევის მეთოდი

კვლევის გასაანალიზებლად ვიყენებ, როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობირივი კვლევის მეთოდს.

<u>რაოდენობრივი კონტენტანლიზი და დისკურსანალიზი</u>

4 კვირის განმავლიბაში სამივე ტელეარხზე, მთავარი საინფორმაციო გამოშვებების კონტენტანალიზის და დისკურსული ანალიზის ვახორციელებ. თუ რა სიხშირით, რა ხანგრძლივობითა და რა აქცენტებით ეთმობა ეთერი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემატიკის გაშუქებას - მთავარი საინფორმაციო გამოშვების ანალიზი.

<u>საზოგადოებრივი გამოკითხვა</u>

ვიყენებ რაოდენეობრივი კვლევის მეთოდს, მასობრივ გამოკითხვის ტიპს - ანკეტირებას. უფრო კონკრეტულად კი ანკეტირების სახეს - საფოსტო კითხვარს. გამოვიყენებ მარტივ შემთხვევით შერჩევას 3 ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებების მაყურებლების დამოკიდებულებების გამოსავლენად,ტელესივცეში გაჟღერებული სოციალური თემების მიმართ მათი ხედვისა და დამოკიდებულების გამოსავლენად.

<u>სიღრმისეული ინტერვიუ</u>

გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს-სიღრმისულ ინტერვიუს მედიაექსპერტებთან ზოგადი სურათისა და პრობლემის სიმწვავის საჩვენებლად. რისთვისაც კოდირებას, კატეგორიზაციას მივმართავ.

კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები საიანტერესოა საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ფენისთვის. მნიშვნელოვანია პრობლემაზე ხაზგასმა, რომ საქართველოში, სადაც კრიტიკულია სიღარიბის დონე, შემწეობაზე მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები და მედიის უმთავრესი როლიდან გამომდინარე - საზოგადოების ინფორმირებულობა, რამდენად მინიმალურია საზოგადოების სოციალური საკითხების ასახვა და ისიც, მხოლოდ პოლიტიზირებული გამოხმაურება აქვს.

მედიამონიტორინგითდაინტერესებული მკვლევარებისთვის მნიშვნელოვანია ახლანდელი ვითარების ჩვენება და მის სიმძაფრეზე ხაზგასმა, თემაზე მეტი აქცენტების გასაკეთებლად.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს მისი მცირემასშტაბიანობა. იქიდან გამომდინარე, რომ დაკვირვება ხორციელდება დროის მცირე მონაკვეთში, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს სრული სურათის წარმოსაჩენად და შემდეგ განსაზოგადებლად.

თავი მეორე - თეორიული მიმოხილვა

ინფორმაციის პირველი განსაზღვრება, რომელიცმ მოგვდის თავში – სემანტიკურია; ინფორმაციას აქვს საზრისი და მნიშვნელობა; მას აქვს საგანი; ის არის მონაცემები ან რაიმეს, ან ვინმეს შესახებ, ან მოქმედების სახელმძღვანელო.

მანუელ კასტელსი საუბრობდა ვირტუალური კულტურის აღმოცენებაზე. მისი აზრით, ამგვარი კულტურის წარმოშობა, ადრე თუ გვიან გამოიწვევდა მულტიმედიური ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებას, რომელიც თავის თავში გულისხმობს მასობრივი ინფორმაციისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების შერწყმას. (www.socium.ge; 15.06.2017.)

მანუელს კასტელსის აზით, ეს არის სისტემა, რომელშიც თვით რეალობა მთლიანად ჩაიძირება ვირტუალურ, წარმოსახვით სამყაროში, სადაც გამოსახულება უბრალოდ კი არ ჩნდება ეკრანზე, რომელიც უბრალოდ გადმოგვცემს გამოცდილებას, არამედ თავად წარმოადგენს გამოცდილებას. (www.socium.ge; 15.06.2017.)

კასტელსმა იწინასწარმეტყველა, რომ ინფორმაციული ეპოქა ახალი საზოგადოების წარმოქმნის საწინდარი იქნებოდა. მისი აზით, ახალი საზოგადოების წაარმოშობა - ინფორმაციული კაპიტალიზმის წარმოშობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ცვლილებას გამოიწვევდა, რადგან სწორედ ქსელური კავშირები იძლევა მეტი მოქნილობის (www.socium.ge; 15.06.2017.)

მანუელ კასტელსის მიხედვით, ინფორმაციულმა ეპოქამ 1970 წლიდან დაიწყო წარმოშობა, რასაც გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი. სამყარო გადავიდა ქსელურ მეწარმეობაზე. ნელ-ნელა ინფორმაციის მნიშვნელობა და ღირებულება გაიზარდა და დღეს უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. (www.socium.ge; 15.06.2017.)

სულ უფრო ხშირად გვესმის ანალიტიკოსების მხრიდან ინფორმაციაზე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს მთავარ სპეციფიკურ ნიშანზე. ხაზი გასმულია, რომ შევაბიჯებთ ინფორმაციულ ერაში. ყველა მეცნიერი თანხმდება იმ მოსაზრებაზე, რომ :,,ინფორმაცია ესაა რაღაც განსაკუთრებული''. ინფორმაციული ერისა და ინფორმაციული საზოგადოების მკვლევარები კამათობენ ბევრ ნიუანსზე, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან დეტალებზე, როგორებიცაა მისი ძირიადი მახასიათებელი, თუმცა ყველა თანმხდება: ,,ინფორმაცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში". მიუხედავად განსხვავებული აზრის და შეხედულებებისა ყველას მიაჩნია რომ ინფორმაციას განსაკუთრებულო როლი აქვს.

თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ ინფორმაცია ეს არის ძალა, თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის ფლობა განსაზღვრავს ძალაუფლებას. რაც უფრო მეტად ხარ ინფორმირებული, მეტ ძალაუფლებასაც ფლობ. ძალაუფლება თავის თავში მოიცავს ზემოქმედების და გავლენის ასპექტებს. თუ გავყვებით ამ მსჯელობას, იყო ინფორმირებული ნიშნავს გქნოდეს ძალაუფლება - იყო გავლენიანი.

2.1 ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები

ინფორმაცია - ეს არის ნებისმიერ სახის ამბავი, რომელიც კონკრეტულ ადამიანს კონკრეტულ სიტუაციაში აინტერესებს. დღეს, ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს მედია წარმოადგენს, იქნება ეს ტელე, რადიო, ბეჭდური თუ ინტრენეტმედია. ინფორმაციის გამამვრცელებლები კი ჟურნალისტები არიან, რომლებიც საზოგადოების ინფორმატორად უნდა გვევლინებოდენენ და მისი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდებდნენ. მედიამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა იმ ინფორმაციით, რომელიც მას სჭირდება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის (ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, 2006). იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს:

1) ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს;

2) ჟურნალისტიკა, პირველ რიგში, მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს;

3) ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა;

4) ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოიკიდებლობა მათგან, ვისაც აშუქებს;

5) ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლირებელი;

6) ჟურნალისტიკამ ხალხს საჯარო კრიტიკს და მსჯელობის საშუალება უნდა მისცეს;

7) ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა საინტერესოდ და ადექვატურად უნდა წარმოადგინოს;

8) ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის პროპორციულობა და ეს ინფორმაცია ყოველმხრივი უნდა გახადოს;

9)ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე.

ჟურნალისტისთვის ინფორმაციის მიმღებთან ურთიერთობა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული კოდექსები ჟურნალისტისგან მოითხოვენ რეალური ფაქტის კატეგორიულ გამიჯვნას მისი აზრისა თუ კომენტარისგან, რადგან ინფორმაციის უცვლელი სახით მიმღებ აუდიტორიას ფაქტების ანალიზის უნარი თავადაც გააჩნია.

მორალის პროფესიული სპეციფიკის შემსწავლელ მეცნიერებას პროფესიული ეთიკა ეწოდება. თავად ჟურნალისტის შრომის კოდექსი და მისი შედეგი, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად მრავალი ადამიანის ინტერესებს კვეთს. მედიაპროდუქტისთვის ფაქტების, თემისა და მიზნის შერჩევა, სუბიექტის ქცევის შეფასება, მასალის აგება - ყველა ამ ოპერაციაში აუცილებლად ვლინდება ჟურნალისტის დამოკიდებულება მათ მიმართ, თუ ვისთვის და ვის შესახებ მოგვითხრობს ის.

ამგვარად, მორალური დამოკიდებულებები მისი ნამუშევრის შინაარსშია ჩაქსოვილი და თავიდან ბოლომდე წარმოადგენს თავისი ხასიათიდან გამომდინარე ზნეობრივ საქმიანობას. აქედან გამომდინარეობს პროფესიული მორალის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ჟურნალისტებს გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევს. (ოლიკო ცისკარიშვილი, 2014).

პროფესიები, რომელებისთვისაც ეთიკური დამოკიდებულებები პროფესიული საქმიანობის ძირითად კომპონენტს შეადგენს, არცთუ ბევრია. თუმცა ჟურნალისტიკა მათ რიცხვში ნამდვილად შედის. ამგვარ პროფესიებში მორალური არჩევანი სპეციალისტისთვის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ჟურნალისტიკის ქცევის უმთავრეს პრინციპს, სწორედ სხვადსხვა საჭირო და აუცილებელი მოვლენების შესახებ აუდიტორიის ოპერატიულად და ობიექტურად ინფორმირება წარმოადგენს. (ოლიკო ცისკარიშვილი, 2014).

პროფესიულ მორალს ეკისრება პასუხისმგებლობა შეათანხმოს ჟურნალისტისა და სხვა ადამიანების ინტერესები. აქედან გამომდინარეობს, მოვალეობების ცნებაც. პროფესიული მორალი ჟურნალისტს ავალდებულებს ფაქტების გაშუქებას მათი ნამდვილი არსის შენარჩუნებით და დამახინჯება-შელამაზების გამორიცხვას. სწორედ მოვალეობა წარმოადგენს პროფესიულ მორალში მთავარ ცნებას. მოვალეობის გრძნობა არეგულირებს ჟურნალისტის პასუხისმგებლობას საზოგადოების, მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის წინაშე, ანუ იმ ადამიანების წინაშე, ვისი ობიექტური ინფორმაციის მომარაგებითაც არის დაკავებული. შესაბამისად, ადამიანებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ჟურნალისტს აკისრებს სოციალურ პასუხისმგებლობას.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროფესიული ეთიკის პრინციპებს იურიდიული ძალა არ აქვთ და მათი დაცვა მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდის შინაგან ზნეობაზე. თუმცა ეს იმას, არ ნიშნავს, რომ ეთიკური გადაწყვეტილებები ნებაყოფილობით ხასიათს ატარებენ, ჟურნალისტური ეთიკა კი შედარებითი და სუბიექტურია. შესაბამისად, ხშირად ვაწყდებით ჟურნალისტების, თუნდაც, უნებლიე პროფესიულ შეცდოებს, რომლებიც მათ სწორედ მოვლენების სუბიექტური აღქმისა და შემდგომ სუბიექტური გადმოცემის გამო დაუშვეს. თავად ჟურნალისტთა წრეში აღიარებულია "კანონთა კოდექსი", რომელიც საზოგადოების მხრიდანაა მხარდაჭერილი. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა მოიცავს ქცევისა და აკრძალვების გარკვეულ სტანდარტებს, რომელთა დამრღვევს კოლეგებსა და საზოგადოებაში დასაძრახისი იმიჯი ექმნება. (ოლიკო ცისკარიშვილი, 2014).

ინფორმაციის გაშუქებისას ჟურნალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის საზოგადოების მრავალფეროვნებას მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს. ჟურნალისტი უნდა იყოს ობიექტური და არა ნეიტრალური, ნეიტრალურობა არ ნიშნავს ობიექტურობას. ჟურნალისტს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ ფაქტების გაშუქებისას და ზოგადად მის ჟურნალისტურ საქმიანობაზე მისმა პირადმა შეხედულებებმა გავლენა არ უნდა იქონიოს. იგი არ უნდა ქმნიდეს ფაქტებს, მისი მოვალეობაა მხოლოდ ამ ფაქტების ობიექტურად გაშუქება ისე, რომ საზოგადოებას თავს არ მოახვიოს საკუთარი აზრი და მისცეს მას თავისუფალი არჩევანისა და დასკვნის გაკეთების საშუალება.

ობიექტურობის პრინციპი განისაზღვრება, როგორც არაანგარიჟირებულობა, მიუკერძოებლობა, არაცალმხრივობა. ეს, სწორედ, ის პრინციპებია, რომლის რეალიზაციისკენ უნდა ისწრაფვოდეს ყველა ჟურნალისტი. მათ ცნობიერებაში უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელთა ინფორმირებულობისთვისაც ყოველდღიურად მუშაობს.(ოლიკო ცისკარიშვილი, 2014).

ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მაკონტროლებლის ფუნქცია წარმოადგენს, რისთვისაც მას ,,მეოთხე ხელისუფლებასაც'' ეძახიან. მაგრამ ეს პრინციპი მხოლოდ მთავრობის გაკონტროლებას როდი გულისხმობს, ის საზოგადოების ყველა გავლენიან ინსტიტუტზე ვრცელდება. მაკონტროლებლის ფუნქციის მიზანი მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობის მიღწევის ცდებს სცილდება და ამ საქმიანობის შედეგების საჯაროდ აღქმასა და გაგებასაც გულისხმობს. ბილ კოვაჩის აზრით, მსოფლიოში ბოლო 2 წელიწადში მაკონტროლებლის როლის სიძლიერე და მნიშვნელობა არაერთხელ შეცვლილა, მაგრამ ასეთი სუსტი, როგორიც დღესაა, არასდროს ყოფილა. (ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, 2006).

სოციალური თემატიკა, ეს ის სფეროა, რომელიც საზოგადოების ნებისმიერი სქესის, ასაკისა თუ მრწამსის ადამიანს აინტერესებს. სოციალური თემები აქტუალურია ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში, რადგან ის მათი შემადგენელი ნაწილია.

თუმცა, სოციალურად დაუცველი ფენის საკითხები ხშირად ადამიანების ყურადღების მიღმა რჩება.

ჩემი კვლევითი ნაშრომი, სწორედ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკითხების გაშუქების კვლევას ისახავს მიზნად. რა ვითარებაა დღეს საქართველოში და ასახვას თუ არა ტელემედია ამ საკითხებს, რა სიხშირით ხდება მათთვის დროის დათმობა და კეთდება თუ არა აქცენტები მათ პრობლემებზე.

ამ ბოლო დროს,ერთი შეხედვით, ტელემედიაში გახშირებულია აქცენტი სოციალურად დაუცველმოსახლებაზე და ძირითადად ნეგატიური კუთხით. საინტერესოა, გაუარესებულია თუ არა სოციალურად დაუცველი მოსახლების მდგომარეობა, თუ მედიასაშუალებები ამ თემებით მანიპულირებენ? ამიტომ, კვლევის დაწყების წინ პირველ რიგში სახალხო დამცველის ანგარიშებს გავეცანი.

2.2 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები

რა მდგომარეობაა, ამჟამად საქართველოში სოციალურად დაუცველი ფენის მიმართ? განსაკუთრებით საინტერესოა დევნილების, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის შეფასება და შედარება მედიაში.

2016 წლის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 273 765 იძულებით გადაადგილებული პირი. დევნილთა საერთო რაოდენობიდან ე.წ. კერძო სექტორში 144 014 დევნილი პირი ცხოვრობს, ხოლო ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში 129 751 დევნილი პირია დარეგისტირებული. (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მხრიდან მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფაქტები:

2016 წელი გამოირჩეოდა ყველაზე მასშტაბური დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესით. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდი ნგრევად და სიცოცხლისთის

ან ჯანმრთელობისთვის მომატბული საფრთხის შემცველ განსახლების ობიექტებში მცხოვრები 179 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, ავარიულ შენობებში იძულებით გადაადგულებულ პირთა ცხოვრების საკითხი, კვლავ მწვავე პრობლემად რჩება.

ასევე დევლინთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი ანალიზის შედეგად, გამოჩნდა, რომ საზოგადოების აღნიშნული ჯგუფის ძირითად პრობლემა წლების განმავლობაში არ შეცვლილა. ამ პრობლემას წარმოადგენს დევნილთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი იძულებით გადაადილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში მიმდინრე მოვლენების შესახებ. (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

კვლავ პრობლემას წარმოადგენს გარკვეულ ობიექტებში იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საცოხვრებელი პირობები. ასევე, ყოფილი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის პროცესი და სარემონტო სამუშაოეის დაბალი ხარისხი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელიც ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას ეხებოდა, სახელმწიფომ განახროციელა პოზიტიური ცვლილებები, თუმცა ბავშვთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა ისევ პრობლემად რჩება. ანგარიშის მიხედვით ის ზომები, რომლებიც იქნა მიღებული ბავშვთა მიმართ ძალადობის და უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად და დასაძლევად არ არის საკმარისი. (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

ანგარიშში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ზრუნვის მიღმა დარჩენილი ბავშვების მდგომარეობა არ შეცვლილა წინა წლებთან შედარებით, ისევე როგორც არ შეცვლილა სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა. სამწუხაროდ, ბავშვი ისევ რჩება საზოგადოების და ოჯახის ყველაზე მოწყვლად წევრად.

სახელმწიფომ გაატარა საკონონმდებლო სივრცის დახვეწისკენ მიმართული არაერთი ღონისძიება, რომლებიც დადებითად აისახა ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა შესახებ'' კანონი, პარლამენტმა 2016 წლის ივნისში მიიღო. ამ დადგენილებამ გააფართოვა ბავშვების

მიმართ ძალადობის და მიუსაფარ ბავშვთა გამოვლენის, დაცვისა და დახმრებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების არეალი. თუმცა, მნიშვნელოვანია, განხორციელებულ საკონონმდებლო ცვლილებასთან ეთად ხელი შეეწყოს მათ ეფექტურ აღსრულებას, რაც როგორც ანგარიშშია ნათქვამი, ისევ პრობლემად რჩება. (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

2016 წელს ისევ მაღალი იყო სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვის მაჩვენებელი ბავშვების უფლებების ინდივიდუალური დარღვევების შესახებ. ანგარიშის მიხედვით შესწავლილი 311 შემთხვევიდან 57 შემთხვევა ეხებოდა ბავშვების სიღარიბესა და ცხოვრების არასათანადო დონესთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემას. სახალხო დამცველმა თავის ანგარიშში ეს საკითხი აღნიშნა, როგორც გადაუჭრელ საკითხთა შორის მყოფი. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ეს პრობლემა გულისხმობს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ბავშვთა საჭირო საკვებით უზრუნვეყოფა და მათი მძიმე საცხორვებელ პირობებში ცხოვრება. (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა და მომსახურების მიღების პროცესი არის გაჭიანურებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირების პროგრამის ეფექტიანობას. ასევე, პრობლემაა არასრულწლოვანთა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. განსაკუთრებით კი საყურადღებოა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომრეობის საკითხი, რადგან ის უწყებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან რეაგირება მოახდინონ აღნიშნულ საკითხებზე ხშირ შემთხვევაში არც ეფექტურია და არც დროული (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებს, აქაც არაერთი პრობლემა ისახება. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2016 წელს შესრულდა 2 წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის რატიფიცირებიდან, თუმცა დღის წესრიგში ისევ დგას კონვენციის ეფექტიანი განხორციელების მიმართულებით არსებული გამოწვევები.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა ეროვნული კანონდმებლობის კონვენციის შესაბამისობის თვალსაზრისით. სახელმწიფოს მთავარი გამოწვევაა შშმ პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება და დასაქმება. ამ ყველაფერთან ერთად ისევ პრობლემად რჩება ფიზიკური გარემო : ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. მათი ინტეგრაცია და საზოგადბრივი ცხოვრების სხვადახსვა სფეროში ჩართვა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. ასევე საყურადღებოა, რომ სრულად ვერ იფარება სამიზნე ჯგუფების საჭიროებები და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესს, ანგარიშის მიხედვით ხარვეზებით მიმდინარეობს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ნაწილი, განსაკთრებით რეგიონებში არ არიან ჩართულები ამ პროცესში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ანგარიშშია გამოკვეთილი, დასაქმების კუთხით არსებული სახელმწიფო პროგრამების სიმცირეა. 2016 წლის მონაცეებით, საჯარო სექტორში დასაქმებული იყო 52 შშმ პირი, კერძო სექტორში კი, მხოლოდ - 32 (საქართველოს სახლახო დამცველი, 2016)

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობასაც.

2.3სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების გაშუქება მედიაში

ერთი მხრივ, მედიის დამოკიდებულება და მეორე მხრივ, იმავე მედიის პასუხისმგებლობა მოქალაქისა და საზოგადოების წინაშე, არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც ცივილიზებული მსოფლიო სახელმწიფოების, საზოგადოებისა და ინდივიდების წინაშე აყენებს. ამ ამოცანის შესრულება, დიდწილად ჟურნალისტური კორპუსის საქმიანობაზე გადის. თითქმის ყველა ავტორიტეტულ მედიაორგანიზაციას პროფესიული სტანდარტების საკუთარი კოდექსი აქვს, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამ ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის. ამ კოდექსში ისეთი

პრინციპების დაცვასთან ერთად, როგორებიცაა სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეგულაციებს, რომლებიც ჟურნალისტისგან მოითხოვს არ დაუშვას უმცირესობების დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, მათდამი ქსენოფობიის (უცხოელების, სხვა კულტურისა თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ღრმა ანტიპათია, შიში ან ზიზღი)ან შეუწყნარებლობის გამოვლენა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თემა, ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, მაგრამ საქართველოში იგი მაინც კონკრეტული ადამიანებისა და კონკრეტული ოჯახის პრობლემად რჩება, რომელიც ხშირად საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება და არსებობს.

პიროვნება, ოჯახი და საზოგადოება ცალ-ცალკე და ერთად, ერთი საერთო ცნების მატარებელია, რადგან, არ არსებობს ოჯახი პიროვნების გარეშე და საზოგადოება ოჯახის გარეშე. ამიტომ თუ საზოგადოება ჯანსაღია, უნდა რეაგირებდეს ნებისმიერ გამოძახილზე, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილიდან მოდის. მით უმეტეს, მძაფრად უნდა რეაგირებდეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ამ საზოგადოების წევრთა მომავავლს.(ოლიკო ცისკარიშვილი, 2014)

საზოგადოებაში, ჯერ კიდევ, არსებობს სტიგმა, სტერეოტიპი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ. ამ სტერეოტიპების დამსხვრევაში დიდი წვლილი წესით ჟურნალისტებმა უნდა შეიტანონ, რადგან, ჯერ კიდევ, არის დამკვიდრებული ისეთი ტენდენცია, რომელიც მხარს უჭერს საზოგადოებისგან მათ იზოლაციას. საზოგადოების დიდ ნაწილს შეზღუდული შესაძლებლობები, მხოლოდ იმ ოჯახების პრობლემად მიაჩნია, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობის ოჯახის წევრი ჰყავს. მედიას მთავარი როლი აკისრია საზოგადოების ხედვისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში და შეცვლაში. მნიშვნელოვანია ჟურნალისტის როლი, როგორ მიაწვდის აღნიშნულ თემას საზოგადოებას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად სწორ აქცენტებს გააკეთებს ჟურნალისტი თემის მომზადებისას. (ოლიკო ცისკარიშვილი, 2014)

თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები განხილული იქნებიან, როგორც საწყლები, მშიერები და უპოვარები, რა თქმა უნდა, ქველმოქმედების საგნად გადაიქცევიან. ხოლო თუ საზოგადოებას ჟურნალისტი დაანახებს მათ სხვა კუთხით, წარმოაჩენს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს, წარმოადგენს მათ, როგორც უამრავი სხვადასხვა უნარის მქონეს, მაშინ საზოგადოებასაც დროთა განმავლობაში შეეცვლება დამოკიდებულება მათ მიმართ.(ოლიკო ცისკარიშვილი, 2014)

შესაბამისად შშმ პირების საკითხების გაშუქება მედიის პირდაპირი ვალდებულებაა, მაგრამ,სიანტერესოა რამდენად მიზნობრიად ხდება ამ ადამინების საჭიროებების მიტანა საზოგადოებამდე. ერთის მხრივ რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ ამ ადამიანებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი შენობები, ტრანსპორტი და სხვ? მაგალითად, პოლონეთში, ვარშავის ქუჩებში უსინათლოთათვის ყველა შუქნიშანი გამოსცემს ხმას, რომლის მიხედვითაც უსინათლოებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ გზის გადაკვეთის დროს. ჰოლანდიაში, ამსტერდამში, ფეხით მოსიარულეთა სავალი გზის ნაწილი ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ეტლისთვის სიარულს. მეორეს მხრივ, რას აკეთებს მედია ამ ადამიანთა პრობლემების წარმოსაჩენად? (ოლიკო ცისკარიშვილი, 2014)

საინტრესოა, რა ხდება ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვებთან ცუდად მოპყრობის შემთხვევებში - განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვს არავინ ჰყავს დამცველი. ვინ ხელმძღვანელობს ამ დაწესებულებას და საიდან იღებს იგი დაფინანსებას? იცის კი საზოგადოებამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მოპყრობისა და მათზე მზრუნველობის მდგომარეობა?

ბევრი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი ვერ ახერხებს თავისი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზებას, რადგან უფროსებს ეჭვი ეპარებათ ამ შესაძლებლობებში. ეხმარებიან თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და უწყობენ თუ არა ხელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის? მართავენ თუ არა ბავშებთან კონსულტაციებს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებთან დაკავშირებით, როგორიც არის განათლება, ტრანსპორტი, საზოგადოებრივ შენობებსა

და თავისუფალი დროის გასატარებელ დაწესებულებებში შესვლის შესაძლებლობა, როგორ ხდება ქალაქის დაგეგმარებისას მათი საჭიროების გათვალიწინება? რა მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეს მათ, როდესაც დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან? რას აკეთებს ამ დროს მედია? აკეთებეს თუ არა სხვადასხვა მედია საშუალება აქცენტს ამ პრობლემებზე?

ეს ის საკითხებია, რომლებზეც მედია უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, უნდა ახდენდეს საზოგადოების ინფორმირებას და ამ საკითხების გაშუქება ზუსტად ამ კუთხით უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკითხით მანიპულირებასთან.

მედიაში სოციალური საკითხების გაშუქების თემაზე მომუშავე ოლიკო ცისკარიშვილის აზით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებზე მასალის მომზადებისას პირველ რიგში ჟურნალისტებმა უნდა გაარკვიონ:

,,1. რა არის მათთვის მასალის მომზადების მთავარი მიზანი - ის, რომ სიუჟეტი ეხება კონკრეტულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თუ ის, რომ ეს საკითხი აქტუალურია;

2. ეხება თუ არა სიუჟეტი შეზღუდულ შესაძლებლობას; თუ პასუხი დადებითია, მაშინ რამდენად იცნობენ და სწორედ იყენებენ ტერმინოლოგიას (მაგ. ეტლით მოსარგებლე და არა ეტლზე მიჯაჭვული);

3. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეარჩიონ მასალის სათაური. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სწორედ სათაური ქმნის პირველ შთაბეჭდილებას;

4. ხომ არ არის მათ მიერ მომზადებული მასალა ზედმეტად მიკერძოებული, გადაჭარბებულად ემოციური და სიბრალულის გამომწვევი;

5. უნდა გაკეთდეს აქცენტი პიროვნებაზე, ჟურნალისტებიუნდა ეცადონ წინ წამოწიონ მისი ღირსება და სიძლიერე;

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან საუბრისას უნდა მიმართონ პირდაპირ მას და არა მის თანმხლებ პირს; უნდა ეცადონ ზედმეტად არ გაუსვან ხაზი მის განსხვავებულობას;

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ინტერვიუ უნდა ჩაატარონ ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ პიროვნებასთან.'' (ოლიკო ცისკარიშვილი, მედიაში სოციალური საკითხების გაშუქება, 2014, გვ.132)

სიტყვები, რომლებსაც ჟურნალისტები ირჩევენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების აღსაწერად, შესაძლოა დაეხმაროს ადამიანებს მათ მიმართ დამოკიდებულების შეცვლაში ან მათი პრობლემების უკეთ გაგებაში ან, პირიქით, გააძლიეროს არსებული სტერეოტიპები. (ოლიკო ცისკარიშვილი, 2014)

ჟურნალისტებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ეს პასუხისმგებლობა ბავშვებთან მუშაობის დროს, და მით უმეტეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან, ორმაგდება, რადგან ისინი უფრო მგრძნობიარე, დაუცველნი და ემოციურნი არიან. ინტერვიუს დროს მათი მანიპულირება იოლია, რადგან ისინი აღგზნებულები არიან. ზოგჯერ ჟურნალისტს ჰგონია, რომ ძვირფასი მასალა მოიპოვა, სინამდვილეში კი ბავშვს გულს წყვეტს, იმედს უცრუებს. ჟურნალისტმა არ უნდა დააკნინოს ჟურნალისტური სტანდარტები და არ გამოსძალოს რესპონდენტს მისთვის საზიანო ინფორმაცია.

პროფესიული ჟურნალისტების საზოგადოების ეთიკის კოდექსი მოითხოვს მედიისგან, არ დაუშვას რასის, სქესის, ასაკის, რელიგიის, ეთნიკურობის, სოციალური სტატუსის და ა.შ. მიხედვით სტერეოტიპიზაცია.

ბი-ბი-სი-ს სარედაქციო პრინციპები თანამშრომლებისგან მოითხოვს გააშუქონ ინდივიდის რწმენა თუ რელიგიური შეხედულებები, ნებისმიერი რელიგია, აღმსარებლობა თუ რელიგიური მიმდინარეობა სამართლიანად, შეურაცხყოფის ან დისკრიმინაციის გარეშე მოიხსენიონ და პატივისცემით მოეკიდონ ასეთ თემებს. ასევე მოითხოვს, ფრთხილად შეარჩიონ სიტყვები, რათა არ აღმოჩნდეს ისინი

შეურაცხმყოფელი რომელიმე ჯგუფისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფისთვის.

საქართველოში იყო რამდენიმე მცდელობა, თუმცა, ჯერაც არ არსებობს პროფესიული სტანდარტების ერთიანი დოკუმენტი, რომელსაც ყველა სახის მედია - ბეჭდური და ელექტრონულიც, სახელმძღვანელო სტანდარტებად მიიჩნევდა(ოლიკო ცისკარიშვილი, 2014)

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ არსებული მდგომარეობის და პრობლემების გაცნობის შემდეგ, ასევე ჟურნალისტური სტანდარტებისა და ძირითადი აუცილებელი მიმართულების დადგენის შემდეგ, უკვე შეიძლება გავარკვიოთ რამდენად ასახავს მედია იმ პრობლემებს, რაზეც სახალხო დმაცველის ანგარიშებშია ხაზგასმული და რამდენად სწორად ხდება ამ პრობლემების მიტანა საზოგადოებამდე.

თავი მესამე-ემპირიული ნაწილი

ჩემი ჰიპოეთეზის შესამოწმებლად, გადავწყვიტე გამეანალიზებინა ტელეარხების მთავარი საინფორმაციო გამოშვებები, თუ რა სიუჟეტები გადის ტელესივრცეში სოციალურად დაუცველი ფენის საკითხების შესახებ. აისახება კი ტელემედიაში ის გამოწვევები და პრობლემები, რაც სოციალურად დაუცველი ფენის რეალური პრობლემებია და რაზეც სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშშია საუბარი. როგორ და რა ინტენსივობით შუქდება ესა თუ ის თემა სხვადასხვა ტელეარხზე. პასუხობს თუ არა ქართული მედიასივრცე იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს უდგას სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. შიცვალა კი სიტუაცია 2011 წლის მერე, როცა სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე მომზადებული სიუჟეტების თითქმის უმრავლესობა მხოლოდ მთავრობის და სხვადასხვა ორგანიზაციის ინიციატივაზე და პოზიტიურ ცვლილებას ასახავდა და თავად პრობლემაზე საუბარი არ იყო. ისევ ხდება თუ არა თემის პოლიტიზირება. ამისათვის 3 განსხვავებული ტელეარხი შევარჩიე: ,,რუსთავი 2'', როგორც კომერციული ტელევიზია, რომელიც ოპოზიციურად არის განწყობილი მთავრობის მიმართ; საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც საზოგადოებისგან ფინანსდება, თუმცა წინა ხელისუფლების პირობებში, მთავრობის ,,გამხმოვანებლად'' გვევლინდებოდა; და საპატრიარქოს ტელეარხი ,,ერთსულოვნება'', რომელიც კერძო ტელეარხს წარმოადგენს, ფინანსდება საპატრიარქოსგან და მისი იდეოლოგიიდან გამომდინარე საზოგადოების საჭიროებებით და პრობლემებით ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული.

ანალიზი 4 კვირას გაგრძელდა, კერძოდ, 5 ივნისიდან - 2 ივლისის პერიოდში. ვაანალიზებდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ მომზადებული სიუჟეტების რაოდენობას, რიგითობას, ხანგრძლივობას, რესპოდენტების მრავალფერობნებასა და შინაარს.

,,რუსთავი 2''

დაკვირვების პერიოდში ტელეკომპანია ,,რუსთავი 2''-ის ეთერში 4 სიუჟეტი გავიდა, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხებოდა.

ანალიზის პერიოდში გამოიკვეთა შემდეგი აქცენტები:

სახლახო დამცველის მიერ 2016 წლის ანგარიშში გაკეთებული აქცენტები, კერძოდ დევნილების განსახლებისა და მათი საცხოვრებლების დაბალი ხარისხის რემონტის შესახებ გამოკვეთილად და დეტალურად იყო აღწერილი ,,რუსთავი 2''-ის 2 სიუჟეტში. ნაჩვენები იყო ზუსტად ის პრობლემები, რომლებზეც საუბრობს სახალხო დამცველი. თუმცა, პრობლემას წარომადგენდა რესპონდენტების მხოლოდ ერთი მხარის, ამ შემთხვევაში, დევნილების, წარმოჩენა და არ იყო პრობლემებზე პასუხისგებელი ორგანოების წარმომადგენლების კომენტარები ნაჩვენები. რაც გვაფიქრებს ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქებაზე.

დანარჩენი 2 სიუჟეტი თბილისის მერიისა და გამგეობოების მხრიდან თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ეხებოდა.

უფრო კონკრეტულად კი:

პირველი სიუჟეტი 16 ივნისს გავიდა, და რიგითობით მეშვიდე იყო. მისი ქრონომეტრაჟი 2:42 წუთი იყო. რესპოდენტების რაოდენობა - 3 -,,ევროპული საქართველოს'' ლიდერები.

სიუჟეტი ეხებოდა ოპოზიციური პარტიის ,,ევროპული საქართველოს'' წარმომადგენლების შეხვედრას მოსახლეობასთან. შეხვედრისას პარტიის ლიდერები საუბრობდნენ იმ მილიონობით ლარზე, რომელიც სოციალურად დაუცველებს შეიძლება მოხმარდეს, პრემია-დანამტების, ავტომბილების, საწავავის, რბილი ავეჯისა და სხვა მიმართულებით თანხების დაზოგვის შემთხვევაში, თუმცა, მათი განცხადებით მთავრობას, ამის ნება არ აქვს. ლიდერებმა ისაუბრეს 18 მილიონ ლარზე, რისიშემცრიებაც დედაქალაქის მერიას შაუძლია, მაგრამ არ აკეთებს. მათ ხაზი გაუსვეს,

რომ სოციალური დახმარების 150 ლარიდან 520 ლარამდე გაზრდაა შესაძლებელი, ხოლო პენსიის - 50 ლარამდე.

მეორე სიუჟეტი 18 ივნისს მერვე პოზიციით გავიდა და მისი ხანგრძლივობა 5:46 წუთი იყო. ჩაწერილი იყო 6 რესპოდენტი: დევნილთა და განსახლების მინისტრი და 5 დევნილი.

სიუჟეტი ეხებოდა ახლად აშენებულ ბინებს ბორჯომში, რომლებიც დევნლებს 2016 წლის დეკემბერში გადაეცათ და რომლის გახსნასაც დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარიც დაესწრო. თუმცა, დევნილები დღემდე ბინებში გადასვლას ვერ ახერხებენ, რადგან გაუმართავია შიდა ინფრასტუქტურა. 6 თვის განმავლობაში ბინებში წყალი არ იყო გაშვებული. წყლის გაშვება 2 დღის წინ დაიწყო, რასაც მეოთხე სართულზე მილის გასკდომა მოჰყვა და ბინები დაიტბორა. თუმცა, მინისტრი პასუხისმგებლობას იხსნის და ხელს ინფრსატრუქტურისსამინიტროსკენ იშვერს. დევნილების განცხადებით კი, კედლები ობიანია, იატაკი რბილი, კედლები - გაბზარული და ჩამონგრეული. ამ მიზეზების გამო, 35 დევნილი ოჯახი, ახალ აშენებულ ბინებში გადასლას ვერ ახერხებს და ძველ, სიცოცხლისთვის საშიშ, საავარიო შენობაში უწევთ ცხოვრება.

მესამე სიუჟეტი 29 ივნისს მეათე რიგით გავიდა და მისი ქრონომეტრაჟი 3:19 წუთი იყო. რესპოდენტების რაოდენობა შეადგენდა 6-ს, რომელთაგან 2 რესპონდენტი პოზიციის წარმომადგენლები იყვნენ, თვბილისის მერი და თილისის საკრებულოს თვამჯდომარე; 3 რესპონდენტი - ოპოზიციური პარტიებიიდან ,,ახალი საქართველო'' და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ერთი რესპონდნეტნი კი- სოციალურად დაუცველი მოქალაქე.

სიუჟეტი ეხებოდა, თუ რა კრიტერიუმებით ხდება გამგეობისგან ერთჯერადი დახმარების გაცემა სოციალურად დაუცველი ფენისთვის, ვინ იღებს სოცილურად დაუცველი ფენისთვის განკუთვნილი დამხარების თითქმის ნახევარს.

,,ახალი საქართველოს'' ლიდერის განცხადებით, წლიური ბიუჯეტის თანხის 60% სოციალურად დაუცველბზე მიდის, მაგრამ დარჩენილი 40% რა კრიტერიუმით

გადაეცემათ სხვადასხვა პიროვნებას გაუგებარია. მერიაში ამ თანხის განკარგვას არ განმარტავენ, საკრებულოში კი მიაჩნიათ, რომ რაიმე სახის დარღვევის შემთხვევაში რეაგირება აუცილებლად მოხდება. ოპოზიციაში კი თვლიან, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლობისთვის განკუთვნილი თანხის 40 %-ს ქართული ოცნების აქტივისტები იღებენ, რომლებიც ამ თანხას არ საჭიროებენ. სოციალურად დაუცველი მოქალაქე კი აცხადებს, რომ მან გამგეობისგან უარი ერთჯერად დახმარებაზე იმ არგუმენტით მიიღო, რომ ბიუჯეტში თანხა არ იყო.

მეოთხე სიუჟეტი 1 ივლისს გავიდა, რიიგით 11-ე, რომლის ხანგრდძლივობა 4:01 წუთი იყო. სიუჟეტში ჩაწერილი იყო 5 რესპოდენტი: სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი და 4 დევნილი.

სიუჟეტი ეხებოდა სიცოცხლისთვის საშიშ და ჩამონგრევის პირას მყოფ შენობებს, რომლებშიც დევნილები ცხოვრობენ. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით ასეთი დღეს 20-მდე შენობაა. დევნილებს ამ შენობებში ცხოვრება უწევთ. ოქროყანაში ერთ-ერთ ასეთ შენობაში მცხოვრებმა დევნილმა ოჯახმა, რომელმაც დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიმართა, პასუხად მიიღო, რომ სამინისტრო ინფორმირებულია აღნიშნულ მდგომარეობაზე, ის შეტანილია სარეაბილტაციო შენობების ნუსხაში, მაგრამ ამ ეტაპზე სახსრები არ არის. ასევე, ცხვარიჭამიაში 10-მდე დევნილი ოჯახი დანგრეულ შენობაში ცხოვრობს, სადაც არც ბუნებრივი აირი, არც საკანალიზაციო სისტემა და არც წყალი არ არის. მიუხედავადსამხარაულის(ლევანსამხარაულისსახელობისსასამართლოექსპერტიზისერ ოვნულიბიურო)ექსპერტიზის დასკვნისა, სადაც ნათქვამია, რომ ადგილი საცხოვრებლად საშიშია, დევნილების განცხდებით მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

,,რუსთავი 2''ის მიერ გაკეთებული აქცენტები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ ნამდვილად სწორი აქცენტების მატარებელი იყო. თუმცა, ამ შემთხვევაში გამოიკვეთა არხის პოლიტიკურად მიკერძოებელი ხასიათი. არაერთი კვლევის მიხედვით (სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში, 2011 და სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, 2011),წინა ხელისუფლების

პერიოდში,,,რუსთავი 2''-ის ეთერში არც ერთი სიუჟეტი არ გასულა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ, რომელიც ნეგატიურ ხასიათს ატარებდა. შესაბამიად, როგორც ადრე (დადებითი კუთხით) ახლაც, მოცემული ტელეკომპანია მკვეთრად ავლენს პოლიტიზებულ ხასიათს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვებების ანალიზისას, გამოჩნდა, რომ მეტნაკლებად ყველაზე დაბალანსეულ ახალ ამბებს, სწორედ ის ამზადბს.

ანალიზის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა 7 სიუჟეტი, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხებოდა.გასული სიუჟეტები ეხებოდა, როგორც ინფრატსრიქტურულ პრობლემებს და აუმოქმედებელ სახელმწიფო პროგრამებს, ასევე სამთავრობო ინციატივებს. თუმცა, წინა კვლევებთან შედარებით, როცა ყველა სიუჟეტი მხოლოდ სამთავრობო ინიციატივებს ეხებოდა და დადებითი ტონის მატარებელი იყო, ახლა ნამდვილად გაუმჯობესებული აღმოჩნდა სიტუაცია. სახალხო დაცმველის მიერ დასახელებული პრობლემები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ნაწილობრივ ასახა თავის საინფორმაციო გამოშვებებში. ასევე, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ,,რუსთავი 2''-სგან განსხვავებით, ანალიზის პერიოდში, ჟურნალისტიკის საორგანიზაციო ფუნქციაც პირნათლად შეასრულა და საციალურად დაუცველი მოსახლეობას მათთვის ახალ ამოქმედებულ პროგრამებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

უფრო კონკრეტულად კი:

პირველი სიუჟეტი 12 ივნისს გავიდა, რიგით მერვე და მისი ქრონომეტრაჟი 4:47 წუთი იყო. სიუჟეტში ჩაწერილი იყო 3 რესპონდენტი: პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ორი ექსპერტი -ეკონომისტი და სტატისტიკოსი.

სიუჟეტი ეხებოდა საქსტატის ინფორმაციას, რომლის მიხედვით, სოციალური უთანასწორობის მაჩვენებლიგაუარესებუულია. 2007 წლიდან ეს მაჩვენებელი მცირდებოდა, თუმცა 2016 წელს დაიწყო მატება.

მეორე სიუჟეტი, მეშვიდე რიგით, 14 ივნისს გავიდა და მისი ხანგრძლივობა 3:36 წუთი იყო. ჩაწერილი იყო 8 რესპონდენტი : საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ექსპერტი-ეკონომისტი, პედაგოგი, გაეროს მოსახლეობის ფონდის სქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, 3 პენსიონერი.

სიუჟეტი ეხებოდა აუმოქმედებელ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც პენსიონერების დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობს. პროგრამა ერთი წლის წინ იყო დაანონსებული და მიმდინარე წელს დაიწყება, თუმცა ექსპერტები უმუშევრობის დონის გათვალისწინებით პროგრამის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილები.

სიუჟეტის მიხდვით, ქვეყანაში 760 000 პენსინერია, საიდანაც 452 000 დასაქმების მსურველია. სიუჟეტში ნათქვამია, რომ სოფლებში მცოხვრები პენსიონრები თავს უმუშევრად მიიჩნევენ, თუმცა ოფიციალური სტატისტიკა მათ თვითდასაქმბეულად თვლის. თვითონ პენსიონერები მიესალმებიან აღნიშნულ პროგრამას, თუმცა ეკონომიკსტების აზრით, ქვეყენაში სადაც უშევრობა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, აქცენტი ახალაზრდებზე უნდა გაკეთდეს.

მესამე სიუჟეტი 16 ივნისს გავიდა, რიგით მეხუთე, რომლის ხანგრძლივობა 3:26 წუთი იყო. ჩაწერილი იყო 4 რესპონდნენტი და გამოკითხული იყო 4 გამვლელი: საქსტატის სოციალური სტატისტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი; ექსპერტი-ეკონომისტი; კახეთის მცხოვრები-თვითდასაქმებული; პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

სიუჟეტი ეხებოდა საშუალო ხელფასს საქართველოში. სიუჟეტის მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასები საფინანსო სეტქორშია, სადაც ანაზღაურება საშუალოდ 2000 ლარია. ყველაზე დაბალ ანაზღაურებადი კი განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებია. სიუჟეტში ნათქვამია, რომ განსხვავებებია ხელფასებში სქესის მიხედვით. საშუალო

ხელფასი 989 ლარია საქართველოს მოსახლეობის 50% კი თვითდასაქმებულია. სიუჟეტის მიხედვით განათლებაში საშუალო შეოსავალი 564 ლარია.რაც შეეხება სქესის მიხედვით სახელფასო განაკვეთს, მამაკაცების ხელფასი საშუალოდ ქალებისაზე 430 ლარით მეტია. თუმცა, ექსპერტის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ „ტოპმენჯმენეტის“ 80 %-ს კაცები შეადგენენ.

მეოთხე სიუჟეტი მე-14-ე რიგითობით 17 ივნისს გავიდა და მისი ხანგრძლივობა 1:37 წუთი იყო.

ჩაწერილი იყო 3 რესპონდენტი : მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, მუშტაიდის ბაღის გენერალური დირექტორი, შეზღუდული შესაძლლებლობის მქონე პირი.

სიუჟეტი ეხებოდა ღონისძიებას - ,,აქტიური ცოხვრება ჩემი სტიქიაა''. ამ სახლეწოდებითშშმ პირებისთვის მუშტაედის ბაღში სხვადახსვა აქტივობა მოეწყო. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები. ღონისძიება კონცერტმა დაასრულა, რომელშიც მონაწილეობას უსინათლოებმა და ეტლით მოსარგებლეებმა მიიღეს.

მეხუთე სიუჟეტი ასევე 17 ივნისს მე-15-ე რიგით გავიდა და მისი ხანგრძლივობა 1:05 წუთი იყო.

ჩაწერილი იყო 2 რესპონდნენტი: საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და - საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტტისთვამჯდომარე.

სიუჟეტი ეხებოდა პარაოლიმპუირტურნირს, რომელიც შშმ პირებისთვის მიძღვნილი დღისათვის ჩატარდა.

მეექვსე სიუჟეტი მე-9 რიგითობით, 20 ივნისს გავიდა და მისი ხანგრძლივობა 3:55 წუთი იყო.ჩაწერილი იყო 7 რესპონდენტი : პარლამენტის უმრავლესობის წევრი, მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მდივანი, თეთრიწყაროს საჯარო სკოლის დირექტოტი, 3 მაღალმთიანი სოფლის მცხოვრები.

სიუჟეტი ეხებოდა მაღალმთიანი სოფლების პრობლემებს. სიუჟეტის მიხედვით ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური შეღავათები შიდა მიგრაციის პრობლემას ჯერ ვერ აგვარებს. მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მიღების შემდეგ ინფრასტრუქუტურის მოწესრიგება კვლავ პრობლემად რჩება რაც ახაგაზრდების გადინებას იწვევს. ასევე, გადინების პორბლემას ხელს უწყობს ტრანსპორტის არარსებობა, გაფუჭებლი გზები და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. სიუჟეტში ნათქვამია, რომ თეთრიწყაროდან გადინება ახალაზრდების ნაკლებია, რაც მცირე საწარმოების არსებობით აიხსნება. მთავრობის წევრების განმარტებით ამ თემაზე მუშაობა მიდმინარეობს. კანონი მცირე მეწარმეებს საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს. თუმცა, მოსახლების აზით მცირე მეწარმეობისთვის ჯერ ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაა საჭირო.

მეშვიდე სიუჟეტი 30 ივნისს მეექსვე რიგით გავიდა და მისი ხანგრძლივობა 3:15 წუთი იყო.

სიუჟეტი ეხებოდა ქრონიკული დაავადებების მქონე სოციალურად დაუცველიმოსახლეობის სამკურნალო მედკიამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ამოქმედებას, რომლის შესახებაც შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროში ბრიფინგო გაიმართა, სადაც დეტალურად იყო წამლების მიღებსთან დაკავშირებულ სტანდარტები. აღნიშნული წამლებით სარგებლობა შეეძლება ყველა სოციალურად დაუცველ პირს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-მდე მერყეობს. საქმე ეხება 4 ქრონიკულ დაავადებას: გულსისძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლისა და მეორე ტიპის დიაბეტისთვის განკუთვნილ 13 პრეპარატს, რომლებიც პროგრამაში დარეგისრირების შემდეგ, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მაქსიმუმ 1 ლარი დაუჯდება.

საპატრიარქოს ტელევიზია ,,ერთსულოვნება''

დაკვირვების პერიოდში, ,,ერთსულოვნების'' ეთერში 6 სიუჟეტი გავიდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ.

ტელეარხზე გასული სიუჟეტების 100% მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურების ინციატივებს ეხებოდა. სიუჟეტების უმრავლესობაში, გამოყენებული იყო დადებითი ტონი, რომელიც გამყარებული იყო შესაბამის ვიზუალური მასალით. არ გასულა არც ერთი სიუჟეტი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემებზე ან მათ საჭიროებებზე. თუმცა ანალიზის პერიოდში გამოიხატა ერთი დადებითი მხარე. თუ არ ჩავთვლით სიუჟეტების მხოლოდ პოზიტიურ ხასიათს, ,,ერთსულოვნება'' ყველაზე მეტ საეთერო დროს უთმობს სოციალურად დაუცველ ფენას. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი მთავარი საინფორმაციო გამოშვება მაქსიუმ 20 წუთს გრძელდება და დღეში მაქსიმუმ 6 სიუჟეტი გადის, ამ 4 კვირის განმავლობაში ყველაზე დიდი დრო სოციალურად დაცუველი მოსახლეობის თემატიკას სწორედ ,,ერთსულოვნებამ'' დაუთმო.

უფრო კონკრეტულად კი:

პირველი სიუჟეტი 19 ივნისს გავიდა რიგით მეხუთე და მისი ხანგრძლივობა 2:36 წუთი იყო. ჩაწერილი იყო 3 რესპონდენტი: საპარლამენტო უმრავლესობის წევრი; თბილისის საქალაქო სამსახურის უფორისი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

სიუჟეტის მიხედვით - შშმ პირები პარკრიების ახალი ნიშნებით ისარგებლებენ. მერიის სატრანსპორტო კომპანიის ცვლილება გულისხმობს, ახალი ნიშნულების გადაცემას შშმპრიებისთვის. აღსანიშნავია, რომ აქამდე მხოლოდ შშმ პირისა და მისი მეურვის სახელზე რეგისტრირებული მანქანით შეიძლებოდა სპეციალურ ზონაში პარკირება, ახალი ინიციაიატივთ კი,შშმ პირებს გადაეცათ სპეციალური საპარკინგე ნიშნები, რომლებითაც სხვადახსვა მანქანით შეძლებენ სპეციალური პარკინგის გამოყენებას.

მეორე სიუჟეტი 20 ივნისს მეოთხე რიგით გავიდა და მისი ხანგრძლივობა 2:11 წუთი იყო. ჩაწერილი იყო 3 რესპონდენტი: კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი; თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი; კოლაიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის წარმომადგენელი.

სიუჟეტი ეხებოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიცატივას :კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში შშმ პირების ჩართულობისთვის სამინისტრომ გზამკვლევი შეიუმიშავა, რომლის მიზანი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების თანაბარი ინტეგრაციაა.

მესამე სიუჟეტი 23 ივნისს გავიდა მეხუთე რიგით და მისი ხანგრძლივობა 1:16 წუთი იყო. ჩაწერილი იყო 2 რესპონდენტი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი; გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი.

სიუჟეტში საუბარი იყო შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს მიერ ჩატარებულ უფასო სამედიცინო გასინჯვაზე და ც ჰეპატიტის სკრინიგზე ქარელის მუნიციპლაიტეტის სოფელ ავლევში, სადაც მოსახლეობას ასევე სამდიცინო პრეპარატები გადაეცათ.

მეოთხე სიუჟეტი 26 ივნისს გავიდა რიგით მეხუთე და მისი ხანგრძლივობა 1:25 წუთი იყო.

ჩაწერილი იყო ერთი რესპონდნენტი - დევნილთა და განსახლების მინისტრი.

სიუჟეტე ეხებოდა ,,სოფლად სახლის'' პროექტის ფარგლებში დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა სოფლებში შესყიდული სალხები და მცირე მეწარმეობის დასაწყებად დაფინასებული პროექტები მოინახულა. სიუჟეტში ნათქვამია რომ სამინისტრომ სამეგრელოში სახლები 649 ოჯახს შეუძინა. სიუჯეტში აღნიშნულია, რომ ინიცატივის ფარგლებში დევნილები საცხოვრებელს მთელი საქართველოს მასშტაბით თვითონ არჩევენ. მცირე მეწარმეობისთვის კი დევნილებს გრანტები გადაეცემათ.

მეხუთე სიუჟეტი 30 ივნისს მეხუთე რიგით გავიდა და მისი ხანგრძლივობა 1:16 წუთი იყო.

სიუჟეტი ეხებოდა ქრონიკული დაავადებების მქონე სოციალურად დაუცველიმოსახლეობის სამკურნალო მედკიამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ამოქმედებას, რომლის შესახებაც შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროში ბრიფინგო გაიმართა, სადაც დეტალურად იყო წამლების მიღებსთან დაკავშირებულ სტანდარტები. აღნიშნული წამლებით სარგებლობა შეეძლება ყველა სოციალურად დაუცველი პირს, რომლის სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-მდე მერყეობს. საქმე ეხება 4 ქრონიკულ დაავადებას: გულ-სისძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლისა და მეორე ტიპის დიაბეტისთვის განკუთვნილ 13 პრეპარატს.

მეექვსე სიუჟეტი მესამე რიგითობით 1 ივლისს გავიდა და მისი ხანგრძლივობა 1:54 წუთი იყო. გამოკითხული იყო 2 რესპონდენტი არასამათავრობო ორგანიზაციის ,,დემოკრატული განვათრებისა და ინიციატივების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი; სოფელ გლადინის მცირე საოჯახო ტიპის სახლის ლიდერი.

სიუჟეტში საუბარი იყო რიყის პარკის ტერიტორიაზე, ხელოვნება გვამეგობრებს ფეისტივალი გაიმართა.

ღონისძიებაზე შშმ პირების მოხუცთა დ ბავშვთა სახლების ბენეფიციარების სხვადახსვახელნაკეთი ნივთები გამოიფინა. ექსპოზიცია საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხა მათ საჭიროებებს მოხმარდება. არასამათავბო ორგანიზაციის ,,დემოკრატული განვათრებისა და ინიციატივების ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა.

მოსახლეობის გამოკითხვა

არსებული კვლევებისა და ახლანდელი ანალიზისშემდეგ, საინტერესო იყო: რას ფიქრობდა მოსახლეობა, რამდენად რელევანტურად მიაჩნია საზოგადოებას ტელესივრცეში გაჟღერებული სოციალური თემატიკა და ასახავს თუ არა ტელეარხები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემებს რეალურად; მიაჩნიათ თუ არა მათ, რომ ტელეარხები მანიპულირებენ აღნიშნული თემით და საკუთარი ინტერესებიდან გამოდინარე აშუქებენ საკითხებს და არა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემატიკიდან გამომდინარე.

გამოვკითხე ტელე-საინფორმაციო გამოშვებების მაყურებელი ადამიანები. ჯამში 160 პიროვნება, რომელთა ასაკი შემდგნაირად გადანაწილდა : 35.2 % - 26-30 წლამდე; 23.9 % - 18-25 წლამდე; 14.5 % - 31-40 წლამდე; 13.2% - 41-50 წლამდე; 8.2 % - 51-60 წლამდე და 5% - 61+. გამოკითხულებიდან 72.8 % ქალებმა შეადგინეს, 26.6% პროცენტი კი - მამაკაცებმა.

კითხვაზე, თუ რომელი ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებას უყურებთ ყველაზე ხშირად, 37.7%-მა „რუსთავი 2“ დაასახელა; 28.9%-მა პასუხების ვარიანტებიდან ,,სხვა'' ველი შემოხაზა; 15.7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 9.4% საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებას ადევნებს თვალყურს; 6.3% პასუხზე უარი განაცხადა, ხოლო ერთსულოვნების მაყურებელმა 1.9 % შეადგინა.

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ეთმობა ტელესივრცე სოციალური საკითხების გაშუქებას, 28.9%-მა უარი განაცხადა პასუხზე; 23.3 %-ის აზრით, ტელესივრცე სოციალური საკითხების გაშუქებას ხშირად ეთმობა; 17% კი მიიჩნევს, რომ იშვიათად ეთმობა; 13.2% -ის აზით, უფრო ხშირად ეთმობა, ვიდრე იშვიათად; 9.4%-ს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა. 5.7%-მა მიიჩნია, რომ ეთერი სოციალურ საკითხებს ძალიან ხშირად ეთმობა, 1.9%-მა კი -ძალიან იშვიათად; 0.6 %-მა უარი განაცხადა პასუხზე.

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ეთმობა ტელესივრცე სოციალურად დაუცველი ფენის საკითხების გაშუქებას: 30.8%-მა უარი განაცხადა პასუხზე; 23.3%-ის აზრით დრო იშვიათად ეთმობათ; 18.2% მიიჩნევს, რომ დრო ხშირად არის დათმობილი. მას მოჰყვება 10.1%-ით რესპონდენტები, ვისაც მიაჩნიათ, რომ დრო უფრო ხშირად ეთმობათ, ვიდრე იშვიათად; 8.8%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა; 5.7%-ს მიაჩნია, რომ დრო ძალიან იშვიათად ეთმობა, ხოლო 3.1% ძალან ხშირად დათმობას ემხრობა.

კითხვაზე, თუ რომელი ტელეარხი უთმობს ყველაზე დიდ როლს სოციალურად დაუცველი ფენის პრობლემების საკითხების გაშუქებას: 43.7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა; 29.1% მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდ დროს მათი პრობლემების გაშუქებას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ უთმობს; მას მოჰყვება 17.7%-ით საზოგადოებრივი მაუწყებელი; 5.1%-მა არჩევანი,,სხვა''-ზე შეაჩერა; 2.5%-ის აზრით, ტელეკომპანია ერთსულოვნება; 1.9%-მა კი უარი განაცხადა პასუხზე.

კითხვაზე, შეინიშნება თუ არა სოციალურად დაუცველი ფენის ზრდის ტენდენცია: 58.9 %-მა დადებითი პასუხი გასცა; 25.9 %-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 15.2%-ს მიაჩნია რომ არ შეიმჩნევა.

კითხვაზე, მოიმატა თუ არა სოციალურად დაუცველი საკითხების გაშუქებამ ქართულ ტელესივრცეში ბოლო 5 წლის განმავლობაში: 48.7%-მა დადებითად უპასუხა; 33.5%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა; 16.5% კი მიიჩნევს, რომ არ მოუმატია; 1.3%-მა კი უარი განაცხადა პასუხზე.

კითხვაზე, რამდენად შეესაბამება ქართული ტელეარხების მიერ სოციალურად დაუცველი ფენის საკიტხების გაშუქება მათ რეალურ მდგომარეობას და პრობლემებს, 26.3%ის აზრი უფრო არ შეესაბამება, ვიდრე კი. მას მოსდევს 24.4%-ით უფრო შეესაბამება ვიდრე არა; 17.9%-ის აზრით კი შეესაბამება. 13.5%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, 12.2%ის აზით კი არ შეესაბამება. 5.8%-მა კი გადაწყვიტა, რომ სრულად შეესაბამება.

კითხვაზე, რამდენად პოლიტიზებულია სოციალურად დაუცველი ფენის საკითხების გაშუქება სხვადასხვა ტელეარხის სარედაქციო პოლიტიკის გათვალისწინებით: უმრავლესობის - 36.1%-ის აზრით უფრო პოლიტიზირებულია, ვიდრე არა; ამას მოსდევს 24.7%-ით ადამიანები ვინც მიიჩნევენ, რომ პოლიტიზებულია და 18.4%, რომელიც მიიჩნევს, რომ სრულად პოლიტიზებულია; 10.1%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა; 5.7%-მა კი მიიჩნია, რომ უფრო არ არის პოლიტიზებული ვიდრე კი; 4.4%-ის აზრით კი, პოლიტიზებული არ არის; 0.6%-მა განაცხადა, რომ სრულად არა პოლიტიზებული.

კითხვაზე, თუ რომელი ტელეარხი ავლენს სოციაურად დაუცველი საკითხების გაშუქებისას მიკერძოებულ, პოლიტიკურ ხასიათს: უმრავლესობის - 57.6%-ის აზრით „რუსთავი 2“; 34.2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა; 3.8%-მა კი, უარი განაცხადა პასუხზე; 3.2 % მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ავლენს, ხოლო 1.3%-ის აზრით „ერთსულოვნება“.

გამოკითხვის შედეგების ანალიზისას, ნათლად ჩანს, რომ ჩამოთვლილი ტელევიზიებიდან გამოკითხულთა უმრავლესობა ,,რუსთავი 2''-ის საინფორმაციო გამოშვებას უყურებს. ასევე,უმრავლესობის აზრით გამოიკვეთა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის თემებს ყველაზე მეტ დროს ,,რუსთავი 2'' უთმობს. უმრავლესობა, ასევე მიიჩნევს, რომ შეინიშნება სოციალირად დაუცველი ფენის ზრდის ტენდეცია. თუმცა, ასევე უმრავლესობის აზრით, სწორედ ბოლო 5 წლის განმავლობაში იმატა ტელესივრცეში სოციალურად დაუცველი მოსალხებოს საკითხების გაშუქებამ. ეს პერიოდი, კი ხელისუფლების ცვლილების პერიოდს ემთხვევა და ,,რუსთავი 2''-ის სარედაქციო პოლიტიკის რადიკლაურ ცვლილებას. შესაბამისად, გამოკითხულთა უმრავლესობა, რომლებიც ინფორმაცია ,,რუსთავი 2''-დან იღებენ ხედავენ გახშირეულ აქცენტებს სოციალურად დაუცველ ფენაზე, თუმცა, ასევე უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სწორედ ,,რუსთავი 2'' ავლენს სოციაურად დაუცველი საკითხების გაშუქებისას მიკერძოებულ,პოლიტიკურ ხასიათს.(დადებითი პოლიტიზებულობიდან უარყოფით პოლიტიზებამდე გადასვლას).

სიღრმისეული ინტერვიუ

ინტერვიული ჩავწერე 2 მედია ექსპერთთან,(რომლებიც აღნიშნული მყავს შედეგი ინიციალებით : E1 და E2 . ორივე ექსპერტი წლებია მოღვაწეობენ ჟურნალისტიკაში. E1 - საგამოძიებო ჟურნალისტიკაში და მედია კვლევარია E2 კი ტელე-რადიო ჟურნალისტიკის სპეციალისტია. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შემეგი მნიშვნელოვანი აქცენტები:

ორივე მკვლევარის აზრით,მთავრობა ადრეც ერეოდა და ახლაც ერევა ტელეკომპანიების სარედაქციო დამოუკიდებლობაში. E1-მა ხაზი გაუსვა, რომ ჩარევა სულ ხდებოდა, თუმცა წინა ხელისუფლების პირობებში ეს ჩარევა მკაცრი, ხისტი და ცალსახად წასაკითხი იყო. რაც შეეხება ეხლანდელი სიტუაციას, მკველვარის აზრით, ჩარევა ამ ხელისუფლების პირობებშიც ხდება, უბრალოდ უფრო დახვეწილად, ისე რომ ძნელია დაამტკიცო მათი ჩარევა. ეს იმდენად შენიღბულია, რომ ძნელია მოედავო. ექსპერტის აზრით, ამის კარგ მაგალითს ტელეკომპანია ,,იმედი'' წარმოადგენს, რომლის მაგალითად ,,ეკა ხოფერიას თოქ-შოუ'' E1-ს აზრით, ხელისუფლების პიარდანამატად შეიძლება ჩავთვალოთ.

E2-მა აღნიშნა, რომ თუ სარედაქციო პოლიტიკას დავაკვირდებით, არცთუ ისე რთული გასაშიფრია, რომ დღეს ისევ პოლიიტიზირებულია მედია, როგორც პოლიტიზირებული იყო ადრე. ტელემდია როგორც იყო, ახლაც დარჩა პოლიტიზირებულად, ანუ ორ უკიდურეს მხარეს მდგომად. მან ხაზი გაუსვა, რომ სიტუაცია არ შეცვლილა, უბრალოდ მოხდა რევერსირება. თუ ადრე, იყო დავუსვათ ,,რუსთავი 2'' და ,,ტაბულა'' წინა ხელისუფლების მხარდამჭერი ტელევიზიები, ახლა ისინი არიან ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ,,ერთიანი ნაციონლური მოძრაობისა'' და ,,ევროპული საქართველოს მხარდამჭერები.

კვლევის ობიექტებიდან თუ რომელი უთმობს ყველაზე მეტ დროს სოციალურად დაუცველ ფენას, ორივე ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ საპატრიარქოს

ტელევიზიას არ უყურებენ იმ სიხშირით, რომ კონკრეტული დასკნები გამოიტანონ. თუმცა რაც შეეხება საზოგადოებრვის და რუსთავი 2-ს, ამ უკანასკნელზე E1-მააღნიშნა, რომ ახლა უკვე გაცილებით დიდ დროს სოციალური საკითხების გაშუქებას სწორედ რუსთავი 2 უთმობს, თუმცა მას არ ჩამოუვარდება არც საზოგადოებრივი მაუწყებელი. მას აქვე ისიც აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი გაცილებით უფრო ხარისხიან სიუჟეტებს ამზადებს სოციალურად დაუცველ ფენაზე ვიდრე რუსთავი 2, ამის მიზეზი კი დაასახელა ის, რომ რუსთავი 2 განზრახ ამძიმებს, ისედაც მძიმე ფონს ამ ხელიუფლების უნიათობის და გულგრილობის ჩვენების მოტივით და სიუჟეტებს პოლიტიკურ კონტექსტში სვამს. ორივე ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალია ამ მიკერძოებულობისაგან. ის არ იყენებს საპროპაგანდო და სამანიპულაციო ხერხებს და მის მიერ მომზადებული სიუჟეტები უფრო ინფორმაციულია.

კითხვაზე, მოიმატა თუ არა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკითხების გაშუქებამ ტელემედიაში ბოლო 5 წლის მანძილზე, ორივე მედიამკვლევარმა ცალსახად აღნიშნა, რომ მოიმატა და ამის მიზეზად რუსთავი 2-ის მიერ 2004 წლიდან 2012 წლამდე მოსახლეობის პრობლემების იგნორირება დაასახელა, რასაც E2-ის აზრით 2007 წლიდან იმედიც შეუერთდა. მთელ ამ პერიოდში, ყველა მედიასაშუალება (თუ არ ჩავთვლით მაესტროს და კავკასიას) ემსახურებოდა პროსახელისუფლებო ინტერესებს. შედეგად კი არ ხდებოდა პრობლემების გაშუქება.

E2-მა აღნიშნა, რომ მედიის 5 ძირითადი ფუნქციიდან ერთ-ერთი არის საორგანიზაციო ფუნქცია, რომელიც მნიშველოვანია გამოყელებული იყოს სოციალური საკითხების გაშუქებისას. თუმცა სამწუხაროდ, რუსთვი 2 არ არის დაინტერესებული მიაწოდოს ხალხს ინფორმაცია.

მოსაზრებაზე, რომ მთავრობისა და მედიის მფლობელების ინტერესები უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიუჟეტების მომზადებაზე ვიდრე თვითონ პრობლემის არსი, ორივე მედიაექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითად შემთხევაში ასეც ხდება, თუმცა ამას ვერ იტყოდნენ საზოგადოებრივ მაუწყებელზე. E1-მა ასევე აღნიშნა, რომ

სოციალურად დაუცველი ფენის საკითხების გაშუქებას ხვადასხვა ტელეარხის სარედაქციო პოლიტიკის გათვალისწინებით პოლიტიზირებულია, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად.

დასკვნითი ნაწილი

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უმრავლესობა 48,7 % მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკითხების გაშუქებამ იმატა. ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობა ჩამოთვლილთაგან (რუსთავი 2, საზოგადოებრივი მაუწყებელი და ერთსულოვნება) რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებას უყურებს. საინტერესოა, რომ წინა წლებში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის მიხედვითაც, უმრავლესობა რუსთავი 2-ის მაყურებელი იყო. თუმცა კვლევების შედეგების მიხედვით, სიუჟეტები რუსთავი 2-ის ეთერში მხოლოდ პოზიტიურ ან ნეიტრალურ ხასიათს ატარებდა. მაშინ როცა, ჩემი ანალიზის პერიოდში გასული ყველა სიუჟეტი სოციალურად დაუცველი ფენის პრობლემებზე და სახელისუფლებო უწყებების უყურადღებობაზე და საკუთარი მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე იყო აგებული. საქმე გვაქვს ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლაზე. ერთია, როცა ტელეარხი არ აშუქებსსახელისუფლებოინციატივებს და მეორე როცა ტელევიზია გამიზნულად არ აწვდდის საზოგადოებას მისთვის უაღერსად საჭირო სიახლეებს, რადგან ის მთავრობისგან არის ინიცირებული. ანალიზის პერიოდში, იყო ერთი სიუჟეტი, რომელიც ნებისმიერი ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებაში უნდა მოხვედრილიყო (რომელიც მოხვდა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისე ერთსულოვნების მთავარ საინფორმაციო გამოვებაში), რადგან სოციალურად დაუცველი ფენისთვის ამოქმედებულ ახალ პროგრამას ეხებოდა, რომლის მხიედვით, პირველი ივლისიდან 4 ქრონიკული დაავადების : გულსისხლძარღვთა, ფილტვების, ფარისებრი ჯირკვლისა და მეორე ტიპის დიაბეტის 14 მედიკამნეტი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას თითქმის უსასყიდლოდ, 1 ლარად გადაეცემოდა.

საზოგადებრივი მაუწყებლისა და ერთსულოვნების ეთერში გასულ სიუჟეტებში დეტალურად იყო ახსნილი ის პროცედურები, რომლის გავლაც დასჭირდებათ

სოციალურად დაუცველებს პროგრამაში ჩასართავად. ამგვარი სიუჟეტი, მთელი მოსახლეობის და კონკრეტული სამიზნე ჯგუფის ინფორმირებას ისახავს მიზნად. საუბარია იმ ინფორმაციაზე, რომლის ცოდნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. ამ ქმედებით, ცალსახად გამოჩნდა რუსთავი 2-ის მიკერძოებული და ტენდენციური პოლიტიკა ახალი ამბების მოსამზადებლად. მედია, რომელიც საზოგადოების ინფორმატორად უნდა გვევლინებოდეს, საქმე ფაქტების შეგნებულ დამალვასა და იგნორირებასთან გვაქვს. მედიაექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ ,,რუსთავი 2'' არ არის დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებით, რასაც ზემოთ აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს. ამას ემატება მოსახლეობის აზრიც, რომ სწორედ ,,რუსთავი 2'' ავლენს, მიკერძოებულ პოლიტიკურ ხასიათს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკითხების გაშუქებისას. ანალიზისას გამოვლინდა, რომ ზემოთ აღნიშნული ტელევიზია სოციალურად დაუცველი ფენის პრობლემების გაშუქებას იყენებს მოქმედი ხელისუფლების უნიათობის დასამტკიცებლად და რეალურად მათი პრობლებემბით დიანტერესებული არ არის.

შესაბამისად რუსთავი 2-თან მიმართებაში ჩემი საკვლევი ჰიპოთეზა გამართლდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფრომაციო გამოშვებების ანალიზისა და მედია-ექსპრტებთან საუბრის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი საკლევი ჰიპოთეზა, ამ არხთან მიმართებაში არ გამართლდა. 2011 წლის კვლევების შედეგების გაცნობისას, საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისევე როგორც რუსთავი 2-სა და იმედის ეთერში ერთნარი, მხოლოდ პოზიტიური შინაარსის სიუჟეტები გადიოდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესების გატარებისგან, წლების განმავლობაში ეს ასე არ იყო. შესაბამისად,მოლოდნი ახლაც ასეთი მქონდა. თუმცა,ანალიზის პერიოდში გასული 7 სიუჟეტიდან, რომლებიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხებოდა, 4 სიუჟეტი არ ამოქმედებულ პროგრამებს, გაუარესებულ საცხოვრებელ და გარემო პირობებს და მოუწესრიგებელ

ინფრასტრუქტურას ეხებოდა. დარჩენილი 3 სიუჟეტიდანაც, არც ერთი სიუჟეტი არ ატარებდა მთავრობის აქტივობისა თუ ინიციატივისპროპაგანდას და ნეიტრალურ ტონს ინარჩუნებდა.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ჰყავს იმდენი მაყურებელი, რამდენიც ,,რუსთავი 2''-სდა შესაბამისად გამიჭირდა მოსახლეობის დამოკიდებულებების გამოვლენა მათი საინფრომაციო გამოშვებების მიმართ. თუმცა,მედიაექსპერტების აზრით, დღეს საქართველოში ყველაზე დაბალანსებულ, ნაკლებად პოლიტიზებულ სტანდარტებთან მიახლოებულ ახალ ამბებს, სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს.

რაც შეეხება საპატრიარქოს ტელევიზიას ,,ერთსულოვნება'', მინიმალური მაყურებლის რაოდენობის გამო, ასევე, იმის გამო რომ მედიაექსპერტები ნაკლებად იყვნენ ამ არხის საინფორმაციო გამოშვების მაყურებლები, დასკნას მხოლოდ გაანალიზებულ სიუჟეტებზე ვაგებ. ,,ერთსულოვნებამ'' საკმაოდ დიდი დრო დაუთმო სოციალურად დაუცველ ფენას თავის საინფორმაციო გამოშვებებში.მართალიამთავარი საინფორმაციო გამოშვებები 12-დან 20 წუთამდე მერყებდა, მაგრამ დათმობილი დროის 100 % მხოლოდ სამთავრობო ინიციატივებს მოიცავდა. არც ერთი სიუჟეტი არ ეხებოდა უშუალოდ პრობლემებს ან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებებს. ერთი შეხედვით, ამ არხის მაყურებლებისთვის არ არსებობს სოციალური პრობლემები, რადგან ტელეკომპანია მხოლოდ დადებითი ფონის და შინაარსის სიუჟეტებს უშვებს ეთერში. აქედან გამომდინარე ,,ერთსულოვნება'' თავის მხრივ ავლენს პროპოლიტიკურ ტენდეციებს, რაზეც მისი სიუჟეტების შინაარსი მეტყველებს

შესაბამისად, ჩემი საკვლევი ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ყველა ტელევიზია სოციალურად დაუცველი ფენის მოსახლეობის შესახებ მომზადებული სიუჟეტებს არ იყენებს თავისი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. საუბარი მაქვას საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც ყველაზ ე მეტად დაბალანსებულ და ინფორმაციულ ახალ ამბებს ამზადებს.

აქამდე არსებული კვლევების შედეგებისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, რომ ტელემედიის მუშაობის ხარისხი სულ ცოტა, მაგრამ პოზიტიურად შეიცვალა საზოგადოებრივი მაუწებლის ხარჯზე.

კვლევის მცირე მასშტაბიანობის გამო, ანალიზის მოკლე პერიოდში განხორციელების გათვალისწინებით ძნელია შედეგების განზოგადება, თუმცა, პოზიტიური ცვლილება საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში, უკვე უდებს საფუძველს მომავალში უფრო ჯანსაღი მედიაგარემოს შექმნას.

ბიბლიოგრაფია

1. კოვაჩი, ბილ; როზენსტილი, ტომ (2001). ჟურნალისტიკის ელემენტები. New-York : Crown Publishers.

2. ცისკარიშვილი, ოლიკო (2014) მედიაში სოციალური საკითხების გაშუქება.

ინტერნეტ რესურსები :

3. www.socium.ge,15.06.2017.

4. საქსტატი, 2016 წელი. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo

5. მსხილაძე, ქეთი (2011) ,,სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში''. http://eurocommunicator.ge/mdf/uploads/Socialuri_tematika_sainformacio_gamoshvebebshi.pdf

6. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში'' http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4562.pdf

7. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში: „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა'' http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4523.pdf

8. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში: „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში'' http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4471.pdf

9. კევლიშვილი,ნინო; საჯაია, ნანა (2011) სოციალური და ეკონომიკური საკითხების გაშუქება მედიაში. UNDP Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Mzhavanadze

TV coverage of the issues of socially vulnerable population in Georgia

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Sociology of Culture and Media

Thesis supervisor: Lia Tsuladze

Phd in Sociology, Associate Professor

at Tbilisi State University

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაბილინა დარსალია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ბარიერები ქართულ საზოგადოებაში

ნაშრომი შესრულებულია კულტურის და მედიის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის და მედიის სოციოლოგია

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ლია წულაძე - სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემად შევარჩიე შეზღუდული შასაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ბარიერები ქართულ საზოგადოებაში. ჩემს მიზანს წარმოადგენდა გამერკვია თუ რამდენად იყვნენ ინგერირებულნი ისინი პირველად და მეორად ჯგუფებში. კერძოდ ოჯახურ გარემოსა და სამეგობრო წრეში, ასევე მეკვლია მათი ჩართულობა საზოგადოებაში, გამეგო რა პრობლემებს აწყდებიან სამსახურის ძიების პროცესში. ყურადღება გავამახვილე იმ გარემო პირობებზე, რომელიც აუცილებელია მათი ყოველდღიური ცხვრებისთვის. კვლევის მეთოდად გამოვიყენე სიღმისეული ინტერვიუ. გავესაუბრე შვიდ შეზღდული შესაძლებლბის მქონე პირს. კვლევამ აჩვენა რომ შშმ პირების სრულფასოვან ინტეგრაციას ბევრ ფაქტორი აფერხებს. მათ შორის აღსანიშნავია არა მხოლოდ არაადაპტრებული გარემო არამედ საზოგადოების დამკიდებულება, მათ მიმართ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპები, მიმართვის ფორმები და ტერმინები. რესპონდენტთა აზრით, მცირე პროგრესი შეიმჩნევა უკეთესობისაკენ, თუმცა პრობლემები მაინც არის და ამ მიმართულებით სოციუმში ბევრი რამ არის გამოსასწორებელი.

Annotation

I have selected the barriers to integration of persons with disabilities in Georgian society as a study issue of Master's thesis. My goal was to clear up how much were they integrated in the first and second groups; namely their involvement in the family and friend environment as well as in the society. To learn the problems they face in the job search process. I focus on environmental conditions that are necessary for their daily lives. I used the interview as a method of research. I interviewed seven disabled persons. The study has shown that many factors hinder the integration of disabled people. Should be noticed not only not adapted environment but also the attitude of the society, the stereotypes, forms and terms of contact that have been established over time. Respondents think that there is a little progress to improvement, but the problems still remains and in this direction a lot of things are to be improved.

Babilina Darsalia

სარჩევი:

Contents

თეორიული ნაწილი 12

თავი I. შშმ პირები 12

თავი II . არასამთავრობო სექტორის როლი შშმ პირთა ცხოვრებაში 18

თავი III. შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში 22

თავი IV. კვლევები შშმ პირთა შესახებ 25

ემპირიული ნაწილი 29

თავი V. შშმ პირთა ინტეგრაცია პირველად ჯგუფებში 29

5.1 ინტეგრაციის პროცესი ოჯახში 30

5.1.2 შშმ პირთა ინტეგრირება სამეგობრო წრეში 33

5.2 შშმ პირთა ინტეგრაცია მეორად ჯგუფებში 34

5.3 შშმ პირთა ინტეგრაცია დასაქმების ბაზარზე 38

თავი VI. ღონისძიებები, რომლითაც, შშმ პირების აზრით, უნდა გაუმჯობესდეს შშმ პირების მდგომარეობა 41

დასკვნა 43

ბიბლიოგრაფია 45

შესავალი

პრობლემის დასმა და კვლევის აქტუალობა

თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი უპირველეს მიზანს ნებისმიერი ადამიანისთვის განვითარების, თვითრეალიზების თანაბარი პირობების შექმნა წარმოადგენს. მათ შორის მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ინტეგრირება მათ ირგვლივ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არინ ადამიანები, რომლებსაც დაავადების, ტრამვის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვთ ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქცია. ეს განაპირობებს პროფესიულ უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას, რასაც იგი მიყავს ქმედითუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვად და სოცილაური დაცვის საჭიროებამდე. როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც მოქმედებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების გააზრებას ცვლის და მას ადამიანის უფლებებზე, პიროვნების ღირსებასა და ნების ავტონომიურობის პრინციპზე აფუძნებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველას აქვს განათლების მიღების, დასაქმების და ყველა სოციალურ აქტივობაში ჩართვის უფლება, მაგრამ საქართველოში ინკლუზიური განათლება ახლა ინერგება და მთელ რიგ ბარიერებს აწყდება. არ არიან გადამზადებულნი მასწავლებლები და არც საჭირო ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი სკოლები. ვფიქრობ, ფიზიკურ გარემოზე მეტად მნიშვნელოვანია წარმოვაჩინოთ ის კულტურული წინაღობები, რომლესაც სპეციალური საჭიროების მქონე პირები განიცდიან. საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, საერთო ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების ჩამოყალიბება, საკმაოდ რთული პროცესია და მრავალი ფაქტორის ზეგავლენას განიცდის. დამოკიდებულებას კონკრეტულ მოვლენასთან დაკავიშირებით შეუძლია სასიკეთოდ შეცვალოს არსებული მდგომარეობა. მეორე მხრივ,

სოციუმს თავისი არასწორი ქმედებით ან სრული უმოქმედობით შეუძლია არსებული რეალობის უფრო მეტად გართულება და, შესაბამისად, უარყოფითი შედეგების გამოწვევა.

სახელმწიფოს განვითარებაზე, სამოქალაქო ღირებულებებზე, მის ცნობიერებაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი. იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც დამოუკიდებლად უჭირთ გადაადგილება, მოქმედება. საქართველოში ჩანს, რომ თანაგრძნობის ხარისხი საკმაოდ დაბალია. რეალობას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ადამიანები არიან ნაკლებად სოლიდარულები და მანამდე არ აპროტესტებენ არსებულ ყოფას, სანამ თავად მათ არ შეაწუხებთ. ეს ადრეც ასე იყო და ახლაც ნაწილობრივ ასეა. დღემდე წარსულიდან გადმოყოლილ ნაშთებს ვებრძვით, რომელიც ღრმად არის გამჯდარი ჩვენს რეალობაში. ეს პრობლემაა, რომელიც ხელს უშლის რეალურ ცვლილებებს. საბოჭოთა კავშირის პერიოდში შშმ პირები დისკრიმინირებულნი იყვნენ. ოჯახის წევრები მალავდნენ მათ და არ აჩენდნენ საზოგადოებაში. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან მიდგომების ცვლილებისა დღეს საქართველოში განსხვავებულობა მაინც პრობლემად აღიქმება, რაც ნათლად ვლინდება სხვადასხვა უმცირესობისადმი დამოკიდებულებაში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში სამოქალაქო კულტურის განვითარებისთვის არახელსაყრელი პირობები იყო, შესაბამისად, ამ მიმართულებით არც თუ ისე კარგი გამოცდილება გვაქვს. თუმცა, მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ, სამოქალაქო კულტურაც ვითარდება. მოქალაქეობრივი პრინციპების დანერგვა ხელს შეუწყობს საკუთარი მოქალაქეებისათვის, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, შეიქმნას მატერიალური და ფიზიკური უსაფრთხოების განცდა. იმისათვის, რომ სახელმწიფო ძლიერი იყოს, მნიშვნელოვანია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. ასეთი ნაბიჯები მოქალაქეების უფრო მეტად გააერთიანებს და დააახლოვებს. აღსანიშნავია, რომ დასავლური, განსაკუთრებით ევროინტეგრაციის მოსწრაფებების გავლენით, მეტად ტოლერანტული დამოკიდებულებები გაჩნდა შშმ პირებისა და სხვადასხვა უმცირესობის მიმართ. დღეს მეტი აქცენტი კეთდება შშმ პირების დაფინანსებაზე, მათთვის უკეთესი პირობების შექმნაზე, ინერგება ინკლუზიური განათლების სისტემა. ვიცით, რომ დასავლეთ

ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში სპეციალური საჭიროების მქონე პირების უფლებები დაცულია. საქართველოშიც არის მცდელობა იმისა, რომ მოხდეს ასეთი ადამიანების სოციალური ინტეგრაცია. ქვეყანას სურს, რომ დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო შექმნას, სადაც დაცული იქნება ადამიანების ფუნდამენტური უფლებები.

გაეროს ადამიანთა უფლებების 2006 წლის კონვენცია ამბობს, რომ მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს, ისარგებლონ ჯანმრთეობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტებით, შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ ჯანდაცვის სფერო იქნება ხელმისაწვდომი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. ასევე, ითვალისწინებენ გენდერულ სპეციფიკას. უფრო კონკრეტულად, მონაწილე სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფენ ჯანდაცვის თანაბარი სტანდარტების, ხარისხის და დონის უფასო მომსახურებითა და პროგრამებით, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროსა და მოსახლეობაზე გათვლილი საზოგადოებრივი პროგრამების ჩათვლით. შშმ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობების გამო, უზრუნველყოფენ ჯანდაცვის სფეროს აუცილებელი მომსახურებით, დიაგნოსტიკით, შესაბამის შემთხვევაში, კორექციითა და მომსახურებით, რომლის მიზანია შედგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანა. უნდა ითქვას, რომ მომსახურების ორგანიზებას ახდენენ შშმ პირთა საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს. ჯანდაცვის სფეროს წარმომადგელებს მოეთხვებათ, თანაბარი ხარისხის მომსახურება გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. ადამიანის უფლებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტონომიისა და საჭიროებათა შესახებ ცნობიერების ამაღლებით, ტრენინგებით და კერძო ჯანდაცვის სისტემაში ეროვნული სტანდარტების მიღებით. კონვენცია, უფლებათა ჩამონათვალის გარდა, მსოფლიოს ქვეყნებს სთავაზობს ამ უფლებების განხორციელების მექანიზმებს, რომელიც ყველა დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა განავითაროს. ამ სახელმწიფოებს შორის არის საქართველოც,

რომელიც ცდილობს, ევროინტეგრაციის გზაზე ზემოხსენებული სტრანდარტების დანერგვას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მათ სჭირდებათ შემოსავალი იმისთვის, რომ დამოუკიდებლად შეძლონ თავის რჩენა. ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია და ერთ-ერთ ხელისშემშლელი ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს არასრულფასოვანი განათლება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ის ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. დაბრკოლებას წარმოადგენს გაბატონებული სტერეოტიპები, რომელიც შშმ პირს არ აძლევს საშუალებას, თამამად გამოჩნდეს საზოგადოებაში. სტერეოტიპებში იგულისხმება, პირველ რიგში, დამოკიდებულება ადამიანების მხრიდან. თითქოს, რადგან ისინი შშმ პირები არიან, არ შეუძლით თუნდაც დამოუკიდებლად გადაადგილება, არ ესმით ან არ შეუძლიათ საუბარი, ამიტომ უნდა ისხდნენ სახლში. ეს იგრძნობა ტრანსპორტში, განათლების მიღების პროცესში, სამსახურის ძებნისას და ასე შემდეგ.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქართულ საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციის ბარიერების შესწავლა, კერძოდ, იმის დადგენა, თუ რა პრობლემებს აწყდებიან ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში და როგორ ახერხებენ მათ მიმართ არსებული კულტურული სტერეოტიპების, როგორც წინაღობების, დაძლევას.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასმული ამოცანები:

1. რამდენად ინტეგრირებულნი არიან შშმ პირები პირველად ჯგუფებში, როგორიცაა ოჯახი; სამეგობრო წრე;
2. რამდენად ინტეგრირებულნი არიან შშმ პირები მეორად ჯგუფებში, კერძოდ, რამდენად ჩართულნი არიან საზოგადოებრივ აქტივობებში და რა სტერეოტიპები უშლით ხელს სრულფასოვან ინტეგრაციაში;

3. რა პრობლემებს აწყდებიან შშმ პირები სამსახურის ძიებისას და დასაქმების ბაზარზე.

ჰიპოთეზა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ვფიქრობ, რომ არ თვლიან თავს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებულად. მათი უმრავლესობა მოკლებულია თვითრეალიზებისა და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობებს. ამის გამო ისინი თავს არ მიიჩნევენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. ძირითადად ხელიშემშლელი ბარიერები, რომელიც არსებობს, ესაა საზოგადოების დამოკიდებულება, რომელიც ხელს უშლის შშმ პირების პირველად და მეორად ჯგუფებში ინტეგრაციას, ნაკლები ურთიერთობა, რომლელიც სოციოკულტურულ სტერეოტიპებს უფრო ამყარებს. ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, არაადაპტირებული გარემო. ვფიქრობ, რომ შშმ პირებს აღიქვამენ, როგორც ქველმოქმედების საგანს. თითქოს, რომ მათ სჭირდებათ მუდმივად ზრუნვა, ფინანსური დახმარება, მკურნალობა. ისინი მათთვის მუდმივად იწვევენ სიბრალულის გრძნობას და ამას ღიად გამოხატავენ თავშეყრის ადგილებში. საქართველოში საზოგადოება არ არის ინფორმირებული შშმ პირებთა შესახებ, რაც ხელს უწყობს გარკვეული სტერეოტიპების კიდევ უფრო გაძლიერებას. შშმ პირების მიმართ ქართულ რეალობაში დამკვიდრებული სამედიცინო მოდელი უბიძგებს მათ მიმართ არსებული კულტურული სტერეოტიპების კვლავწარმოებას და, შესაბამისად, ხელს უშლის მათ სოციალურ ინტეგრაციას პირველად და მეორად ჯგუფებსა და დასაქმების ბაზარზე.

კვლევის მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მონაცემებს, რომელიც 2017 წლის მარტიდან ივნისამდე ჩატარდა.

შერჩევა

კვლევის ფარგლებში, ჩატარდა რვა სიღრმისეული ინერვიუ შშმ პირებთან იმ მიზნით, რომ შემესწავლა მათი აზრი, თუ რამდენად ინტეგრირებულად თვლიან თავს ქართულ საზოგადოებაში და რა სტერეოტიპები უშლით ხელს მათ სრულად ინტეგრაციაში.

ჩემი მიზანი იყო რესპოდენტებისაგან დეტალური, ღრმა და თანმიმდევრული ინფორმაციის მიღება მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ, მათი დამოკიდებულებების გაგება გარკვეული მოვლენებისადმი. საინტერესო იყო, ასევე, გამეგო, რა პრობლემებს აწყდებიან სამუშაოს ძიებისას. უნდა ითქვას, რომ საკვლევი თემა მეტად სენსიტიურია და ამან განაპირობა ამ მეთოდის არჩევაც. „სიღრმისეული ინტერვიუ ესაა ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომლელიც სადისკუსიო გეგმის საფუძველზე წარიმართება და მიზნად ისახავს შეიტყოს, რესპონდენტის არა მხოლოდ დამოკიდებულება და პოზიცია, არამედ მოტივაციები.“

კვლევის ფარგლებში გამოვიყენე მიზნობრივი შერჩევა. მოვიძიე რესპონდენტები, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მინიჭებული აქვთ შშმ პირის სტატუსი.რესპონდენტთა ასაკი არ იყო შეზღუდული. გამოკითხული შშმ პირების ნაწილი არის დასაქმებული. მათთან დაკავშირება მოხდა სოციალური ქსელის საშუალებით. უნდა ითქვას, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა არ იყო დაბადებიდან ამ სტატუსის მქონე.

მონაცემების მოპოვების და ანალიზის მეთოდები:

თვისებრივი კონტენტ-ანალიზის და ნარატიული ანალიზის საფუძველზე დავაჯგუფე ინტერვიუები, მიღებულმა ინფორმაციამ საშუალება მომცა, აღმომეჩინა გარკვეული მსგავსებები, კანონზომიერებები რესპონდენტთა გამოცდილებას შორის. გამოიყო ასპექტები რესპონდენტების ცხოვრებიდან. გავიგე, თუ როგორია ჩემს მიერ გამოკითხული შშმ პირების თვითაღქმა სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ასევე ის, თუ რა პრობლემებს აწყდებიან ყოველდღიურად, რა დამოკიდებულებები არსებობს და რა გზებს გვთავაზობენ იმისთვის, რომ ინტეგრაციის პროცესი გამარტივდეს.

ანალიზისას გამოვიყენე ოთხი ძირითადი ეტაპი:

კოდირება - კვლევის პროცესში, რადგან ვსვამდი ღია კითხვებს, მიღებული პასუხები თემატურად შევაჯამე და გავაერთიანე გარკვეულ კატეგორიებში მოკლე ფრაზის სახით.

კატეგორიზაცია - კოდირების შემდეგ, მსგავსი კოდების ქვეშ გავაერთიანე მიღებული ინფორმაცია ყველა ინტერვიუდან.

ლოკალური ინტეგრაცია - ანალიზის აღნიშნული ეტაპი გულისხმობს თითოეული კოდის ქვეშ შეჯამებული ინფორმაციის თემატურად გამთლიანებას და ურთიერთდაკავშირებული თემების ერთმანეთთან მიმართებაში გაანალიზებას.

ინკლუზიური ინგერაცია - ანალიზის საბოლოო, მეოთხე ეტაპი გულისხმობს ყველა ქვეთავის ერთმანეთთან მიმართებაში გაანალიზებას და ნაშრომის ერთიან კონტექსტში ჩასმას.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მასშტაბები არის მცირე, არ მომეცა საშუალება გავსაუბრებოდი რეგიონში მცხოვრებ ШШმ პირებს. ვფიქრობ, მათი მდგომარეობა, კერძოდ, სოციალური ინტეგრაცია მათ სოციალურ გარემოსთან უფრო სუსტია, რადგან მათი ინფომირებულობის დონე გაცილები დაბალია. ასევე, რესპონდენტთა რაოდენობაც მიუთითებს იმაზე, რომ არ მოხდა ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე ადამიანთან შეხვედრა.

თეორიული ნაწილი

თავი I. შშმ პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა ფიზიკურმა, მენტალურმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა შესაძლოა შეაფერხოს საზგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი, თანასწორი და ეფექტური მონაწილეობა. შეზღუდული შესაძლებლობები ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრების მრავალ შეზღუდვას იწვევს თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უუნაროები არიან, რომ მათ არ შეუძლით განათლების მიღება , სხვდასხვა აქტივობებში ჩართვა, დასაქმება რომ ისინი ვერ გაუწევენ სხვებს კონკურენციას თუნდაც შრომით ბაზარზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი რასის, სქესის, ეთნიკური ჯგუფის, სექსუალური ორიენტაციის, ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის და რელიგიური მიდინარეობის წარმომადენელი. უნდა ითქვას, რომ მიღებული ტრავმის შედეგად, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს ამ თემის წევრი.

ადამიანების შესაძლებლობები შეიძლება შეიზღუდოს რომელიმე ფიზიკური ორგანოს ან ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგად. ეს ხდება ხშირად ჩვენგან დამოუკიდებლად. შეზღუდული შესაძლებლობები ნიშნავს იმას, რომ ადამიანს გარკვეული მიზეზების გამო არ შეუძლია მისი ასაკისათვის, კონკრეტული კულტურისათვის შესაბამისი როლის შესრულება. სწორედ ამიტომ ისინი საჭიროებენ მხარდაჭერას არა მხოლოდ ოჯახის მხრიდან, არამედ საზოგადოებისგანაც. ოჯახის წევრების გარემომცველი წრის წყალობით მათ უჩნდებათ სურვილი, რომ იყვნენ აქტიურად ჩართულნი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შეზღუდული შესაძლებლობების ორი მოდელი არსებობს: სოციალური და სამედიცინო. ეს მოდელები ეყრდნობა ორ ფუნდამენტურ ფილოსოფიას: პირველი შშმ პირებს აღიქვამს, როგორც საზოგადოებაზე დამოკიდებულებს. ამის შედეგია სეგრეგაცია და დისკრიმინაცია. ხოლო მეორე მიდგომა მათ აღიქვამს მომხმარებლად იმისა, რასაც საზოგადოება სთავაზობს; ეს კი გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას, სიძლიერეს, თანასწორობასა და ინტეგრაციას. (MDRC - MODELS OF DISABILITY) სოციალური მოდელის მიხედვით

შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საკითხები ზოგადად საზოგადოების საკითხებია და საზოგადებამ უნდა იზრუნოს მათი მდგმარეობის გაუმჯობესებასა და ინტეგრაციაზე. სოციალური პირობები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბრიტანეთში ახლომხედველი ადამიანები არ ითვლებიან შშმ პირებად. რადგან არსებობს სპეციალური დახმარე საშუალებები და სათვალეები, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი ან სრულად უფასოა. თუ საჭიროებებების მიხედვით მოხდება ხელმისაწვდომობა შესაძლებლობების შეზღუდვა გაცილებით დაბალი იქნება . სოციალური მოდელის მიხედვით, თავად შეზღუდული შესაძლებლობის ცნება შემოღებლია საზოგადოების მიერ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და არ არის თავად შშმ პირის ინდივიდის „ბრალი“. ამგვარი დისკრიმინაციის გაქრობა შესაძლებელია მიდგომისა და აზროვნების შეცვლის გზით საზოგადოებაში. სოციალური მოდელი მთავარ პრობლემად ბარიერებს ასახელებს, იმ ბარიერებს, რომლებიც ინდივიდებს ზღუდავენ და არა თავად მათ ფაქტს. კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ამგვარი საზოგადოებრივი ბარიერების შესაწავლას ქართულ რეალობაში, რომელიც არსებობს განათლების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სისტემებში სამუშაო გარემოში და ა.შ. უნდა ითქას, რომ სოციალური მოდელი სწორედ ამგვარი ბარიერების გადასალახად შეიქმნა. მან განვითარება მეოცე საუკუნის ბოლოს დაიწყო დიდ ბრიტანეთში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა(შშმ) ძალისხმების შედეგად, რომელმაც „შეზღუდლი შესაძლებლობების სოციალური მოძრაობის“ (MDRC - MODELS OF DISABILITY) სახელწოდება მიიღო. პანდუსები, ხმოვანილიფტები, ბინების და ოფისების ბრაილის შრიფტით ნუმერაცია, ჟესტების ენით თარგმანი სკოლებში მათთვის, ვისაც სმენის პრობლემები აქვთ იმ მცირეოდენი ცვლილებების ჩამონათვალია, რომელმაც შეიძლება მათი ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესოს. დღეისთვის განვთარებული ქვეყნების უმრავლესობა სოციალურ მიდგომას იყენებს და შეზღუდული შესაძლებობების მქონე პირების მდგომარეობა, მათი ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი მათი სოცალიზაციისთვის.

სამედიცინო მოდელი იმას, რომ შშმ პირია ადამიანი თავად ინდივიდის პრობლემად განიხილავს, რომელიც გამოწვეულა იმით, რომ მას გარკვეული უნარები თუ შესაძლებლობები აკლია. მას ხშირად განიხილავენ, როგორც ფუნქციონალური შეზღუდულობის მოდელს (MDRC - MODELS OF DISABILITY). შესაბამისად, ამ მოდელის მიხედვით, გამოსავლის პოვნა შესაძლებელია ინდივიდზე ფოკუსირების გზით. სამედიცინო მოდელის მიხედვით, პირველი გზა პრობლემის მოსაგვარებლად არის მისი განკურნების მცდელობა ან შშმ პირის „განორმალურება.“ ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, მარცხისთვისაა განწირული, რადგან, როგორც წესი, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება მკურნალობით შეუძლებელია. თუმცა, სამედიცინო მოდელის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ხანგრძლივი რეაბილიტაციის დახმარებით შესაძლებელია მისი ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შშმ პირების საკითხების მიმართ არის კიდევ რამდენიმე მიდგომა, რომელსაც შეგვიძლია მოდელი ვუწოდოთ. მაგალითად, ასეთია ექსპერტულ-პროფესიონალური მოდელი (MDRC - MODELS OF DISABILITY). ის შეგვიძლია ჩავთვალოთ სამედიცინო მოდელი განშტოებად. უფლებებზე დაფუძებულ მოდელში ყურადღება გამახვილებულია შშმ პირების იურიდიულ უფლებებზე, ისინი მოითხოვენ პოლიტიკურ ხმას და პოლიტიკურად აქტიურები არიან. ქველმოქმედების/ტრაგედიის მოდელი აღიქვამს შშმ პირებს, როგორც გარემოებების მსხვერპლებს, რომლებიც სიბრალულს იმსახურებენ (MDRC - MODELS OF DISABILITY) ძირითადად, ამ მოდელს გამოიყენებენ საქველმოქმედო ორგანიზაციები, ფონდების გასაზრდელად და სახსრების მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფინანსურად მომგებიანია, მაინც შეურაცხმყოფელ და ნეგატიურ მოდელად ითვლება, რომელიც უფრო მეტი დისკრიმინაციის მიზეზი ხდება და შშმ პირთა თავდაჯერებულობაზე უარყოფითად მქმედებს. ასევე არის შშმ პირების რელიგიური/მორალური მოდელი, რომელიც შშმ პირობას განიხილავს, როგორც სასჯელს, რომ ასეთი ადამიანები ცოდვილები არიან და ამის გამო ისჯებიან. ეკონომიკური მოდელის მიხედვით, შშმ პირობა განისაზღვრება, როგორც ადამიანის უუნარობა იმუშაოს. ამ მოდელის მთავარი მიზანია, შშმ პირები ეკონომიკური კეთილდღეობით უზრუნველყოს.

შშმ პირების შეზღუდვები შეიძლება ორ კატეგორიაში განვიხილოთ. ესენია: ფიზიკური და გონებრივი მაგალითად, ადამიანი, რომელიც ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, ვერ ხედავს ან არ ესმის. ეს ის შეზღუდვებია, რომელსაც მალევე ვამჩნევთ და რომლის დაძლევაც მათ ძალიან უჭირთ. ასეთ ადმიანებს სჭირდებათ თანადგომა, დახმარება შეცოდების გარეშე. ეს განსაკუთრებით რთულია პროცესია შშმ პირებისთვის, რომლებიც აქტიურად ჩნდებიან საზოგადოებაში. ისინი გრძნობენ იმას, რომ არიან განსხვავებულები. უჩნდებათ მუდმივი ბრძოლა საკუთარ თავთან. მათ არ მოსწონთ საკუთარი თავი, რადგან, სხვებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებლად არ შეუძლიათ სახლიდან გასვლა, სკოლაში გადაადგლება, უნივერსიტეტში აუდიტორიამდე მისვლა და ასე შემდეგ. ისინი ცდილობენ გაერიდონ პროცესებს და იზოლირებულნი იყვნენ გარემოსგან იმიტომ, რომ ეშინიათ დაცინვის, ზედმეტი ყურადღების, მათკენ თითის გაშვერის. ეს არის სტიგმა, იგივე იარლიყის მიწებება. ხშირად გვსმენია, თუ შენ ხარ ეტლით მოსარგებლე, ესე იგი არ შეგიძლია გართობა, თამაში; თუ არ გესმის, ესე იგი არ შეგიძლია კომუნიკავია; თუ ვერ ხედავ არ შეგიძლია სწავლა, განათლების მიღება. ასევე მნიშვნელოვანი ადამიანების დამოკიდებლების განსხვაზღვრა. დამოკიდებულების განსაზღვრავს ურთიერთობა, რომელიც ორმხრივი პროცესია. უნდა ითქვას, რომ როდესაც ადამიანი თავს გრძნობს განსხავაებულად მისთვის რთულია დაძლიოს მის წინაშე წარმოქმნილი ბარიერები, რომელიც ხელს უშლის ინტეგრაციას და არ აძლევს საშუალებას განვითარდეს. ბარიერებში იგულისხება ის სტერეოტიპები, რომელიც არსებობს და რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა. აქედან გამომდონარე ჩანს, რომ სტიგმა მოქმედებს მასზე, როგორც პიროვნებაზე. ურთიერთერთობის სურვილს უკარგავს. სტიგმატიზებული ადამიანი არ არის მოტივირებული და, შესაბამისად, არც იმას აკეთებს, რაც შეუძლია. ჯანსაღი საზოგადოების მიზანია, შშმ პირებს არ აგრძნობინოს თავი უსარგებლოდ დაეხმაროს იმ ნიჭების აღმოჩენაში, რომელიც აქვთ.

უნდა ითქვას, ისიც რომ არსებობს ისეთი შეზღუდული შესაძლებლობებიც, რომლიც არ ჩანს, ვერ ვამჩნევთ. მაგალითად, ეპილეფსია, კითხვის პრობლემა. როდესაც ეს პრობლემები გამოაშკარავდება ადამიანები ძალიან ცუდად გრძნობენ თავს. ისეთივე ტრაგედიაა ეს

მათთვის, როგორც თვალსაჩინო შეზღუდულობა, იწყება საუბარი იმაზე, რომ კითხვა უჭირს ესეიგი სულელია და ასე შემდეგ. ორი მხარე აქვს შეზღუდულ შესაძლებლობებს, ერთ მხარეს არიან ისინი ვინც იარლიყს აწებებენ ხოლო მეორე მხარეს სტიგმატიზირებული ადამიანები. ისინი თვლიან, რომ მე ამის გაკეთება არ შემიძლია, მე ასეთი ვარ და იმიტომ. საზოგადოებსაც მოლოდინები არ აქვთ მათთან დაკავშირებით.

შშმ პირთა შესახებ მსჯელობისას, მნიშვნელოვანია სტიგმატიზაციის თეორიის განხილვა. სტიგმა - ეს არის ძველბერძნული სიტყვა, იგი თავდაპრველად იმ დამღას ნიშნავდა, რომელსაც პატრონი მონას სხეულზე ადებდა. ირვინ გორფმანმა მეოცე საუკუნენეში ხელახლა გამოიყენა ეს ტერმინი დისკრიმინირებული პიროვნების აღსაწერად. ის სტიგმას უწოდებს „პროცესს, რომლის საშუალებითაც სხვების რეაქცია ამახინჯებს ნორმალურ იდენტობას“ (ლ.სურმანიძე კულტურის სოციოლოგია.რიდერი. გვ. 3)სტიგმატიზაცია ყველა დროში, ნებისმიერი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. ის შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, იურიდიული, სოციალური. ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავრიყოთ სხვა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვგავს ან მისი გვეშინია, ან მას არ ვთლით საზოგადების ღირსეულ წევრად. სტიგმა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური დამღა, რომელსაც პიროვნებას საზოგადობა ცნობიერად ან გაუცნობიერებლად ადებს. ასეთ ადამიანებს მით უფრო უგულებელყოფენ, რაც უფრო განსხვავდება მათი ქცევა ნორმისაგან (ლ.სურმანიძე კულტურის სოციოლოგია.რიდერი. გვ. 3) ადამიანის სტიგმატიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის გარეგნობის და ინდივიდის მახასიათებლების გამო. შშმ პირები ფიზიკური ან გარეგნული ნიშნების ხარჯზე ხშირად არიან სტიგმატიზებულნი საზოგადოების მხრიდან. ეს არის მათი ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი.

შშმ პირების ინტეგრაციის ხელიშემშლელ ბარიერებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ სოციალური კაპიტალის თეორია, რომლიც გულისხმობს სოციალური ორგანიზაციის, პრინციპების, ნორმების, სტრუქტურების იმ თავისებურებებს, რომელთაც შეუძლიათ განამტკიცოს საზოგადოების მიერ განხორციელებული მოქმედებათა ეფექტიანობა. მაგალითად ჯგუფს რომლის წევრებიც ერთმანეთს ენდობიან გაცილებით

უფრო მეტი შეუძლიათ ვიდრე იმ ჯგუფს, სადაც ასეთი ნდობა არა არის. სოციალური კაპიტალი ბადებს თანამშრომლბისკენ ლტოლვას. (სამოქალაქო საზოგადოება: ფონდ ევრაზიის გრანტის C97-0124 საფუძველზე / [რედ ლევან ბერძენიშვილი და გიგა ბოკერია]; სამოქალაქო განვითარება ცენტრი - თბ., 1998 წ). უნდა ითქვას, რომ სოციალური კავშირები ეს არის ერთგვარი რესურსი, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის და ინდივიდთა ჯგუფის პროდუქტიულობაზე, ასევე ინტეგრირებულობის დონეზე. მკვლევარის რობერ დ. პუტნამის მოსაზრებით, სოციალური კაპიტალის ძირითადი იდეა არის ის, რომ სოციალურ კავშირებს და ურთიერთობებს, ასოცირებულ ნორმებს აქვთ თავიანთი ფასი. პუტნამი გამოჰყოფს სოციალური კაპიტალის ორ სახეს მაკავშირებელ (Bridging) და მაერთიანებელ (Bonding) კაპიტალს. მაერთიანებელი კაპიტალი აღწერს ინდივიდების ურთიერთობას მათი პირველადი ჯგუფის წევრებთან, როგორიცაა ოჯახი, ახლო ნათესაობა და სამეგობრო წრე, რომელთანაც მათ აფექტური კავშირები აერთიანებთ. მაკავშირებელი (Bridging) კაპიტალი კი აღწერს ინდივიდების ურთიერთობას მეორად ჯგუფებთან, რომელთანაც მათ ინსტრუმენტული კავშირები აერთიანებთ. აღსანიშნავია, რომ იმ საზოგადოებებში, სადაც მაღალია სოციალური კაპიტალი, ინდივიდები უკეთესად არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში, ვიდრე იქ, სადაც სოციალური კაპიტალი დაბალია. ქართულ საზოგადოებაში პირველადი ჯგუფების როლია მაღალი, ამიტომ მაერთიანებელი კაპიტალია განვითარებული და მაკავშირებლის დეფიციტია, რაც ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. დასავლეთში, პირიქით, მაკავშირებელი კაპიტალი ძლიერია. მაგრამ ერთი მეორეზე მიბმული ნამდვილად არაა და საზოგადოებაში არც ერთი არ იყოს განვითარებული, ასეთი უბრალოდ არ არსებობს, რადგან სოცილური კაპიტალი ურთიერთობას ნიშნავს და არ არსებობს საზოგადოება, სადაც ადამიანებს არავისთან არ აქვთ ურთიერთობა.

თავი II . არასამთავრობო სექტორის როლი შშმ პირთა ცხოვრებაში

თანმედროვე ქართული საზოგადოება ცდილობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. რამდენად ახერხებს ეს კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა ცდილობს სამოქალაქო ღირებულებების შექმნასა და განმტკიცებას.

რა არის სამოქალაქო საზოგადოება? - ლარი დამიმონდის თქმით: „სამოქალაქო საზოგადოება არის ორგანიზებული საზოგადებრივი ცხოვრების სფეროს, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებული წესთა ერთობლიობით. ზოგადად ის განსხვავდება საზოგადოებისაგან იმ თვალსაზრისით, რომ მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოსახატად, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად“ (http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/samoqalaqo%20sazogadoebis%20funqciebi.htm) სამოქალაქო საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ მოქალაქეები იბრძვიან იმ პრინციპების დასაცავად, რაც მათთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს. ისინი ასევე წარმოადგენენ დამოკიდებელი, თავისუფალი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის მქონე ინდივიდებს. ერთ-ერთი ფუნქცია ასე ჟღერს: „სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების და პრაქტიკის დამკვიდრების ადგილი, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისების მოძიების ადგილი, საწინააღმდეგო აზრის პატივისცემა. ეს ღირებლებები და ნორმები ყველაზე სტაბილური ხდება მაშინ, როდესაც ისინი წარმოაიქმნება გამოცდილებიდან და სამოქალაქო ორგანიზაციული მონაწილეობა ამ მხრივ დიდ გამოცდილებას იძლევა. (http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/samoqalaqo%20sazogadoebis%20funqciebi.htm)

სამოქალაქო საზოგადოების მეორე ფუნქცია, რომელიც ხელისშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების დაძლევასა და

მოგვარებაში არის ის „ავრცელებს ინფორმაციას და ამით ემსახურება მოქალაქეებს მათი ინტერესების კოლექტიურ დაცვასა და მიღწევაში“. თავისუფალი პრესა, მედია არის ინფორმაციათა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ბევრ ქვეყანაში, სამოქალაქო სამოქალაქო საზოგადოება აშკარადაა ჩართული ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებში, ისინი გამოთქვამენ აზრებს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. აწყობენ საპროსტესტო აქციებს, კულტურულ ღონისძიებებს და ხშირ შემთხვევაში წარატებასაც აღწევენ დასახული მიზნის მიღწევაში. ვფიქრობ შშმ პირთა ცხოვრებაში სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს დამაკავშირებელი რგოლი შესაბამის ორგანოებთან და სტრუქტურებთან მათი საჭიროებების და მოთხოვნების დასაყენებლად. ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ ქვეყნებში სადაც სამოქალაქო საზოგადოება სათანადოდაა განვითარებული , შშმ პირების უფლებებიც მეტად დაცულია ხოლო სადაც არაა ჯერ კიდევ სტერეოტიპული ხედვა არსებობს. შშმ პირები ხშირად საზოგადოებაში გამოსვლის დროს განიცდიან როგორც პოზიტიურ ასევე ნეგატიურ დისკრიმინაციას. მოქალაქეები აფიქსირებენ მათ მიმართ სიბრალულს, ხანდახან აგრესიას, ფიქრობენ, რომ შშმ პირები მათ შვილებზე ცუდ გავლენას ახდენენ ან პრიქით გადამეტებულ ყურადღებას იჩენენ, დახმარების სურვილს გამოხატავენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ საზოგადებაში გავრცელებულ დამოკიდებულებად ითვლება: თავის არიდება, სიბრალული, გარიყვა, იზოლაცია, გადაჭარბებული დაცვა, ხშირად დაცვინვა და აგრესია. როგორც ზემოთ ავღნიშნე საზოგადოება ამ ადამიანებს ხშირად დაღს ასვამს, რაც უკიდურესად უარყოფითად აისახება მათ ფსიქიკურ და სულიერ მდგომარეობაზე. ყველა ის სირთულე, რომელსაც შშმ პირები უპირისპირდებიან, შედეგია იმ დამოკიდებულებისა, რომელიც სოციუმს შეზღუდულობის მიმართ აქვთ. სწორედ ჩვენ, საზოგადოებას, სახელმწიფოს შეგვწევს ძალა, რომ დავეხმაროთ მათ გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

საქართველოში ნელ-ნელა საზოგადოების მხრიდან შშმ პირების მიმართ დამოკიდებულებები, განწყობები იცვლება. ძირითადად იმ ადამიანების მხრიდან,

რომლებსაც აქვთ ურთიერთობა შშმ პირებთან სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ხელმისაწვდომობასთან ერთად მნიშვნელოვანია ურთიერთობა. რათა მოხდეს სტერეოტიპების დამსხვრევა, რომ ასეთი ადამიანები უუნაროები არ არიან. არის საზოგადების ნაწილი, რომელიც გადამეტებულ ყურადღებას, სიბრალულს გამოხატავს. ეს ხშირ შემთხვევაში შეიძლება დამანგრეველიც იყოს მათი ფსიქიკისთვის. ვფიქრობ, რომ შშმ პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ იყოს აქტიური მოქალაქე არის საკუთარ თავთან დიდი ბრძოლის შედეგი. რთულია ცხოვრობდე უამრავი წარუმატებელი ადამიანის გარემოცვაში და ირწმუნო შენი წარმატების შესძლებლობების.

სახელმწიფო ცდილობს სხვადასხვა პროექტების საფუძველზე მათ შორის მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების პროგრამა, სასიკეთოდ შეცვალოს მიდგომები შშმ პირების მიმართ. ეს გულისხმობს მათ ჩართულობას ამა თუ იმ სფეროში, შესაძლებლობას იყვნენ მაქსიმალურად ხელშეწყობილნი, რომ მიიღონ სრულყოფილი და მათი სურვილის შესაბამისი გაათლება, ჰქონდეთ მეტი შანსი, რომ დასაქმდნენ სვადასხვა საწარმოებსა თუ დაწესებულებაში, სარგებლობდნენ შეღავათებით სამედიცინო დაწესებულებაში და ასე შემდეგ. ყველა ჩამოთვლილი პრობლემის მოგვარების შემთხვევაში, მათ საშუალება ეძლევათ, იყვნენ ნაკლებად დამოკიდებულნი ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე, იცხოვრონ შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად.

სამოქალაქო განვითარებასთან ერთად საქართველოში ძლიერდება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც თავად შშმ პირები აფუძნებენ. ისინი ცდილობენ, დაიცვან თავიანთი უფლებები და ხელი შეუწყონ შშმ პირების ინტეგრაციის პროცესში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის." ორგანიზაციის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ადვოკატირების უზრუნველყოფა იმისთვის, რომ თანაბარი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ საჯარო მომსახურების სფეროზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, ორგანიზაციას რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება აქვს არჩეული.

(http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=3079)

1. გააქტიურება - ჩართულობა - სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არც მთავრობა და არც საზოგადოება პრობლემის მაშტაბის რელიზებას ვერ ახერხებს. ფიზიკური და სოციალური გარემოს მიუწვდომლობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უარს ამბობენ ჩაერთონ ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე, როგორც თნაბარი წევრები საზგადოების. ის, რომ მათ არ აქვთ მიზნები და მისწრაფებები რეალობას არ შეესაბამება. სწორედ ეს ორგანიზაცია საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში.

2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება - დღესდღეობით ძირითადად ინფორმაციის გავრცელება ხდება მედიის საშუალებით. სწორედ ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია ამ მიზნისთვის. უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ტელევიზიას, რადიოსა და ბეჭდვით მედიასთან ერთად სოციალური მედია გახდა პოპულარული. ორგანიზაცია აქტურად მუშაობს ვებ რესურსების შესაქმნელად. მნიშვნელოვანია შშმ პირების შესახებ ადამიანებმა მიიღონ ინფორმაცია არა ისე, რომ თითქოს ისინი არიან ქველმოქმედების საგანი არამედ მათი რეალური საჭიროებების შესახებ.

3. თანამშრომლობა - ორგანიზაციის მიზანია კონსტრუქციულად ითანამშრომლოს როგორც სამთავრობო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან.

საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვანია შშმ პირების პრობლემების გადაჭრის საქმეში. საჭიროა ადამიანებმა ისინი მიიღონ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, რომლებსაც შეუძლიათ სოციუმისათვის მრავალგვარი სიკეთის მოტანა თავიანთი საქმიანობით. არავინ იცის რა პოტენციალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებში, რომლებიც საქართველოში ცხოვრებენ.

თავი III. შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია სახელმწიფოებს ავადებულებს შშმ პირთა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შეგროვებას, რადგან შეზღუდული პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის

არსებობა საშუალებას მოგვცემს, წარმოავაჩინოთ შშმ პირებისრეალური პრობლემები და საჭიროებები. ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დაინტერესდა იმით, თუ რამდენი შშმ პირია საქართველოში. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ 2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი, რაც საქართველოს საერთო მოსახლეობის (3 729.5) დაახლოებოთ 3%-ია. დღესდღეობით სახელმწიფო შშმ პირთა ოდენობას აღრიცხავს სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობის მიხედვით. ეს გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ შშმ პირებთა რაოდენობა გაცილებით მეტია.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რეგიონების მიხედვით, შშმ პირთა რიცხვი და მათი პროცენტული წილი რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიხედვით შემდეგია:

შშმ პირთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით www.idfi.ge		
რეგიონი	**რეგისტრირებული შშმ პირი**	**%-ული წილი მოსახლეობაში**
თბილისი	28 172	(2.5%)
იმერეთი	23 451	(4.4%)
აჭარა	13 667	(4,1%)
სამეგრელო-ზემო სვანეთი	11 963	(3.6%)
კახეთი	10 009	(3.1%)
შიდა ქართლი	9 729	(3.6%)
ქვემო ქართლი	8 884	(2%)
სამცხე-ჯავახეთი	4 445	(2.8%)
გურია	4 245	(3,8%)
მცხეთა-მთიანეთი	2 636	(2.8%)
რაჭა-ლეჩხუმი	1 450	(4.6%)
სულ:	**118 651**	**(3%)**

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 30% თბილისში ცხოვრბს (1,118,300 ადამიანი), შესაბამისად, ყველაზე მეტი შშმ პირი თბილისში ფიქსირდება.უნდა ითქვას, რომ არ არის ინფორმაცია კატეგორიების მიხედვით შშმ პირებთა შესახებ. ეს მიუთითებს აღრიცხვიანობის სისტემის სისუსტეზე.

დღესდღეობით შშმ პირებისათვის სახელმწიფო პენსია შეადგენს 70 ან 100 ლარს იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას მიაკუთვნებენ სტატუსის მინიჭებისას შესაბამის პირს.

თავი IV. კვლევები შშმ პირთა შესახებ

შშმ პირთა შესახებ ჩატარებული კვლევები დღესდღეობით აქტუალურია ევროპაში. როგორც აღმოჩნდა, მკვლევრები ინტერესდებიან, თუ როგორია საზოგადოების დამოკიდებულება შშმ პირთა მიმართ, ასევე, რამდენად ინტეგრირებულები არიან შშმ პირები საზოგადოებაში. დევიდ პეკის (Dennis L. Peck) და კლიფტონ დე ბრაიანტის (Clifton D. Bryan) განხილულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ფიზიკური თუ გონებრივი მდგომარეობა. ავტორთა აზრით, შშმ პირთა სოციოლოგია არის ფენომენი, რომელიც განსაზღვრულია სოციუმის მიერ, მას მოაქვს ფართომასშტაბიანი შედეგები სოციუმისთვის და მათი ინდივიდებისათვის. შშმ პირი შეიძლება იყოს მარგინალიზებული, სტიგმატიზებული და ჰქონდეს გარკვეული ფიზიკური შეზღუდვები. მიუხედავად ამისა, სიმბოლურმა მნიშვნელობამ, რომელიც ნაგულისხმებია შეზღუდულობაში, შეიძლება დადებითი გამოხატულება ჰპოვოს და შშმ პირის იდენტობის გაძლიერებაშიც ითამაშოს დიდი როლი. ავტორთა აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის ქონა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პოლიტიკური პრივილეგია, იმ მხრივ, რომ შშმ პირი შეიძლება განთავისუფლებული იყოს სამხედრო სამსახურიდან, ვალებისგან ან შეუმსუბუქდეს კრიმინალური სასჯელი (Dennis L. Peck, Clifton D. Bryant 2008. თავი 69). თუმცა, მკვლევართა, კოლინ ბარნსის (Colin Barnes) და მაიკ ოლივერის (Mike Oliver) აზრით, სოციოლოგები შშმ პირთა შესახებ კვლევას მაინც არ უთმობენ საკმარის დროს, გარკვეულწილად ეს სფერო რჩება სოციოლოგთა ინტერესის გარეთ. მკვლევართა აზრით, შშმ პირები სხვა ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებთან ერთად მარგინალიზებული იყვნენ საკმაო ხანის განმავლობაში. შშმ პირები, განსაკუთრებით ქალები უფრო მეტად იყვნენ მარგინალიზებულნი, რადგან იმასთან ერთად რომ მათ გარკვეული ფიზიკური „ნაკლი“ ჰქონდათ, ისინი არ წარმოადგენდენ სამუშაო ძალას, შესაბამისად ისინი მთავრობისთვის და საზოგადოებისთვისაც გამოუსადეგარ სამუშაო ძალად მიიჩნეოდნენ.

შშმ პირები საბერძნეთშიც არ არიან ინტეგრირებულნი ეს 2012 წელს საბერძნეთში ჯორჯ მაგოლიოუს (GEORGE N. MAGOULIOS) და ანა ტრიჩოპოლოუს (ANNA TRICHOPOULOU)

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ჩანს. მათი აზრით, ამას საბერძნეთში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, იმას, რომ შშმ პირთა უმრავლესობა სამუშაოს გარეშე დარჩა. კიდევ ერთი მკვლევარი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციოლოგიას ეხება, არის კაროლ ტომასი (Carol Thomas). იგი თავის ერთ-ერთ სტატიაში აცხადებს, რომ ყველაზე უფრო მეტად ბარიერებს არა შშმ პირთა ფიზიკური მდგომარეობა ქმნის, არამედ საზოგადოების დამოკიდებულება ამ პირთა მიმართ. დიდი პასუხისმგებლობა შშმ პირთა საზოგადებაში ინტეგრაციის პროცესში სწორედ ამ „ნორმალურ ადამიანებს“ ეკისრებათ. ფილიპ სუტონის (Philip W. Sutton) აზრით, საზოგადოებაში ინდივიდის ფიზიკურმა გარეგნობამ გარკვეულწილად შეიძლება განსაზღვროს მისი მარგინალიზაცია ან სტიგმატიზაცია. ადამიანებს, რომლებსაც აწუხებთ ზედმეტი წონა ან სჭირთ ანორექსია, შეიძლება აღმოჩნდნენ მარგინალიზებული და სტიგმატიზებული მათი გარეგნული ნიშნის გამო, ამ შემთხვევაში შშმ პირებიც ამ ნიშნით მარგინალიცაზიის და სტიგმატიზაციის მსხვერპლებად იქცნენ. (Philip W. Sutton, Anthony Giddens, 7th Edition of Sociology. გვ.6) ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრებით, შშმ პირთა უფლებები უფრო გვიან იქნა აღიარებული ევროპის ქვეყნებში ვიდრე ქალთა ან ფერადკანიანთა შემთხვევაში. მკვლევრები ასევე ასკვნიან, რომ საზოგადოებაში შშმ პირთა მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში დიდ მნიშვნელობას კულტურა თამაშობს. ყველა კულტურაში არსებობს ერთგვარი „უნაკლო სხეულის“ მოდელი, ყველა გადახრა ამ მოდელიდან მიიჩნევა დევიაციად და დარღვევად, ამიტომაც ევროპულ და აზიურ კულტურებშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის გამო უარყოფილად და ნაკლოვან ინდივიდებად მიიჩნეოდნენ.

2010 წელს ანასტასია ქიტიაშვილმა, თამარ მახარაძემ და ჯონს ბრიქაუთმა პროექტის ფარგელბში იკვლიეს შშმ პირების დასახმარებლად არსებული სერვისები საქართველოში. აინტერესებდათ, რამდენად ეხმარება მათ ისინი სოციალურ ინტეგრაციაში. კვლევაში განხილულია რა სერსვისებს სთავაზობენ შშმ პირებს. კვლევის მიზანი იყო დაედგინა თუ რამდენად ახდენს გავლენას ეს სერვისები მათ სოციალიზაციაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ბედნიერებაზე. კვლევისას შეადარეს სერვისით მოსარგებლე და ამ

სერვისით არმოსარგებლე ჯგუფი ერთმანეთთან. კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებაში ჩართულობის უნარები უფრო მეტად იმ ჯგუფში აღმოაჩნდათ, რომელიც ამ ყოველდღიური ზრუნვის სერვისით სარგებლობდა, თუმცა ბედნიერების შეგრძნების დონე ამ ჯგუფებში დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

შშმ პირებისთვის სხვადასხვა სოციალური სერვისების შეთავაზება დაკავშირებულია ბევრ ფაქტორთან, მათ შორისაა საგარეო ეკონომიკური, სოციალური და ღირებულებებთან დაკავშირებული ფაქტორები. თუმცა განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში არსებობს ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორებიცაა ღარიბი ეკონომიკა, ამ საკითხში სოციალური ცნობიერების დაბალი დონე, შესაბამისი კანონების არარსებობა, რაც ხელს უშლის პოზიტიური რეფორმების გატარებას ამ მხრივ. სწორედ ამ ქვეყნების რიცხვშია საქართველოც.

როგორც კვლევამ აჩვენა, მონაწილეებისათვის ორივე ჯგუფიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია დედა. დედები დაყვებიან მათ ყველა საჯარო ადგილას. თუმცა საქართელოში არ არსებობს სპეციალური ცენტრები ასეთი დედებისთვის, რომლებიც ასევე სერიოზული სოციალური წნეხის ქვეშ არიან.

მთავარი საკითხი რაც კვლევამ წამოჭრა არის ის, რომ საჭიროა პოზიტიური მხარდაჭერა საზოგადოებისა ბენეფიციართა მიმართ და მეგობრობა მათთან ზოგადად და საჭიროა ამ მხრივ საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის კამპანიების წარმოება

საქართველო გაეროს კონვენციას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა შესახებ, 2006 წელს შეუერთდა და მისი რატიფიცირებაც მოხდა. მას შემდეგ საქართველოს აქვს პასუხისმგებლობა მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ სრულად დაიცვას შშმ პირების დასაქმების უფლებები. რამდენი შშმ პირია დასაქმებული საქართველოში ამის შესახებსტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. არც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დაარც შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ აქვს მონაცმები. საქართველოში ჩატარდა კვლევა თემაზე „ დამსაქმებელთა დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ“. კერძოდ კი კვლევა ეხებოდა დამსაქმებელთა

აზრისა და დამოკიდებულებების კვლევას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ.რესპონდენტთა 63% თვლის, რომ შშმ პირები უნდა იყვნენ დასაქმებულები, რადგან ეს მათი უფლებაა. 11%-ს მიაჩნია, რომ უნდა შშმ პირები უნდა იყვნენ დასაქმებულები, რადგან ისინი კონკურენტუნარიანებიარიან, ხოლო 26 % აღნიშნავს, რომ მათი დასაქმება დამოკიდებულია მათი შეზღუდვის ტიპზე. რესპონდენტები უშვებენ იმ აზრს, რომ დასაქმება არ არის საჭირო ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. ეს არგუმენტი კვლევის ჰიპოთეზას ამყავრებს. საწმუხაროა, მაგრამ ჯერ კიდევ მყარია სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ. მკვლევრებს ასევე აინტერესებდათ, დაახლოებით რამდენი პროცენტი შშმ იყო დასაქმებული. როგორც უკვე ავღნიშნეთ, კვლევა მოიცავდა არა მხოლოდ თბილისს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც, კერძოდ : ბათუმსა და ზუგდიდს. ეს რეგიონები ჩვენთვის მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც მხოლოდ მათ ჰყავთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დასაქმებული. კითვაზე ჰყავდათ თუ არა დასაქმებული შშმ პირი, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 95 % აღნიშნავს, რომ არ ჰყავთ დასაქმებული შშმ პირი, მაგრამ პოზიტიურ ფაქტია, რომ გამოკითხულთა 6%-ს ჰყავს დასაქმებული შშმ პირები. რესპონდენტთა 63% თვლის, რომ შშმ პირები უნდა იყვნენ დასაქმებულები, რადგან ეს მათი უფლებაა.

ემპირიული ნაწილი

ნაშრომის შესავალ ნაწლში, როგორც ავღნიშნე ჩემი კვლევის მიზანს წარმადგენდა შშმ პირების ინტეგრაციის ხელიშემშლელი ბარიერების დადგენა და იმ კულტურული სტერეოტოპების გამოვლენა, რომელიც მათ უშლიდათ ხელს ინტეგრირებაში. შედეგიდან ჩანს, რომ ისინი აწყდებიან ხვადასხვა სახის პრობლემებს ოჯახში, სამეგობრო წრეში, საზოგადოებაში და ამის მიზეზი არის არა მხოლოდ ხელმისაწვდომობის ნაკლებობა არამედ ინფორმირებულობის დაბალი დონე.

კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა შვიდ რესპონდენტთან. აქედან ოთხი არის ეტლით მოსარგებლე, ერთი უსინათლო და ორი ძვლების დაავადების მქონე, ისინი ეტლის გარეშე გადაადგილდებიან, მაგრამ მოძრაობის ფუნქცია ნაწილობრივ დარღვეული აქვთ. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ორი შშმ პირი არის დაბადებიდან სტატუსის მატარებელი. დანარჩენები უბედური შემთხვევის შედეგად გახდნენ ამ თემის წევრები. მათგან ორი ეტლით მოსარგებლე დაოჯახებულია. დანარჩენები ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. დასაქმებას რაც შეეხება ოთხი დასაქმებულია, სამი დღემდე უშედეგოდ ეძებს სამსახურს. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ექვსს, მხოლოდ ერთმა ვერ შეძლო ეროვნული გამოცდების ჩაბარება. მიზეზად ასახელებს ხანგრძლივი მკურნალობის პროცესს.

თავი V. შშმ პირთა ინტეგრაცია პირველად ჯგუფებში

შშმ პირების ინტეგრაცია პირველად ჯგუფებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს არის გარემო, რომელშიც მდგრადი ემოციური ურთიერთობები ყალიბდება და რომელიც სოციალიზაციის პროცესში ძირითად როლს ასრულებს. პირველად ჯგუფებს მიეკუთნება ოჯახი, სამეგობრო წრე და ასე შემდეგ.

5.1 ინტეგრაციის პროცესი ოჯახში

რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ ოჯახის წევრებთან ერთად. ეს სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული, მათ შორის იმით, რომ უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება და დამოკიდებულები არიან სხვა ადამიანებზე. ეტლით მოსარგებლეთა ნაწილი აცხადებს, რომ თანმხლები პირის გარეშე არ შეუძლია თუდაც ეზოში გასვლა. შშმ პირები ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევიან, როგორც საზოგადოების ასევე ოჯახის წევრების მხრიდანაც. ეს ყურადღება ხშირ შემთხვევაში გადამეტებულია

„სულ იმის კითხვაში არიან რამე ხომ არ მჭირდება, ზედმეტადაც კი იჩენენ ყურადღებას „ (სანდრო 24 წლის, ეტლით მოსარგებლე, დაუსაქმებელი)

რესპონდენტების თქმით ოჯახის წევრებს გაუჭირდათ მათ მდგომარეობასთან შეგუება. თოთუეულს გავლილი აქვს ხანგრძლივი რეაბილიტაციის კურსი. თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ, რომ კომუნიკაცია საზოგადოებასთან არ ჰქონოდათ, მალავდნენ მათ. მიზეზი რამდეიმეა: მიაჩნდათ, რომ შშმ პირებს იცავდნენ დაცინვისაგან, სიბრალულისგან, დაჟინებული მზერისგან, შეურაცხმყოფელი გადალაპარაკებისაგან რომელსაც ისინი ყოლდღიურად ქუჩაში გასვლისას აწყდებან. ეს ნაკარნახევია სამედიცინო მოდელის სტანდარტებით, რომელიც გულისხმობას იმას, რომ საზოგადოების მიზანი არის ამ ადამიანების გამოჯანმრთელება და ასე საზოგადოებაში დაბრუბება, რომ ის არ გახდეს შემდგომში დიკსრიმინაციის მსხვერპლი. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ხშირია ოჯახები, რომელიც არ მიმართავენ მკვეთრი იზოლიაციის ფორმას, არამედ პირიქით უფრო მეტად ცდილბენ, რომ დაეხმარონ შშმ პირებს ინტეგრაციის პროცესში. მშობლები ერთიანდებიან სხვადასხვა ორაგნიზაციებში და უკვე ღიად იცავენ მათ უფლებებს.

„ოჯახს გაუჭირდა ჩემს მდგომარეობასთან შეგუება, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ფეხზე დავმდგარიყავი“ (გიორგი 44 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

„ ჩემს ძმას არ სურდა გარეთ გავსულიყავი, რადგან არ უნდოდა ჩემთვის დაეცინათ. განიცდიდა იმას, რომ შშმ პირი ვიყავი“ (მარი 25 წლის, ძვლების დაავადების მქონე, დასაქმებული)

„დედაჩემი ნათესავებს ეუბნებოდა, რომ სირაულს ისევ შევძლებდი, რომ ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო, ექიმები იმედს გვაძლევდნენ“ (თაკო 28 წლის, ეტლით მოსარგებლე, დაუსაქმებელი)

„მიხარია ის, რომ ახლა მშობლები გაქტიურდნენ, შვილებზე თმამად და დარცხვენის გარეშე საუბრობენ, იბრძვიან მათი უფლებებისთვის“ (გიორგი 38 წლის ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

რესპონდენტები საუბრობენ ფიზიკური გარემოს ხელიშემშლელ ფაქტორებზეც. არაადაპტირებული გარემო არის ერთ-ერთო ბარიერი იმისა, რომ იყვნენ დამოუკიდებლები. ოჯახის წევრების დახმარების გარეშე ძირითადად ეტლით მოსარგებლეები და უსინათლო შშმ პირები სახლიდან ვერ გადიან. სმენადაქვეუთებულებს იგივე პრობლემა არ აქვთ. რესპონდენტთა ფიზიკური დამოკიდებულება ოჯახის წევრებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ემოციურ დამოკიდებულებაზე, ვინაიდან ოჯახის წევრებისაგან გამოვლენილი ყურადღება აძლიერებს რესპონდენტთა და ოჯახის წევრთა შორის ემოციურ და სოციალურ კავშირებს. ოჯახთან მყარი ემოციური კავშირის არსებობა კი მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტები ფლობენ მაერთიანებელ (bonding) ტიპის კაპიტალს.

„რადგან ქალაქში ინფრასტრუქტურა არ არის შესაბამისი, მიჭირს მარტო სახლიდან გასვლა. ეზოშიც კი ვერ ჩავდივარ ოჯახის წევრების დახმარების გარეშე“ (სანდრო 24 წლის, ეტლით მოსარგებლე, დაუსაქმებელი)

„11 წელია ეტლით მოსარგებლე ვარ, რადგან ფეხზე დგომა შემიძლია, ეს მეხმარება იმაში, რომ დამოუკიდებლად გავაკეთო ბევრი რამ და ყველაფერზე ჩემს მეუღლეს არ დავუძახო“ (გიორგი, 44 წლის ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

თბილისში გარემო ადაპტირებული არ არის. ადამიანები ქუჩებში, თავშეყრის ადგილებში არც თუ ისე ხშირად ხვდებიან სპეციალური საჭიროების მქონე პირებს, რაც მათ დამოკიდებულებასაც განაპირობებს. სავაჭრო და მომსახურების ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, მიუწვდომელია შშმ პირებისთვის. რთულია მაღაზიაში დაუხმარებლად მოხვედრა. ინკლუზიურ გარემოსთვან არ არის შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოში არსებული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი. საბჭოთა კავშირის პერიოდში, შშმ პირები დისკიმინირებულნი იყვნენ შესაბაისად შენობებიც არ იყო მათზე მორგებული. დღესდღეობით რამდენიმე უბანში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განახლება, მაგრამ გარემო ხელმისაწვდომი კვლავ არ არის. იკვვეთება სახელმწიფოს არასწორი მიდგომა. რესპონდენტებს თქმით, უნდა მოხდეს დავალდებულება სხვადახვხა ობიქტების მფლობელების, რომ შექმნან თანაბარი, ადაპტირებული გარემო ყველასათვის.

„თუ შენ მე შემიქმენი ყველანაირი პირობა სახლში, სამსახურში, უნივერსიტეტში, მე აღარ ვარ შშმ პირი. საზოგადოების მიდგომაც შეიცვლება. სახელმძღვანელოდ უნდა დავიჭიროთ კონვენცია, რომელშიც ყველა მიმართულებაა კარგად ჩამოყალიბებული. ერთი წლის წინ დაამთავრეს ახალი აღმაშენებელი და ეტლით ვერცერთ ობიექტში ვერ შეხვალ. ახლა ამბობენ, გადავაკეთებთო, მაგრამ უკვე რთულია, თავიდანვე შეიძლებოდა კოხტად გაკეთება, საერთოდ არ ინტერესდებიან ჩვენით“ (გიორგი 44 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

ეტლით მოსარგებლე ორი რესპონდენტი ნამყოფია ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ისინი საუბრობენ ქვეყნებს შორის განსხვავებებზე. ერთ-ერთი ამბობს, რომ, როდესაც საზღვარგარეთაა, ვერ გრძობს იმას, რომ რაიმე ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, ადაპტირებული გარემო, ხალხის დამოკიდებულება სრულ კომფორტს უქმნის.

„როცა საზღვრგარეთ ვარ, დამოუკიდებლად გადავაადგილდები, წინაღობას არ წარმოადგენს ჩემთვის არც სავაჭრო და არც კვების ობიექტი, ხალხიც არ გიყურებს დაჟინებით. მოკლედ რომ ვთქვა, ახალ სისხლს ვისხამ და ვბრუნდები სამშობლოში“ (გიორგი 38 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

კვლევის შედეგიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას ახასიათებს ემოციური ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რაც შშმ პირების მატერიალური თუ ფიზიკური დამოკიდებულებით შეიძლება ავხსნათ. თუმცა გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ის შშმ პირები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისინი, ვინც სწავლობენ, მუშაობენ და ასე შემდეგ.

5.1.2 შშმ პირთა ინტეგრირება სამეგობრო წრეში

რესპონდენტებმა მეგობრების უმეტესობა სკოლაში, უნივერსიტეტში, სამსახურში შეიძინეს, მათი თქმით, ისინი ამჯერადაც მეგობრობენ ბავშვობისდროინდელ კლასელებთან. უნდა ითქვას, რომ ძირითადად ურთიერთობა აქვთ ადამიანებთან, რომლებიც არ არიან შშმ სტატუსის მქონენი.

„ხშირად ვიკრიბებით ხოლმე კლასელები, მათთნ ურთიერთობა სასიამოვნოა ჩემთვის“ (მარი 25 წლის, ძვლის დაავადების მქონე, დასაქმებული)

ახლო მეგობრების შეძენა რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ძველმა მეგობრებმა მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალეს. ეს უკავშირდება მის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს და სტრესულ მდგომარეობას.

„ისინი როგორც ავადმყოფს ისე მექცეოდნენ, ეს არასასიამოვნო იყო ჩემთვის, ასეთი დამოკიდებულება მაღიზიანებდა“ (გიორგი 44 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

რესპონდენტის ნათქვამიდან შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის გარკვეულწილად სტიგმატიზებული იყო მეგობრების მხრიდან. ასევე გამოიკვეთა ტენდენცა, რომ შშმ პირები ნაკლებ დროს ატარებენ მეგობრების წრეში ვიდრე ოჯახის წევრებთან.ამის მიზეზად ისინი, მათი მეგობრების დროის უქუნლობას ასახელებდნენ. შშმ პირების თქმით, მათ მეგობრებს სამსახურების გამო ნაკლები თავისუფალი დრო რჩებათ. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად მაინც გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემას ასახელებენ.

5.2 შშმ პირთა ინტეგრაცია მეორად ჯგუფებში

გარემო ჯანსაღია მაშინ, როდესაც ადამიანები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. მათ შორის შშმ პირები, უმცირესობები და ასე შემდეგ. მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია ხელს უწყობს მათ რეალიზებას. მეორად ჯგუფებს ქმნიან ადამიანები, რომელთა შორის არ არის ემოციური დამოკიდებულება, მათი ურთიერთობა ერთიანი მიზანის მიღწევის სურვილითაა განსაზღვრული, ამ ჯგუფებში მთავარია არა პიროვნული თვისებები, არამედ გარკვეული ფუნქციის შესრულების უნარი. ასეთია მაგალითად დასაქმების ადგილი.

სოციალური ბარიერები

ინტერვიუს პროცესში რესპონდენტებმა ისაუბრეს, თუ როგორ ესმის საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობა. მათი აზრით, ადამიანებმა არ იციან, თუ რა იგულისხმება ამ ცნებაში. მათ არ იციან, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ადამიანს აქვს სმენის, გადაადგილების, მხედველობს პრობლემა, არამედ იმას, რომ მას აქვს საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობის შეზღუდვა. სწორედ ამ არაადეკვატური გაგების პრობლემა ქმნის ბარიერებს. სახელმწიფომ ინფორმირებულობის გაზრდაზე უნდა იზრუნოს, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სტერეოტიპების რღვევას იწვევს. რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს მიდგომა. სოციალური მოდელის მიმართლებით უნდა დავიწყოთ სვლა. ადამიანს, რომელმაც დაკარგა ფეხი და ვერ გადაადგილდება, არ იქნება სწორი, გამოჯანმრთელება ვუსურვოთ, უმჯობესია მივცეთ გარემო, სადაც განვითარების თანაბარი შესაძლებლობა ექნება. ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია წერა, მეტყველება, ალტერნატიული სტრატეგია უნდა შევთავაზოთ.

„ვბრაზდები, როდესაც ამბობენ შეზღუდული შესაძლებლობები. ეს შესაძლებლობები არ არის, არის შეზღდული შესაძლებლობა. ვფიქრობ, რომ მე მაქვს საზოგადოებაში ინტეგრაციის შეზღუდვა აქ, ქართულ საზოგადოებაში. ნაკლები ბარიერი მექმნება

საზღვარგარეთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე მე ვარ აქაც და იქაც“ (გიორგი წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

„კონვენციის საფუძველზე უნდა შევქმნათ შესაბამისი გარემო, მსოფლიო მიხვდა, რომ მისაწვდომობაზე საუბარი აღარ უნდა იყოს“ (გიორგი 44 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

რესპონდენტების შეფასებით, ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა დიდი როლო ითამაშა საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ეს საზოგადოების დიდ ნაწილს ეხება. ინტერნეტის და სოციალური მედიის განვითარება ხელს უწყობს შშმ პირების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას, მაგრამ ამ საკითხზე საზოგადოების ინფორმირების დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია, რაც ხელს უშლის არსებული სტერეოტიპების გადალახვას და სამედიცინო ხედვიდან სოციალურზე გადასვლას. გამოვლინდა ფაქტები, რომელიც ყველა რესპონდენტის შემთხვევაში საერთო იყო, კერძოდ, რესპონდენტების თქმით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ისინი, უმეტესად, საზაოგადოების მხრიდან სიბრალულს იწვევენ. უსინათლო გოგონამ ხაზი გაუსვა მიმართვის ისეთ უსიამოვნო ფორმებს, როგორიცა „ბრმა“, ,,ნაკლიანი“, ასევე აღნიშნა, რომ ხშირად უსვამენ უტაქტო შეკითხვებს, მაგალითად, „ვინ გეხმარება, გყავს ვინმე პატრონი?“ და გამაღიზიანებელი რჩევები მომვლელის აყვანის შესახებ.

„შეცოდების მომენტი ბევრჯერ მიგვრძნია, გაგცდება თუ არა, შენს გასაგონად ამბობს, საწყალი, როგორ მეცოდება, საცოდობაა ეტლში იჯდეს ასეთი ახალგაზრდა“ (სანდრო 24 წლის, ეტლით მოსარგებლე, სამსახურის მაძიებელი)

„სოციალური ქსელებს აქტიურად ვიყენებ, მეხმარება საზოგადოების განწყობები შევაფასო, ბევრჯერ შემხვედრია შეურაცხმყოფელი კომენტარები შშმ პირების მიმართ, მაგრამ ძირთადად ვეცოდებით“ (გიორგი 44 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

რესპონდენტთა აზრით, საზოგადოების ინფორმირებლობა აღნიშნულ საკითხზე მეტად გაიზარდა, რაც ნელ-ნელა დამოკიდებულებებსაც ცვლის. ადრე, თუ მათ

„ავადმყოფად“აღიქვამდნენ, ახლა ადამიანების ნაწილი მაინც ხვდება, რომ ასეთი მიდგომა სწორი არ არის. დამოკიდებულების ცვლილების საკითხში დიდი როლი ითამაშა მედია-საშუალებებმა, ასევე შშმ პირების გააქტიურებამ და საზოგადოებაში უფრო ხშირად გამოჩენამ.

„ადრე უჩინარი ვიყავი, გარეთ იშვიათად გამოვდიოდი, ხალხის დაჟინებული მზერა მაწუხებდა. ახლა, შეიცვალა ბევრი რამ, მაგრამ მაინც არის პრობლემები. თუმცა საზოგადოებამ გაიგო, რომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ“ სანდრო 24 წლის, ეტლით მოსარგებლე, სამსახურის მაძიებელი)

რესპონდენტები საუბრობენ სტერეოტიპებზე, რომელიც შშმ პირების შესახებ გავრცელებულია საზოგადოებაში. ესენია: წარმოდგენა მათზე, რომ უუნაროები არიან. ხშირად მათ განიხილავენ, როგორც ქველმოქმედების ობიექტს. ქუჩაში მათი დანახვისას რეაქციები მსგავსია. მნიშვნელობა არ აქვს რომელი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ, საზოგადოების წევრები მათ მიმართ იჩენენ სიბრალულს და თანაგრძნობას.

„საზოგადოება შშმ პირებს უყურებს, როგორც საცოდავს, როგორც არასრულფასოვანს. ყველას უნდა, რომ ლამაზი იყოს, კარგად გამოყურებოდეს. პირველ რიგში, ძალიან დიდი წნეხია, რომ შენ ხარ ეტლით მოსარგებლე. ქალები გიყურებენ, როგორც არასასურველ მამაკაცს, რადგან არ შეგიძლია, რომ ხელში აიყვანო, რაღაც ისეთი გააკეთო. არ გაქვს ისეთი ტანი, როგორიც მას მოსწონს“ (გიორგი 38 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობს სახელმწიფოს როლზე. ამბობს, რომ რთულია საზოგადოებას მოსთხოვო დამოკიდებულების შეცვლა მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეები სტერეოტიპულად აზროვნებენ. ასეთი განწყობების არსებობისას შეუძლებელია პროგრესზე საუბარი, ის პროექტები, რომელიც ხორციელდება, სახელმწიფოს მხრიდან შედეგის მომცემი ვერ იქნება.

„კუს ტბაზე ხშირად ვარ ხოლმე, ამიტომ ყველას ვიცნობ. იქაურმა მეგობრებმა სუფრასთან მიმიწვიეს, სადაც ჩემი სადღეგრძელო დაილია. ერთ-ერთმა პარლამენტარმა მითხრა, რომ მე ვარ ღვთისგან დაჩაგრული, რადგან ეტლით მოსარგებლე ვარ და რომ გადავრჩი, ასეთ მდგომარეობაში ცხოვრების გაგრძელებას უმჯობესი იქნებოდა, მომკვდარიყავი. მსგავს დამოკიდებულებას მიჩვეული ვარ, მაგრამ ორმაგად ცუდია, საჯარო მოხელე რომ ფიქრობს ასე“ (გიორგი 44 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ შშმ პირები არიან სტერეოტიპების ობიექტები, რაც განსაკუთრებით საზიანოა მათთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ დაბრკოლებას სხვა რადგან მათ მუდმივი მზრუნველობა სჭირდებათ, მოითხოვენ განსაკუთრებულ პასუხიმგებლობასა და დაცვას, განსაკუთრებით სუსტები და დაუცველები არიან, სხვებზე დამოკიდებულები,პასიური, უმწეო და ტანჯული ადამიანები. აღიქმებიან არასრულფასოვან ადამიანებად, რომლებსაც სარგებლის მოტანა არ შეუძლიათ, არაადეკვატურები არიან, სექსუალურად უუნაროები, არასექსუალურები. კვლევის პროცესში, როდესაც ისინი საუბრობდნენ პირად ურთიერთობებზე, აღმოჩნდა, რომ მათ არც ისე წარმატებული სასიყვარული ურთიერთობები ჰქონდათ.

„მგონია, რომ საერთოდ ქალად ვერ აღმიქვამენ“ (თაკო 28 წლის, ეტლით მოსარგებლე, სამსახურის მაძიებელი)

„ვის რაში ჭირდება ტვირთად ჩემნაირი მეუღლე?“ (სანდრო 24 წლის, ეტლით მოსარგებლე, სამსახურის მაძიებელი)

შშმ პირთა თვითრეალიზაციის დამაბრკოლებლად გვესახება საზგადოებაში აღმოცენებული ცრურწმენები. ჩვენი კულტურის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს ქალის, როგორც დედის, ხატად წარმოჩენა წარმოადგნს სხვა ნებისმიერ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ქალი ვერ შედგა.

ჩვენ საზოგადოებას არ აინტერესებს რამდენად წარმატებული ხარ, მათთვის მნიშვნელოვანია გათხოვილი ხარ თუ არა, რადგან ქალის ფუნქცია შვილების გაჩენა

ჰგონიათ. აი, უფრო რთული შემთხვევაა, როდესაც შშმ პირი ხარ. (თაკო 28 წლის, ეტლით მოსარგებლე, სამსახურის მაძიებელი)

„ერთი შეხვედვით, ვერ ამჩნევენ, რაიმე პრობლემა მაქვს თუ არა. როდესაც ეს შესამჩნევი ხდება, ქრებიან. ვფიქრობ, რომ სრულფასოვან ადამიანებად არ აღგვიქვამენ“ (მარიამი 25 წლის, ძვლის დაავადების მქონე, დასაქმებული)

ინეტრვიუს პროცესში რესპონდენტები საუბრობდნენ ინკლუზიის არარსებობაზე ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში და ასე შემდეგ. მათი თქმით, ბავშვი, რომელიც არის შშმ პირი დაბადებიდან, აქვს ნაკლები შანსი, ჰყავდეს მეგობრები. ნაკლები ურთიერთობა იწვევს მეტ ჩაკეტილობას, კომლპექსებს. ასევე, საზოგადოების მხრიდან ჩნდება მიუღებლობა ასეთი ადამიანების მიმართ. მათ ხშირად სმენიათ, რომ მშობლებს არ უნდათ თავისმა შვილმა ისწავლოს შშმ პირთან ერთად, რადგან თვლიან, რომ ისინი აფერხებენ განათლების მიღების პროცესს უუნარობს გამო. ამგვარ ხედვას იწვევს ნაკლები ურთიერთობა, ნაკლები კომუნიკაცია, ნაკლები ინტეგრაცია.

5.3 შშმ პირთა ინტეგრაცია დასაქმების ბაზარზე

გაეროს შშმ პირთა კონვენციის 27-ე მუხლით განისაზღვრა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს თანაბარ პირობებში დისკრიმინაციის გარეშე დასაქმების უფლება. მუხედავად ამისა, სამუშაოს ძიების პროცესში შშმ პირები სხვადახვა ტიპის ბარიერებს აწყდებიან. ესენია:დამსაქმებლის სტერეოტიპული, დისკრიმინაციული დამოკიდებულება, შესაბამისი კვალიფიკაციის არქონა.

შვიდი რესპონდენტიდან ხუთს სამსახური აქვს. აქედან მხოლოდ ერთი მუშაობს საჯარო უწყებაში, დანარჩენი ოთხი - კერძო სექტორში. რესპონდენტების მას შემდეგ დასაქმდნენ რაც შშმ პირის სტატუსი მიიღეს მანამდეც ჰქონდათ სამსახური, მაგრამ რეაბილიტაციის პრცესი იმდენად ხანგრძლივი იყო, რომ მისი შენარჩუნება ვერ მოახერხეს. მათი თქმით, დასაქმება - ეს არის ადაპტაციის გზა. დასაქმების ადგილზე არიან ადამიანები, ვისთან

ურთიერთობაც ეხმარებათ ინტეგრაციის და რესოციალიზაციის პროცესში, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ გარემოში მოხვდებიან. საზოგადოების დიდი ნაწილი სტერეოტიპულად აზროვნებს, მათ შორის ის ადამიანებიც, ვისთან ერთად უწევთ მუშაობა. ეს არის ერთგვარი წნეხი, რადგან კონკურენტად არ აღიქვამენ, იკვეთება, როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური დისკიმინაციის ფორმა. პოზიტიური იმ თვალსაზრისით, რომ თანამშრომლები ცდილობენ მუშაობის პროცესში დაეხმარონ ან მათი საქმე შეითავსონ, რაც შეეხება ნეგატიურ მიდგომას კოლეგები აპროტესტებენ შშმ პირების იქ ყოფნას,რადგან ფიქრობენ რომ შესაბამისი კვალიფიკაცია არ აქვთ. მარის თანამშრომელმა უთხრა, რომ იმავე საქმის გაკეთებას ვერ შეძლებდა, ამიტომ მისთვის რაიმე მარტივი უნდა დაევალებინათ.

„მენეჯერი თანაბრად გვტვირთავს, მაგრამ რამდენიმე თანმშრომელი მაკვირდება, აბა რას როგორ ვაკეთებ, მეკითხებიან, დახმარება ხომ არ მინდა. ვფიქრობ, ჰგონიათ, რომ ვერ შევძლებ“ (ლიკა, 26 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

„თავიდან უცნაურად მიყურებდნენ, მაგრამ ახლა, თითქოს, უხერხულობა გადავლახეთ და შევძელი თავის დამკვიდრება. ვერ ვიტყვი, შშმ პირად არ აღვიქმები მათთვის თქო, მაგრამ ურთიერთობის პრობლემა არ გვაქვს” (მარიამი 25 წლის, ძვლის დაავადების მქონე, დასაქმებული)

შშმ პირების თქმით, განათლება არის განმსაზღვრელი იმის, რომ კონკურენციის გაწევა შეძლონ დასაქმების ბაზარზე, მაგრამ ნათელია ისიც, რომ განათლების მიღებასთან დაკავშირებული ბარიერები არსებობს. სხვადასხვა პრობლემის მქონე შშმ პირებს განსხვავებული შეზღუდვები აქვთ. ეტლით მოსარგებლეები ამბობენ, რომ ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. საქართველოში არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ადაპტირებული მათთვის, შესაბამისად, სასწავლო დაწესებულებამდე მისასვლელად აუცილებელია კერძო მანქანა ან ტაქსი.

„განათლების მიღება შეგიძლია მაშინ, როდესაც შეძლებ დაწესებულებამდე მისვლას. მხოლოდ მისვლა არ არის, შენობაში გადააგილებაც პრობლემას წარმოადგენს. დამხმარე

თუ არ გყავს, დღეის მდგომარეობით შეუძლებელია“ (გიორგი, 38 წლის, ეტლით მოსარგებლე, დასაქმებული)

„ოჯახის დამსახურებით, უნივერსიტეტი დავამთავრე. ჩემი პროფესიით ვმუშაობ. განათლება რომ არა, ალბათ ვერ დავსაქმდებოდი“ (მარიამი, 25 წლის, ძვლის დაავადების მქონე, დასაქმებული)

უსინათლო რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არის ისეთი პირობები ასეთი კატეგორიის შშმ პირებმა შეძლონ უნივესტეტში განათლების მიღება. ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოა, რომ შშმ პირთა სოციალური კაპიტალი და ინტეგრაციის დონე მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო მეტად მიეცემათ მათ განათლების მიღების საშუალება, რადგანაც სწავლის პროცესში უფრო მეტად ექნებათ ურთიერთობა როგორც შშმ პირებთან, ისე იმ პირებთან, რომლებსაც ეს სტატუსი არ აქვთ, შესაბამისად, ისინი შეძლებენ თავიანთი სოციალური კაპიტალის გაზრდას; ასევე წარმატებით დასაქმებასაც.

რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ შშმ პირი თუ დასაქმდა, ეს არ არის მდგრადი პროცესი. ისინი ხშირად ხდებიან დისკრიმინააციის ობიექტები. დასაქმების ადგილზე გარემო არ არის მზად, მიიღოს ისინი. სწორედ ამიტომ, მათ უწევთ სამსახურის დატოვება.

„სამსახურიდან წამოვედი იმიტომ, რომ ვერ გავუძელი. ვგრძნობდი სიბრალულს თანამშრომლების მხრიდან. რამდენჯერმე ფულიც კი შემიგროვეს. ესშეურაცხმყოფელია ჩემთვის" (თაკო 28 წლის, ეტლით მოსარგებლე, *დაუსაქმებელი)*

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ შშმ პირებმა დასაქმება პირადი კონაქტების დახმარებით მოახერხეს. ამბობენ იმას, რომ ძალიან ბევრ აპლიკაციას აგზავნიან. გასაუბრებებზეც ყოფილან, მაგრამ უმეტესწილად ბლოკავდნენ. დამსაქმებელი ცდილობს თავი აარიდოს დამატებით ხარჯებს, რომელიც შეიძლება ამ ადამიანების დასაქმებას მოყვეს. რესპონდენტების თქმით, სახელმწიფო შეღავათებს უწესებს მას, ვინც შშმ პირს ასაქმებს. სწორედ ამიტომ, ის ხარჯები, რაც რჩება, შეიძლება ტრასპორტირებისთვის იქნეს გამოყენებული.

„ჩემი მეგობრის რეკომენდაციით დავსაქმდი, რომ არა ის, ალბათ ვერასდროს შევძლებდი დამოუკიდებლად სამსახურის მოძებნას“ (მარიამი,25 წლის, ძვლის დაავადების მქონე, დასაქმებული)

„რამდენიმე გასაუბრებაზე ვარ ნამყოფი, მპირდებიან დაგირეკავთო, მაგრამ არავინ შემხმიანებია. მახსოვს გასაუბრებაზე პირდაპირ მითხრეს, ჩვენ ეტლით მოსარგებლისათვის შესაბამისი პირობები არ გვაქვს და, შესაბამისად, ვერ შევძლებთ თქვენს აყვანასო“ (თაკო, 28 წლის, ეტლით მოსარგებლე, სამსახურის მაძიებელი)

თავი VI. ღონისძიებები, რომლითაც, შშმ პირების აზრით, უნდა გაუმჯობესდეს შშმ პირების მდგომარეობა

როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მათთან დაკავშირებული უამრავი პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები და მეტი პასუხისმგებლობით მიუდგეს საკითხს. არარსებობს მათთვის ადაპტირებული ტრანსპორტი, პანდუსები. სადაც კი არსებობს პანდუსები, ისიც პრობლემურია, რადგან დიდი დაქანება აქვს და მისით სარგებლობა სახიფათოა. რამდენიმე რესპონდენტმა გამოყო ბანკებთან და სხვა დაწესებულებთან დაკავშირებული პრობლემებიც, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც იგი აუზზე არ შეუშვეს სწორედ იმის გამო, რომ ის შშმ პირი იყო. როგორც ამ შემთხვევიდან ჩანს, ეს სტიგმა არის ინსტიტუციის მიერ დაწესებული. ვინაიდან რესპონდენტი საცურაო აუზზე არ შეუშვეს სწორედ იმის გამო, რომ იგი შშმ პირი იყო. რესპონდენტთა აზრით, სახელმწიფოზე ბევრი რამაა დამოკიდებული და მათი პრობლემები მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობები არაა, მათ პრობლემებს ამწვავებს ის გარემო,რომელიც მათ გარშემოა. რესპონდენტთა აზრით, სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერთოს მათი პრობლემის მოგვარებაში.

დღესდღეობით, საქართველოში შშმ პირები ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ სურთ თავი იგრძნონ სრულუფლებიან წევრებად მაინც უჭირთ სოციალური ინტეგრაცია, კარიერული წინსვლა, სოციალურ მოვლენებში

აქტიური ჩართვა, ეს ყველაფერი საზოგადოების ნაკლებად ინფორმირებულობითაც არის გამოწვეული, ბევრმა ჩვენგანმა ისიც კი არ იცის, თუ როგორ მიმართოს შშმ პირებს, მათი მიმართვა ცნობიერი თუ არაცნობიერი, ძალიან ხშირად დამცინავი და შეურაცხმყოფელია(მაგალითად: „ინვალიდი“, „ბრმა“, „ყრუ“ და ა.შ). ამ მხრივ სახელმწიფოს ჩართულობაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ინტერვიუს მსვლელობისას გამოკითხულთა უმრავლესობამ ხშირად ახსენა და ხაზი გაუსვა სახელმწიფოს როლს მათ ცხოვრებაში, მათი დასაქმების თუ სოციალური ინტეგრაციის მხრივ. არსებობს კატეგორია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა, რომელთაც შეიძლება, მართლაც, ძალიან გაუჭირდეთ რაიმე სახის საქმიანობის ათვისება,მაგრამ საკმაოდ ბევრია ისეთი, რომელსაც ძალიან კარგად გამოსდით სხვა და სხვა სახის ხელსაქმე ან თუნდაც მათემატიკური ანგარიში, მაგრამ სამწუხაროდ მათი დასაქმება საქართველოში არ ხერხდება, დასაქმება და საკუთარი შემოსავლის ქონა კი ძალიან დიდი დახმარება იქნება მათი არა მარტო მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ მათი სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივაც.

დასკვნა

დასკვის სახით უნდა ითქვას, რომ კვლევის ძირითადი მოლოდინები გამართლდა. შშმ პირები არ თვლიან თავს საზოგადებაში ინტეგრირებულად. ამის მიზეზად ასახელებენ არაადაპტირებულ გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულებას და ინფორმირებულობის ნაკლებობას. როგორც ჩანს რესპონდენტები მეტწილად დამოკიდებულები არიან ოჯახის წევრებზე. მათი აქტივობები პირველად ჯგუფებში არ არის მრავალფეროვანი და ძირითადად შემოიფარგლება ყოველდღიური საქმიანობით, საუბრით, ტელევიზორის ერთად ყურებით და ასე შემდეგ. ემოციური დამოკიდებულება და კავშირები შშმ პირთა და მათი ოჯახის წევრებს შორის საკმაოდ მყარია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შშმ პირები ფლობენ მაერთიანებელი (bonding) ტიპის კაპიტალს. რესპონდენტების სამეგობრო წრეში ინტეგრაციის დონე ასევე მაღალი იყო. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა ორი სახის ტენდენცია, რომლის მიხედვითაც რესპონდენტთა ერთ ნაწილს ახლო მეგობრების უმეტესობა ახლად შეძენილი ჰყავდათ, ხოლო მეორე ნაწილმა ახლო მეგობართა უმეტესობა ჯერ კიდევ ბავშობაში შეიძინა. რესპონდენტების ჩართულობა მეგობრებთან ერთად უფრო მეტად იყო მრავალფეროვანი, ვიდრე ოჯახის წევრებთან. რესპონდენტების ინტეგრაციის დონე პირველად ჯგუფებში მაღალია, რასაც ვერ ვიტყვით მეორად ჯგუფებზე. კვლევის შედეგიდან ჩანს, რომ შშმ პირები მაერთიანებელ კაპიტალს ნაკლებად ფლობენ. ეს შესაძლოა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ რესპონდენტები ფართო საზოგადოებაში იშვიათად ატარებენ დროს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შშმ პირები გარკვეულწილად არიან სტიგმატიზებულნი. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, როდესაც ისინი ხვდებიან საზოგადოებაში და იქცევენ ზედმეტ ყურადღებას, გრძნობენ საზოგადოების მხრიდან სიბრალულს, ესმით ხალხის რეპლიკები, რომლებიც მათთვის

შეურაცხმყოფელია. რესპონდენტები დაუსაქმებლობის მიზეზად ასახელებენ თავიანთ მდგომარეობას.

ბიბლიოგრაფია

1. სურმანიძე ლ. (26.11.14) მარგინალიზაცია და სტიგმატიზაცია. მასალა წარმოდგენილია კულტურის სოციოლოგიის ლექციაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. წულაძე ლ.(2008) რაოდენობრივი კლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. სოციალური მეცნიერებათა ცენტრი
3. მ. მუსხელიშვილი. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. 2006.
4. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმლემენტაციის გაიდლაინი. (კანონმდებლობისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ცვლილებების სარეკომენდაციო კონცეფცია). 2014.
5. Barnes, C. and Oliver, M. (1993)Disability: A Sociological Phenomenon Ignored by Sociologists.http://disability-studies.leeds.ac.uk/files/library/Barnes-soc-phenomenon.pdf {6.16.2015
6. Humphrey, T. Harris, Poll. (2010) The ADA, 20 Years Later http://nod.org/assets/downloads/2010_Survey_Americans_Disabilities_presentation.pdf {6.16.2015}
7. Magoliousa,N. G. Ttichepolou, A. (2012) EMPLOYMENT STATUS FOR PEOPLE WITH DISABILITIES IN GREECEhttp://www.asecu.gr/Seeje/issue18/magoulios.pdf {6.16.2015}
8. ISSA (2013) სოციალური საცხოვრისის სოციალური პარამეტრების კვლევა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში. http://www.issageorgia.com/sites/issa/files/docs/Social_Parameters_of_SH_Final_report_Geo_20.10.2013_0.pdf {6.16.2015}
9. Putnam, R. Social Capital: Measurement and
10. Consequenceshttp://www.oecd.org/innovation/research/1825848.pdf {6.16.2015}
11. http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=3079
12. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/samoqalaqo%20sazogadoebis%20funqciebi.htm

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Babilina Darsalia

Barriers to integration of persons with disabilities in Georgian society

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Sociology of Culture and Media

Thesis supervisor: Lia Tsuladze

Phd in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2017